

117
1964

საქართველოს
ბიბლიოთეკები

მეოთხედი



4

1964

მნათობი

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემიის
გამომცემლობა

სოციალური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 4

აპრილი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| პარტიულობის და ზღვრობის ვწით | 3 |
| რევაზ მარგიანი — ლექსი თქმული სადღეგრძელო. ლექსი. | 7 |
| ლევან ვითა — ლექვი ლომისა. რომანი. ვაგრძელება | 8 |
| ალ. ქუთათელი — ვარდისუბნის ვარსკვლავები. ლექსი | 24 |
| გიორგი შატბერაშვილი — ანალო. ლექსი | 26 |
| ელიზბარ ზედგინიძე — ჩვენი ქუჩა. მოთხრობა. | 29 |
| ბონდო კეშელავა — ლექსები | 39 |
| თამაზ ჭილაძე — მოთხრობები | 40 |
| ხუტა ვაგუა — ლექსები | 49 |
| ტაგუ მებურიშვილი — ქარები. ლექსი | 51 |
| ჩინგიზ აიტმატოვი — დედის ყანა. რომანი. დასასრული. თარგმანი ბაბუღია შელიასი | 52 |

კუპალინისტიკა

| | |
|---|-----|
| აკაკი ირემაძე — ვ. ი. ლენინთან იმ მრისხანე წლებში | 95 |
| შ. გოგიძე — ვ. ი. ლენინის ნაშრომები ქართულ ენაზე | 102 |
| დავით ჩხივიშვილი — ერის ცნებისათვის | 106 |

1564 შილიამ შექსპირი 1964

| | |
|--|-----|
| ნიკო ყიასაშვილი — შექსპირის შესწავლის საკითხი თანამედროვე ინგლისში | 125 |
| კუკური პატარიძე — შექსპირის „ამლეტი“ რუსთაველის თეატრში | 134 |

(იხ. შეორე გვ.)



ვანო წულუკიძე — სერგო კლდიაშვილის ნოველების მთავარი თემა 126
 ნოდარ ნათაძე — ორი ახალგაზრდა მწერლის მოთხოვნები 154
 შოთა ბაქრაძე — ეან პოლ სარტრის პიესები 189
 გურამ კანკავა — ანტუან დე სენტ-ეგზუპერი 191

წიგნების მიმოხილვა

შალვა რადიანი — რომანი და სინამდვილე 186
 შალვა ამისულაშვილი — „ნაწევმარი ქუჩები“ 187
 ალექსანდრე გვახარია — საიათნოვას ლექსების საიუბილეო კრებული 189
 ანდრო მირიანაშვილი — რევოლუციური ქარიშხლის მომღერლები 191

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე


ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტვი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-64 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილების ზომა
 7¼×12½ ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
 უე 04258, ტირაჟი 6 500. შეკვეთა № 782.

საქ. კა ც-ს გამომცემლობა, სტამბა № 1
 Издательство ЦК КП Грузии, Тип. № 1



სსკპ მანგაღაი კომიზიონის პირველი მდივანი.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ს. ხ რ უ შ ი დ ვ ი

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

პარტიულობის და ხალხურობის გზით

ერთი წელიწადი გავიდა კომუნისტური პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებთან საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის ისტორიული შეხვედრის დღიდან. და ამ ერთი წლის მანძილზე ჩვენ კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევიცნეთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამ შეხვედრის შედეგებს საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. შეხვედრის შემდგომ მოწვეულმა სკკპ ცკ ივნისის პლენუმმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად დიდი და კეთილშობილურია მწერალთა და ხელოვანთა მოწოდება საბჭოთა ქვეყნის ახლანდელ ეტაპზე.

პარტიულ დოკუმენტებში — ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში მკაფიოდ ჩამოყალიბდა მხატვრული შემოქმედების ამოცანები კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე, ნათლად გაიარკვა საბჭოთა მხატვრის როლი და ადგილი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. როგორც ცნობილია, 1963 წლის 8 მარტის გამოსვლაში ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა რა მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებით შრომას, აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ვითარდება სწორი მიმართულებით და ძირითადად კარგად უპასუხებს თავის დანიშნულებას, რომ უკანასკნელ წლებში შეიქმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებმაც ხალხის სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

მაგრამ მთავარი მიანიც ის არის, რომ ამ ისტორიული დოკუმენტებით პარ-

ტია დაეხმარა ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეთ გარკვეულიყვნენ იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებში, რომლებიც შეიმჩნეოდა ცალკეულ მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებითს პრაქტიკაში, ხელი შეუწყო ფართო შეტევითი ბრძოლის გაშლას უცხო გავლენების და ტენდენციების წინააღმდეგ ჩვენს ხელოვნებაში. ამ დოკუმენტებში პარტიამ გარკვევით თქვა, რომ მხატვრული ინტელიგენცია მას მიაჩნია თავის საიმედო და ერთგულ თანაშემწედ მშრომელთა იდეური აღზრდის საქმეში; რომ ამ ეტაპზე, როცა ახალი ადამიანის იდეურ-მორალური ფორმირების საკითხმა დაიჭირა ცენტრალური ადგილი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში, მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობა ერთი ორად იზრდება და ძლიერდება.

ჩვენ ვცხოვრობთ ორი შეუღებელი იდეოლოგიის გიგანტური და გამძაფრებული ბრძოლის ეპოქაში. ჩვენი მტრები დარწმუნდნენ რა თავის უძლეულებაში — ომით, სამხედრო ძალით დაამხონ სოციალიზმის სამყარო, ახლაცდილობენ გადმოვიდნენ იდეოლოგიურ კონტრშეტევაზე და ყოველგვარ საშუალებებით შემოქმედება იქონიონ საბჭოთა ადამიანების შეგნებაზე, იდეოლოგიის სფეროში მშვიდობიანი თანაარსებობის ყალბი ლოზუნგით დივერსიები მოახდინონ საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში.

დეკემბრის და მარტის შეხვედრებზე, აგრეთვე, სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმზე მკაფიოდ იქნა ნაჩვენები, რომ იდეოლოგიის სფეროში მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგებას შეუძლია მოახ-

დინოს ვალვანიზაცია ისეთი მოვლენებისა ხელოვნებაში, როგორც არის ფორმალში და მისი უკიდურესი სახეობა — აბსტრაქციონიზმი. უცხოური იდეოლოგიის მიმართ ყოველგვარი დათმობის კრიტიკა, ცალკეულ ხელოვანთა და მწერალთა შემოქმედებაში შემჩნეულ ფორმალისტურ გატაცებათა და აბსტრაქციულ სიმბინჯეთა კრიტიკა არის შემადგენელი ნაწილი იმ ღონისძიებათა მთელი სისტემისა, რომლებსაც პარტია ანხორციელებდა და ანხორციელებს მხატვრული შემოქმედების იდეურ-აღმზრდელობითი როლის ასაძალღებლად, მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის გასაძლიერებლად და ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების დასაბლოებლად. ღრმად შინაარსიანი, ფორმით სრულყოფილი ხელოვნებისათვის მებრძოლი, უიდეო და უაზრო ნაწარმოებების წინააღმდეგ მიმართული ეს კრიტიკა გამსჭვალულია მისწრაფებით და ზრუნვით, რომ ჩვენი მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი ქმნიდნენ სიცოცხლით, სიხარულით, გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც სულიერად აჯანსაღებს ადამიანებს, შევლის მათ იცხოვრონ შინაარსიანი ცხოვრებით. ე. ო. იშრომონ და იბრძოლონ კომუნიზმის დიდი იდეალებისათვის.

როგორც პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელმა მ მარტის გამოსვლაში, ისე ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოციალისტურ რეალიზმის ესთეტიკის საფუძველთა საფუძველის — ლიტერატურის და ხელოვნების პარტიულობის და ხალხურობის პრინციპების გარკვევას და გაშუქებას. ცხადი გახდა, რომ ამ პრობლემას ჰქონდა და აქვს უაღრესად აქტუალური საერთო თეორიული და უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საქმე ეხება ხელოვნების, მთელი მხატვრული შემოქმედების იდეურ მიმართულებას — იმას, თუ რა იდეალებს ქადაგებს მხატვარი, რა მიზნებისაკენ მოუწოდებს იგი ადამიანებს, რა

მოვლენებს ამკვიდრებს ცხოვრებაში, როგორც მშვენიერს, და რას მტრედებს და უარყოფს მთელი მგზნებარებით.

საბჭოთა ხელოვნების კომუნისტური პარტიულობის პრინციპს განსაკუთრებული სისასტიკით და გააფთრებით თავს ესხმიან ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი, რომლებიც ძალღონეს არ ზოგავენ, რომ დაამტკიცონ — თითქოს პარტიულობა ბოჰემდეს მხატვრის შემოქმედებითს თავისუფლებას, აბზობდეს მის ინდივიდუალობას, წინ ეღობებოდეს მის ნოვატორულ ძიებებს. ამხ. ნ. ხრუშჩოვის მ მარტის სიტყვაში, ამხ. ლ. ილიჩოვის მოხსენებაში მთელ რიგ ორატორთა გამოსვლებში ივნისის პლენუმზე მხილებულ იქნა ჩვენი იდეური მტრების ამ დებულების ბურჟუაზიული არსი და მისი სრული უსაფუძვლობა. უპარტიო ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა და არც არის კლასობრივ საზოგადოებაში, და ის ბურჟუაზიული ხელოვანი, ვინც უპარტიობის საშოსელს ატარებს, ამით მხოლოდ ამკვიდრებს ბურჟუაზიული პარტიულობის გარკვეულ ფორმას. საბჭოთა მწერლისა და ხელოვანისთვის პარტიულობა არის ორგანული თვისება, რომელიც გამოხატავს მის შინაგან მოთხოვნილებას ემსახუროს ხალხს, კომუნისტური პარტიის იდეალებს, მთელი თავისი ნიჭი და ძალა მოახმაროს კომუნიზმისთვის გაჩაღებულ დიად ბრძოლას. კომუნისტური პარტიულობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელოვანის იდეური პოზიციის სიცხადეს და გარკვეულობას, ანიჭებს მას უნარს დაინახოს და შეაფასოს სინამდვილე კომუნისტური მშენებლობის სიმაღლეებიდან, წარმოადგენს შემოქმედებითი მუშაობის უმნიშვნელოვანეს სტიმულს. იგი არა თუ ზღუდავს მხატვარს, არა თუ ბოჰემს მის თაოსნობას, პირიქით, აქტიურად ხელს უწყობს მისი მხატვრული ინდივიდუალობის გამოვლინებას, მისი ნიჭის გაფურჩქვნას. კომუნისტური პარტიულობის პოზიციებზე მდგარი საბჭოთა ხელოვანი ქმნის თავის

ნაწარმოებებს გულწრფელად და დარწმუნებით, ემორჩილება შინაგან მოვალეობის გრძობას, თავის გულის კარნახს. კომუნისტური იდეებით ფრთაშესხმულობა, ამ იდეათა ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაში დარწმუნებულობა — ნამდვილი პარტიულობის საფუძველია.

8 მარტს წარმოთქმულმა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ და ამხ. ლ. ილიჩოვის მოხსენებამ სრული გარკვეულობა შეიტანეს მხატვრული შემოქმედების იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური საწყისების საკითხში, მათი ორგანული და გაუთიშავი ერთიანობის საკითხში. ცნობილია, რომ ამ მხრივ, სულ ახლო წარსულში, თავი იჩინა ორმა უკიდურესობამ: იყვნენ მწერლები და თეორეტიკოსები, რომლებიც მხურვალედ და მართებულად იბრძოდნენ ლიტერატურის და ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის, მაგრამ ვარდებოდნენ ცალმხრივობაში: ამკვიდრებდნენ რა ნაწარმოების შინაარსის და იდეურობის პრიმატს. არსებითად უგულებელყოფდნენ ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეს, ხელოვნურად უპირისპირებდნენ ერთმანეთს ფორმას და შინაარსს; ამასთან იყვნენ მწერლები და ესთეტიკოსები, რომლებიც ამკვირებდნენ იდეური საწყისის მნიშვნელობას და წინ სწევდნენ ფორმის კრიტერიუმს, იდეურ შინაარსთან ფორმის დაუკავშირებლად, რითაც უახლოვდებოდნენ ესთეტიკურ-ფორმალისტურ თვალსაზრისს, რომელიც უგულებელყოფს მხატვრული ნაწარმოების კლასობრივი, პარტიული შეფასების კრიტერიუმს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის და ივანისის პლენუმის მიერ გაკრიტიკებული და უარყოფილი იქნა ორივე უკიდურესობა, როგორც ვულგაროზმის გამოვლინება, რომელიც ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას დებულეებებს, შინაარსის და ფორმის ორგანულ ერთიანობაში ნაწარმოების განხილვის პრინციპს. მაღალი იდეურობა და მხატ-

ვრული ოსტატობა — განუყოფელი ცნებებია. იდეურად სუსტს, უშინაარსო ან მანკიერ ნაწარმოებს, ვაიკვეთლად რა ფილიგრანულადაც არ უნდა იყოს დამუშავებული, შეუძლია მხოლოდ ვნება მოუტანოს კომუნისტური აღზრდის საქმეს; ხოლო ნაწარმოებს, სწორი იდეური პოზიციებიდან დაწერილს, მაგრამ მხატვრულად უსუსურს, შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს მაღალ იდეებს, რომელსაც იგი დეკლარატიულად ქადაგებს. ნაწარმოებს ზემოქმედების ძალას ანიჭებს ურთიერთთან — შერწყმული მხატვრული ოსტატობა და მკაფიო იდეური პოზიცია.

ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტის, ამა თუ იმ პროცესის გაგება და შეფასება დამოკიდებულია არა მარტო ავტორის ნიჭზე, არამედ მის იდეურ სიწმიდეზე, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ცხოვრების სწორი ასახვა, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, — გულისხმობს როგორც მის დადებითი, ნათელი მხარეების ასახვას, ისე ნაკლოვანებათა, ქვეყნის წინსვლის შემფერხებელ მოკლენათა კრიტიკას. მხატვრული ნაწარმოები მოწოდებულია გამოხატოს სინამდვილე მთელი მისი წინააღმდეგობებით, მაგრამ მისი ზემოქმედება იმდენად უფრო ძლიერად იქნება, რამდენად მკვეთრად გამოჩნდება მასში ჩვენი ცხოვრების სიღიადე, რამდენად უფრო მეტი სიმართლით აისახება კომუნისმის მშენებელთა ბრძოლა და გამარჯვება: ჭეშმარიტად მხატვრულია ის ნაწარმოები, რომელიც ზრდის ადამიანებს კარგ, მისაბამ მაგალითზე.

პარტიამ არ მიიღო და გააკრიტიკებენდენცია ზოგიერთი მწერლისა — გახადოს ჩვენი დროის მთავარ გმირად გზაკვალდაბნეული, მოუწყობელი რეფლექსიების ტყვეობაში მყოფი პატარა და უმაქნისი ადამიანები, და მოუწოდა მწერლებს შექმნან სახეები ნამდვილი გმირებისა, რომელნიც აშენებენ და აღამაზებენ ცხოვრებას. ხალხს სჭირდება და იგი მოითხოვს არა შიშველ

სქემებს, არა ქრისტიანულ სათნოებათა-
გან შეკოწიწებულ წმინდანებს, არამედ
სისხლით და ზორციით სავსე ცოცხალ
გმირებს. ასეთმა გმირმა შეიძლე-
ბა წაიფორხილოს, შეიძლება შეც-
დეს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის,
რომ იგი ანსახიერებდეს კომუნიზმის
მშენებელთა შემოქმედებით შემართე-
ბას. ხალხი არ ღებულობს არც იმ ნაწა-
რმოებებს, სადაც ყველაფერი მტკი-
ფერებით არის დახატული, არც იმ ნა-
წარმოებებს; სადაც განზრახ, მეტისმე-
ტად გალამაზებულია საბჭოთა სინამდ-
ვილე, რომელიც არ საჭიროებს არავი-
თარ ხელოვნურს გაკრიალებას.

განუზომელია ზემოხსენებული პარ-

ტიული დოკუმენტების მნიშვნელობა
რამდენადაც მათში ზემოქმედების
გარკვეული და გაშუქებული ლიტერა-
ტურის და ხელოვნების მთავარი პრინ-
ციპული საკითხები საბჭოთა ხალხის
სულიერი მოთხოვნების და კომუნის-
ტური მშენებლობის ისტორიული ამო-
ცანების შესაბამისად. ამ დოკუმენტმა
ბოლო მოუღო რა შეცდომებს, დაბნეუ-
ლობას და გაურკვევლობას თეორიულ
აზროვნებასა და შემოქმედებითს პრაქ-
ტიკაში, მისცა სწორი გეზი საბჭოთა
მხატვრული კულტურის განვითარებას
და მის წინსვლას ახალი, დაუპყრობელი
მწვერვალებისაკენ.

რეპუზ მარგინი

ლიექსი თქმული საღვებრძმლო

წიგნიდან „ცხრამთაბ იქით“

მე ყველაფერი კარგი მახარებს
და უფრო კარგზე მავალდებულებს.
ეს გაუპარჯოს ყველგან პატარებს
სიცოცხლისათვის დაბადებულებს!


ეს გაუმარჯოს მერცხალს, რომელიც
ჩვენს აივანზე ბუდეს იკეთებს,
გახარებული, დაუდგრომელი
ჩეკავს სიცოცხლეს, თესავს სიკეთეს.

ეს გაუმარჯოს იმ ჩიტს, რომელიც
ბარტყებს ასწავლის ხმატკბილ გალობას
და მიაჩნია დედა-მშობელის
ქიკქიკის ქვეყნად გარდუვალობა.

ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელსაც
სურს მოაცილოს ძმობილს ნაღველი
და აღადგინოს ძველად, ოდესღაც
მივიწყებული პაპის სახელი.

ეს გაუმარჯოს მზეს და ეარსკვლავებს,
გაჩახჩახებულ ზეცის კაბადონს,
მგოსანს, რომელსაც ლექსი აწვალებს
და მომავალში უნდა დაბადოს.

ეს გაუმარჯოს დედას, რომელიც
შვილებს ასწავლის ხმატკბილ გალობას
და მიაჩნია დაუცხრომელი
ქიკქიკის ქვეყნად გარდუვალობა.



დავან გოთა

ღეკვი ღომისა*

რომანი

XIII

ნათიას თითქოს ვიღაც დიდი ხელით შეეხო და გააღვიძა.

თვალი რომ გაახილა, მიხვდა რომ სხივი იყო. სარკმელში ვარჯარა მზე იდგა, დათოვლილი ნაძვის უკან ვეება კეცად ამოყუდებული და დამშვენებული.

სწორედ ის სარკმელი იყო, რომელიც წუხელ, ნათიას აქ მოსვლისას და შეღვიძებისას, წყვიდადში აღმასივით კიაფობდა, პირდაპირ ღამესა და ტყეს ება.

მერმე ქობიცი გაიღანდა და ბოლოს თითქმის სულ გამჭვირვალეც გახდა.

ახლა ოთახში სითბო და კვარის საამო სუნნი ტრიალებდა. წუხელაც ასე დახვდა. ყველაფერი კარგად ახსოვს, თუმცა მეტად დაღლილი და ძილმორეული იყო. ესღა არის, თანმიმდევრობა ოდნავ აერია. სამბორბალა წალმა-უკუღმა და აღმა-დაღმა დააქროლებდა. ყველაფერი გარბოდ-გამორბოდა: მიწა, ტყე, მატარებელი, გზა, მტკვარი და ხიდი, მთები და ხეობა... და მყარი მხოლოდ და მხოლოდ „ზურგი“ იყო!

ტყის ქობის ახალი მსაპინძლის დანახვამაც მეტად გააკვირვა. ქალი წვეროსან, საპატიო მოხუცს, გადაბერებულ მეტყევეს მოელოდა. ასეთები ხშირად უნახავს წიგნებში, კინოებში, გაზეთებში. აქ კი, მართალია, წვეროსანი იყო, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, გამხდა-

რი წიორა, გრძელეისერა, თხელულვაშა და კიკინა, მეჩხრად ამოსული წვერებიანი, თანაც უჩვეულოდ დიდი და მეტყველი თვალებიანი. და ეს თვალები რალაციით წააგავდა გაგასას!

„ტყეში ჩახედული თვალები!“ — გაიფიქრა ნათიამ და ქუთუთოები უფრო დაუშმძიდა... თუმცა ეს, აღბათ, ოთახში რომ შეიყვანეს მერმე იყო. თორემ ახალმოსვლისას ვინ მოასვენა. „ზურგი“ რომ არ გამოსცლოდა, აღბათ, დილამდე ასე ძილ-ღვიძილში იქნებოდა.

კიდევ ძალდი ახსოვს. ვგონებ ეს უფრო ადრე იყო. წკმუტუნით ყეფდა, დახტოდა, ყველაფერს ყნოსავდა! ნათიას ნადირთ ბეწვეული უყვარდა, თორემ სულ ვერ ითმენდა შინაურ ძაღლსა და კატას!

— არ მომეკაროს!

— ნუ გეშინია, არ იკბინება ჩემი შავბროლა! მხოლოდ ციყვებს ერჩის... ისე კი ტყეშია გაზრდილი, არა — სალონში... ნუ უწყენ ალერსს!

წყენამ მაინც წამოუგდო მოზარმაცებული ფიქრი და ვიდრე ის წვერიანი ახალგაზრდა მოვიდოდა, ერთხელ კიდევ გამოჰკრა ნამგალი:

—მე მშიშრობას ვერავე ვერ დამწყებებს, მათ შორის შენც, ტყის დამცველო... და თუ მაინცადამაინც — ტყურის ალერსის უფრო მეშინია, ვიდრე კბენისა!

გაგამ უშალ უტია და ბარგს მიუბრუნდა. ტკინები უფრო „უხმონი“

* გაგრძელება. ს.ხ. „ნათობი“ № 1, 2, 3.

იყვნენ, ვიდრე მათი ყიფიცი შემოქმედი.

მერმე დამხედურიც მოსწვდათ.

— მაშ. მაინც მოხვედი დამიანად! მოიტანე?

— მოვედი, მოვიტანე და მოვიყვანე კიდეცა!

— მოიყვანე? დიდი რიზოფაგუსი? ან—როგორც შენ ქართულად დაარქვი—დიდი ხოჭოქამია!

— არა, კაციქამია უფროა!

დათომ ნაძვის ჩრდილში ქალი დაინახა და დადრკა.

— ბოდიშს ვიხდი... მოზრძანდით! — უკვე შერბილებული კილოთი იწვია და მიეგება.

ვიდრე გაგა მოტოციკლეტს მიაყენებდა, ჩანთებს შემოიტანდა, წვეროსანმა მასპინძელმა თუნუქის ღუმელთან მიიყვანა შეკრებულნი ქალი. დიდ, მყუდრო ჭირკზე დათვის ტყავი დაუფინა, მზრუნველად დასვა და ცეცხლს შეუკეთა. ზედაც შემოსულ გაგას თვალი მწყრალად გადაუბრიალა.

— მართლა, ტყის კაცი! ეს უცნობი მეგობარი კი ვაგვიყინავს და რას ფიქრობდი!? ადამიანებიც ნაძვები ხომ არ გგონია?

გაგა დიდ სასწოროთან თვალგარიდებულად საქმიანობდა.

წვეროსანი ისევ ქალს მიუბრუნდა.

— ჩანს არ გცნობიათ, თორემ როგორ ენდეთ ამ თოვლში და ყინვაში. ამ გრძნობამოკლებულ, გატყუებულ ადამიანს!

მართლაც არ მცნობია! — ძლივს წაიღულღულა უეცარ სითბოში მოღვენილმა ნათიამ. ხელები ღუმელს შეაფიცა, თავისი ახალმოღერი, ნეილონის ხელთათმანები დაინახა, ეუხებრხულა, უმალ წაიძრო და დათვის ტყავში მიაფარა. თუმცა ვაყები მას არ უმზერდნენ. დათო გაგას ტუქსევაში იყო. ისიც ხმადაბლად დუღუღუღებდა, ჩანთებს ალაგებდა.

— ჰო, კარგი, კარგი... ახლა შენ! მაკმარეთ... ჩემი ტყავი ჩავაცვი და მეტი რა მექნა?

— შენ ტყავში — შენ ვერ სძლებ! და განა იმიტომ, რომ გცეკუდუცხადა, მოუსვენარო, ველარ ეტყვის დამარცხებულ ტომ, რომ იბერები — ტყეში ლალად გაიზარდე და დადუღდი, ახალ ტყავში ხარ გამოსაყვანი!.. მაგრამ სხვებმა რა დაგიშაგეს!? რასაც შენს თავსა სთხოვ და იტან, ყველას ვერ მოსთხოვ ამას! ქალიშვილის პატივი და შესაძლებლობა კი უნდა იცოდე! შენი სამშობრბალა მართლა ცისფერი ექსპრესი ხომ არ გგონია!

— ვიცი, ტყისფერია!

ახლა, რომ გაცეცხდეს ეს უკეთილესი... მერმე რას ჰფიქრობ?

— უკეთილესი?

— აბა, ასეთ თოვლში, ასეთ სიშორეზე, თავის სანთლიანად, შენ საქმეზე წამოგყვებოდა ვინმე?

— განა მარტო ჩემი საქმეა!

— მიდი, მიხვედი! თავზე შემოველე... მოასულდგმულე... ბოდიში მოიხადე! მეც გამაცანი, როგორც წესი და რიგია! რას იფიქრებს!

ესმოდა ნათიას ეს ცუდად დაფარული ჩურჩული. ქონის იქითა ტყეც ჭერ თვალში ჰქონდა, შემბოჯავ სიცივის გრძნობაც არ გაჰქრობოდა და უკვე ცხელოდა ირგვლივ. ტანისამოსს ოხშივარიც კი ასლიოდა და შივ გაცრილად აჩენდა ახალ სამყაროს.

პირველ ყოვლისა, მას მართლაც ზღაპრულ ქონში ეგონა თავი. ესლა იყო, რომ შუაეცხლის მაგივრად, თუნუქის ღუმელი იდგა. ზედ ქვაბი დუღდა და თითქოს საკმელის სურნელს გამოსცემდა. არც ქონი აღმოჩნდა მცირე, საკმაოდ მოზრდილი ოროთახიანი სახლი გამოდგა.

ვაყებმა აღუღებული ქვაბი ღუმელიდან ფრთხილად გადმოიღეს, კუთხეში სამფეხზე მოათავსეს. ღუმელზე კი ჩაიდანი შემოღგეს.

ქალს ქვაბის სიდიდე და ჰერმეტიული ხუფის მოყვანილობა მოხვდა თვალში, მაგრამ კუთხეში კედლის დიდი ქურაც შენაშნა, ზედ კიდეც უფრო ზიდი. ასეთივე ხუფიანი ქვაბი იდგა. იქვე შუშის

კოლები, სინჯარები, საწყაეისები და დიდი სასწორი იდგა.

ქალს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. თვალბში მხოლოდ დაღლილი განცვიფრება ჩარჩენოდა.

დათომ ითმინა, ითმინა და რა დარწმუნდა თავის შეგონების უშედეგობაში, თავად გაშალა ხელები და ქალს მიეახლა.

— ბოდიშს ვიხდით ამ ტყიური ბუნების გამო! აქ ვცხოვრობთ, აქვე გვაქვს დროებითი ლაბორატორია, საწყობი და ყველაფერი ერთად.

ახლა კი გაგამაც ენა ამოიდგა, დათოს სიტყვა ჩამოართვა.

— და... მთავარი ბელზებელი — აღკვიძოსი ეგ გასლავთ! დათო რჩეულიძე — აქაურად კი წვერწიორა! — ახლა კი „ბელზებელს“ მოუბრუნდა, — აბა, რა მოადუღე?

— შე კი მოვადუღე, შენ თუ ჩამოიტანე საკმარისი?

— მოგიტანეთ, გეგმის გარეშე, ჩვენი სტუმრის საახალწლო ძღვენია, თუმცა სხვადასხვა ამბით შეპირობებული. ამის შესახებ, თავად უკეთ იტყვის.

გაგამ ბალიშის პირში ხელი ჩაპყო და ბლუჯად ტიკინები გამოაჩინა.

განცვიფრებულ დათოს წვერიც წაუგრძელდა და კისერიც.

— გეგმის გარეშე? ეს რა ესთეტური კუთხე დაგირბევი?

გაგამ აღარ გასცა პასუხი. „ნარბევი“ უკან ჩააბრუნა და ისედაც გახურებულ ღუმელს ნაძვის შეშა ისევე შეუკეთა, სულ გაავარჯარა. მერმე იქვე, ნათიას პირდაპირ, მომცრო ჯირკზე ჩამოჯდა, დიდი ხელები მუხლის თავებზე დაილაგა.

— აბა, ახლა კი, თუ სურვილი გაქვს, დავიწყეთ „დიდი პაექრობა“ იმ წერილებს ირგვლივ!

— ესეც „გეგმის გარეშე“? — მაინც მოახერხა დაღლილ-დაქანცულმა ქალმა და გრძელი წამწამები ძლავს ამოძრავა.

ახლა კი წვერწიორამ მიმინოსავით ჩამოუქროლა გაგას.

— შე უღმერთოვ! ქალიშვილი გაყი-

ნე, დაღალე. უმოწყალოდ აჯაყაყე შენს გორგოლაქებზე და ახლავს უწყობა დიდი პაექრობას! ველარაფქრ... გამაწყვების იმედი გქონია ჩუტ-რაინდო! აბა, ერთი ცხელი ჩაი ვასვათ და მოვასვენოთ!

ქალმა ჩაიზე უარი განაცხადა, მაგრამ წვერისანი არც მას შეეპუა.

— აქ თუ ინებეთ მობრძანება, ახლა მორჩა — ტყის კანონია! ასეთ ნამგზავრს ან ცხელი ჩაი, ან წყალში გახსნილი სპირტი, თორემ ტყის გრიბი, ქალაქისაზე ნაკლები არ გეგონოთ!... და არც — ჩაი, სხვათაშორის... ეს არის, რომ ცოტა საკმელის სუნი ყველაფერს ასდის!

ქალმა ისევ ცხელი ჩაი არჩია. გაგამ მოზრდილ მენზურაში ჩაუსხა, თავად თუნუქის ტოლჩა აიღო, მაგრამ დათომ ხელიდან გააშეებინა.

— აბა, ჩვენ კი საწოლი მოვეუმზადოთ!

თავისი და გაგას საძილე ტომრები მეორე ოთახში გაჰყარა, განიერი ტახტი გაანთავისუფლა, თივით გატენილი ლეინი შეასწორა.

— საძილე ტომარა და ახალი ზეწარი ხელშეუხებ მარაგიდან გადმოიტანე. და ერთიც კიდევ — ჩვენი საპატოო სტუმრის სახელი აღარ უნდა მითხრას!

— ნათო-ნათია! — გაგას ახლა დაეტყო დაბნევა.

ქალს კი დაღლილად ეღიმებოდა. ნებიერად იჭდა ცხელ ღუმელთან, ცხელზე ცხელ ჩაის სულის ბერვითა და მცირე-მცირე ყლუპებზე საკვირველად დახაზულ ჭურჭლიდან სვამდა და უშეზრდა ორი ტყიურის აქოთქოთებულ დისახლისობას.

— მე თვითონ! მე თვითონ! აქ დამიტოვეთ და... ზეწარი ხელში არ შემოგეხიოთ! მაინც გაგამ დათვური სამსახური იცის და...

მივდივართ! მივდივართ! — დაასწრო წვერწიორამ, გაგას მოწოდებული საძილე ტომარა და გაქანული ზეწარი ტახტზე გადაშალა...

თუ შეგაცოდეთ, აგერ ნაბადი. აგერ ირმის ტყავი... ესეც დათვისა... უფრო ნაზი არა გვაქვს რა! ტყის კანო-



ნით აღარ უნდა შეგვიცოდეთ! ამაზე უფრო თბილი ტყეში, მხოლოდ ცეცხლია! დათომ ყველაფერი წინ დაულაგა და ახლა გაგას შეუძახა...

— აბა, უჩქარე, მეზურნევე! თუ გაგაჩნია — ახლა უნდა გამოიჩინო „სულგრძელობა!“

გაგას მართლაც მეზურნევეთა ლოყები დაებურთა და სამგზავრო ბალიშს პბერავდა... რაც კი შეეძლო „სულგრძელობას“ იჩენდა.

ქალი ძლივს იღგა ფეხზე, თან ძლივს იკავებდა სიცილს და ეს უფრო ღლიდა. ვაყების დაბნეული და უხერხული ფუსფუსი გულს უბსნიდა და ყოველგვარ ქათინაურზე უფრო ხიბლავდა.

„ტყვიურ მზრუნველობასაც პქონია თავისი დიდი მადლი და მარლი!“

წასვლის წინ გაგა კიდევ ერთხელ შეფიქრიანდა:

კი მაგრამ, შენ იცი როგორ უნდა შეძერე საძილე ტომარაში?

მაგრამ მეტი დაყოვნება წვერწიორამ აღარ დაანება.

— მოახერხებს! მოახერხებს!

ვაყები ხელიხელჩაიკიდებულნი გავიდნენ კარს იქით, მეორე ოთახში ერთი კიდევ შეუტია წვერწიორამ...

— ახმახ-კაცო! შენ გულში მოახერხა შეძრომა და საძილე ტომარაში ვეღარ შეძერება? რა გულშაამიტი ხარ!

ქალმა ეს ნათქვამიც ვაიგო და ვერც ვაიგო. ძლივს გააწყო საწოლი. ზეწარს, ტომარას, მართლაც ყველაფერს ტყის სურნელი ასდიოდა. მაგრამ საკმელის გარდა, ახლა ჩამოტანილი სანთლის სურნელიც ერია და ეს ნათიასაც უგულებდა, უშინაურებდა სულ უცნობ აქაურობას.

ტანზე ძლივს გაიხადა. ღამის პერანგის მოგონებაზე გაეღიმა. თავის სიცოცხლეში პირველად შეძერა საძილე ტომარაში და ფრიალ იამა კიდევაც.

„მოტოციკლზე უმჯობესი კი ყოფილა!“

გაგას გაბერილი ბალიში დიდხანს ატრიალა და თავქვეშ ისწორა.

ბალიში კი „ვეება ზურგზე“ იქნებ

უფრო რბილი, მაგრამ „ამჟამად უარესი“ იყო. და უფრო მეტეც „მეტი ზურგი სჯობნებია გაბერილ ბალიშს“. ახლა თავისი „ოცნებების ბალიში“ მოაგონდა, მერმე აქ ჩამოტანილი „საცხე ბალიშის პირი“. მაგრამ ღამფას ჩაუწია და, ჩათბა თუ არა, უმალ ჩაეძინა. უფიქროდ, უსიზმროდ, უდარდელად.

და აი, ახლა მზემ გამოაღვიძა. ალბათ, საკმაოდ გვიანაა, მაგრამ მასპინძლებმა არ გააღვიძეს.

ბალიშიდან პაერი გამოსულიყო და ახლა მის თავქვეშ ამოდებული დათვის ტყავი მართლაც წუხანდელ „ზურგს“ მოაგონებდა. ახლა ის „ზურგიელი“ ფიცრის კედლის იქით იწვა და ნათიას აღგომას, ალბათ, სულმოუთქმელად ელოდა.

ახალ ადგილზე სმენა ყოველთვის უფრო უმახვილდება ადამიანს. და მართლაც — აკი ჩურჩულიც ისმის. რა სასაცილონი არაან გულმართალა ვაყები. ზეირიანად ჩურჩულიც კი არ იციან... და ახლა თხელფიცრულა კედლის იქით ყველაფერი ესმის, ისედაც სმენამახვილ ქალიშვილს.

— შე მართლაც უგუნურო! ასეთი სათუთი ქალიშვილის ასეთ თოვლში, ასეთ მოტო-ჩოჩორით წამოყვანა რამ მოგაფიქრა? გავიწირავს და ის არის!

— არა, კაცო! რას ამბობ... თვალისჩინს მიჩვევია! შემძლეც არის... თავადაც არ იცის რა ძალისა! თანაც მისი გამოცილება იმ პაობა კუთხიდან უსათუოდ საქარო იყო! შენ არ იცი... მეტი ვერაფერი ვერ ვიღონე!

— ჰხედავ, უკვე ათი საათია. იგი კი ბმასაც არ იღებს! იქნებ ცუდად არის.

— კიდევ ცოტაც ვაცალოთ... ნებიერია, დილის ძილი ეყვარება!

— მერმე? შეხვალ, დაჰხედავ?

— უჰ! შენ მაგას არ იცნობ... ეწყინება! ისევ ერთად დავუთავუნოთ...

მერმე უფრო იკლო ჩურჩულმა, მაგრამ უნებურად განახულმა ქალმა მაინც ვაიგო:

— ერიდები?... მაშ ვიყვარს, ბედნიერო!

— ჯერ ნუ მკითხავ...

— მას?

— ვეჭვავრები. ტყუარ მახრჩობელად მთვლის.

— მაშინ არ ჩამოგყვებოდა, უყვარხარ!

— შენ არ იცი. მანდ უფრო რთულად არის საქმე! ხოლონაძალი ტყე უნდა ვაჩვენო... თან ჩემი ნაკვეთიაცა და „ტუ-რფაც“!

— ვერ ივლის.

— ივლის, თავის ნათქვამია. ასეთები მუდამ კარგად დადიან!

მერმე ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეპ, რა ვიცი, მასთან სალაპარაკო კი ბევრი მაქვს!

— მაშინ, ჯერ ხევამწვარაზე წაიყვანე. უფრო ახლოა, სანახაევოც ბევრია. გამოსცადე, შენი თავაც ერთხელ კიდევ შეამოწმე. საქმეშიაც და გრძნობაშიაც... ესეც ხის წამლობა არ გეგონოს!

ნათო კი ისევ გაწყრა. მეტი არც უნებურად მოსმენილ საუბრის დაყურადება იკადრა. წამოდგომასთან ერთად გულის მოსვლამაც უშატა.

„აქაც კარტის თამაში ხომ არ არის და მე ისევ შვეჯვარის ქალი ხომ არ ვარ!“

ხელმარდად ჩაიკვა. სკამი და ღუმელი განგებ აახშურა.

უშალ კარზე დაუკაკუნეს. ისევ ერთად შემოვიდნენ.

— როგორ ბრძანდებით?

— წუხანდელი გზა და...

— კარგად ვარ! უფრო კარგად, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მოვემზადოთ, ჯერ ხევამწვარა მინდა მოვინახულო, მერმე უფრო შორსაც წავალ.

ვაეები სახტად დაჩინენ.

— კი მაგრამ, შენ... თქვენ განა იცით ხევამწვარა? — დაბნეულად განცვიფრდა გავა. ნათიას შეეცოდა კიდევაც ეს „დიდი და უხერხული ბავშვი ტყისა“, პასუხიც მიაფადილა:

— ვინ არ იცის ხევამწვარა... მით უფრო, რომ ეს სახელი, ცოტა-ცოტა, ყოველ ხევზე ითქმის საქართველოში—

და რომ სულ გადაეწურა საუბარი გადაწყვეტილად დასძინა, — მას შემდეგ მინვალთ!

წვერწიორამ ბევრი იბოდიშა, მრავალი საქმე და საახალწლო ანგარიშების სამზადისი იმიზეზა. ღამის მორიგეობა, ახალსაცდელი სითხის მოდულდებაც დასახელა, დიდი ქვაბიც კი „იმოწმა“. კედლის ქურა მართლაც ანთო, მაგრამ ამოოდ, ქალი მართლაც თავის ნათქვამა გამოდგა.

— ხევამწვარაზე ერთად წავიდეთ! მერმე მადლობა და შელავათი ჩემზე იყოს.

ნათიამ დათოვლილ გარემოს აივინიდან რომ გადაჰხედა, გული გაეხსნა. დილანდელი წყრომა დაავიწყდა, თავისებურად დატრიალდა და ვაეებიც დაატრიალა. „ტყუარების ბუნავი ახალხალისა სულისკვეთებით აავსო, მისაუფთავ-მოსაუფთავა. ყველაფერს შეეხო და თავის გემოზე დაალავა, ოლონდ ჩანთასა და ავსებულ ბალიშის პირს არ გაეკარა. მათი არსებობაც თითქოს დაივიწყა. ვაეების საკუჭნაოცა და სურსათ-სანოვავის მარავიც მოუსინჯა. ორივეს სამნეო ნიჭის ქება და კიცხვა ერთად შეასხა. ცეცხლთან დატრიალდა და გემრიელ საუზმეზე უკვე თავად იწვია სულ მოხობლული მასპინძლები, კარგად დააპურა და დაარცხვინა კიდევაც.

ნასაუზმევეს კი ვაეები კვლავ ჩუმად შეთათბირდნენ.

— კიდევ მყიდით, მოჩურჩულენო? — ხელად აიმრიზა ქალი.

გაგამ თავი ჩაჰკიდა:

— დათო მართალია! ვერ ივლი ამ ქალაქური ბოტებიტა და სადგისა ქუსლებით. ძლივს მოგიყვანე ტყეში და ახლა...

— ახლა აქ ჩემი აღარაფერი აღარ ვარგა და სასაცილოდაც აღარ გყოფნით!

— რატომ სასაცილოდ! — წიორა გადაეფარა გაგას და აბა რას დაჰფარავდა, იგი უფრო დაბალიცა და გაგასთან სულ გაწიორებულაც ჩანდა.

— ქვეყანაზე ორი პოლუსია ყველასათვის ცნობილი, თორემ ისე რამ-

დენია? ტყე და სალონიც ურთიერთის მიმართ პოლუსებია! მაგრამ უსაშველო არაფერია!

და მართლაც ისევ წვერწიორამ უსაშველა საქმეს:

— გაგავ, დავიწყით სალონის გატყუებდა... ციყვისტყავა, ყურებიანი ქუდი შენ გაიღე სალონის სასარგებლოდ!

— სიამოვნებით! — ქუდი ხელად მოიტანა გაგამ და ქალს გაუწოდა, — ოღონდ ინებოს და...

— ეკუთვნის კიდევაც! ქუდების ვალში მაინც ვერ ამოვა! — სადღაც გადაუკრა ქალმა და არც ეს აკმარა, — მაგრამ უჩინმაჩინის ქუდი არ იყოს!

წვერწიორამ ვერაფერი ვერ გაიგო, ყველაფერი რიგზე ჩასთვალა და სალონის გატყუებდა განაგრძო.

— ზედა ტანსაბურავს მე ვათხოვებ, აბა შენი მთვრაშა რაში გამოადგება! არც შენი „საწინახელები“ მოუვა ფეხზე... ჩემ ახალ ფეხსაცმელებს მივცემ. სწორედ სამთვრა, თოვლში მეტად კარგი. ორი წყვილი წინდაც და აღარც თუ დიდი გექნებათ! — ახლა უკვე თვით ქალს მიმართა და წინ დაუწყო.

— მაინც დიდი მექნება! — შეეპყვდა ქალიშვილი.

— მე თავი მაქვს დიდი, თორემ ფეხები პატარა მამია!

ქალმა მადლიერი თვალით გადაჰხედა დათოს.

— გულიც დიდი და კარგი გქონია! თორემ გაგას რომ დასჭირდეს, მეც ჩამადგდებს ამ ქვაბში და გადამადნობს!

— ჩაგადგებს, უპქველად ჩაგაგდებს... მაგრამ თავდაც ჩამოგყვება!

ქალმა ბუერი იცინა, გაგა კი უხერხულობისაგან კინაღამ ახლავე ჩაქვრა მღულარე ქვაბში.

ნათიამ თავის ნეილონის წინდებზე ახლა ორი წყვილი შალის წინდა ჩაიცვა. გაგამ ფეხსაცმელებზეაც ქეჩა ჩაუფინა და მართლაც არც თუ ურგოდ ჰქონდა ფეხზე. ის იყო, რომ მალა ქუსლებზე ჩვეულს, სიარული როგორც რბილ-ზამბარა გამოსდიოდა.

შეზბოლა დააბეს. გაგას შწარედ ახსოვდა ნათიას ბასრული *გაგაგაგაგაგაგა* ჩათოვლილ ბილიცზე *გაგაგაგაგაგაგა* უმალ უღრან ტყეს მისიკეს თავი.

წინ დათო მიდიოდა, მერმე ნათია და სულ ბოლოს — გაგა.

შესანიშნავი დარი იყო. მზე და ახალი თოვლი ერთად. დიდნაზარდი, მიმდგარი ნაძვნარი მღვევებად ადგა ჩაკარგულ ბილიცს. ზოგან ქვევით ვერც კი ჩაეღწია შექსა და თოვლს. ქალს ერთიან ბუნავად და ჭურღმულად ეჩვენებოდა სავალი.

არა, ტყეში ხშირად ყოფილა ნათია, მაგრამ — აგარაკის ტყეში, სადაც ყოველი ბილიცის თავში განცხადება და სვლიგეზის ნიშანი იყო გაკრული. ხოლო გზაჯვარედინებზე ორფეხა, გრძელი სკამები და ცალფეხა მრგვალი მაგიდები იყო ფესვებჩახლართულ მიწაში ჩამაგრებული.

აქ კი სრული უდაბურობა და პირველყოფილობა იყო. ნათიამ მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ყოფილა ნამდვილი ტყე. ეს თუ არის „უმზრახ ოსტატის“ შემოქმედება, რომლის შესახებაც სწერდა გაგა? და ყოფილა კიდევაც ოსტატი!

— რა ტყეა! — აღფრთოვანებით აღმოსხდა, — რა გოლიათი ხეებია!

— ყველა ჩვენი სამკურნალოა! ახლა გაგას ხმა ქალს უკანა მზრიდან ეწეოდა, თითქოს შებრუნდა წუხანდელი სამპორბალას სრბოლა.

— სამკურნალო?

— დიახ, ამ ტყის გადარჩენა თითქმის ისეთივე ეროვნული ვალია, როგორც შვილების დაცვა!

— გამრავლებაც და დაცვაც! — ჩაურო დათომ და უფრო ჩააზუსტა, — ეს ტყესაც შეეხება და არა ტყესაც!

მაგრამ გაგამ ფიქრს ულოდნელად სხვაგან გააპრევირა, ან თავად ფიქრი გაეპრა სხვაგან. თავი მალა ასწია და ქალისა და ტყის გასაგონად აღიარა:

— ყველაზე დაბურული კი მაინც ტყე და ადამიანის გულია!

— ეგვიც თქვენი საკითხავია? — შემოუბრუნდა ქალი, მაგრამ არ დადგა,

გზაც განაგრძო და სიტყვაც გაილაღა. თავს დიდებულად გრძნობდა და თავის უპირატესობის გრძნობაც უმალ მოუბრუნდა. სალონური სიტყვაშეხვედრა აქ, ტყეში არამც თუ არ დაეკარგა, არამედ უფრო გამოებასრა.

— რა სასაცილონი არიან ჭყინტი მამაკაცები, ყველაფერი თავისი თავსატეხი ჰგონიათ!

წინმავალ წვერწიორას ჩაეღიმა, მაგრამ მას აზრის მკაფიოება უყვარდა:

— მერმე რატომ მოსდით?

— ალბათ უგუნური სიამაყითა და ყოყმანით! — ხელად დაკრა ქალმა და წიორა მხრებში ჩააძვრინა.

ახლა კი გაგას გაეღიმა. მან უკეთ იცოდა ნათიას მტკივნეული ადგილი და სწორედ იქით მიჰმართა სჯა.

— რატომ? დიდი საკითხები ყველას ეხება! მათ შორის — თქვენც!

— მე არა... ცხოვრებაში ჩემი ჩუმი კუთხე მაქვს. დონ-კიხოტი ქალი ვერასოდეს ვერ იქნებოდა! წმინდა მამაკაციური ხასიათია!

— რატომ? ქალი უფრო გონიერია? — მხრებიდან ისევ ამოძვრა წიორა.

— არა, რეალისტი! ქალი შეიძლება ძალიან თავგაბიანი იყოს, მაგრამ ქარის წისკვილებთან მეზობლი კი არა! ჩვენ შეიძლება ხშირად გვატყუებენ, მაგრამ ჩვენ თავად, თავს ნაკლებად ვიტყუებთ!... დიან, ყოველგვარი რეალიზმი და ყოფა ჩვენი მოგონილია!

— ეს ძალა არის თუ სისუსტე? — განცვიფრდა დათო.

— ორივე! ერთად, შერეულად, ურთიერთჩახლართულად და ჩასკვნილად!

ტყიანი ქედი გადავლეს. შემეჩხრილ კალთას მზის გულზე, მიუხედავად თოვლისა, თითქმის ცხელოდა კიდევაც.

მგზავრებმა თბილი სამოსი მოიხალვათეს.

— დათო! რას იტყვი, ხვალ რომ ვცადოთ შესხურება ზამთრის პირობებშიაც და ისიც ახალი სითხით... მზეზე ზუთ გრადუსზე მეტია!

— სანთელ-საკმელი შენზე იყოს, ხსნარი ჩემზე! თუნდაც დღესვე! ემულ-

სის ნარჩენიცა მაქვს! ოლონდ, ვერ კედევ ბევრი „ოლონდებიც“... ბილიკი ვიწრო ხეობას... შიგ გადატეხილად ჩასრილდა და გაუჩინარდა. უცებ ჩრდილში მოხედნენ. თითქმის ჭაში იწყეს თავბრუდამხვევი ჩასვლა. ქალმა ვაყების დახმარება არ გაიკარა. კარგადაც იარა.

— რა კარგი სიარული გისწავლიათ ქალაქში? — მართლა გაკვირდა დათო.

— სალონში... — ჩაუწისკარტა გაგამ.

— დიან, სალონშიაც... — აჰყვა ნათია.

— ჰო და ჰო! იქ უფრო სრიალა ნიდაგია! — მოულოდნელად ჩაუჭრა გაგამ.

ქალი გაბუსუნდა და დიდხანს ხმა არც ამოუღია.

ცოტაც და უკვე მიეთ-მოეთით წავიდა ბილიკი. ცა სადღაც ზევით და განზე დარჩა. გადავლეს შვეულად დასხლეტელი შურო და დადგნენ.

ზევიდან რაღაც ხმა მოდიოდა. ვაყებმა გააჩიდექს ქალი. ხმა მატულობდა, რეაქტიული თვითმფრინავის ზათქს წავავავდა.

ცოტაც და შუროში ყურისწამლებ გრიალ-ზუზუნით ვეება, გაქერქილმა შორმა ჩისრიალა და სადღაც ქვევით დიდი ზღართან გაიღო.

— შორებს აცურებენ!

ახლა უკვე მოჭრილ-გაქერქილი ხეები ხშირად ეყარა მის მშობელ ნიდაგზე. იქვე, შოგრძო კალოებად ეყარა ერთად შექუჩებული ტოტების ზორგები. ერთგან ორი უზარმაზარი ნაძვი, ერთმანეთზე გადაჯვარულად იწვა. და ამ ვეებერთელა „მაკრატელში“ კიდევ მრავალი, ჩანს, მოსაჭრელად დანიშნული ნაძვები იყო.

— კი მაგრამ, ვინ აღმართა ხელი ამ ცისკელაპტარა ხეებზე? — აღშფოთდა ქალი.

— ჯერ ხოკომ, მერმე აღამიანმა! — ყრუდ გაეხმინა გაგა.

— თუ ბრძოლა, ისიც გეცოდინებათ — ვინ აჯობა!?

— როგორც ყოველთვის — ადამიან-
მა!

— ისპობა?

— დიახ — ტყე!

ქალი შედგა, ყურებზე იფარა ხელი.
შუროში ისევ დიდი მორი მიწისძვრა-
სავით მოხშუოდა, მოგუგუნებდა.

— კი მაგრამ, თქვენ ტყის დამცვე-
ლები ხართ, თუ ტყის მტარვალები?
კითხვა უპასუხოდ დარჩა.

უფრო ქვევით, მიჯრით მიმდგარი ნა-
ძვანარის კორომი იყო. მერმე ფიჭვნარი
და შერეულა ტყე. უფრო ქვევით ჩას-
ხლეტილ ფერდობს თავზე უვლიდა
ბილიკი.

ქალს ნესტობში რაღაც უცხო, არა-
ტყუური სუნი მოხვდა.

უამურად, გულის აღმრევად ხრჩო-
ლავდა ტყე.

— რა სუნი მოდის ამ „საკმელის
სამყაროში?“

— წვერწიორავ, შენ გაეცი პასუხი,
მე ხეებს დავუვლი და შევამოწმებ!

ნათია და დათო ჩამოჯდნენ წაქცეულ
ხეზე.

— ზაფხულში დიზელსაწვავიან ხსნა-
რით შეწამლეს ეს კორომი, იმის სუნია!
ქალი დააკვირდა ხეებს. ძირიდან
ორიოდ მეტრის სიმაღლეზე, ნაძვებს
ღეროები უფრო ჩარუნებულად მო-
უჩანდათ. აქ თოვლიც აღარ ეკარებოდა
ხის ტანს და ეს უფრო მკაფიოდ ხდიდა
ძირის ჩამუქებას. თითქოს ხეებს თალხი,
სამგლოვიარო კაბები ეცვათ.

ნათია მივიდა ერთერთ ხესთან და და-
ყნოსა.

— შველის მაინც? — ნათია შემობ-
რუნებულ გაგას შეეკითხა.

ვაჟმა ხელნაჯახის ყუა შემოპკრა ნა-
ძვის ტანს.

ჯერ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მერ-
მე ზევიდან, ძლივს გასაგონი ჩუჩუნი
ჩამოვიდა, წიწვი ჩამოიტანა. ხის ძირში
უეცრად გამწვანდა თოვლი.

წიწვი ხის შემელოტებულ ვარჯს თე-
ბოსავით ავის ნიშნად ჩამოსდიოდა.

— თითქოს მიცვალეხულის ჩუჩუნი

ჩამესმა ყურში! — შეძრწუნდა მგრძნო-
ბიარე ქალი.

— საუბედუროდ, ^{ერკუნული} მარჯვლიც ^{მარჯვლიც}
აღმოხდა დათოს.

— ნაძვს სიკვდილიც მწვანე სცოდ-
ნია! მაგრამ აღარც ეს ნაწამლი შველის?

— ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ
არ შველის! სწავს კიდეც!

ნათიამ ლოყებზე იტყია ხელები:

— მერმე... ბევრია შეწამლული?

ვაყები გაჩუმდნენ. მაგრამ ქალის
კითხვა გამხმარ ხესავით იდგა პაერში.
ახლა ქალიც წამოდგა.

— ბევრზე ბევრი!

გაგას ისევ თვალწინ წარმოუდგა ერ-
თად და ერთბაშად თავისი დამწვარი
დისერტაცია და დიდი დავაც დიდ
კაბინეტში.

— უფრო გარკვევით? — ეკითხებო-
და ქალი.

— ერთ ლიანდაგად რომ გავკომოთ,
აქედან — ჩრდილო-ყინულოვან ოკეა-
ნემდე გავა!

— მერმე სად მიგვიყვანს ეს „ლიან-
დაგი?“

— პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენ ამ
შეწამვლით ლაფნიკამიაზე ბევრად მე-
ტი ზიანი მოვუტანეთ ტყეს! — ძლივს
ამოლევა გაგამ.

— მერმე? სადაც საპიროა, იქ უნდა
სთქვათ ასე პირდაპირ! სად არის თქვენი
ახალგაზრდული შემართება!?

— იქაც ითქვა!

— სწორედ გაგამ სთქვა! — წვერწი-
ორაც წამოვარდა, — ახლა ეს შხამა აღ-
კვეთილია, მაგრამ უბედურობა ის არის,
რომ უებარი წამალი ჭერაც არ გავგაჩ-
ნია! ტყე კი ვერ ითმენს!

ნათია წინ ფიქრიანად წავიდა.

— ახლა მესმის, გაგავ! აქ არის თქვე-
ნი დიდი ძიება, დიდი ბრძოლა! ტყე
ველარ ითმენს, ადამიანები კიდე ითმე-
ნენ!

მალე ჩასხლეტილი ფერდობის თავზე
გავიდნენ და გაღმა ფერდს აპხედ-ჩა-
პხედეს.

აქ კი სულ მოიხიზლა ქალი.

გაღმა ფერდობი უფრო მაღალი და

უფრო დაქანებული იყო. უფრო მიჯრილ ტყიანიც და ახლა უფრო თოვლიანიც.

ნათიამ თვალი ვერც მაღლა ააწვდინა და ვერც განში მოუგდო ფერდობს. მთისა და ტყის ხამს, უთავგვერდო მთა თავზე გადმოყუდებულად ეჩვენებოდა და თითქოს ყველაფერს უკულმა პერსპექტივაჲ ჰქონდა. აქ წიწვი და თოვლი ერთად ბზინავდა მზეზე, ჩაორმაგებულ ფერსა და სიღრმეს ჰქმნიდა მათი ნახავი. მწვანე და თეთრი ერთობაშუღად ენთო და თითქოს ქვევიდან ზევით აღიოდა უხმო ლივლივით.

მაგრამ თვალის მოშორელი აქ კიდევ სხვა რამ იყო. თეთრ-მწვანე ვარჯებს მრავალ ადგილას, შიგნიდან, თითქოს მთვარის ფერი ამოსდგომოდა და არა ამქვეყნიურ სილამაზით ცხრომას მოასწავებდა.

— აი, „უმზრახი ოსტატის“ ხელობა! — აჩურჩულდა ნათია და ვახევდა. კარგა ხანს თავადაც „უმზრახად“ უმზერდა და განიცდიდა. მერმე უფრო შემკრთალად წამოიძახა... — ეს რა მთვარის სანთელი ჩასდგომია ამ დათოვლილ ნაძვნარს?

— არა, უფრო მზეა — მკედრის მზე! აქ ეს ხატოვან თქმას კი არ ნიშნავს, არამედ მწარე სინამდვილეს!

ან ქალი იყო მეტად გატაცებული სურათით, ან ვაყის სიტყვა იყო მეტად გულხათუთქული. ნათიამ ძლივს იცნო გავას ხმა. მოჰხედა და ვალმა მხარს უფრო წვლილვით დააკვირდა. თვალიც შეაჩვია. აქა-იქ უკვე სულ უვარჯო ხეებიც შეამჩნია. იღგნენ, შიანიც იღგნენ, თუმცა ჩონჩხებად და ძვლებად. ზეცი-საყენ მკლავდამართლნი. ზოგან ჩაყვი-თლებულ, მხმარ ტანსა და წიწვნარს თოვლის თეთრი სუღარა კი ედო, მაგრამ ველარ ჰფარავდა.

— რა უმზრახვი სილამაზეა! სად ვართ?

— ხევამწვარაში! აქ გაჩნდა პირველად დიდი კერა მკამელისა! აქედან გავდო მთელ საქართველოს ტყეებს „შავი ხოქოს ხანძარი“. აქედანვე დაიწყო

მასთან ბრძოლა! ახლა აქ ტყის დიდი სასაფლაოა!

— უმზრახვი... ლამაზი... უმზრახვი... — შედარუნებული ქალი თვალს ველარ აცილებდა ვალმა ფერდს.

— ხეები უფრო ლამაზად კვდებიან, ვიდრე ადამიანები, მაგრამ ეს სრული-ადაც არ კმარა ნუგეშად. ტყეს სწრაფი, უანგარო, სწორმცენიერული შევლა უნდა, თუ არ გვინდა ყველგან ხევამწვარას უმზრახვი სილამაზე ვიხილოთ!

გაგა ატაცებულად მეტყველებდა. წვერწიორას ღაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ნათია გაოგნებულ დემილს მოეცვა. მის სულში დიდი ძვრები ხდებოდა. მისი ხელოვნური სამყაროს საზომები და საკუთარი თვალთახილვანი აქ სულ უმაქნისნი გამოდგნენ. მაგრამ არც მარტო ბუნების თანაფარდი, დიდი რეალობის საზომები ჩანდნენ საკმაოდ! აქ რაღაც, ყველაფერი ერთად იყო საჭირო. „ნუთუ ყველა ჩემისთანა ხევამწვარაში უნდა მოვიდეს, რომ ქვეყნის ქირი აღმოაჩინოს!“

უმზრახვი, ლამაზი, უმზრახვი! — გაოგნებულად ჩურჩულებდა და დიდ საფიქრალს წვლილავდა ნათია.

სულ ქვევით, ხეობაში რომ ჩავიდნენ, „სასაფლაოს“ სურათი სულ ნიშანდობ-ლივი გახდა.

ზეზეურად ტანდაზრეტილი, უკვე შემხმარი, ფასგამონაყონი, ტოტებდაბრი-ლი ახოვანი ნაძვები და გაქვავებული, ჩამქრალ კელაპტრებს ჰგავდნენ. მათ ფერხთით თუ ირგვლივ. უღლეური, ყვიცმორეული, ვარჯშეყვითლებული მოზარდები, ჩახერგილი, ჩალეწილი ხორგები, ყველაფერი ერთმანეთში არეულად და აღუფხულად იყო მიჯორ-გილი, ჩახავსებულ-ჩათოვლილი.

ზოგი ხე მკრეხელურად სამჯერ მაინც იყო „მოკლული“, ჭერ ლაფნიჭამიას მიერ ტანირგვლივ დაცხავული, მერმე მეტყვევების მიერ, ისიც ტანდავლით შეწამლული და უხილავად დამწვარი... ახლა ისევ ადამიანის მიერ სულ მოჭრი-ლი და აქვე დაგდებული.

— თქვენი „ბუნების მწვანე ტაძარს“

ნათუ პატრონი არ გააჩნია? — გულად-
ზნებულად შეეკითხა ქალი.

— სწორედ ის არის, რომ მრავალი
პატრონი ჰყავს!

— ყველგან ასეა?

— არა, ყველგან არა! ოღონდ ნაძვან-
არში, ცოტად თუ ბევრად, თითქმის
ყველგან!

ღელესთან ჩავიდნენ. თოვლსა და
ძირებში თავწასულად დიოდა და უწინ-
დებულად ჩუხჩუხებდა ხევამწვარას
ნაყური ნაკადი. ერთი ისღა იყო სასი-
ცოცხლო ხმის გამოძღები.

— ერთი მაჩვენეთ მაინც ეს „შავი
ვეშაპი“.

გაგამ ახლომახლო შეათვალიერა.
ერთ-ერთ ნაძვს ქერქი ხელნაჯახით ჩა-
მოუთალა, ლაფანი გამოუშინებდა.

— აი, ხედავ შავ ხოჭოს? სწორედ
ეს არის! მომავალი თაობის კუპრებთან
დაუზამთრებია!

ნათიამ გაკვირვებით დაჰხედა საშიშ
მავნებელს. კიამიაზე ოდნავ დიდი ხო-
ჭო იყო. ხოლო ხეს, რომელსაც იგი
ღრღნიდა, სისქეში მეტრს აღარაფერი
დააკლდებოდა, სიმალლეში კი რამდენი-
მე სართულიან სახლს მაინც უღრიდა.

— ამ პატარა ხოჭომ უნდა გადასკა-
მოს ამ მღვეებისა და ამირანების ქვე-
ყანა? — ნათია ხეს შეალივით ჩაეხუტა...
ვერც ხელები მოაწვდინა და ვერც
აბორჯებული ფიჭრი.

გაგამ ცულისპირი ჩამოუსვა და მავ-
ნებელი თავის ნამრავლით თოვლზე ჩა-
მოჰყარა.

— აქ არის ჩვენი დიდი თავდაცვის
არსი! ჩვენი მოთავეებაც არაფერს არ
იშურებენ, ყოველმხრივ ხელს გვიმარ-
თავენ... არც ჩვენ ვიშურებთ რამეს!
ცდებს ვაწარმოებთ, მთელი ლაშქარი
მცენარის დამცველთა, მეტყვეთა, ენ-
ტომოლოგთა, ზოოლოგთა, ქიმიკოსთა,
ბუნებისმეტყველთა და მრავალ სხვათა
შეუპოვარ, მაგრამ ჭერ არსებითად
უშედეგო ბრძოლაში ვართ! გაგა უკვე
კარგად გატანილ ბილაზე ჩავიდა და
ახლა აღმა ამოუბრუნდა ნათიას, — და
ამ ომში ჩვენი თან უნდა იყოს ყველა,

ვისაც უფრო დიდი და უფრო ეროვნუ-
ლი საქმე არ გააჩნია! ახალგაზრდებო! კი,
მით უფრო! ტყე მაინც ჩვენ-თავსატყა-
ხია! ახლა დეაწლმოსილ პენსიონერებს
უკვე უჭირთ აქ ამოსვლა და კიდევ
ბრძოლა!

ნათო მიხვდა, სად „უკაქუნება“ გა-
გა. ხმა არ ამოიღო. ჩაჰყვა ხეობის უკვე
შეფართოებულ გზას.

მალე ძველ ბოსლებამდე ჩაალწიეს.
აქამდე შუროვებში დაკურებითა და ხარ-
კამეჩით ჩამოჰქონდათ შორები. აქ კი
ტრაქტორები და სატვირთო მანქანებიც
აღწევდნენ.

შინაგანად შეშფოთებული და ახალ
საგონებელში ჩავარდნილი ქალი ახლა
წინ მიდიოდა.

რა განუზომელად დიდი და თავსატე-
ხი ყოფილა აქაური ბრძოლა და ძიება
მისი „ესთეტურ თამაშთან“ შედარებით!
არა, ცხოვრებას ათასი და კიდევ უამრავი
მხარე, დარგი და ფარგი აქვს, ეს
კარგად იცის ნათიამ, ალბათ, ყველა
საპიროს! მაგრამ დღეს ყველაზე მძიმე
საძიებო და სამოღვაწო, იქნებ მართლაც
აქ არის და მაშინ გაგა მართალია!

წინ მიდიოდა ქალი, მაგრამ ნიადაგი
ფეხქვეშ ერყეოდა და ედრეიკებოდა. აქ
უკვე სამბორბალაზე არ იყო საქმე,
უფრო — „სამ თვალზე!“ ხეთა იქით გა-
დახედვაზე!.. და მაშინ ათას შუროში
ათას მორს აცურებდნენ! დროზე უს-
წრათესად მრავლდებოდა და ტყეს და-
ზუზუნებდა შავი მჭამელი!

და მას, „მოღების მხატვარს“, ფეხზე
მდგარი სასაფლაო ფეხდაფეხ მოსდევ-
და, ჩუმი ყვედრებითა და წიწვის წვიმის
უხმო შიშინით.

ქვევით კი კვლავ „ხეთა სამაროვანი“
დახვდათ. ერთიმეორეზე შეწყობილი
გაქერქილი შორები უსირცხვილო სი-
შიშვლით იწვნენ. ირგვლივ გორებად
ეყარა ჩინჩხვრად და ნაფოტად წასული
საუწყე.

და მწვანე ფერი აღარც იყო ზუნების
ფერად!

თანაც, ღრმა ხეობის თავზე სულ აღ-
რევე გადავლილი მზეს უეცარი ჩრდილ-
და.

ლი მოჰყვა და თითქოს ფრთავაშლილი შავი ხოქო მთელ ხევამწვარას მკვლარ ტყეს წამოებობდა.

ქალს სული შეეხუთა. თოთქოს მასაც, სადღაც სულის სიღრმეში, ეს შავი ხოქო უჯდა და გულ-ღვიძლს უღრღნიდა.

ქალი მორზე ჩამოჯდა.

— დაილაღე?

— არა, გზით, უძლეური ბოლმით დავილაღე. ნუთუ, ეს ბუნების ტაძარი ხოქოს კერძია?

14

ნათია და მისი თანამგზავრები მორებით დატვირთულმა მანქანამ მტკვრის ბორანზე ჩამოიყვანა. მებორანემ მორები შეამოწმა, ბორანს ჯაჭვს დიდი ბოქლოში ახსნა და მანქანა ბორანზე შეუშვა.

გალმა რომ-გავიდნენ, ვაყებმა ბორჯომისაკენ იწვიეს სტუმარი, მაგრამ ნათიამ არ ისურვა, თავისებურად განსაზღვრა:

— არა! არ მოვდიოდი და ჩემს ნაქუქში ვიყავი ჩემთვის. ახლა ჩამოვედი და უკვე ყველაფერს ბოლომდე ვნახავ! ამ სიტყვების იქით, მართლაც და „სამი თვლით“ გადაიხედა ნათიამ და თავისი ქუთარების საამქრო, სალონი თუ სხვა სამოღვაწო, ისეთი შორი და უმნიშვნელო მოეჩვენა, რომ თავს გაებუტა და გუშინს იქითა ფიქრებს კარი გამოუკეტა. არა, უფრო მეტიც — ბორანს ჯაჭვ-ბოქლოში დაადო.

მალე ბორჯომიდან ავტობუსმა ამოიარა და სამივე ქობისხევეში აიყვანა.

დროებით ლაბორატორიაში ღუმელიც აანთეს და კედლის ქურაც. ორივე დადი ქვაბი შემოდგეს.

ერთში ბელზებელი ახალ საცდელ-სასხურებელ წამალს აზავებდა ზამთრის თბილ ღღეში შესამოწმებლად. მეორეში კი უხვად ჩაყრილი ნაძვის ფისიდან გამოხდილი საქმელისა და გაწმენდილ სკიპიდარის ნაზავი ღვებოდა და მიუხედავად მყარად დახურვისა, ტყის მქანებ სურნელს გამოსცემდა.

არც ნათია დარჩა განზე, თავისი საქმიანობის არე მიიტაცა და ახლა მესამე ქვაბიც შემოდგა, წლეულ სამყოფ საქ-

მელის მოსამზადებლად, ამ წელში აღარც დიდი დრო იყრდნენ. ხვალ ღამ უკვე ახალი წელი დგებოდა.

ვაგა კი ორივეს მუშა იყო, ბელზებელისაც და ანგელოზისაც! წვერწირასთან ნაზავსა და ნაჯერს ამოწმებდა, აზუსტებდა, ნათიას კი წყალს უზიდავდა, შეშას უბობდა და საქმელს, ქალის მოთხოვნით, გემოს უსინჯავდა.

ქალი გულნათხრობილად ფიქრობდა. სადილიც კი ვადაამლაშა. მაგრამ გარეგნულად და სიტყვიერად სამთა შორის სრული უდავობა და სიმშვიდე სუფევდა. სამივეს ანსადილევის შიში ჰქონდა. და მართლაც, სადილის შემდეგ ბელზებელის ორივე ქვაბი აფუყფუყდა.

დათომ ერთიც ამოუღია და ვაგას მეტყველად შეჰხედა.

— უკვე? — მაინც შეეკითხა ვაგა და თავი დაჰხარა.

— დროა! თუ ხვალ რამეს ვფიქრობთ, მეტის გადადება აღარ შეიძლება!

— ბქნება კია დარი? — ვაგამ გარეთ გაიხედა, შეამოწმა. ახლა ძალღს მიუგდო საქმელი, მერმე შეშა გადააწყო, ერთი სიტყვით, დროს ბლანდავდა. მაგრამ წვერწიროსა და ქვაბის ფუყფუყს აბა, სად წაუვიდოდა.

— შენი მოტანილი გამოდგება კია?

— ყოყმანობდა დათოც, — არა, მაინც სხვაგან ვერ იშოვნე?

ნათია თავგაქინდრულად იჯდა და უსმენდა ვაყების საუბარს, გუნებაში ყველაფრის გავებაში იყო. თუმცა თავსაც კი არ უტყდებოდა, მით უფრო ამ ქვაბების ამღულელებს. დათა კი ქვაბს ურევდა და თავადაც ღულღულეობდა:

— მოგვეცადა... მოგვივიდოდა სოხუმიდან... და ამ სანთლის ცოდვას გადავრჩებოდით!

— არა და ვერა! აქ მერჩია!

სოხუმის სხენებამ ისევ სიწითლეში ჩააგდო ქალი, მოთმინების უნარიც ამოუვსო.

— მაგას მაინცდამაინც ჩემი კუთხის ჯავრი სჭირდა! მაგრამ ჯერ კიდევ ვნახოთ!

— ვნახოთ! — გაიმეორა ვაგამ.

— ვნახოთ... ჩაეხედოთ! — აზრს სხვა კილო და მიმართულება მისცა „ბელზებელმა“. „ანგელოზმა“ იგრძნო თავისი დამარცხება. კილომ უმტყუნა და ახლა საქციელით თუ შესძლებდა გაშოშოვრებას. მაგიდას ხელმარჯვედ მოუბრუნდა და ჭურჭელი მიალაგა, მოასუფთავა. დათომ ეს თანხმობის ნიშნად მიიღო და ჩანთას პირი შეუხსნა, ტიკინები პირდაპირ მოსუფთავებულ მაგიდაზე წამოჰყარა.

— ეს მართლაც მთელი სამყარო ყოფილა! — წვერი მოიჭინჩაჩა და გავას შეუტია, — შე კაი-კაცო, ერთი საქმის გაკეთებას მაშინ აქვს მადლი და მარბილი, თუ მეორეს არ აფუჭებ!

მაგრამ გავამ არ მიიღო საყვედური:

— განა სულ ასე არ გამოდის? რაც უნდა ერიდო — ვიღაც და რაღაც, რომელიღაც წილში, მუდამ ეწირება ახალ საქმეს!

— შენც დამიწყე მსხვერპლის ფილოსოფია! — უფრო ცხარედ შეუტია წიორამ, — ომი ხომ არ არის! ყოველი ნაფიქრისა და ნაძერწის უკან ადამიანია!

— მეც ამას ვეუბნები! — შემოტრიალდა ნათია. მან მოკავშირე იგრძნო, მაგრამ სიმტკიცე კი ვერა. გავა კი, პირიქით, წამოდგა და წამოთამამდა.

— ჰო და, რათ არ არის ომი? მე ვიტყვოდი — სამამულო ომია ჩვენი ტყის დასაცავად! ნუთუ, თავის თვალთ ნახვა კიდევ არ ნიშნავს დანახვას?

— მე დავინახე! — შესძახა ქალმა.

— ერთნაირად დანახვა თანამოაზრობას ნიშნავს!

— ვარი ნამდვილად ვარ ამ თქვენს ბრძოლაში თანამოაზრე!

გავა არ დაცხრა, უფრო აუკიდა ცეცხლი.

— ეს თანამებრძოლობას ნიშნავს!

— ნიშნავდეს! თუ საქირო არის!

— საჭიროა საქმიანი თანამებრძოლობა და არა სიტყვიერი! სანთელი რა ბედენაა, მსოფლშეგრძნობა უნდა გადადუღდეს, თუნდაც ამ ქვაბში!

ქვაბი კი მართლაც ცხარედ დუღდა... ხუფი სულ მოეშორებინა დათოს.

— ამასაც მიწუნებ? სანთელს ვაწირავა მირჩევნია! მე ჩემი მსოფლშეგრძნობა მაქვს და მყოფნის! ახლა რაღას მეტყვი?

— ახლა მაქვს სათქმელი! მსოფლშეგრძნობა პირველყოფილ ადამიანსაც გააჩნდა! ახლა კი ახალი ხანის მეოცე საუკუნეა! მაგრამ იცოდე — ახლაც არიან პირველყოფილი ადამიანები, თუმცა შეიძლება ახალმოდურადაც აცვიათ და შესანიშნავ მანქანებსაც დააჭროლებენ!

— მე შემიხება?

— არა, შენ სხვა რამ არსებითი გაცლია! აბა, დათოს ვკითხოთ?

ბელზებელი უკვე ცეცხლს უნელებდა, მდულარე ქვაბს ებრძოდა, თუმცა გაფაციცებით უსმენდა.

— მე ნუ ჩამრევთ ამ თქვენს დეაში! მირჩევნია ამ ქვაბში ჩავძვრე სანთლის მაგიერ.

დათოს სურდა დავის შემსუბუქება, მაგრამ ვერ მოახერხა, ისევ ქვაბს გამოუშრიტა ცეცხლი.

მაშინ მე ვიტყვი! ქალს შემოუბრუნდა გავა, — შენ მსოფლშეგრძნობა მაქვს, მსოფლმხედველობა კი არა! გარკვეული მრწამსის გარეშე ახლა ვერ დადგება მოაზროვნე ახალგაზრდა! შენ ნიჭი უხვად გაბადია, იდეურობა კი პირველ მცენებელ არ მიგაჩნია! სწორედ ის, რაც ჩვენს მოხუცებს დიხაბაც ჰქონდათ და სამაგალითოდ დაგვრჩია!

ქალი მთელი სხეულით შემობრუნდა, მის წინ, მაგიდაზე, არეულად ტიკინები ეყარა, თვალწინ კი გავა უფრო მაღალი და ჭაგრა-ურჩა ჩანდა, თითქოს ყველაფერს ფარავდა, მის უკან გამკრთალი მამის ჩრდილსაც კი. თან რაღაც მსგავსი ჰქონდა მასთან გავას...

— შენ როგორ მამაჩემივით ლაპარაკობ?

ახლა გავა შეტოტმანდა. იგი საყვარელ ქალსა და მის ამოუ ნაღვანს ერთად ხედავდა, აზრით თიტქოს სჩაგრავდა კიდევაც, მაგრამ განწყობილებით კი მას მიჰყევბოდა. იძალა და ისევ დაუტრიალა სიტყვა:

— დასაბუთებულ უმრწამსობას, კი-

დევ ჩვეულებრივი სჯობს, როგორც უკუღმა დაბრუნებულ წისქვილს, ჭერაც წყალშიღუშვები! როდესაც, ბოლოს და ბოლოს მივგნებ შენს იდეასა და მოწოდებას, მაშინ იგრძნობ დროზე მიუგნებლობის საჩოთირო სიკარიელეს!

— ნათაას თვალში, კიდევ ერთი ცვალებადობა მოხდა... ახლა მამის ჩრდილი წამოიზარდა და უკვე გაგას დაემსგავსა...

— შენ მამაჩემს რამ დაგამსგავსა, სიტყვით და... არა მარტო... მაგრამ ჩვენს შორის თაობათა სხვაობა იყო!

ვაემა იგრძნო ქალის დაბნევა. გულიც მოეწეწეა, მაგრამ სათქმელი აღარ შეიბიძგა.

— შენ აქაც სცდები! ჩვენში თაობათა სხვაობა და დაპირისპირება არც არსებობს, არც ნიადაგი აქვს ამას! მაგრამ დიდმა სოციალურმა, ეროვნულმა, და უმჭიმესი ომის ძვრებმა შექმნა თაობებსაც, აქაიქ, უცმარობისა და ზიანის კვალი ჩაგესლა. უმრწამსო, უთვალსაწიერო ახალგაზრდები მართლაც მოიპოვებიან ჩვენში... ტყეში ამას მექანიკურად დაზიანებულ ხეებს ვუწოდებთ. იქ, პირველ ყოვლისა, იბუდებს ხოლმე ჩრჩილი და ქია!

უკვე დიდი ხანია მეორე, დიდი ქვაბიც დუღდა. იგი უფრო ცეცხლსაშიში იყო და, პირველ ყოვლისა, ეს აფიქრებდა დათოს. ყველა საჭირო ზომა თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ პაექრობას აღარ უჩანდა ბოლო.

— აბა, ახლა კი გეყოთ! საკაცობრიო, მალაფრენი საყითხებს აქ ვერც გადაჭრით, ვერც ამოსწურავთ! ქვაბებს დამიხედეთ—თაფლის სანთელის დროა!

— იყოს! — აზრშეუცნობლად დაეთანხმა ქალი.

გაგას თვალები გაუბრწყინდა:

— რადგან სანთლის პატრონი თანახმაა დროებით ზავს შევთავაზებ! მერმე კი ისევ... ვიდრე არ შეეთანხმდებით. ან ბოლომდე არ წაიჩიხებთ! აქ საშუალო არ იქნება, როგორც საკუთარ სულში წარმოშობილი ხინჯის გაყოფა, ან დარჩეს, ან მოითხაროს!

— ეს არის ხინჯი? — წამოხმანქა-ლმა, ახლა ბალოშის პირს დასტაცა-ხელი და ისიც მაგიდაზე წამოაპირქვევა.

ჭერ სანთლის დიდი კვერი ბადრი მთვარესავით გადმოგორდა. თითქოს წინ წამოუძღვა თავის სამყაროს. მერმე სხვადასხვა ზომისა და აღნაგობის ქუპრები, კუკები, ტიკინები, დედოფალები... სხვადასხვა ძერწულობისა და ცმულობის ბერ-პაპები, გაკვირვებული ბიჭები ამურები და თავსაფრიალი დედაკაციები, სანთლის ირმები და მერნები. ყველაფერი ეს ერთად, ჭრელსაოცარ კალოდ ეყარა მაგიდასა და მის ირგვლივ.

ქვაბი კი ფუფუფუყებდა, დაქინებით მოითხოვდა ახალ სათქველეს.

ნათააც და გაგაც თვალმორიდებით იღვნენ. წვერწიორა მიხვდა, რომ ახლა იგი იყო ბედის მსაჯული. მას უნდა გადაეკეთა მრავალგზის აბურდული და ჩასკვნილი კვანძი პაექრობისა, სიყვარულისა, ყოფისა... მაგრამ ახალ სასხურებლისაც.

— ხინჯიანი არაფერი მომცეთ! გადამწყვეტი ცდაა!

ნათქვამი მიზანში მოხვდა.

— ხელოვნებას ვინდა ჩივის, მასალადაც საეჭვო გახდა! — სულ ჩაითუთქა ქალი.

წვერწიორამ დიდ ლაფარას დაავლო ხელი და გაშმაგებით ქვაბს მიეტანა, ახლა მართლაც ფრიალ ბატოვან ბელზებელს დაემსგავსა.

— გმირი ის არის, ვინც დროს მოთხოვნის სიმალღეზე აღმოჩნდება! აუცილებელსა და მრავალთ საწადელს მოიმოქმედებს!

ეს მისი ნათქვამი, თუნდაც შემოკლებული, ახლა შელოცვასავით ეღერდა. მთავარი მოპაექრენი სდუმდნენ, უსმენდნენ... ბელზებელი კი შელოცვას განაგრძობდა:

— აზრი მარტო სიტყვის მასალა როდია, არამედ დიდი ბერკეტი, რომელსაც ცხოვრების ქვაბში თავისი მასალაცა და წელილიც შეაქვს!

წვერწიორამ ამალელებული კილო სრულიად მოულოდნელად ჩაუწია და

ჩქარსიტყვაობაში და ქვაბის ბუშტუკა სუნთქვაში ჩაშიშინდა:

— ეჰ, არცოდნა — არცოდნა! მეტს ქვაბიც აღარ ითქმის... სიჩუმე კი ტყეშიაც თანხმობის ნიშანია! — ჯერ სანთლის მოზრდილი კვერი აიღო, სასწორზე დაავდო, გამოსწონა და ქვაბში ფრთხილად ჩაუშვა.

უმალ იმატა თავლის სუნმა. ქვაბის ორთქლსა და დუღილში, როგორც ღრუბელში, სულ მალე ჩაიკარგა „მთვარე“.

— რადგან მისმენთ, ერთსაც გეტყვი, თუ მსხვერპლია უსათუოდ შეგნებულნი და დათანხმებული უნდა იყოს, თორემ თავზე მოხვეული მსხვერპლი — მტარვალობაა!

ხმა კვლავ არავინ გასცა. მაშინ წვერწიორამ სანთლის ყველა კვერი ასწონა და ქვაბში ჩაჰყარა, თან ერთ-ერთ დედოფალსაც წაავლო ხელი. მაინცდამაინც ჭრელკაბოსანი მოხვდა. აღარც გაუშვა, ნათიას მოაფარა, ისე წააცალა კაბა და ახლა სხვა ტიკინებს დაუწყო არჩევა. შემოსილებს კი ქინძების ვაცლა.

ქალს ისეთი გრძნობა მოეძალა, თითქოს მას ხდიდნენ ტანზე.

სულ მალე სასწორზე და მაგიდაზე ტიკინები გაბუტული წიწილებივით ეყარნენ. სიჩუმე უფრო ჩამომძიმდა და ყველა შეაჩერა. მხოლოდ ქვაბი ჩქარობდა, ახალ ულუფას მოითხოვდა...

— მე ჩაყვარო, თუ შენ ჩაჰყარი — გაგავ! ამას სხვა მნიშვნელობაც ჰქონია და ამიტომ გკითხავ! საქმე მართო წონაზე და ზვედრით წონაზე ხომ არ არის! გაგამ დააყოვნა პასუხი.

— ეჰ, თქვენს ქვაბში მხოლოდ წონით ფასდება ხელოვნება! — გულჩათხრობილად აღმოხდა ნათიას, — მაცალე, აქაც მე თვითონ!

— არა, ნათია! განა ასეც შემეტბი! ჭირთაძალვა მჭირს! — ახლა გაგა წინ წამოიჭრა, მაგრამ შერცხვა მოულოდნელი გულჩეილობისა, ტუჩები ჩაიკბინა და სასწორიდან უხერხულად, ორივე

ხელით მოფოცხა აწონილი „ხელოვნება“ და ქვაბში ჩაჰყარა.

ორივენი ქვაბს წამოადგინდნენ, სხვა მივენი. ველარც ნათია დადგა განზე; იგი შეძრწუნებულად უმზერდა, როგორ ილეოდნენ, მოკლდებოდნენ, იბრიცებოდნენ, სახეს ჰკარგავდნენ მისი ნახელავი სამყაროს უღლიური მცხოვრებნი. შემოქმედს თავადაც ეწოდა ტანი, თავადაც სასწორზე იყო, ქვაბში იყო და თავის მოკლე წარსულს წვავდა და კარგავდა...

გაგა კი სულ ფოცხავდა, სწონიდა, ქვაბში ჰყრიდა, თითქოს წარსულისაყენ. მოსაბრუნებელ ხიდებსაც აღარ უტოვებდა ნათო-ნათიას!

ქალს რაღაც მოაწვა ყელში. არც კვილი იყო და არც მწარსათქმელი. შენივთებული შეშფოთება უხშობდა სასულეს... აქაც უღუღდა სანთელი. სუნთქვაც ქვაბის დუღილზე იყო აწყობილი. გაგა კი სულ ფოცხავდა და ფოცხავდა და თავის დიდ ხელს პირდაპირ გულღვიძლში ურევდა ნათიას.

ისედაც დიდ და, თითქოს უფრო გაზრდილი ქვაბის რუხ სითხეს, უკვე სანთლის ნალები გადაჰკროდა, მოსჭარბებოდა...

— ეს რა ქვაბია? — ბოლოს იფეთქა ქალმა.

— ჩვეულებრივი, ცხოვრების ქვაბი! ნუთუ ეს ვინმემ უთხრა? არა, ვაყვები უსიტყვოდ საქმიანობენ. ისინი თავისას ეწვივნენ.

ქალმა იგრძნო, რომ ძე-ხორციელი არავინ ესაუბრება. იქნებ თავის ღვიძლი და მესამე თვალი არ აძლევს საშველს? მაგრამ არც ეს არის მთავარი! უცერად შერცხვა ქალს. სიწითლე აეკიდა დაწვებზე. ახლა ზურგს უკან, ცხოვრებაში, აღარაფერი აღარ გააჩინა! თითქოს ახალდაბადებულმა! არა, უარესი — შიშველ-ტიტველი, ამ სასწორზე დადებულნი, ქვაბში ჩასაგდები, გადასადნობი დედოფალა.

„ზურგს უკან უეცარი სიციარილე ისეთივე საშინელი ყოფილა, როგორც თვალწინ!“

ისევ მეხსიერებამ იხსნა...

— წერილები! ჩემი წერილები?!

— ჩემთან არის! საიმედოდ! პასუხთან ერთად უკლებლივ ჩაგაბარებ!

ქალი დათვის ტყავიან ჭირჭზე ჩამოკვდა:

— იმედიც კარგია... მაინც, როდესაც ცხოვრებას თავიდან იწყებ! სულ თავიდან!

— სულ თავიდან შეუძლებელია! თორემ ვინ იქნებოდა დედამიწის ზურგზე ისეთი კუთათმყოფელი, რომ თავის ცხოვრებას სულ თავიდან არ დაიწყებდა! უკმარობის გრძობა ყოველ შეგნებულს ახლავს! — დათო ბელზებული თითქოს შელოცვასაც ამთავრებდა და სახარშავსაც.

— მაკმარეთ! — თვლები დახუჭა ქალმა.

— მაინც გვეყოფა! აქამდე სულ უსანთლოდ ვაკეთებდით... რა დაიჩემე! შენმა ცდებმა მეც მომიწინა და... — დათომ ხელი გაჰკრა გავას, დოქი მიიწოდა. გაგამ ერთი მოჰხედა მართლაც სანთელივით გაფითრებულ ქალსა და დოქიანად გარეთ გაეარდა.

წიორამ დარჩენილ ტიკინებს ბალიშის პირი სუდარასავით გადააფარა და ქალს თანაგრძნობით მოუბრუნდა.

— ხანდახან გატეხილი სათამაშო უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე დანგრეული სასახლე!

ქალი სდუმდა.

— შინაგან თვალთახილვას სულ სხვა პერსპექტივა გააჩნია!

ქალი კვლავ სდუმდა.

— გაგა კი სულ გადაჰყვა ამ ცდებს, სანთელ-საკმელის საფუძველებზე!

— ეს რა საფუძველია? რა ცდებს?!

— ნაძვის უვნებელი შხამა-სასხურებელისა და სურნელოვან ხსნარის მისაყვლედად, ხე-ხაფანგზე ხოჭოს მოსაზიდავად და მოსასობად!

— მერმე? მიაკვლია ან ერთი, ან მეორე? — და თავსავე უკვე ჩუმად უპასუხა: „მესამე კი მიაკვლია! პირველად, ვკონებ, მე მოვხვდი ამ ხე-ხაფანგში!“

დათო კი თავის საუბარს განაგრძობდა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, მგერს ხსნარს ყველაზე კარგი შედეგები აქვს. თან შესხურების დრო და მეთოდებიც ახალი შეიმუშავა.

— არ მესმის! — ქალი იქნებ არც უგლებდა ყურს, მაგრამ ლაპარაკი იყო საჭირო, ლაპარაკი... არც სულ ქვების ახლოს, მაგრამ არც ტყის გარეშე.

— აქამდე ჩვენ ზაფხულში ვასხურებდით ხეებს, გაგამ კი გვიან შემოდგომა და აღრე გაზაფხულის დრო განსახლვრა!

— ახლა ხომ ზამთარია? — ესმის ვაგას მეგობრის სიტყვა, მაგრამ არც შორს, — არც ახლოს!

— საცდელად ზამთარშიაც... თუნდაც თოვლიან დარში, ოღონდ მზეზე ხუთ გრადუსზე მეტი კი უნდა იყოს! — წვერწიორა დაწვერილებით უხსნიდა, ქალს კი გული ჰქონოდა გაწვერილებული.

— ახლა მთელი საცდელი კორომი აქვს კახისის ტბასთან, საზაფხულო ტურბაზის ახლოს... დამწვარი დისერტაციის ახალ მასალებსაც მანდ ამუშავებს, პირდაპირ ჩაქვირითებულია ახალი იდეებით!

იცის ნათიამ, ეს ყველაფერი უკვე იცის... წერილიდანაც, საუბრებიდანაც, მიხედვრითაც, მაგრამ ილაპარაკოს, ილაპარაკოს ოღონდაც არ გაჩერდეს, ღრმად ჩაფიქრების საშუალება არ მისცეს. აი, უცნობი, ტყის დედა, თითქოს ხელახლად შობის სარეცელზე წევს და აუტანელი ტყვიელებით, მას, ნათიას, ილოვინებს, უკვე აზრიანს, ბევრი რამის მცოდნეს და გამგებს! ერთხელ უკვე ჰიპოტიროლისა და გამტყუნებულს!

— ...სანთლის ქოხმა და სამეზობლომ სწორ ვარაუდს მიაგნებინა! თქვენი „გეგმის გარეშე სანთლის“ დიდი იმედი აქვს!

— ნეტავ ეგ მაინც! მერმე სხვა აზრზე დაატრიალა სიტყვამ, „გეგმის გარეშე“ ტყეში — „ცხოვრების გარეშე“ — ხომ არ ნიშნავს?

დათა სულ დაიბნა, დროს ამოსავსები ლაპარაკიც მიიჩინა, მაგრამ გადარ-

ჩა პასუხს. გავამ სველი დოქი შემოიტანა, შუშის დიდ მენზურაში დაუსხა, შეუხედავად მიაწოდა.

ნათიამ გამოართვა და შეუხე ვაპხედა. მენზურის შუშაზე განაყოფები კარგად ჩანდა.

— შხამიანი სასხურებელია, თუ სურნელოვანი მოსაზიდი?

— არცერთი! ბუნებრივი ტყის წყაროა, უებარის დღეს შენ შეუდარებელი ხარ და მე ყველა თითს ვკაპავ!

ქალმა შეპხედა გავას.

— ახლა შენ. ასეთი, თითებმოხრილი, კვანავებდაძალულ ლომს უფრო ჰგავხარ!

ქალმა წყალი შესვა და კიდევ მოითხოვა.

— წყალი კარგი გჭონიათ! თქვენ კი, ტყურებო, უმოწყალო ხალხი ყოფილხართ მეც თქვენი „გეგმის გარეშე“ სტუმარს, რა იმედს უნდა მჭონდეს?

გავამ ისევ ჩაპხარა თავი. ქალი ისევ უნდობლად იყო განწყობილი. სანთელსაკმელი ჯერ მხოლოდ ქვაბში შედლულდა. მის ირგვლივ, თუ გარეშე კი მიიჩნია. და ალბათ, სულის ღრმად ჭედულად და ტკივილად დარჩა.

დათომ ქვაბებს ცეცხლი გამოუჭრო, გასაცივებლად დასტოვა. სარკმელში უკვე ცალთვალა მწუხრი იმზირებოდა.

— მაინც რა დროა? — იკითხა ქალმა.

— ხვალ ამ წლის უკანასკნელი დღეა! ამას კითხულობ? — თავი ასწია გავამ.

— ამასაც!

ვაქი საუბრის ახალ ძაფს მოეჭიდა:

— ჩვენცა გვაქვს შენთვის „გეგმის გარეშე“ საახალწლო საჩუქარი! — გავამ სხვირიდან მთელი დიდი შეკვრა შავთვინა ციყვის ტყავებისა ვადმოილო და ნათიას ფერხთით დაუდო. შიგრაამოდენიმე კვერნაც ერია, ერთი აფთარიც.

ნათიამ ხელი უჩებურად ვადაუსვარბლი ბეწვეულს. მერმე აშორა. თითებს მარძხობელობა აღარ გააჩნდათ. ეს ქალისთვის ახალი თავზარი იყო. თუმცა არ გაამზილა. ბეწვეული არც იქით მისწია, არც მადლობა ვადაიხანდა.

— შენ — კორტანეთის უჩინმაჩინო! ჯერ მაქალე... მე ტყავს მიპრობ და ციყვების ტყავს უკვე ღიად მთავაზობ? იქნებ ფიქრობ, რომ გამოუვალ ტყვეობაში ვარ?

აღა და თვალეებში ყინიხად შეპხედა.

— წავიდეთ!

— უკან? სალონში? ტყინებთან? —

(დასასრული იქნება)

ახლა კი თავით-ფეხამდე შეერთა გავა.

— არა, წინ, ტყეში. თუ კი წინ ტყეა! ტურფასაც და შენ საცდელს კორმსაც უსათუოდ ვნახავ... სანთელსაკმელის გზასაც მივუყვები ბოლომდე, ამ კბილსაც მოვილევ. მაგრამ დავაძი კი არსად დავითმობ!

გავამ შევებით ამოისუნთქა, გულზე მოწოლილი ტალდა მოიშოშმინა.

— ოღონდაც... მაგრამ ფეხით სავალია! და უფრო მეტიც, ვიდრე ხევამწვარამდე.

— მე ახლა შენ თვალშიაც ხომ ფეხადგმული ვარ!?

— დიდი აღმართი იქნება!

— იყოს! უკან დაღმართს, წინ — აღმართი მიჩვენია!

— თოვლი..

— შენს კვალს მოვყვები, მახრობელე! ვნახოთ რა სავალია! — რა მოსავალი! და განა ამისთვის არ წამოიწყანე. მდულარე ქვაბში ჩამავდე! თუ იქნებ მხოლოდ სანთლის სამყაროს მაცდური და არც უვერაგო მარბიელი ხარ!?

— მაშინ ახლავე წავიდეთ! მე მაინც იქით მაქვს გზა და საქმე!

გავამ თბილამურები ვადმოილო, თოფი, ვაზნები სასხურებელიც გამოიტანა.

წვერწიორამ კი უყურა, უყურა და ბოლოს გაწყრა.

— აბა, ახლა რა დროს წასვლაა? მე თქვენი ძველი დავისა არა ვიცი რა, არც მეკითხება! სასხურებელი კი ჯერ მზად არ არის და არც ვაგატანთ! უნდა ვაგარილდეს, დაწდეს! იქნებ ილექება! — დაწვრილებითმა ახსნამ ქალიც მიახვედრა და გაგაცო. რომ ეს სრულიადაც არ იყო მთავარი.

— ხვალ დილით მანქანა მიდის ტურბაზაში საჭურველის ჩამოსატანად, იმას წაპყევით, სასიარულო მერმეც ბევრი გექნებათ... საახალწლო სუფრა კი ჩემზე იყოს! — დათო თანდათან უმატებდა ხმას. არამც თუ ქოჩორა თმა. წვერიც კი ეფაფრებოდა. ბოლოს კი სულ ყვირილზე გადავიდა. — შენ კი, მატყვევარო! ეს რა იდეაა — ხე ვადაარჩინო და ადამიანი მოკვლა!

ნათიას გულიანად ვადიმა, დავა უშალ ვადამწყვითა:

— მაშინ ხვალ, ადრე დილით! ახლა კი შენი დამწვარი დისერტაციის ვადარჩენილი ნაწილი მომეცი წასაკითხავად... და შენზე კიდეც ვალია — წერილები! ხვალ კი ამ წლის უკანასკნელი დღეა!

პ. ქუთათაძე

პარღისუბნის პარსკვლავები

ღონეშიბდილი მზე თვალს ნაბავდა,
ჩაქრა. დამუნჯდა მთა შეენაბადა.
მშვიდი დაისის შემოღამებით
თვლემდა თბილისის შემოგარენი.
შეწყდა ბავშვების შმაგი ყიყინა,
ვარდისუბანმა მთლად ჩაიძინა.
და შორს ზეცაში ტანჯვით შობილი
ობოლ ცრემლივით კრთოდა

ცთომილი.

მასლობელ ქოხთან ჰყვებდა ქოფაკი,
ლარიბ პატრონის მცველი, ქომაგი.
შემოაზნა მგზავრს ჩოხის კალთა,
რომ არ აკეცა, შემოიკვალთა.
ძალდი ეზოში არა ზის უქმად:
ჰყვებს, პატრონისგან მოელის ლუქმას.
ძველ კაცს კი, როცა ძაღლის

ყმულიში

შავეთის ფრთათა მისწვდა შხული,
მეშველად დასვა ღმერთი ლაშარი,
რამ განექარვა ფიქრი აშარი.

მან არ იცოდა, რომ უკვდავია
სული, სანამდე ხორცს უკავია.
ხოლო ხორცთან კი თავდება სულიც
და გვეუფლება სიკვდილი სრული.

ქრება სულიცა, მაგრამ ეგ არი,
კაცი თუ იყო ბრძენი, მეღგარი,
გმირი, მამაცი, გზის დამსახველი,
მარად დარჩება მისი სახელი,
მისი საქმე და ნამოქმედარი...

ასე ვფიქრობდი და ძველი ვერის
სასაფლაოზე ყმუოდა ძაღლი.
მამლის ყივილის მოვიდა ჯერიც
და ცა მდუმარე დამტკერდა მაღლით.

ცივ შემოდგომის შემოღამებით
თვლემდა ქალაქის შემოგარენი
და შორს ზეცაში ტანჯვით შობილი
ობოლ ცრემლივით კრთოდა

ცთომილი.

განა პატარა, უზარმაზარი,
ასი ათასი, უანგარიშო
და მუის მეწვია ფიქრი საზარი,
მე რომ სიყრშითვე სისხლი გამიშრო.
ვფიქრობდი: — რა ვართ, არარაობა
დაუსაბამო მსოფლიოს მიმართ.
მაგრამ რჩეულთა იწყეს დაობა,
არ მორჩილებდნენ აწ და მარადის
ღმერთის წინაშე ლოცვას, ლაღადისს,
სოფლის დათმობას და ქედის შობრას,
თქვეს: კაცი არის ღედამიწაზე
მარად შემცნობი შეუცნობელის
და რადგან აზრის ძალა იწამეს,
საქმედ აქციეს აზრი ცხოველი.
იმ დღიდან კაცი შვებით ივსება,
ვერ აცამტვერებს უსაზღვროება.
ეგ არის მისი დიდი ღირსება,
რითაც ამაყობს ჩვენი დროება.

ასე ვფიქრობდი

და ზეცაში

ტანჯვით შობილი

ობოლ ცრემლივით

ციმციმებდა

ციცქნა ცთომილი-

მწვავდა ღვთიური რამ ნაპერწკალი,
ტრფობა, სიკეთე და სიღამაზე,
მწვანე მთაბარი, შავი მერცხალი
და მოელვარე ცვარი აღმასებრ...
ეს ღედამიწა ედემს სჯობია,
განა კაცისგან დასაგმობია!
უღედამიწოდ რა გვეშველება,
თუმც არ ვართ მხდალი

და სულმდაბალი!

ჩვენ ღედამიწის გვზიბლავს მშვენება,
ბარაქიანი მისი მთაბარი.
მიწა, მამული, ერი მშობელი,

თუნდ იყოს დიდი, თუნდ ერთი ციდა,
 არის კაცისთვის წმიდათაწმიდა,
 ხოლო წყეული მისი მგმობელი.
 მყის მომავონდა ზეცის ხომალდი,
 მარად სიჩუმემ რომ დაუღრინა,
 ღამე უკუნი, ყრუ, უღიმღამო,
 ზღვათა საზარი ზათქი თუ ზავთი,
 ცა საარაკო და კოსმონავტი...
 ფიქრი დავიწყე ახლა მის გამო...
 და შორს, უსაზღვრო

ცის სივრცეში

ტანჯვით შობილი

ობოლ ცრემლივით

ციმციმებდა

ციცქნა ცთომილი.

მავონდებოდა სატრფოს თვალები
 კეწნიანი და ნაწვალეები,
 ცრემლისმაგვარი მისი საყურე,
 მიწიდან ცაში მე რომ გავუურებ.
 არ შშორდებოდა ნაცნობი სევდა,
 თუმცა რაკეტა სივრცეებს ხევედა
 და ცთომილისკენ დამიზნებული
 გრგვინვა-გრიალით ზეცაში ჰქროდა.

დიდ შთავონების ცეცხლით

პოეტის სულიც სიამით ^{გარჩენულნი} ^{თოთოლაქა}
 სურდა გაფრენა, არ დაყოვნება,
 არ ყოფილიყო დროსთან პირშავი.
 სურდა შაირში გრძნობა, გონება
 ჰქონოდა მარად გაუთიშავი,
 დღეს სალალბოდ და სააშკოდ
 მგოსნის შაირი არ გამოდგება.
 იბრძვის აზია, ბორგავს ევროპა,
 რომ მიანიჭოს

კაცს კაცობა

და ერს ერობა,

რომ ხალხთა შორის დაჰგმოს ნაცნობი
 შულლი, ატომურ ცეცხლის არული
 და რომ იწამოს წყაროდ კაცობის
 ერთობა, ძმობა და სიყვარული.

ასე ვამბობდი

და უსაზღვრო

ცაში შობილი

ცისფრად, იისფრად

ციმციმებდა

ისევ ცთომილი.

ბიოგრაფიული

ანაღათ

«... მაშინ შევტრბეს ყოველნი ამისა სამეფოსა დიდებულნი... შემო-
ყვანებად სიძისა თამარისათვის... ზრახვა ყუეს ძებნად წიღმართისა
და მოყვანად ქრმისა, რომლისათვის ხამდა თუმცა ყოფილიყო ჟამი
გმირთა და გოლრათთა ყოფისა, ანუ—მე გარეშეუ წოდებულთა გლინ-
თა სისზღისა დათხვეისა, ანუ—მე გატრანი მიჯნურთა, ცოფ ქმნილ-
თანი,

ვითარ თამთა თუშვიანისთვის,
ვითარ ამირან ზორაშანისთვის,
ვითარ ზოსრო-შენშა ბანისათვის,
ვითარ მხეკაბუჯ მზისათვის ხახართასა,
ვითარ იაკობ რაქელისთვის,
ვითარ იოსებ ასანეთისთვის,
ვითარ დავით ბერსაბუნისთვის და აბისაკისთვის,
ვითარ პელაგი მნგდმბრძოლი ჰიპოდამისთვის...
ვითარ პლუტონ პერსეფონისთვის,
ვითარ რამინ ვისისათვის,
ვითარ ფრიდონ შაბინოს — არწავახისთვის,
ვითარ შადბერ პინლიეთისთვის».

„ისტორიანი და აზმანი“.

«...უგავს შატბერს, გულად დაღბერს,
ანალათისა რად დაშერა ძევად?»

ჩახრუხაძე

«...პოემას, რომელიც დღეს დაკარგულია, რქმევია შა-
დბერ და აინოლქვიატ—ბედნიერი და წყარო სიცოცხ-
ლისა.»

ქ. კეკელიძე

„ისტორია შადბერისა და ანალათისა მიეკუთვნება
ბაჰამანის, სპანდიატ რვალის ძის ხანსა.“

პ. ინგოროვცა

ჩვენ ვართ გმირები ძველი რომანის,
კაცთა ხსოვნაში დაკარგულ წიგნის,
მიჯნურთა ცრემლის, გაჭრის და ძებნის.
უხსოვარ დროში დაწერილ წიგნის.

ჩვენი რომანიც დაიკარგა, ჩვენიც დავიკარგეთ.
გადარჩა მხოლოდ ორი სიტყვა: ანალათ... შადბერ...
ჩვენ სიყვარული გვიწოდმართა ძლიერმა ბედმა,
მაგრამ დააზრო უდროობამ ჩვენი ყვავილი.

ჩვენ გვიმღეროდა, ჩვენს სიყვარულს სწერდა ონსი რი.
და კაცით კაცზე, ქეხით ქედზე, მთებიდან მთებზე
გადდიოდა სიმღერებად ორი სახელი:



ანალათ—წყარო სიცოცხლისა, თეთრი ქალწული,
შადბერ—ჭაბუკი ბედნიერი, შმაგი მიჯნური!

მაგრამ რომანიც დაიკარგა, ჩვენც დავიკარგეთ.
და როცა ჩვენი სიყვარული იქცა ლეგენდად,
ჩვენ შევემატეთ ულამაზეს მიჯნურთა წყვილებს,
ჩვენთვის ამღერდა ჩაბრუნების წყვილი სტრიჰონი,
ჩვენ გვახსენებდა აღზევების ჯამთა მწერალი...

ჩვენ შევემატეთ ულამაზეს მიჯნურთა წყვილებს
და სათვალავით მეთორმეტე წყვილად დავთვალეს.
და როცა ქართლში დადგა ჯამი და იხსენებდნენ
გაქრით, წამებით, სიყვარულით ცოფქმნილთა წყვილებს,
ჩვენც გავახსენდით, ჩვენი ქებაც შეჰკადრეს თამარს.

* * *

...მე დიდხანს ვდუმდი, ვიხსენებდი გადასულ ამბავს.
ვისთვის ვეწამე, ვისთვის მოგვედი და დავიმარბე.
დათბრილ თვალებით შეეყურებდი ზეცას ღრუბლიანს
და ვიხსენებდი სიყვარულის დაკარგულ ამბავს.

მე გავაცოცხლე სიყვარულის ძველი ლეგენდა,
ფარდა აეხადე უდაბნოებს, სადაც ვეწამეთ,
სად გავიჭერთ, სად ვიცრემლეთ, სად დავიმარბეთ,
ამ ქვეყანაზე როგორ გაეძღეთ უერთმანეთოდ.

მეც სიყვარულის ჯვარზე ავედ, ვითარც ამირან,
ვითარც მზეჭაბუკ, დადაგული ხაზართა მზისთვის,
ვითარცა დავით, ვითარცა ფრიდონ, ვითარცა რამინ,
ვითარც პელოპი მხნედმებრძოლი ჰიპოდამისთვის;

ვიგეტ საბუნლოს, თავს მეყარა უდაბნოს ქვიშა.
ვეწაქე დიდხანს და თვალეზში, ჩემს დიდ თვალეზში
შევიდა სიბრძნის სილამაზე და მე დავშეგენდი,
და მე აემალღდი და მე გაეზღდი შენი რჩეული.

მე დავმარცხე შმაგ ბრძოლაში ჩემი მეტოქე,
გაგაკარ მიწას, დავადექი თავზე მახვილით,
მოგვეთეთ მკლავი და რაყიფთა დასაშინებლად
ჩემი ქობის წინ ჩამოგვიდე მისი მარჯვენა.

და მე გაემდიდრდი... გაეზღდი შენი გულის პატრონი,
ეს იყო მხოლოდ, თუ რამ ქვეყნად სიმდიდრე მსურდა,
და არა მხოლოდ მოკვდავ კაცთა, არამედ ღმერთებს—
ჩვენი გულების შეერთება ღმერთებს შეშურდათ.

აღიძრენ შურით და ჩამიქრეს წყვილი ვარსკვლავი,
შემომიქრეს ლახტი, დამიდუნეს მძლავრი მუხლები.
დამადეს მკერდზე ჩემი მძიმი მკლავების ჯვარი.
და მე დავმიწდი, დავიმარბე და დავიძინე.



დიდხანს მეძინა. დამივიწყა ლმერთმაც და კაცმაც.
საუკუნოვან სიჩუმეში და მარად ძილში
მე დავისვენე და ხელახლა ავივსე ღონით,
ავივსე შენი სიყვარულით და გავიღვიძე.

წამოვდექ ფეხზე, გადმოვლაზე ყველა მდინარე,
ყველა აღმართი ავივაკე შენი გულისთვის.
ყველა აღმართი ავიარე და აველ ცაში,
აფიცურ ზეცის სილამაზით და თეთრი სიბრძნით,
ყველა დაღმართი ჩავიარე და ჩაველ ქვესკნელს,
გაფიქვი მიწის სიყვარულით და შავი სიბრძნით,
ავივსე სიბრძნის სილამაზით და კვლავ დაემშვენდი,
და კვლავ ავმალდი, რომ კვლავ გაგხდე ბედის რჩეული.

მე ვარ ყხოვრკო. აღარ ვიცი სიკვდილის შიში,
მე მისთვის მოვედ, რომ კვლავ მოგვედ, კვლავ დავიტანჯო,
და სიყვარული, როგორც მკლავი ჩე ი მეტოქის
მ. ღლა მკვიროს ვერაგ ბტერთა დასაშინებლად!

* * *

ბნელ ღამეებში ამ დაკარგულ წიგნის მკითხველო,
შენ? შენი გული რამ ააქაო და რამ დასკალა?
ვისთვის ეწაე, ვისთვის მოჰკედი და ვისთვის იყავ,
ან რისთვის იყავ, რისთვის მოჰკედი, შენც თუ აღსდექი,
სიკვდილის შემდეგ შენც თუ მოხველ შურისათებად?
არვის ახსოვხარ, დაიკარგა შენი სახელი.
შენც დაიკარგე, არ ხარ კაცი და აღარც თიხა,
და არვის ახსოვს, მიწა იყავ თუ კაცი იყავ.

მაშ რად იცხოვრე, რად სუნთქავდი, რად დაიბადე,
თუ არ გიყვარდა, თუ არ გწაზდა, თუ არ ეწაინე,
არც გიცხოვრია, თუ არ გწაზდა, თუ არ გიყვარდა,
თუ არ ეწაინე, თუ ვერ იტყვი: წაზდა, მიყვარდა!

აღიზარ ზეგინიძე

ჩვენი ქუჩა

კარგი მოსაგონარია ყრმობის დღეები, რატომღაც გახარებს კიდევ და ნალველსაც გფენს. თითქოს მშვენიერი სიზმარი ყოფილიყოს, რომელიც სიბერეშიც არ ავიწყდება კაცს. ყრმობის წლებში განცდილი ჯაფრიც კი გულს გინათებს და სიხარულით იცქირები წარსულში.

მაგონდება ჩვენი ქუჩა, სადაც ვანვლო ჩემმა სიყმაწვილემ. ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და დროის ასეთი სიშორიდან ცოცხლად ვხედავ მას. თუმცა, რა არის ქუჩა?.. გზა?.. ქვაფენილები?.. ორ მხრივ ჩამომდგარი სახლები თავისი კარ-ფანჯრებით და

წითელ-ყვითელი კედლებით?..

არა!..

ქუჩა ქალაქის სიცოცხლის ძარღვია. ქუჩა ცოცხალი მდინარეა, რომელსაც აქვს თავისი სათავე, დიდი და პატარა შენაკადები, გზაჯვარედინები, დაბოლოს მას სჩვევია ძილი და გაღვიძება, ხანდახან გულგახსნილია და გახარებს თავისი სილალით, ხან კი მრისხანეა და ჯავრმორეული. ასეთი იყო ჩვენი ქუჩაც. იგი მამადავითის ეკლესიისკენ მიმავალი გზა არის, თხუთმეტი საუკუნის წინათ რომ დააჩნდა პირველი ნაფეხურები:

...მოდიოდა სირიელი მამა დავითი

ამას წინათ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პრესამ, მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებრივობამ გულობილად აღნიშნეს მწერალ ელიზბარ ზედგინიძის დაბადების საშობო და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი. ოცი წლის ჰაბუკი იყო ე. ზედგინიძე, როცა დაიბეჭდა მისი პირველი მხატვრული ნაწარმოები. ე. ზედგინიძე ახალგაზრდობიდანვე მუდმივ ურთიერთობაში იყო კოლმურწერეობთან, ფაბრიკა-ქარხნებთან, მწეწებლებთან, რომელთა შესახებაც წერდა მხატვრულ ნარკვევებს და მოთხრობებს. ხოლო დიდი სამამულო ომის წლებში ელ. ზედგინიძე მუშაობდა რა „ბოტე რკა“-ს სამხედრო კორესპონდენტად, ხშირად იმყოფებოდა ქერჩის, სევასტოპოლის, კავკასიის დაცვისთვის გაჩაღებული ბრძოლების მოწინავე ხაზზე და მკითხველებს უწაიბებდა თავის ცოცხალ დაკვირვებებს და შთაბეჭდილებებს საკიბო-სტორიულ სამშობლოს დამცველ მეთაართა ბრძოლებზე, მათ სიმამაცეზე და გმირულ შემართებაზე. სწორედ ეს მუდმივი უშუალო მონაწილეობა ხალხის სასიცოცხლო აზებში ჰქვებავდა ელ. ზედგინიძის კალამს. ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში ელ. ზედგინიძემ უძღვნა რომანი „მისი ამოსვლაზე“; საკოლმურწერეო მოძრაობას — რომანი „იღვიძებენ შთები“ და მოთხრობების ციკლი „დაუფიწყარი ზაფხული“; საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ფაშტ დამპურობელთა წინააღმდეგ, მისი ფრონტი და ზურგი მწერალს ასახული აქვს ნოველებში „მოურჩენელი ჭრილობა“, „სიხარული“, „კლატოზის სიკვდილი“, „ფანჯარა მესამე სართულზე“ და სხვ.

მწერალი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენი დედაქალაქის ახლო წარსულისადმი, გულწრფელად, საზოგადო და კოლორიტულად აქვს მოცემული ელ. ზედგინიძის ჩვენი დედაქალაქის მკოლრთა, უმოთარესად, ძველ მოქალაქეთა შრომა და ყოფა მოთხრობებში — „ვერცხლის ქაშარი“, „ოქროს თუმინაი“, „ლურჯი სუფრა“ და სხვ.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა და მკითხველი საზოგადოებრივობა მუდამ გულობილად ზედგებოდა ელ. ზედგინიძის თემატურად აქტუალურ და მხატვრულად გამართულ ყოველ ნაწარმოებს.

ტყე-ტყე დაღლილ-დაქანცული, თვალი მიეპყრო დასავლეთით აწვდილი მთისაკენ. ქედზე იდგა ჩამავალი მზე. წვებოდა ბინდი. შორით მოსული ეძებდა მყუდროს და მთის გულში შენიშნა ჩრდილმოფენილი წიაღი.

ნელი ნაბიჯით აჰყვა აღმართს. პირველ ბილიკს იკვლევდა ბუჩქებს შორის. შემადლებულ გორაკს ორივე მხრივ ხეეები ჩამოუდრიოდა. იყო ის მშვიერი და მწყურვალე. წყვეტდა გზად მრავლად მოფენილ შავსა და წითელ კუნელს სულის მოსათქმელად ეძებდა წყაროს. ავიდა მაღლა, შეივია და ჩამოქდა ლოდზე. გადახედა დაბლობს, სადაც მტკვარი მიიკვლევდა გზას. შეისვენა და ზე წამოადგა. ეძებდა დასავანებელს და ნახა კლდეში ქვაბი უზარმაზარი. შეესმა ამ დროს წყლის ჩხრიალი, მიმოსწია ბუჩქები და შენიშნა კლდიდან გამონაყური ნაკადული.

„სიცოცხლე ყოფილა აქ!“ — იაზრა და დაეწაფა გრილსა და საამო წყაროს. დაემკვიდრა იმ ქვაბს და „ყოველ კვირას დაუტევებდა ქვაბსა თვისსა და ჩადიოდა თბილისს საქადაგოდ ცეცხლის მსახურთა თანა, რომლითა სავსე იყო ქალაქი“...

ასე დაიბადა ჩვენი ქუჩა, რომელიც მთელ თბილისში ყველაზე ლამაზი ქუჩა იყო. ისე მიყვარდა, რომ თუ კი სადმე მოგზავდებოდი, უცხოსავით ვგრძნობდი თავს და ჩვენი ქუჩისაკენ მიმიწევდა გული. რად უნდა ყოფილიყო ის ასეთი სასიყვარულო, როდესაც მისი აღმართი ისე ღლიდა ადამიანს, რომ კაცი ოფლად იწურებოდა, ზამთრობით კი, როდესაც დათოვლებოდა და ნიავიც დაჰკრავდა, ქვაფენილები იყინებოდა და თითქმის შეუძლებელი იყო გავლა. მაინც მიყვარდა... ეს ჩვენი ქუჩით, მიიღებოდა ბარათაშვილი და ხატავდა შემოღამებას მთაწმინდაზე. ჩვენი ქუჩიდან შესცქეროდა აკაკი ჩაფიქრებულ მთაწმინდას.

ჩვენს ქუჩას ერთ მხრივ გადმოსცქეროდა ვეებერთელა ფლატე, რომელიც განუწყვეტლივ ირღვეოდა და ღორღი მოცურავდა. მეორე მხარეზე აღმართუ-

ლი იყო ხეხილით და ბუჩქებით დაფარული მთის კალთა. ასკლდ, იქლხ, მთის ვარდი, ეშმაკის ცოცხი და მისივე ჩიქილა, გვირილები და ნუშის ხეები.

მთაწმინდაზე ყოველ წელიწადს ნუშის დღეობა, — ნუშობა იმართებოდა. აირჩევდნენ ბანიან სახლს, მოიყვანდნენ დოლ-გარმონს და ბინდამდე ცეკვა-თამაშში ატარებდნენ დროს. ახალგაზრდებს ხელში ნუშის ტოტები ეჭირათ, ერთმანეთს უტეხავდნენ ყვავილოვან ყლორტებს და გაზაფხულს ულოცავდნენ. თუ ვინმეს წაყულაკი შეხედებოდა, ბედს ეწეოდა, იმ წელს ქალიშვილი გათხოვდებოდა, ვაჟი კი უსათუოდ დაინიშნებოდა.

გაზაფხულზე, როგორც ყოველთვის, წელსაც ყველა ხეხილზე ადრე ნუში აყვავდა, ბუტკოები გადაეხსნა და ღია ვარდისფერი ყვავილები გამოჰყარა. ისეთითოდნენ ეს ყვავილები, თითქოს პაწაწინა პეპლები მსხდარიყვნენ ყლორტებზე.

ახალგაზრდებს ნუშის დღეობა ერისთავის სახლის ეზოში გაუმართავთ. გარმონს უკრავენ, ცეკვა თამაში გაუჩაღებიათ, ხან ქართული, ხან ბალდადური, ხან შამილის ლოცვა. ყმაწვილები ერთმანეთს ეცილებიან. ყველას საბედოზე უჭირავს თვალი. მართლაც ეშხიანი გოგოა. იზიდავს თავისი ჩალამებული თვალებით და ასეთივე წარბ-წამწამით. მუდამ ყელმოღერებული გამოიყურება, გამოხედვაც გამომწვევი აქვს, გულში ჩამწვდომი. საბედო დედისერთაა. მამა მკერვალი ჰყავს, კარგი ოსტატი, თავმომწონე და ამაყი თავის ხელობით, ოჯახით და ნებეირად გაზრდილი შვილით.

საბედო თამამად შეიჭრა წრეში და ისე მგზნებარედ გაშალა მკლავები, თითქოს ვინმეს გული გადაუსსნაო. ლამაზი ქალის დანახვაზე შეგარმონეს ეშხი მოემატა, გარმონს ცეცხლი წაუქიდა, თვითონაც იწველებოდა გარმონის საბერკელივით.

უცნობმა ახალგაზრდამ წრე გაარღვია და საცეკვაოდ გავიდა. საბედო ღი-

მილით შეეგება, დროდადრო ცეკვით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს გულშეკრდით უნდა მიეკრასო ქალი ვაჟს, მაგრამ უცებ შეტრიალდებოდა და გაექცეოდა, თანაც ისე ესროდა მზერას, თითქოს ეუბნებოდა, თუ ბიჭი ხარ, დაძვინიო.

საბედომ უცებ შეწყვიტა ცეკვა. შეჩერდა ვაჟიც. მადლობის ნიშნად ვაჟმა ნუშის ტოტი მიაწოდა. საბედომ ტოტი ჩამოართვა, დახედა, წაქულაკი ეძება, იპოვნა კიდევ. მოწყვიტა და ფაქიზად მიიტანა ტუჩებთან.

ეზოს მეორე კუთხეში დოლი ახმაურდა. საჭიდაო დაუკრეს. უბნის ბიჭები ცაცია მიხა, ბოძანდარა ალექსა, დურგლიანთ ვასო და საშა მალაკანი საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილან. ჩოხები უბრალოა, ხაში ტილოსი, მაგრამ მაინც კოხტად მოჩანს მათი წვრილი წელი და განიერი მხრები. ბოძანდარა ალექსა დათვევით დალაჯებს, რა ქნას, ისეთი მსხვილი ფეხები აქვს ბოძები გეგონებათ.

ახალგაზრდობა საჭიდაო წრეს მიეტანა. ბავშვები ფეხებქვეშ ძვრებიან, ლამის შიგ წრეში მოიკალათონ.

— განი, განი!.. — ყვირის ცაცია მიხა და დაუზოგავად იქნევს პაერში ქამარს. ვილაკამ გაუბედავად წაიმღერა:

„ჭილაობას რა უნდა,
ფეხის გამოკერა უნდა!“

მეორე და მესამე სართულის აივნებიდან გადმომდგარა ხანში შესული ხალხი, გატაცებით შესცქერიან წრეში შექიშებულებს.

რა წააქცევს ამ ბოძანდარა ალექსას. ისე დგას, თითქოს მიწაში ფეხები გაუდგამსო. საწყალმა დურგლიანთ ვასომ ძლივს აითრია წელი, გამარჯვებულს ხელი ჩამოართვა, აკოცა კიდევ, მაგრამ ვინ იცის, გულში რა ბოლმა დაუტრიალდა!

ალაყაფის კართან შემინებულევით იდგა თათული, მეზობლის გოგო. ის მოკრძალებული ბავშვია და სხვის ეზოში შემოსვლას ვერ ბედავდა. მიწყურვავივით იცქირებოდა ჩემსკენ.

— თათული! — დაეუბნა, ნუშის შემომხედა.

— მოდი ჩემთან!..

ეზოში შემოსვლა გაეაბედინე. მორბინა.

— თათული, გინდა ნუშის ყვავილი?..

— მინდა.

— რად გინდა, თათული, ნუშის ყვავილი?

— იმიტომ.

— მაშ კარგი, რადგან იმიტომ გინდა, ახლავე მოგიტან.

ჩვენი ქუჩის თავში ბაღია გაშენებული. ბაღი ეკლესიის ეზომდე აღის. ლეკაჩეები, თელა, იფანი, ნუშიც ხარობს, ხეხილი, რომელიც მწირ მიწასაც ეგუება. ოღონდ ფესვები გაიდგას და მერე ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ამ ბაღის ეკლიან მავთულიანი ღობე არც ისე ვიწროა რომ შიგ ვერ გავეტოო. ავი ძაღლიც ყავთ, მაგრამ ვიცი ძაღლს მხოლოდ ღამლამობით ხსნიან ჭაჭვიდან. გაუქციცი, დაბარებულევით შევიჭერი ბაღში. ძაღლს გეში ეცა. დაიღრინა, დაიყვდა. არ ათავებს ყეფას. ჭაჭვიც ამაზრუნად ჩხრიალებს. მე კი ყურადღებას არ ვაქცევ. დაე, იჩხრიალოს ჭაჭვმა, იყეფოს ძაღლმა. რამდენიც უნდა იყეფოს და იღრინოს. მაშ ის ძაღლი რა ძაღლია, რომ არ იყეფებოდეს?! მე ნუშის ტოტი მინდა, საგაზაფხულოდ აყვავებული. თათულის უნდა მივეტანო, ჩემს პატარა მეგობარს!..

ნუშის ხე მოვებნე. ყვავილებით სავსე ტოტს შევწვდი, დაბლა დავწიე და რამდენიმე ყლორტი მოვტეხე. გამოვიქციე. გული ამოვარდნაზე მაქვს. ვაჭვერი ეკლიან მავთულებს შორის და სამშვიდობოზე გავედი.

— აჰა, ნუშის ყვავილი, თათული! — მივაწოდე და აღურსიანად გადავესვი თმაზე ხელი. თითქოს ძალიან დიდი ვიყავი მასზე, სულ რაღაც სამი წელი მაშორებდა მის ანაკს. მიუხედავად ამისა მუდამ უფროსის მზრუნველობით ვეპყრობოდი. ის გრძნობდა ამას და მფარველს ხედავდა ჩემში. •

უკანასკნელი წყვილი გამოვიდა საჭი-

დაოდ — ცაცია მიხა და საშა მალაკანი. ცაცია მიხამ სწორედ მარცხენა ხელით გაუყეთა გვერდული თავის მეტოქეს და ორ წუთში ჭრელ ფარდაზე გააკრა.

საშა სწრაფად წამოვარდა ზეზე, სირცხვილისაგან ანთებულს ხელახლა უნდოდა დაჭიდება, ვითომ არ იყო, მაგრამ ცაცია ხელი ჰაერში გააქნია, მიადახა:

— წაქცეული ხარ, გაჩერდი!

ხალხმაც ყიფინა დასცა. საშამ უკან დაიხია.

ალაყაფის კარი აჭრიალდა. ცაციამ იქით გაიხედა და დაინახა, რომ საბედო და უცხო ვაჟი გარეთ ერთად გადიოდნენ.

— ვინ არის ის ბიჭი? — შეეკითხა ღურგლიანთ ვასოს და ხელი კარისკენ გაიშვია.

— პირველად ვხედავ! — მოკლედ უპასუხა ვასომ.

— საიდახლაც მოთრეულა და ჩვენი უბნის გოგოს ეტორღიალება! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ცაციამ, — როგორ მოგწონს?..

— მე თუ მკითხავ, სულაც არ მომწონს. მაგის მამამ იყითხოს!..

— ჩვენ ვილა ვართ?.. უბეჭველად ძმები უნდა ვიყოთ!..

— ძმები ვართ, მაშ რა ვართ?!

ორივეს სახეზე ჯავრი დაეტყო.

მოჭიდავეებმა ტანსაცმელი გამოიცვალეს და ქვევით, ბაყლებსაკენ გაეშურნენ, ჩვენი ქუჩის შუაგულში. იქ ღვინის სარდაფიც არის, სამიკიტნოც, დუქნებიც. დამარცხებულებმა თითო კვარტი ღვინო იყიდეს. ზედ დახლთან მიდგნენ. მიკიტანმა პატარა თეფშებით თხლად დაჭირილი ყველი და პური დაუწყო, წინმატით და ბოლოკით შეუღამაზა სახელდახელო სუფრა. მუცლიანი და ოქროს ვარაყიანი ჭიქები მოუტანა და საკუთარი ხელით დაუსხა ღვინო. სადღეგრძელოებში ერთმანეთს მკლავი და ვაჟაკობა უქმს. შექიფიანდნენ, შეზარბოშდნენ და სახლებისაკენ გასწიეს.

ქუჩას ბინდი მოეფინა, მეუბოვეები უკვე ფანრებს ანთებდნენ.

ცაციამ საბედოსთან უცნობი ვაჟი შენიშნა. მათთან მივიდა. საბედოს შერცხვა და ეზოში შევარდა.

— ვინ ოხერი ხარ? — შეეკითხა ცაცია უცნობს და პასუხს არ დაელოდა, იქვე სთხლიშა ცაცია ხელი.

უცნობი აყვირდა, მუშტი მალა აზიდა, მაგრამ დარტყმა ვერ მოასწრო, მეორე მუშტი მოხვდა და ძირს დაეცა. ცაციამ წაქცეულ კაცს ხელი არ ახლო, ზევიდან დასცქეროდა ბრანზაუმცხრალი. ღურგლიანთ ვასომ ფეხზე წამოაყენა. საშა მალაკანმა ძირს დაეკარდინილი ქუდი აიღო, თვითონვე დაახურა და დარიგებით უთხრა:

— წადი, ძმაო, აქეთ აღარ გამოიხედო!..

* * *

თათული მთის კალთაზე ყოველ დღე ბატკანს ამოვებდა. მას ძალზე წყლიანა ყავისფერი თვალეები ჰქონდა. თუ თვალეებში ჩახედავდით, გეგონებოდათ ტირისო. მის თეთრსა და კრიალა პირისკანს შევნოდა ძალზე შავი თმა. ის მომხიბვლელი იყო ისედაც, როგორც ბავშვი, მოტიტინე და ამავე დროს კრძალვით სავსე.

მთის კალთაზე აჰყავდა თავისი ბატკანი, ორსამ საათს გვერდით დაჰყვებოდა. ვერა დღეობით მეც მივეყვებოდი. ორივენი ბლუჯა-ბლუჯა ვგლეჯდით მწვანე ბალახს და კალათაში ვყრიდით. რომ თათულის ბატკნისათვის შინაც წაელო.

ბატკანი სააღდგომოდ იყო ნაყიდი. შუბლზე წითელი ჯვარი ჰქონდა დახატული.

— თათული, როდის უნდა დაკლათ ბატკანი?..

— აღდგომას.

— როდის არის აღდგომა?..

— იმ კვირას.

თათულიმ არ იცოდა, როდის იყო აღდგომის კვირა, ასე გაეგონა დედისაგან და ისიც ასე გვიპასუხებდა.

— თათული!.. — მოესმოდა დედის ხმა და მაშინვე აწრიალდებოდა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — ეტიტინებოდა ბატკანს, ისიც კისერზე თოკშებმული მიჰყვებოდა გვერდი-გვერდ.

როცა ბატკანი გაუჯიუტდებოდა და რატომღაც წასვლა არ უნდოდა, ხელში ავიყვანდი და ხელით მიმყავდა. თათულის არ შეეძლო მისი ხელში აყვანა, თვითონაც ბატკანივით პატარა იყო. სახლის კართან მივუყვანდი. განა რამეს მტყუოდა, ან მადლობას, ან „მშვიდობითს“, არა. შემომანათებდა თავის წყლიან ყავისფერ თვალებს, მერე თავს დაბლა დახრიდა. ეს იყო მისი მადლობაც და დამშვიდობებაც.

თათული იმ წელს მეშვიდეში გადადგა, სკოლაში უნდა შესულიყო. მამა არ ჰყავდა. დედა სკოლაში მიბარებდას ჰპირდებოდა, ოღონდ „დედა-ენა“ არ ჰქონდა. თავის ღროზე წიგნსაც უყიდდა დედა, მაგრამ ბავშვს მოთმინება არ ჰყოფნიდა, ეძებდა წიგნს.

ერთხელ დარცხვენით მკითხა:

— დედა-ენა არა გაქვს?..

— არა.

— რა უყავი, ხო გქონდა?

— გიორგის ვაჩუქე, ხიმშიაშვილების მოჯამაგირეს.

თათული გაიხუმდა. ეწყინა. არ იცოდა რა ეთქვა.

— რად გინდა დედა-ენა, შენ ხომ ჯერ პატარა ხარ?..

— გაზადებული გაივლის, ზაფხულიც მიიღევა, მე დიდი გავხდები და ვისწავლი!

— კარგი, თათული, გიშოვი დედა-ენას, ოღონდ ეს მოთხარი, ვინ გასწავლა ეს ტიტიკი.

— ეს არ მისწავლია, ეს მე თვითონ ვიციოდი!..

მეორე დღესვე მივუტანე დედა-ენა. როგორ გაიხარა: გულში ჩაიკრა და ყვირილით გაიქცა სახლისაკენ:

— მე დედა-ენა მაქვს, დედიკო, დედა-ენა!..

აი, სიხარული!

ყოველ კვირა დილას პურზე მე მივ-

დიოდი. ჩავირბენდი თონეში, იქვე ბატარა ბაღის პირდაპირ, ყუთხეში რომ იყო და ორი შოთი პური მიმჭონდა შინ. თუ ისეთ დროს მივიდოდი, როდესაც პურები ახლად ამოყრილი იყო, მისაროდა. მეპურე, ძია შაქრო, ხელები რომ არ დამწვოდა, მკლავებზე მიწყობდა ცხელცხელ შოთებს. მკლავებს სახელოები მიფარავდა. გახარებული შევცქეროდი შოთი პურების დაბრაწულ წვერებს. ერთი მათგანი ჩემი იყო. მოზრდილები ოთხნი ვიყავით. მივიტანდი თუ არა, ყოველი ჩვენგანი მაშინვე ეცემოდა თითო წვერს და მოტეხდა. დედა გვიშლიდა:

— პურებს ნუ ამახინჯებთ! — გვიჯავრდებოდა, მაგრამ განა მას გაჯავრება შეეძლო?..

ჩვენ ჩვენსას არ ვიშლიდით.

მეხუთე ბავშვიც იყო, ვახტანგი, მაგრამ ის ჯერ აკვანში იწვა. არ იცოდა შოთი პურის წვერების გემო, არც გვეცილებოდა.

ერთ კვირა დილას, როდესაც თონიდან შოთები გამოვიტანე, მეზობლის სახლის აივნიდან ვილაც დედაბებმა დამიძახა:

— ბალოო!..

მივიხედე. მან თითო დამიჭინა და ახლოს მივედი. ქვევიდან ზევით ავხედე. მთლად შევერცხლილი თმა ჰქონდა, შუაში გაყოფილი და გულმოდგინეთ გადავარცხნილი. თვალებში შიში ჩასდგომოდა. თითქოს რაღაცაზე სწუხდოდა ცრემლიც მორეოდა, ოღონდ მის ფერმკრთალ ლოყებს ნაცრემლარი არ ეტყობოდა. მე ეს ქალი აქ ბევრჯერ მინახავს. ზის თავისთვის აივანზე და ზევით იცქირება, არ ვიცი, მთაწმინდისაკენ თუ ცისაკენ. ახლა შუბლის მარცხენა მხარეს ნაჭრილობევიც შევამჩნიე. იქნებ შუბლი სტკიოდა და იმიტომ იყო ცრემლმორეული?

— რა გინდათ, ბებო?..

— ილია მოკვდა? — შემეკითხა.

— ეინ ილია, ბებო? — მეც შევეკითხებე შემკრთალ-განცვიფრებული.

როგორღაც სიბრალულით დამხედა.

მიცქირა, მიცქირა და შებრუნდა. ორივე ხელი შემოირტყა კალთაზე. ისევე გაიხედა ცისაკენ თუ მთაწმინდისაკენ. მთაწმინდას ვერ დაინახავდა, ბალის მაღალი ნაძვები და აკაციები ფეხებოდნენ, ოღონდ მაინც იქით იცქირებოდა, მთაწმინდისაკენ, რომლის შემდეგ შიშველი მთა არის და შემდეგ ცა.

ჩვენი ქუჩის აღმართი ავირბინე.

შოთები ჯერ კიდევ ცხელი იყო. მაგიდაზე დავაწყე და ერთ პურს თავი წავატეხე. რა კარგია ეს ქართული პური. როგორ იფშენება მისი დაბრაწული ნაწიბურები. შესატანებლად არც ყველია საჭირო, არც კარაქი, სრულეობით არაფერი, ისეც გემრიელია. ცოტა ხნის შემდეგ ორივე პური თავებმომტვრეულ მთვარეებს დაემსგავსა.

პატარა ვახტანგი აკვანში წევს. ის თოთოა, ცხოვრებისა არაფერი ესმის. სულ ტირის. მიეუღდეები ხოლმე მის აკვანს და ვარწევ ვუმღერი კიდევ, იქნებ დავაძინო, რომ შევწყვიტო აკვანის რწევა. ძნელი არ არის აკვანის რწევა, მაგრამ მომაბეზრებელია, მეტადრე კვირა დღეს, როდესაც ეზოშიც და ქუჩაშიც ხალხი მოფენილია. დარბიან ბავშვები, ჩემი ტოლები, შენ კი მისჯდომიხარ აკვანს და გულისგამწყვალებლად არწევ. ვმღერი მისი ტირილის ხმაზე. მაგრამ, ეს სიმღერა კი არ არის, უფრო ბანს ვაძლევ მის ტირილს, იქნებ გავაბრუო და ჩაიძინოს. ხანდახან ბრაზიც მიპყრობს, რომ არ იძინებს და გაჯავრებული ხმასაც ვიძალღებ და რწევასაც ვუმატებ. ერთხელ აკვანი გადამიბრუნდა. კიდევ კარგი, არტახებით იყო შეკრული და არ გადმოვარდა. ვცდილობდი ვოგებზე შემეყენებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ვეჩახნდი დედას. მას კი არ ესმის, ხმა ვერ მივაწვდინე. აივანზე გასულა და მაყალს აღვივებს. შემოირბინეს ჩემმა პატარა დემა. თავზარი დაეცათ. აკვანი ყირაზე იდგა. როგორც იქნა ერთობლივად ავაყენეთ. ვახტანგი კი იჭაკება, ტირილით სკდება. ეუცნაურა, მთელი ქვეყანა გადატრიალდა! მოვსინჯეთ, ხომ არა-

ფერი დაემართა. არა, ვერაფერიც არ სტკენია. ქვეყნიერება თავისუფალია მოხვდა და ისიც გაიხუმლა.

დღეს პატარა ვახტანგი ძალზე მიყუჩებულია. სულგანაბული უჭირავს დედას და ნანას უმღერის. ხელში აძინებს.

— რა დაემართა? — ჰკითხა მამამ.

— არ ვიცი, სულს ვერ ითქვამს. ვერც თვალს ახელს!... — შესჩივლა.

მამამ ვახტანგს დახედა. ცუდად ენიშნა და სიმწარისაგან ღრმა ნაფაზი ჩაისუნთქა.

— ახლავე უნდა მოვნათლოთ!... — თქვა გადაწყვეტით.

ეს სახელი ნათლობამდე შევარქვეით. ორი ძმა მყავდა ვახტანგი. ვერც ერთმა ვერ იცოცხლა. სამი-ოთხი წლის იხოცებოდნენ. ეს მესამეა, ესეც ვახტანგი. ესეც კვდება. მამას მაინცა და მაინც უნდა ვახტანგი ჰყავდეს შეილი.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მამადავითის ეკლესიიდან დეკანოზი ჩამოიყვანეს. დიაკვანიც მოჰყვა. მას მხარზე ემბაზი ედო. დედამ ცხელი წყალი დაახვედრა, ბავშვი ემბაზში უნდა ჩასვან.

— იქნებ შეგვრჩეს, ნუ დავარქმევთ ვახტანგს! — ჯავრიანად ჩაილაპარაკა მამამ.

— კარგი, ვახტანგს ნუ დავარქმევთ! ოღონდ შეგვრჩეს! ცრემლების წმენდით დაეთანხმა დედა.

ეს ამბავი მთელმა ეზომ გაიგო. მეზობლები შემოვიდნენ. კარებთან მომდგარან ბავშვები. თათულიც აქ არის. ის ოთახში შეუმჩნეველად. შემოცოცდა და კუთხეში აიტუხა. გაოცებული დგას. მე მიცქერის. იცის, რომ მე გულთბილად მოვექცევი ნამდვილი მეგობრები ვართ. ერთად დაგვყავს საბალახოდ ბატკანი. დღესაც კვირაა. ალბათ იმიტომ მოვიდა რომ ფერდობზე წავყვი.

— როგორ არის ვახტანგი? — ხმაღაბლა მკითხა.

— იმას ვახტანგი აღარ ჰქვიან.

— რატომ?

— ახლა ის ბიძინაა.

— ბიძინა? — ჩურჩულით გაიმეორა.

— ხო, ბიძინა.

— როგორ შეიძლება ვახტანგი და ბიძინა...

— შეიძლება, თათული, შეიძლება.

— დაუწყებე და გარეთ გაიყვანე. — წადი, ბატკანი წაიყვანე, მე მოვალ იქ. — დაეპირდი.

თათული ფეხაკრებით გავიდა ოთახიდან.

ბიძინამ თბილ წყალში სული მოითქვა. გამოიხედა, ხელებიც კი აათამაშა.

— ეყოფა, ამოვიყვანოთ — თქვა დედამ.

— იყოს, იყოს! — არ დაანება მამამ. — ხედავ, ესია მოენა. მოუხდება.

მართლაც მოუხდა, გამოკეთდა.

დედა და მამაც გამხიარულდნენ.

უფლება მომეცა ქუჩაში გამენავარდა.

მერე რა კარგია ჩვენი ქუჩა. კვირა დღეობით!

ხალხი გარეთ არის გამოფენილი. თითქმის ყოველი სახლის ფანჯარა ღიაა. ფარდები გადაწეულია. რაფებზე ყვავილებს დგამენ. სამუშაოზე არავინ მიდის და თავთავიანთი კარის წინ სხედან ხანში შესული მამაკაცები.

ბაზრიდან მოდის საბედოს მამა. უკან მოჰყვება კურტნის მუშა, რომელსაც ზურგზე ვეებერთელა პირლია კალათა ჰკიდია. ლურჯი ბაღდადი უჭირავს ხელში. ფრთხილად მოაქვს ნუგბარი ხილი — ახლად შემოსული მარწყვი, საბედო მისი ერთად ერთი ქალიშვილია. მას შეხარის, მას იფიცებს, ის არის მისი წარსულიც, აწყობა და მომავალიც. წინა კვირას საბედო მაჭანკლით გაათხოვა. ისე იქეიფა, რომ ჯერაც ვერ გამოფხიზლებულა. დღეს სიძეს მოელის სტუმრად. მის სუფრას არაფერი დააკლდება. ამ დილას მთელი ბაზარი შემოიარა. სანოვავე საკუთარი გემოვნებით იყიდა. ისეთ მწვადებს შეწვავს, რომ ცრემლებივით სცვივოდეს სიმსუქნის წვეთები. სახანდარიც დაიგულა, ისინი მის ოჯახში გაჩაღებული

ქეიფის დროს დაკვრით და სიმღერით მოულოდნელად შევედნენ. საბედოს მამამ თავმოყრულად გადახედა მესობლებს. ღიმილით მიესალმა ყველას. ღიმილითვე უპასუხეს სალამზე. გახარებულა. შვილი გააბედნიერა. ვაჟაკის ქუდი ახურავს. ეზოში შევიდა და კურტნის მუშა ფეხდაფეხ შეჰყვა.

წყნეთელი გლეხი სახედარს მოერეკება.

ბავშვები შემოეხვივნენ უზარმაზარი გოდრებით დატვირთულ სახედარს.

აგერ ის ბებო, დილას რომ გამომელაპარაკა. გამალებით მოდის. დალილია, მაგარმ მინც მოიჩქარის. ხანდახან უკან იხედება, ხომ არავინ მოჰდევსო. ის თავიდან ფეხებამდე შავებით მოსილია. მხოლოდ თეთრი თმა ვერცხლის ზოლად მოუჩანს შავი თავშალის ნაპირებიდან. ახლოს მივედი, რომ დავეენახე. დამინახა კიდევ. ოღონდ ვერ მიცნო. ერთი წამითაც არ გააჩერა ჩემზე თვალი. თითქოს არასოდეს არ ვეინახე. მაშ დილას რატომ შემეკითხა ილია მოკვდაო?... ხომ შემეკითხა?... არ უნდა დავმასწოვებოდი? ხომ დამიძახა: ბალო!... „რა გინდათ ბებო?“ — ეს მე ვუპასუხე. რატომ გადააიწყდა?... „ვინ ილია, ბებო?“... ესეც მე ვკითხე. ესეც გადააიწყდა. რას იზამ. არ დაეხსომებივარ. გვერდი ამიარა, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. თანაც უკან იხედებოდა, ხომ არავინ მომდევსო. წადი, ბებო, წადი, ოღონდ ნუ ჩქარობ. ნელა წადი, დიდი აღმართია, დაიღლები!...

ჩვენს ეზოში მოხეტიალე ჯამბაზები შემოვიდნენ. ბავშვები მათკენ გაიქცნენ: არა თუ ბავშვები, მოზრდილებიც. მე ესენი ნანახი მყვანან, მაგრამ დღესაც ვნახავ. რვა წლის ბიჭუნამ მიწაზე პატარა ფარდავი გაშალა და იქვე ხელყირა გააკეთა, მერე ჰაერში დატრიალდა. ათიოდე წლის გოგონა კი უკან გადაიხიჩქა და მიწამდე თავი დახარა. ფეხებს შორის თავი გაჰყო და ისე წამოდგა. ბავშვები ძალიან გამხდრები იყვნენ, თხელ ტანსაცმელში ლაგოები და

ნეკნები მოუჩანდათ. მოხუცი კაცი ყუ-
რადღებით ადევნებდა თვალს. ბოლოს
ქუდი მოიხადა და ფარდაზე დადო.
მოზრდილები სპილენძის ფულს უყ-
რიდნენ. შეიღირვა კაპიკი შეგროვდა.
შვილიშვილები ლუკმა პურს აქმევდნენ
პაპას!

შუადღე გადავიდა. მზე მთაწმინდის
წვერზე იდგა და ეთხოვებოდა თბი-
ლისს. მთის კალთებზე ჩრდილი გაწვა.
წავიდნენ პატარა ჯამბაზები. წყნე-
თელმა და დიღმელმა გლეხებმა მაწე-
ნისა და ნახშირის ძახილით ჩაატარეს
თავიანთი სახედრები. თანდათან სახ-
ლეში გაიკრიბნენ. მიიხურა ფანჯრები.
აქა-იქ ბავშვები დარბიან, რომლებს-
თვისაც მშობლებს არ დაუძახიათ, არც
მე მეძახიან. ისევ გარეთ ვარ.

საბედოს მამა ქუჩაში გამოვიდა. ის
ტანადი კაცია. დინჯი, დარბაისელი. ამ-
პარტავენული გამოხედვა აქვს. ასეთია
ბუნებით. მის სამკერვალოში ხუთი თუ
ექვსი ქარგალი მუშაობს. დიდ ხალხ-
თან აქვს საქმე. ვის არ უყერავს ტან-
საცმელს. უბნის ბოჭაულს მაგან შეუ-
კერა ლურჯი მუდის ტანსაცმელი.
ქარგლებს არ ენდო. თვითონ შეუყე-
რა. ცუდად შეკერავთ და შემარცხვენ-
თო. ფული არ გამოურთმევია. ნისიად
შეუკერა, მასზე არ დაიკარგებო. რო-
დესაც ბოჭაულს ზომას უღებდა თავის
ნებაზე ატრიალებდა. ხან ხელები გაა-
წევიანა განზე, ხან თავ-კისერი ააწევიანა
მალა, ბუქნაც გააკეთებინა. შარვა-
ლი ლაჯებში თავისუფლად გქონდესო.

გამოვიდა და ქუჩას გასცქერის
მოუსვენრობს. პატარა ჩიბუხი უჭი-
რავს ხელში და ხელის გულზე ირტ-
ყამს... თამბაქო უნდა ჩატენოს და მო-
სწიოს, მაგრამ თამბაქოს ქისა შინ და-
რჩენია და მხოლოდ ჩიბუხს ბერტყავს.
ვიდაც ქალი მიუახლოვდა და რაღა-
ცას ეკითხება.

მან წამით ყური მიუგდო და ცივად
უპასუხა:

— არა, არ მინახავს, ახლახან გამო-
ვედი სახლიდან.

— პატარა ბიჭო, შენ ხომ არ გინა-

ხავს შავებში ჩაცმული მოხუცი ქა-
ლი, აი, ასეთი... ქალარა...
ვით, მოხუცი!

საბედოს მამას ეცინება. „იქ ბებრე-
ბი ბევრი დადიან“, — თავისთვის ჩა-
ილაპარაკა. დაცინება ჩანდა მის გამო-
თქმაში, ოღონდ მისთვის არ უგრძნო-
ბინებია. თავისთვის ჩაილიმა. ეს სიტყ-
ვებიც თავისთვის თქვა. მას სხვა დარ-
დი ჰქონდა. ქვევით იცქირებოდა, ქვე-
ვით, ბალისკენ. ისეთს კი ვერაფერს ხე-
დავდა, რომ დამშვიდებულყო.

— მე ვნახე, ძალო, მოხუცი ქალი.
თეთრთმიანი. თავშალი ეხურა ბეჭებ-
ზე!

— საით წავიდა?

— ზევით, მთაწმინდაზე. დიახ, ვნა-
ხე. ზევით მიდიოდა, უკან-უკან იხე-
ლებოდა. იქნებ თქვენ გეძებდათ, თქვენ
კი ახლა მოდიხართ.

— შენ გაიხარე, შვილო!...

— რა იყო, ძალო?..

— შინ არ ვიყავი და გამოპარულა.
ბევრი ვეძებეთ. ვერსად ვნახეთ. ავად-
მყოფიან...

— დიახ, მე ვნახე. აი, იქით, ზევით
წავიდა!

ქალმა ფეხს აუჩქარა. სირბილით
სურს აღმართის ავლა, მაგრამ ეტყობა
გული არ ერჩის. ხშირად ჩერდება. და-
ვედევნე, უსათუოდ იმ ქალს ეძებს,
ბალოო, დილას რომ მითხრა.

— წამოდი, ძალო, მე გაპოვნე-
ნებთ.

მივდივართ, ქალი ძალზე დაილაღა,
ძლივს მოაბიჯებს. მე კი მივრბივარ. და-
ვიღალეო, ამბობს ის ქალი და ქვავე
ჯდება. ვაგჩერდი და ვუცდი. ძალიან
მინდა ვნახო ის მოხუცი, შუბლზე ნაჭ-
რილობევი რომ აჩნია, თეთრი თმა
რომ მოუჩანს, ნამტირალევი თვალე-
ბით რომ მომაცქერდა დილას. ჩემს პა-
სუხზე ხელი რომ ჩაიქნია, მერე ორივე
ხელი რომ შემოირტყა კალთებზე.

ქალმა შეისვენა და წამოდგა.

— წავიდე.

— დიახ, წავიდე. ის იქ იქნება.
სხვაგან ვერ წავიდიოდა. სხვა გზა არც

არის. თუმცა, არა, სხვა გზა არის. მაგრამ ის ვერ ივლის იმ გზაზე. აი, მე შემოდლია ორმოვებზე გადავხტე, ჩაქცეულ ბილიკებზე ჩავცურდე, ბუნქებში ვავძვრე, ის კი ვერა, ხომ იცით, მოხუცია!...

დროდადრო მაცქერდება. ვერ ვხვდები ჩემი ლაპარაკით ვართობ თუ ვაწუხებ.

ეკლესიის ეზოში შევედით. კიბეებზე ავედით თუ არა, მაშინვე მარჯვნივ გავუხვიეთ. ქალს სახე გაუნათდა.

— ოლა, ოლა!... — დაიძახა და პირდაპირ მისკენ გაიქცა.

მოხუცი ქალი ილიას საფლავზე იჯდა. თავი ისე ღრმად ჩაერგო კალთაში, რომ სახე არ უჩანდა. შეიძლება ეძინა, იქნებ ქვითინებდა კიდეც. ქალმა მოხუცს მხრებში ხელი მოჰკიდა და ფრთხილად შეარხია. მოხუცმა ნელა ასწია თავი.

— გავწყდით შენი ძებნით! — სამღურავით უთხრა ქალმა და წამოაყენა.

მოხუცი აპყვა მის ნებას, წამოდგა და გამოჰყვა კიდეც.

დამნაშავესავით მივეყვები უკან.

აი, თურმე ვინ ილია?...

„კაკო ყაჩაღის მამა... ზაქროს მამა... გაბროს მამა... ჩვენი მამა!... ვინ ილია, ბებო?... ვერ მივხვდი, ბებო, ცხელი შოთები მეჭირა, ხელები მეწვოდა, თანაც ძალიან შეჩქარებოდა შოთი პურის თავის მოტეხვა!... ვერ მივხვდი, ბებო!“...

დაბლა ჩავედით.

„შენ გაიხარე, შვილო!“ — სიხარულად დამრჩა უცნობი ქალის სიტყვები. ნელა ჩაიარეს ქვევით, სვენებ-სვენებით მიდიოდნენ, ოდნავი ბარბაცით. დიდხანს გავცქეროდე.

საბედოს მამა ისევ იქ დგას, ისევ გასცქერის ქუჩას. ახლა უკვე ჩიბუხი უნთია. აბოლებს. ვიცი, სტუმრებს მოვლის. მთელმა ქუჩამ იცის, რომ დღეს სიძეს ელოდება. სიძე კი არ მოდის. განა ჩვენს ქუჩაზე მეზობლებს ერთმანეთის ამბავი გამოეპარებათ?!...

ფეხაკრეფით შევედივარ შინ. დედას

თვალეებში შევცქერი. არაფერს ვკითხავ. ისეც მივხვდები როგორც *ქართული* მძინა. ის აკვანში წევს. *ავევანს* არწევს. ეტყობა სძინავს... დედა კერძს მისხამს. მეორე ოთახიდან მოისმის მამის ხანგრძლივი ხველება.

დაბინდებისას ჩვენს ქუჩაზე მუშები მოდიოდნენ. საბედოს მზითვი, რომელიც ზურნა-დუღუკით წაიღეს, ჩუმად მოიტანეს უკან. ქალიც უკან გამოაბრუნეს, მაგრამ შინ მოსული საბედო არავის დაუნახავს, აღარც ქუჩაში გამოჩენილა. აღარც მამამისი გვინახავს. ისინი მეორე დღესვე სხვა უბანში გადავიდნენ, სადღაც ნავთლულის ბოლოს. ასე გავარდა ხმა ჩვენს ქუჩაზე.

მეორე დღეს მთაწმინდაზე ღრუბლები დიდიდანვე წამოიშალნენ. შუადღისას უცებ ელვის ნაპერწკლები აენთნენ. სინათლე დაიკლავნა, გაისრიალა და სადღაც ვადაიკარგა, თითქოს აფეთქდაო ცა. მერე წვიმა წამოვიდა, ღვართქაფი რეცხდა მთის კალთებს. მოჰქონდა ღორღი, ქვები და კლდის ნატეხები. ცა ინგრეოდა, ნანგრევები ეცემოდა მთას და ღრინაცილი ვაკქონდა ხვევად გადაქცეულ ჩვენს ქუჩას.

— თათული!...

ძლივს ისმოდა უსაშველო ხმაურში. მაღლა მიიწვიდა ეს ძახილი. ეს იყო თათულის დედის ხმა. ატალახებულნი წყალი მუხლებამდე სწვდებოდა მას. ის მიდიოდა მთაწმინდის მარცხენა კალთისკენ, დიდი კაკლის ხის ზევით, საბალახოსკენ, სადაც თათულის საძოვრად მიჰყავდა თავისი ბატკანი.

ნიაღვარს მოჰქონდა ქვები, ლოდები, ძირგამხმარი მოგლეჯილი ბუჩქები.

ისევ გაისმა თათულის სახელი.

ნიაღვარი კი სულ იფოფრება, თვალუწვდენი სიმალიდან მოშუთის და მოარღვევს ქუჩას.

— თათული, თათული! — კვლავ ჩამესმის დაძახილი და გარეთ გავრბივარ.

უცებ ამტყდარი ავღარი უცებვე წყნარდება. ცხრება ღრუბლები. ცხრება ნიაღვარიც. გამოჩნდა გზა, მთა, ცა...

— ვაიმე! — დაიკვირეს მთებმა.

დღდას შეილი ხელში ეჭირა და დაღმართზე მორბოდა. ბავშვს თავი გვერდზე გადავარდნოდა, თვალები დაეხუჭა, ყბები მტკიცედ ჩაკვროდა ერთმანეთს.

ოთახში შევირბინე და ბალიშის ქვეშ სახე დავსაღე. არაფრის დანახვა არ მინდა, არაფრის გაგება. ვაი თუ აღარ არის თათული, წყლიანი თვალებით რომ შემომცქეროდა, მფარველი რომ ვეგონე, მაღლობას რომ არ მეუბნებოდა...

მომდევნო კვირას აღდგომა იყო. დაკლეს შუბლზე წითელნიშნის ბატკანი და თათული უფალს შეავედრეს.

ეკ, უფალო!...

ცული წელი იყო ათასცხრას თოთხმეტი წელი!...

ომი დაიწყო. ახალგაზრდებს ჯარში იწვევდნენ. ლურჯი ბილეთები მიიკრეს მკერდზე და ხელიხელ გადახვეულნი, შემთვრალნი და შეზარხოშებულნი სიმღერით დადიან. სიმღერით ემშვიდობებოდათ თბილისს, საყვარელ უბანს, თავიანთ ქუჩას.

და მოკვდა დღეები დღეებს, თვე თვეს. ჩვენს ქუჩაზე მაინც მოდიოდნენ წყნეთელები თუ წაჯისელები, მათ სახედრებს კვლავაც ეკიდა გოდრები და ხურჩინები, ისმოდა კიდეც დაძახილი: „მაწონი!“ „შეინდი!“ მაგრამ ნაღველი იგრძნობოდა ამ ხმაში. ხანდახან ჩვენი ქუჩის რომელიმე ღია ფანჯრიდან მოულოდნელი ტირილიც ისმოდა.

დადგა ზამთარი. ფოთლები შეახმა და დასცვივდა თელას, იფანს, ლეკა ხეებს. გაიძარცვა ნუშის ხეხილი. დაიბოვლა ჩვენი ქუჩა. გადათეთრდა მთაწმინდა.

იანვრის მზიანი დღე იყო. ჩვენი ქუჩით დილიდანვე მოდიოდა ხალხი. მთის ორივე კალთაც ხალხით იყო გამოჭედი-

ლი, მაგრამ ისეთი მღუმარება რდგა, როგორც მხოლოდ დიდი მღუმარებები ღროს იცის.

მამას მკერდზე ძაძა უკეთია. დგას ისიც მღუმარედ და თავჩალუნული შესცქერის ხალხის უღვევლ დენას.

პროცესიას ერთი შავგვერდმანი კაცი გამოეყო და ჩვენკენ გადმოვიდა. ხელში ჯოხი ეჭირა, გახსნილი პალტოს ქვეშ უბრალო შავი კოსტუმი ეცვა. ასეთივე ფერის შლიაპა ეხურა.

— გამარჯობა! — მიესალმა მამას და ხელი ჩამოართვა.

უცნობ ძიას შევხედე. თვალები შავად ჩავარდნილი ჰქონდა, შუბლი ყვითლად მოუჩანდა და ოფლის წვეთები ესხა ზედ. ჰქონდა შავი უღვაშები. პატარა წვერებით ქვედა ტუჩისკენ ოდნავ დაშვებული.

— ეკ, იროდიონ! — გამოეპასუხა მამა, — აკაკი აღარ გყავს!...

პატარა ხანს ხმაამოუღებლივ იდგნენ.

— დაიღლებოდი. ცოტა შეისვენე. დიდი აღმართია ასავლელი! —

— სულ აღმართი არ არის ჩვენი ცხოვრება?! —

— ნაღვლიანად წარმოთქვა უცნობმა ძიამ.

— სწორი ხარ, სწორი!...

— ერთს კი ამოვისუნთქავ! — გაისმა ისევ ნაღვლიანი ხმა. სუნთქვაც გაიხსმა, რომელიც ოხერას ჰგავდა. გული ამოკვდა თან.

მან ჯიბიდან თეთრი ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო. ოფლი შეიწმინდა. — შენ არ წამოხვალ? — კითხა ბოლს გულთბილად.

— როგორ არა!

ერთად გაემართნენ ზევით...

ხალხის დინებას ბოლო არ უჩანდა.

ჩვენს ქუჩაზე მოღელავდა საქართველოს მწუხარება!...

ბონრო კეხეავე

სიზმარი იყო ოცნების მსგავსი,
მოულოდნელი სიზმარი იყო.
ის ღამე ახლაც მიმაფრენს ცაში,
ის ნეტარება ვით დავივიწყო.

არ შეგელოოს, მინდა მფარავდეს
სიკეთე მისი ენით უთქმელი.
იაროს ჩემთან აწ და მარადის
ვარ იმ წუთების მონა მიმრქმელი.

მან დამამწვიდა და გამამაგრა,
გამისალისა სიცოცხლის ეშვი.
მე ავთანდილი არა ვარ, მაგრამ
ავთანდილივით ვმღეროდი ტყეში.


შეგბას გულისას ვგრძნობდი იმ ხმაში,
ოცნებით სადღაც შორს, შორს
წასული.

ო, ერთხელ ისე მამღერა ცხადში,
დამძიმებული, რომ დაცხრეს სული.

მე მწამდა ლექსი და მეწამება,
ლექსი განცდილი, აზრით ნათელი.
ვექახი სიტყვას ჯვარცმას, წამებას,
ლექსს თუ არ ახლავს თან ქრუანტელი.

დამწვიდებელი სული, დაწყნარებული გული.
მენატრებოდა ჭაბუკს და მერთმეოდა რული.
ის დრო წავედა, ჩნდება გულის ახალი წყლული.
და მენატრება ახლა ის ბობოქარი სული.

ის ეშხი, თრთოლვა, ალიონზე კვლავ საესე თასი,
ის ღელვა სულის, ის გუგუნი მკერდში გულისა.
დღით-დღე ნელდება, მრჩება სახე მრავალთა მსგავსი,
წლებიდან უღვთოდ დაღ დასმულს, შერისხულსა.



თამაზ ჭილაძე

გ ა ფ ხ უ ლ ი

ლუკა სახლის ქვის კიბეზე იჯდა და
ლელვის ხეს უყურებდა.

„პატარა რომ ვიყავი, ამ ხეზე ასვლა
ყველაფერს შერჩინა“, — ფიქრობდა
ლუკა: დაებერდი... არა, კი არ დაებე-
რებულვარ, მაგრამ...“

აქამდე არასოდეს უფიქრია, თუ რა
ჩქარა გაიბნინა დრომ. კაცმა რომ
თქვას, არც კი იცოდა, დრო რა იყო.
ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შე-
ოდგომა — აი, ერთადერთი საზომი,
რომლითაც ლუკა დროს ზომავდა. წე-
ლიწადის ოთხი დრო... წელიწადი გარ-
ბის, შენ კი ერთიდან მეორეში გადადი-
ხარ. ზოგში დიდხანს გინდა დარჩენა,
მაგრამ...

აი, თუნდაც ეს ზაფხული. ლუკას რომ
ჰკითხო, რას იტყვი, სულ რომ ასეთი
ზაფხული იყოსო, პასუხად ამოიხსრებს
მხოლოდ.

არა და, არასოდეს ასეთ კარგ გუნება-
ზე არ ყოფილა ლუკა. განა რამე შეიც-
ვალს, განა ისეთი რამ იპოვა, რომ მისი
დაკარგვა ეშინოდეს, არა, არც არაფერი
უპოვია, არც ახალი რამ გაუგია. ვერც
კი გეტყვით, რატომ უნდა, რომ სულ ეს
ზაფხული იდგეს.

მაინც და მაინც ეს ზაფხული!

— ლუკა, განა ყველა ზაფხული ერ-
თმანეთს არ ჰგავს?

— შენი არ მიკვირს, კაცო?

ეს არის და ეს. მეტს ვერაფერს ვიპა-
სუხებთ. ადრე შემოდგომის მოსვლას
მოუთმენლად ელოდებოდა ხოლმე. შე-
ოდგომაზე ხელმეორედ ვიბადებო, —
ამბობდა. წელს რა მოუვიდა?

ლელვის ხის ძირას ლუკას ხუთი წლის

ბიჭი — უჩა თამაშობს. ლუკას სამი ბი-
ჭი ჰყავს. ორი უკვე თავის გზას ადგია.
დაოჯახებულები, ცალკე ცხოვრობენ.
უფროსი — ამირანი თბილისში ცხოვ-
რობს, მსახიობია. შუათანა — გურამი —
აგერ ცხოვრობს, ა, იმ ჭადრის იქით. თუ
რამე საქმე აქვს, ლუკა შვილს აქედან
ეძახის ხოლმე:

— გურამია, უ-უ!

ხანდახან ისეც დაუძახებს, უსაქმოდ.
მისი დანახვა მოენატრება.

უჩა ნაბოლარაა. ღმერთო შეგცოდნე
და ყველა შვილს კი, მგონი, ურჩევნია.
არა, კი არ ურჩევნია, ეცოდება — პატარაა.
თავზე ხელს რომ დაადებს, გული
ამოუფდება ხოლმე, ისეთი თოთო თავი
აქვს უჩას. უჩა რომ დაიბადა, ცოტა
ყველას გაუტკირდა: რა დროს მაგათი
შვილი იყო, მუხლზე შვილიშვილები
უსხედანო. ლუკამაც უთხრა ცოლს:

— რა დაგვემართა, ქალო, ეს?

მაგრამ მერე წამით რომ წარმოიდგე-
ნდა, რა იქნებოდა, უჩა რომ არ მყო-
ლოდაო, გული გადაუტრიალდებოდა.

— უჩა, — კი არ ეძახის, თავისთვის
ჩუჩხულებს ლუკა და ელიმება.

ბავშვმა თამაშს თავი დაანება და მა-
მას მოხედა.

„ა, გაიგონა, ვენაცვალე, გაიგონა“...

— მამა, ხეზე ამსვი რა! — ეძახის
ბავშვი.

ლუკას წამოდგომა ეზარება. ისეთი
დღეა, თითქოს გრილ, სურნელოვან
წყალში ზის და რომ გაქანდეს, ყველა-
ფერი გაქრება: წყალიც, ლილეც-
უჩაც...

— ახლავე, — ამბობს შემკრთალი
ლუკა — ახლავე...



მეგრამ ადგილიდან მაინც არ იძვრის. ბავშვი მოთმინებით უცდის, ალბათ, იცის, თუ რას ნიშნავს მამის „აბლავე“.

ლელვის ძირას წითელი მამალი მობრძანდა. მამალს აბესალოში ჰქვია. ლუკამ დაარქვა. აბესალოში რა ხნისაა, აღარავის ახსოვს. მზეზე ისე ბზინავს, თითქოს ტანზე სველი საღებავი უსვიაო.

მამალმა ზის ძირას მიყრილი ნაცარი ნისკარტით გაქექა და მერე უჩას შეაჩერდა.

— აბესალო, აბესალო! — გაუხარდა ბავშვს მამლის დანახვა.

აბესალოში ბავშვს ახლოს არ ეკარება. თითქოს პატარებთან თამაშს უკადრისობსო.

„შემოდგომაზე მოკვდება, — ფიქრობს ლუკა, — კი, შემოდგომაზე უსათუოდ მოკვდება. აბა, კაცი ხომ არ არის! ამდენხანს ზოგი კაცი ვერ ცოცხლობს, ბატონო...“

ლუკა დანაღვლიანდა. თვალნათლივ დაინახა შემოდგომის ნაცრისფერ წვიმაში გაფანტული მამლის წითელი ბუმბული.

უბოში გაბმულ თოჯნე ლუკას ხალათი ჰკიდია. გახუნებული, ხაკის ხალათი. ეს ხალათი ლუკას ჭარიდან ჩამოჰყვა. აგერ რამდენი წელიწადია ხმარობს პატრიოსნად.

„შემოდგომაზე აღარ ჩაიკმევა, — ფიქრობს ლუკა, — აწი დასაკერებელი ადვილიც აღარ დარჩა და...“

„ჯადოჭრის ხელი კი აქვს ეკას, — განაგრძობს ფიქრს ლუკა — ამდენხანს მაინც როგორ ვააძლებინა!“

უცებ გული შეუტბა. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა ეკაზე ფიქრს დაიწყებდა.

„მეც მაგან არ გამაძლებინა? ამდენხანს!“

„დედაბერო, — ელიმება ლუკას, — ეუდიანო დედაბერო...“

გათავდება ეს ზაფხული და შემოდგომაც მოვა. მერე...

„რა გაუფუფუნებს, — შეუწყრა ლუკა

თავის თავს, — ჯერ საღ ხარ, მე კაცო...“

მერე ეს ზაფხული მართლაც მდნნარესავით გაუთავებელი წარმოიდგინა. წამით დაიჯერა, რომ სულ ცოცხალი იქნებოდა. არასოდეს გაუთავდებოდა ყანის შრიალი, ლელვის ხე, უჩას თამაში. ეკას ხმა და უთენია მამლის ყვირილი.

ლუკა ფეხზე წამოდგა და დაიძახა:

— აბესალოში! აბესალოში!

უჩამ მოიბრძინა. სახეგაბრწყინებული მამას ცოტა ხანს უხმოდ უყურა. მამა ილიმებოდა და რალაცას ფიქრობდა. მერე ბავშვმა სინუშე დაარღვია:

— მამა, ჩიტები მომეცი, რა!

ლუკა გამოერკვა:

— კი, შვილო, აბლავე ჩამოგიტან.

ლუკამ კიბე აირბინა, ოთახში შევიდა, მავიდიდან პატარა ყუთი აიღო და უჩას გამოუტანა. უჩამ ყუთი ჩამოართვა და გაიქცა.

— შორს არ წახვიდე! — დააწია ლუკამ.

ბავშვს მომღერალი ყუთი თავახდელი მიჰქონდა. თვითონ სიმიინდის ყანაში არც კი ჩანდა. პანგი კი მთელ მიდამოს ეფინებოდა.

ბავშვს ყუთი ქალაქიდან მამ ჩამოუტანა. მამ დილით ადრე ჩამოვიდა. უჩას ჯერ კიდევ ეძინა. თვალი რომ გაახილა, საწოლთან მიდგმულ სკამზე ის ყუთი დაინახა. ყუთი ყვითელი ჩიტებით იყო მოხატული. ბავშვი ჩიტებს დიდხანს უყურებდა. ჩიტებს ნისკარტები გადაეჯვარებდებინათ და წითელი. პრილა თვალებით ბავშვისკენ იხედებოდნენ. მერე ბიჭმა ხელი გაიშვირა და ყუთი სკამიდან აიღო, ლოგინზე წამოჭდა და ყუთს სახურავი ახადა. კინალამ ხელიდან გაუვარდა, რადგან უცებ ყუთმა სიმღერა დაიწყო. მერე ბიჭს გაეღმა. ამირანი ჩამოსულაო, — გაიფიქრა და გაუხარდა.

ახლა უჩა სიმიინდის მაღალ ყანაში მიბიჯებდა. ყანა ვატრუნულიყო, თითქოს მომღერალ ყუთს უსმენდა.

ლუკა ისევ კიბის საფეხურზე იჯდა.

ჰანგი ეტლის ეყვანივით ნელ-ნელა შორდებოდა და იწრიტებოდა.

უჩა არ ჩანდა, მაგრამ ლუკა მაინც ხედავდა. უფრო სწორედ, ხმაზე ხედებოდა, ბავშვი სად იყო.

— დღეზე არ გადახვიდე, — დაუძახა ლუკამ, — დაბრუნდი ახლა, უჩა!

ჰანგი ცოტა ხანს კიდევ ისმოდა და მერე უეცრად შეწყდა.

ლუკამ ყური მიუვლო. არა, ნამდვილად აღარ ისმოდა. სამაგიეროთ ქრიკინას ხმა გაიგონა.

— უჩა! — დაუძახა ლუკამ.

ქრიკინი უფრო გაძლიერდა. ლუკა ფეხზე წამოდგა:

— უჩა!

მერე ეზო გადაჭრა და ყანაში შევიდა.

მიდიოდა და ფიქრობდა, რა დაემართა ნეტავი?

უჩა ლელის პირას, ბაღის მხარეს უფრო ახლოს უფრო დაედო, ნიკაპი ხელზე დაეხვინა და ყუთს შესცქეროდა.

— უჩა!

ბავშვს არ მოუხედაია, ხელით ანიშნა. გაჩუმდით.

ლუკა ახლოს მივიდა და ბავშვის გვერდზე მიწაზე დაჯდა.

— რა იყო, მამა? — ჰკითხა ჩურჩულით ბავშვს.

ბავშვმა ამოხედა, ცისფერ თვალებში ფიქრი გასჩენოდა.

— ისვენებენ, — უბასუხა ჩურჩულით, — ჩიტები ისვენებენ...

თ ო ვ ღ ი

— მართლა გაყინულა, — თქვა მაკამ, — ნახე, როგორ გაყინულა!

ხილზე ქარი უბერავდა. ვაჟამ პალტოს საყელო აიწია, ნიკაპი და ცხვირი კაშნეში ჩამალა, მართლ თვალებიდა უჩანდა.

მდინარეს თითქოს თოვლში დასძინებოდა და ზედ სუდარა წაეფარებინათ. მაკამ დაიყინა, მითხრეს მტკვარი გაიყინა, გინდა თუ არა ვნახოთო. ვაჟას გაყინული მტკვარი ვერ წარმოედგინა.

ხიდი შორიდან გამოცვლილი მოეჩვენათ, მდინარის სიჩუმემ თუ შეაქროთო.

ქარიც მდინარეს ეძებდა.

— იქნებ არ გიყვარვარ, — თქვა მაკამ ჩუმად, თითქოს ვაჟას არ ეუბნებოდა.

— რა?

— იქნებ არ გიყვარვარ-მეთქი. იქნებ გგონია, რომ გიყვარვარ. მე კი...

— მაკამ!

— მე კი... გაჩუმდი, არაფერი მითხრა, არ მინდა.

— ჩუმად ვარ, რა დაგემართა?

— გაჩუმდი. ხედავ, როგორ გაყინულა მტკვარი?

— ვხედავ.

— ვერაფერსაც ვერ ხედავ.

ვაჟამ გაიცინა, მაგრამ სიცილი ტუნებზე შეეყინა, თითქოს ქარმა პირზე ფრთა დააფარაო.

— ნუ იციანი.

— მითხარი, რა ვქნა და ისე მოვიტყევი.

— ცოტა ხანს გაჩუმდი. თუ გცივა. წავიდეთ.

— შენ არ გცივა?

— მცივა. ვიყინები.

— წავიდეთ?

— არა. მაცალე.

მაკა უცებ მოუტრიალდა და მკერდზე მუშტები დაუშინა:

— არ გიყვარვარ! არა! არა!

თან თითქოს იცინოდა, მაგრამ თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

— რა გატირებს?

— ვინ გითხრა, რომ ვტირი?

— ვხედავ.

— სიცივის ბრალია. ეს ლა მაცალია, ვიტყვიო.

— კარგი, წავიდეთ, გაიყინე.

— ჰო, ვიყინები, — თქვა მაკამ.

ისევ დაუშინა მუშტები, ახლა უკვე ხმაბალა იცინოდა. ვაჟა ამ სიცილმა

შეკრთო, თითქოს ყინულის წკრილი გაგონოს.

მაკას ხელი დაუჭირა.

— რა ვქნა, ვაჟა? — უთხრა მაკამ გამოცვლილი ხმით, — რა ვქნა? მე ხომ შვილი მყავს? ღმერთო, რას იფიქრებს, როცა გაიგებს. ხომ უსათუოდ ვაიგებს, ამის დამალვა არ შეიძლება. არა, არა, ასე მგონია, მთელმა ქვეყანამ იცის. იმას ხომ არ ვეტყვი, რომ მიყვარხარ. ვერ მიხვდება, პატარაა...

მერე ისევ გაიცინა და ხელის ზურგით ცრემლი მოიწმინდა. მის წამწამებზე უცებ მზის სხივი გაბრწყინდა და მამინვე ჩაქრა.

— რა სისულელეს ვამბობ.

მერე ისევ აუკანკალდა ხმა:

— ის მაინც ვიცოდე, რომ შენ ნამდვილად გიყვარვარ...

ვაჟამ დაუყვავა:

— წამო, გენაცვალე. წავიდეთ. არ ვაპყვდე.

— არ გავცოდები, ნუ გეშინია, არ, გავცივდები... იმიტომ რომ ვიყინები.

მერე უცებ სახე შეეცვალა და მაკაცრად უთხრა:

— აღარასოდეს არ დამირეკო, მაინც აღარ შეგხვდები... აღარასოდეს.

გატრიალდა და გაიქცა.

— მაკა! — დაუძახა ვაჟამ.

მაკას არ მოუხედაია. შეშინებულობით სწრაფად და უშნოდ გარბოდა. დათოვლილ აღმართზე დიდხანს მოჩანდა მისი მწვანე თავსაფარი...

ერთი თვე ისე გავიდა, ვაჟას მაკა აღარ უნახავს. რამდენჯერმე დაურეკა, მაგრამ ყურმილი სხვამ აიღო. „იქნებ სადმე წავიდა?“ — ფიქრობდა ვაჟა.

თებერვალში წვიმები დაიწყო. გადაულებლად წვიმდა დღე და ღამე, დღე და ღამე. ვაჟამ გული ვერაფერს ველარ დაუღო, ადგილს ვერ პოულობდა.

„რადგან არ უნდა, არ დავურეკებ. აღარც შეგხვდები, რა კი არ უნდა...“

მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, იქნებ მართლა არ მიყვარსო.

„იქნებ არ მიყვარს და ვატყუებ. იმა-

საც ვატყუებ და ჩემს თავსაც. მინდა, რომ მიყვარდეს, მინდა! მერე მათხვარი“...

მერე წარმოიდგინა, რომ მაკას აღარასოდეს აღარ ნახავდა. გული დაუცარიელდა, ისეთი სევდა შემოაწვა, სად გატყუდიყო, არ იცოდა. სად უნდა წასულიყო? ვანა ფიქრს სადმე დაემალებოდა? ოთახში წრიალებდა, არაფერს აღარ აკეთებდა. ყველაფერი, რაც აქამდე დაეწერა, სისულელედ ეჩვენებოდა, ისეთ უმწეობად, რომ რცხვენოდა, ყველასი რცხვენოდა, ვინც კი მის მოთხრობებს კითხულობდა.

„ალბათ, დამცინიან. მე კი მგონია, რაღაცას ვაკეთებ...“

საწერი მაგიდა შეიჯავრა. ოთახში რომ შევიდოდა, ცდილობდა იქით არ გაებედა.

„ყველაფერი თავიდან უნდა დავეწერო, სულ თავიდან. ნეტავ შეიძლებოდეს გამოცხადება, რაც აქამდის დავწერე, ჩემი არ არის-მეთქი. რომ შეიძლებოდეს, ყველა წიგნს ერთად მოვგაროვებდი და დავწვავდი“.

მაკას მისი მოთხრობები არ მოსწონდა. ეუბნებოდა, ასე წერა არ შეიძლება. შენი მოთხრობა ენის მოჩლევას გავსო. მართალია, მაკა, მართალია! ალბათ, თუმცა არ ეკამათებოდა, გულში მაინც არ ეთანხმებოდა. ლაპარაკის დროს ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, რომ მაკას წყენა არ შეეტყო. მაკას რომ დამორღებოდა, ბრანს ველარ მალავდა. არ ესმის, არაფერიც არ ესმისო, — ფიქრობდა. ახლა მაკა აღარ ჰყავდა. თითქოს ერთი სიცოცხლე დამთავრდა. ახლა მეორეს უნდა შედგომოდა, შორიდან ცარიელ სახლს რომ ჰგავდა. თავისი ზურგით უნდა მოეთრია ავეჯი და ის სახლი ავესო, კედლებზეც ახალი სურათები უნდა დაეკიდა. ახალი ნაცნობების სურათები.

ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ თუ არა, მაკა დედასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. შვილიც თან წამოიყვანა, რვა წლის ბიჭი.

— ასე სჯობია, — თქვა მაკამ, — მე სხვანაირად არ შემიძლია, უფლება არა მაქვს, გესმის!

სანდრომ არაფერი იცოდა, ვერც ვერაფერს ხედებოდა. დედასთან მაკას წასვლამ გააკვირვა, სახტად დარჩა. რატომ? — ეკითხებოდა ცოლს, — იქნება რამე დავაშავე, მითხარი. — არა, არაფერი არ დაგიშავებია, — სევდიანად ელიძებოდა მაკას, — არ დაგიშავებია...

— მითხარი, ნუ მიმალავ. იქნებ ჩემდა უნებურად... აბა, რით ავსნა...

— კარგი, სანდრო, ახლა თავი დამანებე. მერე გეტყვი, ყველაფერს გეტყვი.

— კი მაგრამ, რას გეტყვი, რა არის ისეთი, რომ ვერ ვხვდები?

— ვერ ხვდები... კარგი, სანდრო...

— რა ვქნა, მაკა, ჩვენებს რა ვუთხრა?

— ნურაფერს ნუ ეტყვი...

„ჩვენებს რა ვუთხრა?“ — აი, რა აფიქრებდა სანდროს. არა, სანდრო ვერაფერს ხედებოდა. მას მაკა უყვარდა, უყვარდა ისე ძლიერ, რომ დაბრმავებული ვერაფერს ხედავდა. სანდროსთვის მაკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, მისი მოშორება საშინლად მტკივნეული იქნებოდა მისთვის.

„ბიკს მარტო ძილი არ შეუძლია“, — ესმოდა მაკას სანდროს დედის ხმა.

სანდროს მაკას მკერდზე თავმიდებულს ეძინა. ბავშვივით უზრუნველი სახე ჰქონდა და მშვიდად სუნთქავდა. ხან მისი სუნთქვა სულ არ ისმოდა ხოლმე. მაშინ მაკა შეკრთებოდა, წამოიწყო და სანდროს დახედავდა: სანდროს წითელი, სქელი ტუჩები ჰქონდა, ძილის დროს წამოებურთებოდა ხოლმე, თითქოს სადაცაა დაუბტვენსო. მძინარეს თუ დახედავდი, მიხვდებოდი, ბედნიერი რომ იყო. მაკას სანდრო ეცოდებოდა. ეს იყო ერთადერთი გრძნობა, რომელიც სანდროს მიმართ ჰქონდა. ასე, უმწერო ბავშვი გეცოდება ხოლმე. სანდროს კი მაკა უყვარდა, არაფერს ზოგავდა მისთვის, თვალეში შეკუთრებდა.

მაკას ანებივრებდნენ. ოჯახში საქმეს ახლოს არ აკარებდნენ. ერთადერთი მისი საქმე ბავშვი იყო. ამ სასიამოვნო მო-

ვალუობასაც გადიას უყვოდა. გალია ბავშვს თითქმის დედასავით უყვარდა. — „ნუთუ არ შეიძლება შემოვიყვარო თვითონ გავხაროდო?“ — „არა, დედა, — ეუბნებოდა დედამთილი, — შენ სანდროს მიხედ, ბავშვს ჩვენ მოუფელიო...“ მაკას თავი რომ წამოსტკივებოდა, მაშინვე ეკიმთან გაარბენინებდნენ. რა უნდა გამოჩენილიყო — კაბა თუ ფესსაცმელი — მამამთილს რომ არ ეყიდა მამამთილი ცნობილი ეკიმი იყო, შეძლებულად ცხოვრობდა.

მაკა სიღარიბეში გაიხარდა. მამა არ ახსოვდა. მამის სახელის ხსენებას შინ ყველა ერიდებოდა. ბებია წამოიტირებდა ხოლმე, — ასეთი რა დააშავე, შე უბედურ დღეზე გაჩენილო, ასე რომ დაგკარგესო. შინ მამის სურათიც კი არ ჰქონდათ. მაკამ არც კი იცოდა, მამამისი როგორი იყო. მერე ბებია მოკვდა. მამის გამოუცნობი დანაშაულის სიმძიმე კი ბავშვს გონებაში ჩაეჭვდა. რომ წამოიხარდა, იგრძნო — ამხანაგებიც ერიდებოდნენ მასთან მშობლებზე ლაპარაკს. მერე ერთ დღეს გამოუცხადეს. თურმე მამა უდანაშაულო ყოფილა. სრულიად უდანაშაულო.

„ღმერთო, — ფიქრობდა მაკა: ღმერთო ჩემო, სრულიად უდანაშაულო!“

სანდროს მშობლები ასე რომ ანებივრებდნენ, მაკას პირველად ეპვიც შეეპარა — იმ შეცდომის გამოსწორებას ხომ არ ცდილობენო. თითქოს შეცდომის გამოსწორება შესაძლებელი ყოფილიყოს. „კი მაგრამ, თქვენ რა შუაში ხართ? — ფიქრობდა მაკა, — თქვენ ხომ არავითარი ბრალი არ მიგიძღვით?“ — ამ ფიქრს რომ გაკვეებოდა, უცებ საზარელ კითხვას მიადგებოდა: იქნებ? ცოტა ხანს ასე ფიქრობდა, მერე თავს გააქნევდა, თითქოს ზედ შემოხვეულ გახურებულ ჯაჭვს იშორებდნენ: „არა! არა! შეუძლებელია ესენი მამას არც კი იცნობდნენ!“

გვიან მიხვდა, რომ მათ ზრუნვას უფერო სხვა მიზანი ჰქონდა: „სანდროს მარტო ძილი არ შეუძლია“

„მიყიდეს, — ფიქრობდა მაკა, — ისე

ვე, როგორც ბრა ან რეფლექტორი...“
სანდრო ამას ვერ ზედებოდა, მას მა-
კა ნამდვილად უყვარდა. უყვარდა ვუ-
ლუბრყვილო, ძლიერი სიყვარულით.

მაკა კონსერვატორიაში სწავლობდა.

— სწავლას თავი უნდა დავანებო, —
თქვა ერთ დღით.

— რას ამბობ? — შეიცხადეს ოჯახ-
ში, ხალხი რას იტყვის. ნიჭიერი გოგო
ხარ. კონსერვატორია დაამთავრე და მე-
რე...

— რა მერე, მერე რა იქნება?

— მერე... მერე გამოჩნდება...

— რა?

— რა ვიცი...

— სტუმრები რომ მოვლენ, დავუკრა
არა?

— მაკა! — სანდრომ ისეთი თვალე-
ბით შეხედა, მაკა გაჩუმდა. ასე ჩუმდე-
ბოდა სულ. სიჩუმე ნელნელა ზავსივით
ელებოდა მის ფიქრს, ოცნებას, წარმო-
დგენებს.

სანდროსი რა ბრალი იყო! ცოლქმა-
რი რომ არ ყოფილიყვნენ, სანდრო, აღ-
ბათ, მისი მეგობარი გახდებოდა. მას
კეთილი, მიმნდობი გული ჰქონდა. ამზა-
ნაგებესაც უყვარდათ. საავადმყოფოში,
სადაც ის ექიმად მუშაობდა, მასზე კა-
რგის მეტს ვერაფერს გაიგონებდით.
უიმისოდ კი ვერსად ვერ ძლებდა. ეს
იყო სწორედ მაკას რომ აღიზიანებდა.
სანდროს ბავშვობაში თვლებიანი ეტლი
ჰქონდა. სანამ სიარულს ისწავლიდა, გა-
დია ასეირნებდა. რომ წამოიზარდა, სკო-
ლაშიც გადიას დაჰყავდა. მერე დედას,
რომელიც ერთი წამითაც გვერდიდან არ
იშორებდა შვილს. „მე და სანდრო ნამ-
დვილი მეგობრები ვართ“. — ამბობდა
მაკას დედამთილი. ახლა სანდროს მან-
ქანა უყიდეს, გვერდით მაკა მოუსვენს,
— „ცოლი რომ გვერდით ეყოლება,
ფრთხილად ივლის“.

— უმადური ვარ, — ამბობდა მაკა, —
აღარ იციან, რა გამოიკეთონ, როგორ მა-
სიამოვნონ, მე კი რას ვლაპარაკობ! მა-
დლობის მაგიერია...

ვაკა ჩუმად უსმენდა.

— არ უნდა გიყვებოდე, არა! მამ, ვის
კუთხარა? დედაჩემს ამის უფლება
არ უნდა. უმადური ვარ, უმადური
მერე უცებ გაბრაზდებოდა და იტყო-
და:

— არაფერი არ მინდა, არაფერი...
ვერ ვიტან...

აი, ერთი თვე ზედებოდა, რაც მაკა არ
უნახავს. ერთი თვე, წინათ ვერც კი წა-
რმოიდგენდა — დღე ისე გასულიყო,
მაკა რომ არ ენახა, ან ტელეფონით არ
ელაპარაკა მასთან. მაკა შინ ურეკავდა
ხოლმე. სალომე სამსახურში იყო და ვა-
ქას თავისუფლად შეეძლო მაკასთან ლა-
პარაკი. ახლა ტელეფონი რომ დარეკა-
ვდა, წინასწარ ზედებოდა, რომ ეს მაკა
არ იყო, თითქოს მაკა განსხვავებული
ხარით რეკავდა. ამ ხარს ვაქა მთელი
არსებით გრძნობდა. ტელეფონი კეთხე-
ში დაბალ მაგიდაზე იდგა, ზღვის ცალ-
თვალა, კუშტი ცხოველივით გაყუჩებუ-
ლი.

— „სანდრო კარგი ბიჭია, სანდრო ძა-
ლიან კარგი ბიჭია. — ესმოდა ვაქას მა-
კას ხმა:

ჰგონია, რომ ბედნიერი ვარ...“

ვაკა ტახტზე იყო წამოწოლილი და
სიგარეტს ეწეოდა, თიხის საფერფლე
მკერდზე ელო.

„რა ექნა, — ფიქრობდა ვაკა, — იქ-
ნებ მე თვითონ დავურეკო?“

ტელეფონის ყურმილი სხვას რომ
აელო, მაშინ რა ექნა, ისევე გაჩუმებუ-
ლიყო? იქნებ თვითონ მაკა მოსულიყო
ტელეფონთან. მაშინ? ზვეწნა დაეწყო?
ზეწნა მაკასთან არ გასჭრიდა. ვაკა მას
კარგად იცნობდა.

ერთ დღეს, როცა ქუჩაში სეირნობდა,
გადაწყვიტა, აი, ახლა დავურეკავო. გას-
ტრონომთან ტელეფონის ჯიხური იდგა.
ჯიხურში ვილაც მაღალი გოგონა კის-
კისებდა. ყურმილი ორივე ხელით ეჭი-
რა, რომ გაიცინებდა, მოიშორებდა
და ვაქას გამოზედავდა, თითქოს ვა-
ქამ იცოდა, რატომ იცინოდა. ვაკა
მოთმინებით უცდიდა. რატომღაც უნ-
დოდა, გოგოს დიდხანს არ გაეთავებინა
ლაპარაკი. გოგონა კი ვაქას აშკარად

ებოდიშებოდა: „კარგი ახლა, გამიშვი, ავტომატიდან ვრეკავ, ხალხი მიცდის...“ მერე ვაჟამ დაინახა, გოგონამ ნაცნობივით რომ გაუღიმა, ლაპარაკობდა და თან ვაჟას თვალს არ აცილებდა, უღიმიოდა. ვაჟამ გვერდზე გაიხედა. ამ დროს ჯიხურის კარი გაიღო და გოგონა გამოვიდა: — გამარჯობათ, — უთხრა ვაჟას და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ? — ვაჟას ხმაში ვაჟვირვება დაეტყო.

— ვერ მიცანიო? — გოგონას მთელი სახე უცინოდა.

— ვერა... თუმცა, — დაიბნა ვაჟა.

— არა, ნამდვილად ვერ მიცანიო. ასე უნდა? თქვენ ნოდარი არა ხართ?

ვაჟა მიხედა, რომ გოგონას სხვაში ეშლებოდა.

— ნოდარი...

— იმ დღეს კინოში არ გამიცანიო, დაგავიწყდათ? ნანამ გაგვაცნო ერთმანეთი. ახლა სწორედ მას ველაპარაკებოდი.

— ნანა...

— თქვენ კი თურმე როგორი ყოფილხართ, ნაცნობებს არ ესალმებით.

— კარგად ვერ ვხედავ, — გაეღიმა ვაჟას, — სათვალე შინ დამჩნა.

— მოიგონა! სათვალე რომ არც მაშინ გეკეთათ?

— სწორეთ იმიტომაც ვერ გიცანიო... გოგონამ ცოტა ხანს იცინა, იკისკისა, ცოტა გაეპრანჭა კიდევაც, მერე გამოეთხოვა და გაიქცა.

„ხო, ნოდარი ვარ, — ფიქრობდა ვაჟა, — ნეტავი მართლა ნოდარი ვიყო. ნოდარი მაკას არ იცნობს, არ უყვარს...“

აღარ დაურეკია. მთელი დღე ქალაქში დადიოდა და ფიქრობდა, — „მართლა სხვა რომ ვიყო, სულ სხვა...“

ეს ერთი თვე თითქოს ბურანში ცხოვრობდა. საგნებს მისთვის სიცხადე ჰქონდათ დაკარგული, თითქოს ესიზმრებოდა, თითქოს ყველაფერი სიზმარი იყო. ხმებიც საიდანდაც, შორიდან მოესმოდა, თითქოს მინის გაუმჟვირვალე კედელი ხელს უშლიდა მკაფიოდ გაეგონა. ამ კედელს კი დაამსხვრევდა, მაგ-

რამ უცნაური მოთენთილობა, მის სხეულს ობობას წებოვანი ატეხილობით რომ შემოხვეოდა — არ უშვებდა. არ უშვებდა... არ უშვებდა...

მთელი დღე გაშტერებული ტელევიზორს შესცქეროდა. ვანა ხედავდა, ვანა ესმოდა, რასაც ვადმოსცემდნენ? არა. იჭდა და ცარიელი თვალებით უყურებდა. სალომე ვერაფერს ამჩნევდა. თუ ამჩნევდა და უჭრადღებდას არ აქცევდა. მან ხომ ყველაფერი იცოდა! „უცნაურია, — ფიქრობდა ვაჟა, — უცნაური...“ თითქოს უნდოდა სალომეს დაენახა, ეგრძნო, მიჩვედრილიყო, ჩხუბი აეტეხა. ეტერა. იქნებ ეს გარინდება გამკრალიყო.

არასოდეს ამინდის ბიუროს ცნობებისთვის ყური არ მიუგდია. ახლა კი მოუთმენლად ელოდებოდა, რას იტყვოდნენ. აინტერესებდა, სად როგორი ამინდი იდგა. ამინდის ბიუროს ცნობებს ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს სჯეროდა რომ დიქტორის ერთფეროვან, დინჯ და მოწყენილ ხმაში მაკას კივილს გაიგონებდა: „ვიყინები!“

ყველგან ციოდა. თოვლი მოდიოდა რუსეთში, დიდი ყინვები იდგა. ციმიბრის აღმოსავლეთ ნაწილში. თოვდა სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში. წვიმიდა ზღვის სანაპიროზე. წვიმიდა და თოვდა. თოვდა და წვიმიდა. ციოდა.

სალომე კი თითქოს ვერაფერს ხვდებოდა. ღამით, როცა ვაჟა სინათლეს აჭრობდა, მკერდზე მის მხურვალე, ათართოლებულ ხელს გრძნობდა და მისი დახუთული, ცხელი ჩურჩული ესმოდა: ვაჟა... ვაჟა...

ვაჟა კი სიბნელეში თვალთა იწვა და ფიქრობდა:

„ზღვაზე წვიმს... წვიმს... ზღვაზე წვიმს...“

ეს იყო უცნაური, აქამდე უცნობი ტკივილი. ეს ტკივილი ვაჟას რატომღაც ყოველთვის ტელეფონს ახსენებდა. შავი ტელეფონი უზარმაზარი თეთრი თვალთ უზაროდ იცქირებოდა, თითქოს დაყრუვდაო.

როცა მკაცრად, ტელეფონს სულ სხვა ხმა ჰქონდა, თითქოს აქამდე მოვლემარე, — უცებ ფიზიკურად.

„ვაჟა, — ამბობდა მკაცრად — მკაცრად...“

თოვლა მთელ ქვეყანაზე, თოვლგარეული წვიმა ეცემოდა ნაცრისფერ ზღვას, ევკალიპტებს.

„უსათუოდ ზღვაზე წავალ. — ვადაწვივია ვაჟამ, — წავალ...“

წამოდგა, სიბნელეში კედელთან ხელის ფათურით მივიდა, სინათლე ანთო და მერე კარადიდან პატარა ჩემოდანი გადმოიღო.

სალომეს თავზე საბანი წაეხურა და ეძინა.

ვაჟამ ჩემოდანს სახურავი ახადა და ახლა კარადის ზემო თაროდან პერანგები, წინდები და სვიტრი გადმოიღო. ყველაფერი ეს ჩემოდანში ჩაყარა. მერე მავიდიდან ტოლსტოის „კაზაკები“ აიღო და ისიც ჩემოდანში ჩადო.

„რამე ხომ არ მავიწყდება?“

— ვაჟა, სად მიდიხარ? — მოესმა სალომეს ხმა.

ვაჟას არ მიუხედაია, ისე უპასუხა:

— ზღვაზე.

— ახლა?

— ხო.

— მერე იცი, რა დროა?

— ხო.

— არაფერიც არ იცი. ახლა სამი საათია. რომელი მატარებლით მიდიხარ? სალომეს სიცილი წასკდა. სალომე სულ იცინის, ყველაფერზე იცინის. ჯანმრთელი გოგოა.

— ხვალ წავალ, — თქვა ვაჟამ.

— ჩალაგებასაც ხვალ მოასწრებ. დაიძინე. რა მოგივიდა, ზღვა დაგესიზმრა? სალომემ კიდევ უფრო ხმამაღლა გაიციინა:

— ზღვა დაგესიზმრა ხომ? როგორი იყო, ლელავდა?

მკაცრად თოვლში გაიციინა. ათი წლის წინ. მაშინ ვაჟა მკაცრად ღრანგულს სწავლობდა. მკაცრად თქვენს მთელს წლის იყო. ხანდახან იმ ოთახში, სადაც ვაჟა მეცადინებოდა მკაცრად გამუდმებით შემკრთალი, გამუდმებით ვაოცებული

თოვლები შემოანათებდნენ და მაშინვე გაქრებოდნენ. ვაჟა ყურადღებებს არ აქცევდა, მკაცრად ზღვაზე იყო.

ერთ თოვლიან დღეს ვაჟას სადარბაზო კართან მკაცრად შეეფეთა. ვაჟა დედამისთან მიდიოდა სამეცადინოთ. მკაცრად ხელში ნოტების შავი მუყაოს აბგა ეჭირა. ვაჟამ თავი დაუქრა და კიბეს აუყვია. „უკაცრავად!“ — მოესმა მკაცრად ხმა. ვაჟა შეჩერდა. „ტროლინებსამდე ვერ მიმაცილებთ? მეშინია, ქუჩაში ბიჭები გუნდებს ისვრიან“. ვაჟას გაეღიმა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მკაცრად მკლავში ხელი გაუქვარა.

— ვახსოვს?

— მახსოვს, — იცინოდა მკაცრად, — როგორ არ მახსოვს. იმ დღეს აბგა ვანგებ მეჭირა. ნახევარი საათი სიცილეში გელოდებოდი.

— მე კი დედაშენთან დამავიწყდა. ვერც ვუთხარი, რატომ დავივიწყებ.

— ვიცი.

თოვს.

თოვლი უხმოდ ეფინება ქალაქს. ვაჟა ახლა მთელ ქალაქს ხედავს — მოედნებს, ხილებს, ძეგლებს. ქალაქი ცარიელია, თითქოს შიგ არავინ ცხოვრობდეს.

თოვს.

ვაჟა ცარიელ, დათოვლილ მოედანზე დგას. მოედანზე შავი, მკვეთრი ზოლია გავლებული. ეს მისი ნაფეხურებელს კვალაა. მოედნის თავში დიდი საათი ანათებს. საათი რეკავს. ვაჟა ითვლის, მაგრამ საათი აღარ ჩერდება, რეკავს და რეკავს. ვაჟას გაბრწყინებული ფიფქები მხრებზე ეფინება, ხედება, რომ საათის ხმა თოვლად ქცეულა და თოვს გაუთავებლად.

„ვიყინები, — ესმის მკაცრად ხმა, — შენ კი გეშინია.“

„რისი?“

„გეშინია... იმიტომ რომ არ გიყვარვარ...“

„ვაჟა! ვაჟა!“ — ეძახის სალომე.

ვაჟა თვალს ახელს. სალომე სარკესთან ზის და თმას ივარცხნის.

„ნეტავ რომელი საათია?“

საწოლთან, პატარა მაგიდაზე ვაჟას მაჯის საათი წიკწიკებს.

— ვაჟა, შე მივდივარ, გვიან დავბრუნდები. ჩემს მოსვლამდე ხომ არ წახვალ? — სალომეს ტუჩებით თმის დასამაგრებელი უჭირავს, ისე ლაპარაკობს, თითქოს კბილი აკლდეს.

„სად უნდა წავიდე?“ — გაიფიქრა ვაჟამ, მაგრამ სალომეს ხმა არ გასცა.

„რა კარგია, რომ ოთახში თბილა. — ფიქრობს ვაჟა; — გარეთ კი წვიმს“.

— მთელი ღამე შე მეძახდი.

სალომე წამოდგა, თავისი თავი კიდევ

ერთხელ შეათვალიერა სარკეში, მიევიდა და ვაჟას საწოლზე ჩამოუვარდა.

— ასე ვიყვარვარ?

მერე გადაიკისკისა, დაიხარა და ვაჟას ლოყაზე აკოცა, უცებ წამობტა და გაიქცა:

— დამაგვიანდა, ნახვამდის.

სალომე რადიოს მხატვრულ გადაცემათა რედაქციაში მუშაობს. უთენია გარბის, შინ გვიან ბრუნდება, სამსახური ძალიან მოსწონს.

„სად უნდა წავსულიყავი, — გაიფიქრა ვაჟამ, — ნეტავ სად მინდოდა წასვლა?“



სხვა კვანძები

ზღვა და ოცნება

ფერმილედული, სუსტი, გამხდარი,
დამწყობრებული, მაგრამ კეთილი,
სიზმრად — კაპიტანად ბევრჯერ
გამხდარა,
სიცხადით მუდამ გულდაწყვეტილი. —

ის ნავსადგურზე იდგა მოწყენით,
ქუტავდა ფართო, ნაღვლიან თვალებს,
გაურკვეველი რაღაც ოცნებით
და აუხსნელი ფიქრებით მთვრალი.

როგორც ტყვილი ან როგორც კორი,
მის უკარგავდა ყოველთვის ხალისს.
უსამართლობა — ვეება ზღვარი
სინამდვილის და ოცნებებს შორის.

ო, უცნაური მიზეზი ცრემლის,
როდესაც ზღვაზე უხმოდ და ჩქარა
შორს მიმავალი ქრებოდა გემი
აუხდენელი ოცნების დარად.

ცის დასავალთან დარწმუნლ ზანძარს
ერთვოდა გემის მაღალი ანძა —
ზუტად იქ, სადაც მზე დაქანცული
უკვე ნახევრად იყო დასული.

ის დიდხანს იდგა, ვით მეზღვაური,
ბაგეზე გრძნობდა მარილის გემოს,
და შორეული ზღვების ხმაური
მოჰქონდათ გვიან შემოსულ გემებს.

მოულოდნელი და უეცარი
დარდით ხვდებოდა სუყველას,
რადგან
მისთვის წუთითაც არვის ეცალა —
მეზღვაურები გარბოდნენ სადღაც.

და პოულობდნენ საოცრად მალე
მათკენ იმედით მოპყრობილ თვალებს
და ვნებიანად კოცნიდნენ ქალებს
მოწყურებულნი სიათბოს და ალერსს.

არ ბრუნდებოდა უკან არცერთი —
იკარგებოდნენ ქუჩებში ჩქარა,
და, გარინდული, შურით გასცქერდა
რატომღაც უცებ ძილგამკრთალ
ქალაქს.

რაღაცას ჩემად უხსნიდა მეშა
ყოველთვის მტრულად განწყობილ
გუშავს.
ბავშვი კი უკვე მწყურალად და ქუშად,
თავჩაქინდრული მისდევდა ქუჩას.

მერე ის დიდხანს ნაცნობი ხიდის
ბოლოში იდგა — მწუხარე საბით;
უკან ზღვა იყო უსაზღვროდ დიდი,
წინ კი — საოცრად პატარა სახლი.

მაინც უხმოდა, უხმოდა ისევ,
ეხიდებოდა უზომოდ დაღლილს
უკანასკნელი იმედი მისი:
სიზმრების მყუდრო სამეფო —
სახლი.

ბავშვობავე ჩემო, ჩემო ოცნება!
შენ ვერ მიავენ ზღაპრულ გასაღებს...
ვერ გაგიტაცეს ანგელოზებმაც —
უცხო კუნძულზე ვერ დაგასახლეს.

შენ მიგაფრენდა სურვილი მძაფრი
ზღვების იქით და ღრუბლების ზემოთ,
მაინც ვერ გასციდი მშობლიურ
ნაპირს,
გაწბილებულ კოლუმბო ჩემო.

ვერ მოესწარი შორეულ აისს,
ვერც ხმელთაშუა ზღვით გაოცებას.

შენ კარგი ბავშვი იყავი მაინც
გაცრუებულს ჩემს ოცნებას
საქართველოში

ს ა მ ა მ ი ე რ ო

ო, გათენებავ! მე მახსოვს დღემდე
ის დილა ბრძნული და მაგურის,
როგორც ძველი და უთქმელი სევდის
და უმეცრების სამაგიერო.

როგორც კი მწვერვალს მზე მოეფინა,
დაცურდა ჩრდილი მთებიდან ბარად
სადმე ზღვას პირას ქალის
მხრებიდან
დაცურებული პერანგის დარად.

და გამკვირვალე ნისლეზში მცურავ
ტყის სიდიადე და ყრუ ბგერები
ეხამებოდნენ ბუნების სურათს
მთელი თავისი მძვინიერებით.

ისინი ტბილად მიღლიდნენ ფიქრებს
და მაგერებდნენ უხმოდ და ძალით,
რომ ასწლოვანი ხეების იქით
იყო სამყარო მყუდრო და წყნარი.

მე არ შემეძლო მეფიქრა უკვე
ძველ ტკივილებზე, რადგან ვიცოდი,
რას მძალეზდა სივრცე და შუქი
თვალწინ დარწმულ მარადისობის:

„მხოლოდ სიკეთეს ჩაწვდი
ბოლომდის —
დაუმორჩილე ზრახვა და ვნება...“
მე არ შემეძლო არ ავეოლოდი
გულგრილ ბუნების კარნახს და
ნებას.

მაგრამ მე უცებ ტკივილით ვიგრძენ
ბუნების დიდი უჩამართლობა:
ეუფლებოდა გონებას სიბრძნე,
რომელიც ძლიერ ჰგავდა დათმობას.

წარმოვიდგინე მთელი სიცხადით
და დავგმე, როგორც ცხოვრება
მშვიდი,
სიბრძნე, რომელიც გამორიცხავდა
მოუსვენრობას, სწრაფვას და
ჭიდილს.

გადავიფიქრე და ვერ გავანდე
ბუნებას ძველი სევდის მიზეზი...
და აღმართ-აღმართ ჩემს გზას
დავადექ
სულ ახალგაზრდა, მაგრამ ფხიზელი.

გაბუ მახარიშვილი

ქ ა რ ე ზ ი

გაჩენის დღიდან,
გაჩენის დღიდან,
ქარებს არა აქვთ კერა და ფუძე...
იბადებიან ქარები მშვიდად
და ფეხს იდგამენ სწრაფად და უცებ.
არ ჰყოფნით არე,
არ ჰყოფნით არე,
აშრილებენ ჩრდილებს და ლანდებს
და ახალგაზრდა
ლონიერ ქარებს
მსოფლიოს მოვლის სურვილი ანთებთ.
ხანძარს და კოცონს,
ხანძარს და კოცონს,
აძლიერებენ ფრთების შეილით, —
ქარებში ცოცხლობს,
ქარებში ცოცხლობს,
თავისუფლების მძაფრი სურვილი.
ძლიერი ლტოლვით,
ბორცვით, თარეშით
ქარები კლდეებს შლიან ფენებად...
და ქარებს ჰქვიათ მიწის ალერსი,
და ქარებს ჰქვიათ მიწის ფერება.
მათ შეუძლიათ აფრენა ზღვისა
და არ უსმენენ პორტის მოლოდინს...
ქარებში ღვიძავს,
ქარებში ღვიძავს,
ათას სიაცეს და სიბოროტეს.
მოგზაურობენ ყველგან და დიდხანს
დაუსაბამო ფიჭრით მიზნებით...

თითქოს ამ ქვეყნად დაჰკარგეს ვიღაც
და დაეძებენ გაფაციცებით.
დარღს იქარვებენ,
დარღს იქარვებენ,
თოვლით, წვიმებით,
თოვლით, წვიმებით,
დედამიწაზე დიდი ქარები
სითბოს, სიცივეს ანაწილებენ.
მტკრითა და სილით თვალებს
იმღვრევენ
და ფიცხდებიან მზიან დარებით;
გაიტაცებენ ლამაზ სიმღერებს
და მთელ სამყაროს მოატარებენ.
ქართა ზუზუნში გროვდება უხვად
ხალხის ღვინი და ხალხის გოდება...
მათ საქართველოს სტუმრობაც
უყვართ
და მერე წასვლა არ აგონდებათ.
ქარები მუდამ ცხოვრობენ გარეთ
და მოჰყვებიან სუნთქვად აპრილებს...
იმღენი რამე უნახავთ ქარებს,
რომ არაფერი აღარ აკვირვებთ.
ბოლოს ცხრებიან და ბრძოლას
წავებენ,
ძალა არ ჰყოფნით დამხედურს
შეებან...
დარიგდებიან მთა-მთა და ტყე-ტყე
და იქცევიან სიჩუმეებად.



ჩინების აივანგაზი ღმრის ყანა*

5.

ჩვენგან მოშორებით მიმდინარეობდა ბრძოლები, იღვრებოდა სისხლი, ჩვენი ბრძოლა კი შრომა იყო. სწორად გვაფრთხილებდა კასიმი: რამდენიც არ ვეცადეთ, თოვლმა პურის ნაწილს მოუშეკელს და კალოებზე მოუსწრო. კარტოფილიც აქა-იქ თოვლქვეშ მოყვა. ვერ მოვასწარით ამოღება. კაცები ერთიმეორეზე მიყოლებით დღითიდღე მიდიოდნენ ფრონტზე. ჩვენ კი გათენებებიდან დაღამებამდე კოლმეურნეობაში ვმუშაობდით, სალაპარაკოც ომის გარდა სხვა არა გვექნადა რა — როგორ და რაშია იქ საქმე. ყველაზე სანატრელი კაცი ოჯახებში ახლა ფოსტალიონი იყო.

კასიმი რომ გავაცილეთ, ერთ კვირაში წერილი მოვიდა მასელებკისაგან. პირველ წერილში იწერებოდა, რომ ის და მისი ამხანაგები არმიაში გაიწვიეს, ადგილსამყოფელი კი ჯერჯერობით ისევ იქ, ქალაქში გვაქვსო. გვთხოვდა, არ გვედარდა, რომ გამოსათხოვებლად ჩამოსვლა ვერ მოახერხა, — ვინ იცოდა, ასე თუ მოხდებოდა, ამაზე არ ინაღვლოთ, მთავარია გამარჯვებით დავბრუნდეთო. მეორე წერილი უკვე ნოვოსიბირსკიდან იყო. იწერებოდა სამეთაურო სკოლაში ვსწავლობო, სურათიც გამოგზავნა. ეს სურათი ახლაც ჩარჩოში, მინისქვეშ ჰქიდა, გამოხუნდა კიდევ. ლამაზი სურათია: სამხედრო ფორმა უხდებ, ზშირი თმები უკან აქვს გადავარცხნილი, თვალები კი ოდნავ ნაღვლიანად, ფიჭვიანად იმზირებინან. დღემდე სწორედ ასეთი მესიზმრება ზოლმე... აღიზანმა მხოლოდ ერთხელ ნახა მასე-

ლებეკი, ერთი დღით რომ ჩამოვიდა ძმის ქორწილზე.

— შეხედე, დედა, რა ლამაზი ბიჭი ყოფილა ჩვენი მასელებეკი. — ამბობდა ის და სურათს ათვალერებდა. — მაშინ ხეირიანად ვერც კი შეეხედე. ფარდებს იქიდან, უხერხული იყო პატარძალისათვის თვალების ჭყეტა, მომერიდა. კარგი იქნებოდა, ჩამოსულიყო და აერჩია თავისავით განათლებული, ლამაზი ქალიშვილი. მართლა კარგი იქნებოდა არა, დედა?

მე ვეთანხმებოდი და ვიწყებდი ოცნებას იმ ბედნიერ დღეზე.

შუა ზამთრამდე, ასე თუ ისე, მშვიდად ვიყავი. შვილებისგან წერილებს ვლებულობდი და ამით ვკმაყოფილდებოდი. ამ დროს მოვიდა წერილი კასიმისგან, ფრონტის მხარეს მივეყვართო. სულში შიშმა დაიბუნდა, გული შემეკუმშა. თანაც კიდევ სუევანკულს დაუწყეს უწყებებით გამოძახება სამხედრო კომისარიატში. ხან კომისიანეო, ხან აღრიცხვანეო, მერე ისევ ზელაზლა აღრიცხვანეო. პირდაპირ ილაჯი გაუწყდა. ველარ აუვიდა აქეთ სამხედრო კომისარიატში სირბილსა და იქით საკოლმეურნეო საქმეებს. რატომღაც არ მეგონა, რომ სუევანკულს ჯარში წაიყვანდნენ. კოლმეურნეობაში უბრიკადიროდ ყოფნა უხელოდ ყოფნასავითაა. მაგრამ მაინც გაიწვიეს. ეს ამბავი კალოზე შევიტყვე, სადაც იმ დროს ნათოვლარ პურს ვლექავდით. ეს რომ გავიგე, ორთითი ჩალაში ჩავარქვე, სახით მის ცივ ტარს მივეყრდნე და ასე გავიჩინდე, გონება ვერ მოვიკრიფე.

რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო აწი?

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3.

ორი შვილი იქა მყავს, ახლა ქმარიც იქ ფრონტზე მიდის..

ამ დროს სუვანკულმაც მოაგელეა ცხენი, უხმოდ ჩამოქვეითდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— წავიდეთ შინ, მომზადება მინდა.

მე ცხენზე ვიჯექი, ის კი გვერდით მომყვებოდა, ასე უფრო კარგია სალაპარაკოდ. მაგრამ ლაპარაკს თავი მაინც ვერ მოება. უფრო მეტად ველმდით. იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გვექონდა, არამედ იმიტომ, რომ გვიმძიმდა, შიგნით რაღაც ვგვობჯავდა და სიტყვის ამოღება ჭირდა. ასე მივდიოდით. მე ცხენზე, ის კი ფეხით. მუქი, ტალახისფერი ღრუბლები მოძალეობდა ცას. ყვითელი ვაეკლდან ცივი ქარი უბერავდა, ქარახვეტი იძვროდა.

მიმოვიხედე — სტეპი გაწოლილიყო ცარიელი და მკუმუნვარე. არ ჩანდა ხალხი, არ ისმოდა ხმა, არ იყო მოძრაობა. ცივი და მოქუფრული იყო მიწა.

სუვანკული მოდიოდა, თუთუნს თუთუნზე ეწეოდა, მერე ხელი მომკიდა.

— გაიყინე? — შემეკითხა.

არაფერი მითქვამს. ისიც რალაცის სათქმელად გამზადებული გაჩუმდა. იქნებ უნდოდა ნაფიქრალის გამხვლა: „აჰა, მეც მოვდივარო შვილების კვალზე, ვინ იცის, რა იქნება, რა მიწერია, დავბრუნდები შინ, თუ ვერა.. ახლა იქნებ სამუდამოდ ვეთხოვებით. ერთმანეთს. თუ ასეა, რა გაეწყობა, რამდენი წელი ვიცხოვრეთ მეგობრულად და შეწყობილად. თუ რაიმე მოხდება, მივეტევეთ ერთმანეთს. ვინ იცის, როგორ შეტრიალდება ბედი“. ვინ იცის, ამ სიტყვების თუ სხვა რაიმეს თქმა უნდოდა, ოღონდ ის კი იყო, რომ მაშინ უხმოდ შემომკეპროდა, ტუჩზე კბილები დაეჭირა. თვალში მომხვდა მის შავ ულვაშებში მოძალეული ჭაღარა. აქამდე როგორღაც არ შემინიშნავს.

გამახსენდა, როგორ შევხვდით ახალგაზრდები ამ მინდორზე. ოცდაორი წლის განმავლობაში ერთად ვსრომობდით აქ, ოფლს ვღვრიდით, შვილებს ვზრდიდით, პური მოგვყავდა, და მთე-

ლი ჩვენი ცხოვრება ერთ წუთში დამიდგა თვალწინ. არ მეგონებოდა არასოდეს მომსვლია, რამდენიმე წელიწადი შორება მოგვიხდებოდა, და ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც. გამახსენდა ზაფხულში, მკის პირველ დღეს, ღამით რომ მოვდიოდით ამ გზაზე. შევხედე სოფლის განაპირას, შენებადაუმთავრებელ და მივიწყებულ ახალ ქუჩას, ვნახე კასიმისა და ალიმანის სამოსახლოზე ქვისა და აგურის გროვა, ცხენის ფაფარში ჩავეხე და ავკვითინდი. დიდხანს ვტიროდი. სუვანკული უხმოდ, მოთმინებით მელოდა, ბოლოს მითხრა:

— ტოლგონაი, იტირე, ერთბაშად მოიოხე გული, აქ მარტონი ვართ, არავინ დაგვინახავს. დღეიდან კი ხალხს თვალზე ცრემლი არ დაანახო. ახლა შენ მარტო სახლის, ალიმანისა და ჯანაიკის უფროსი კი არა ხარ, ჩემს მაგივრად ბრიგადირობაც უნდა გასწიო. ხომ ხედავ, აღარავინ დარჩა.

მე ტირილს ვუმატე.

— რა ეშმაკად მინდა მე. შენი ბრიგადირობა? როგორ შეგიძლია ახლა ამაზე ლაპარაკი? არაფერი არ მინდა, გავგონებაც კი არ მინდა!

მაგრამ სალამოს კოლმეურნეობის გამგეობის კანტორაში გამომიძახეს. აქ იყვნენ ჩვენი ახალი თავმჯდომარე — ომის ინვალიდი უსენბაი, სუვანკული და კიდევ რამდენიმე მოხუცი სოფლის თავაკაცები. უსენბაიმ ერთბაშად მითხრა:

— რაც არ უნდა თქვა, დეიდა ტოლგონაი, მაინც უნდა შემოირტყა წელზე ქამარი მაგრად, მამაკაცურად და ბრიგადირის ცხენზე შეჯდეს. ჩვენ მიწას, წყალსა და ჩვენი სოფლის ხალხს თქვენზე უკეთ არავინ იცნობს. ჩვენ ვეჭვრა თქვენი, გეჭვრა იმიტომაც, რომ თქვენ გენდობათ ჩვენი საუკეთესო ბრიგადირი, რომელსაც ჩვენ ახლა დიდი სიმწრით ვუშვებთ ფრონტზე. რა გაეწყობა, ხვალიდანვე უნდა მოკიდოთ ხელი სამუშაოს, დეიდა ტოლგონაი.

თავაკაცებმაც მირჩიეს. ერთი სიტყვით, დამიყოლიეს, დავთანხმდი ბრიგადირო-

ბაზე. ანდა როგორ შემეძლო უარი მეთქვა, ვანა არ მესმოდა, რა გასაკვირიც გვაღდა? სწორადაც მოვიჭეცი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი სუვანკულის უკანასკნელი სურვილი. იმ ღამეს ვათენებამდე არ დაუძინია, სულ მარაგებდა. დაიწყე გაზაფხულისათვის მზადება, მუშა საქონელი დაასვენე, გაარემონტე გუნთები, ფარცები, ორთვალები... ყურადღება მიაქციე მრავალშვილიან ოჯახებს, მოხუცებს... ეს ასე გააკეთე, ის ისე...

უკ, ჩემი მოუსვენარი ადამიანი, ჩემი ძვირფასი ქმარი, გულითადი მეგობარი...

ვათენებამდე არ დამცხრალა გარეთ ქარბუქი, ქარი უსტვენდა საკვამურში.

სუვანკულიც ვზატყვილა მდე ვაეცილეთ. ის ჭინჩაყის ორთვალაში ჩაჭდა მის თანატოლ, ხანშიშესულ კაცებთან ერთად და მალე თივლის ბურში მიიმალნენ. ოპ, როგორ ციოდა, ცივი ქარი სუსხავდა პირისაბეს. ნელა მივდიოდი, მალმალ ვიხედებოდი უკან და ვსლუკუნებდი, ვტიროდი.

იმ დღიდან, ჩვენი თავმჯდომარის უსენბაის თქმისა არ იყოს, მაგრად შემოვირტყი ქამარი, ცხენზე შევგვექი და ბრიგადირობას შევედგე. დღესაც არაა ეს იოლი საქმე, ყველას როდი შეუძლია, მაშინ მით უმეტეს — ნამდვილი სატანჯველი იყო. ჭანსალი მამაკაცები აღარ დარჩა, — ავადმყოფებისა და ხეიბრების მეტი. მთელი ტვირთი ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს დააწვათ. ყველაფერს, რასაც ვმოულობდით, ფრონტს ვაძლევდით. მეურნეობაში კი ურმები უბორბლოდ ეყარა. ცხენის აღკახულობა თოკის ნაგლეჯებად იყო ქცეული, ცალულები დამტვრეული, სამკედლოში არ იყო ნახშირი. ნოღაზე მშრალზევში ჯერგანაყის გამოწვა დავიწყეთ და ამით ქურაზე ცაცხლი არ გავაქრეთ. ცხოვრება გაჭირდა, ოჯახებს შიმშილია დაუკაუნა. და მაინც წლებზე ფეხს ვიდგამდით, რომ კოლმეურნე-

ობა არ დაქცეულიყო, ვეწოდით რაც ძალი გვეონდა ახლა რომ მოხსენებდნენ: საქმისთვის ზოგს კვთილ სიტყვებს ეტყოდნენ, ზოგს საყვედურს, ხანდახან თმებით თრევაამდეც მიდიოდა საქმე, ასეც ხდებოდა.

ოპ, რამდენს გავუძელი მაშინ... მაგრამ მაინც ახლაც მდაბლად ვხრი თავს ხალხის წინაშე, იმისთვის, რომ იმ დღეებში ხალხი არ დაიშალა, ხალხად დარჩა მაშინდელი ქალები ახლა მოხუცები არიან, ბავშვები კი უკვე დიდხანია ოჯახს მოეკიდნენ, შეიღებოც ჰყავთ. მე კი ახლაც რომ ვნახავ, მაგონდება როგორები იყვნენ მაშინ, თვალწინ დამიდგებიან ისეთები, როგორიც იმ დროს იყვნენ — მშვირები, შიშვლები. როგორ მუშაობდნენ კოლმეურნეობაში. როგორ ელოდნენ გამარჯვებას, როგორ ტიროდნენ და მხნეობდნენ! არ იციან, რა უკვდავი საქმე ჰქმნეს. და არასოდეს, რაც არ უნდა გადავიტანო, რაც არ უნდა სიმძიმე არ დააწვეს ჩემს მხრებს, არ ვინანებ, რომ ბრიგადირად ვმუშაობდი. უთენია უკვე ფეხზე ვიყავი, კოლმეურნეობაში, შემდეგ მთელი დღე ცხენზე, ხან აქეთ ვაწყდებოდი, ხან იქით, ხან მთაში, ხან მინდორში. შებინდებიდან გვიან ღამემდე კანტორაში. ასე შეუმჩნევლად მიდიოდა დღეები. იქნებ სწორედ ამან მიშველა. ხანდახან გამწარებული ხალხი მლანძღავდა კიდევ, მუშაობას თავს ანებებდა, — მაგრამ არ ვჩივი. არა, ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტ და ძნელ სამუშაოს ალიმანსა და ჭინჩაყს ვაკისრებდი. დღე და ღამ არ ჰქონდათ საწყლებს მოსვენება, არც იმას ვნანობ, რომ იმათ არ ვზოგავდი. ეს რომ არა, მძიმე ფიქრები. შიში მოგვეტოვდა — ერთი ოჯახიდან სამი კაცი ომში იყო, შეიძლებოდა არ მეფიქრა? კასიმიხანსაც უკვე მეორე თვეა აღარაფერი ისმოდა. მე და ალიმანი ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. რომ არ ჩამოგვეგდო სიტყვა იმაზე, რისიც ასე გვეშინოდა — კასიზე. თუ ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით აქეთურზე, იქითურზე, სამუშაოზე, ოჯახის

საქმეებზე. ბავშვებივით ვიტყუებით თავს.

ზამთრის ერთ დღიას სამკედლოში გავიქეცი მისახმარებლად. იქ ჩვენ მუშა ცხენებს ნალავდნენ. ვხედავ, ჩვენი თავმჯდომარე უსანბეი ცხენს მოაჭენებს, ხელში რაღაც პატარა ქაღალდი უჭირავს, ელვა დებეშა თქვენ სახელზეო, მეუბნება. მე სუნთქვა შემიკრა, ისღა შესმის, როგორ ურტყამენ ჩაქუჩები გრდემლზე, თითქოს მკერდში მცემენ. ეტყობა, ადამიანის სახე აღარ მქონდა.

— რა გემართებათ, დეიდა ტოლონაი! — შემიძახა თავმჯდომარემ, — ეს ხომ მსახლბეკის დებეშა ნოვოსიბირსკიდან. მოდიო, გამოშართვით, ნუ გეშინიათ! — უნაგირიდან ვადმოიხარა და მომცა ეს ქაღალდი. — თქვენო, მითხრა, დაუყოვნებლივ წადით სადგურზე. თქვენი შვილი ჩამოვიღოს ეშელონით. თქვენი ნახვა უნდა და გთხოვთ, რომ შეხვდეთ. მე იქ ვუთხარი, ორთვალა მოამზადონ, თან თივა და შვრია წაიღონ ცხენებისათვის. რაღას უდგებართ, წადით და მოემზადეთ წასასვლელად.

ოჰ, რა სიხარულმა ამიტანა! ავფორი აქდი, ავფუსფუსდი, აღარ ვიცოდი რა შექნა. მკედლებმა ძალით გამაგდეს.

— ჩვენ უშენოდაც გავაკეთებთ, ბრიგადირო, ჩქარა წადი სადგურზე. არ დაგავიანდესო, — მითხრეს.

შინ გავიქეცი. ხეირიანად არც ვიცი, რა ვქნა როგორ მოვიქცე. ვიცი მხოლოდ ერთი, მსახლბეკი მთხოვს მივიდდე სადგურში, მსახლბეკი მთხოვს შევსვდე. გავრბივარ ქუჩაში, ყინვისგან მცხელა, ოფლი მდის, გავრბივარ და თან სულელოვით საკუთარ თავს ველაპარაკებო:

— რას ქვია, მთხოვს? ჩემო შვილიყო, ათას კილომეტრზე ფეხით გამოვიქცევი — შენთან, ფრთებს გამოვისხავე!

ეჰ, დედა, დედა... იმ წუთებში არც მიფიქრია, რა გზაზე, რა მხარეს მიდიოდა ჩემი შვილი.

მოვირბინე სახლში, ფაციფუციოთ ათასგვარი სანოვაგე გავაშხადე, ხორცი მოვხარე, მსახლბეკი ხომ მარტო არ იქნება, ამხანაგები ეყოლება. გაუმას-

პინძლდება შინაური საქმელებით-მეთქი, ვფიქრობდი. ყველაფერი უნდა ხერხინში ჩავაწყვე და მე და ბლანჩაძემ ვე დღეს გავემგზავრეთ სადგურზე. პირველად ჯაინაკი მინდოდა წამყევანა, მაგრამ იღარა.

— არა, დედა, ჯობია ალიმანი წამოვიდეს, მე კი შინ დავრჩები, ოჯახს მივხედავ. ასე აჯობებს.

მერე კი მივხვდი, რომ სწორად მოიქცა ჩემი უმცროსი ბიჭი. ჯერ ბავშვი იყო, მაგრამ ჰკვიანი, მოსაზრებელი. როგორც ჩანს, ხედავდა, რა ტრიალბედა ალიმანის გულში იმ დღეებში, როგორ განიცდიდა და იტანჯებოდა ჯაინაკი თვითონ გაიქცა თივის საწყობში, სადაც ალიმანი მუშაობდა და მოიყვანა ძმის ცოლი. დიდი ხანი არ მენახა რძალი ასე მხიარული. მთლად აენთო, ჩემზე მეტად აფუსფუსდა და მე დამიწყო აჩქარება:

— ჩქარა, დედა, ცოტა ჩქარა მოემზადე. აჰა, შენი ქორჭი. აჰა, თივითვის თავშალი, ჩაიცვი, წავიდეთ!

გზაშიც ვერ ისვენებდა.

— გარეკე, უფრო ჩქარა გარეკე! — აჩქარებდა ბიჭს, ხან სადავეებს წაართმევდა და თვითონ უეჩიენებდა, შოლტს სცემდა ცხენებს.

ორთვალა მარჯვედ მიგორავდა ნავალ, ლიპ თოვლზე. ცხენები მხნედ მიდიოდნენ. მჩატედ რაზრახებდნენ, მსუბუქად კაკუნობდნენ ბორბლები გაბოხილ ღერძებზე. მთელი გზა თოვდა — თანაბრად, ხალისიანად. ოდნავ ყინავდა. ალიმანი მთლად თოვლით იყო დაფარული, მაგრამ თვითონ არც იცოდა როგორ უხდებოდა ეს. თოვლი სქლად ედო თავზე. თავსაფარზე, ჩამოშლილ თმებზე, საყელოზე, და მისი ლოყებ-ალეწილი ხორბლისფერი სახე, შავი ცოცხალი თვალები და თეთრი კბილები უფრო მეტად ლამაზი უჩანდა. ახალგაზრდობაში ადამიანს ყველაფერი უხდება — თოვლიც კი. ალიმანს მთელი გზა არ გაუჩერებია პირი ხან მეხვეწებოდა ხმა არ ამომეღო, როცა მსახლბეკი მატარებლიდან ჩამოვიდოდა, ჩემზე არაფე-

რი თქვა, აბა თუ მიცნობსო? ხან აპირებდა ჩუმად მიპარვოდა ზურგიდან და თვალბეჭე ხელი აეფარებინა: საინტერესოა რას იტყვის. ალბათ შეეშინდება. იტყვის, ვისა აქვს ამ სულელური ზუმრობის თავიო? მერე თვითონვე კისკისებდა, ეცინებოდა თავის მონაგონარზე. ეპ, ალიმან, ჩემო გულთადაო რძალო. ნუთუ ფიქრობდა, რომ მე ვერ ვხვდებოდი რატომ იქცეოდა ასე. მერე თვითონვე წამოსცდა. ერთბაშად გაჩუმდა, სიცილი შეწყვიტა და წყნარად წაიღულღულა:

— მასელბეკი ძალიან ჰგავს კასიმს. ტყუბებივით არიან, ხომ ასეა?

მე თავი ისე დავივირე, თითქოს არ გამეგონოს. ისე ერთხანს გაჩუმებული იყო, თავის საფიქრალს მიეცა, მერე ისევ გამოსტაცა ბიქს სადავეები და ხმა, მალა შეძახილითა და შოლტის ცემით გარეკა ცხენები.

სალამოს უკვე სადგურზე ვიყავით. გავაჩერეთ თუ არა ორთვალა, მაშინვე რკინიგზის ხაზზე გავიქეციეთ, თითქოს მასელბეკი იმ წუთში უნდა ჩამოსულიყო. იქ კაცის ჰაჭანება არ იყო. ჩვენ მიმოვიხივდეთ გარშემო და ყურები ჩამოვყარეთ, ვდგავართ ობლებივით, არ ვიცით სად წავიდეთ, რა ვქნათ? რკინიგზის ლიანდაგებს შორის განძელებზე ორთქლმავალი დალოდავდა წინ და უკან, ღრჭიალითა და ღრქენით მიათრევდა შეთრთვილულ, ადგილზე მიყინულ ვაგონებს. მავთულებში წიოდა ქარი.

აქამდე ჩვენ არასოდეს დავხვედრით მატარებელს, ისიც კი ვერ მოვისახრეთ, შეგვითხოდით ვისმე, როგორ მოვექცეულიყავით, როდისაა მოსალოდნელი მატარებლის ჩამოსვლა. ამასობაში შორიდან მოისმა ორთქლმავლის კივილი და მატარებელი გამოჩნდა.

— მოდის, დედა! — თქვა ალიმანმა.

მუნხლები ამიკანკალდა, შიშმა შემიპყრო. მატარებელი სწრაფად გვიახლოვდებოდა. აი ორთქლმავალმაც ჩაიჭროლა თოვლის კორიანტელში და გაჩერდა. ჩვენ შემადგენლობის გასწვრივ და-

ვიწყეთ სირბილი. ვაგონები გალხით იყო გაჭედული. ქალები, მანქანებზე, ქარისკაციც ბევრი იყო. ზან-ისტის ქაშა იყვნენ და სად მიდიოდნენ. ყოველ ვაგონთან ეჩერდებოდით და ვეკითხებოდით:

— აქ არის მასელბეკ სუვანკულოვი? მითხარით, გეთაყვა, არ არის აქ მასელბეკ სუვანკულოვი?

ერთნი გვეუბნებოდნენ, რომ არ იციან, მეორენი სდუმდნენ, ზოგიერთნი კი ორჭოფულად ილიმებოდნენ. ჩვენ სირბილში მატარებელი დაიძრა და წავიდა. სულ სამი წუთი ყოფილა თურმე ვაჩერება ჩვენ სადგურზე. ჩვენ საბტად დაჩინილები ვიდექით, თითქოს ჩიტი გაგვფრწონდეს ხელიდან. ამ დროს ხან-შიშესული რუსი რკინიგზელი მოგვიახლოვდა. შავი ქუქუნაკი და თექის ჩექმები ეცვა. მე ის ჯერ კიდევ მაშინ შევნიშნე, მატარებლის შესახვედრად რომ გამოვვდა. შეგვეკითხა, ვის ელითო. ჩვენ ყველაფერი ვუამბეთ, მასელბეკის დეპეშაც ვაჩვენეთ. მან სათვალე გაიკეთა, დიდხანს აცმაცუნა ტუჩები და ბოლოს თქვა:

თქვენი შვილი სამხედრო ეშელონით მოდის. რომელი ეშელონია და რა დროს გაივლის აქ, გაურკვეველია. თუ არ დაიგვიანებს, უთუოდ დღეს ღამით ან ხვალ უნდა ჩამოვიდეს. იქნებ გაიარა კიდევ. ახლა უამრავი ეშელონი მიდის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ზოგიერთი არც კი ჩერდება, ისე ჩაიჭროლებს.

ჩვენ მთლად მოვწყვიდით.

— ეპ, ეს ომი, — ამოიხვნეშა რკინიგზელმა, — ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. აბა, რას უდგებართ, აქ ქარში ხომ არ აპირებთ ვაჩერებას? მატარებლები მოვლენ, გამოდით შესახვედრად... სხვა გამოსავალი არ არის.

მოსაცდელში ათიოდე ადამიანი იყო. პერხებზე იყვნენ. ცხოვრებამ, ეტყობა, ბევრი ატარა ისინი გზებსა და სადგურებზე, მიეჩვივნენ ალბათ, და აქ თავს შინაურულად გრძნობდნენ. ზოგს მშვიდად ეძინა, ზოგი საუბრობდა, თუთუნს ეწეოდა. ეგერ კუთხეში ორნი თუნუქის

ყუთებით მდულარეს სვამდნენ — პირს ითუთქავდნენ, უბერავდნენ წყალს. ერთი წყნარად უკრავდა გიტარაზე და თავისთვის ღლინებდა. ვატეხილო, გამურულ შუშიანი ნავთის ლამპა ბეჭეტავდა, ხრჩოლავდა. ამ ნახევრად სიბნელეში მე და ალიმანმა მიმოვიხედეთ და მერხის ნაპირზე ჩამოვსხედით. ცოტახანს ასე ვიყავით, მაგრამ ამ დროს გაისმა მატარებლის ხმაური, და ჩვენ თავიპირის მტვრევით გავარდით ვარეთ. სიბნელეში ქარი ძლიერად ქროდა, ვალთას გვაგლეჯდა. მატარებელი სატვირთო იყო. ჯარისკაცები არ ჩანდნენ. მაგრამ ჩვენ გავრბოდით მატარებლის გასწვრივ და ვყვიროდით:

— აქ არის მასელბეკ სუფანკულოვი?

— სუფანკულოვ მასელბეკი აქ არის?

არავინ გვპასუხობდა, არავინ იყო, სადგურში რომ დავბრუნდით, უკვე ყველას ეძინა.

— დედა, წამოწეკი, ცოტა დაისვენე, მე კი მატარებელს ვუყარაულებ, — მითხრა ალიმანმა.

მე რძალს მხარზე მივაყრდნე თავი. ვიფიქრე, ჩავთვლემ-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ, რა ძილი, რის ძილი? როგორ შეიძლება იფიქრო ძილზე, როცა არა მარტო სმენით, გულით და გონებით ხედები მატარებლის მოახლოებას, არამედ ფეხქვეშ გრძნობ ცხრაშთას იქით მიწის შეუშინეველ შერბევასაც კი, და უცებ გავონდება ყველაფერი. რომელი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო მატარებელი, ჩვენ წამოვხტებოდით და ხურჩინით ხელში გავრბოდით.

ეშელონები მიდიოდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანში არ იყო მასელბეკი. შუალამეს ისევ შეირყა მიწა ფეხქვეშ. ჩვენ ვარეთ გამოვცვივდით. ხეობის ორივე მხრიდან ერთდროულად გაისმა ორთქლშავლების კივილი, მატარებელი ორივე მხრიდან მოდიოდა. დავიბენით, აქეთ ვეცით, იქით ვეცით და ბოლოს ორ ლიანდაგს შორის აღმოვჩნდით. საყვირების გამაყრუებელი გუგუნით შეხედდნენ ერთმანეთს მატარებლები და გაუჩერებლევ, თანდათან სულ უფრო მეტი

სიჩქარით ჩაიქროლეს. ავაკენდნენ ბორბლები, აღრიალდა ქარქვი და გვაპირიალა თოვლის კორიანტელები. მათგან ქოს ბორბლებს ქვეშ უნდა შეგვაგდოსო.

— დედა! — იცილა ალიმანმა, ხელები შემომხვია, და ფარნის ბოძს მიმაჯრა; მაგრად ჩამიხუტა, აღარ მიშვებდა.

მე ვიყურებოდი გაელეკებული ვაგონების ფანჯრებში: იქნებ მასელბეკი დავინახო, იქნებ ჩემი შვილი იქა და მე კი არ ვიცი? ლიანდაგი კენესოდა ბორბლებს ქვეშ, ისევე როგორც შვილზე შიშით გათანგული ჩემი გული, მატარებლებმა ჩაიქროლეს, თან წარიტანეს თოვლის ღრუბელი. ჩვენ კიდევ დიდხანს ვიდექით ჩახუტებულები ფარნის ბოძთან.

გათენებამდე მე და ალიმანი წესიერად არც დაემსხდარვართ, გაუთავებლად დავრბოდით წინ და უკან ეშელონების გასწვრივ.

განთიადს ცოტალა უკლდა; ქარბუქი რომ ერთბაშად ჩადგა. სადგურში დასავლეთიდან შემოვიდა ეშელონი, რომლის მსგავსიც ჯერ არ გვენახა: ვაგონები მთლად შერუჯული, ჩამოგლეჯილი კარებიტა და აგლეჯილი სახურავებით. მთელ ეშელონში ცოცხალი სულდგმული არ ჩანდა ცარიელ ვაგონებში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. კვამლის, შერუჯული რკინისა, დანახშირებული ფიცრებისა და საღებავის სუნი იდგა.

ჩვენი გუშინდელი შავქუქუნაკიანი რკინიგზელი ფარნით მოვიდა.

ალიმანმა ჩურჩულით კითხა:

— რა ეშელონია?

— დაუბოძბავთ, — ჩურჩულითვე მიუგო მან.

— ახლა რა უნდა უყონ ამ ვაგონებს?

— შესაკეთებლად გაგზავნიან. — ისევე ხმადაბლა თქვა რკინიგზელმა.

მე ვუსმენდი ამ ლაპარაკს და ვფიქრობდი იმათზე, ვინც ამ ვაგონებით მგზავრობდა, ვინც კვამლში, ყვირილსა და ცეცხლის აღში გამჭრეობოვა სიცოცხლეს, იმათზე, ვისაც წაეგლიჯა ხელფეხი, ვინც სამუდამოდ დაყრუვდა და

დაბრმავდა... ეს ბომბები ხომ მხოლოდ
გქოა ომისა. მაშ რაღა იქნება თვით
ომი?

დიდხანს იდგა დამტვრეული ეშელო-
ნი სადგურზე, შემდეგ წყნარად დაიძრა
და სეველიანი რაზრახით გაუყვა ვზას.
გავეურებდი მას შავი ფიქრებით შეპყ-
რობილი: აი მასელებეცი წაეა იმ მსა-
რეს, საიდანაც ეს დამტვრეული ეშე-
ლონი მოვიდა. რა ამბავია კასიმის თავ-
ზე? როგორაა სუენაკული? ის იწერე-
ბოდა, რომ სადღაც რიანანს ახლოს იყ-
ვნენ. ეს ალბათ არც ისე შორსაა ფრონ-
ტიდან...

ვათენდა. წასვლის დრო დადგა. —
ცხენებს საკმელი გაუთავდათ. იქნებ მს-
სელებეს ჯერ არც ჩაუვლია. მაშინ?
რამდენი ველოდეთ, რა დასანანია? ხან
ასე ვიფიქრეთ, ხან ისე მე და ალიმანმა,
მაგრამ წასვლა მაინც ვერ გაგზავდეთ.

ამინდი გუშინდელივით ცივო, ქარი-
ნი იყო. განა ტყუილად ეძახიან სადგუ-
რის ზეობას ქარების ქარვასლას. უცებ
ღრუბლები გაიფანტა, მზემ გამოიჭვირი-
ტა. „ეჰ, ვიფიქრე მე, რა იქნება ჩემმა
შვილმაც გამოანათოს მზესავით ღრუბ-
ლებიდან, რომ ერთხელ მაინც თვალი
შევაგლო“...

ამ დროს შორიდან კვლავ მოისმა მს-
ტარებლის ხმა. ის აღმოსავლეთიდან
მოდიოდა. ორთქლმავლის საყვირის
ძლიერი ხმა დაიარსა ხეობაში.

ფეხქვეშ მიწა იძრა, ლიანდაგი აგუ-
გუნდა. გრილით, მთლად კვამლსა და
ოსშივარში, წითელი ბორბლებით, მხუ-
რვალე ალით ჩაიჭროლა ორმა შავმა
ორთქლმავალმა. მათ უკან ვაგონ-ბაქ-
ნებზე ბრეზენტგადაფარებული ტანკე-
ბი, ქვეშეხები, მათ გვერდით თოფიანი
გუშაგები ქურჭებში, სათბურების ღია
კარებში გაიღვეს ჭარისკაცებმა, და ვა-
გონი ვაგონს მიყვა, თან წარიტაცა სახე-
ები, ფარაჯები, სიმღერის ნაწყვეტები,
სიტყვები, ბალალაიკისა და გარმონის
ხმები. ჩვენ თვალი ვაგონებზე დაგვრჩა.
ამ დროს მოირბინა ვიღაც კაცმა წითე-
ლი და ყვითელი ალმებით ხელში და
ყურში ჩაგვეყვირა:

— არ გაჩერდებია არ გაჩერდებია!
უკან წადით, ჩამოსცილდით, უნდა დაგს-
— და ბიძგება დაგვიწყოს!
ამ წუთში გვერდით გაისმა ძახილი:
— დედა-ა-ა! ალიმან-ა-ა!

ისაა! მასელებეცი! ოჰ, ღმერთო ჩემო,
მან ჩვენგან სულ ახლოს ჩაიჭროლა.
მთელი ტანით გადმოიხარა ვაგონიდან,
ცალი ხელი ვაგონის სახელურისათვის
ჩაველო, მორეთი კი ქუდს გვიქნევდა
და ყვიროდა, გვეთხოვებოდა. მე ისლა
მასსოვს, როგორ ვიყვირე — „მასე-
ლებეცი!“ და იმ ერთ წამში მკაფიოდ დავი-
ნახე იგი: ქარს თმები გაეწეწა, ფარაჯის
კალთები ფრთებივით ირხეოდა, სახეზე
და თვალებში — სიხარულა, მწუხარე-
ბა, სინანული და განშორება — ყველა-
ფერი ერთად ეხატა! მისთვის თვალი არ
მომიშორებია, ისე დავედევნე ეშე-
ლონი, გვერდით ჩაიჭროლა უკანასკ-
ნელმა ვაგონმა, მე კი ისე ვავრბოდი
განძელებზე, მერე დავეცი. ოჰ, როგორ
კვწნისოდი და მოვთქვამდი! ჩემი შვი-
ლი მიდიოდა ბრძოლის ველზე და მე
რკინის ცივ ლიანდაგს ჩახუტებული ვე-
თხოვებოდი. სულ უფრო და უფრო
შორიდან ისმოდა ბორბლების კაკუნი,
მერე ისიც მიწყდა.

ხანდახან ახლაც მგონია, ჩემ თავში
გადის ის ეშელონი და ყურებში დიდ-
ხანს მიდგას ბორბლების კაკუნი.

მოირბინა ალიმანმა, ცრემლი ღვარად
სდიოდა, ჩემს გვერდით ჩაიმუხლა, უნ-
და წამომაყენოს და ძალა არ შესწევს,
ცრემლები ახრჩობს, ხელები უკანკა-
ლებს. ამ გაწამაწიში რუსმა მისრე
ქალმა მოგვისწრო. ისიც „დედა, დე-
დაო!“ იძახის და ტირის. ამ ორმა გამო-
მიყვანა ვზაზე. სადგურისაკენ რომ მიე-
დიოდით, ალიმანმა ჭარისკაცის ქუდი
გამომიწოდა.

— აჰა, დედა, — მითხრა მან, — მა-
სელებეცი დაგიტოვა.

თურმე, ვაგონს რომ მივსდევდი, მა-
სელებეს გადმოვგდო თავისი ქუდი.

შინ რომ ვბრუნდებოდი, ეს ქუდი
ხელში მეჭირა, მაგრამ ვიხუტებდი მკე-
რღში.

ის ახლაც კედელზე კიდა. ჯარისკაცის, ჩვეულებრივი რუსი, ყურებიანი ქუდი, შუბლზე ვარსკვლავით. ხანდახან ავიღებ ხოლმე, შიგ სახეს ჩაერგავ და ჩემი შვილის სუნი მცემს.

6

— მითხარი, მშობლიური მიწავ, როდის, რომელ დროში იტანჯა და ეწა-მა ასე დედა, რომ მხოლოდ ერთხელ, ისიც შორიდან მოეკრას თვალი ომში წასული შვილისათვის?

— არ ვიცი, ტოლგონაი, ასეთი ომი, როგორც შენ დროს მოხდა, სამყარომ არ იცის.

— დაე მე ვიყო უკანასკნელი დედა, რომელიც ასე ელოდა შვილს. ღმერთმა ნურავის მოასწროს, რომ რკინიგზის ლიანდაგს ესვეოდეს და განძელებზე სცემდეს თავს.

— შენ მობრუნებულს, შორიდანვე გეტყობოდა, რომ შვილს ვერ შეხვდი. მთლად ყვითელი ფერი გედო, ჩაცეენილი, ნაწამები თვალები გქონდა დიდი ხნის ნაევადმყოფარივით.

— არ ჯობდა განა მთელი თვე ციებ-ციხელებით ვყოფილიყავი ავად.

— ჩემო საბრალო ტოლგონაი, იმ წელს ჭალარა მოგერია. რა ხშირი, მძიმე ნაწნაუები კი გქონდა უწინ... უსიტყვო და მკაცრი ვახდი მაშინ. უხმოდ მოდიოდი აქ და ბრუნდებოდი უკან, კბილი კბილზე გქონდა დაჭერილი. მაგრამ მე მესმოდა, შენს თვალებში ვხედავდი, რომ ყოველ მოსვლაზე სულ უფრო და უფრო მეტად გიჭირდა.

— ჰო, დედაო-მიწავ, შენდა უნებურად გახდები ასეთი. მე რომ მარტო ვყოფილიყავი — არ დარჩა არც ერთი ოჯახი, არც ერთი კაცი, რომლისთვისაც ომს ყელში არ წაეჭიროს. როცა მოდიოდა შავი ქაღალდები, და სოფელში ერთ დღეში ერთბაშად ორ-სამ სახლში ატყდებოდა ტირილი და მოთქმა, აი მაშინ ამიდუღდებოდა სისხლი და შურისძიება თვალთ მიბნელებდა, გულს მითუთქავდა.

მეამაყება, რომ სწორედ იმ დღეებში ვიყავი ბრიგადირი, ვიწვინე წემიქა და სხვისი მწუხარებაც, ხალხთან ერთად ვიზიარებდი ყველა გასაჭირს, შიმშილსა თუ სიცივეს. ამიტომაც ვავუძელ, სხვებისათვის გავმაგრდი, თორემ უთუ-ოლ დავეცემოდი, და ომი გადამთქერავდა. მივხვდი, რომ ომს მხოლოდ ერთი რამით მოერევი — უნდა იბრძოლო, იბრძოლო და გაიმარჯვო. მეორე გზა სიკვდილია! აი სწორედ ამიტომ, ყანავ, ჩემო მშობლიურო, აქ ყოველთვის ცხენით მოვდიოდი, არ გაწუხებდი, უხმოდ გესალმებოდი და უხმოლვე ვბრუნდებოდი.

7

დადგა დღე, როცა კასიმისგან წერილი მოვიდა. მე ცხენს მოვახტი და გაეკენე, გზას არ ვარჩევდი, ვეველებოდა არხებს, ნაძვრებს, ხელში წერილი მეჭირა.

ალიმანსა და ჯაინაკს მინდორში სასუქი შეჰქონდათ. მე შორიდანვე დავუყვირე:

— სუიუნჩუ, სუიუნჩუ — სიხარული!

აბა, როგორ არ უნდა გამეხარებინა ისინი! კასიმისგან ხომ ორი თვე ზედიზედ არ იყო არც ერთი სტრიქონი, მისი არაფერი ვიცოდით. წერილში კი იწერებოდა, რომ ორჯერ იყო მოსკოვის ახლოს დაცვაში და ორჯერვე ცოცხალი გადარჩა. იწერებოდა, რომ გერმანელები შეაჩერეს, რომ მათ კბილები ჩაუმტვრიეს და ახლა ჩვენი პოლკი შესვენებაზე გაიყვანესო.

ო, როგორ გავხარდა ალიმანს! ორთვალადან ჩამოხტა, ჯაინაკს გამოუსწრო და პირველი მოვარდა.

— დედა, შენ პირს შეაქარი! — აყანკალებული ხელებით გამომტაცა წერილი, სიხარულისგან სულ მთლად აებნა თავგზა, წაყითხვა ვედარ მოახერხა. გადარეულივით მხოლოდ ერთს იმეორებდა: — ცოცხალია! ცოცხალია და კარგად არის!

მოიბრინეს ქალებმა, ვარს შემოეხვივნენ.

— აბა, წაგვიკითხე, ალიმან, რას გწერს ქმარი? იქნებ ჩვენებისა იცის რამე?

ის კი:

— ახლავე, ძვირფასებო, ახლავე! — და სტრიქონიც ვერ წაუკითხავს.

ჯაინაქმა ველარ მოითმინა:

— მომეცი, ხალხს წავეუკითხო. — წერილი გამოართვა და ხმაშაღლა და იწყო კითხვა.

ალიმანი ჩაცუცქდა, თოვლს მუჭით იღებდა და შუბლზე იღებდა. ჯაინაქმა კითხვა გაათავა, ალიმანი ადგა, სახის შემშრალედაც კი დაავიწყდა, და ასე იდგა, აღწერილი, გახარებული. გამდნარი თოვლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე.

— აბა, ახლა სამუშაოდ წავიდეთ! — წყნარად თქვა და ნელა გაყვა თოვლიან ბილიკს.

მიდიოდა და წყნარად იხედებოდა აქეთ-იქით. ვინ იცის რაზე ფიქრობდა, იქნება იმაზე, ზადესულში ნამკალზე რომ ვარბოდა ქმრისაკენ დოქით ხელში, ან იქნებ იმაზე კასიმი აქ კომბაინს რომ ეთხოვებოდა. ჩანდა, ალიმანი ხელახლა განიცდიდა ყველაფერს მისთვის ძვირფასსა და სამახსოვროს. თვლები ხან უცინოდა, ხან მოექუფრებოდა. ის დიდხანს იყურებოდა გზის მხარეს. ალბათ აგონდებოდა, როგორ თანდათან შორდებოდა ამ გზით ჩალისფერი თოხარიკი, როგორ თქარუნობდნენ მისი ფლოქვები და თვითონ როგორ მისდევდა კასიმს.

ჯაინაქი გვერდით მიყვებოდა, დასცინოდა, ეჭირგალებოდა.

— გამოფხიზლდი, ბოლოს და ბოლოს, გონს მოდი. ახლა ნახავ, მთელი სოფელი სასაცილოდ აგიგდებს, წერილი რომ ვერ წაიკითხე, შენც ხარ რაღა! მე კასიმს მივწერ, შენი ცოლი სკოლაში მივაბარე, ისევე პირველ კლასში-მეთქი, ანაბანის სასწავლად.

ალიმანმა ცემა დაუწყო, შემდეგ ორთვალსკენ გაიქცნენ, ერთმანეთს დასდევდნენ.

მე კი მივდიოდი და ვფიქრობდი. აბა როგორ, სხვამ ვიღამ უნდა დაიწვას ხალხი, თუ არა ისეთმა ვაჟკაცებმა, ჩემი ბიჭები რომ არიან! ოღონდ ცოცხალნი დამიბრუნდნენ, გამარჯვებულნი. დანარჩენს ყველაფერს გავუძლებო. მოვითმენო. თუნდაც სულ გაგვკვალტყავდეთ. ოღონდ გამარჯვება მაივესწროთ, მაღე გავიმარჯვოთ! და იმიტომ. რომ ეს იყო არა მარტო ჩემი ნატვრა. არამედ მთელი ხალხის ოცნება და მიზანი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ყველაფერზე მივდიოდი.

მაშინაც კი, როცა ჩემი ყველაზე უმცროსი, ნაბოლარა შვილი ჯაინაქი, რომელსაც თერამეტიც არ შესრულებოდა, ფრონტზე წავიდა, მე კბილი კბილს მაგრა დავაქირე, ვაგწუმდი, მოვითმინე.

ზამთრის მიწურულში ხშირ-ხშირად დაუწყეს სამხედრო კომისარიატში გამოძახება. მარტო იმას კი არა, სხვებსაც, იქ სამხედრო მწყობრს ასწავლიდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და არც ისე მასშფოთებდა.

იქ ათიოდე დღე ჰყავდათ, დაარბენებდნენ აღმა-დაღმა და ბოლოს სახლებში უშვებდნენ. ერთხელ, რატომღაც ძალიან ჩქარა, მეორე დღესვე დაბრუნდა.

— რატომ გამოგიშვეს ასე ადრე? — გამიკვირდა მე. — სულ ხომ არ გაგანთავისუფლეს?

— არა, დედა, — მომიგო ჯაინაქმა, — ხვალ ისევე წავალ. ერთი დღით გამომიშვეს. ამჯერად უფრო მეტხანს გვაჩერებენ, ასე რომ არ შეგეშინდეს.

მეც დავაჯერე, იმის მაგივრად, რომ მივმხვდარიყავი. ის ხომ როგორღაც უცნაურად იქცეოდა იმ დღეს, თითქოს შორი გზისთვის ემზადებო. მთელი დღია ლურსმნებითა და ჩაქუჩით ხელში დადიოდა, რაღაცას აქედებდა. რაღაცას ამაგრებდა. მერე ვხედავ მთელი გროვა შეშა დააპო, ეზოდან ნაკელი გაიტანა. ფარდულის სახურავზე რომ თივა ეწყო, გაშალა, გაამზეურა. საღამოს შინ რომ დაებრუნდი, ეზო



დაგვილო, გაწმენდილი დამხვდა. ცხენის ბაგაც წესრიგში მოუყვანა. ეს ბაგა სუვენკულის შინყოფნისას იყო საჭირო, მას უყვარდა ცხენის ყოლა.

— მაგას ახლა რას ეწველები, შვილო, ზაფხულშიც მოასწრებ, — ეუთხარო მე.

მაგრამ მან მომიგო, რომ საქმე სჯობს მაშინ გააკეთო, როცა დრო გაქვს, სხვა დროს ვერ მოიცილი. მაშინ ვერაფერს მივხვდი, ეჭვიც ვერაფერზე ავიღე. ის ხომ კომკავშირული გაწვევით, მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ყველაფერი ეს ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა ჯაინაკი უკვე გზაში იყო, ამზანაგისათვის გამოეტანებინა წერილი სადგურიდან. ეპ, ჩემო საწყალო, ცუდო ბიჭო, წერილი კი მოიწერე, მაგრამ განა შეიძლებოდა ასე დაუმშვიდობებლად წასვლა? მთლად რომ გავვიუებულებოდა, მაინც უნდა გეტქვა. იმ წერილში მე და ალიმანს პატივებს გვთხოვდა ასე უთქმელად წასვლისათვის. ასე, ერთის მოქნევით ჯობიაო, გვეწერდა. მინდოდა ნაკლებად განგეცადათ, ერთბაშად გაგეგოთ ჩემი გადაწყვეტილება და როცა გაიგებდით, შეურიგდებოდით, დათანხმდებოდით კიდევო. ვინ იცის, იქნებ სწორიც იყო. ცხადია, ვაუჭირდებოდა ჩემთვის ამის გამხელა, იქნებ შეეშინდა, რომ ტირილს აგტებდი, დავუწყებდი ხეწუნას, ვედრებას უარი ეთქვა განზრახვაზე...

ახლა, როცა ის უკვე დავკარგე და მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, მე მას ვესაუბრები, როგორც დედა-მისწას.

ჯაინაკ, მისმინე შვილო! დაე, ნუ შეგაწუხებებს სინდისის ქენჯნა, მე ნაწყენი არა ვარ. არა, მაშინათვე ვაპატიე, ჯაინაკ, ჩემო უმცროსო შვილო, ჩემო კვიცო, მზიარულო ჩემო! შენ გგონია, მე არ მესმოდა რატომ წახვედი დაუმშვიდობებლად, რატომ დამტოვე მარტო, რატომ დასტოვე შენი სიკბაბუკე, ახალგაზრდობა, შენი მომავალი? შენ იყავი მზიარული, სიცოცხლის მოყვარული ბიჭი, ყველამ არც იცოდა, როგორ

ვიყვარდა ხალხი. ვერ შესძელი მშვიდად გეცქირა ჩვენი ტანჯვისათვის და წახვედი. შენ ძალიან გინდობდა, ადამიანები ადამიანებად დარჩენილიყვნენ, ომს არ დაესახინებინა მათში ცოცხალი, ადამიანური სული, არ ჩაეხშო სიკეთე და თანაგრძნობა. შენ ყველაფერი გააკეთე ამისათვის. ქვეყნად უკედავი მხოლოდ კეთილი საქმეა, სხვა ყველაფერი უკეალოდ ქრება. შენი კეთილი საქმეც უკედავია, დიდხანია დაიღუპე, უგზოუკვლოდ დაიკარგე. იწერებოდი, პარაშუტისტი ვარო, სამჯერ იყავი მტრის ზურგში. ჰოდა, აი ორმოცდაათხი წლის ერთ-ერთ ბნელ ღამეს შენ ვაღმობტი თვითმფრინავიდან ამზანაგებთან ერთად, პარტოზანების დასახმარებლად და უგზოუკვლოდ დაიკარგე. ბრძოლაში დაეცი, ბრმა ტყვიამ გიმსხვერპლა, ტყვედ ჩავარდი თუ ჭიობში დაიხრჩვი — არავინ უწყის. მაგრამ ცოცხალი რომ დარჩენილიყავ, ამ ხნის განმავლობაში რაღაც ამბავი მაინც მოაღწევდა.

და აი ასე, შენ აღარა ხარ, ჯაინაკ, ძალზე ახალგაზრდა წახვედი, თვრამეტი წლისა. არც ისე კარგად ახსოვხარ ხალხს, მაგრამ მე მახსოვხარ და ყოველთვის ვიგონებ, როგორ წახვედი ფრონტზე; ვერ გაბედე გეტქვა, რადგან მე ვიყვარდი და გეცოდებოდი. მაგონდება, როგორ მიეცი სადგურზე შენი ტყაბუკი ბიჭს. სადგურზე დაინახე გეკუთვრებული ოჯახი — დედა ოთხი ბავშვით, უფროს ბიჭს, მთლად შიშველს მიეცი ტყაბუკი თვითონ კი გათოშილი დაბრუნდი შინ, კბილს კბილზე გაცემინებდა. ის ბიჭი, ცხადია, უკვე დიდი იქნება და ალბათ ხანდახან გიგონებს კიდევ შენ, ბიჭუნას, ის ახლა ხომ ბევრად უფროსია შენზე. მაგრამ შენ იყავი მისი მასწავლებელი. სიკეთე გზაზე არ გდია, მას შემთხვევით ვერ იპოვი. სიკეთეს ადამიანი ადამიანისაგან სწავლობს.

ეპ, ახლა რაღა დროსია, ლაპარაკი რას უშველის წამხდარ საქმეს. რამდენი ხალხი დაღუპა ომმა. ომი რომ არა,

რა ლამაზი, გულითადი ადამიანი დაღვებოდა ჩემი ჯანაყი!

შვილი ჩემო, გული მტკივა, რომ საწუთროს თორმეტი ყვავილიდან ვერც ერთის მოწყვეტა ვერ მოასწარი. შენ მხოლოდ იწყებდი ცხოვრებას და მე ისიც კი არ ვიცი, რომელი ვოგონა გიყვარდა...

უკანასკნელი სანთელი ანთია ჩემს სულში, მალე ისიც ჩაქრება. მაგრამ ყველაფერი მახსოვს, მახსოვს ის დაწყველილი დღეც, როცა ჩემთან სახხავში ის მოხუცი მოვიდა.

ეს ადრე ვაზაფხულზე იყო. ენძელა ჯერ კიდევ არ ჩანდა. ის-ის იყო იწყებოდა ფარცხვა. ყვეთელი ველიდან თბილი ქარი ქროდა. მზრალად ნაზნავი შრებოდა, მზისგულზე ბალახი მწვანდებოდა.

სწორედ იმ დღეს დავიწყეთ ზენა. ტრაქტორის ცხენით მივეყვებოდი კვალში, მიწის სურნელს ხარბად ვიყნოსავდი და ჩემთვის გულში ვფიქრობდი, რომ დიდხანია არაფერი ამბავია სუვანკულისა და კასიმისაგან.

ამასობაში სოფლიდან ერთი მოხუცი მოვიდა, ეტყობოდა, არცთუ ისე საქარო საქმეზე. მე ვუთხარი:

— სწორედ კარგ დროს მოხვედი, აქსაკალ, დაგვილოცეთ ზენის კარგი დასაწყისი.

მან ცხენიდან ჩამოუსვლელად გაშალა ხელები, წვერებზე ჩამოსხვა და წაიჩურჩულა:

— შეგეწიოთ მსვენელ-მთესველის მფარველი დიიკან-ბაბა. წყალდიდობასავით უხვი მოსავალი მოგცემოდეთ. — მერე კი მე მომიბრუნდა: — ტოლგონაი, ქალაქიდან ჩამოსული ვილაც უფროსი გკითხულობს. ახლავე გამოცხადდეს კანტორაშიო. მე შენთან გამოგზავნეს.

— კარგი, ახლავე წავიდეთ, აქსაკალ. მეგუთნებთან მივედი, ვავაფრთხილე, სალამოს მოვალ და ნამუშევარს დავხედავ-მეთქი და სოფლისაკენ გავეშურეთ. ვილაც რწმუნებული რომ მეძახდა, ამაში არაფერი იყო უცნაური.

ჩვეულებრივი ამბავია, განსაკუთრებით ზენა-თესვის დასაწყისში მტკიან ჩამოსდის. მივდიოდით აუჩქარებლად, ხან ეს ვთქვით, ხან ის, მოხუცმა ლაპარაკში როგორღაც მორიდებით ჩაურთო:

— დიდი მადლობა შენ, ტოლგონაი, რომ ამ გასაჭირის წლებში ცხენზე შემჯდარი ვმსახურები ხალხს. ქალი კი ხარ, მაგრამ ჩვენი წინამძღოლი ხარ. ასე უნდა განავრძო, ტოლგონაი, უნავირზე უნდა გამაგრდე. თუ რაზე მოხდება, ყველანი შენთან ვართ, ვიცით შენი გასაჭირიც, ვიცით. ადამიანის ბედი მთის ბილიკივითაა: ხან ზევით მიდის, ხან ქვევით, ხან კი უფსკრულია წინ. ერთისთვის ძნელი გადასატანია, მაგრამ როცა ერთად ვართ, დაძლევა შეიძლება... ასეთია ადამიანის მოუსვენარი ცხოვრება.

ჩვენ უკვე სოფლის შარაზე მივდიოდით და ჩემ სახლთან თითქოს ხალხი შევნიშნე. მათ თავებს მოვკარი თვალი. მაგრამ რატომღაც ყურადღება არ მივაქციე. მოხუცმა უცებ ჩემი ცხენის სადავეს ხელი ჩაავლო და თვალებში არ შემოუხედავს, ისე მითხრა:

— ჩამოდი, ტოლგონაი, უნდა ჩამოქვეითდე.

მე გაოცებით მივაჩერდი. ის ჩამოხტა ცხენიდან, მკლავში ხელი მომკიდა და გამიმეორა:

— ცხენიდან უნდა ჩამოხდე, ტოლგონაი.

ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავი, რა უბედურება იყო ჩემს თავს, მაგრამ უკვე რაღაც საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი, მკვდარი, ნელა ჩამოვედი ცხენიდან და დავინახე ალიმანი, რომელიც სამი ქალის თანხლებით მოდიოდა სახლისკენ. ისინი იმ დღეს არხის გაწმენდაზე მუშაობდნენ. ალიმანს მხარზე თოხი ჰქონდა გადაბული. ერთერთმა ქალმა ეს თოხი ჩამოართვა და ერთბაშად ყველაღერს მივხვდი.

— რას შევებით? რა განვიზრახავთ? — ვიყვირე მთელი ქუჩის გასაგონად. მე რომ ვიყვირე, მეზობელი აიშის

ეზოდან ქალები გამოცვიდნენ. უხმოდ, სწრაფად მომიასლოვდნენ, ხელები დამიჭირეს და მითხრეს:

— გამაგრდი, ტოლგონაი, დაჯარკეთ ჩვენი შევარდნები, სუვანკული და კასიმი დაილუპნენ.

იმ წუთში გავიგონე, როგორ იკივლა ალიმანმა და მერე ყველა ერთხმად მოყვა მოთქმას:

— ბოორუმიო — ჩვენო ძმებო! ბოორუმიო!

მეტე აღარაფერი გამიგონია, დავერუვდი უცებ. ალბათ ჩემივე ყვირილისაგან დავერუვდი. მომეჩვენა, რომ ქუჩა შეინძრა, სახლები და ხეები ეცემიან, შემზარავ სიჩუმეში თვალწინ მიელავდნენ ხან ღრუბლები ცაზე, ხან კი დამახინჯებული, მუნჯი სახეები.

მე ვიქანებოდი, ვცდილობდი გამენთავისუფლებინა ვიღაცის ხელებში მაგრად ჩაბლუჭული ჩემი ხელები. არ მესმოდა, ვის ვეჭირე, რა ხალხი იყო შეყრილი ჭიშკართან. ვხედავდი მხოლოდ ალიმანს.

ვხედავდი შეუბრალებელი სიცხადით. ის საშინელი იყო, სახეჩამოტყავებული, თმაგაწეწილი, ტანსაცმელზე მოგლეჯილი, ქალები აჯავებდნენ, ის კი მთელა ძალით იწევდა ჩემსკენ და ისე გამაყრუებლად ყვიროდა, რომ არაფერი მესმოდა. მეც მისკენ მივიწევდი. ერთი სურვილიდა მქონდა, მალე მივშველებოდი, მაგრამ მგონია მთელმა საუკუნემ გაიარა, ვიდრე ჩვენ ერთმანეთამდე მივალწიეთ. მხოლოდ მაშინ, როცა ალიმანი კისერზე ჩამომგვიდა, გავიგონე მისი ვულისვაგამირაფი, ხრიწწიანი კვილი:

— დედა, დავჭკრივდით, დედა! უბედური ქვრივ-ოსრები ვართ! ჩაესვენა ჩვენი მზე, შავი დღე დაგვიდგა! დედა, შავი დღე!

ღიან, ჩვენ ქვრივები ვიყავით. ორა ქვრივი, — რძალი და დედამთილი, ჩვენ დავტიროდით ჩვენ ბედს, ერთმანეთს ვხუტებოდით და ერთმანეთის ცხარე ცრემლებში ვიხრჩობოდით.

მაგრამ მე და ალიმანს ტირილით

გული რომ გვეჭერებინა, იმის საშუალებაც არ მოგვეცა. მე შეიფე დღეს მივიდნენ კოლმეურნეები, ჰრუმ ვრთხელ კიდევ ეცათ პატივი დალუპულთა ხსოვნისათვის და გვითხრეს:

— ერთი წლის გლოვაც კი არ იქნებოდა საკმარისი. ჩვენ არ დაგვაფიწყდება ისინი, მაგრამ სულდგმულმა ადამიანმა უნდა იცოცხლოს. ის, რაც მათ დააკლდათ, დაე მასელებესა და ჯაინაკს შეემატოს (ჯაინაკისგან მაშინ თითქმის ყოველ კვირა ვღებულობდი წერილებს).

— დაე ისინი დაგვიბრუნდნენ გამარჯვებულნი. თქვენ კი სამუშაოზე გამოსვლის ნებას გაძლევთ. ახლა თესვია, მიწა არ იცდის, გული გაიკაჟეთ, იყავით ჩვენთან ერთად. დაე, ეს იყოს ჩვენი შურისძიება მტერზე.

მე და ალიმანმა მოვილაპარაკეთ და დავყვეით ხალხის ნებას.

ღილით სამუშაოზე წასასვლელად რომ ვემზადებოდით, თავმჯდომარე უსამბეიმ ორი ქალადლი მოიტანა. სამგლოვიარო ცნობებია და შეინახეთო, გვითხრა.

კასიმის დალუპვის ქალადლი თურმე ნახევარი თვის წინ მოსულა. ის შეტევის დროს მოსკოვთან ახლოს სოფელ ორებოვკაში მოუკლავთ.

ვიდრე იმის ბჭობაში იყვნენ, ეს ამბავი ჩვენთვის როგორ ეცნობებინათ. მოსულა სუვანკულის ცნობაც — ის ელცთან დიდი შეტევის დროს დალუპულა. თანასოფლელებს სხვა რალა ჩარა ჰქონდათ, უნდა ეთქვათ, და ასე ერთსა და იმავე დღეს შეგვიცხადეს. ეპ, რალა გავაგრძელო. ისევ მაგრა შემოვირტყე ქამარი და ისევ ბრიგადირის ცხენზე შევჭექე.

მე რომ ჩივილი, თავბედის წყევლა დამეწყო, ხელები ჩამომეყარა, ალიმანს რალა მოუვიდოდა? ისე იკლავდა თავს. ისე ნაღვლობდა, რომ შიში მზარავდა. განა მე ნაკლები დარდი მქონდა, ერთბაშად ორი დავკარგე — ქმარიცა და შვილიც, ორმაგი უბედურება დამატყდა და მაინც ჩემი საქმე სხვა

იყო. ბევრი იყო თუ ცოტა, მე და სუ-
ვანკულმა მაინც დიდი ცხოვრება გავ-
ლეოთ. ბევრი ვნახეთ, ბევრი ქირი და
ლხინი გადავიტანეთ. ბავშვები გვყავ-
და. ოჯახი გქმონდა, ერთად ვსრომობ-
დით, და, ომი რომ არა, სიკვდილამდე
ერთად ვიქნებოდით. ალიმანმა და კასი-
მმა კი რა ნახეს? მათი ცხოვრება წინ,
ოცნებებში იყო. ახალგაზრდობის წლე-
ბში მოსხება ისინი ომის ნაჯახმა. ცხა-
დია, დროთა განმავლობაში შეუბორო-
დებოდა სულის იარა ალიმანს. ქვეყა-
ნაზე ხალხს რა დალევს, ალბათ შეხვ-
დებოდა ადამიანს, რომელიც შეუყვარ-
დებოდა კიდევ და ცხოვრება დაბრუნ-
დებოდა ახალი იმედებით. სხვა ჭარის-
კაცების ქვრივები ასეც მოიქცნენ. ომი
გათავდა და დათხოვდნენ. ვინ კარგად,
ვინ არცთუ ისე კარგად, მაგრამ მარ-
ტონი მაინც არ დარჩენილან. ყველა
ისინი ახლა ცოლები და დედები არიან.
ბევრმა მათგანმა იპოვნა თავისი ბედ-
ნიერება. მაგრამ ყველა როდია ერთნა-
ირი. ზოგს ადვილად შეუძლია მწუხარ-
ების დავიწყება, ჩქარა გადააბიჯებენ
ხოლმე ახალ გზაზე, ზოგი კი წამებით.
გამწარბებით ტკენის ძველ ადგილს,
თავის თავში ვერ პოულობს ძალას გა-
ექცეს წარსულის მოგონებას. ალიმა-
ნიც, მისდა საუბედუროდ, ასეთი აღმო-
ჩნდა. ვერ დაივიწყა ძველი, ვერ შეუ-
რიგდა ბედს. ამაში მეც მიმიძღვის
ბრალი. სუსტი აღმოვჩნდი, შემეცო-
და...

განახტულზე ჩვენი ბრიგადა სათავო
არხს თხრიდა. მეც იქ ვიყავი. ერთხელ
მუშაობა ადრე, მზის ჩასვლამდე დავა-
მთავრეთ და ხალხმა შინ დაიწყო წას-
ვლა. მე კი მეგუთნებთან ვიყავი მისა-
სვლელი და ალიმანს ვუთხარი, არ და-
ეცადა. მეგუთნეთა ქოხი არც ისე
შორს იყო. რომ მივედი, ვახშობდნენ.
ნავახშმევს საქმეზე მოვილაპარაკეთ და
ქოხიდან გამოსული ის-ის იყო ცხენზე
შეჯდომას ეაბირებდი, რომ ალიმანი
დავინახე. ჩანს, არ წასულა. მარტო და-
რჩენილიყო, დადიოდა ნასვენ ნაკეთ-
ზე და ტულიბებს კრეფდა. მას ხომ ბა-

ვშვივით უყვარდა ყვავილები. ეპ, ალი-
მან, ალიმან, ჩემო ბედშელო, რძალო, ხე-
ლში ათიოდე დიდი ტულიბი ეკავა. ალ-
ბათ შინ უნდოდა წავლო. ყვავილებით
ხელში რომ დავინახე, ცხელმა ოფლმა
დამასხა, გამახსენდა მაშინ, შემონათი-
ბზე ველური ბალბა რომ დაკრიფა და
ასევე იდგა ყვავილებით ხელში. ოლ-
ონდ მაშინ თავზე წითელი თავსახვევი
ეკრა, ყვავილები კი თეთრი იყო, ახლა
თავზე შავი ეხვია, ხელში კი წითელი
ყვავილება ეჭირა. სულ ეს იყო განსხ-
ვავება.

მაგრამ როგორ მომხვდა გულზე! ალი-
მანმა თავი ასწია, მიმოიხედა, შემდეგ
თავაჩქინდრული დააჩერდა ყვავილებს,
თითქოს გაიფიქრა: ვისთვის და სად
წავიღო?.. და ერთბაშად მთელი ტა-
ნით ათრთოლდა, თავქვე ჩაემხო მიწა-
ში და ყვავილებს ნაკუწებად გლეჯა
დაუწყო, მიწას სცემდა მათ, მერე მი-
ყუწნდა, ხელებში თავჩარგული დიდ-
ხანს იწვა, მხრები უკანკალბდა. მე
ქოხს ამოვეფარე. არ მინდოდა შემეწუ-
ხებინა. დე, იტიროს, ეგებ ცოტა გუ-
ლზე მოეშვას-მეთქი, ვიფიქრე. ის კი
ფეხზე წამოხტა და შემონათიბით გზა-
ტყეცილისკენ გაიქცა. შემეშინდა,
ცხენს მოვახტი და დავედევნე. შემადრ-
წუნა იმის დანახვამ, როგორ გარბოდა
ჩემი რძალი, როგორ მიბრბოდა წითლად
აღლანებულ მინდორზე შავთავსაფრი-
ანი.

— ალიმან! გაჩერდი! რა ამბავია
შენს თავს? გაჩერდი, ალიმან! — ვეძებ-
დი მე, ის კი არ ჩერდებოდა.

მიიბრბინა გზატყეცილამდე, რომლი-
თაც ოდესღაც წავიდა ჩალისფერი თო-
ხარიკი. აქ დავეწვი.

— დედა, ნურაფერს მეტყვი. ნურა-
ფერს მეტყვი. დედა, არ მინდა!

აღვირი მოვწვი, იმან კი მოიბრბინა.
ცხენს ფაფარში ხელი ჩაავლო, ჩემ
ფეხს აეკრა და აქვითინდა.

მე ხმას არ ვიღებდი. აბა, რა შემეძ-
ლო მეთქვა მისთვის? მერე მან თავი
ასწია, საბე მთლად თინაში ჰქონდა და-

სერილი, ცრემლებით დასველებული, და სლუკუნით თქვა:

— შეხედე, დედა, როგორ ანათებს მზე. შეხედე რა ცაა, ან მინდორი როგორ ყვავის! კასიმი კი არ დაბრუნდება, არა? ვერასოდეს ველარ დაბრუნდება?

— არა, არ დაბრუნდება, — მიეუბნა მე.

ალიმანმა მძიმედ ამოიოხრა.

— მაპატიე, დედა, — წყნარად თქვა მან. — მინდოდა იქამდე მიმერბინა და იქ მასთან ერთად მოვმკვდარიყავი.

მე თავი ველარ შევიმარე და ავტირდი, არაფერი მითქვამს. მაგრამ მე რომ ბრძენი შორსმკვრეტელი დედა ვყოფიყავი, გადაწყვეტით უნდა შეთქვა მასთვის: „შენ რა, პატარა ბავშვი ხომ არა ხარ? მარტო შენ როდი ხარ ასეთ დღეში, ვინ მოთვლის, რამდენი შენისთანა დაქვრივდა. მოითმინე. როგორი საქმელოც არ უნდა იყოს ამის გაგება შენთვის — დაიფიწყე კასიმი. წარსულს ვერ დააბრუნებ. გავა დრო და შეხვდები კაცს, რომელიც მოგეწონება. შენს თავს თუ ვერ მოერევი, შენვე წააგებ. არ გაბედო ასე საკუთარი თავის გვეშა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და უნდა იცოცხლო“. როგორ ვნანობ ახლა, რომ ვერ გაგებდე მისთვის ამ უხეში, ამ ერთადერთი სიმართლის თქმა. მერეც, რამდენჯერ მქონდა შემთხვევა, რამდენჯერ ენაზე მადგა ეს სიტყვები, მაგრამ თქმა ვერ გაგებდე. რალაც დაუძლეველი ძალა მაკავებდა. თვითონ ალიმანსაც არ უნდოდა მოესმინა ჩემთვის. ჩანს, ყოველ სიტყვას აქვს თავისი დრო, როცა ის გამდნარ რკინასავით ადვილად იჭედება, თუ ეს დრო ხელიდან გაუშვი — სიტყვა გაიქვდება, გაქვადდება და მძიმე ტვირთად დაგაწევა გულზე, რომელსაც ასე ადვილად ვერ მოიშორებ. ამას მე ახლა ვამბობ, ამდენი ხნის შემდეგ, თორემ მაშინ იმ ყოველდღიურ გაწამაწიში სად იყო ფიქრისა და გარკვევის დრო. მთელი აზრები, ფიქრები ერთის გარშემო კრიალებდა — მალე დამთავრდეს ომი. მალე ველირსოთ გამარჯვებას,

ყველაფერი დანარჩენი შემდეგ. ასე მეგონა: ომი გათავდება და ყველაფერი თავისით მოეწყობა-მეთქი. მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა...

8

— დედაო-მიწავ, რატომ არ ჩამოიქცევიან მთები, რად არ გადმოედინებიან კალაპოტიდან ტბები, როცა ილუპეზიან სუვანკულისა და კასიმის მსგავსნი? ორივე ისინი — მამაცა და შვილიც — დიადი მხენელ-მთესველები იყვნენ. დასაბამიდან ქვეყნის ბუჯახი ასეთი ადამიანები ყოფილან, ისინი ავშევენ, ასმევენ და იცავენ მას ომის დროს, ისინი პირველნი ხდებიან მეომრები. ომი რომ არა, კიდევ რამდენს გააყეთებდნენ სუვანკული და კასიმი, რამდენ ადამიანს დააჯილდოვებდნენ თავიანთი შრომის ნაყოფით, კიდევ რამდენ ყანას დათესდნენ, რამდენ მარცვალს გალევდნენ. და თვითონაც სხვისი შრომით სამშაგად მიეზღებოდათ, ცხოვრების კიდევ მრავალ სიბარულს ნახავდნენ! მითხარი, დედაო-მიწავ, მითხარი სიმართლე: შეუძლიათ თუ არა ადამიანებს უომრად სიცოცხლე?

— შენ ძნელი კითხვა მომეცი, ტოლგონაი. იყვნენ ხალხები, რომლებიც ომებში უკვალოდ გაქრნენ, იყო დამწვარი და ქვიშით დაფარული ქალაქები, იყო საუკუნეები, როცა მე ვოცხებობდი, მენახა ადამიანის ჩაკვალევი. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ადამიანები იწყებდნენ ომს. მე ვეუბნებოდი მათ: „შეჩერდი, სისხლს ნუ ღვრით!“ მე ახლაც ვიმეორებ — „ჰეი, მთებსა და ზღვებს იქით მყოფო ადამიანებო, ჰეი, ადამიანებო ამ მიწის მკვიდრო, რა გინდათ — მიწა? აჰა, მე აქ ვარ! მე ყველა თვენგანისთვის ერთი ვარ, თქვენ ყველანი თანასწორნი ხართ ჩემთვის. არ მინდა მე თქვენი მტრობა, მე მინდა თქვენი მეგობრობა და გარჯა! ჩააგდეთ ნახნავში ერთი მარცვალი — და ასს მოგცემთ. ჩაარკვეთ ჩხირი და ჭადარს გაგიზრდით. გააშენეთ ბალი

— და ხილით აგავსებო. მოაშენეთ სა-
ქონელი — მე ბალახად ვიქცევი. აშე-
ნეთ სახლები — კედელი ვიქნები. მო-
შენდით, გამრავლდით — მე წალკოტად
ვიქცევი. მე უსახლვრო, უკიდევანო,
მალალი და ღრმა ვარ, თქვენ ყველას
გეყოფით! შენ კი, ტოლგონაი, მეკით-
ხები, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს
უომრად სიცოცხლე. ეს ჩემზე კი არა,
თქვენზე, ადამიანებზეა დამოკიდებუ-
ლი, თქვენს ნებასა და გონებაზე.

— მიწავ, მშობლიურო, ომი ზომ
შენს ყველაზე საუკეთესო მშრომე-
ლებს, ყველაზე კარგ ოსტატებს კლავს.
მე ამას ვერ შევურიგდები, მთელი ჩემი
სიცოცხლით ვერ შევურიგდები! ადა-
მიანებს შეუძლიათ, ადამიანებმა ბოლო
უნდა მოუღონ ომს.

— ტოლგონაი, შენ როგორ ფიქრობ.
განა მე არ ვიტანჯები ომისგან? არა, მე
ძალიან ვიტანჯები, ძალიან ვდარდობ
გლეხის ხელებზე, მე მუდამ დავსტირი
ჩემ შვილებს, მხენელ-მთესველებს,
მუდამ თვალს მაკლია სუენაჟული, კა-
სიმი, ჭაინაკი და ყველა დაღუპული ჯა-
რისკაცი. როცა მოუხვნელი ვრჩები,
როცა ყანა მოუმკვლია და პური გაუ-
ლეწავი, მე მათ ვუხმობ: „სადა ხართ,
ჩემო მხენელ-მთესველებო? წამოდე-
ქით, ჩემო შვილებო, მოდით, მომეშვე-
ლეთ, სული მებუთება, კვდები!“ რა
კარგი იქნებოდა მოსულიყო სუენა-
კული თოხით ხელში, კასიმს თავისი
კომბაინი მოეყვანა და ჭაინაკს თავისი
ორთვალას რახრახით აეხმინებინე!

მაგრამ მათ არ ესმით ჩემი ყვილი.

— გმადლობთ ამაზე, მიწავ ჩემო.
მაშასადამე, შენც ისევე მოგენატრა
ისინი, როგორც მე. ისევე დასტირი
მათ. გმადლობთ, მიწავ.

9.

ომის მესამე-მეოთხე წლებს სიზა-
რულიც ბევრი მოჰქონდა და მწუხარე-
ბაც: მტერს თანდათან ერეკებოდნენ —
სული ხარობდა, მაგრამ რაც დრო გა-
დიოდა, სულ უფრო და უფრო ჭირდა

ცხოვრება. შემოდგომაზე კიდევ არა
გვიშავდა, ნამკალზე თავიანთებს გაგრო-
ვებდით, ბოსტნებში ნის ვაქტოფის
ვთხრიდით, შუა ზამთრიდან კი იწყებო-
და შიმშილი. განსაკუთრებით გაზაფ-
ხულსა და ადრე ზაფხულში ჭირდა,
ძლივს ვაგვეკონდა თავი რაღაც ბალა-
ჩეულის ძირებითა და რძეგარეული-
წყლით. ჩვენ ორნი ვმუშაობდით და
არც ბავშვები გვყავდა სარჩენი და
მოსავლელი. ჯობდა კი, გვყოლოდა.
ადამიანს აუტანელი ტკივილი გიხუ-
თავდა სულს, როცა ხედავდი წვრილშ-
ვილი ოჯახების შიმშილით სახეშესიე-
ბულ და მუცელგაბერილ ბავშვებს,
ვედრებით რომ შემოგვქეროდნენ და
უსიტყვოდ გთხოვდნენ პურს. ჩემთვის
რომ ეთქვათ, „წადი შენც ფრონტზე,
მოკვდი იქ — და ომი გათავდება და
ბავშვები დაძლევიანო“ — ერთი წუთი-
თაც არ დავფიქრებოდი. ოღონდ მა-
თი მშვენიერი მშვიერი თვალბისთვის
არ მეცქირა. ამაზე ერთხელ აღმინს
ჩამოვუგდე ლაპარაკი. მან შემომხედა
და მერე მითხრა:

— მეც ასე მოვიქცეოდი. ყველაზე
საშინელი ისაა, რომ ბავშვებს არ ეს-
მით, რატომ უნდა იშიმშილონ. უფრო-
სები გულს მაინც იმშვიდებენ, იციან
მიზეზი, იციან რომ ოდესმე ამას ბოლო
მოეღება. ბავშვებს კი არ ესმით. ჩვენ
უნდა ვუშოვოთ მათ პური, ვიდრე მათი
მამები დაბრუნდებოდნენ. მე და შენ
მხოლოდ ესლა დავგვრჩენია, დედა, თო-
რემ რაღა ფასი. აქვს ჩვენს სიცოცხ-
ლეს...

ყველაფერი განუყოფლად ეკუთვნო-
და მხოლოდ ომს. სიცოცხლეს, შრო-
მაც, ნებისყოფაც, ბავშვის ფაფაც კი —
ყველაფერი, ყველაფერი უკანასკნელ
ლუკმაძღვე ომის უძღებ ხახაში მიდიო-
და. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ
სურდათ თავისი წვლილის გაღება; რა
დასაძალია, ასეთებიც იყვნენ. ისინი
ცდილობდნენ მეტი წაეგლიჯათ ჩვენთ-
ვის.

ერთხელ გზა დამებნა. ეს მოხდა
ორმოცდასამი წლის შუა ზამთარში,

თუმცა მგონი, ზამთრის მიწურული იყო. ველზე აქა-იქ უკვე შავად მოჩანდა შიშველი მიწა, მაგრამ სარკმლებს ლამაზობით შინც ყინავდა.

ვინ იცის, ღამის რომელი საათი იყო — დიდხანია უკვე ყველას ეძინა, — უცებ ვილაცამ ისე მაგრა დააბრაუნა სარკმელზე, მეგონა შუშები ჩაიღწევა-მეთქი.

— ტოლგონაი! ბრიგადირო! ადექი! გაიღვიძე! — ყვიროდა ვილაცა ქუჩიდან.

მე და ალიმანი შევშინდით და ლოგინებიდან წამოვცვივდით.

— დედა! — წაიჩურჩულა ალიმანმა სიბნელეში ისეთი შეშფოთებით, თითქოს რაიმე სასწაულს ელოდა.

ეჰ, წყეული იმედი! მეც შიშისა და გაურკვეველი სიხარულისაგან გული გადამიქანდა: „იქნებ რომელიმე დაგვიბრუნდა?“

ფანჯარას ვეცი:

— ვინ არის აქ? რომელი ხარ?

— გამოდი, ტოლგონაი! ჩქარა! ცხენები მოიპარეს! — მიპასუხა ხმამ ფანჯრის იქიდან.

ვიდრე ალიმანი ღამფას მოუკიდებდა, მე სასწრაფოდ ჩავიცვი ჩექმები, ახალუხი და ქუჩაში გამოვარდი. გავიქეცი თავლაში. იქ უკვე ხალხს მოეყარა თავი, თავმჯდომარეც მოსულიყო. გამოირკვა, რომ ქურდებს ჩვენი ბრიგადის სამი საუკეთესო ლაფშა წაეყვანათ, მათ შორის ჩვენი ჩალისფერი თოხარიკიც, რომელიც მე კოლმეურნეობას გადავეცი. მათ ხენისათვის ვამზადებდით. შეჭინიბე ამბობდა, სათიფეში წავედი ცხენებისთვის ღამის ულუფის მოსატანად, დაებრუნდი, ვხედავ თავლაში სიბნელეა, ფარანი არ ანთია; ვიფიქრე, ქარმა თუ დაუბრა-მეთქი, და აფჩქარებლად ავანთე სინათლე, შევხედე ნაპირიდან სამი ბაგა ცარიელია.

იმ დროს კოლმეურნეობისათვის სამი მუშა ცხენის დაკარგვა დღეს ათი ტრაქტორის დაკარგვას უდრის. კარგად რომ ჩაუყვირდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრონტზე ყოველ ჯარისკაცს თითო ნა-

პერი პერი დააკლო. ცხენები შევკაზმეთ, ზოგმა თოფი წამოიღო, დანაყველა-ნი ქურდებს დავედევნეთ. რომ დაეწყობდით არ დავინდობდით. პატიოსნებას ვფიცავთ — არ დავინდობდით!

სოფელს რომ გავცდით, ჯგუფებად დაგნაწილდით და სხვადასხვა მხარეს წავედით. მე ჭიშთან ულაყზე ვიჭექი, ფიცხი ცხენი იყო, სულ ლაგამის წართმევას ღამობდა, მეც მივუშვი მახსოვს, ქარივით გადაველო შარას და მთისკენ გაქროლა. ორნი ჩვენი ჯგუფიდან უკან მომყვებოდნენ, უცებ მოვხედე, აღარ ჩანან. ეტყობა, ან მე ავცდი, ან ისინი. ასეთ სიბნელეში ადვილი იყო გზის დაკარგვა: მთვარე არ ანათებდა, მაგრამ მისი შუქი მაცდური იყო — ოციოდე ნაბიჯზე ყველაფერს უკუნი ნთქავდა. მაგრამ მაშინ ამაზე ვინ ფიქრობდა: ოლონდ ცხენის ქურდებს დავეწოდით: დანაკარგი ისეთი გულსატკენი იყო, რომ ვეღარც კი ვამჩნევდი, საით მიმაქროლებდა ცხენი. უცებ ცხენი შეჩერდა, ვხედავ ჩემს წინ ღრმა ხევია. მთლად მთის ძირში მივსულვარ. მთვარე ნელა მიიწვედა ბნელ ქედზე, ვარსკვლავები დაბინდულიყვნენ. არსით შუქი. ქვემოთში მძაფრი ქარი ქროდა, ზეხმელა კურაის აშრილებდა და წვრილად სტვენდა. ძველი, ალიზის აკლდამის ნანგრევებზე ბუები კიოდნენ.

ცხენდაცხენ ჩავედი ხევში. არაფერი ისმის. მხოლოდ მელია დავაფრთხე. ის ლელიანიდან გამოვარდა და მოუსვა — ვეყანი — ცისფერი ჩანდა მთვარის შუქზე. ირგვლივ არაფერი იყო.

სოფლისკენ მოვბრუნდი. მივყვებოდი ბევისპირს და ვფიქრობდი: ამბობენ, ჯეშენკული ერთი ჩვენი მეზობელი — ქარიდან გამოქცეულა, მასთან ერთად კიდევ ყვითელი ველის ორი მცხოვრებიც არის და მთებში აფარებენო თავს. მე არცთუ ისე მჯეროდა ეს ხმები. არ მესმოდა, როგორ შეიძლება იმალებოდე, როცა სხვა ყველა განსაცდელშია. გამოდის, რომ ერთნი უნდა წავიდნენ საომრად, დაილუბონ, სხვები კი მათ ზურგს ამოეფარონ? არა, აბა, ვინ წავა

ასეთ უსინდისობაზე, ჩემთვის ვბჭობდი მე. ახლა კი უცებ ეჭვი შემეპარა. სოფელში ჩვენ ყველა ხუთი თითოვით ვიცნობთ ერთმანეთს. არ შეგულებოდა ადამიანი, რომელიც ცხენის ჭურდობას იკადრებდა. ცხენი ნემსი ზომ არაა, უბეში დამალო. მით უმეტეს სამი ერთად. მაშასადამე, ჭურდები საიდანღაც მოვიდნენ. ალბათ, ახლა სადღაც ველზე ან მთებში მგლებივით დაქრწიან. თუ ჭეშენაკული მართლა დეზერტირია, მაშინ ეს ნამდვილად მისი ნამოქმედარია, ვფიქრობდი მე. მაგრამ მთლად მაინც არ ვიყავი დარწმუნებული: როგორც არ უნდა თქვა, თუ ვერ დაიჭერ — ჭურდი არ არის, ნახვით კი არავის უნახავს.

სამი ცხენი — ერთი ორსახინისიანი გუთნის შებმა. ეს აჯახულობა რის ვაივავლახით შევკაოწიწეთ, ოთხი კვიცი გაგხედნეთ და გუთანში შევაბით. დასანანია, მაგრამ რა გაეწყობა. ამასობაში თესვაც წამოგვესწრო და ისეთი ამბავი დაიწყო, ჭურდებისათვის ვიღას ეცალა. ეს იყო ყველაზე ძნელი გაზაფხული ჩემს სიცოცხლეში. ხალხი რა — ხალხის რა ბრალია. ხალხს უნდოდა მუშაობა, ცდილობდნენ, მაგრამ ცარიელი კლქით აბა რას იმუშავებ. ის, რასაც წინათ ერთი დღე უნდებოდნენ, ახლა ერთ კვირას ანდომებდნენ, სამუშაოები ყოვნიდებოდა, თესვა გაქიანურდა. აქ კიდევ მთავარი გასაჭირი, კოლმეურნეობაში თესლი არა გვაქვს. უკანასკნელ მარცვლამდე გამოვცალეთ, გამოვჩხრიკეთ ხარობები, დიდი გაჭირვებით რაღაცა შევაგროვეთ და ბრიგადის გეგმა მაინც შევასრულეთ.

ამ დღეებში მე მაგრად ჩაუეკვირდი ჩვენს ცხოვრებას. შრომადღებზე არაფერს არ ვღებულობდით, ძველი მარავიდან უკვე ყველაფერი შევქამეთ. რა ვქნათ? ავიყაროთ, სამათხოვროთ წავიდეთ? არა, ეს თავის დაკარგვას ნიშნავს. მაშ რა ვქნათ? კარგი, შემოდგომამდე მივალთ, ზამთარში თავს გავიტანთ, მერე კვლავ გაზაფხული დადგება და ისევ უნდა აიძულო ნახევრადმშიერი, ძალა

გამოცლილი ხალხი იმუშაოს. არ იმუშაო — არ შეიძლება.

ერეკენული

ათასნაირად ვფიქრობდით, რამეტყბს თეორიად ვათენებდი და დამებადა აზრი: გადაგვეხნა ნასვენი მიწები და მოსაველით კოლმეურნეთა ოჯახებს დავხმარებოდი. მოვეთათბირე თავმჯდომარეს, რაიონამდე მივედი, ავუხსენი, რომ გეგმა შევასრულეთ, ამას კი გეგმის ზევით, საკუთარი ძალებით, სპეციალურად ჩვენთვის, შრომადღეებზე გასანაწილებლად მოვიყვანთ, რომ ხალხს დავეხმაროთ. ვილაკამ რეპლიკა მესროლა:

— შენ სტალინურ საკოლმეურნეო წესდებას არღვევ!

ვერ მოვითმინე:

— ეშმაკსაც წაუღია ეგ წესდება! მშვირები თუ ვიქნებით, ვიღამ უნდა გარჩინოთ?

— შენ იცი, მაგისტრის რას გიზამენ?

— ვიცი. რაც გინდა ის მიქენით, თუ ამით საქმეს ეშველება. ოღონდ ჭერ ის მოიფიქრეთ, ფრონტზე ჯარისკაცებისათვის პურს ვინ დასთესს?

რაიკოში ახმაურდნენ, აკამათდნენ. ბოლოს ნება დაგვრთეს, გვითხრეს: პასუხისმგებლობა თქვენ იყისრეთო. საქმე პასუხისმგებლობა კი არა, სათესლეს შოვნა იყო. კოლმეურნეობაში სანთლით რომ გეძებნა, მარცვალსაც ვერ იპოვნიდი, რაც იყო, სულ დაეთესეთ. ავდექი და შეეკრიბე ჩემი ბრიგადის წევრები, ყველა, დიდი და პატარა. კრება კი არა, ნამდვილი საოჯახო თათბირი მოვაწყეთ.

მოდით ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ? — ვთქვი მე. — რაც დათესილია, იმის იმედი ტყუილად ნუ გექნებათ. თვითონაც კარგად იცით, ის მთლიანად ფრონტისათვისაა, თუ რამე დარჩება, სათესლედ წავა. ჩვენ კი, თუ სათესლეს ვიშოვით, გვაქვს საშუალება დაეთესოთ მრავალშვილიანი ოჯახების, მოხუცებისა და ობლების დასახმარებლად. თუ მენდობით, მე ვკისრულობ ამ პასუხისმგებლობას. ახლა საქმე იმაზეა მიმდგარი, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა სათესლეთ მიეცეთ ოქროს მარცვლები, ის, რაც კიდევ გვაქვს შემონახული. ნუ



გამირისხდებით, დღე პირიდან ლუკმა გამოვიღოთ, დაე ვიშიშშილოთ— ახალ მოსავლამდე როგორმე რძითაც გავიტანთ თავს, სამაგიეროდ ყოველი მარცვანი სამშავად ავეინაზღაურდება. უკანასკნელი ძალა მოიკრიბეთ, ძვირფასებო, კბილი კბილს დააქირეთ, თავი გასწირეთ ასეთი გმირობისათვის, თქვენივე შევილებისა და თქვენივე თავისთვის. არ ინანებთ. ენდეთ ჩემს დედურ სიტყვას. დამეხმარეთ, ვიდრე თვისის დროა...

შეკრებაზე თითქოს ყველამ მხარი დამიჭირა. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაჭირდა, უბრალოდ საშინელება დატრიალდა. განსაკუთრებით შემზარავი იყო, როცა მრავალშვილიანი დედები გამოდიოდნენ ეზოებში და სწყევლიდნენ ყველაფერს ამქვეყნად: ომსაც, ასეთ სიცოცხლესაც, ბავშვებსაც, კოლმეურნობასაც, მეც. და მაინც, ადამიანები გულიდან იგლეჯდნენ უკანასკნელს, იძლეოდნენ იმდენს, რამდენიც შეეძლოთ: ვინ ნახევარ ფუტს, ვინ ერთ მუქას. ეხედავდი, რომ ხალხი იძლეოდა უკანასკნელს და მაინც ვიღებდი. ვაგროვებდი ყველაფერს, მუქა-მუქა ვყრიდი ტომრებში და ასე, ორთვალათი ჩამოვიარე კარდაკარ, ვევედრებოდი, ვთხოვდი, ვილანძღებოდი, ხელიდან ვტაცებდი. და მხოლოდ ერთი მანუგეშებდა, ის რომ შემოდგომაზე ხალხი მადლობას მეტყვოდა, რომ შემოდგომაზე ყოველი მუქა მარცვალი ფუტად დაბრუნდებოდა.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ მოვექეცი ჩემ მეზობელ ქალს, აიშას. ის ავადმყოფი იყო, ადრე დაქვრივდა. ქმარი ემანბაი ომამდე მოუკვდა. დარჩა ეს ავადმყოფი ქალი ერთადერთი ვაჟის — ბექტაშის შემყურე. თუ ავად არ იყო, მუშაობდა კოლმეურნობაში, თავის ბოსტანში, ძროხა ყავდა — ამით ირჩენდა თავს და შვილს ზრდიდა. ბექტაში იმ დროს უკვე მოზრდილი იყო, საიმედო, გულმოდგინე ბიჭი დადგა. იმ დღეს სწორედ მისი ორთვალათი დავდიოდი. მათ ეზოს რომ გავუსწორდით, ვკითხე:

— ბექტაშ, გაქვთ რაიმე სახლში?
— გვაქვს ცოტაოდენი, ^{ან} მითბრა ბიჭმა დაყოვნებით. — თოფრაში, ლუმელს უკან.

— მაშ წადი და მოიტანე.
— ვერა, დეიდა ტოლგონაი, თქვენ წედიოთ, — შემევედრა.

იმ დღეებში აიშა ცუდად იყო. მას წელზე თბილი თავშალი შემოეხვია და ქეჩაზე იჭდა.

— აიშა, მოვედი იმის წასაღებად, რასაც ყველა იძლევა. — ვუთხარი მე.
— რაც გვაქვს აგერაა, — და ლუმელს უკან თოფრაზე მიმიითია.

— რამდენიც გაქვს. სალაღობოდ როდი გვინდა, სათესლედ გვიჭირს, მიწა მზადაა, თესს ელის, ნუ მაყოვნებ, აიშა, — დავაჩქარე.

მან ტუჩები მოიკენიტა და უხმოდ ჩაქინდრა თავი. ოჰ, წყეულო გაჭირვება, სადამდე მიგყავს ადამიანები!

— აიშა, აბა იფიქრე, შენ შეიძლება ამ ხორბლით ათი-თხუთმეტი დღე იოლად გასულოყავი, მაგრამ მომავალ ზამთარზე იფიქრე, გაზაფხულზე იფიქრე. შენი შეილისათვის ვთხოვ, აიშა. ის ქუჩაში მელოდება, ორთვალაში.

მან თვალები ასწია და ვედრებით შემომხედა.

— რომ მქონდეს, გგონია მენანება? შენ ხომ იცი, ტოლგონაი, მეზობელი არა ვარ...

ვიგრძენი, რომ ვერ გავუძლებდი მის ვედრებას, მაგრამ უმალვე გადავძალე სიბრალოლო.

— ახლა მე შენი მეზობელი კი არა, ბრიგადირი ვარ! — მოუუპირი მე. — ხალხის სახელით გართმევ ამ მარცვალს! — ავდექი და თოფრას ხელი დავავლე. აიშა შებრუნდა.

თოფრაში შვიდ კილოგრამამდე მარცვალი იქნებოდა. მინდოდა სულ წამელო, მაგრამ ვერ გავბედე და ნახევარი იქვე ცარიელ ვედროში გადავცალე. აიშას კი ვუთხარი:

— შეხედე, აიშა, მხოლოდ ნახევარი მიმაქვს. არ გეწყინოს.

იგი შემობრუნდა და მე დავინახე

ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე და ნიკაბთან ესკვნებოდა. თავქედმოგლეჯით გამოვვარდი გარეთ. ოპ, ხელი გამხმობოდა და იმ თოფრას არ მივკარებოდი. მაგრამ საიდან შეიძლებოდა მცოდნოდა, რა ბედი ეწეოდა ჩემ მოგროვილ თესლს?

ორი დიდი ტომარა მარცვალი მოგროვდა. გავცხრილეთ. გავანიავეთ, სარეველისაგან გავწმინდეთ, სულ მარცვალ-მარცვალ გადავარჩიეთ. ჩემი ხელით წავილე ყანაში. ეპ, იმ დღეს რომ არ ავჩქარებულყავი! ცოტალა იყო დარჩენილი მოსახნავი, მე კი ველარ ვითმენდი, მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა დამეთესა. დილაადრიაანდ თერთონ ვაპირებდი ხელით დათესვას. ყველაფერი მზად იყო, თესლიც, მიწაც, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ჩაფიქრებული მქონდა.

სალამოს, სამუშაოდან შინ რომ დავბრუნდი, რალაც მოუსვენრობამ ამიტანა, ადგილს ველარ ვპოულობდი. დღისით ბექტაშსა და კიდევ ერთ ბიჭს ვუთხარი, მინდორში ფარცხები წაეღოთ. ბავშვი, რაც არ უნდა იყოს, მინც ბავშვია. მთლად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შეასრულეს ჩემი განკარგულება და აღიმანს ვუთხარი:

— წავალ, ბავშვებს მივაკითხავ, ვნახავ რას აკეთებენ.

შევჯექი ცხენზე და წავედი.

სოფელს რომ გავედი, ცხენი ჩორთით წაეიყვანე. უკვე ბინდდებოდა ადგილზე რომ მივედი. ვხედავ ხარები უღელში შებმულნი დგანან სახნავში. არაინაა. გავბრაზდი მეხრე ბიჭზე, ამდენი ხანია ხარები არ გამოუშვია, უღელქვეშ ტანჯავს-მეთქი. დამაცადე. შავ დღეს დაგაყრი, — ვფიქრობ ჩემთვის გულში. დავუწყე ძებნა. მივიხედ-მოვიხედე, ვხედავ. ფარცხებით საესე ორთვალა აყირაგებული დგას. აქაც არაინ ჩანს.

„ჰეი, ბიჭებო! სადა ხართ? ხმა გამეციო! — დავუძახე.

ხმა არაინ გამცა. კაცის ჰაჰანება არაა ირგვლივ. რა მოუვიდათ? სად გა-

დაიკარგენ? შევმინდი. კარავიკენ/გავაქენე, ცხენიდან ჩამოვსტრქსნანთქკავკარი ბიჭები კარავში ეყარნენ, ხელუტყხ-შეკრულნი, დასისხლიანებულნი, პირები რალაც ჩერებით ჰქონდათ ამოტენილი. ბექტაშს ვეცი, პირიდან ჩვარი ამოვანრე.

— თესლი? სადაა თესლი? — ვიყვირე არაადამიანური ხმით.

— წაიღეს! გვეცმეს! — წაიხროტინა მან და თავი იქით გადაიქინია, საითაც ქურდები მიიმალნენ.

მეტი აღარაფერი მახსოვს. ჩემ სიკაცსლეში არასოდეს მიქენებია ცხენო ასე, როგორც იმ ღამეს, ღამე, მაგრამ რა ღამე — სამარის უკუნი მასთან ნათლად მოგეჩვენებოდა კაცს. ჩემი სახლი რომ გაეძარცვათ და გადაეწვათ, ხმას არ ამოვიღებდი. შემოდგომაზე კალოდან ათი ტომარა მარცვალი რომ წაეღოთ, მოვითმენდი: რას იზამ, თავგებაც მიეჭვთ. მაგრამ ამ თესლისათვის, ჩვენი მომავალი პურისათვის — საკუთარი ხელით დავახრჩობდი.

როგორც ჩანს, მე სწორად გავყოლივარ ქურდების ნაკვალევს მალე დაეინახე კიდევ ისინი. ცხენის ნაღებისგან აცენილი ნაპერწყლები შევნიშნე. ტომრები წინ, უნაგირზე გადადებული მიქონდათ ქურდებს. მთის მხარეს მიდიოდნენ.

რომ დავინახე, ყვირილი აეტებე. ვეხეწებოდი:

— დატოვეთ ტომრები, თესლია! დატოვეთ, ეს თესლია! თესლი!

ისინი არც შემობრუნებულან. მანძილი ჩვენ შორის თანდათან მოკლდებოდა, და მე შევნიშნე, ერთ-ერთი მათგანი, განაპირას რომ მიდიოდა, ჩალისფერ თოხარიცზე იჯდა. ცხენი იმწამსვე ვიცანი, აბა, როგორ შეიძლებოდა არ მეცნო? სიარულზე და უკანა ფეხების თეთრ ქაჩაჩებზე, ვიცანი და მაშინ დავუყვირე:

— შესდექ, გიცანი! შენ ჯენშენკული ხარ! ჯენშენკული! ახლა კი ხელიდან ველარ წამიხვალ! შეჩერდი!

ეს მართლაც ჯენშენკული აღმოჩნდა.

სხვებს ჩამორჩა და ჩემსკენ შემობრუნდა. ბნელში იელვა ცეცხლმა, რალაცამ დაიგრილა და უკვე ცხენიდან ვვარდებოდი, როცა მივხვდი, რომ ეს გასაროლა იყო. პირველად კი მეგონა, ცხენმა წაიფორხილა-მეთქი.

გონს რომ შოვედი, ყრუ, მძიმე მტეხავი ტკივილი ვიგრძენი ზურგში. თავიდან სისხლი მდიოდა და ცივ ლაბად ჩამოდიოდა კეფაში. გვერდით ცხენი ხროტივებდა და ადგომას ლაშობდა. ბოლოს, სიკვდილის წინ მკერდიდან ერთი ძლიერი ხრიალი ამოუშვა, თავი ყრუდ დაუეარდა მიწაზე და მიწყნარდა. ირგვლივ ყველაფერი მიუყჩადა, — მიუყჩადა მთელი სიციცხლე. გაუნძრევლად ვიწეჭი, ადგომაც კი არ მიცდია. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. ცხოვრებას ახრი აღარ ჰქონდა. იმასღა ვფიქრობდი, თავი როგორ მომეკლა. სადმე ახლოს ფრიალო ქარაფი არ მეგულეობდა, თორემ ხოხვით მივიდოდი იქამდე და თავით გადავეშვებოდი. ვერ წარმომედგინა, როგორი თვალებით უნდა შემეხედა ხალხისთვის. სწორედ ამ დროს ცაზე ირმის ნახტომის მიმქრალი და დაბინდული მდინარე შევჩაშენ და ამან აიშას სახეზე ჩამომდინარი ცრემლები გამახსენა. მუხლებზე დავდეჭი, მერე ფეხზე წამოვდეჭი, წავბორძიკდი, ისევე დავეცი და აქეთივებული, გამწვარებული წყველა-კრულვას მოვყევი.

— ომის სისხლმა გიწიოს, ჯენშენკულ! მკვდრებმა დაგწვევონ შენ, ჯენშენკულ! ბავშვების წყველამ გიწიოს, ჯენშენკულ!

ეტბროდი და ვყვიროდი, ვიდრე მოლად არ წამერთვა ძალი.

დიღხანს ვაწეჭი. მერე ვილაცის ფეხის ხმა გაისმა, ვილაცამ დამიძახა:

— დეიდა ტოლგონაი! სადა ხართ! დეიდა ტოლგონაი!

ბექტაშის ხმა ვიცანი და შევეხმიანე აქლოშინებულმა ბექტაშმა მოირბინა, მუხლებზე დაეცა, თავი ამიწია:

— დეიდა ტოლგონაი, რა მოგივიდათ? დაქრილი ხართ?

— არა, დაეიმტვერი, — დავამწველე. — ტყვიამ ცხენი მომიკლა. — ეგ არაფერია, ახლაც ვიწეჭი! — გაუხარდა ბექტაშს და დაუმატა: — ხორცი არ დაიკარგება ოჯახებს დაეუნაწილებთ.

ბიჭებმა ორთვალათი მიმიყვანეს შინ. სამი დღე ვეგდე ლოგინში, წელი მტეხობდა. ახლაც გამიხსენებს ხოლმე ცუდ ამინდში. იმ დღეებში ბევრი მოდიოდა სანახავად, ჩემი ჯანმრთელობის ამბის გასაგებად. ხალხის მადლობელი ვარ, მაგრამ განსაკუთრებით ვუმაღლი იმისათვის, რომ საყვედური არავის დაცდენია, კრინტიც არავის დაუძრავს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. შესაძლოა, ხვდებოდნენ როგორ მიმძიმდა.

გულზე ცეცხლი მედებოდა, თვალთ მიბნელდებოდა. იმის გახსენებაზე, რომ ჩვენმა შრომამ ამაოდ ჩაიარა და მიწა დაუთესავი დაგვრჩა, ხოლო ის მარცვალი, რომელიც მე ატირებულ ბავშვებს გამოვტაცე, იმ საზოხლარი ბანდიტების ნადავლი გახდა.

10

— ჰო, ტოლგონაი, არა მარტო შენ, არამედ მეც, მიწაც ვგრძნობდი ამ ტკივილს. ის ცარიელი მინდორი მთელი ზაფხული პირღია ჰრილობასავით დარჩა. დიდხანს არ განელეებულა ტკივილი. ყველაზე საშინელი ჰრილობა ჩემთვის დაუთესავად დარჩენილი ხნულია, ტოლგონაი. რამდენი ხნული კი დარჩა უნაყოფოდ ომის გამო! ჩემი ყველაზე მომაკვდინებელი მტერი ისაა, ვინც ომს აჩაღებს.

— შენ მართალი ხარ, დედაო-მიწავ, ამაზე არ მწერდა ჩემი მასელბეკი? ხომ გახსოვს, მიწავ, მასელბეკის წერილი?

— მახსოვს, ტოლგონაი.

ჰო მე და შენ გვახსოვს. დღეს მკვდრების მოხსენების დღეა, დედაო-მიწავ. დღეს ჩვენ კვლავ ყველაფერს გავიხსენებთ.

— გავიხსენებთ, ტოლგონაი. მასელბეკი მარტო შენი შვილი ხომ არ იყო,

ის ჩემი შვილიც იყო — მიწის შვილი. გამიმეორე მისი წერილი, ტოლგონაი.

11

სანახავად მოსულები, მომხდარ ამბავზე სდუმდნენ. არაფერს ამბობდნენ და ლაპარაკობდნენ მხოლოდ ამინდზე, სამუშაოზე, მეგონა, ამას ჩემდამი თანაგრძნობისათვის აკეთებდნენ; მაგრამ თურმე ამას სხვა მიზეზი ჰქონია. მე რე მივხვდი. სიცოცხლით რაც მელოდა...

ერთხელ აიშა მოვიდა, არაყანი შემომიტანა. ზღურბლზე რომ გადმოაბიჯა, მე საშინლად შემრტყვა. არ ვიცოდი. რა მეთქვა. ლოგინზე ვიჭექი და ვსდუმდი. მან კი მითხრა:

— ნუ ფიქრობ, ტოლგონაი, იმაზე, რაც მოხდა. მაპატიე ჩემი სისუსტე. აოც მე ვარ შენზე ნაწყენი. შენთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ. ახლა ჩემი ბექტაში ორივე ოჯახში გასწევს კაცის მაგიერობას. მას შენ ჩემზე მეტად უყვარხარ. მე ეს ძალიან მიხარია, გამგებინი, გულითადი კაცი დადგება...

მე ძლივს ამოვიღუღლულე:

— გამაღლობთ ამ სიტყვებისათვის, აიშა.

მეორე დღით ცოტა უკეთ ვიყავი და ეზოში გავედი, სახლის საქმეს მივხედავ-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ მალე დავიღალე და ფანჯარასთან მზეზე დავჯექი. ალიმანიც შინ იყო. ეზოში სარეცხს რეცხავდა. ვეუბნებოდი — წადი სამუშაოდ-მეთქი. მაგრამ არ ქნა. თავმჯდომარემ მითხრა, ერთი-ორი დღე დარჩი შინ, ავადმყოფი მარტო არ დატოვო.

იმ გაზაფხულზე სუენაკულის დარგული დიდი, ძველი ვაშლის ხე ისე აყვავდა, თითქოს ხელახლა მოიკრიფა ძალა და გაახალგაზრდადებოდა. ხოლო როცა ბალი ყვავილობს, ჰაერი სუფთაა, კამკამა და ირგვლივ ყველაფერი მოჩანს. ვიჭექი და ვტყებოდი არემარის ცქერით. ამასობაში ჩვენი ფოსტალიონი, მოხუცი ტემირჩალი მოვიდა. — გამარჯობა, ტოლგონაი, როგორ ხარო, მომესალმა. თვითონ კი როგორღაც უჩვეულოდ აჩქარდა, ნაძალადევად ახველებ-

და, ხეულას უჩიოდა, წინა კვირას გაცივდიო, აბობდა, და მას შემდეგ ასე ვიტანჯებო, ბოლოს, *ამაღუთსა სხვათა შორის მითხრა:*

— შენს სახელზე მგონი რაღაც წერილია. — და ჩანთიდან წერილი ამოიღო.

მე გამაბრაზა კიდევ ასეთმა გულგრილობამ:

— რატომ მაშინვე არ მითხარი? ვისგანაა?

— მგონი მასელებეისგან უნდა იყოსო — წაიბურტყუნა.

სიხარულისგან პირველად ვერც კი შევამჩნიე, რომ ეს წერილი ისეთი არ იყო, როგორც ყოველთვის, სამკუთხად გაკეცილი, არამედ მაგარ თეთრ კონვერტში იდო, ნაბეჭდი ასოებით წაწერილი. ამ დროს მეზობელი ფრონტელი ბექტურსუნი მოვიდა. ვიფიქრე, ალბათ დაპირილი ფეხი თუ ატკივდა-მეთქი ისევე, — ძლივს მოჩანჩალდა ჩემამდე. ხანდახან მოგვაკითხავდა ხოლმე, დაჯდებოდა, ილაპარაკებდა და წავიდოდა. ბექტურსუნი მოგვესალმა. კონვერტი აიღო. მასელებეისგან არისო, თქვა.

— რა ხელები გიკანკალებს? რას დგახარ ყავარჯნებზე ჩამოჭექი, წამიკითხე, — შევეხვეწე მე.

ის ძლივსძლივობით დაჭდა ქეჩაზე. ფეხს ვერ ღუნავდა. აკანკალებული თითებით გახსნა კონვერტი და კითხვა დაიწყო. ეჰ. შვილო, პირველი სიტყვებიდანვე ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის.

„გესმის, დედა— წერდა ის, — გავაღრო და შენ გამიგებ. დარწმუნდები, რომ მე სწორად მოვიჭექი. დიახ, შენ აუცილებლად იტყვი, რომ შენი შვილი სინდისიერად მოიქცა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ გაიგებ, საღდაც გულის სიღრმეში დაგარჩება ჩემთვის სათქმელი სიტყვები: „როგორ შეგეძლო, შვილო, ასე უბრალოდ წასულიყავი ამ ნათელი სამყაროდან? რისთვის გაგაინი, რისთვის გაგზარდე?“ კი, დედა, შენ დედა ხარ და უფლება გაქვს მომიკითხო, მაგრამ შენს კითხვაზე მომავალში ის-

ტორია გაგცემს პასუხს. ახლა მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ როდი ვითხოვეთ ომი, ჩვენ არ დაგვეწყენია ის, ეს ჩვენი, დიდი უბედურებაა. ჩვენ უნდა დავეღვაროთ სისხლი, გავწიროთ ჩვენი სიცოცხლე, რომ გავანადგუროთ ეს ურჩხული. თუ ამას არ ვიზამთ, ღირსნი არ ვიქნებით ვატაროთ ადამიანის სახელი. მე არასოდეს მიოცნებია ჩამედინა გმირობა ომში. მე ვემზადებოდი ყველაზე მოკრძალებული პროფესიისათვის — მინდოდა მასწავლებელი გამოვსულიყავი, ძალიან მინდოდა. მაგრამ საჩვენებელი ჯოხისა და ცარცის მაგიერ იძულებული გავხდი ხელში იარაღი ამელო და ჯარისკაცი გავმხდარიყავი. ეს ჩემი ბრალი როდია. ჩემი დრო აღმოჩნდა ასეთი. მე ბავშვებისათვის ერთი გაკვეთილის მიცემაც კი ვერ მოვასწარი.

ერთ საათში სამშობლოს დავალების შესასრულებლად მივდივარ, საეკვოა ცოცხალი დაებრუნდე. იქ მივდივარ იმისათვის, რომ შეტევის დროს ეიხსნა ბევრი ჩემი ამხანაგის სიცოცხლე. მივდივარ ხალხისთვის, გამარჯვებისთვის, ყველაფერი მშვენიერისთვის, რაც ადამიანს გააჩნია.

ესაა ჩემი ბოლო წერილი, ჩემი ბოლო სიტყვები, დედი! ათასჯერ ათიათასჯერ გავიმეორებ შენ საყვარელ სახელს და მაინც ვალში დავრჩები შენს წინაშე. მაპატიე, დედა, იმ მწუხარებისათვის, რომელსაც გაყენებ. მაგრამ გამიგე, დედა, ეს განუსჯელი მსხვერპლი როდია, არა. ასე მასწავლა თვითონ ცხოვრებამ. და ესაა ჩემი პირველი და უკანასკნელი გაკვეთილი ბავშვებისათვის, რომლებსთვისაც მე უნდა მესწავლებინა. მე ჩემი სურვილითა და რწმენით მივდივარ. და ვამაყობ, რომ ვასრულებ ხალხის წინაშე ჩემ უმაღლეს ვალს. ნუ იტირებ, დედა, ნურავინ ნუ იტირებს. ასეთ შემთხვევაში არავინ არ უნდა ტიროდეს.

მაპატიე, დედა, და მშვიდობით. მშვიდობით, ჩემო მთებო — ალატოო! როგორ მიყვარდი!

შენი შვილი — მასწავლებელი, ლეიტენანტი მასელბეკ სუვანაძე ფრონტი, 9 მარტი 1943 წ. მოსკოვი დამის 12 საათი“.

ძილბურანში მყოფივით ავწიე თავი. ეზოში უხმოდ შეკრებილიყო ხალხი. არავინ ტიროდა. მასელბეკი გვთხოვდა არავის ეტირა. ქალებმა ხელი მომაშველეს, წამომაყენეს. მე რომ წამოვდექი, სწორედ მაშინ ქარმა დაუბერა ვაშლის ხეს და ფანტელბივით ჩამოყარა თეთრი ყვავილები. ისინი უხმოდ გვაცივოდა თავზე. ჩვენი თეთრი ვაშლის ხის მიღმა, შორეული თეთრი მთების მიღმა კი ლურჯად მოსჩანდა, უსაზღვროდ კამკამა, უძირო ცა. ჩემში კი, ჩემ სულში კი დაგუბებული იყო განწირული კივილი. მინდოდა მეიკვლა მთელი ქვეყნის გასაგონად. მაგრამ ვეღუმი. მე ვასრულებდი ჩემი შვილის უკანასკნელ სურვილს, ის მთხოვდა არ მეტირა. არ ვიცი რას აკეთებდა ალიმანი. მხოლოდ დაეინანე, ხელგაშლილი ჩემსკენ ნელა რომ მოდიოდა. ის სულ ახლოს მოვიდა, თვალებში ჩამხედა, მერე შებრუნდა, სახეზე ხელები აიფარა და წავიდა.

აი ასე დაეკარგე ჩემი შუათანა ბიჭიც... მისი ქუდილა დამჩნა.

12

— მე კი მისი სახელი დამჩნა, ტოლგონაი. მე მისი სამშობლო ვარ. ხალხს მისი სიტყვები დარჩა, ტოლგონაი. ისინი მისი თანამემამულეები არიან.

— ჰო, დედაო-მიწავ, ეს ყველაფერი ასეა. ჩვენი კოლმეურნიობაც მისი სახელობისაა. მასელბეკის წერილი თავიანთ წერილთან ერთად გამოუგზავნიათ მის თანაპოლკელებს სოფლის საბჭოში. ისინი იწერებოდნენ, რომ არასოდეს არ დაივიწყებენ თავიანთ ამხანაგს, იამაყებენ მისი გმირობით და რომ სამშობლო მუდამ პატივს სცემს მის ხსოვნას.

სწერდნენ, რომ მასელბეკმა ჩვენი ჯარების დიდი შეტევის წინ ააფეთქა მტრის სამხედრო საპურველის საწყობა.

ბი. ამ აფეთქებისაგან ირგვლივ ყველაფერი წაილეკა. მე თავს ვხრი გმირების წინაშე, ჩემი შვილის მასელებეის წინაშე, რომლის დიდებითაც ვამაყობ. მაგრამ არავითარ პატივსა და დიდებას არ ძალუძს ამინაზლაურის მისი სიცოცხლე. რომელ დედასაც უნდა ჰკითხონ, არ არსებობს ასეთ დედობაზე შეოცნებებ დედა. დედები შვილებს სიცოცხლიათვის, უბრალო, მიწიერი ბედნიერებისათვის შობენ...

— შენ მართალი ხარ, ტოლგონაი. მე მუდამ მახსოვს ის გაზაფხული, გამარჯვების გაზაფხული, მუდამ მახსოვს ის დღე, როცა თქვენ, ადამიანები ხედვბოდით ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს, მაგრამ დღევანდლამდე არ შემოძლია ვთქვა, ტოლგონაი, რა მეტი იყო მაშინ — სიხარული თუ მწუხარება.

13

იმ დღეს რიგმა მოგვიწია და კოლმეურნეობის სახნისით ჩვენს ბოსტანს ვხნავდით. ის იყო ვამთავრებდით ხენას, რომ ქუჩიდან რაღაც ხმაური შემოგვესმა. ალიმანი ამბის გასაგებად გაიქცა და იმწამსვე მობრუნდა.

— დედა, აბა ჩქარა მოემზადე, — ამარქარა მან, — ხალხი ჯარისკაცების შესახვედრად მიდის.

გუთანი და უღელში შებმული ხარები იქვე სახნაში მივატოვეთ. მართლაც მთელი სოფელი, — ვინ ცხენით, ვინ ფეხით, წელში მოხრილი მოხუცი ქალი თუ კაცი, ბავშვები, ყავარჯნიანი დაქრილები — ყველანი სადღაც გარბოდნენ, თან სირბილში ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ვილაც გამვლელს (ვითომდა ზარეჩენსკელს) უთქვამს, სადგურში ორი ეშელონი ჩამოვიდა. იქ ახლო-მახლო სოფლებიდან წასულებიც არიან, უკვე გზაში მოდიან და სადაცაა გამოჩნდებიანო. არავინ კითხულობდა სიმართლე იყო თუ არა. ყველას უნდოდა ეს სიმართლე, ხალხი ოცნებობდა ამ დიდხნის ნანატრ დღეზე. ამიტომ არავინ ეკვობდა.

ჩვენ სოფლის განაპირას შეგვაროდით. იქ სადაც ომამდე ატეხი ქუჩები შენდებოდა. ცხენოსნები ამხამოვითდნენ უნაგორებიდან, ფეხოსნები არხთან ბორცვზე ავიდნენ, ბიჭები ამოუყვანელი კედლების ნანგრევებზე აცოცდნენ, ზოგიც ხეებზე აძვრა.

ყველანი ელოდნენ და გასცქეროდნენ გზას. ერთი ყვებოდნენ ამასწინათ ნანახ კეთილ სიზმრებს, ზოგს კენჭები მოეგროვებინა და მკითხაობდა. ამ სიზმრებში, მკითხაობაში ყველა ხედავდა თავისთვის სასურველსა და კარგის მომასწავებელს. ვისხენებ ახლა და ვფიქრობ. მთელი მოფლიოს ადამიანები ყოველთვის რომ ასე ერთი გრძნობით საყვანი ელოდნენ, ყოველთვის ასე უყვარდეთ თავიანთი შვილები, ძმები, მამები და ქმრები, როგორც ველოდით და გვიყვარდა ისინი ჩვენ, მაშინ დედამიწაზე, უთუოდ, აღარ იქნებოდა ომები.

როცა ხალხში ლაპარაკი მიწყდებოდა, თითოეული თავიანთი დრული ფიქრობდა თავის საფიქრალს. ადამიანები ელოდნენ ბედის განაჩენს, თითოეული ეკითხებოდა თავის თავს: ვინ დაბრუნდება და ვინ ვერა? ვის აუსრულდება ნატვრა და ვის ვერა? ამაზე იყო დამოკიდებული სიცოცხლე და შემდგომი ბედი.

აი ამ დროს ერთმა ბიჭუნამ ხიდან დაიყვირა: „მოდიანი!“ და ყველანი გაირინდნენ, ჩინგურის სიმებოციით დაიძაბნენ და მერე ერთბაშად ყრუდ გაიმეორეს: „მოდიანი!“ და მოლოდინში კვლავ დადუმდნენ. ისევ სიწყნარე გამეფდა, მაგრამ შემდეგ თითქოს გონს მოვიდნენო, ყველა ახმაურდა: „სად? აბა, სად მოდიანი?“ — ისევ გაჩუმდნენ. შორს გზატკეცილზე ორთვალა გამოჩნდა, ის მარდად მოგორავდა შარაზე. გზის გასაყარზე, საიდანაც ჩვენი სოფლის გზა მოდიოდა შეჩერდა და იქიდან ჯარისკაცი გადმოხტა. მან გადმოიღო თავისი ფარაქა, ზურგანთა, მეჭავკვეს გამოეთხოვა და ჩვენსკენ წამოვიდა. ხალხში კრინტიც არავის დაუძრავს. ყველანი უხმოდ და გაოცებით შეჰყურებდნენ გზას, რომელზეც მოდიოდა მხროლდ და მხოლოდ

ერთი ჭარისკაცი, მხრებზე გადაგდებულ ი ფარაჯითა და ზურგჩანთით.

ის გვიახლოვდებოდა, მაგრამ ჩვენგან ნაბიჯიც არავის დაუძრავს. ხალხს შემფოთება აღბეჭდოდა სახეზე. ჩვენ ისევ და ისევ ველოდით რაღაც სასწაულს. თვალებს არ ვუჭეროდით რადგან ველოდით არა ერთს, არამედ მრავალს.

ჭარისკაცი სულ უფრო ახლოვდებოდა. შემდეგ გაუბედავად შეჩერდა — სოფლის თავში უხმოდ მდგარი ამდენი ხალხის დანახვამ შეაქრთო. აღბათ იფიქრა: ვინ, რა ხალხია, რატომ, სდუმან, რატომ დგანან ასე გაქვავებულებივით? იქნებ ვისმე ელიან? ჭარისკაცმა ერთი-ორჯერ მიიხედა უკან, გზას ვახედა, მაგრამ მის გარდა გზაზე არავეინ ჩანდა. ის ისევ ჩვენსკენ წამოვიდა, ისევ შეჩერდა, უკან მიიხედა. ჩვენს წინ მდგარმა ფეხშიშველა გოგონამ მოულოდნელად იყვირა:

— ეს ჩემი ძმია! აშირალი! აშირალი! — თავიდან თავსაფარი მოივლიჯა და ძმისკენ მოკურცხლა.

ღმერთმა იცის, როგორ იცნო, მაგრამ მისმა შეკვივლებამ ტყვიის გასროლასავით გამოგვიყვანა გარინდებიდან. მას დაუდევნენ ბიჭები, ქალიშვილები.

— ეს ხომ აშირალია! ისაა! — ახმაურდა ხალხი და მაშინ ყველანი, დიდი თუ პატარა, ჭარისკაცისკენ გავეშურეთ. რაღაც ძლიერმა ძალამ თითქოს ფრთები გამოგვასხა და გაგვაფრინა. ხელებგაშლილი გავრბოდით ჭარისკაცის შესახვედრად და თან მიგვჭონდა მთელი ჩვენი ცხოვრება, ყველაფერი განკდილი და გადატანილი, ჩვენი მოლოდინის ტყივილი, უშილო ღამეები, ჩვენი გაქაღარავებული თმები, ჩვენი გადაბერებული ქალიშვილები, ქვრივები და ობლები. ჩვენი ცრემლები და ოხვრა, ჩვენი სიზმაცე, მივრბოდით და ყველაფერი ეს მიგვჭონდა გამარჯვებული ჭარისკაცისთვის.

ისაც უცებ მიხვდა, რომ მას ხედებიან და ჩვენს შემოსავებებლად გამოიქცა.

ასე გუნდად რომ გავრბოდით, მომეჩ-

ვენა, თითქოს გვერდით გრილით მიქრის ეშელონი, ქარი სახემარქვეს და მესმის ძახილი: „დედა-მამალომამამა და ყურებში კაკუნობენ, კაკუნობენ ბორბლები.“

ცხენოსნები პირველნი მიცვივდნენ ჭარისკაცთან, ხელი დაავლეს მის ფარაჯას, ზურგჩანთას და ორივე მხრიდან აიტაცეს.

ოჰ, გამარჯვებავ! რა დიდხანს გელოდეთ. სალამი, გამარჯვებავ! სალამი! გვაპატიე ჩვენი ცრემლები! აპატიე ჩემს რძალს ალიმანს, რომელიც აშირალის მკერდზე თავს სცემდა, მხრებში ჩაფრენოდა, და უკვე მერამდენედ ეკითხებოდა: „სად? სადაა ჩემი კასიმი?“ ყველას, ყველას გვაპატიე, გამარჯვებავ! ჩვენ იმდენი მსხვერპლი გავიღეთ შენთვის. მოგვიტევე ჩვენი ყვირილისათვის: „სხვები სადაა არიან? ჩემები სად არიან? დანარჩენები სად არიან? როდის დაბრუნდებიან ყველანი? მოუტევე ჭარისკაც აშირალის იმისათვის, რომ ჩვენ ყველას გვეუბნებოდა: „დაბრუნდებიან, ძვირფასებო. ყველანი დაბრუნდებიან. მალე დაბრუნდებიან, ხვალ დაბრუნდებიან“ გვაპატიე, გამარჯვებავ, გვაპატიე. აშირალს რომ ვეხვეოდი და ვკოცნიდი, იმ წუთში ჩემ ჭაინაქზე, მასელბეკზე, კასიმსა და სუვანკულზე ფიქრობდი. იმათგან არც ერთი არ დაბრუნდა. შაპატიე, გამარჯვებავ...

უხმოდ ვბრუნდებოდით. ალიმანი შიგადაშიგ კიდევ სლუკუნებდა, მძიმედ, ხმაშლლა ოხრავდა, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა. სახე მოღუშული ჰქონდა, თავჩალუნული თავის ფეხებს დაჩერებოდა, დაძაბულად ფიქრობდა რაღაცაზე. ვხვდებოდი: მძიმე ფიქრები მორეოდნენ. დიას, ალიმანი ძალიან იტანჯებოდა. მე ამას ვხედავდი მის სახეზე, მის სევდიან გამოხედვასა და მოკუმულ ტუჩებზე. ვიცოდი რაზეც ფიქრობდა და ჩემ გულში ვეუბნებოდი: „რა გაეწყობა, ჩემო რძალო, უნდა დავმორდეთ ერთმანეთს. ახლა აღბათ საბოლოოდ დამარხე კასიმი. აბა რა უნდა ქნა? შენც ხომ არ გადაყვები, ანდა მთელი სიცოცხლე

ქვრივად არ ივლი. ყველაფერი გათავდა. შენ წახვალ. რა გაეწყობა, — წახვალ რასაკვირველია. რას იზამ. მე ეს არ მეწყინება. შენი სურვილითა და ახირებით როდი მიდიხარ. ასეთი ბედი გერგო. ეპ, ბედს რა ვუთხრა... იცოდე, ალიმან, როგორ მიმძიმს შენთან განშორება. დედა-შვილივით ვცხოვრობდით. წახვალ და საკუთარი ქალიშვილივით დაგლოცავ. შენი ბედნიერებისათვის მლოცველი ვიქნები. შენ კიდევ უნდა იცხოვრო, ჯერ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ. გამოჩნდება ვინმე. მთავარია, კარგი აღამიანი შეგხედეს. შესძლებს კი იყოს შენთვის ისეთი, როგორიც კასიმი იყო? ვინ იცის. დახმარებაც არაფრით არ შემიძლია. მხოლოდ ერთსა ვთხოვ: როცა წახვალ, ხანდახან მაინც გამიხსენე. აღარავინ დამრჩა შენს მეტი. მე ხომ მარტოდ მარტო ვრჩები სახლში, მარტოდ მარტო მთელ ქვეყანაზე. ამაზე გაფიქრებაც კი მძიმეა. აღარაფერი დამრჩა სიბერეში სანუგეშოდ. შენ ვერ მოასწარი გერუქებიანა ჩემთვის შვილიშვილი. შენთვის ეს შეიძლება სჯობდეს კიდევ. მე ნუ მიყურებ. ჩემთვის, მოხუცისათვის ხომ ვერ გასწირავ შენს ახალგაზრდობას. მე დრო მოვქაჩე. შენ კი ცხოვრება წინა გაქვს. როცა გადაწყვეტ, მეტყვი. შენ უფლება გაქვს წახვიდე, როცა კი მოისურვებ დამშვიდებული სინდისით წახვალ. მე კი მუდამ მესსომები, მეყვარები და მადლობელი ვიქნები შენი...”

ასე მივიღოდი, ვჩქარობდი და ვემზადებოდი ამ სიტყვების სათქმელად. ალიმანმაც, როგორც ჩანს, იცოდა რაც მქონდა გუნებაში. როცა აღამიანები ასე შეხმატებულხლად ცხოვრობენ, მათ უსიტყვოდაც ესმით ერთმანეთის. და მაინც მან თქვა ის, რასაც არ მოველოდი.

ჩვენ მიტოვებული ქუჩის გასწვრივ მივიღოდი. ჩემდა საუბედუროდ ალიმანისა და კასიმის ყოფილ მშენებლობას შევხვდეთ: ეზოში ისევ ისე, როგორც ხუთი წლის წინათ, რუხ, ვეება გროვად ეყარა მოზიდული ქვები, აგურები კი უკვე დიდი ხანია ნამტვრევე-

ბად იქცა. ომის დაწყების შემდეგ მოუშთავრებელი ქუჩა მთლად მიწოდებულა და ყოველ ზაფხულს საყარმოდამოებს ბირკავა და თათაბო ფარავდა, კედლები ჩაწვა, ჩამოინგრა, სახლების შიგნითაც კი იხარა და ფანჯრების ცარიელი ბუდეებიდან მოჩანდა ეკალბარდი. შემოდგომამდე აქ მხოლოდ ხბოები დაეხეტებოდნენ და სევდიანად გასძახოდნენ ოფოფები. ამ თავქოჩოჩა ჩიტუნებს უყვართ სასაფლაოების სივერანე. ისინი ნანგრევებზე, თითქოს საფლავის ქვებზე, ისხდნენ, გაზაფხულის საამო სითბოს ეფიცებოდნენ და დაბალი ხმით, ნაღვლიანად გასძახოდნენ.

„ღმერთო! — შემაჩრუნა ამ სიციარიელემ. — სად დარჩნენ აღამიანები, რომლებსაც უნდოდათ აქ ცხოვრება აქ დასახლება? ჩემ უბედურ კასიმსაც არ დასცალდა აქ თავისი პირველი სახლის დაღვმა!“ სიციარიელე, მწუხარება დაეუფლა სულს. ალიმანმა კი, რომელსაც ხელგაყრილი მიეყავდი, სიბრაღით გამიღიმა:

— დედა, — მითხრა მან. — რატომ მოეშვი ასე? თუ სულ დაკარგე სიცოცხლის რწმენა? არ გინდა, დედა, მესმის, რომ ვიმძიმს. მაგრამ შენ ხომ მაგარი მყევხარ. შენ ხომ... — რიღაცის თქმა უნდოდა და ენა დაეხა. შემდეგ ალბათ გადაიფიქრა და დამნაშავესავით გაიღიმა — შენ ხომ უბრალოდ ძალიან კარგი მყევხარ. მოდი აქ ბორცვზე ჩამოვჯდეთ და მოვილაპარაკოთ.

„აი ახლა კი იტყვის, იტყვის რომ წავა“, — გაეფიქრე. მხურვალე ტალღასავით მომაწვა სიბრაღული საკუთარი თავისადმი და მისადმი, შევეცადე აკანკალებულ ხმას მოვრეოდი და მივუხვე:

— კარგი, დავჯდეთ, ვილაპარაკოთ. გზის პირას, ბორცვზე ჩამოვჯექით. ჩამოვჯექით ასე რძალ-დედამთილი, რომ გადაგვეწყვიტა ჩვენი ბედი, გადაგვეწყვიტა როგორ გვეცხოვრა შემდგომში.

ალიმანმა თვალები დახარა, ამოიოხ-
რა და დაიწყო:

— აჰა, დედა, წყეული ომი დამთავ-
რდა. შენ ალბათ ფიქრობ, როგორ ვიც-
ხოვროთ აწი — ის გაჩუმდა, ვდუმდი
მეც. ალიმანმა თვალები ააწია სერიო-
ზულად, პირდაპირ შემომხედა სახეში.
— ნუ იღარდებ, დედა — სევდიანად
გაიღიმა მან. — გგონია არ დაგვრჩა
ჩვენ ბედნიერებიდან არაფერი, სულ
ცოტა მაინც. შეუძლებელია ოთხი ადა-
მიანიდან არც ერთი არ დაბრუნდეს.
არა, მოიცა, დედა, ნუ მაწყვეტინებ,
მომისმინე. პირდაპირ გეტყვი, ჩემი სა-
ნუგეშო რა გაქვს, ანდა თავს რად მო-
ვიტყუებ. დამიჯერე. გული მითქვამს
ასე: ჭაინაკი უნდა დაბრუნდეს. უგზო-
უკვლოდ დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ
ცოცხალია. მოკლული ხომ არავის უნა-
ხავს. იქნებ ტყვეობაშია, ან ტყეში
პარტიზანებთან იმალებოდა და ახლა
გამოჩნდება. ანდა იქნებ სადმე მძიმედ
დაჭრილი წევს და ვერ გვატყობინებს.
ყველაფერი შეიძლება მოხდეს, აი ნა-
ხავ — თუ არ დაბრუნდეს და მოუ-
ლოდნელად არ მოგვადგეს კარს. მოდი,
დაველოდოთ, დედა, დროზე ადრე ნუ
დავმარხავთ. ხომ იყო შემთხვევები,
თვითონაც გაგიგონია — ცოცხალი აღ-
მოჩნდნენ არა მარტო უგზო-უკვლოდ
დაკარგულები, არამედ ისინიც, ვიზეც
შავი ქალაქი იყო მოსული. აი მეზო-
ბელ სოფელში და კიდევ სადღაც ყვი-
თელი ველის ყაზახებს ომში დაღუპუ-
ლები დაუბრუნებიათ, უგლოვიათ კი-
დეც, ისინი კი ცოცხლები აღმოჩენი-
ლან და დაბრუნებულან. მე მწამს, ვი-
ცი, რომ ჩვენი ჭაინაკი ცოცხალია, მა-
ლე დაბრუნდება. არაფრით არ შეაძლე-
ბა, რომ ოთხიდან ერთი მაინც არ და-
ბრუნდეს. მოდი, მოვითმინოთ, დედა
დიდხანს ველოდეთ, კიდევ დაველო-
დოთ. ჩემზე ნუ სწუხარ, ადრე თუ რძა-
ლი ვიყავი, ახლა შვილი ვიქნები, ყვე-
ლა შვილების მაგიერი.

ალიმანი გაჩუმდა და კიდევ დიდხანს
ვიჯექი ასე უხმოვ. შუა მაისი იდგა.

ჩვენგან შორს საავდროდ იკრებიებოდ-
ნენ ღრუბლები და თითქოს მთავრ-
ლით ივსებოდნენ. ცა გრუბუნუნებდა და
წვიმის სიგრილვე სცემდა. იმ შორეთში
ნათელი ღვართქაფი მოდიოდა. იგი ნა-
კადად იღვრებოდა, მხეხე ბრწყინავდა
და უხილავი, ფართე ნაბიჯებით და-
ბოტებდა დედამიწაზე: ხან მთებში მი-
დიოდა, ხან ქვევით ეშვებოდა, მერე
ისევ მთებში იაევ ველად. თვალმოუ-
წყვეტლივ გაეკქროდი იმ მხარეს.
შორეული წვიმიანი ქარი მცემდა გახუ-
რებულ სახეში. ალიმანისათვის არაფე-
რი მითქვამს. ის, რაც მისთვის მინდო-
და მეთქვა, იქ იყო: იმ შორეული ნა-
თელი თქეშვიით გულუხვი და ნათელი.

ანეა, იწვიმება, გაიზრდება პური,
იცოცხლებს ხალხი — და მეც მათთან
ერთად ვიცოცხლებ. ასე ვფიქრობდი.
იმიტომ კი არა, რომ ალიმანმა შემბ-
რალა, იმიტომ კი არა, რომ მან გულმო-
წყალეობით მითხრა, მარტოს არ მიგა-
ტოვებო. არა, მე სხვა რამეს შევხაროდი.
ვინა თქვა, რომ ომი ადამიანებს ამკა-
ცრებს და ამდაბლებს, ხარბსა და გა-
მოფიტულს ხდის? არა, ომო, შენ შეგი-
ძლია ადამიანები ორმოცი წლის მან-
ძილზე, ჩექმებით თელო, მოკლა, გა-
ძარცვა, დასწვა და გაანადგურო —
მაგრამ ადამიანს სულ ერთია ქედს ვერ
მოახრევიანებ, ვერ დაამცირებ, ვერ და-
იმორჩილებ.

ჩემი ალიმანი კი ადამიანი იყო! ვის-
თვის ინმტკიცებდა იგი თავისთავში
რწმენას, რომ ჩვენი ჭაინაკი, რომელიც
უკუნ ღამეში პარაშუტით დაეშვა
მტრის ბანაკში და უგზოუკვლოდ დაი-
კარგა იმავე ღამეს, უთუოდ ცოცხალია
და აუცილებლად დაბრუნდება? ვინა-
ვის არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ
ბედი არც ისე უსამართლოა, როგორც
ჩვენ გგვგონია? მე ვერ გავებდე შემერ-
ყია მიათვის ეს რწმენა, ვერ გავებდე
წამერთმა მისთვის უკეთესის იმედი და
დაუუკერე კიდევ. იქნებ ჭაინაკი მართ-
ლაც ცოცხალია? მამასაჯამე. არც სა-
ოცარი იქნება თუ ერთ მშვენიერ დღეს

იგი დაბრუნდება. ბავშვებით დავიჯერებ. მინდოდა დამეჯერებინა და დავიჯერებ. და უკვე ვოცნებობდი ამ დღეზე. უცებ ალიმანმა სინთუმე დაარღვია. მას პირველს გაახსენდა, რომ ბოსტანში ხვანა არ გექონდა მოთავებული.

— დედა, გუთანი რომ გვიდგას. აბა ჩქარა წავიღეთ! მიწა გადაშრება, — ამაჩქარა მან.

ბოსტანში მოვირბინეთ ხარებს გუთანი გადაეთრიათ და ეტყობა უკვე დიდიხანაა ბალახობდნენ. ალიმანმა მორეკა ისინი, გუთანი კვალში ჩავაყენეთ და გავნაგრძეთ ხვანა. საოცარია, რა ცოტა სჭირდება ადამიანს, ხანდახან ერთი კეთილი სიტყვაც კი საკმარისია, რომ გამოაცოცხლო. ასე მოუვიდა ალიმანსაც. ან იქნებ მე მეჩვენებოდა? მაგრამ არა, ის თითქოს ერთბაშად გარდაიქმნა ადრინდელ, ომამდელ ალიმანად. მასში ყველაფერი გაბრწყინდა, და მისი ყოველი სიტყვა, ყოველი გაღიმება და მოძრაობა — ყველაფერი ისეთი იყო, როგორც ოდესღაც.

თავისი მოკლე აბალუსი გაიხანდა და ნახნავში ისროლა, კაბა აიკალთავა, სახელოებია აიკეცა, თავსაფარი კეფაზე გადაიწია და მარჯვედ მიერეკებოდა ხარებს.

— ეი, თეთრთავავ, ჰამო, ჰამო! ეი, კუდავ, ჰამო, ჰამო! — უძახობდა ხარებს და გრძელ საზრეს ატყავუნებდა.

ალიმანს უნდოდა ცოტათი მაინც გავეჩხნევებინე რომ მეშრომა, მემუშავა. სწორედ ამიტომ იქცეოდა ასე იმ ღირსსახსოვარ დღეს. ის ხშირად შემობრუნდებოდა ჩემსკენ და მეუბნებოდა:

— დედა, უფრო მსუბუქად დააწევი. ძალას ნუ ატან, ქვას წამოედება. თავი დაზოგი!

ორიოდე შემოვლავა გვექონდა დარჩენილი, წვიმამ რომ წამოუღინა. ეს იყო ხმაურისანი, მხიარული თქეში. წვიმამ ჯერ იშვიათი წვეთები ასხურა ხარების ზურგს, მერე თითქოს დაფიქრდაო და ერთბაშად აკეკვდა ყველა ნაკადებით, თითქოს ტაში შემოკრა, ერთ

წამში ააფორიაქა მთელი სოფელი, აერიახდნენ, ფრთები გაშალეს და უკანცნენ წიწილებიანი კაქუნები! ღელაქცები თოკებიდან სარეცხს ხსნიდნენ და ისინიც სახლებისაკენ გარბოდნენ. ქუჩაში გამორბოდნენ ბავშვები და ძაღლები. ამ წვიმის კორიანტელში ერთმანეთს დასდევდნენ და მღეროდნენ:

მომიკადე, წვიმავ,

ნუ გამისწრებ წინა!

— დავსველდებით! გავიქცეთ, შევეფაროთ! — ეუთხარა ალიმანს.

მან უარის ნიშნად თავი გადააქნია:

— არა უშავს დედა, არ დავდნებით! — წვიმის წვეთების ღიტიტით გახალისებულმა პატარა გოგოსავით ვადაიკისკისა და უფრო ჩქარა ვაჩეკა ხარები.

მეც ვადამედო მისი ხალისი. ეტებებოდი მისი ცქერით და ჩემთვის ჩუმად ვჩურჩულდები: „ჩემო გულნათელი. ანკარავ! რა ბედნიერია იქნებოდი! ეპცხოვრებავ, ცხოვრებავ...“ ახლა კი მესმის, რომ ყველაფერს ამას ჩემთვის აკეთებდა, ძალიან უნდოდა, გადაეცეწეებინა ჩემთვის ომი, მწუხარება, რომ მე უფრო ხალისით შემეხედა ცხოვრებისათვის.

ალიმანმა სახე და ხელები წვიმის ნაკადს შეუშვირა და მითხრა:

— შეხედე, დედა, რა წვიმას! როგორი სუფთა წვიმა! მოსავლიანი წელი იქნება. აბა, წვიმავ, დაუშვი, უფრო გულუხვად დაუშვი. აბა, ჰე! — იძახდა და წვიმის ნაკადსა და ხარების ორთქლადენილ ზურგებს წეპლას უტყლამუნებდა.

იცინოდა და არც კი იცოდა. რა ლამაზი იყო ამ წვიმამში. სველ კაბაში, ტანკენარი, მკვრივი მკვრდითა და ძლიერი თეძოებით, ბედნიერებისაგან გასხივოსანებული თვალები, სახეაღწილი. კიდევ და კიდევ. სამგზის წყუღლი იყავ. ომი!

ნიღვარმა რომ იკლო და გზა განაგრძო, ალიმანი მიყუჩდა, გულდაწყვიტული გაჰყურებდა მიმავალ წვიმას, ყურს უგდებდა მის ხმაურს, რომელიც თან-

დათან იკარგებოდა მდინარის იქით, შესაძლოა ფიქრობდა, რომ არც წვიმა მარადიული ისიც ჩქარა მიდის. მან ნაღვლიანად ამოიოხრა, იქნებ კასიმი მოაგონდა ან სხვა რაღაც, მაგრამ შემომხედდა თუ არა, ისევ გაიღიმა.

— აი, სწორედ ამ ნაწიშია დაეთესოთ სიმინდი! — თქვა და შინისაკენ გაიქცა.

ალიმანმა ვედროთი მოიტანა ჩამბალი სიმინდი, ამოიღო ერთი მუტა მსხვილი დაბერალი მარცვალი.

— დედა, დაე ჯანაყი დაბრუნებულიყოს, ვიდრე ეს მარცვალი რძიან ტარობდად იქცევა! — და ხნულში პირველი მუტა მარცვალი ისროლა.

არაოდეს დამაფრწველბა ის დღე-ახალდადებული ბავშვივით გამოაქყობა ღრუბლებიდან წვიმისგან განზანდილმა, სუფთა მზემ. ყორნისფერ, სველ ხნულზე მადიოდა ფეხშიშველი სახე-გალიმებული ალიმანი და ყოველ მეორე ნაბიჯზე თესლს აბნევდა. ის უბრალოდ თესლს კი არა, იმედის, სიკეთის მოლოდინის თესლს თესდა.

— აი, ნახავ, დედა, — ამბობდა თან. — ახლება ჩემი სიტყვები. მე თვითონ შევეუწვავ ჯანაყს ტარობებს, ცხელ ღაღარში. გახსოვს, სულ ამაზე გვექონდა მე და იმას დაევა. ერთხელ ღაღარადან ცხელი ტარო აიტაცა, უბეში ჩაიგდო და უნდოდა გამქცეოდა. ტარომ მუცელი დასწვა, ის დასუსტულივით აწერიალდა, მთელი ვედრო წყალი გადაისხა მკერდზე. მე კი მის მაგივრად, რომ მოვხმარებოდი, სიცილისაგან გადავბეირდა და გავიძახოდი: „ეგრე გინდა, ეგრე გინდა-მეთქი!“ ხომ გახსოვს, დედა?

ამაზე მადლობა მას...

14

— ასე იყო, ტოლგონაი, თქვენ დიდხანს ელოდეთ ჯანაყს.

— დიდხანს, დედაო-მიწვავ. სიმინდი ერთხელ კი არა, ორჯერ, სამჯერ შემო-

ვიდა, ჩვენი ჯანაყი კი არ დაბრუნდა. არც არავითარი ცნობა უნდა მოგვცეს. ხომ გახსოვს, რამდენჯერ მოვუწვევებოდა თან თვალცრემლიანი, ჩემს შუბხარებას გიზიარებდი...

— მოდიოდი, ტოლგონაი. ბევრჯერ მოხვედი. ტიროდი, მეკითხებოდი როგორ მოვიქცეო, რა მოვუხერხო რძალს; რომ მისი ახალგაზრდობა არ დაიღუპოსო, მაგრამ მე ვერაფერი დაგეხმარე, ტოლგონაი. და ახლაც, როცა ამდენი წელი გავიდა ვერაფერს გეტყვი.

15

ცხოვრება თავისი გზით მდიოდა-კოლმეურნეობა თანდათან მომაგრდა, ცხოვრება გაიოლდა, ამასთან ერთად წელღებოდა ომის მოგონებაც, იშლებოდა მისი კვალი აღამიანების სულში.

მე და ალიმანი ისევ ისე ვმუშაობდით კოლმეურნეობაში. ბრიგადირობა მაშინვე გადავხარე ახალგაზრდებს, როგორც კი ჯარისკაცები ფრონტიდან დაბრუნდნენ.

— სამი წელი უთქვენოდ ვიმუშავე, სატანჯველი არ დამკლებია. ახლა კი თქვენ დაბრუნდით და აწი თქვენ მოკიდეთ საქმეს ხელი. — ვუთხარი ახალგაზრდებს. — მე კი დამეხსენიეთ, დაებერდი ამ ხნის განმავლობაში. ისეც დაგეხმარებით.

მაშინდელი ახალგაზრდები ახლაც „ბრიგადირ-აბას“ მეძახიან. ჩანს, კიდევ მცემენ პატივს...

ცხოვრება კი ჩაღვა თავის კალაპოტში, მაგრამ მე და ალიმანმა მაინც ვერ მოვიპოვეთ სიმშვიდე. ამას არავინ ამჩნევდა, მაგრამ გულში ჩვენ გამუდმებით ვიტანჯებოდით, გამუდმებით ვფიქრობდით ერთსა და იმავე საფიქრალს. ერთის შეხედვით თითქოსდა იმაზე ადვილი არაფერია, — პირდაპირ, გულ-ახდილად მოილაპარაკო: აქოდა, დაე, ყველა თავისი გზით წავიდეს. თავისი ცხოვრება მოაწყოსო. კი, საქმის დედა-არსი სულ უბრალო იყო. ჩემი კეთი-

ლი რძალი ალიმანი კი არა, ვინმე სხვა ქალი რომ ყოფილიყო, დიდხანს არ ვიფიქრებდი, პიოდაპირ ვეტყვოდი, რომ ამდენი დაყოვნება საჭირო არ არის, ვიდრე გვიან არ არის, მოქმენე ქმარი და წაღი-თქო. ალიმანისათვის კი ამ სიტყვების თქმა ვერ გამებედა. როგორი მოქარგული, ტბილი სიტყვითაც არ უნდა გეტყვა, აზრი შინც იგივე რჩებოდა — უხეში და სასტიკი აზრი. მე არ მქონდა უფლება იგი იძულებით გამეგლო. ერთხელ მისმა კანდელმა ნათესაებებმა შემოიარეს; სინდისი რომ სუფთა მქონოდა, ჩემს თავს ძალა დავატახე და ვუთხარი ალიმანი თავისუფალია და მე მზადა ვარ გზა დაულოცო-მეთქი. მაგრამ ალიმანმა ისე მკვებედ მოუჭრა, რომ მე უხერხულობა ვიგრძენი იმ ხალხთან. ალიმანმა მათ ამაზე ლაპარაკი აუკრძალა. მეო, უთხრა, ჩემი საკუთარი თავი მაქვს, წაყალ თუ არ წაყალ, ან როდის წაყალ, ჩემი საქმეა და ჩვენს ცხოვრებაში ნუ ერევიყო. მერე ვწუხდი, რატომ ვთქვი-მეთქი, ალიმანს სახეში ვეღარ ვუყურებდი. ის კი, ჩემი ქვეიანი გოგო, მახვდა, ამაზე კრინტი არ დაუძრავს, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს. აი ასე ვცხოვრობდით. ერთმანეთი გვებრალებოდა, ჭაინაკის დაბრუნების იმედით თავს ვიტყუებდით. მერე ეს იმედიც გაქრა, დრო კი მიღოდა და უკვე დაგვიანდა...

როგორ მოხდა, თვითონაც არ ვიცი. ჩვენი სოფელი საქონლის გასარეკ გზაზეა. ოდითგან ერეკებიან ამ გზაზე საქონელს — გაზაფხულზე მთაში, შემოდგომაზე — მთადან ველში. ხანდახან ხდება ისეც, რომ მესაქონლეები რამდენიმე დღეს დარჩებიან ხოლმე სოფელში. თვითონაც ისვენებენ და ფარასაც აწვენებენ.

ორმოცდაექვსი წლის შემოდგომაზე აქ მშრალხევიში. ნოღაზე, თავის ფარას ამოვებდა ერთი მეზობელი სოფლის ახალგაზრდა მწყემსი. ეტყობა, ფრონტზე ნაყოფი იყო. ჭერ კიდევ სამხედრო ფარაჟა ეცვა, კარგ ცხენზე

იჯდა, მხარზე თოფი ეკიდა. თან დაქონდა უნაგირზე დამაგრებული ქურჩი. ხშირად ჩაივლიდა ხარკზე. ჩინიზის სოფელში ხან ზევით, ხან ქვევით. დიდის და იაროს — ვისი რა საქმეა, განაცოტანი დადიან ამ გზაზე. მე ცნობითაც კი არ ვიცნობდი.

იმ შემოდგომაზე სოფელში ქორწილები გახშირდა. ვილაცამ შვილის ქორწილის დღეს თამაში მოაწყო, ჩვენებური „თხისგატყავება“. ის მწყემსი ჩაუჭი ცხენოანი გამოდგა. მე და ალიმანი ქორწილში წასასვლელად ვეზადებოდით. ვიდრე ის იცმევდა, ქუჩაში ვილაცამ ცხენი ჩააქროლა და თითქოს ზედ ჩვენს ჰიშკართან დაეცა. მე ჰიშკარისკენ გავიქეცი, რომ მენახა რა მოხდა. ის მწყემსი იყო. ცხენი ყალყზე დგებოდა, ცეკვავდა, თვითონ კი მოხდენილად იჯდა უნაგირზე, მათრახი კბილებით ეჭირა, სახელოები აეკაბიწებიანა. ზედ ჩვენ ჰიშკართან კი თხა ეგდო. თამაშში გამარჯვებულს უფლება აქვს, რომელ ეზოშიც უნდა, იქ გადაადგოს თხა. მაგრამ მე ერთბაშად ისე დავიბენი, რომ ვერც მოვიფიქრე რა მეთქვა.

— ეს რატომ, შვილო? — წამომცდა უნებლიეთ.

ის კი შემეკითხა:

— შინ ვინ არის?

— შენ ვინ გინდა? — ვეკითხები.

მაშინ მან წაიბურტყუნა, დამივარდაო, დასატაცა ხელი თხას, ცხენი შეაბრუნა და გაქუსლა. ამასობაში მდევარმაც მოუსწრო. დაინახეს, რომ თხა თან წაიღო და დაედევნენ.

სულ ეს იყო. ამის შემდეგ აღარ შევხვდრივარ. მაშინ კი მეწყინა კიდევ თითქოს. რაკი მოიტანა თხა, უნდა დაეტოვებინა მასპინძლისათვის — ასეთია წესი. იქნებ მართლაც შემთხვევით დაუვარდა? მაშ რატომ ეგდო თხა ზედ ჰიშკართან და არა ქუჩაში? რას ნიშნავდა ყველაფერი ეს?

როცა ალიმანი შინიდან გამოვიდა, ერთბაშად ყველაფერს მივხვდი. მას აბრეშუმის კაბა ეცვა, თავზეც ქრელი

ყვავილებიანი თავსაფარი მოეხვია. აჩქარებით შემომხედა, თავი ჩაქინდრა, შერცხვა.

— წავიდეთ, დედა, — წყნარად მითხრა.

უსიტყვოთაც ნათელი გახდა იმ მწყემსის მოსვლის მიზეზი. გამახსენდა, რომ უკვე რამდენიმე დღეა საღამოობით ალიმანი მდინარეზე მიდის წყლისათვის და გვიან ბრუნდება. თუმცა ეზოს გადაღმა არხი სავსეა წყლით. გული მეტკინა. არა, იმიტომ კი არა, რომ ვეჭვიანობდი, — ან იქნებ ვეჭვიანობდი კიდევ; — მაგრამ საქმე სხვა იყო. მე ხომ თვით ვევედრებოდი ღმერთს ალიმანი ქვრივად არ დარჩენილიყო, რომ მალე ეშონა ქმარი, მე ვნატრობდი მისთვის ამას, როგორც ბედნიერებას. ახლა კი შიშმა შემიპყრო. შევეფოთდი, თითქოს რძალს კი არა, საკუთარ ქალიშვილს ვათხოვებდი. მე-შინოდა არ შემეცდარიყო; როგორ იცხოვრებს ახალ ოჯახში, როგორ ხალხში მოხვდება, როგორი გამოადგება ქმარი? ქორწილშიც, გზაშიც, როცა შინ ვბრუნდებოდით, შინაც ეს ფიქრი აღარ მშორდებოდა.

„კარგად გაიცანი. ალიმანი? რა კაცია? არ აჩქარდე, შვილო ალიმანი, არ შეედე. კარგად გაიცანი“. — გულში შევთხოვდი და ვფიქრობდი ახალგაზრდების ხელისშემშლელი არ გამოვსულიყავი. რა გვაკეთო, რომ ალიმანს ჩემი არ ერიდებოდეს, როგორ ვაგრძნობინო, რომ მას ნება აქვს ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია. ვცდილობდი დამეფარა ჩემი შეფოთება, ველაპარაკებოდი ჩვეულებრივად, ვეხუმრებოდი, ვიცინოდი, რომ მას ეჭვი არ აეღო და არ ეფიქრა, თითქოს მე ვძრახავდი. და მაინც ჩანდა, იცოდა, რაც მაწუხებდა.

საღამოს ალიმანმა ვედრო რომ აიღო და წყალზე წავიდა, შვებით ამოვისუნთქე, თითქოს მხრებიდან რაღაც მძიმე ტვირთი ჩამომხსნესო. ძალიან კარგი: შეხვდეს, გავიფიქრე მე. მაგრამ

მალე დაბრუნდა. მდინარეზე არ წასულა, არხიდან მოიტანა წყალქვეშა

— დედა, — მითხრა მან და ვედროთ თავის ადგილზე დადგა. — წყალს გავაცხელებ, თავი დაიბანე.

— მოვესწრები, შვილო, — ვეუბნები, — ხვალაც ამ თვისა... თუ შენ სადმე ხარ წასასვლელი?..

მან გამაწყვეტინა:

— ხვალ სამუშაოზე ვართ წასასვლელი, არ გვეცლება. შენ დაიბანე, დედა, და მე დაგვარცხნი.

წყალი გაათბო და მოყვა ჩემს ვარშემო ფუსფუსს, თითქოს პატარა გოგო ვყოფილიყავი და არ შემძლებოდა მარტოკას თავის დაბანა. ჯერ მაწვნით დამაბანინა, მერე სურნელოვანი საპნით, შემდეგ წყლითა და ისევ საპნით. მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდიდან არ მცილდებოდა, წყალს მიცვლიდა, მინელებდა, მისხამდა. სხვა დროს ვერ მოვითმენდი, ვეტყოდი — დამეხსენ, მომასვენე-მეთქი, მაგრამ იმ საღამოს არ შემეძლო ასე მოვეტყუულიყავი. დამნაშავედ ვთვლიდი თავს, რომ ჩემი მიზეზით არ წავიდა იმასთან შესახვედრად. „ესეც ხათაბალა, თუ გინდა რატომ ვაკეთა ასე?“ — ვჯავრობდი ჩემზეც და მასზეც. ალიმანი კი თითქოს ძალიან კმაყოფილ იყო და მხოლოდ მაშინ, თმას რომ მივარცხნიდა, ნაღვლიანად თქვა:

— დედა, შენ ოდესღაც ალბათ სქელი ნაწნავები გქონდა. ახალგაზრდაც იყავი.

მან წყნარად გადამისვა ხელი თავზე, ალერსით მომიტათუნა სახეზე. მე თვლები არ ამიწევია, ცრემლებით მქონდა სავსე.

„ალბათ მეთხოვება-მეთქი“, — ვფიქრობდი სევდიანად. მერე თმები დამიწნა, სკივრიდან თავისი დიდხინის შემონახული სუნამო ამოიღო, კასიშის ნაყიდი იყო და ინახავდა. მე ხელები გავასავსავე.

— რას შვები, ალიმანი! ეს რაღად გინდა? სირცხვილია ამ სიბერეში, ხალხი დამციწებს!

იმას გაგონებაც არ უნდოდა, გახალისებული იცინოდა. სახეზე, კისერში, თავზე მასხურა, სულ დაცალა, რაც შუშაში იყო დარჩენილი. მერე ხვეწნა დამიწყო, ყოველი მხრიდან მათვალეურებდა.

— აბა ნახე რა ახალგაზრდა და ლამაზი ხარ! — ხალისობდა თავისი ნამოქმედარით.

მეც გაემხიარულდი. ჩაი რომ დავლიეთ, ალიმანმა თქვა:

— ახლა კი დავისვენოთ, დედა. ახლავე გაგიშლი ლოგინს.

იმ ღამეს არც ერთს არ გვიძინია. ალიმანი თავის საფიქრალს ებრძოდა, მალიმალ გვერდს იცვლიდა, ოხრავდა. მე კი მისით ვიყავი სავსე. ხან მეჩვენებოდა, როგორ გარბოდა ალიმანი პუარის ყანაში ბაღის თაიგულთ ხელში კომბანისკენ, როგორ დადო თაიგული კომბანის საფეხურებზე და ანცად გამოიქცა უკან. ხან მეჩვენებოდა, პატარა ბავშვივით ტირილით რომ ებლაუქებოდა კასიმს ხელებზე და ცხენზე შეჭდომის საშუალებას არ აძლევდა. მახსენდებოდა ჩვენი წასვლა რკინიგზის სადგურში. მეჩვენებოდა, თითქოს ორთვალა მიგვაქროლებს, ალიმანი ჩემს გვერდით ზის მთლად თოვლით დაფარული, ყინვისაგან აწითლებული ლოყებით. თოვლი აკვრია თავსაფარზე, ჩამოშლილ თმებზე, საყელოზე და ეს უფრო მეტად ალაპაზებს. მომელანდა, ხელებგაშლილი რომ მომეარდა კვილით: „დედა! ქვრივები ვართ, ქვრივობრები!“ ხან შეათვასაფრიალი რომ გარბოდა წითელი ტულებებით მოფენილ მინდორზე. ვიხსენებდი ყველაფერს, რაც ჩვენ გვაკავშირებდა და უცებ წარმოვიდგინე, როგორ მიდის იმ მწყემსთან ერთად და მიერეკება მის ფარას. თითქოს მისი ხმაც მესმის: „შაპატიე. დედა, მივიღვარ. აუგად ნუ მომიხსენებ, მშვიდობით, დედა!“ მე კი ციკაბო ბილიკზე მივსდევდი, ხელს ვუქნევდი და ვეთხოვებოდი: „მშვიდობით, ჩემო თვალის სინათლევ! ჩაესვენა ჩემი ვარსკვლავი. მშვიდობით, ალიმან!

ბედნიერი იყავ, მშვიდობით... ეი, ყმაწვილო! — ვეძახდი მწყემსს, მაგას ნუ აწყენინებ, მოუარე ჭეშტილქი, ვინ რემ დაგწყევლი, საშინლად დაგწყველი!“ ცრემლები ბალიშზე დიოდა და ასველებდა. თავზე საბანი მქონდა შემოხვეული და ისე, ჩუმად ვტიროდი, რომ ალიმანს არ გაეგონა.

მეორე დღეს, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ალიმანი არსად წასულა. სალამოს შინ დარჩა. ამის შემდეგ მწყემსმა სადღაც გარეკა თავისი ფარა და აღარ გამოჩენილა. ალიმანი, ჩანს, განიცდიდა, მოღუშული დადიოდა.

„მოგეფურთხებია ჩემთვის და წასულიყავი მასთან, თუ კი მოგწონს, — ვაკცხავდი მას ჩემ გულში, თან მეცოდებოდა. — ეხ, ჩემო გაუხარელო. რამ გაგაჩინა ასეთი შენდა საუბედუროდ!“ მაგრამ დღეები გადიოდა და ეს ყველაფერი გადაგვავიწყდა.

აღრე გაზაფხულზე ის მწყემსი ისევ გამოჩნდა. შევნიშნე, ნოღაზე ცხვრებს აბალახებდა. ალიმანმა ისევ დამიწყო სალამოობით შინიდან წასვლა, გვიან ბრუნდებოდა. მე არაფერს ვეუბნებოდი. თვითონ უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი.

ერთხელ ღამით დიდხანს ველოდემთელ სოფელს ეძინა. მეც მივწეკი, ღამფას ჩავუწიე, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. გულს რაღაც სიმძიმე, მოუსვენრობა შემომაწვა. ალიმანის ლოდინში ფანჯრის მიღმა ყოველ გაფანტვებსას ყურს ვუვადებდი. ეზოში მთვარის შუქი იდგა, ღრუბელი მხოლოდ ხანდახან თუ გაეკარებოდა მის ნათელ კიდეს, გაზაფხულის მშვიდი ამინდი იდგა. მარჯოლებდა. სიცოცხესაგან კი არა, მარტობისაგან. ქურქში გავხევი და დამჯდარს ჩამთვლია. მერე რაღაცის შემეშინდა და გამომელევიძა: ვხედავ კარებში ალიმანი შემოდის, კაბის საკინძე ჩამოგლეჯია, შიშველი მკერდი მოუჩანს, თმები გასწეწა, თვლები ამღვრეული აქვს. პირველად ვხედავდი მთვარას. ზღურბლზე რომ გადმოაბი-



ჯა, წაბარბაცდა, კინალამ დაეცა, ლემელს წაეპოტინა და თავი გადააქნია.

ერუანტელმა დამიარა მთელ ტანში.

— რას მიყურებ?— თავი ასწია და შემეკითხა: — აბა, რას მომჩერებინარ? მთვრალი ვარ, არაყი დავლიე. სხვა რა დამჩენია? აბა, სხვამ ვინ უნდა დალიოს, თუ არა მე. რას გაჩუქებულხარ?

დაემუნჯდი, ენა ჩამიფარდა. საშინელი იყო ამის ყურება, საღამდე დაცემულიყო ჩემი რძალი. ალა-მანი ისევ ისე იდგა, ლემელს წაპოტინებული, თავჩაქინდრული, მერე უცებ აჩურჩულდა:

— დედა, შენ არაფერი არ იცი. მე კი... მე დღეს... გახსოვს, კასიმს რომ ვაცილებდით, ჩვენ მდინარეზე წავედით. აი იქ...— სიტყვა ვერ დამთავრა, წამოიყვარა, თავში ხელი იტაცა, იატაკზე დაემხო და ატირდა.

მხოლოდ მაშინ მოვედი გონს. მივვარდი, ხელი დავტაცე, გულში ჩაეიკარო:

— რა მოგივიდა, ალა-მან? რა გატირებს? აბა მითხარი? სევდა მოგერია, თუ გაწყენინა ვინმემ? მითხარი. მე მითხარი! იქნებ ჩემზე ხარ ნაწყენი? თუ ასეა, მითხარი, თქვი, რაც გულში გაქვს...

— არა, არა. დედა, დედიკო!— ბრჩობოდა ცრემლებში ალა-მანი.— ჩემო საწყალო, ჩემო უბედურო, მარტოდ-მარტოვ! შენ არაფერი არ იცი და რომც იცოდე, რას გააწყობ? ოჰ, დედა, დედა! კიდევ დიდხანს ტიროდა და ოხრავდა ჩემს მკერდში ჩამხოპილი. შემდეგ თანდათან დამშვიდდა და ჩაიძინა. მაგრამ ძილშიც გულსაკლავად ოხრავდა და ფშლუკუნებდა. გათენებაამდე ვუჯექი სასთუმალთან და სულ ვფიქრობდი: რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი? გადავწყვიტე, გადაჭრით მოვლაპარაკებოდი. მაგრამ დილით მან ლაპარაკი არ ისურვა. ისედაც საშინელ დღეში იყო. უხმოდ, თვალებით მთხოვდა არ გამეზსენებინა, რაც ღამით მოხდა, მხოლოდ სამუშაოზე წასვლისას, ჭიშკარში რომ გავდიოდით, წყნარად მითხრა:

— პაპატიე, დედა. მე აღარ შეეაწუხე.

სამიოდე თვე გავიდა. იმ დღეებში იმ დღეებში— ჩენშენჯულის საქმის გამოძიება იყო. ომის დამთავრების შემდეგ ის ვერ ბედავდა აშკარად მოსვლას სოფელში, მაგრამ ღამლამობით თურმე მოდიოდა შინ. სადღაც ყაზახეთში იმალებოდა, სპეკულაციას ეწეოდა, ნაჭურდალ საქონელს ყიდდა და აი ჩავარდა. მასი ძველი საქმეებიც გამოაშკარავდა და ჩენშენჯული ჩვენ სოფელში ჩამოიყვანეს მოწმებთან დასაპირისპირებლად. ჩემთანაც მოვიდა სოფლის საბჭოს შიკრიცი და მეუბნება: მოწმედ გიბარებენო.

წავედი. ქუჩაში ალა-მანი შემხვდა. სამუშაოდან ბრუნდებოდა. დალილი, თავჩაღუნული მოდიოდა სხვებისგან მოშორებით. იმ ზაფხულს სახე ჩაუშავდა. შემეცოდა და შინ მარტო რომ არ მჭდარიყო, ვუთხარი.

— წამოდა, შვილო, კანტორაში მივიდეთ. შინ ერთად დავბრუნდებით.

მან კი მიპასუხა:

— არა, დედა, რა მესაქმება იქ? მე შინ წავალ, თავიც მტკივა რაღაც.

— კარგი, წადი, — ვუთხარი, — წამოწევი, დაისვენე. ძროხას მე მოვწველი.

სოფლის საბჭოსთან დახურული მანქანა იდგა. პარმალზე ხალხი ირეოდა. აქ იყვნენ მოწმედ დაძახებულებიც და ისინიც, ვისაც სამუშაოდან გზად გამოველო. დიდხანია არ მენახა ჩენშენჯული, თითქმის შეიდი წელი.

გზა, რომელსაც ის ადგა, ჩანს, სახე-ირო იყო მისთვის. ზორბა, ჩასუქებული იჭდა ფანჯარასთან, ბოროტად, ქვეშ-ქვეშ იყურებოდა და ვილაცას მკვახედ პასუხობდა:

— შენ ამბობ, რომ მე ქურდი ვარ, კი მაგრამ მნახა ვინმემ, დამიჭირა ვინმემ? არა! თუ არა და მაშ ცილს ნუ მწამებ. შეგიძლია ათასჯერ თქვა, მაგრამ ამაოა, საჭიროა ფაქტი!

ამის გაგონებაზე გამოღებულ ფანჯარას ვეცი, ფართოდ გავალე და ქუჩიდან დავეყვირე:

—სტყუი, ნაძირალავ! ფაქტები გინდა? აჰა, ფაქტი—მე ვარ ფაქტი!

—ღედი, აქ შემოდით, — მთხოვა გამოძიებელმა და მაგიდიდან წამოუდგა.

მე შევედი და მაშინვე დავიწყე:

— მართალია, ჩვენ დანაშაულზე არ დაგვიჭერიხარ. შენი დევნისთვის ვის ეცალა, ფრჩხილებით ვხნავდით მიწას, ფონტისათვის პურს ვამზადებდით. მაშინ თავთავებს ვაგროვებდით ბავშვების გამოსაკვებად. შენ კი ჩვენი ცხენები მიგყავდა, — გუთნიდან მუშასაქონელს გვაცილდი. შენ მაშინ უკანასკნელ თესლს გვტაცებდი ხელიდან, თესლს, რომელიც მარცვალ-მარცვალ იყო შევროვილი, ჩვენ ბავშვებს ვართმევდით. შენ კი ჩვენ. მაშასადამე, შენ მტერი იყავი. როცა მე დაგეწიე და დაგიძახე: „შეჩერდი! გიცანი. ჯენშენკულ, შეჩერდი-მეთქი“ — შენ შემობრუნდი და მესროლე: აჰა, ესეც ფაქტი!

მე გაეჩუმდი და გამოძიებელმა მიბრუნდა:

— გმადლობთ, ღედი, ახლა თავისუფალი ხართ, შევიძლიათ შინ წახვიდეთ.

სოფლსაბჭოდან რომ გამოვიდოდი, უცებ საიდანღაც ჯენშენკულის ცოლი გამოვარდა, ცოფიანივით მეცა აუვირდა:

— აბ, შე კუდიანო, ტარტაროზო, შენ სულ სიმართლეს ეძებ და სწორედ ეგ სიმართლე გსჯის. ანია შენზე, ცოტაა რაც იტირე, ტირილი ახლა ნახე. საიდანა აქვს შენ რძალს მუცელი გამობერილი, ა? თვალწინ დაგიორსულეს შენი კახა, შენ კი სიმართლეს ეძებ. ახლა ერთად ეძებეთ, უსირცხვილოებო!

ხალხი ეცა, ძალით ამაგლიჯეს და კუთხეში წაათრიეს, პირზე ხელს აფარებდნენ, მაგრამ მე ვუთხარი:

— გაუშვით, ხელი არ ახლოთ! — და უხმოდ წავედი შინ.

მტერი იყო ასე ცხელი გზაზე თუ სირცხვილი მიწავდა ფეხებს, არ ვიცი, ის კი იყო, რომ პირველად თითქმის

მივბრბოდი. შემდეგ კი ნელა წავლასლასდი, აზრის მოკრება ვერც ვაჩვენებ. არ ამის მსგავსი არ მტყულებია. ახლად, ადვილი მისახვედრი კი იყო. ბოლო ხანებში აღიშანი, როგორღაც, საოცრად გამოიყვალა, ვულჩათხრობილი გახდა, ხალხს ერიდებოდა, თავის მეგობრებსაც კი გაურბოდა. მის ასეთ ქცევას მე იმას მივაწერდი, რომ ალბათ იმ მწყემსთან არაფერი გამოუვიდა-მეთქი. ის ჯერ კიდევ გაზაფხულზე წაეიდა მთაში და მას მერე აღარავის უნახავს. ვფიქრობდი, ალბათ ვერ მორიგდნენ და იმიტომ განიცდის-თქო: საქმე კი სულ სხვაგვარად ყოფილა. ოჰ, რა უბედურებაა! ვინ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. დავიბენი, ვერ წარმომედგინა რა მელონა. მეორე საღამოს ჩემმა მეზობელმა აიშამ გადამიპატიჟა და ჩიის სმის დროს ლაპარაკში, სხვათა შორის, ჩაუერთო:

— ჯენშენკულის ცოლი წუხელ დამით სოფლიდან საღვაც გადასახლებულა.

მე წავუყრუე. რაში მეკითხებოდა? გადავიდა და გადავიდეს. ყველამ თვითონ იცის თავისი საქმისა. მხოლოდ ორიოდ წლის შემდეგ გავიგე: დამით მისულან ჯენშენკულის ცოლთან, მთელი მისი ავლადიდება ორთვალზე დაუწყვიათ და უთქვამთ: „საღაც გინდა, იქ წადი, ჩვენ სოფელში შენი ფეხი აღარ იყოსო“. ამის შემდეგ არასოდეს არავის შეუხსენებია ჩემთვის ჩემი და აღიშანის უბედურების ამბავი. იქნებ თვითონ მას ეუბნებოდნენ რასმე, ვინ იცის რას ფიქრობდა ხალხი თავის გულში, ვინ იცოდებდა, ვინ ამტყუნებდა, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი უგრძობინებია. ამისათვის დიდი მადლობა ხალხს. ამდენი წელი გავიდა და ყველა კვლავ ძველებურად მცემს პატივს.

მას შემდეგ, რაც აღიშანის ფეხმძიმობის ამბავი გავიგე, ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. ვცხოვრობდით, ვმუშაობდით, ერთმანეთს სულ პატარა წერილმანზეც კი რჩევას ვეკითხებოდით. თავის მომავალ დედო-



ბაზე ალიმანი არაფერს ამბობდა. უთუ-
ოდ ვერ ბედავდა ან სხვა დროისათვის
სდებდა. მეც ვსდუმდი ამაზე. მის სია-
მაყეს ვზოგავდი. რაც მთავარია—ჩემს
გულში არც ვამტყუნებდი. ამის უფლე-
ბა არ მქონდა, რადგან მთელმა მისმა
ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა, ყვე-
ლაფერს ვხედავდი, ყველაფერი მესმო-
და და რაღაცაში თვითონ მე ვიყავ დამ-
ნაშავე. ამიტომ მე მაშინვე ვუთხარი
ჩემ თავს: თუ ალიმანმა ცოდვა ჩაიდი-
ნა, ეს ჩემი ცოდვაცაა, თუ ის ბავშვს
დაბადებს, ეს ჩემი ბავშვიც იქნება და
მთელ სირცხვილს, მთელ სიმძიმესა და
ტკივილს მე ვალეზ ჩემ თავზე. ვიცოდი,
რომ ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო,
როცა ჩვენ ჩამოვადგებდით ამაზე ლა-
პარაკს და შევეუნდობდით ერთმანეთს
დიდი ბნის სიჩუმეს. ახლა კი სულ საბ-
ვალიოდ ვადაგვიქონდა. ერთხელ მაინც
წამომცდა.

ზაფხულის მიწურულს, როცა ალი-
მანი უკვე ზუთი თუ ექვსი თვის ფეხ-
მძიმე იყო, დილით ძროხა ნახირში გა-
ვადგე. მწყემსი ბიჭუნა იმ დილით მამ-
ლაყინწასავით გასძახოდა. ნახირი ჩვენ
ეზოს გაუსწორდა. ბიჭი ნახირს მიერე-
კებოდა და თან მთელი სახით მიღიმო-
და.

— დეიდა ტოლგონაი! — მითხრა, —
სუიუნჩი—სამახარობლო მომეციოთ! ბა-
ბუა ჯორბეკის რძალმა იმშობიარა!

— მართლა! როდის?
— განთიადზე.
— ბიჭია თუ გოგო?
— გოგოა, დეიდა ტოლგონაი. თქვეს,
ტოროლას დეარქმევითო, იმიტომ, რომ
ტოროლასავით განთიადზეა დაბადებუ-
ლი!

— ძალიან კარგი. გაზარდოს. მად-
ლობა კარგი ამბისათვის.

ძალიან გამეხარდა, რომ ეს ობოლი
ბიჭუნა ასე შეჰხაროდა ახალი ადამიან-
ისს გაჩენას. ამით კმაყოფილი შინ შევ-
ბრუნდი. არ ვიცო როგორ მოხდა, რომ
უცებ გადაამაგიწყდა, რაზეც დღე და
ღამ განუწყვეტლოვ ვეაქრობდი, და
კიშკრიდანვე დავიძახე:

— ალიმან, გაიგე ახალი ამბავი?
ჯორბეკის რძალს უმშობიარდა უკოგო
შესძენია, გაიგე? საწყაღს—მსემშამე
ორსულობა ჰქონდა: მადლობა დმერთს
კეთილად...—და უცებ სიტყვა გამიწყ-
და, თითქოს მტკივან კბილზე კენჭი
მომხვედროდეს.

ალიმანი უხმოდ იდგა, თვლები
დაბლა დაეხარა, ტუჩები მაგრად მო-
ეკვნიტა. რა იფიქრა იმ წამს? შესაძლოა
აზრმა გაუელვდა, რომ არავინ შეატყო-
ბინებს ხალხს ასეთი სიხარულით მისი
მორჩენის ამბავს. ჩემი უგერგილობისა-
გან სირცხვილით დავიწყვი. თვალის გას-
წორება ვერ გავუბედე. ცეცხლს მივუ-
ჭევი და შევეუკეთე, თუმცა ეს სულ არ
იყო საჭირო.

რომ შემოვბრუნდი, ალიმანი ისევე
თვალეზდახრილი იდგა კედელთან. სიბ-
რალულით გული გამეწიწკა. ვაიძულე
თავი, ავდექი და მასთან მივედი.

— რა დაგემართა, ცუდად ხომ არა
ხარ? — შევეკითხე.

— არა, დედა.— მომიგო მან.

— თუ მუშაობა გიჭირს—შინ დარ-
ჩი, დაწევი.

— არა, არ მიჭირს, დედა. თამბაქოს
აცმა აბა რა საქნელოა. — თქვა და სა-
მუშაოზე წავიდა.

მაშინ გადავწყვიტე, რომ მეტი გა-
კიანურება აღარ შეიძლება ახლავე
უნდა ვუთხრა, რომ არაფერი აქვს
სასირცხვილო, რომ ყველა ახალ-
შობილი თანასწორია, და რომ მი-
სი შვილი ჩემთვის დიდილი იქნება,
ისევე გავზრდი, როგორც საკუთარ
შვილებს ვზრდიდი. ეს უნდა გაიგოს
მან, დაე, გულს ნუ გაიტეხს, ამაყად
ასწიოს თავი—ადამიანებს გაბედულად
შეხედოს თვალეზში—მას აქვს დედო-
ბის უფლება.

ამ აზრით დავედევნე უკან, დავუ-
ძახე:

— ალიმან, ერთ წუთს დამიცადე,
სათქმელი მაქვს, მოცა!

მან წაიყრუა, ვითომ ვერ გაიგონა
და უკან არ მოუხედავს, ისე წავიდა.

მთელი დღე განვიცდიდი ვეაქრობ-

დღე. „არა, ასე აღარ შეიძლება, საღამოს აუცილებლად ვერტყვი. ასე აჯობებს ორივესთვის“. მაგრამ ვერ ავასრულე ჩემი გადაწყვეტილება. საღამოს სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ალიმანი შინ არ დამხვდა. დაველოდე, მერე შევეუხედი. რა მოუვიდა? რატომ არ მოდის ამდენხანს? გადავწყვიტე მის მოსაძებნად წავსულიყავი, სახლიდან რომ გამოვედი, ბეკტაში დავინახე, ის უხმოდ შემოვიდა ჭიშკარში და ბალახის ვეება კონა შემოიტანა, უსიტყვოდვე ჩაუყარა ძროხას ბავაში და მხოლოდ მაშინ თქვა ხმადაბლა:

— დეიდა ტოლგონაი, ალიმანიშა შემოგივალათ, არ შეძებოთო, მითხრა, ჩემიანებთან მივდივარ კაინდშიო.

მუხლები მომეკვეცა, პარმალზე ჩამოვჯექი.

— როდის წაივია?

— ნასადილეგს, ორი საათი იქნება. იქით მიმავალ მანქანას გაჰყვა.

ნაცემივით ვიქექი. ისეთი ზიზღის მომგვრელი უღიმღამობა დამეუფლა, თითქოს ჩემი სიკვდალის ეამმა დაჰკრა. ბეკტაშმა დამშვიდებდა დამიწყო:

— ნუ ღელავთ, დეიდა ტოლგონაი, შოფერმა კაბინაში ჩაისვა. იქ კარგია, — მაწყნარებდა ის.

„ეკ, ბეკტაშ, ბეკტაშ, საქმე რომ მხოლოდ ამაში იყო.“ — ვფიქრობდი ჩემთვის და მანც ვუმაღლოდა ამ უეშმაკო, დამამშვიდებელი სიტყვებისათვის. იმ დროს ის უკვე დიდი ბიჭი იყო. კოლმეურნეობაში მესაზიღრედ მუშაობდა. შეეხუდე და გამოაკვირდა, რა მალე აიყარა ტანი, ძხარბექიანი ბიჭი დადგა. სიარულიც და ხმაც უკვე კაცური ჰქონდა. სახე მშვიდი, სანდომიანი. მე ის პატარობისასაც ძალიან მიყვარდა, ამ სიმწრის წუთებში, კარგია რომ ის იყო ჩემთან. ბეკტაშმა არხიდან წყალი მოიტანა, სამოვარი დადგა. ეზო მორწყა და დავა დაუწყო.

— თქვენ დაისვენეთ, დეიდა ტოლგონაი, — თქვა მან. — ახლავე ქეჩას გაგიშლით ვაშლის ხის ქვეშ. დედა

მოვა, ასე თქვა, მომენტრათ თქვენი ჩაი. ახლავე მოვა.

ალიმანის წასვლის შემდეგ დღეები უსასრულონი გახდნენ. როგორ შემეძლო აქამდე თავი მარტოხელად ჩამეთვალა? სინამდვილეში არც მცოდნია, რა ყოფილა ნამდვილა მარტოობა. საშიოდ დღე მოვითმინე, მეტს ვერ გავეძელი. სახლი სახლად აღარ მიჩნდა და სიცოცხლე სიცოცხლედ. ხანდახან მზად ვიყავი სახლიდან გადავარდნილიყავ კარდაკარ სახეტიალოდ. მერე, იმას რომ ვიფიქრებდი, ალბათ რა დღეშია იქ ალიმანი. მთლად გადავირეოდი ხოლმე. კიდევ კარგი, თუ კაინდაში ნათესაებებმა კარგად მიიღეს, მაგრამ ვაითუ დასციინან: ოდესღაც გავიგებაც არ გინდოდა, თქვენი საქმე არ არის, ჩემი საქმისა მე ვიციო, გვეუბნებოდი. ახლა კი შერცხვენილი მოხვედი და თავშესაფარს ეძებ, ახლა დაგჭირდითო. შეეძლოთ ანე ეთქვათ, რასაკვირველია. შეეძლოთ. და თუ უთხრეს, რა დღეში იქნება ახლა იქ? ამაყია, გაუძლებს. გადაიტანს ამ საყვედურებს? ღმერთმა ნუ ქნას, თავს რამე აუტეხოს. ეკ, ალიმან, ალიმან, ყოფილიყავი ჩემს გვერდით, მთელ სირცხვილს მე ავიღებდი ჩემ თავზე. შენ თავს არავინ დავაზავგრინებდი. ათასგვარად ვფიქრობდი, ვმსჯელობდი. მერე ჩემ თავს ვუთხარი: „არა, ასე არ ივარგის. წავალ გავიგებ, ჩემი თვალთ ვნახავ, შევეხვეწები, იქნებ წამომყვებს. რა ბედნიერება იქნება. იქვე რომ დაბრუნდებოდეს. თუ არ ინდობა დაბრუნება, რა გაეწყობა, დავლოცავ, ვუტირებ და უკან დავბრუნდები“. ასე გადავწყვიტე და მეორე დღეს გზას დავადექი. სახლი და ძროხა აიშას ჩავაბარე. ბეკტაშმა იმ მხარეს მიმავალი მანქანა გააჩერა, მე ძარაზე დავჯექი და კაინდისაკენ გავემგზავრე. სოფელს რომ გავცდით და გზატკეცილზე გავედით, ნამკალში ბილიტზე ჩვენგან მომავალი ქალი შევინაწიე. მაშინვე ვიცანი, ალიმანი იყო. ჩემი ძვირფასი, ჩემი თვალის

ჩინი, ჩემთან, შინ ბრუნდებოდა. კაბინაზე დავაბრახუნე: „შეჩერდი, შეჩერდი! დააყენე!“ მანაქანმ გაქანებოთ კიდევ კარგა მანძილი გაიარა და გაჩერდა; მე ხურჩინს ხელი დავავლე და ძარადან ჩამოვფრინდი. ავარდნილმა მტვერმა, როგორც სქელმა ღრუბელმა უცებ დაფარა ყველაფერი. ვიფიქრე, საზმარში ხომ არ მომეჩვენა-მეთქი ალიმანი. როცა მტვერი გაიფანტა, ისევ დავინახე.

— ალიმან! — ვიყვირე მთელი ხმით. არ მახსოვს, როგორ მივირბინე. მართო ის მახსოვს, რომ ვეხვეოდით ერთმანეთს, ვკოცნიდით, ვტიროდით. ისე მოგვენატრებოდა ერთმანეთი, რომ სიტყვებსაც ვეღარ ვპოულობდით, რომ ერთმანეთთანთვის გვეთქვა ამ დღეებს ნაფიქრალი. ვეფერებოდი, ხელს ვუსვამდი ალიმანს სახეზე და სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი:

— დაბრუნდი, არა? დაბრუნდი, ჩემო შეილო. დაბრუნდი ჩემთან, დედასთან! დაბრუნდი!

ალიმანი მპასუხობდა:

— ჰო, დავბრუნდი! შენთან დავბრუნდი, დედა, დავბრუნდი!

და ასე ჩახვეულები რომ ვიდექით ამ დორს ბავშვი შეინძრა და ერთი-ორჯერ ფეხი ჰკრა მუცელში. ჩვენ ორივემ ვეგრძენით ეს დარტყმა. ალიმანმა ხელები მუცელზე დაადო და ნელა დაუწყო ხელისგულის მოსმა. ამ დროს მისი თვალებს დანახვამ მთელი არსებით შემძრა. როგორ შეიძლებოდა მასზე ცუდი მეფიქრა? ო, წმინდა დედობავ! ერთი წვეთიც კი ასეთი ბედნიერებისა გამოიწყიდის შენა ტანჯვის მთელ ზღვას. მის ლოყას ლოყა მივადე და თავი ვერ შევიკავე. აეტირდი.

— ჩემო თვალის ჩინო, ტკბილო, ალერსიანო! როგორ მეშინოდა, არაფერი მოგსვლოდა!

ის კი მამშვიდებდა:

— ნუ ტირი, დედა, მაპატიე მე სულელს. ვერსად ვერ წავალ შენგან,

ვერ მიგატოვებ. ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა: ვერც მოვიფიქრე, სულ შენზე ვნაღვლობდი!

მე გადავწყვიტე, რომ დადგა ჩვენი გულახდილი საუბრის ხელსაყრელი დრო და ვუთხარი:

— რატომ წახვედი, გეწყინა რამე?

ის დუმდა, თითქოს ფიქრობს, რა მიპასუხოსო, შემდეგ ამოოხვრით თქვა:

— ამაზე ნურაფერს მკითხავ, დედა, რად გინდა? არც არაფერი მკითხო. არც არაფერს გეტყვი. ნუ მაწვალებ, ისედაც მიჭირს.

ისევ გაურბოდა ლაპარაკს. და ასე ყოველთვის. რატომ არ ესმოდა, რომ ეს უარესი იყო მისთვის.

შემოდგომა იმ წელს რაღაც უსასრულო და წვიმიანი დადგა. დღე არ იყო, არ ეწვიმა და ამ გრძელ, მოღუშულ დღეებში უმეტესად შინ ვიხსენდით. ამ შემოდგომასავით ელევოდა გული ალიმანსაც. სულ უფრო იღუშებოდა სულ მიატოვა ლაპარაკი და სიცილი. გამუდმებით ფიქრობდა რაღაცაზე. მშობიარობამდე ცოტადა ჰქონდა დარჩენილი. როგორ არ ვცდილობდი გამოემცოცლებინა ცოტათი მაინც, გამემხსნევებინა, ხან ხუმრობით, ხან ფერებით, არაფერი გამოდიოდა პატარა ბავშვი ხომ არ იყო, მისი სადარდელი ხუმრობით გაგექარებინა. მე კი არა, სხვებიც ცდილობდნენ დახმარებოდნენ ამ გასაქირში, მაგრამ ვის რა შეეძლო? ერთხელ ბექტაშმა თივა მოგვიტანა და გვითხრა, დედა ისევ ჩაწვაო.

წავედი აიშას სანახავად, სიცხე ჰქონდა, ახელებდა. ცოტა გავუჭავრდი.

— შენი ბრაღია — იცი, რომ სიფრთხილე გამართებს, შენ კი თავი ავიღია და ანეთ ამინდში სტუმრად დადიხარ-მეთქი. — ვუთხარი.

მან დამნაშავესავით გაიღიმა. აბა რა ეთქმოდა. ამასწინათ ის და კიდევ ოთხი სხვა ქალი ბექტაშის ორთვალათი წასულიყვნენ მეზობელ სოფელში ვი-

ლაის ქორწილში. წამოსვლა რომ დავაპირე, აიშამ გამაჩერა.

— მოიცადეო, — მითხრა, — ტოლგონაი, თუ არ გაბრაზდები, სათქმელი მაქვს შენთან.

— თქვი. — და კარებიდან შემოვბრუნდი.

— ქვემოთ სოფელში ქორწილში კი არ წავსულვარ. მე იქ ნათესავები რომ არა მყავს, შენც კარგად იცი. ერთი საქმე მოვაფიქრეთ, შენ უკითხავად და გვაბატე, ტოლგონაი, სიკეთე გვინდოდა. მოვებნეთ ის ახალგაზრდა მწყემსი და ველაბარაკეთ, როგორ არ შევუჩნდით, რა არ ვუთხარი: ალიმანი დღე-ღღეზე მოსარჩენია, შენ კი გადაიკარგე, ანუ როგორ შეიძლება, ეს საქციელი-თქო! მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ჯერ ერთი, რომ ცოლი პუოლია, და მეორეც, თვითონაა უსინდისო, უარი გეტყვა: არაფერი არც ვიცი და არც მინდა ვიცოდეთ. გავონებაც არ უნდოდა. ამასობაში ცოლმა იუჰვა, თითქოს მიგვიხვდა. ერთი უსაქციელო დედაკაცი ყოფილა, იწვილა, გამოგვლანძლა, პირდაპირ თავსლაფი დაგვასხა და გამოგვრეკა. გზაში წვიმამ მოგვასწრო და თავიდან ფეხებამდე დაესველდით. ამიტომაც ჩავწყქი. ეს არაფერი, გაივლის, მაგრამ რა ეშველება ალიმანს, ა? — აიშამ პირზე ხელი ათფარა და ატირდა.

— ნუ ტირი, აიშა, სანამ ცოცხალი ვარ, მის თავს არავის დავაჩაგვრინებ! — ვუთხარი მე და გამოვედი. სხვა აბა რისი თქმა შემეძლო!

უსასრულოდ გაგრძელდა ეს მძიმე დღეები. მშობიარობა ახლოვდებოდა. ალიმანს თვალს არ ვამორებდი. ეზოში გავიდუოდა, გავყვებოდი. ერთ ნაბიჯზეც არ ვცილდებოდი. მეშინოდა, პირველი შეტევები არ გამომჩინოვდა, თორემ სხვა მხრივ რატომ შევაწუხებდი.

ერთხელ, ვხედავ — თბილად ჩაიკვა, თავშალიც მოიხურა.

— სად მიდიხარ, შეილო-შეტქი, ვკითხე.

— მდინარეზე წავალ, ^{შეილო-შეტქი, ვკითხე.} ^{არქონესული} ^{გაგვარებდა}

— ნუ წახვალ, აბა იქ რა უნდა გააკეთო, ნესტიანი დღეა. ჯობია შინ იდე.

— არა, წავალ.

— მაშინ მეც წამოვალ, მარტოს ვერ გაგიშვებ, — ვუთხარი მე.

მან საშინელი თვალებით შემომხედა — მთელი ბოლმა და სატკივარი, რაც მის გულში ამ დღეებში ტრიალებდა, სულ ჩემზე გადმოანთხია:

— რას ვაღამეკიდე? რა გინდა ჩემგან? რა არდილივით დამღვევ? თავი დამინებე. გგონია, მოგკვდები? არ მოგკვდები! — კარები გაიჭახუნა და წავიდა.

თითქოს ჩემს გულზე მოეჭახუნებინოს კარები. ძალიან მეწყინა. მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე, ეზოდან გავედი, გახედე საით წავიდა ალიმანი. არ ჩანდა, ალბათ ნოღაზე გავიდა.

წვიმა ძალზე წვრილად, თითქმის უხილავად ცრიდა გვეგონებოდა, ცივ ორთქლი გტემდა. ქარი აფორიაქებდა რუხ ღრუბლებს. ბალი გავერანებული, მყუდროებას მოკლებული ჩანდა.

ხეები გაბარცული, გათოშინი იდგნენ, სველი, ჩამუქებული ტოტებით. ხალხი სახლებში შეყუებულიყო. ირგვლივ არავინ ჰაჰანებდა. კვამლის ბურუსში შორს ოდნავ გამოსჩანდა ქედის თხემები.

ცოტა შევიცადე და უკან გავეყვი: მლანძლოს რამდენიც უნდა, უფრო ცუდი იქნება სადმე სინესტეში რომ დაწვეს შეტევების დროს. ბოსტანს გადაღმა ბილიკზე გავიდი თუ არა, დავინახე ალიმანი. ის ბრუნდებოდა. ნელა, თავჩაქინდრული მოდიოდა, ძლივს მოათრევდა ფეხებს. საჩქაროდ შემოვბრუნდი შინ, ჩაი დავდგი, სახელდახელოდ დავაცხეე იაღლო არაყანითა და კვერცხით. შემდეგ ქეჩაზე სუფთა სუფრა გადავფარე, მოვიტანე საზამრთო ვაშლი, ყველაზე ლოყაწითლები ამო-

ვარჩევ. ალიმანი შემოვიდა, სუფრის დანახვაზე უხმოდ, ნაღვლიანად გამოიღობა.

— გაიყინე, შვილო? დაჯექი, ჩაი დალიე, იალოო ჭამე, — ვუთხარი მე.

— არა, არაფრის ჭამა არ მინდა, დედა. ერთი ვაშლი მომეცი. — მომიგო მან.

— იქნებ გტყვივა სადმე, ალიმან, მითხარი, — ჩავეძოე.

მაგრამ მან ისევ მითხარა:

— ნუ მეკითხები, დედა, მთლად დავკარგე თავგზა. ჩემი თავი მძაგს. შენც ტყუილებრად გაწყენინე ჯობია მომეშვა. — და ხელი ჩაიქნა.

დაღამდა. დაწოლისას გულდაწყვეტილი ვფიქრობდი, რომ ალიმანს ჩემი აღარაფერი მოსწონს და ამ გულისტკივილში ჩამეძინა. ჩვეულებრივად ღამით ხშირად მეღვიძებოდა, გადავხედავდი ხოლმე ალიმანს, ახლა კი რალაც ძილქუში დამაწვია. რომ მცოდნოდა, განა თვალს მოვხუჭავდი, ათ დღე და ღამეს არ გავიკარებდი რულს...

არ ვიცი როდის, ან რისგან გამეღვიძა უეცრად. შევხედე, ალიმანი თავის საწოლში არაა. ნამძინარეზე ერთხანს ვერაფერი მოვისახრე. ჯერ ვიფიქრე, ალბათ ეზოში გავიდა-მეთქი. ცოტახანს ვუცადე, არ შემობრუნდა. მერე ალიმანის ლოგინს მოვუთათუნე ხელი. ლოგინი ცივი იყო, და მეც ერთბაშად გული გამეყინა. მაშესადამე, დიდხანია ამდგარა! აჩქარებთ გადავიცი და ეზოში გავედი. ყველა კუთხე-კუნძული მოვირბინე. ბოსტანშიც ვნახე, ქუჩაშიც გადავედი, ვუძახე: „ალიმანი! ალიმანი!“ — პასუხი არ გამეცა. მხოლოდ ძაღლებმა ატეხეს ალიაქოთი, აყვდნენ ეზოებში. შევშფოთდი, თავბრუ დამეხვა. მაშასადამე, წავიდა! მაგრამ სად წავიდა ამ უკუნ ღამეში? რა ვქნა ახლა? იქნებ დავეწიო? ისევ სახლში შევეარდი, ფარანი ავანთე და ახლა ფარნით დავუწყე ძებნა. კარებში რომ გავდიოდო, უცებ შემომესმა, თითქოს ვიდაცამ იკვილა და დააკენსა ფარდულ-

ში. ეზო გადავირბინე, ფარდულის კარს ვეცი და ფარანი კინკლამს ნეტქმდან გამივარდა, გავქვავდი, შევალეხს კარს უჭერებდი: ადამიანი თავქვე ჩამხობილიყო თივაში. მშობიარობდა. სიცხის აღმურში იწვოდა.

— ეს რა გიქნია? რატომ არ მითხარი? — ვიყვირე მე და მივევარდი.

მინდოდა მივეშველებოდი, წამოწევა დავუბირე და შევძრწუნდი, როცა ხელში მთლად სისხლში გაყვანილი კაბის კალთა შემჩნა. ალიმანი იწვოდა. მამივედ, ხროტანით ძლივს ამოღერდა:

— კვადები, კვადები.

ეტყობა, უკვე დიდხანია წვლობდა.

— ღმერთო გვიხსენი! ღმერთო გვიხსენი! — შევევიდრე მე, როცა მივხვდი, რომ უეჭომოდ საშველი არ იყო.

მივატოვე და აიშასთან გავიქეცი, მთელი ძალით დავაბრახუნე ფანჯარაზე:

— ადექით, ჩქარა ადექით! ბექტაშ, ორთვალა შეაბი, ალიმანი ცუდადაა! ჩქარა, ძვირფასო, ძალიან ცუდადაა!

გავაღვიძე ისინი და მოვბრუნდი, ალიმანს წყალი მივეცი. ციებიანივით აძაგძაგებდა, კბილს კბილზე აცემინებდა, რის ვაივავლახით მოსვა ორიოდე ყლუბი. ისევ დაიკრუნჩხა, აცენესდა. ამასობაში აიშამ მოგვისწრო, ძლივს იდგა საწყალი ფეხზე. ავადმყოფი წამოდგა ლოგინიდან. რომ ნახა ალიმანი რა დღეშიც იყო, სახე შეეშალა, მოთქმას მოყვა:

— ალიმან, ჩემო ძვირფასო, ეს რა დღეში ხარ? ალიმან, ჩემო გოგონი! ნუ გეშინია. საავადმყოფოში წავიყვანთ!

ჩვენდა ბედად ბექტაში იმ დღეს გვიან დაბრუნებულყოფი და ცხენები თავლაში არ წაიყვანა, იქვე თავისთან დაეყენებინა გადახურულში. სწრაფად შემოიყვანა ორთვალა ეზოში. ბლომათ დავყარეთ ზედ თივა, ლოგინი გავშალეთ, ბალიშები დავაწყვეთ, სამმა რის გაპირვებით გამოვიყვანეთ ალიმანი ფარდულიდან, ორთვალაზე დავაწვინეთ

და დაუყოვნებლივ გავეშურეთ საავად-
მყოფოსაკენ.

ოჰ, ეს შემოდგომის გაფუჭებული
გზა, ოჰ, ეს წყვეული უკუნი ღამე... საა-
ვადმყოფო მაშინ მხოლოდ ზარეჩიეში
იყო, ხიდი კი ჩვენგან შორს, მდინარის
ქვემოწყლში.

როგორც კი სოფლიდან გავედით,
ალიმანს ისევ დაეწყო შეტევები. ყვი-
როდა, იხდიდა ყველაფერს, რაც ეხუ-
რა, მე კალთაში მეჭირა მისი თავი, ხან
საბანს ვახურავდი, ხან ფარანი მიშკონ-
და სახესთან — თვალეზში ვაქცერდე-
ბოდი, ვამშვიდებდი. ბექტაშიც ამშვი-
დებდა:

— მოითმინე, ალიმან. მალე მივალთ.
აი ნახავ, სულ მალე მივალთ, ხიდამდე
ორიოდე ნაბიჯილა დაგვრჩია.

ხიდამდე კი ვინ იცის კიდევ რამდენი
საღალი იყო. ცხენების გაჭენება არაფ-
რით არ შეიძლებოდა, დაანჯღრევდა
ალიმანს.

ამასობაში წვიმაც დაუშვა. თითქოს
ყველაფერმა ჩვენთვის მოიცილა —
თვალთან თითს ვერ მიიტან, ისეთი სი-
ბნელეა, სუსხიანი წვიმა, ტალახი და
ოღრო-ჩოღრო გზა. ალიმანი იკრუნჩ-
ხებოდა, კენესოდა, ყვიროდა და უცებ,
როგორღაც ერთბაშად გაყუჩდა, აბრო-
ტინდა.

— ალიმანი! ალიმანი! რა მოგივიდა? —
აფფორიქდი მე, მოვეხვიე, ფარანი მი-
ვუნათე. მე შემომცქეროდნენ მისი ან-
ფებული თვალები.

— გააჩერეთ! გვკვები! გააჩერეთ! —
წარმოთქვა ჩაშავებული, დამსკდარი
ტუჩებით და სუნთქვა შეეკრა.

ორთვალა დავაყენეთ.

— თავი ამიწიე, — მთხოვა მან. —
ჰაერი არ მყოფნის. — და ატარდა. მე-
რე აჩქარებით ცრემლების ყლაპვით
დაიწყო: — დედა, საყვარელო... შიგ-
ნით ყველაფერი მეწვის, ძალა აღარა
მაქვს... გვადლობთ ყველაფ-
რისთვის, დედა, მამატიე... კასიმი რომ
ცოცხალი ყოფილიყო... ო-ოი, კასიმ,
გვკვები... მამატიე...

მე შევევიდარე:

— არა, შვილო, არ მოკვდები, მოით-
მინე, ცოტაც მოითმინე, შეირდესო, ხი-
დი უკვე სულ ახლოსაა, გენახისო, ვერ მო-
კვდები!

ისევ დაიკრუნჩხა, კბილი კბილს დაა-
ჭირა და უკვე ნახევრადგონებადაკარ-
გულმა, უკანასკნელი ძალით გაიბრძო-
ლა.

— ბექტაშ, — ვუბრძანე მე, — ილ-
ლიებქვეშ ამოსდე ხელები და ასწიე!
აბა, ჩქარა! თუ ღმერთი გწამს! რა
დროს სირცხვილია!

ბექტაშმა წამოსწია ალიმანი, მე კი
ვცდილობდი ბავშვს მივშველებოდი.
მერე ბექტაში აზლუქუნდა, და მე უც-
ბათ გამახსენდა ეშელონის გრიალი, გა-
უთავებლად იწყეს ბორბლებმა ყურებ-
ში კაკუნის ქარმა მოიტანა ძახილი: „დე-
დაა! ალიმანა!“ და იმე წამს გაისმა
ახალდაბადებულის ყვირილი. ოჰ, სი-
ცოცხლე, რად ხარ ასეთი სასტიკი,
ასეთი ბრმა! ბავშვი დაიბადა, ალიმანი
კი კვდებოდა. სველი, შიშველი სხეუ-
ლის კაბის კალთაში შეხვევა ძლივს
მოვასწარი, შევხედე და დედა — ალი-
მანი უკვე უსიცოცხლოდ ეყიდა ბექ-
ტაშის მკლავებზე. თავი გვერდზე გადა-
ვარდნოდა, ხელები შოლტებივით ქა-
ნაობდნენ.

— ალიმანი! — ვიკვილე მე არაადა-
მიანური ხმით, მის ხელს ხელი დავტა-
ციე: მაჭისცემა აღარ იგრძნობოდა.

ერთ წამში ჩემს თვალწინ შეეჭახნენ
სიცოცხლე და სიკვდილი!

უკან რომ მოვბრუნდით, უკვე თენ-
დებოდა. ბინდბუნდში თოვლის დიდი
თეთრი ფანტელები ტრიალებდნენ.
მსუბუქად ეფინებოდნენ გზას. ირგვ-
ლივ სიწყნარე სუფევდა — არსაით
ხმა, მთელ სამყაროში იდგა თეთრი სი-
ჩუმე. და ამ თეთრ სიჩუმეში უხმოდ
მოაბიჯებდნენ დაქანცული თეთრფაფა-
რა და თეთრკულა ცხენები, უხმოდ ქვი-
თინებდა ბექტაში. ის არ ერეკებოდა
ცხენებს, ისინი თვითონ მოდიოდნენ.
ბიჭი მთელი გზა ტიროდა. მე კი ორ-
თვალას გვერდით გზისპირს მივყევო-
დი, ბავშვი მკერდზე, ახალუხს ქვეშ

მყავდა ჩაბუტებული და თეთრი თოვლი მიწაზე შავად მოჩანდა.

16

აი ასე მომავლანა უკანასკნელად ომმა თავისი თავი. გზა, რომლითაც იმ დღით მოვდიოდი, იყო ყველაზე ძნელი გზა მთელ ჩემს ცხოვრებაში, და ვფიქრობდი, რომ ანეთ საცოცხლეს სიკვდილი სჯობდა.

ახალდაბადებული კი, ჩემს მკერდში ჩამთხარი, თბილი, რბილი მორგჯევით ხვარხვალობდა და განუწყვეტლივ ტიროდა. მომყავდა ეს ბავშვი და ვფიქრობდი: „რა უბედური გაჩნდი ამ ქვეყანაზე, შენი პირველი დაყვირებითვე გამოიფხოვე დედას“... და უცებ საღვთო შორიდან ჩემს გონებაში შემოიჭრა აზრი: „სიცოცხლე ხომ მთლად არ დაღუპულა, ყლორტი დარჩა“. მაგრამ მაშინვე გაიფიქრე: „აბა ამას რა საამქვეყნო პირი უნდა ჰქონდეს, დედის რძე არც კი უგემოა-მეთქი“. მაგრამ ისე მინდოდა ბავშვი გადარჩენილიყო, რომ ბედს შევევედრე: „ეს მაინც დატოვე ცოცხალი! ნუ მოკლავ, იქნებ როგორმე დაუძვრეს, გაიზარდოს?“ აი ასე მოვდიოდი, ხან სასოწარკვეთას ვეძლეოდი, ხან იმედი მებაღებოდა. შემუმჩვენვლად გათენდა, სოფელში რომ შემოვედი.

თოვლი ისევ უხმოდ, ხშირად ბარდნიდა, ისევ ისე იდგა ირგვლივ თეთრი სიჩუმე. ამ სიჩუმეში კიდევ უფრო შემზარავი ჩანდა უშენი ქუჩის მიტოვებული ნანგრევები. იმისგან, რაც აქ შვიდი წლის წინ დაიწყო, საცოდავი ნაკვალევია იყო დარჩენილი. თოვლის ფიფქები ტრიალებდნენ უსიცოცხლო ქუჩის თავზე, ნაშქერებით ავსებდნენ საცარიელთ პირდაფრენილ ნანგრევებს, გამხმარ ეკალბარდსა და შეძვინას. ალიმონისა და კასიმის ნაახლარზე, თითქოს მათი საზრუნავისა და ოცნების ძეგლად, ისევე ეყარა ქვისა და ავურის გროვა.

სამუდამოდ დამშვიდებული ალიმანი

იწვა ფერდაკარგული, დახუპული თვალებით. თავი აქეთ-იქით უკანმოკლედ. თოვლის ფიფქები სახვრეს უცქვამდნენ და არ დნებოდნენ.

სოფლის თავში, პირველივე სახლთან ბეტაში ორთვალადან ჩამოხდა და თავის ცხოვრებაში პირველად, ხმამაღალი, მამაკაცი ტირილით აუწყა სოფელს ადამიანის სიკვდილი. ეზოებიდან ხალხი გამოცვივდა, აცრემლებულები შემოგვეხვივნენ. მოიბრინა აიშამ, მთელი ხმით იკვილა, მერე ბავშვი გამომართვა და თავის სახლში წაიყვანა.

მეორე დღეს ალიმანი დავსაფლავეთ. ჩვენი ჩვეულების მიხედვით ქალი სასაფლაოზე არ უნდა წავიდეს, მაგრამ მე წავედი და არც არავის უთქვამს რაიმე: სახლში მამაკაცი არ მყავდა, რომ ჩვეულება დამეცვა. მე თვითონ დავსაფლავე ალიმანი, თვითონ ჩავაწვინე საფლავში და მევე მივაყარე პირველი მუქა მიწა. იმ დღესაც ხვავრიელად თოვდა, და თიხის წითელი გროვა მალე თეთრ ბორცვად იქცა.

გაზაფხულზე ალიმანის საფლავზე ყვავილები დავრგე. ყოველ გაზაფხულზე ვრგავ. მას ხომ ძალიან უყვარდა ყვავილები.

შემდეგ კი ისევ დაიწყო ცხოვრება. პირველ დღეებში ყანბოლოტს ბაბუა ჯორობეკის რძალი აწოვებდა, მერე კი თხის რძეს ვასმევდი. ბევრი გადავიტანეთ, ბევრ გასაჰირს გავუძელით მეც და იმანაც. ერთი სიტყვით, ეწერა ცოცხალი დარჩენილიყო და გადარჩა. ამაზე მაღლობელი ვარ ბედის. ახლა უკვე თორმეტი წლისაა. ექიმი, პატარობისას რომელიც მკურნალობდა, — ახლა მთელ ოლქში ცნობილი კაცი, — რომ შემხვდებოდა, ყოველთვის მკითხავს:

— როგორაა საქმე, ბები, იზრდება შეილიშვილი?

— მაღლობა ღმერთს, — ვეუბნები,

— უკვე ვაქაცია.

ის კი მიყურებს და ეღიმება:

— ეს ძალიან კარგია, კარგი კაცი გაზრდილიყოს!

ის უკვე დიდხანია გვიცნობს მე და

ქანბოლოტს. მაშინ ქანბოლოტი წლი-
ნახევრის მყავდა. ცხადია, სუსტი იზრ-
დებოდა. ერთხელ გაცივდა და მიიმედ
გახდა ავად. ვხედავ, ტუჩები გაულურ-
ჯდა, თვალს აღარ ახელს, ძლივსძლივო-
ბით სუნთქავს. დაველე ხელი და საა-
ვადყოფნაში გავაქანე. ისევ ღამით,
ისევ ზამთარში. ფეხით გავედი მდინა-
რზე, ექიმი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნ-
და, ეტყობა ახალი დამთავრებული
ჰქონდა. სიცოცხლის აქანალებული, თა-
ვით ფეხებამდე სველ ტანსაცმელში
რომ დამინახა, შეეშინდა:

— ხომ არ გავიყდი, ვინ მოგვით
წყალში სიარულის ნება. სად არიან ბა-
ვების მშობლები?

— მე ვარ ამისი დედაცა და მამაც,
შვილო, ნუ მომიკლავ. თუ მოკვდება,
თავს არ ვიცოცხლებ. — ვუთხარი მე.

მთელი ღამე არ მოცილებია პატა-
რას, ყოველ ორ საათში ნემსებს უკე-
თებდა. მე მშრალი ტანსაცმელი მომცა,
წამლები მასეა. დილით მაინც ჩამავდო
მალაშა სიცხემ, სისხლს ეახველებდი.
გონივრული ვიწვექი ცხელ ბურანში,
მხოლოდ ის მახსოვს, რომ ექიმი ჩემ
სასთუმალთან მოვიდოდა, შუბლზე
ხელს დამადებდა და მეტყობდა:

— აბა, გამაგრდი, დედილო, შვილი-
შვილი უკვე იცინის, გამოჯანმრთელდა.

— თუ ასეა, მეც გავუძლებ, — წავი-
ხურჩულე მე.

იქნებ სწორედ იმიტომაც არ მოგვე-
დი, რომ შვილიშვილი გადარჩა.

წელს ზაფხულში საინტერესო ამბავი
მოხდა. არდადეგები იყო, ბიჭი ქუჩაში
დარბოდა. მერე, ვხედავ, ეზოში კასი-
მის ველოსიპედი გამოათრია. ის ძველი
ველოსიპედი ოცი წელი ეკიდა ფარდუ-
ლში, სახურავქვეშ. ეტყობა, მიუგნია.
გამოათრია და დაუწყო შეიკეთება. მე
არაფერი მითქვამს, ვიფიქრე, ბიჭია,
ერთხანს იზიარებდა და მოეშვე-
ბა-მეთქი. შესაკეთებელი რაღა ჰქონდა.
რკინა მთლად დაქანტული, რეზინის და-
მსკდარი. მოირბინეს მისმა ამხანაგებ-
მაც, იცინეს. ესო, უთხრეს, უკვე ჯარ-
თია, ათასა და ბაბას დროინდელი მან-

ქანაო. ის კი ჯიუტია, ხენწის და მაინც
თავისას აკეთებს. არ ვიცნობ ამ ბიჭს
ლოდა, ბექტაში რომ არა. ბიჭი წაუ-
ამ საქმეში, ხელი მოჰკიდა მთელი მონ-
დომებით, როგორც პატარა ბიჭმა. თუ-
მცა უკვე ოჯახის მამაა. ბექტაში უკ-
ვარს ქანბოლოტი, თუ საქირთა სკოლა-
შიც წავა მასწავლებლებთან. აიშას სი-
ცოცხლეშივე ითხოვა ცოლი. ის უბე-
დური სამ წელიწადში გაჰყვა აღიშანს.
დიდი მწუხარება მომაცენა მეგობრის
დაკარგვამ, რამდენი გასაჭირი გადაგვი-
ტანია ერთად. ბექტაში კი კარგი კაცი
დადგა. გონიერი, მუშა. სამი შვილი
ჰყავს. ცოლი — ვულსუნი — კეთილი
მეზობელია. თვითონ ბექტაში კი უკვე
დიდი ხანია კომპანიერად მუშაობს.

და აი, ერთხელ ქანბოლოტი ველო-
სიპედით გამოვიქცადა: ველოსიპედი
გაპოხილი, გაპრიალებული, თვითონ კი
მთლად ზეთში ამოსვრილი.

— ბები, ხედავ როგორია მამას ვე-
ლოსიპედი! — შითხრა მან.

მე თითქოს ხელები წაშრთვა: ამ სი-
ტყვებმა გამახარა და გამამწარა კიდეც.
ის კი ტრაბახს მოყვა:

— მეო, — მეუბნება, — უკვე სიარუ-
ლიც შემიძლიაო. აი მიუყრე!..

უნაგირზე რომ შევდეს, ჰედალს ფე-
ხი არ უწვდება და როგორღაც გვერდ-
ზე ჩამოეკიდა, მთელი ტანით გადაიხა-
რა და წავიდა; წავიდა, მარა რა წავი-
და — ხან აქით აწყდება, ხან იქით; სა-
დაც არის ჩამოვარდება.

— ჩამოდი, ჩამოვარდები! — დაეტუ-
ქსე მე.

ყური არ მივდო, ეზოდან ქუჩაში გა-
ვიდა. მე უკან გავდიე. რაც ძალა ჰქონ-
და გარეჯა და მთელი გაქანებით ველო-
სიპედიანად მიწას დაენარცხა. ძალიან
მაგრად დაიმტვრა. მე მივვარდი, წამო-
ვაყენე, გაჯავრება დაეუწყე.

— გინდა კისერი მოიტეხო, თუ რა?
გამოიგონა რაღა! აღარ გაბედო მაგაზე
შეჯდომა!

ის კი მეუბნება:

— მეტს აღარ ჩამოვარდები, ბები.
მინდოდა გამომეცადა, მე ხომ ჯერ არა-

სოდეს ჩამოვევარდნილვარ ველოსიპედი-
დან!

ვაშეცინა. ვხედავ, ჭიშკართან ბექტა-
ში დგას. თითქოს ისე, შემთხვევით
დგას და უყურებს. არც იმას უთქვამს
რაიმე, არც მე. მაგრამ ჩვენ უსიტყვოდ
გავუვგეთ ერთმანეთს.

მალე მკა დაიწყო. ერთ საღამოს ბექ-
ტაშია შემოიარა ჩვენთან.

— მინდა ოქყენი ქანბოლოტი კომბა-
ინზე თანაშემწედ ავიყვანოო, — მითხ-
რა.

— თუ გამოგადგება, წაიყვანე, —
დავეთანხმე მე.

დათანხმებით კი დავეთანხმე. მაგრამ
ორი დღის შემდეგ სანახავად წავედი.
ჯერ ბავშვია; იქნებ გაუქირდეს მოსაე-
ლის აღებისას.

ჩემი ქანბოლოტი კომბაინზე მენამ-
ჯელ მუშაობდა. დამინახა თუ არა, თი-
თქოს მთის მწვერვალთან დადმოძახა:

— ბებო, აქა ვარ!

კომბაინის საჭესთან მდგარმა ბექტა-
შია ხელი დამიქნია. მომესალმა.

საღამომდე ვიჯექი ხეების ჩრდილში
არხისპირას და ვუყურებდი მკას. მანქა-
ნები დაქროდნენ გზებზე წინ და უკან,
პური გადაჰქონდათ კალოზე.

შებინდებულზე მოვიდნენ კომბაინე-
რები დასასვენებლად. დაღლილი ქან-
ბოლოტი ამაყად მოაბიჯებდა, ცდილო-
ბდა ბექტაშისათვის მიეზამა და მისაგი-
თვე უხმოდ, ფრუტუნით დაიბანა არხ-
ში წელზევით. ჩემ ხელში ფუთა, რომ
დაინახა, გაეხარდა.

— ბებო, ვაშლები მომიტანე?

— მოგიტანე, — მივუგე მე.

მაშინვე მოიბრინა, გადამეხვია და
გადამკოცნა.

ბექტაშს სიცილი წასკდა.

— რას იქიმიბოდი? ადრევე გექნა
ასე. მიდი მოეფერე, მოეფერე, თორემ
მერე არ გეცლება.

საველე ვაგონის გვერდით. ბალახზე
დავსხედით სავსეშმოდ. პური ახალგა-
მომცხვარი, ცხელი იყო. ქანბოლოტმა
გატეხა ლავაში და თქვა:

— აილე, ბებო!

მე ვაკურობე პური, მოვკბინე და გი-
გრძენი კომბაინერის ხელის ნაცნობი
სუნი. პურს ნავთის, რკინის, — ~~არჩქმისა~~ და
მწიფე მარცვლის სუნი ჰქონდა. დიახ,
დიახ, სწორედ ისე, როგორც მაშინ!
პური ცრემლებთან ერთად გადავყლა-
პე და გავიფიქრე: „პური უკვდავია, გე-
სმის შვილო ჩემო კასიმ! სიცოცხლეც
უკვდავია და შრომაც!“

კომბაინერებმა შინ აღარ გამომიშვეს.
მითხრეს, ჩვენი სტუმარი ხარ და აქ მი-
ნდორში დარჩი დასაძინებლადო. თივა-
ზე გამოშალეს. შეეცქეროდი კას იმ ლა-
მეს და მეჩვენებოდა, რომ ცის იკან-
კლედი მოფენილია ახალი, ოქროსფე-
რი ნამჭით, დაბნეული მარცვლითა და
ბზით. და იმ შორეულ ვარსკვლავეთში,
ირმის ნახტომზე შორეულ სიმღერასა-
ვით გადის ეშელონი, თანდათან წყდება
მისი ბორბლების რაყენი. ვიძინებდი ამ
კაყუნში და ვფიქრობდი, რომ დღეს მო-
ვიდა ამ ქვეყნად ახალი მხენელ-მთეს-
ველი. დაე, დიდხანს იცოცხლოს მან და
ჰქონდეს იმდენი მარცვალი, რამდენიც
ვარსკვლავია ცაზე.

ინათა თუ არა, ავდექი და, კომბაინ-
ერებისათვის ხელი რომ არ შემეშალა,
სოფელში წამოვედი.

დიდხანია არ მენახა ასეთი დიადი
განთიადი მთებზე. დიდხანია არ მსმე-
ნია ტოროლას ასეთი ხმა. ის სულ მალ-
ლა, მალლა აიჭრა კამკამა ცაში, ნაცრის-
ფერ მორგავად დაეკიდა და თითქოს
ადამიანის გულივით თრთოდა, ფრთებს
აფათქუნებდა, განუწყვეტლავ რეკდა
მთელი სტეპის გასაგონად. „შეხედე,
ჩვენი ტოროლა ამღერდა!“ — მითხრა
ოდესღაც სუვანკულმა. საოცარია, ტო-
როლაც კი ჩვენი, საკუთარი გვყავდა.
შენც უკვდავი ხარ, ჩემო ტოროლა.

— ო, ყანავ, ჩემო საყვარელო, შენ
ახლა ისვენებ ალოობის შემდეგ, აქ
აღარ ისმის ადამიანების ხმა, მტერის
კორიანტელს აღარ აყენებენ მანქანები
გზებზე, აღარ ჩანან კომბაინები. ჯერ

კიდევ არ მოსულა ნახირი ნაწვერალზე. შენ მიეცი ადამიანებს შენი ნაყოფი და ახლა წევხარ, როგორც ქალი მშობიარობის შემდეგ. შენ მზრალად სენამდე დაისვენებ. ასლა აქ ჩვენ ორნი ვართ — შენ და მე, მეტი არავინ. შენ იცი მთელი ჩემი ცხოვრება. დღეს მიცვალბულთა სულის მოხსენიების დღეა. მე დღეს თაყვანს ვცემ სუვანკულის, კასიმის, მანელბეგის, ჯაინაყისა და ალიმანის ხსოვნას. ვიდრე ცოცხალი ვარ, არასოდეს არ დავივიწყებ მათ. დადგება დრო და ყველაფერს ვუამბობ ქანბოლოტს. თუ დაბადებით დაყოლილი აქვს გული და გონება, ყველაფერს გაიგებს. მაგრამ რა ვეყოთ სხვებს, ამ ქვეყნად მცხოვრებ ყველა სხვა ადამიანს? როგორ მივწვდე ყველას გულს?

ეპეი, მზეო, ცაში რომ ანათებ, შენ უფლი დედამიწას ირგვლივ, შენ უთხარი ადამიანებს.

ეპეი, საწვიმარო ღრუბელო, ეპეურე დედამიწას ნათელ ღვართქაფხვანდ დამწველი შენი წვეთით უთხარი მიწავ, დედავ მარჩენალო, ჩვენ ყველა, შენს მკერდში ვართ ფესვებით ჩაზრდილი. შენ ასაზრდოებ ადამიანებს დედამიწის ყველა კუთხეში. უთხარი, მშობლიურო მიწავ, უთხარი ადამიანებს!

— არა, ტოლგონაი, შენ უთხარი. შენ ადამიანი ხარ, შენ ხარ ყველაზე მაღალი, ყველაზე ბრძენი, შენ ადამიანი ხარ! შენ უთხარი!

18

— მიდიხარ, ტოლგონაი?

— ჰო, მივდივარ. თუ ცოცხალი ვიქნები, კიდევ მოვალ. ნახვამდის, ყანავ.

თარგმანი ბაბულია შალიასი.



პაპი ირემპი

3. ი. ლენინთან იმ პრისხანე წლებში

იღვა სამოქალაქო ომის პრისხანე წლებში.

სახალხო კომისართა საბჭოსა და მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე — ლენინი წარმართავდა ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოს მთავრობის მთელ უზარმაზარ მუშაობას მტერზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ლენინი ხელმძღვანელობდა პარტიის სამეურნეო და ეკონომიურ, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებას უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პრისხანე პირობებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ირკვეოდა სამხედრო-სტრატეგიული გეგმების ძირითადი საწყისები და მათი განხორციელების წესები, წყდებოდა წითელი არმიისა და რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივ უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ძნელად თუ ვინმე მოახერხებს წარმოიდგინოს: როდენ დაძაბული იყო ლენინის მოღვაწეობა იმ პრისხანე, ქარიშხლიან წლებში.

ლენინი გულდასმით სწავლობდა მთავარსარდლობის ცნობებსა და მოხსენებებს საომარი ოპერაციების მსვლელობის შესახებ, ფრონტების ოპერატიულ და სამხედრო პოლიტიკურ მასალებს, იგი როდი სჯერდებოდა იმას, რასაც მოახსენებდნენ ფრონტებზე შექმნილი ვითარების შესახებ, ლენინს

მუდმივად ჰქონდა ცოცხალი კავშირი ფრონტებისა და არმიების სარდლობასთან. ეს მას შესაძლებლობას აძლევდა დაუყოვნებლივ გადაეჭრა ომთან დაკავშირებული მრავალგვარი საკითხები, რაც ამ პერიოდის, ესოდენ სწრაფად ცვალებად ვითარებაში წამოიჭრებოდა ხოლმე. ამას გარდა, ლენინი უზრუნველყოფდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განხორციელებას, არკვევდა საერთოდ ომის წარმოების არამარტო პრინციპულ საკითხებს, არამედ ამასთანავე, ღრმად სწვდებოდა ყველაფერს, რაც ზურგში და ფრონტზე ხდებოდა. მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით ათანხმებდა და წარმართავდა სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა თა დაწესებულებათა საქმიანობას ცენტრში და ადგილებზე, უზრუნველყოფდა ფრონტისა და ზურგის ერთიანობას.

ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო ს.წარმოთა გამართულ, რიტმულ მუშაობას. ატარებდა ოპერატიულ ღონისძიებას, რათა უზრუნველყო სამხედრო მრეწველობის საწარმონი ნედლეულით, სათბობით, კვალიფიკური მუშახელით.

ლენინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ სამხედრო მუშაკთან და მეთაურთან, თვალყურს ადევნებდა მათ საბრძოლო საქმიანობას, ცხოვრების პირობებს. აინტერესებდა მათი ზედი, წარსული და მომავალი. იგი დიდად

აფასებდა ხალხიდან გამოსულ ისეთ ნიქიერ მხედართუფროსებს, როგორც იყვნენ ვ. ი. ჩაპაევი, ა. ი. პარზომენკო, ვ. ი. კიკვიძე, ნ. ა. შიორსი, ვ. ი. კოტოვსკი, ნ. ა. კალანდარაშვილი, ს. ნ. ბუდიონი, რ. ა. სივერსი და მრავალი სხვები. ლენინი ასევე მჭიდროდ იყო დაკავშირებული წითელარმიელთა მასებთან. იგი ხშირად გამოდიოდა ფრონტზე მიმავალ მებრძოლთა წინაშე, ესაუბრებოდა ფრონტელებს — წითელარმიელებსა და მეზღვაურებს. მას დიდად აინტერესებდა სამხედრო სპეციალისტების მომზადების საქმე. იგი არაერთხელ სწვევია სამხედრო აკადემიებს, სასწავლებლებს, კურსებს, გასცნობია მათი სწავლების პირობებს, გულდასმით დაუთვალა იერებია სამხედრო სასწავლებელთა სახელმძღვანელოები, გამოსულა კურსანტების წინაშე. ლენინი ყველგან და ყოველთვის იძლეოდა ოპერატიული, ქმედითი ხელმძღვანელობის ნიმუშებს. ეს იყო და ასე იქმნებოდა თავდაცვისა და სამხედრო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის ლერინური სტილი, ომიანობის ქარიშხლიან პირობებში მუშაობის სტილი.

იმ მრავალრიცხოვან ადამიანებს შორის, რომელთაც ბედნიერება ხვდათ წილად ემუშავნათ, ესაუბრათ, შეხვედროდნენ და მოესმინათ ლენინისათვის იმ მრისხანე წლებში, იყვნენ ქართველი რევოლუციონერებიც.

სერგო ორჯონიკიძე, როგორც ცნობილია, დიდი ხანია პირადად ხვდებოდა ლენინს. პარიზში ლენინთან პირველი შეხვედრის შემდეგ — 1911 წლიდან, ორჯონიკიძე სულ უფრო დაუახლოვდა ბელადს. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა და მეგობრობაში გადაიზარდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ლენინი მას დიდად აფასებდა, როგორც უბღრესად ერთგულ და უაღრესად საქმიან რევოლუციონერს და თავის თავს ორჯონიკიძის ახლო მეგობრების რიცხვში თვლიდა. ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის

პერიოდში ს. ორჯონიკიძე ხშირად ხვდებოდა ლენინს. რამდენჯერ უფროდ, მეგობრული საუბარში უმჯობესდებოდა მათ შორის. ლენინმა სწრაფად შენიშნა ორჯონიკიძის საოცარი, მრავალმხრივი სამხედრო, პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი. სწორედ ამიტომ ბელადი მას რევოლუციისა და ომის უძნელეს უბნებზე აგზავნიდა მუდამ.

1917 წლის დეკემბერი. ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით და მისი სრული ნდობით აღჭურვილი ორჯონიკიძე ინიშნება უკრაინის დროებით საგანგებო კომისრად და სურსათის სახალხო კომისიის სრულუფლებიან რწმუნებულად. შემდეგ იგი სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისრად ინიშნება. ს. ორჯონიკიძე ხანგრძლივად ტოვებს დედაქალაქს, მოსკოვს, მუშაობს რა სხვადასხვა არმიებსა და ფრონტების სამხედრო რევოლუციური საბჭოების წევრად, მაგრამ კავშირი ლენინთან ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია, ის მრავალრიცხოვანი წერილები და დეპეშები, რომელსაც ორჯონიკიძე ლენინს უგზავნიდა მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ამის შესახებ. ხშირად კი, როცა საქმე მოითხოვდა და ვითარება ამის შესაძლებლობას იძლეოდა, სერგო თვით ჩადიოდა მოსკოვს და გულს იჭერებდა ლენინთან პირისპირ საუბრით. სერგო ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ლენინის დავალებებს და ამართლებდა მის ნდობას. ეს ნათლად ჩანს ილიჩის სიტყვებიდან „სერგო უაღრესად საიმედო სამხედრო მუშაკია. იგი რომ უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერია, მე მას თვითონ ვიცნობ 10 წელიწადზე მეტი ხანია“ (ტ. 35. გვ. 450).

ცნობილი ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერი აბულ სოფრომის-ძე ენუქიძე ლენინს პირადად გაეცნო ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, სახელდობრ 1905 წლის ნოემბერში. იგი ბაქოს არალეგალური სტამბის საკითხის გადასაჭრელად პეტროგრადში ლენინთან ჩავი-

და. ილიჩმა გულთბილად მიიღო ქართ-
ველი კომუნისტი. საუბარში ლენინს
კარგი შთაბეჭდილება შეექმნა ა. ენუ-
ქიძეზე. ამ შეხვედრით იწყება ენუქი-
ძის ხანგრძლივი პირადი ურთიერთობა
დიდ ლენინთან. რევოლუციური ბრძო-
ლების ეკლიან გზაზე ვერავითარმა და-
ბრკოლებამ ვერ გაწყვიტა მათი ურთი-
ერთობა და მაშინ, როცა მათ ემიგრაციაში,
გადასახლებაში თუ უცხოეთში
ყოფნის დროს არ შეეძლოთ პირადად
შეხვედროდნენ ერთმანეთს, წერილე-
ბით ახერხებდნენ სათქმელის გადაცე-
მას. შეუძლებელია აღუღლებლად წაი-
კითხოთ ლენინის აღმაფრთოვანებული
წერილები აბელისადმი.

აბელი განცვიფრებული იყო იმ
დაუცხრომელი მზრუნველობით, რასაც
ვლადიმერ ილიჩს-მე ამხანაგებისა და
მეგობრებისადმი იჩენდა. ენუქიძე
იგონებს ლენინთან ურთიერთობის
ერთ ეპიზოდს, ერთ დამახასიათებელ
ტიპიურ შემთხვევას, რომელიც ნათ-
ლად წარმოგვიდგენს ილიჩს, როგორც
უაღრესად გულისხმიერ და გულისყუ-
რიან ადამიანს. „ამხ. კრასინთან, —
წერს ა. ენუქიძე, — იყო რამდენიმე
ამხანაგი, რომელთაც უფრო ახლო ვიც-
ნობდი, ვიდრე ვლადიმერ ილიჩს. რო-
ცა ჩამოვედი პროვინციიდან, არც ერთ
მათგანს არ მოაგონდა ჩემთვის ფულის
შემოძღვევა. მხოლოდ ვლადიმერ ილიჩ-
მა მკითხა — „ფული ხომ არ გჭირია-
თო“. მე ვუპასუხე, რომ ფულს კრა-
სინს გამოვართმევდი. მაგრამ ის ძალას
მატანდა: „მინც წაიღეთ“, და მომცა
სამი მანეთი“¹.

აბელ ენუქიძე უაღრესად აქტიურ
მონაწილეობას იღებდა საბჭოების II
ყრილობის მომზადებასა და ოქტომბ-
რის ამბებში, იგი ილიჩის მრავალ მი-
თითებებსა და დავალებას ასრულებდა.
საბჭოების II ყრილობაზე ა. ენუქიძე
კვლავ აირჩიეს სრულიად რუსეთის აღ-
მასრულებელი კომიტეტის წევრად და

დანიშნეს ცაკის სამხედრო განყოფი-
ლების გამგედ. ამ პერიოდში კივესწი-
რად ხედებოდა ლენინს ხოლო 1918 წელს
შემდეგ, რაც 1918 წლის შემოდგომაზე
ენუქიძე ცაკის კომიტეტის პრეზიდიუ-
მის წევრად და მდივნად დააწინაურეს,
სამოქალაქო ომის მთელ პერიოდში მას
ქონდა ბედნიერება კიდევ უფრო ხში-
რად შეხვედროდა და ესაუბრა დიდ
ლენინთან.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული
გმირი — ვასილ კიკვიძე დიდხანს ოც-
ნებობდა ენახა ლენინი, ტიტანური ძა-
ლისა და ნებისყოფის ადამიანი, როგო-
რადაც იგი მას ესახებოდა. სურდა
მოესმინა მისი ცოცხალი საუბარი,
ცდილობდა გამხდარიყო ლენინის ყუ-
რადლების ღირსი. კიკვიძემ თეთრგვარ-
დიული კონტრაგვოლუციისა და უც-
ხოეთის ინტერვენტების წინააღმდეგ
გამართულ ბრძოლებში მალე გაითქვა
სახელი. ლენინისათვის მისი გმირული
ბრძოლის ამბები ჯერ კიდევ 1917
წლის ბოლოსათვის გახდა ცნობილი.
ხოლო 1918 წლის იანვარში, როცა მას
მოახსენეს სამხრეთ-დასავლეთის ფრო-
ნტის სარდლად ვ. კიკვიძის არჩევის შე-
სახებ, მაშინ სურვილი გამოთქვა დაწე-
რილებითი ცნობები მიეწოდებინათ
მის შესახებ. ლენინი გულდასმით გა-
ეცნო მასალებს. მას სიამოვნებას გვი-
და ფაქტი 22 წლის კიკვიძის ფრონტის
სარდლად არჩევისა. ლენინი კიკვიძეს
იმის მაგალითად მიიჩნევდა, თუ რო-
გორ ამოატივტივებს ხალხი თავისი
წიაღიდან ნიჭიერ მხედართუფროსებს,
რომლებიც სიოცხლეს არ იშურებენ
მშრომელთა ბედნიერებისათვის, სას-
წაულებს ახდენენ მტრის წინააღმდეგ
ბრძოლაში. 1918 წლის გაზაფხულზე
სამხედრო სპეციალისტების ერთ-ერთ
თათბირზე ლენინმა განაცხადა: „ხალ-
ხი გამოჰყოფს ნიჭიერ მეთაურებს. აი,
მაგალითად, კიკვიძე — იგი პატარ-პა-
ტარა რაზმებს მსხვილ შენაერთად
კრებს. მამაცი გონიერი უფროსია. მეო-
რეა სივერსი... ისინი მოქმედებენ გა-
ბედულად, მტკიცედ და ორგანიზებუ-

1. მოგონებანი ვ. ო. ლენინზე, თბილისი,
1960 წ. გვ. 76.

ლად“. (გაზ. „კომუნისტი“ 1963 წლის 22 თებერვალი).

ბოლოს დადგა ნანატრი ეამიცი: 1918 წლის მაისში ვასილ კიკვიძე მოსკოვში გამოიძახეს, 20-21 მაისს იგი მიიღო ლენინმა კრემლში, თავის სამუშაო კაბინეტში. ბელადმა გულდასმით გამოკითხა მას ფრონტის ამბები, დაინტერესდა მისი პირადი ცხოვრებითაც. ლენინდარული გმირი განაცვიფრა ლენინის მიერ საომარი ოპერაციების დეტალებისა და სამხედრო საქმის ღრმა ცოდნამ. კიკვიძემ მოახსენა ბელადს, თუ რა მიაჩნდა საჭიროდ ჯარის შენაერთების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მტერზე სრული გამარჯვების უზრუნველსაყოფად. გამომშვიდობებისას ლენინმა სთხოვა კიკვიძეს ყოველთვის, როცა მოსკოვში მოხვდებოდა შეეველო მასთან. სამწუხაროდ, ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა იყო საყვარელ ილიჩთან. 1919 წლის 12 იანვარს კიკვიძე, როგორც ცნობილია, გმირული სიკვდილით დაეცა ფრონტზე რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში. ილიჩის განკარგულებით იგი, რესპუბლიკისათვის უაღრესად მძიმე პირობების მიუხედავად, მოსკოვში ჩაასვენეს და სამხედრო დიდებით მიაბარეს მიწას.

ხანმოკლე დროის განმავლობაში, მაგრამ ზნირი შეხვედრები ჰქონდა ვ. ი. ლენინთან — პლატონ ივანეს ძე იაშვილს. პლატონი ქართველი გლეხი იყო, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს იგი ჯარში გაიწვიეს, მოხვდა მოსკოვში — რევოლუციური ბრძოლების ციტადელში. აქ მას თვალები აებნლა და რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1917 წ. ოქტომბრის შეიარაღებულ ბრძოლებში — მოსკოვში. მალე მას დაევალა განემტკიცებინა რევოლუციური წესრიგი ახალ დედაქალაქში. პლატონ იაშვილმა შექმნა თავდადებული და ერთგული, ძირითადად ქართველი მებრძოლებისაგან შემდგარი რაზმი. რომელსაც ეწოდებოდა: მოსკოვის

სამხედრო ოლქთან არსებულ იაშვილის სახელობის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი. **ბრძოლის** რკინისებური დისციპლინით, დავალების ზუსტად შესრულებითა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლით მალე გაითქვა სახელი. ვ. ი. ლენინისათვის, როგორც კი საბჭოთა მთავრობა მოსკოვს გადმოვიდა, ცნობილი გახდა რაზმისა და მისი უფროსის, ამ გასაოცარი ვაჟაკისა და რევოლუციის ერთგული ჯარისკაცის, გმირული ბრძოლების ამბები. 1918 წ. მარტში ლენინმა პირადად გაიცნო სახელოვანი რაზმის ღირსეული მეთაური. ლენინი კმაყოფილი დარჩა იაშვილთან საუბრით. იგი იმდენად მოეწონა ბელადს, რომ რაზმი დაიხალვია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა სრულიად რუსეთის საბჭოების მე-4 საგანგებო ყრილობას, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ბრესტის ზავის რატიფიკაციის საკითხი. საჭირო იყო საგანგებო ღონისძიების გატარება, რათა ნორმალურ პირობებში ემუშავნა ყრილობას, გარანტირებული ყოფილიყო ლენინის დაცვა. ამ ამოცანის შესრულება პ. იაშვილის. რაზმს დაევალა და იგი პირნათლად იქნა შესრულებული. ამის შემდეგ 1918 წ. მიწურულამდე ა. იაშვილს მრავალჯერ ქონდა ბედნიერება შეხვედროდა ბელადს და ესაუბრა მასთან. 1918 წ. 7 ნოემბერს რევოლუციის მოედანზე ლენინმა სიტყვა წარმოთქვა მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნაზე. სურათზე, სადაც ეს გამოსვლა აღბეჭდილი იაშვილი დგას ლენინის ქვემოთ. 1919 წლის 4 იანვარს ა. იაშვილი გმირული სიკვდილით დაეცა ფრონტზე ხარკოვის მახლობლად ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის გმირი, ლენინური გვარდიის სახელოვანი ჯარისკაცი ვლადიმერ გაბრიელის ძე ჭიქია ლენინს სოციალისტური რევოლუციის მზადების ქარიშხლიან დღეებში შეხვდა. ეს

იყო პეტროგრადში წითელი გვარდიის შექმნისა და საბრძოლო გაწვევებისათვის ვ. ჯიქიას შეუპოვარი ბრძოლის დღეები. ლენინი შეუწელებლად აღევნებდა თვალყურს ამ უადრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლის მსვლელობას. პირადად იცნობდა და ხშირად ეთათბირებოდა პარტიულ მუშაკებს, რომლებიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ. 1918 წ. მარტის შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა მოსკოვში გადავიდა, ჯიქიას შეხვედრები ლენინთან შეწყდა. ამიტომ, რაოდენ დიდი აღფრთოვანება და სიხარული მოჰკვარა მას დეპეშამ, რომელიც ლენინმა 1918 წ. 18 სექტემბერს პეტროგრადის საოლქო სამხედრო კომისარს ვ. ჯიქიას გაუგზავნა წითელი არმიის მეთაურთა მოსამზადებელი კურსების პირველ გამომწვევასთან დაკავშირებით. ბელადი მხურვალედ ულოცავდა წითელი მეთაურების გამომწვევას და აღფრთოვანებული იყო პირველი 400 მეთაურის მომზადებით. „დარწმუნებული ვართ, რომ ოთხასის მავალითს მიკბამავს კიდევ ათასობით და ათასობით მუშა, ზოლო ასეთი ადმინისტრატორებითა და მეთაურებით კომუნისტების გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება“ — წერდა ლენინი დეპეშაში (ტ. 28, გვ. 99).

მეტად საინტერესო შეხვედრა ქონდა ლენინთან სამოქალაქო ომის სახელგანთქმულ გმირს — ლუკიანე თაბუკაშვილს. 1919 წ. შემოდგომაზე კრემლის კომენდატურაში გამოცხადდა ლენინთან შესასვლელად კავკასიურ ტანსაცმელში გამოწყობილი, საშუალო ტანის წარმოსადგეი კაცი, მოციმციმე ანთებული თვალებით. მას ნაბადი ეცვა და ყუბანური ქუდი ეხურა, ნაბდის შიგნით ოქროთი მოჭედილი რევოლვერი და ხმალი ჰქონდა. კრემლის მორიგე კომენდანტმა ჰკითხა: იარაღითან გაქვთ?

— დიახ, ყველაფერი, გარდა არტილერიისა — მიუგო ხუმრობით მან. იარაღით შესვლა კრემლში აკრძალული

იყო. მაშინ კომენდანტმა ლენინს დაუარეკა. იგი იარაღითურთ გაუშვეს მანქანითან. რაოდენ დიდი ნდობა ჰქონდა ლენინს ცემა! როგორ ენდობოდა ლენინი ადამიანებს! ბელადმა გულთბილად მიიღო ქართველი გმირი. ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. ბოლოს სუფრასთან მიიწვია და ღიმილით თქვა: „ჩემდა სავალალოდ, მე არ გამაჩნია თქვენი კახური ლენო, რომ გაგიმასპინძლდეთ, მოგიხდებათ რუსული თეთრის ვასინგვა“. („ისინი იბრძოდნენ... შენი მომავლისათვის“, გვ. 65).

სამწუხაროდ, ლუკიანეს მხოლოდ ერთხელ არგუნა ბედმა ასეთი სასიხარულო შეხვედრა ლენინთან. 1921 წ. 6 მარტს ლ. თაბუკაშვილი ვერაგულად მოჰკლეს საქართველოს მენშევიური მთავრობის ჯალათებმა ზესტაფონის ციხეში.

სამოქალაქო ომის გმირი, რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1903 წლიდან — მიხეილ ემილიანეს ძე ბებურიშვილი 1918 წლის ოქტომბერში შეხვდა ლენინს. ამ დროს იგი აღმოსავლეთის ფრონტიდან ვადმოიყვანეს და დანიშნეს ახლად შექმნილი მე-10 არმიის საკავალერიო დივიზიის კომისარად. ფრონტზე გამგზავრების წინ, წითელი არმიის ნაწილებში ახლად დანიშნული ხელმძღვანელი მუშაკების წინაშე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ბელადთან ამ ბედნიერ შეხვედრაზე ბებურიშვილი (ამჟამად პერსონალური პენსიონერი) მოგვითხრობს: „შეკრების დამთავრების შემდეგ ილიჩი დიდხანს საუბრობდა ჩემთან, დაწვრილებით მეკითხებოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის მუშების ბრძოლის ამბებს. ჩანდა, რომ ბელადმა ჩვენს შესახებ ყველაფერი იცოდა და სურდა კიდევ ერთხელ შეემოწმებინათავისი ცნობები. ასეთი თბილი შეხვედრის შემდეგ მე არ შემიძლო დამევიწყებინა მისი სახე. იგი მე ყველგან თვალწინ მედგა და აღმაფრთოვანებდა“ (იქვე. გვ. 28).

გამოჩენილი სახელმწიფო და პარ-

ტიული მუშაკი შალვა ზურაბის ძე ელიავა ხშირად ხვდებოდა ლენინს სამოქალაქო ომის მიმომ წლებში. 1919 წლის აგვისტოში შ. ელიავა ლენინთან საუბრის შემდეგ და მისივე წინადადებით დანიშნულ იქნა თურქესტანის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრად. შ. ელიავა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგაც ხშირად ხვდებოდა ლენინს. ლენინი მას დიდ პატივს სცემდა, როგორც თვალსაჩინო სახელმწიფო პარტიულ მუშაკს.

1918 წ. იანვარში საბჭოების მესამე ყრილობაზე შეხვდა პირველად ლენინს პროფესიონალი რევოლუციონერი სამოქალაქო ომის გმირი ეპითანე ალექსის ძე კვანტალიანი. იგი ყრილობის დელეგატად ბაქოს რევოლუციური ჯარის ნაწილებმა წარგზავნეს. კვანტალიანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინის გამოსვლებმა ყრილობაზე. საბჭოების მესამე ყრილობამ კვანტალიანი ცაქის წევრად აირჩია. ამ მოვალეობამ საშუალება მისცა მას რამდენჯერმე შეხვედროდა ლენინს.

სამოქალაქო და სამამულო ომის აქტიური მონაწილე, ამჟამად პერსონალური პენსიონერი ვასილ ერმალოვის ძე კანდელაკი, როგორც სამედიცინო სამსახურის თვალსაჩინო მუშაკი, სამხრეთის ფრონტის სარდლობამ მოსკოვს მიავლინა მედიკამენტების, მედიანტრუმენტებისა და სამედიცინო პერსონალის შევსების მისაღებად. დავალების დაჩქარებით შესრულებისათვის კანდელაკმა მიმართა ლენინს.

— შევედი კაბინეტში, — იგონებს ამ ჰემარიტად ბედნიერ შემთხვევას კანდელაკი — ბუნებრივია, რომ ვღეღავდი. ლენინმა ეს უცბად შემამჩნია, მომესალმა და სკამი შემომთავაზა.

— მაშ, როგორი მდგომარეობაა ფრონტზე?

მე ვუამბე მებრძოლებისა და მეთაურების გმირობაზე, მათ რევოლუციური ენთუზიაზმზე.

— ექივების განწყობილება როგორია? ზომ არ აწყენინებენ?

— განწყობილება საბრძოლო, მაგრამ ჩვენ განვიციდით მედიკამენტების დიდ სიმცირეს, ყოველთვის ვერ ვახერხებთ დავეხმაროთ დაჭრილებს...

— დაჭრილებს დახმარება უნდა! — თქვა ლენინმა და დაუყოვნებლოდ დაურეკა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ნ. ა. სემაშკოვს.

— ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ჩემთან ზის ამხანაგი ფრონტიდან, ექიმი. ძალიან გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება...

გამომშვიდობებისას ვლადიმერ ილიას ძემ მითხრა: „ჯანსაღკომში თქვენ დაგეხმარებიან. გისურვებთ წარმატებებს“ (გაზ. „მოსკოვსკი ვოდნიკ“ 1957 წ. 21 აპრილი). კანდელაკმა ლენინის გულისხმიერი მიღებითა და დახმარებით შეასრულა სარდლობის დავალება და საჭირო მედიკამენტებით დაბრუნდა ნაწილში.

რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე — ბესარიონ ბესარიონის ძე ლომინაძე პირველად ლენინს 1917 წ. აპრილში შეხვდა ათწლიანი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. რევოლუციის პერიოდში იგი ხშირად ხვდებოდა ლენინს. ლენინი განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა პარტიის სამხედრო ორგანიზაციათა კონფერენციის მუშაობაში ბ. ლომინაძის აქტიური მონაწილეობით. ეს კონფერენცია ლენინის ინიციატივით იქნა მოწვეული 1917 წ. ივნისში, პეტროგრადში, სადაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბელადი ბ. ლომინაძე როგორც პარტიის X ყრილობის დელეგატი, დიდი გულისყურით უსმენდა ყრილობაზე ლენინის მოხსენებებსა და გამოსვლებს. ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად იგი კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩასახშობად იქნა გაგზავნილი. ლენინმა სიამოვნებით შეიტყო იქ ჩადენილი მისი გმირობა, რის გამოც

იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

1920 წლის ოქტომბრამდე არ განხორციელდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის „ციმბირის პაპის“ ოცნება შეხვედროდა ლენინს. ლენინმა იგი მის რამდენიმე რაზმელთან ერთად კრემლში მიიღო თავის სამუშაო ოთახში. ბელადმა დაწვრილებით გამოკითხა რაზმის შექმნისა და საბრძოლო საქმიანობის შესახებ, დაინტერესდა როგორ მზადდებოდა ის საბრძოლო ოპერაცია, რომელმაც გამარჯვება მოუტანა რაზმს გონგოტასთან ბრძოლაში. ლენინი დიდად ნასიამოვნები დარჩა, როცა შეიტყო კალანდარიშვილის რაზმის ინტერნაციონალური შემადგენლობა, რომ 12 ეროვნების წარმომადგენლები ძმურად, თავგანწირვით იბრძვიან რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.

ილიჩმა მაღალი შეფასება მისცა რაზმის საბრძოლო საქმიანობას და თქვა: „თქვენ ამხანაგო კალანდარიშვილო, სრულიათ სწორად მოიქეცი, რომ 1918 წელს არ დაყარეთ იარაღი. თქვენი რაზმის საბრძოლო მოქმედებამ კოლჩაკელები აიძულა თქვენს წინააღმდეგ ჰყოლოდა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები. ამით დიდად დაეხმარეთ ჩვენს აღმოსავლეთის ფრონტს“ (მ. წერეთელი. სამოქ. ომის გმირი ნ. კალანდარიშვილი. გვ. 89).

ლენინთან შეხვედრამ და საუბარმა უდიდესი ვავლენა მოახდინა „ციმბირის პაპზე“. როგორც ცნობილია ამ შეხვედრამდე ნ. კალანდარიშვილი ბოლშევიკური პარტიის წევრი არ ყოფილა. მოსკოვიდან დაბრუნების უშუალოდ მგზნებარე წერილი მისწერა რკპ(ბ) ირკუტსკის საგუბერნიო კომიტეტს და აცნობა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება იყოს რკპ(ბ) წევრი. ნ. კალანდარიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ

ბოლშევიკური პარტიის გარდა „არ არის სხვა პრინციპები, არაა სხვა პარტიის სხვა მეთოდები“ ცხოვრებაში პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის პირობების რეალისაციისა და სოციალიზმის იდეალების გამარჯვების შესაძლებლობის შექმნისა... მეთოდი, ტაქტიკა მიღებული... კომუნისტების პარტიის მიერ. ერთადერთია, რომლითაც შეეძლოთ გამარჯვებული გამოეყვანათ რუსეთის პროლეტარიატი... მე ამის შემდეგ აღარ ვარ ანარქისტ-კომუნისტი, არამედ კომუნისტ-ბოლშევიკი, რკპ(ბ), წევრი“ (კრასნოიარსკის სამხ. კომიტ. პარტ. არქივი, ფ. 25862, აღ. 1, საქ. 3, ფ. 36).

ანარქისტ-კომუნისტი ლენინთან შეხვედრამდე, კომუნისტ-ბოლშევიკი ლენინთან შეხვედრის შემდეგ. აი ის ძირეული გარდატეხა, რაც ვ. ი. ლენინის შთამაგონებელმა საუბარმა მოახდინა ნ. კალანდარიშვილზე.

ლენინს კალანდარიშვილი მეორედ 1921 წ. ოქტომბერში შეხვდა, როცა იგი მოსკოვში, კომინტერნში გამოიძახეს, მოხალისე კორეელთა რაზმების მზადების საკითხთან დაკავშირებით. ამჯერადაც იგი ლენინმა თავის კაბინეტში მიიღო კრემლში. მათი საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი და მეგობრული იყო. სამწუხაროდ ეს იყო კალანდარიშვილის უკანასკნელი შეხვედრა ბელადთან. იგი, როგორც ცნობილია, ჩასაფრებული მტრის ტყვიით დაიღუპა 1922 წ. 6 მარტს ქ. ირკუტსკის მახლობლად.

და ვინ იცის კიდევ რამდენი შეხვედრები ჰქონდა ლენინს იმ მხრისანე დღეებში ქართველ რევოლუციონერებთან, სამხედრო მოღვაწეებთან და არა მარტო მათთან. ლენინი ხომ ქეშმარიტად ცოდნისა და გმირობის ოკეანეა და ვინ მოსთელის თავისუფლებისათვის რამდენი მებრძოლი მისულა მის, მართლაც და უსაზღვრო, ნაპირებთან.

მ. შიშიძე

3. ი. ლენინის ნაშრომები ქართულ ენაზე

ვ. ი. ლენინის ნაშრომების გავრცელება საქართველოში იწყება 1896 წლიდან. ამ წელს საქართველოში შემოტანილი იქნა ლენინის ბროშურა „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ“, რომელიც ფართოდ გავრცელდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ქიათურასა და სხვა ადგილებში. ამავე წელს იქნა შემოტანილი ლენინის ინიციატივით საზღვარგარეთ გამოცემული კრებულ „რაბოტნიკის“ № 1-2, რომელშიც დაბეჭდილი იყო ლენინის ხელმოწერილი სტატია-ნეკროლოგი „ფრიდრიხ ენგელსი“ და მის მიერ დაწერილი პროკლამაცია „ტორნტონის მუშებსა და მუშა-ქალებს“.

ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბან სტრუვეს წიგნში“, რომელიც პირველად 1895 წელს გამოიცა, ცენტრის მიერ მისი დაკავების გამო, მხოლოდ 1896 წელს გავრცელდა, ქართულ სოციალ-დემოკრატთა შორის ცნობილი გახდა 1897 წლიდან.

დაახლოებით ამავე პერიოდში ქართველი მარქსისტები ეცნობიან ლენინის კლასიკურ ნაშრომს „რანი არიან ჰალხის მევგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“.

1899 წელს საქართველოში ცნობილი ხდება ვ. ი. ლენინის ნაშრომების კრებული „ეკონომიური ეტიუდები და სტატები“, რომელშიც მოთავსებული იყო 6 ნაშრომი. ამავე წელს შემოვიდა საქართველოში ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომლის მთელ რაგ თავებში მოცემულია საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების ღრმა შეცნობურული ანალიზი. ვ. ი. ლენინის ამ გენიალურმა ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში. მისი გამოხვედრად სულ მოკლე ხანში, 1899 წლის 25 ივლისს, ქართულ გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია, რომელიც რუსეთიდან ადამიანთათვის სკამოდ განათლებულ მარქსისტს ი. ლუბინს ეკუთვნოდა. ეს იყო საერთოდ პირველი რეცენზია ვ. ი. ლენინის ამ წიგნზე. რეცენზიაში ხაზგასმულია წიგნის ღირსება და აღნიშნულია, რომ ილინის წიგნი შესანიშნავია თავისი ღრმა

შეცნობურული, ობიექტური გამოკვლევებით“.

რეცენზია მოთარღვება მოწოდებით შესწავლონ ეს წიგნი. ვ. ი. ლენინის ამ შესანიშნავ წიგნს დიდი ინტერესით კითხულობდნენ და სწავლობდნენ. ჩსდმმ თბილისის კომიტეტმა მოაწყო მისი შესწავლა მუშათა წრეებში.

ძველი მუშა-რევოლუციონერები ვ. სტურუა იგონებს, რომ „როცა მე ვმუშაობდი აზილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელისწილებში, 1899 წელს წავიკითხე წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. რომლის გარეკანზე ეწერა ავტორის გვარი — ილინი... პირველ სოციალ-დემოკრატულ წრეში, რომლის წევრები მე ვიყავი, გვიჩინეს ამ წიგნის საფუძვლიანად შესწავლა და მიგვითითეს, რომ „ილინის“ ფსევდონიმით ლენინი წერს. წიგნი უბრაღდებით გადავიკითხე, ხოლო შემდეგ უკვე საკმაოდ ხშირად მემტელოდა შემთხვევა წამკვიფისა ამხ. ლენინის ზოგადი ნარკვევი, აგრეთვე ძველ „რუსკაში“ მოთავსებული მისი სტატები“.

ამრიგად, 1896-1899 წლებში, მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, სოციალ-დემოკრატები მუშები და ინტელაგენტები განსაკუთრებულად გატაცდებოდა და ინტერესით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომებს, ეწეოდნენ მისი იდეების პროპაგანდას პრესის საშუალებით.

1901 წლიდან იწყება საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მიმოქრება ვ. ი. ლენინთან, რომელშიც მტკიცე საფუძვლები ჩაუდგარა ადგილობრივი ორგანიზაციების მუდმივი ურთიერთკავშირის პარტიის ცენტრალურ ორგანოებთან და პირადად პარტიის ბეღადთან. ამ ურთიერთკავშირმა უსრულველყო ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა თარგმნა ქართულ ენაზე. რამაც სისტემატური ზაზაითი მიიღო უკვე 1903 წლიდან. ჩსდმმ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანომ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ პირველად ამრიღ-მისის ნომერში (1903 წ. № 5—6) გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის სტატია „თეიმიშპრობლემა ირუვია“ და

1. „კვალი“, 1899 წ. №30, 511-512
2. მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, 1960, გვ. 28.

„ცნობა“ საორგანიზაციო კომიტეტის დაარსების შესახებ“. ამის შემდეგ თვით რუსეთის პირველ რევოლუციამდე ვ. ი. ლენინის ბევრი ნაშრომი ხელმძღვანელობში გახდა ქართველი მკითხველისათვის. რა თქმა უნდა, ლენინის შრომები ქართულ ენაზე იბეჭდებოდა არალეგალურად, კონსპირაციის პირობებში. მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, ქართველი ბოლშევიკები განსაკუთრებული ინტერესითა და გატაცებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ლენინის გენიალურ ნაშრომებს, ეწეოდნენ მათს პროპაგანდას. ვ. ი. ლენინის იდეების ფართო პროპაგანდის მიზნით 1904 წლის დეკემბერში კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიმართა ლენინს თხოვნით ეთანამშრომლა გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლაში“, ლენინი გულსხმიანად გამოეხატა ამ მიმართავს და დაუყოვნებლივ, 1904 წლის 20 დეკემბერს, მოიწერა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი „პროლეტარიატის ბრძოლის“ შესახებ. ვუცხადებ მოწვევით და გადავცემ ამხანაგებსაც რედაქციასში“¹.

1905 წლის 28 ივნისს თბილისიდან მიხა ცხაკაია (ლენინის ხელმოწერით) წერაღს უგზავნის ვ. ი. ლენინს, რომელშიაც აღწერს საქმის ვითარებას რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანიზაციაში და აღნიშნავს მას, რომ ადგილობრივ ორგანიზაციაში დიდი მოთხოვნილება ლენინის შრომებზე „რა ვაქეთო?“ და „ხანაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ეს ნაწარმოებები კავკასიაში იმ ხანად ცოტა რაოდენობით ყოფილა, და მ. ცხაკაია თავის წერილში თხოვდა ხელახლა გამოეცათ ისინი.

განეთქა „პროლეტარიატის ბრძოლაში“, რომელიც დიდ შემოღობას ატარებდა ლენინური იდეების პროპაგანდისათვის ფართო მასებში, პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარიანი“ ვადმოხვედა ვ. ი. ლენინის სტატიები: „შესაშე ყრილობა“ (№ 9), პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ფრაგმენტა“ (№ 10) და „III ყრილობის რეზოლუცია კავკასიის ამებების გამო“ (№ 9).

1905 წ. № 41, 20 ნოემბრის ფერხალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ“.

1903 წლის გაზაფხულზე ბაქოს არალეგალურმა სტამბამ („ნინა“) ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდა საინტერესო ბროშურა „ხენი ნოვგოროდის მუშები სასამართლოს წინაშე“, რომელსაც წამოვარებული აქვს ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობა.

ვ. ი. ლენინი ამ წინასიტყვაობაში მალაღ შეფასებას აძლევდა მამაცობას, რაც ნივინოვგოროდელმა მუშებმა გამოიჩინეს, სასამართ-

ლოში მათი გამოსვლის მნიშვნელობას რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ-ეკონომიკურად. „ახლა ჩვენი ვალია, — წერდა ვიქტორ სენსიტევაოვაში, — ყველა ლენინიანობა ვინმართო, რომ ეს სიტყვები ათეულ ათასობით რუსმა მუშამ წაიკითხოს“¹.

ვ. ი. ლენინის შრომების ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაბეჭდვისა და გაფრესების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალურმა სტამბამ, სადაც 1903 წლის ნოემბრიდან 1906 წლის 15 აპრილამდე ვ. ი. ლენინის ქართულად ნათარგმნი 13 ბროშურა და პროკლამაცია დაიბეჭდა. მათ შორის: „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ფრაგმენტა“ 2.000 ეგზ. ტირაჟით, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“, რსდმპ II ყრილობაზე მიღებულა უმთავრესი რეზოლუციები, ფერხალი „სამი კონსტიტუცია, ანუ წესი საბელმწიფო წყობილებისა“ 2.000 ეგზ. ტირაჟით. „დემოკრატიის ტამერფორსის კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხის შესახებ“ და სხვ.

1905 წლის 4 მარტს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ ენაზე გამოსცა ფემხარაქის მიერ თარგმნილი ვ. ი. ლენინის ბროშურა „სოფლის დარბებს“ სათაურით „სოფლის გაჭირვებულ გლეხაკობას“ 3.000 ეგზემპლარი ტირაჟით. რომ უფრო გასაგები და მისაწვდომი ყოფილიყო ქართველი გლეხებისათვის ლენინის ამ ბროშურაში გახვითარებული დებულებები, ქართულ გამოცემაში შეტანილი იქნა მასალები გლეხების აუტანელი მდგომარეობისა და საერთოდ აგრარული, უფთიერობის შესახებ საქართველოში.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ნაციონალურ ენებზე მარქსისტული ლიტერატურის გამოცემას, ის ჯერ კიდევ 1903 წელს ეწევიდან წერდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს: „წვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა“².

1904 წლის 23 თებერვალს რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან, ვ. ი. ლენინის ინიციატივით, ეწევაში შეიქმნა სპეციალური კომისია სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის გამოსაცემად ქართულ და სომხურ ენებზე. კომისიას ვვალდებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა ამ საქმეში, განსაკუთრებით მარქსისა და ეხველსის შრომების გამოცემაში. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ს. ვ. შაუშინი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 91.
² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 196.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 312.

ე. ი. ლენინის დახმარებით კომისიამ მოკლე ხანში საკუთარი სახსრებით შეიძინა ქართული და სომხური შრიფტი და ენევენაში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბაში, მოაწყო ასოთსაბჭო. პარტიის პირველ რიცხვებში კომისია უკვე პრაქტიკულად შეუდგა ლიტერატურის გამოცემის ქართულ და სომხურ ენებზე. აპრილის დამლევისათვის გამოიცა კრებული „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის შესახებ“ (ქართულ და სომხურ ენებზე), რომელშიც შეტანილი იყო პარტიის II ყრილობის 21 დოკუმენტი, მათ შორის, პარტიის პროგრამა, რსდმპ წესდება, ე. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები: „ბუნდის აღგლის შესახებ პარტიაში“, „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ და სხვები. კრებულში შესული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას იძლეოდნენ პარტიის II ყრილობის შედეგებზე. კომისიამ ქართულ ენაზე გამოსცა აგრეთვე ბროშურა, რომელშიც შევიდა რსდმპ პროგრამა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროკლამაცია „ომის შესახებ“ და ე. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „პირველი მათი“; ეს პროკლამაცია პარტიის ცენტრალური ორგანოს ხელმოწერით გამოვიდა 1904 წლის მარტის დამლევს. კომისიას გათვალისწინებულ ჰქონდა ქართულ და სომხურ ენებზე გამოცემა ე. ი. ლენინის ბროშურა „სოფლის ღარიბებს“, მაგრამ ამის შესრულება არ მოხერხდა¹.

1906 წელს თბილისში დაიბეჭდა გ. ლომთათიძის მიერ ქართულად თარგმნილი ნ. კ. კრუპსკაის „მუშა ქალი“. ეს ნაშრომი ნ. კრუპსკაიამ ე. ი. ლენინის უშუალო რჩევა-მითითებითა საფუძველზე დაწერა 1899 წელს სოფ. შუშენსკოეში, გადასახლების დროს. პირველად იგი ავტორის ხელმოწერადაც არაღვალურად იქნა გამოცემული 1901 წელს „ისკრის“ რედაქციის მიერ, ხოლო მეორედ 1905 წელს, „კ. საბლინის“ ფსევდონიმით.

1907 წლის გაზო „ჩვენი ცხოვრების“ № 10-ში დაიბეჭდა ე. ი. ლენინის მიერ დაწერილი რსდმპ V ყრილობაზე წარსადგენი პროექტი რეზოლუციისა „ბურჟუაზიული პარტიებისადმი და დამოკიდებულების შესახებ“.

საყურადღებოა ასეთი ფაქტი. 1907 წლის 14 მარტს ვერმანის სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ „Die Neue Zeit“-ში (ახალი დროება) დაიბეჭდა ე. ი. ლენინის სტატია „სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“. სულ რამდენიმე დღეში ეს სტატია გერმანულად ითარგმნა და გაგრძელებებით ბოლშევიკურ გა-

ზეთ „დროს“ 1907 წლის 7 და 8 აპრილის ნომერებში. ილსანიშნავია, რომ ე. ი. ლენინის ეს სტატია რუსულად მაშინ არ გამოცემულა და, ამრიგად, გერმანულად იგი პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა.

საქართველოს ბოლშევიკებმა განიზრახეს 1910 წლის იანვრისათვის გამოეცათ არაღვალური ბოლშევიკური გაზეთი „თბილისის პროლეტარია“. ამის შესახებ საზღვარგარეთ მყოფი მ. ტროტსკისთვის საშუალებით აცნობეს ე. ი. ლენინს და სთხოვეს ეთანამშრომონ ამ გაზეთში. მ. ტროტსკიმაც თბილისის ბოლშევიკების თხოვნასთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაიას სწერდა: „მე მთხოვენი გადაეცემათი დაბეჭდილებითი თხოვნა ვლადიმერ ილიას. ძეს იმის შესახებ, რომ მან, რაც შეიძლება ახლო ხანში გაუგზავნოს მათ სტატია, რომელსაც საკითხვადაც არ უნდა იყოს და შემდეგვე უგზავნოს სტატიები. იმედია, როგორცაც არ უნდა იყოს დაკავებული, ვლადიმერ ილიას ძე უნდა არ ეტყვის მათ ამ თხოვნაზე“.

რსდმპ VI (პრადს) კონფერენციის შემდეგ თბილისელმა ბოლშევიკებმა შექლეს დაბეჭდვით ე. ი. ლენინის ნაშრომი „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“.

გაზეთ „პროლეტარია“ ფურცლებზე დაიბეჭდა ქართულად თარგმნილი ე. ი. ლენინის მთელი რიგი წერილები: „ღია წერილი ვლუბოა დებუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი“, „ლოზუნგებისათვის“, „რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი“, „კატასტროფის მუქარა და როგორ ეგებროლოთ მას“, „კრიზისი მომწიფდა“ და სხვ. ამ შრომებში ე. ი. ლენინი ამბობდა დროებითი მთავრობის ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და ასაბუთებდა, რომ რევოლუციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა შეძლო მხოლოდ ბოლშევიკების მიერ შემუშავებულ მოქმედების პროგრამას.

1917 წლის 26 (13) დეკემბერს გაზეთ „პროლეტარია“ დაიწყო ბეჭდვა ე. ი. ლენინის გენიალური ნაშრომისა — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

1918 წლის დეკემბერში თბილისში ბოლშევიკებმა ცალკე ბროშურად ქართულ ენაზე გამოსცეს ე. ი. ლენინის „საბელშევიკო და რევოლუცია“ და ლენინის მოსენება და სიტყვა, წარმოთქმული 1918 წ. 26 (11) იანვარს, მუშათა და ქარისკაცთა დებუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის მესამე ყრილობაზე, ხოლო 1920 წელს ქუთაისში დაიბეჭდა ლენინის ნაწარმოები „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში“.

1. ე. გ. ესაიშვილი. ე. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, გვ. 149.

1. საქართველოს კომ. პარტიის ისტორიის ნარკვევები. 1957 წ. გვ. 103-104.

ვ. ი. ლენინის შრომების პოპულარიზაციის და პროპაგანდის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს კვ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური ლექსლური ორგანო „კომუნისტი“¹, რომლის პირველი ნომერი 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა თბილისში.

გაზეთის 40 სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის 20-მდე სტატია და სიტყვა. 1920 წლის ივნისში რუსულ ენაზე ბროშურად გამოიცა ვ. ი. ლენინის განთქმული შრომა „შემარტყენების“ საყმწველი სენი კომუნისტში“, რომელიც ქართულ ენაზე პირველად „ახალი კომუნისტი“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

1 და 3 ივნისის „საქართველოს კომუნისტი“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“, რომელიც შეიცავს კაბიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს ეკონომიკისა და პოლიტიკის მთავარი პრინციპების შეცნობურ დასახულებას.

ამავე გაზეთში დაიბეჭდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სტატია „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“, „მოსხენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ“ და ვ. ი. ლენინის სიტყვები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის სხდომებზე.

ვ. ი. ლენინის ნაშრომების დაბეჭდვას ქართულ ენაზე, რაც ამ პერიოდში უმთავრესად გაზეთ „კომუნისტი“ საშუალებით ხორციელდებოდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომუნისტების იდეური შეიარაღებისათვის, იმისათვის, რომ წარმატებით ეწარმოებინათ ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელსუფლების დამყარებისათვის.

1921 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა სახელმწიფოს მხრუნველობის სავად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში ვ. ი. ლენინის ნაშრომებითა ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა არ შეწყვეტილა. 1941-1945 წლებში გამოიცა 9 სახელწოდება 43 თასი საერთო ტირაჟით. ომის

¹ გაზ. „კომუნისტი“ დროდადრო განიცდიდა რეპრესიებს, რის გამოც მას უხდებოდა სახელწოდების შეცვლა („საქართველოს კომუნისტი“ „ახალი კომუნისტი“, „კომუნისტ გურუნი“).

დამთავრების შემდეგ ლენინის შრომების გამოცემის საერთო ტირაჟი უწყვეტწოდ იზრდებოდა.

ქართულ ენაზე რამდენჯერმე დიდი ტირაჟით გამოიცა ვ. ი. ლენინის კლასიკური შრომები: „რანი აიანს“ „ხალხის მეგობრები“ და „რევოლუციონარული იხანი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სოციალ-დემოკრატების ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მეტრიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომლებშიც ძირითადი და გადაწყვეტი რელი შეასრულეს ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში.

გარდა მთელი რიგი ცალკე წიგნებისა და ბროშურებისა, ქართულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა თემატური კრებულები.

გარდა ამისა ვ. ი. ლენინის ბევრი ცალკეული სტატია, სიტყვა და წერილი გამოქვეყნებულია ქართულ ყურნალ-გაზეთებში.

საბჭოების 11 სრულიად საკავშირო ყრილობის, გადაწყვეტილებების ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემების შესახებ ნათქვამი იყო:

„ვ. ი. ლენინის საუკეთესო ძეგლი იქნება მის თხზულებათა ფართო მასობრივი გავრცელება. რაც კომუნისტების იდეებს ყველა მშრომელის კუთვნილებად გახდის“.

1928 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა პირველად შეუდგა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე სრული გამოცემიდან ქართულ ენაზე თარგმნას და გამოიცა 14 ტომი. გარდა ამისა, 1934-1935 წლებში ქართულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ექვსტომეული ფ. მხარაძის რედაქციით 205,000 ეგზ. საერთო ტირაჟით, ხოლო 1935-1937 წლებში ორტომეული 30,100 ეგზ. საერთო ტირაჟით.

ვ. ი. ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე სრული გამოცემის თხზულებათა მეოთხე რუსული გამოცემის თარგმნა ქართულ ენაზე დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა 1948 წელს. დღეისათვის ქართულ მკითხველებს მიღებული აქვთ ლენინის თხზულებათა 37 ტომი. თვითველი ტომის საერთო ტირაჟი 20 თასი ეგზემპლარი. გამოსაცემად გამზადებულია 38-ე ტომი.

ვ. ი. ლენინის ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქართული მშრომელები მშობლიურ ენაზე ეუფლებიან ლენინიზმის ყოვლისშესუ იდეოლოგიას და თავგამოდებით იბრძვიან კომუნისტების საბოლოო გამარჯვებისათვის.

დავით ჩხიკვიძელი

ერის ცნებისათვის

ერის რაობის შესახებ ერთადერთი სწორი თეორიის შექმნა დაკავშირებულია ლენინიზმთან. პირველად მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში ვ. ი. ლენინმა გაარკვია ერის ცნება; ლენინს ეკუთვნის სახელმძღვანელო მითითებები ეროვნულ-ეთნიკურ გენეზისისა და ხასიათის შესახებ.

ერი ისტორიული ხასიათის ერთობაა. იგი წარმოიქმნება ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა გამარჯვების ეპოქაში. ლენინი აკრიტიკებდა მისაილოვსკის სუბიექტივისტურ-იდეალისტურ კონცეპციას იმის შესახებ, რომ ეროვნული კავშირები პირდაპირი პროდუქტია გვაროვნული ორგანიზაციების შინაგანი განვითარებისა. თავის კლასიკურ ნაშრომში „რანი არიან „ხალხის შეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ XVII საუკუნემდე რუსეთში ჯერ კიდევ არა გვაქვს საქმე ეროვნულ ორგანიზმთან. რადგანაც მაშინ არ იყო ისეთი ეკონომიური ბაზისი, რომელზეც ერთ მთლიანობაში შეკავშირებდა რუსეთის დაქუცმაცებულ ნაწილებს. ამ ეპოქაში ცალკეული „მიწები“ და სამთავროები ინარჩუნებენ გარკვეულ ავტონომიას (შმართველობა, ჯარი, საბაჟო საზღვრები და სხვა). XVII საუკუნიდან დაწყებული — მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ერთიან ეროვნულ ბაზარს და გაძლიერდა ფულადი მიმოქცევა — რუსეთში მიმდინარეობს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, რაც იმას ნიშნავ-

და, რომ ფეოდალური პარტიკულარიზმის ლიკვიდაციის საფუძველზე შეკავშირდნენ, შეერთდნენ დაქუცმაცებული რაიონები და მოსახლეობა ერთ მთლიან ეროვნულ ერთიანობაში გაერთიანდა.

ლენინი წერდა, რომ ეროვნული კონსოლიდაციის დაწყების ამ ეპოქას, „...რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაახლოებით XVII საუკუნიდან) ახასიათებს ფაქტიური შეერთება ყველა ასეთი ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთლიანად. ეს შეერთება... გამოწვეული იყო არა გვაროვნული კავშირებით და არა თუნდაც მისი განგრძობითა და განზოგადებით; ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით, საქონელის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად-რუსეთის ბაზრად. რადგანაც ამ პროცესის ხელმძღვანელნი და გამგებელნი კაპიტალისტი-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო...“¹.

ამრიგად, ეროვნული ერთობის წარმოქმნას საფუძველად დაედო არა გვაროვნული კავშირების უბრალო შინაგანი განვითარება, არამედ შემაკავშირებელი ეკონომიური ბაზისის წარმოქმნა. და რადგანაც ეს ეკონომიური ბაზისი, კაპიტალისტური ურთიერთობანი კაცობრიობის ისტორიაში ერთსა და იმავე დროს არ წარმოშობილა, ამიტომ ერების ჩამოყალიბებაც სხვადასხვა

ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოხდა. თუ ველიკოროსთა ერი, მაგალითად, ძირითადად XIX საუკუნის შუაწლებში ჩამოყალიბდა, ინგლისში, სადაც კაპიტალისტურმა ურთიერთობამ უფრო ადრე გაიმარჯვა, ვიდრე რუსეთში, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ძირითადად XVIII საუკუნის დასაწყისში მთავრდება.

ერის შესახებ ბურჟუაზიული თეორიები რომელთა კრიტიკა ქვემოთ იქნება მოცემული, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ერები არსებობდნენ ჯერ კიდევ კაპიტალიზამდე. ლენინიზმი ასაბუთებს, რომ ერები არ შეიძლება ყოფილიყო კაპიტალიზამდე, ვთქვათ, ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ხალხები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკეულ სამთავროებად. ამ პერიოდში არ არსებობდა ეროვნული ბაზარი, გამაერთიანებელი ეკონომიური და კულტურული ცენტრები. კაპიტალიზმის წინაპერიოდს შეესაბამება ისტორიულ-ეთნიკური ერთობის სხვა ფორმები—ტომი, ეროვნება, რომლებშიც საუკუნეთა განმავლობაში ეთნიკური განვითარების საფუძველზე თანდათანობით ყალიბდებოდნენ ერის ნიშნები.

ამრიგად, ერი როგორც ისტორიული კატეგორია, კაპიტალიზმის ეპოქაში წარმოიქმნება. მის საფუძველს კაპიტალისტური სისტემის ეკონომიური კავშირები წარმოადგენენ და, ამდენად, ეკონომიური ბაზისი ერის ერთ-ერთი ნიშნის როლში გვევლინება.

ეკონომიური პარტიკულარიზმის ლიკვიდაცია აყენებს ენობრივი დაქუცმაცების მოსპობის საკითხს. სწორედ ბურჟუაზიული ეკონომიკის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ერთიან ეროვნულ ენას, როგორც ურთიერთობის საშუალებას. ადგილობრივი ბაზრის მოქმედების ეპოქაში, მაშინ როდესაც არ არსებობდნენ უნივერსალური კავშირები სამთავროებსა და ცალკეულ მიწებს შორის, ადგილობრივი

დალაშქრები ადვილად აკმაყოფილებდნენ აღამიანთა საერთოეროვნულ მოთხოვნილებებს. ეროვნული კონსოლიდაცია შეიძლება მოხდეს გარკვეული ენის ბაზაზე.

1914 წელს ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, აკრიტიკებდა რა როზა ლუქსემბურგის შეცდომებს, მიუთითებდა, რომ მსოფლიოში ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვების ეპოქა აღინიშნა ეროვნული კავშირების წარმოქმნით. რასაც თან მოჰყვა ძლიერი ეროვნული მოძრაობები, ვ. ი. ლენინი აყენებს ამ მოძრაობების ანალოზს, აკრიტიკებს რ. ლუქსემბურგისა და სხვათა სტოლასტიკურ „ზოგად ცნებებს“, გამოყვანილს იურიდიული დეფინიციების გზით და ამბობს, რომ ეროვნული მოძრაობების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ „სასაქონლო წარმოების საწესებით გასამარჯვებლად საჭიროა საშინაო ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ“¹.

საშინაო ბაზრის დაპყრობით ბურჟუაზიამ შექმნა ერთიანი ეროვნული ბაზარი, რომელმაც ეკონომიურად დააახლოვა და შეაერთა ერთმანეთში ერის ყველა ნაწილი, ერის ამ ნაწილების „ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხების“, გაერთიანება ხდებოდა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ვ. ი. ლენინი წერს, რომ ხალხთა ენობრივი გაერთიანება ხდებოდა „ისე, რომ ამასთან ამ ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის განმტკიცებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს. ენა აღამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი საეპოქო ბრუნვისა, მოსახლეობის

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 483.

თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებო-
სა ყველა ცალკე კლასად, ბოლოს —
იგი პირობას წარმოადგენს ბაზრის
მჭიდრო კავშირისათვის ყოველ და
თვითეულ მსხვილ თუ წვრილ მეპატრო-
ნესთან, გამყიდველსა და მყიდველთან¹
(ხაზი ჩვენია, დ. ჩ.).

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი მი-
უთითებს ეროვნული ენის იმ ფუნქცი-
აზე, რომელიც ერთმანეთში აერთიან-
ებს სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარა-
კე ხალხის ნაწილებს და ეროვნულ
ენაზე, როგორც ეროვნული ერთობის
ნიშანზე. ლენინი ამბობს, რომ გარკვე-
ული ტერიტორიული ერთობის
ფარგლებში, სადაც ცხოვრობს ერი,
კაპიტალიზმი ქმნის პირობებს, რომლე-
ბიც სპობს ეროვნული ენის განვითარ-
ების ხელისშემშლელ მიზეზებს.

1903 წელს, მას შემდეგ, რაც პარტი-
ის II ყრილობამ უარყო ბუნდის მო-
თხოვნილება, რათა ეცნოთ იგი ებრა-
ელი პროლეტარიატის ერთადერთ და-
მოუცილებელ ორგანიზაციად, ვ. ი. ლე-
ნინი აქვეყნებს წერილს „ბუნდის
მდგომარეობა პარტიაში“, სადაც ააშკა-
რავებს ბუნდის ორგანიზაციულ ნაცი-
ონალიზმს. სხვათაშორის, ვ. ი. ლენინი
ამ წერილში იმორწმუნებს კარლ კაუც-
კის აზრს, მიმართულს ავსტრიის სო-
ციალ-დემოკრატიის ეროვნული თე-
ორიის წინააღმდეგ და ეთანხმება
კაუცკის იმ დებულებას, რომ არ
შეიძლება არსებობდეს ერი თუ მას
არა აქვს ისეთი დამახასიათებელი
ნიშნები, როგორიცაა ენა და ტე-
რიტორია. აქვე ამავე ასპექტში ვ. ი.
ლენინს მოჰყავს ფრანგი რადიკალის
— ალფრედ ნაკეს შემდეგი აზრი:
„ხალხს უნდა ჰქონდეს ტერიტორი-
ა, რომელზედაც ის უნდა ვითარ-
დებოდეს, შემდგომ, ყოველ შემთხვე-
ვაში ჩვენს დროს, სანამ მსოფლიო
კონფედერაციას ჯერ კიდევ არ გაუფარ-
ფოებია ეს ბაზისი, ხალხს უნდა ჰქონ-

დეს „საერთო ენა“ (ხაზი ჩვენია დ. ჩ.).
ხალხებს საუკუნეთა მანძილზე თავს
სებურ, განსხვავებულ ისტორიულ პი-
რობებში უხდებოდათ განვითარება.
ეკონომიური და კულტურული ურთი-
ერთობანი ხალხებს შორის უძველესი
დროიდან არსებობენ, მაგრამ საზოგადო-
ებობის განვითარების დაბალ საფე-
ხურებზე ადამიანების „...განკარგულე-
ბაში კავშირგაბმულობის ბევრად უფ-
რო სუსტი აპარატი იყო, — მაშინ
არ იყო მიმოსვლის ახლანდელი სა-
შუალებები. მთები, მდინარეები და
ზღვები განუზომლად უფრო დიდ დაბ-
რკოლებებს წარმოადგენდნენ, ვიდრე
ახლა...“² ამის გამო სუსტი იყო ეთნო-
გრაფიულ ჯგუფთა ურთიერთკავშირები,
ურთიერთზეგავლენა. ხალხების ისტო-
რიული განვითარების ამ თავისებურმა
პირობებმა განაპირობეს ერების, ის-
ტორიულ-ენიკური ერთობების გან-
სხვავებული ფსიქიკური წყობა, რომე-
ლიც თავს იჩენს სულიერი წყობის, სუ-
ლიერი კულტურის სფეროში: დამწერ-
ლობაში, ლიტერატურაში, ხელოვნება-
ში, ყოფაში, ტრადიციებში, ზნე-ჩვე-
ულებებში, ფოლკლორში და ა. შ.

მსოფლიოს ყველა ერს, დიდსა თუ
პატარას, გააჩნია მხოლოდ მისთვის
დამახასიათებელი თვისობრივი თავისე-
ბურებანი დიდი რუსი რევოლუციო-
ნერ-დემოკრატი ბ. ბელინსკი წერდა:
„შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ხალ-
ხი, რომელსაც არ ჰქონდეს ყველა წო-
დებისათვის საერთო ერთი ენა, მაგრამ
კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელია
წარმოვიდგინოთ ისეთი ხალხი, რომელ-
საც არ ჰქონდეს გარკვეული, მარტო-
ოდენ მისთვის დამახასიათებელი ზნე-
ჩვეულებანი“. ეროვნული ენა, ზნე-ჩვე-
ულებანი და ერისათვის დამახასიათებე-
ლი „აზრთა წყობა, შეხედულებები“,
— ბელინსკის აზრით, — ქმნიან „ერის

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 7, გვ. 105.

² ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ
1947, გვ. 14.



თვითმყოფობას“. „რაში მდგომარეობს თვითმყოფელი ხალხის... თვითმყოფობა? — კითხულობს ბ. ბელინსკი — განსაკუთრებულ, მარტოოდენ მისთვის დამახასიათებელ აზრთა წყობასა და შეხედულებებში... ენასა და უმეტესად ზნეჩვეულებებში“¹.

როგორც ცნობილია, რუს, უკრაინელ და ბელორუს ხალხებს გააჩნდათ ერთი საერთო წინაპარი — უძველესი რუსული ეროვნება, რომელმაც შექმნა ძლიერი კიევის სახელმწიფო. მაგრამ ფეოდალიზმის სამეურნეო და პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ, მონღოლების ბატონობამ, ერთი სიტყვით, რუსეთის ტერიტორიაზე დასახლებული ხალხების სოციალ-ეკონომიური განვითარების თავისებურმა, განსხვავებულმა პირობებმა ეს ხალხები ერთმანეთს დააშორეს არა მარტო ტერიტორიულად, არამედ ენობრივად და ეთნიკურადაც და დროთა ვითარებაში, წარმოიქმნა სამი ერი: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, რომლებსაც არსებითად მსგავსი, მაგრამ მაინც თავისებური ეროვნული ხასიათი აქვთ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ერთობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე „ეროვნული ხასიათი“, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ეროვნული კულტურის სპეციფიკაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერი ადამიანთა ისეთი ისტორიულ-ეთნიკური ხასიათის ერთობაა, რომელიც საერთო ენის, ტერიტორიისა და ეროვნული კულტურის ნიადაგზე შეაკავშირა ეკონომიური ცხოვრების მთლიანობამ.

ერი ისტორიულ-ეთნიკური და არა მხოლოდ ეთნიკური ერთობაა და, მითუმეტეს, რასობრივი ერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს არა ერთი რომელიმე რასა, ან ტომი, ან კიდეც მხოლოდ

სისხლით მონათესავე ტომები, არამედ სხვადასხვა ტომისა და რასის წარმომადგენლები. ერი სხვადასხვა ტომისა და რასის წარმომადგენელთა შერწყმის პროდუქტია.

შერწყმითი პროცესები იწყება უძველესი დროიდან, მაშინ როდესაც ინგრევა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციები და მათს ადგილს ეროვნებათა ისტორიულ-ეთნიკური ურთიერთობანი იკავებენ. ეროვნების, როგორც ადამიანთა ისტორიულ-ეთნიკური ერთობის, წარმოშობა ძირფესვიანად ცვლიდა ადამიანთა გაერთიანების ხასიათს. ადამიანთა გარკვეულ ისტორიულ ერთობათა შექმნას უკვე საფუძვლად ედებოდა არა სისხლით მონათესავე გვარების გაერთიანება, არამედ სხვადასხვა ტომისა და გვარის ერთმანეთში შერწყმა, შერევა. ბუნებრივ-ეთნიკურ ერთობათა (გვარი, ტომი) ნაცვლად იქმნება ადამიანთა ისტორიულ-ეთნიკური ერთობა (ეროვნება, შემდეგ კი ერი). მაგალითად, რუსი ერის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს რუსებმა, კრივიჩებმა, ვიარტიჩებმა, სევერიანებმა და ა. შ. იტალიელების ჩამოყალიბებაში რომაელებმა, გერმანელებმა, ეტრუსკებმა, ბერძნებმა, არაბებმა და სხვა ამ უკანასკნელი ტომებისა და სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა ერთმანეთში შედუღება ძირითადად ძველ რომში მოხდა. ტომობრივ-ეთნიკურ ერთობათს დაშლისა და მონათმფლობელური რომის მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლამ, რაც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მამდინარეობდა, ერთმანეთში არია ევროპის, აფრიკისა და აზიის ხალხები. ფრ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ პერიოდში „გალები, იბერიელები, ლიგურიელები, ნორიკელები—ყველანი რომაელებად იქცნენ“, რომ რომში თავი მოიყარეს იმდენმა სხვადასხვა რასისა და ტომის წარმომადგენლებმა, რომ პირველ ხანებში „ახლად გამოცხ-

¹ ბ. ბელინსკი, რჩ. ფილოსოფიური თხზ. 1948 წ. გვ. 28-29.

ვარი რომაული მოქალაქეობა“ არავითარი „ეროვნების“ გამომატველი არ იყო¹.

მაშასადამე, განსხვავებით ტომისაგან, რომელიც წმინდა ეთნიკური ერთობაა, ერი ისტორიულ-ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს და მას არაფერი აქვს საერთო რასობრივ კატეგორიასთან.

ერის რაობის შესახებ ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც გვაძლევენ ერის მეტაფიზიკურ, იდეალისტურ ახსნას, ერს ურევენ რასაში, ტომში, ან კიდევ იგი დაყავთ ეთნიკური, სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური ერთობის ცნებებამდე. ზემოთ ზოგადად იყო დახასიათებული ერის მარქსისტულ-ლენინური გაგება. ქვემოთ მოცემულია ერის შესახებ ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა. გზადაგზა შევეცდებით, პოზიტიურ ფორმებში უფრო დაწვრილებით გადმოვცეთ ერის რაობის მარქსისტულ-ლენინური თეორია.

ერის რაობის მცდარი, იდეალისტური თეორია შექმნა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ. ამ თეორიის ერთ-ერთი ავტორია ოტო ბაუერი. ერები, ბაუერის აზრით, წარმოიშვნენ ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში. ძველი გერმანელების საზოგადოებრივი წყობის საფუძველი, — წერდა ბაუერი, იყო გვარი. ერად ძველ გერმანელებს, უპირველეს ყოვლისა, აერთიანებდა საერთო წარმოშობა². ბაუერი გერმანელი ხალხის განვითარების ისტორიაში გამოყოფს ორ პერიოდს. პირველ პერიოდში, მისი აზრით, წარმოიშვა გერმანელი ერი, (Die germanische Nation), მეორე პერიოდში კი — ერთიანი

დოიჩების ერი (Die deutsche Nation)! გერმანელი ერისათვის დაშლის საფუძველია საერთო (ერთი რასის) წმინდაობა. ამ ერმა იარსება შეასაუკუნე-ებამდე სანამ, ნაცვლად ბუნებრივი ერთობისა, რომელიც გვაროვნულ საზოგადოებაში გერმანელების ისტორიულ-ეთნიკური ერთობის საფუძველი იყო — არ წარმოიქმნა ახალი სახის გამაერთიანებელი საფუძველი — ფეოდალური (რაინდული) კულტურული ერთობა. ამ ორ პერიოდს შუა ბაუერი გამოყოფს გარდამავალ ეპოქას: გვაროვნული კომუნისმიდან ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლის ხანაში უკვე არ არსებობდა გერმანული ერი, მაგრამ ჯერ კიდევ არც დოიჩების ერი ყოფილა.

ბაუერის შეცდომა ეროვნულ-ეთნიკურ ერთობათა გენეზისის დადგენაში გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მან ერის გენეზისის საკითხებს მიუყენა თავისი ყალბი თეორია ერის რაობის შესახებ. ბაუერის აზრით, ერი არის „ეროვნული ხასიათის ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე“. ბაუერის კონცეფციით, ერი მოწყვეტილია რეალურ საფუძველს, მატერიალურ სამყაროს, იგი წმინდა წყლის აბსტრაქციაა ტერიტორიული, ენობრივი და გამაერთიანებელი ეკონომიური ერთობის გარეშე. ყალბია ბაუერის ამოსავალი წერტილი, ამდენად იგი, ბუნებრივია, „ლოგიკურად“ უნდა მისულყოფს მცდარ დასკვნებამდე.

როგორც ვხედავთ, ბაუერი უარყოფს ეროვნული ენის მნიშვნელობას ეროვნულ-ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნაში. „ინგლისელები და ირლანდიელები, — წერდა იგი, — ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ არ წარმოადგენენ ერთ ერს; ებრაელებს სულაც არ აქვთ საერთოდ ენა და მიუხედავად ამისა ერს შეადგენენ“. აქ ბაუერი ერთ შეცდომას მაინც უშვებს: მართალია, ინგლი-

¹ ე. მარქსი, ფრ. ენკელსი, რჩ. ნაწერები, ტ. 111, გვ. 357.

² О. Бауэр. Национальный вопрос и социал-демократия. 1918 г. стр. 27.

¹ ქართულში განმარტებული ტერმინის უნდობის გამო ვხმარობთ გერმანულ სახელწოდებას.



სელები და ირლანდიელები ლაპარაკობენ ერთ ენაზე და არ წარმოადგენენ ერთ ერს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ენა არაა ერის ერთობის სავალდებულო ნიშანი. ერთიანი ენა სავალდებულოა ყველა ერი-სათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვადასხვა ერი ყოველთვის სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდეს. თუ ინგლისელები და ირლანდიელები, ისე როგორც ინგლისელები და ამერიკელები, ესპანელები და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ხალხები და ა. შ. ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ მაინც არ შეადგენენ ერთ ერს, ეს ხდება იმიტომ, რომ ერისათვის სავალდებულოა ერთიანი ენა, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ვერად ჩამოყალიბებისათვის. ერთიანი ენა სავალდებულო და არა ერთადერთი ნიშანია ერისა. ეროვნულ-ისტორიული ერთობების წარმოსაქმნელად, გარდა ენობრივი ერთობისა, საჭიროა ტერიტორიული, ეკონომიური და კულტურული ერთობა.

ბაუერი გერმანელი ერის საფუძვლად ბუნებრივ ერთობას აცხადებს. „ბუნებრივ ერთობაში“ იგი გულისხმობს საერთო, ერთი რასიდან წარმოშობას. ეს კონცეფცია მოკლებულია ისტორიულ სიმართლეს. ბაუერის ამ დოკმას არ შეეძლო არ მიეცია ყურადღება გერმანელ ფაშისტთა თეორეტიკოსის როზენბერგისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ გერმანელი ერის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ და მხოლოდ „წმინდა სისხლის არიელთა რასამ“. ბაუერი აიგივებს ეროვნულ და რასობრივ კატეგორიებს. უგულვებელყოფს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ერები სხვადასხვა რასისა და ეთნიკური წარმოშობის ხალხთა შერწყმის პროდუქტია.

ერი, როგორც ვარკვეული სოციალური ერთობა, წარმოადგენს ხალხების ისტორიულ-ეთნიკური განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს, მსოფლიოს ხალხებმა ეთნიკური განვითარების

ჩრების ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი გაიარეს, ვიდრე მათ სხვა ერებს მიადრწევდნენ. ბაუერის აზრი იმის თაობაზე, რომ გვაროვნული სოციალ-ეკონომიური ფორმაციის ეპოქაში არსებობდა გერმანელთა ერი, ანტიმეცნიერულია. ბაუერს აქ ერთმანეთში ერება გერმანელთა გვაროვნულ-ტომობრივი ერთობანი გერმანელ ერში, რომელიც საზოგადოების განვითარების შემდგომ უფრო მაღალ საფეხურზე წარმოიშვა.

როგორც ზემოთ ითქვა, ბაუერის აზრით, გერმანელი ერის ადგილს შეასაუკუნეებიდან მოყოლებული ერთიანი დოინების ერი იკავებს. ბუნებრივი ერთობა (ბედის ერთობა, საერთო წარმოშობა) რაინდთა კულტურის ერთობამ შეცვალა. ბაუერი ამბობს, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული პარტიკულარიზმის პირობებში, გერმანელების ვერად გაერთიანება აღარ შეეძლო მამაპაპურ ერთიან კულტურას, რადგან ასეთი სულიერი ერთიანობა უკვე არ არსებობდა. ამიტომ ეროვნული გაერთიანება უნდა მომხდარიყო ისეთი კულტურის ნიადაგზე, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ეროვნულ ორგანიზმში. ასეთი კულტურა იყო გაბატონებული კლასის — ფეოდალური, რაინდული კულტურა. შემაკავშირებელი მომენტი, განაგრძობს ბაუერი, იყო უკვე არა, წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული კულტურა, არამედ რაინდების მიერ შექმნილი ახალი კულტურული ერთობლივობა, რომელიც მართალია აერთიანებდა არა მთელ გერმანელ ხალხს, არამედ მხოლოდ მის გაბატონებულ, მმართველ სოციალურ ჯგუფებს, მაგრამ მას მაინც გაერთიანების ტენდენცია ჰქონდა, ასეთი ტენდენციის წარმოქმნა კი სხვა კლასების კულტურას არ შეეძლო. მაშინ როდესაც გლეხს, რომელიც მკვიდრ ცხოვრებაზე იყო გადასული, არ გააჩნდა გამაერთიანებელი საწყისები მის თვისტომთა ძველ წრესთან, ჩნდება მკვიდრო ერთო-

ბლიობა რაინდებს შორის, რომლებიც ქმნიან დოჩების ერსო, ასევენი ბაუერნი.¹

ბაუერის სქემა ასეთია: კულტურული ერთობა კლასობრივია, ეს ერთობა ქმნის ერს, ამიტომ ერს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ის კლასი, რომელიც ამ ერთობის ავტორია. „მხოლოდ გაბატონებულ კლასებს ამჟღავნებს საერთო კულტურა ეროვნულ ერთობაში“.² ფეოდალიზმის ეპოქაში კულტურული ერთობა შექმნა რაინდობამ, ამიტომ მხოლოდ რაინდობა წარმოადგენს ერს. რა ემართება საზოგადოების სხვა კლასებს? ისინი რჩებიან ერის გარეშე, — ასეთია ბაუერის პასუხი. „ამ პერიოდში ერი არსებობს მხოლოდ, როგორც რაინდთა კულტურული ერთობა... გლეხები... მაშინ სრულიად არ ქმნიან ერს, ისინი წარმოადგენენ მდაბიოთა ფენას, ერის ფონს“.³

კაპიტალიზმის ეპოქაში კვდება რაინდული ერი. რადგანაც ბურჟუაზია ქმნის თავის კულტურულ ერთობას, ე. ი. ერსაც. ბურჟუაზიამ, განაგრძობს ბაუერი, კულტურულ ერთობაში მოსახლეობის გაცილებით უფრო მეტი ფენები გააერთიანა, ვიდრე ფეოდალიზმმა, მაგრამ რაკი საზოგადოება აქაც დაყოფილია კლასებად, შეუძლებელია საერთო ერის შექმნა. აქ მოქმედებს ორი ძირითადი კლასი: ბურჟუაზია, რომელსაც გააჩნია თავისი კულტურა და პროლეტარიატი, რომელსაც წარმოებაში თავისი ადგილისა და მდგომარეობის გამო კულტურა ჰრ გააჩნია. ამიტომ ერის კონსოლიდაცია ხდება ბურჟუაზიული კულტურის ირგვლივ. მშრომელი მოსახლეობა კი, რომლის ექსპლოატაციის მეოხებით ბურჟუაზია ახერხებს შემოქმედებითს შრომას სულიერი კულტურის სფეროში, რჩება არა მარტო ეროვნული კულტურის მიღმა, ასევე თვით ერის

მიღმაც. „კულტურული ეროვნული ერთობლივობა ჯერ კიდევ საზოგადოების გარკვეული კლასის კულტურული ერთობლივობაა, ერთობლივობა განათლებული ბურჟუაზიისა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი არ იღებს მასში არავითარ მონაწილეობას. გლეხები, ხელოსნები და მუშები — განაგრძობს ბაუერი, — ჯერ კიდევ ისევე როგორც მოქმედებულებების ეპოქაში, არ არიან, ერის წევრები, ისინი მხოლოდ მის ქვედა ფენას შეადგენენ“⁴.

ასეთია ო. ბაუერისა და, საერთოდ ავსტრიის შემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსების შეხედულება ერის რაობაზე. ამ შეხედულებას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან, ისტორიულ და მეცნიერულ ჰემარიტებასთან. ბაუერის ვულგარისტული კონცეფცია უფრო ახლოა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, ვიდრე, მუშათა კლასის რევოლუციურ მსოფლმხედველობასთან. ჩვენ აქ მიუვითიებთ მხოლოდ რამოდენიმე პრინციპული ხასიათის შეცდომაზე.

1. ბაუერი ენებისა და ერების შიგნით კლასების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ვულგარისტულ პოზიციებიდან იხილავს. ბაუერის ერი კლასობრივი ხასიათისაა. არსებითად მის ერსა და კლასებს შორის არავითარი განსხვავება არ არის. გერმანელები ერთიან ერს წარმოადგენდნენ, რადგანაც მაშინ საზოგადოება არ იყო კლასებად დაყოფილი. როგორც კი წარმოიშვნენ კლასები, მოისპო გერმანელთა ერიც, მისი ადგილი დაიკავა დოჩების ჯერ ფეოდალური კლასის, ხოლო მერე კაპიტალისტთა კლასის ერმა. დოჩების ერი აერთიანებს მხოლოდ გაბატონებულ კლასებს, ძირითადი მასა მოსახლეობისა, რომელიც ქმნის მატერიალურ და სულიერ კულტურას. ერის მიღმა რჩება. ბაუერს არ ესმის, რომ მიუხედავად ერის კლასობრივი დიფერენციაციისა ეროვნული კავშირები მა-

¹ O. Бауэр. Нац. вопрос и социал-демократия. 1918 г. стр. 31.

² იქვე. გვ. 41.

³ იქვე. გვ. 33.

⁴ იქვე. გვ. 86.

ინც ვარკვეული სიმყარით ხასიათდებიან, რომ კლასობრივი სხვაობა ერის შიგნით არ ხსნის ეროვნული ერთობის საკითხს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არ იქნებოდა თვით ერი როგორც სოციალური საზოგადოებრივი და ისტორიული კატეგორია. ერი რომ ბაუერისეულ კლასობრივ კატეგორიად მივიჩნიოთ, მაშინ კაცობრიობის ეთნიკური განვითარების ისტორია ასეთი სურათით წარმოგვიდგებოდა: საზოგადოების ერთი მუკა გაბატონებული კლასები ქმნიან ეთნიკურ-ისტორიულ ერთობებს, ავითარებენ ეროვნულ კულტურებს, ეროვნულ ენებს, ხოლო კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურ-ისტორიული განვითარების მიღმა რჩება და წარმოადგენს კოსმოპოლიტურ, ამორფულ მასას, რომელსაც არ გააჩნია არც ენა, არც კულტურა და არც ის სპეციფიკა, რომელიც საზოგადოების ეთნიკური განვითარების თავისებურებამ წარმოშვა ხალხებს შორის.

2. ბაუერი უარყოფს მშრომელი მასების როლს კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარებაში, რითაც ბურჟუაზიული იდეოლოგიების მსგავსად, აკანონებს, ამართლებს უმცირესობის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ბატონობას უმრავლესობაზე. ბაუერის თეორიით, მშრომელები მიჩნეულია ინტელექტუალურად დაქვეითებული, შემოქმედებით უმწეო და უუნარო მასად. ბაუერისათვის მშრომელი მოსახლეობა მხოლოდ დაბალი ღირსების ფონია, პასიური ობიექტია ისტორიული პროგრესისა: ეს ბურჟუაზიულ-სუბიექტივისტური დოგმა არ ითვალისწინებს იმ ისტორიულ კემარტებას, რომ მშრომელი მასები ის ძალაა, რომელსაც მოძრაობაში მოპყავს კაცობრიობის ისტორიული განვითარების ჩარხი და მატერიალური და სულიერი პროგრესიც მის სახელთანაა დაკავშირებული.

ბაუერს, უპირველეს ყოვლისა, არაობამდე დაყავს ხალხების მნიშვნელობა „მნათობი“, № 4.

ლობა სულიერი წარმოების სფეროში, იგი ეროვნულ კონსოლიდაციას ნამდვილად უღებს ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების კულტურებს, სრულიად უარყოფს რა გლეხობისა და მუშათა კლასის კულტურების, ბაუერის ენით რომ ვთქვათ, არა მარტო „ეროვნულ გამაერთიანებელ ფუნქციას“, არამედ საერთოდ მათ არსებობასაც კი. ბაუერი „სულიერ, კულტურულ პროგრესს მთლიანად „ელიტას“, დაწინაურებულ კლასებს მიაწერს. ერთი შეხედვით ეს თითქოს სწორი შეხედულებაა, რადგანაც გენიალური პიროვნებებისა და დიდი მხატვრების როლი, მართლაც, დაუფასებელია კაცობრიობის კულტურულ დაწინაურებაში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჯერ — ერთი; დიდი პიროვნებანი და გენიალური მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში ასახავენ რა ეპოქის მიერ დასმულ პრობლემებს, გამოდიოდნენ კლასობრივი შეხედულობის ჩარჩოებიდან და საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობამდე მალეღებოდნენ. ამ აზრით, ისინი ხალხებთან, მშრომელ მასებთან უფრო ახლო იყვნენ, ვიდრე გაბატონებულ კლასებთან. შესანიშნავი ჩილიელი მწერლის, მსოფლიო მშვიდობის საბჭოს წევრის ბალტასარ კასტროს სიტყვებით რომ ვთქვათ „...ნამდვილი მხატვარი არის არა ის, ვინც მიდის გათელილი გზით და ტყებზე ფარშავანების ნავარდით ლაქვარდოვანი ცის ფონზე. არა, ნამდვილი მხატვარი ისაა, ვისი კვალიც ჩაბეჭდილია მილიონობით მშრომელი მასების ნაკვალევში და ფართო გზაზე მიაბიჯებს უკეთესი ცხოვრებისაკენ. კემარტი შემოქმედი კულტურისა ისაა, ვისთვისაც ძვირფასია მუშისა და გლეხის ოფლი, ვინც შეიგრძნობს თავისთავს ერთ-ერთ მგზნებარე ნაწილად იმ დიდი ერთობისა, რომელსაც ჩვენ ხალხს ვუწოდებთ“¹. მე-

¹ Советская культура, 1963 წ. ხუთი ნომრის ნომერი.

ორც, კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში ძირითადი და გადაწყვეტი რილი შეასრულა მშრომელი ხალხის შემოქმედებამ, ხალხის გენიამ და არა გაბატონებული კლასების კულტურამ, რომელიც საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდიდან, — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს კლასები იმკვიდრებენ ბატონობას, რეაქციულ როლს თამაშობს კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში.

მშრომელმა მასებმა შექმნეს სულიერი კულტურის ისეთი შეუდარებელი ქმნილებები, როგორცაა ზღაპარი, თქმულება, იგავი, სიმღერები, ცეკვები, რომლებშიც ყველაზე უფრო მართებულად აისახა ხალხების ისტორია, ცხოვრება, ყოფა და ფსიქიკა. საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ლიტერატურა და ხელოვნება ვითარდებოდა როგორც ხალხური შემოქმედება. ხოლო მას შემდეგ, რაც წარმოიშვა პროფესიონალიზმი სულიერი წარმოების სფეროში, ჰემშარიტად მაღალ რეალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურას საფუძვლად სწორედ ხალხის ზეპირსიტყვიერებითი, მუსიკალური და ქორეოგრაფიული შემოქმედება დაედო. მ. გორკი წერიალში „ზღაპრების შესახებ“ წერდა: „ეჭვს გარეშეა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეპირი შემოქმედების ზეგავლენა დამწერლობის ლიტერატურაზე. ზღაპრებითა და ზღაპრების თემებით ოდიდან სარგებლობდნენ ყველა ქვეყნისა და ეპოქის ლიტერატორები. აბუღის რომანი „ოქროს ვარი“ ნასესხებია ზღაპრებიდან. ზღაპრებით სარგებლობდა ჰეროდოტე. იტალია სარგებლობდა ზღაპრებით დაწყებული XIV საუკუნიდან ბოკაჩოს „დეკამერონში“, ზღაპრების ზეგავლენა სავსებით ნათელია „პანტამერონში“, „ჰექტამერონში“. ჩოსტოვის „ტენტრბერიულ მოთხრობებში“. ზღაპრებით სარგებლობდნენ გოეთე, ეანლისი,

ბალზაი, ჟორჟ სანდი, დოდო, კოპე, ლაბლუე, ანატოლ ფრანსი, კარმენ სილვა, ანდერსენი, ტენცილინი და კენსი — ყველას ვერ გაიხსენებ. ჩვენში ზღაპრები გამოყენებულია მთელი რიგი უდიდესი მწერლების მიერ, მათ რიცხვში — ხემნიცერის, ჟუკოვსკის, პუშკინის, ლევ ტოლსტოის მიერ. ფორმალური, სიუჟეტური და დიდაქტიკური დამოკიდებულება მხატვრული ლიტერატურისა ხალხის ზეპირ შემოქმედებასთან სრულიად ეჭვს გარეშეა“¹.

განსაკუთრებით დიდია ხალხური შემოქმედების როლი პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. სავსებით სწორი იყო გლინკა, როდესაც წერდა: „მუსიკას ქმნის ხალხი, ხოლო ჩვენ, კომპოზიტორები მხოლოდ ვაორკესტრებთ მასო“. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის თანამედროვე ფორმალისტური თუ აბსტრაქციონისტული ხელოვნების უბედურება სწორედ ისაა, რომ იგი მოწყდა ხალხურ საწყისებს, იმ უშრეტ შემოქმედებითს წყაროს, რომლის გარეშე არ არსებობს ჰემშარიტი ხელოვნება და ლიტერატურა.

ამრიგად, პოლიტიკური მიზანდასახულობის თვალსაზრისით ბაუერის თეორია ერის შესახებ რეაქციულია. ქადაგებდა რა იმ თეზისს, რომ კულტურას ქმნიან და ავითარებენ გაბატონებული კლასები, ხოლო მშრომელ მოსახლეობას არ გააჩნია სულიერი შემოქმედების უნარი. ბაუერი იღგა ანტიხალხურ პოზიციებზე.

ახლა გამოვარკვიოთ, თუ როგორ ესმის ერის არსი ე. წ. ფსიქოლოგიურ სკოლას ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში. ამ მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მეცნიერი გაბრიელ ტარდი (1843-1904) საგანგებოდ შეეხო ეროვნულ საკითხს. ტარდი თავის კაპიტალურ შრომებში „სოციალური ლოგიკა“ და „სოციალური კანონები“ სოციოლოგიის საწყისად აღამიანის ფსიქიკას მიიჩნევს, საზოგადოებრივ მოვ-

¹ Тысяча и одна ночь, Москва, т. I, стр. 7.

ლენებს ხსნის ადამიანის ფსიქიკის ისეთი კატეგორიით, როგორცაა მიმბაძველობა. ტარდი არ მალავს რა თავის მტრულ დამოკიდებულებას მარქსიზმი-სადმი, უარყოფს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს.

ტარდის აზრით, ადამიანის ყოველგვარი გამოვლინება — ლაპარაკობს იგი თუ ლოცულობს, მუშაობს თუ იბრძვის, განიცდის თუ მოქმედებს, აღიქვამს მოვლენებს თუ გამოხატავს მათ — დამოკიდებულებას — ყოველივე ეს მიმბაძველობის შედეგია. ეს მიმბაძველობა შეიძლება იყოს იძულებითი, ან ნებაყოფლობითი, შეგნებული ან სტიქიური, ცნობიერი თუ არაცნობიერი — ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ მიმბაძველობა საფუძვლად უდევს ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას, იგი არსია ყოვლისა¹. ტარდს ეს მცდარი დებულება მექანიკურად გადააქვს საზოგადოებრივ მოვლენებზე და ასკენის, რომ საზოგადოების არსს, საფუძველს მიმბაძველობა წარმოადგენს. „რა არის საზოგადოება? — კითხულობს იგი და უპასუხებს — „საზოგადოება მიმბაძველობა“.

ტარდი ასახელებს ოთხ ძირითად სოციალურ ჯგუფს, როგორც საზოგადოების კონკრეტულ „ორგანიზაციებს“ — ერს, სამშობლოს, სახელმწიფოს, ეკლესიას და იძლევა მათს განსაზღვრას ფსიქოლოგიური იეორიის პოზიციებიდან.

თუ რამდენად ყალბია ტარდის პოზიციები ნათლად ჩანს მის მიერ მოცემულ ამ სოციალურ ჯგუფთა განსაზღვრაში. სანამ შევეხებოდეთ ერის ტარდისეულ განსაზღვრას, რაც ჩვენს ძირითად მიზანს შეადგენს, არაა ინტერეს მოკლებული განვიხილოთ, თუ როგორ განმარტავს იგი სახელმწიფოს. „სახელმწიფოს იდეა, — ამბობს ტარდი, — ინტერესთა ერთობაზე, ამ ინტერესთა

დაცვისა და გაფართოების მზადყოფნაზე აღმოცენებული. ამ რეალურ-საზოგადოებით, პირველყოფილი კლასნი ბატონობა სახელმწიფოს წარმოადგენს“¹.

ტარდს არ ესმის, რომ სახელმწიფო ექსპლოატატორულ საზოგადოებაში კლასთა ბატონობის, კლასთა დიქტატურის ორგანოა და არა ინტერესთა ერთობის საშუალება. იგი იძულებით, დათრგუნვის იარაღია გაბნეული კლასის ხელში, მიმართული საზოგადოების დაჩაგრულ კლასთა წინააღმდეგ. ინტერესთა ერთობას, მართლაც, ჰქონდა ადგილი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ეს იყო პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში, ამ საზოგადოებისათვის უცხოა სახელმწიფო აპარატი. აქ არ არის კლასები, კლასთა ბრძოლა, საზოგადოების საქმიანობას, მმართველობის ფუნქციას საზოგადოების ყველა წევრი წარმართავს. ასეთ პირობებში გამორიცხულია სახელმწიფოს არსებობის საჭიროება.

ასეთივე ყალბი პოზიციებიდან განსაზღვრავს ტარდი ერს. „ერის იდეაში, — ამბობს იგი, — იგულისხმება აზრის სისხლით ნათესაობის შესახებ, რომელიც აერთიანებს ერთი ხალხის ინდივიდებს: არა ნაკლებ, არამედ უფრო მეტად. ვიდრე ერთი ტომის წევრებს“². ამრიგად, ერის საფუძვლად მიჩნეულია ერის წევრთა თვითშეგნება სისხლით ნათესაობის ნიადაგზე ცხადია, ტარდის ეს თეზისი მოკლებულია მეცნიერულ ჰეშმარტებას. სისხლით ახლო მონათესავე ადამიანთა ერთობაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ პირველყოფილ-თემურ საზოგადოებასთან დაკავშირებით, როდესაც გვარისა და ტომის, როგორც ისტორიულ ერთობათა, სიმყარე საერთო წარმოშობაზე, ნათესაურ ურთიერთობებზე იყო დაფუძნებული. მაგრამ პირველყოფილ-თემური საზოგადოების რღვევასთან დაკავშირებით თანდათანობით დაირღ-

¹ Тард. Социальная логика. С.-Петербург, 1901, стр. 3.

¹ იქვე, გვ. 8.

² იქვე, გვ. 7.

ევეა სისხლით მონათესავე ადამიანთა კავშირებზე აგებული ისტორიული ერთობანი, ერთმანეთში აირივნენ სხვადასხვა წარმოშობისა და რჯულის ტომები და სისხლით ნათესაობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. თუ გვარისა და ტომის წევრები ურთიერთთან დაკავშირებულია საერთო ნათესაური წარმოშობით, ერის (და ეროვნების) ყველა წევრს შორის ასეთი სისხლით ნათესაური ურთიერთობანი უკვე არ არსებობენ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტარდი არაა თანმიმდევრული, ლოგიკური თავისი მოძღვრების ჩარჩოებშიც კი. ტარდი სოციოლოგიის საფუძვლად ფსიქიკას თვლის, ხოლო ერს ბიოლოგიური თვალსაზრისით, სოციალ-დარვინიზმის პოზიციებიდან განსაზღვრავს. ტარდი ბიოლოგიურ კანონებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების გარკვევის დროსაც იყენებს.

სისხლით ნათესაობა, საერთო წარმოშობა, ამბობს ტარდი, ქმნის „საერთო მოდელს“, რომელზედაც მიბაძვის გზით წარმოიქმნება ერის წევრთა ურთიერთმსგავსება: „ერი, — დასკვნის ტარდი, — არის შეთანხმება ტარდიციების, ზნე-ჩვეულებების, შეგნების, აღზრდისა და იდეების, რომლებიც მიმბაძველობით ვრცელდებიან სხვადასხვა გზით“¹. სხვა ნაშრომში ტარდი ერის სხვაგვარ ფორმულას იძლევა: „ერი გულისხმობს რელიგიის, ენის, სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა ორგანულ კომბინაციას“².

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ფორმულა მცდარია. ამის დასამტკიცებლად გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

აღზრდა, შეგნება, იდეები—იდეოლოგიური ცნებებია, მათი შინაარსი კლასობრივი და არა ეთნიკური ხასიათისაა. აღზრდის არსი გაპირობებულია არა იმდენად ადამიანის (ადამიანთა ჯგუ-

ფის) ეროვნული ფსიქიკით, არამედ მისი დამოკიდებულებით ფსიქოლოგიკურ-მატერიალური წარმოების სტრუქტურულ-ზრდის ქეშმარიტება, როგორც ყოველგვარი ქეშმარიტება, ობიექტური საგნების სუბიექტური სახეა. იდეების, შეგნების არსს კლასები განსაზღვრავენ და არა ეროვნებანი. ამის გამო ყოველ ბურჟუაზიულ ერში საქმე გვაქვს არა ერთ ეროვნულ იდეასთან, არამედ რამოდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ იდეასთან — ყოველ კლასს თავისი იდეა, თავისი შეგნება აქვს.

ასევე კლასობრივი ხასიათისაა სამართალიც, რის გამოც იგი არ შეიძლება ერის დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ. იდეები, შეგნება, წარმოიქმნებიან არა მიმბაძველობის გზით, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფის ასახვითა და ზეგავლენით.

ერის ნიშნად არც რელიგია გამოდგება. ძნელია მოინახოს ისეთი ერი, რომელსაც ერთი მთლიანი რელიგიური მსოფლმხედველობა ჰქონდეს. ეროვნული საზღვრები, როგორც წესი, არ ემთხვევა რელიგიურ საზღვრებს. ქართველები, გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები და სხვა ერები, სხვადასხვა რელიგიურ „ბარიერებითაა“ დაყოფილი, მაგრამ ეს გარემოება არ უშლის ხელს ერის, როგორც მყარი ისტორიული ერთობის არსებობას.

კიდევ უფრო მცდარია ეროვნულ-ეთნიკური ერთობის ერთ-ერთ ნიშნად სამართლის აღიარება. სამართალი გაბატონებული კლასების მიერ კანონად აღიარებული საზოგადოებრივი ქცევის ნორმების სისტემაა. სამართლის ნორმების განხორციელება ხდება ძალდატანების გზით, რასაც სახელმწიფო აბორციელებს გაბატონებული კლასების ინტერესთა შესაბამისად. სამართალი რომ ეროვნული და არა კლასობრივი კატეგორია იყოს, მაშინ ამა თუ იმ ერს ერთი და იგივე სამართალი ექნებოდა დაწყებული თემური საზოგა-

¹ Tarde, Les lois l'imitation, გვ. 70.

² Тард. «Социальная логика», стр. 6.

დოებიდან, ვიდრე დღემდე. სამართლის ისტორიული ტიპები შეესაბამებიან გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს და არა ეთნიკურ-ეროვნულ ერთობათა ხასიათს.

ასეთია ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური სკოლის საერთოდ და კერძოდ, ტარდის მცდარი კონცეფცია ერის რაობის გაგებაში.

ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში თეორია ერის შესახებ პირველად ჩამოაყალიბა იტალიელმა სოციოლოგმა მინჩინმა (1817—1888). მინჩინი იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როდესაც იტალიაში გამწვავებული ეროვნული ომები მიმდინარეობდა, ხოლო ბურჟუაზია თავის ბატონობას იმკვიდრებდა. ისტორიულად ეს პერიოდი ეროვნული კონსოლიდაციის დასასრულის ეპოქა იყო. იტალიაში, მინჩინის სამშობლოში, ეროვნული მოძრაობა ბურჟუაზიულ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც იგი მეტად რთულ და მწვავე პირობებში ვითარდებოდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა თავისი ხასიათით დემოკრატიული იყო, რომელშიც ბურჟუაზია გარკვეულ პერიოდამდე პროგრესულ როლს ასრულებდა. რადგანაც ამ მოძრაობაში ბურჟუაზიას თავისი კლასობრივი ინტერესები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე „სამშობლოს თავისუფლება“, სულ მალე თავი იჩინა კონფლიქტმა ბურჟუაზიასა და ხალხის ფართო მასებს შორის.

ს. მინჩინი თავისი კლასის, ბურჟუაზიის შვილი იყო და მაღალ კარიერასაც მიაღწია ამ კლასის სამსახურში. იგი, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი რიგი წლების მანძილზე მინისტრის პოსტს იკავებს. სანამ იტალიაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა, მინჩინი ერთა თანასწორუფლებიანობას ჭადაგებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს მოძრაობა ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დამთავრდა და მინჩინმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მიიღო, იგი აფრიკაში კოლონი-

ური პოლიტიკის განმახორციელებელი და თეორეტიკოსი გახდა. მინჩინმა აქედან გასაგებია, რომ მინჩინის უროვნული თეორია ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციიდან ამოდის. მისი დებულებით ერი არის: „აღამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელსაც აქვს ერთობა ტერიტორიისა, სისხლისა, ზნე-ჩვეულებათა, ენისა — თანახმად მისი სიცოცხლისა და საზოგადოებრივი შეგნებისა“.

ჩვენ მხოლოდ ზოგადად მივუთითებთ ამ ფორმულის სიყალბეზე, რადგანაც ქვემოთ სხვა თეორიების განხილვისას მსგავს საკითხებზე უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი. ჯერ — ერთი, როგორც ზემოთ ითქვა, რელიგია არ არის ერის დამაბასიათებელი ნიშანი. მეორეც, ისტორია არ იცნობს „წმინდა“ სისხლის ერებს, ერები სხვადასხვა რასის, ეთნიკური წარმოშობისა და ეროვნული ჯგუფების ნაერთს წარმოადგენენ, და ბოლოს, მინჩინი ვერ ხედავს ეკონომიური ერთობის ნიშანს, რომლის გარეშეც არ ხდება ერის სხვადასხვა ნაწილების ერთ ორგანიზმში გაერთიანება.

ახლა ვნახოთ თუ როგორი იყო ქართველ ანარქისტთა ეროვნული მრწამსი.

ქართველ ანარქისტებს შორის ეროვნულ საკითხს ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო მიხაკო წერეთელმა, რომელმაც ეროვნული პრობლემები ე. წ. ბურჟუაზიული ორგანული თეორიის პოზიციებიდან განიხილა. „ჩვენ, — წერდა იგი, — შტამლერისა, დე გრეფისა, სპენსერისა, ფულიესა, ვორმისა, შეფლესი, გუმპლოვიჩისა, ტარდისა და ბევრ სხვათა დახმარებითა და აგრეთვე კრიტიკით შევეცადეთ გაგვეახვჯრა საზოგადოება და გვენახა ხერთო სოციალური საზოგადოებისა და ერისათვის...“¹ როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული ორგანული თეორიის ავტორები საზოგადოებას, „ერს განიხი-

¹ მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1910 წ. გვ. 54.

ლავდენი, როგორც მთლიან და განუყოფელ ორგანიზმს, ხოლო სახელმწიფოს — „რასათა ბრძოლის იარაღს“. არ იქნება ინტერეს მოკლებული, თუ აღვნიშნავთ, რომ გერმანელმა ფაშისტებმა სწორედ ორგანულ თეორეტიკოსთა და კერძოდ შტამლერის დოგმები დაუდეს საფუძვლად თავიანთ რასისტულ, ნაციონალისტურ თეორიას გერმანული სახელმწიფოს შესახებ, განიხილავდნენ რა მას, როგორც „ხალხის ცოცხალ ორგანიზაციას“, რომელშიც ჩანერგილია „არსული სული“.

ასეთივე ბურჟუაზიულ-რეაქციული პოზიციებიდან განიხილავდა მიხაკო წერეთელი სახელმწიფოს, იგი არსებითად ვერ ზედავდა სხვაობას ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის, უარყოფდა კლასთა ბრძოლას, ხოლო სახელმწიფოს „რასათა ბრძოლის“ იარაღად მიიჩნევდა. „სახელმწიფო, — წერდა იგი, — ერთი ურდოს მიერ მეორეს ჩაგვრის ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე. სახელმწიფო... ორგანიზაციაა ერთი ურდოს მეორეზე ბატონობისა“.¹ წერეთელი ვერ ზედავდა, რომ სახელმწიფო წარმოიშვა და არის ერთი კლასის სხვა ჩაგრულ კლასებზე ბატონობის იარაღი, რომ სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოქმნასთან.

რა კუთხით იხილავს წერეთელი ერის რაობას? ერი, მისი აზრით, კონკრეტული საზოგადოებაა, საზოგადოება კი — გარეგნულად მოწესრიგებული ერთობა, რომელსაც თავისი ფუნქციები აქვს. გარეგნულად მოწესრიგებული პრინციპი გულისხმობს არა მარტო ძალდატანებითს, უფლებრივ, არამედ შეთანხმებითს, ნებაყოფლობითს ფაქტორებსაც. საზოგადოების ფუნქციებში კი იგულისხმება პოლიტიკური, იურიდიული იდეოლოგიური ფუნქციები, ე. ი. ფუნქციები, რომლებსაც, სინამდვილეში სახელმწიფო აპარატი ახორცი-

ელებს. მაგრამ ამ ფუნქციების შესრულება არ შეუძლია საზოგადოებას, რადგანაც საზოგადოება უწყვეტად იმართობა, ზოგადი ცნებაა და კონკრეტულად იგი არ არსებობს. კონკრეტულად საზოგადოება არსებობს ერში, „ერია კონკრეტული საზოგადოება“. „ერი განსაზღვრავს საზოგადოების არსს“. „ერი ახორციელებს საზოგადოებაზე დაკისრებულ პოლიტიკურ და იურიდიულ ფუნქციებს“. მ. წერეთელი წერდა, რომ ქვეყანაზე იმდენი საზოგადოებაა, რამდენიც ერია.

საზოგადოების არსს, რაობას როგორც ცნობილია განსაზღვრავს წარმოებითი ურთიერთობა, ეკონომიური სტრუქტურა და არა ადამიანთა გარკვეულ ისტორიულ-ეთნიკურ ერთობებში გაერთიანების ხასიათი. ყოველი გარკვეული საზოგადოება წარმოადგენს ამა თუ იმ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციას, რომელიც საზოგადოების განვითარების გარკვეული ისტორიული ტიპია მისთვის დამახასიათებელი ბაზისითა და ზედნაშენით. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საზოგადოება დროისა და სივრცის გარეშე. ყოველი ტიპი საზოგადოებისა შედეგია საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონისა და არა ისტორიულ-ეთნიკური ერთობის ხასიათისა.

ქართველი სოციალ-ფედერალისტების ბელადი არჩ. ჯორჯაძე ერის რაობის თეორიულ განსაზღვრებას თავისი პარტიის პოლიტიკურ ამოცანებს უკავშირებდა. სოციალ-ფედერალისტები რუსეთის ფედერაციაში მოითხოვდნენ პოლიტიკურ ავტონომიას და, ამდენად, ერის რაობას სახელმწიფოს ხასიათს უკავშირებდნენ. ჯორჯაძეც არსებითად უარყოფდა სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ეროვნული მმართვეის იარაღიაო. მას მიიჩნდა, რომ სახელმწიფო ის მანქანაა, რომელმაც წარმოშვა ეროვნული ერთობა. „არც ენას, არც რასას, არც საერთო თავდადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ქონია ძალა ეროვნების

¹ იქვე, გვ. 75

შექმნისა, — წერდა იგი, — ეს სასწაული არ მოუხდენია არც ამ ელემენტებს, ერთად აღებული. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქეფვისა და ჩაკერვისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო¹.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ სახელმწიფო კლასობრივი და არა ეროვნულ-ეთნიკური ორგანოა.

ერის ცნების ორიგინალური, — თუშკა არაზუსტი, მაგრამ მაინც თავისებური — განსაზღვრა მოგვცა დიდმა ქართველმა პედაგოგმა და განმათავისუფლებელმა იაკობ გოგებაშვილმა. 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 116, 117) იგი ბეჭდავს წერილს სათაურით „ქართული მიმართულება“, რომელშიც აყალიბებს, მისი აზრით, „ეროვნული მოქმედების გეგმას“, „ქართველთა ეროვნული განვითარების მიმართულებას“.

ყოველი ადამიანი მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, მხოლოდ მაშინ „ეწევა გულის წადილს“, როდესაც მას გარკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, მითუმეტეს, საჭიროა ასეთი ნათელი გეგმა მოქმედებისათვის, წერს იაკობ გოგებაშვილი, ერისათვის. აქვს თუ არა ასეთი გეგმა ქართველ ერს? — კითხულობს იაკობ გოგებაშვილი და ბჭვე უპასუხებს: დიახ. ქართველებს აქვს განსაზღვრული მიმართულება, „გადაჭრილი სიმბოლო პოლიტიკური სარწმუნოებისა“. განვითარების ეროვნული მიმართულება, „ეროვნული სიმბოლო“ ორ მუხლს მოიცავს — ქართველების ერთობას რუსეთთან და ქართული ეროვნული საძირკვლის, ქართველი ერის ისტორიული ერთობის არსებობას.

1. „ქართველობა აღიარებს თავის

მტკიცე ერთობას რუსეთთან“¹. რუსეთთან ქართველების ერთგულუბანს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და იგი თაობიდან თაობაში გადადის. ეს პოლიტიკური ერთგულება იმდენად ძლიერია, ამბობს იაკობ გოგებაშვილი, რომ გამოირიცხებოდა პოლიტიკური სეპარატიზმი ქართველთა მხრივ. ამრიგად, ქართველთა ეროვნული განვითარება შემდგომში, იაკობ გოგებაშვილის აზრით, რუსეთთან მტკიცე ერთობის ვითარებაში უნდა წარიმართოს.

2. ქართველობა ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ააყვავოს და გაფურჩქნოს „ეროვნული ძალები“, გააძლიეროს „ეროვნული საძირკველი“ შეინარჩუნოს ეროვნული ერთობა.

„ეროვნული ძალების“, „ეროვნული საძირკვლის“ ცნებაში იაკობ გოგებაშვილი გულისხმობს ერის ცნებას. იძლევა ერის დამახასიათებელ ნიშნებს და განმარტავს ამ ნიშნების მნიშვნელობას ეროვნული აღორძინებისათვის. ერის საძირკველს, ი. გოგებაშვილის აზრით, ოთხი ბურჯი ამაგრებს; ტერიტორიული ერთობა, ეროვნული ენა, ეკლესია და სკრლა. საქმარისთა ერთ-ერთი ბურჯი „ეროვნული საძირკვლისა“ მოიშალოს, რომ ერი დაადგეს დეგრადაციის გზას, ეროვნული აღორძინება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ ოთხი ნიშნის განვითარების გარეშე.

ერის პირველ ბურჯს (ნიშანს) წარმოადგენს „ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო“. აქ, როგორც ვხედავთ, პირველი ნიშანი აერთიანებს განსხვავებულ ცნებებს. მაგრამ ეს შეცდომის შედეგი არაა. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ „ტერიტორია“ და „სამშობლო“ იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ. ლაპარაკობს რა „ტერიტორიაზე“, „სამშობლოზე“, იაკ. გოგებაშვილს მხედველობაში აქვს არა მართო გარკვეული გეოგრაფიული გარემო, სადაც დასახლებულია ერი. იგი წერს:

1. არხ. ჯორჯაძე, თხზ. ტ. I, თბილისი 1911 წ. გვ. 43.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, თბილისი, 1954 წ., გვ. 244.

„მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ“.¹ აქ იაკობ გოგებაშვილი გულისხმობს აგრეთვე ერის გარკვეულ ფსიქიკას, ეროვნულ ხასიათს.

როგორც ჩანს, გოგებაშვილი ეროვნული ხასიათის გამსაზღვრელ ფაქტორად ერის ტერიტორიასა და სამშობლოს ცნებებს მიიჩნევს და ჩვენი აზრით, ამაში არის გარკვეული ქვეშარტება. როდესაც ვლაპარაკობთ სამშობლოზე, მხედველობაში გვაქვს ის ადგილი, სადაც დაეიბადეთ, დავეყვაცოდით, გავიზარდეთ, სადაც უცხოვრიათ და უმოღვაწეაოთ წინაპრებს, სადაც ჩვენი აწმყოა და მომავალი. როგორც ვხედავთ, სამშობლოს ცნება გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოსთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ არის მისი იდენტური.

სამშობლო კიდევ რაღაც სხვა ატრიბუტებსაც გულისხმობს. ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მათ შორის ქართველი ნაციონალისტებიც (სოციალ-დემოკრატისტები, ანარქისტები), სწორ შემთხვევაში სამშობლოს ცნებაში გეოგრაფიულ გარემოს გარდა ეროვნულ სახელმწიფოს გულისხმობენ. ეს მცდარი აზრია. ჯერ — ერთი, ბურჟუაზიული სახელმწიფო ბურჟუაზიის კლასობრივი იარაღია, მიმართული მშრომელების წინააღმდეგ, ასეთ პირობებში, გარკვეული აზრით, მშრომელი მასები სამშობლოსაც კი კარგავენ. მეორეც, ავსტრო-უნგრეთი, მაგალითად, ერთ დროს ერთი სახელმწიფო იყო, მაგრამ მის შემადგენლობაში გაერთიანებული, ვთქვათ, ჩეხები, პოლონელები მას თავიანთ სამშობლოდ არ თვლიდნენ. ასეთ სახელმწიფოში მრავალი სამშობლოა, ხოლო თვით სახელმწიფო სამშობლოს არ წარმოადგენს. კიდევ მეტი. ასეთი სახელმწიფო სამშობლოს მტერიცაა. მესამეც, შეიძლება ვერს არ ჰკონდეს სახელმწიფო, მაგრამ თუ მას არა აქვს თავისი სამშობლო, იგი ვერც არ არ-

ის. არ არსებობს ისეთი ერი, რომელსაც არა აქვს სამშობლო. სწორედ ეს გარკვეული ნაწილი, როგორც ცნობილია, მოსწყდა თავის ტერიტორიას. მოსფელიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტა. მაგრამ მათ სამშობლოსადმი სიყვარული არ დაუკარგავთ. ისინი სამშობლოდ საბჭოთა სომხეთს თვლიან.

სამშობლოს ცნება, ტერიტორიული ერთობის გარდა, გარკვეული კულტურული ერთობის, ტრადიციების, ეროვნული თვითშეგნების ცნებასთანაა დაკავშირებული. ტერიტორიული ერთობა გულისხმობს იმას, რომ გეოგრაფიული გარემოს ამა თუ იმ ნაწილში დასახლებულია ესა თუ ის ერი. „სამშობლოს“ ცნებაში კი იგულისხმება ამა თუ იმ ეთნიკურ-ისტორიული ერთობის დამოკიდებულება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, გარემოს ერთ რომელიმე ნაწილთან. ამრიგად, სამშობლოს ცნება გულისხმობს არა მარტო ტერიტორიულ ერთობას, არამედ გარკვეულ ეკონომიურ-კულტურულ და ეთნიკურ-ფსიქოლოგიურ გარემოსაც.

საგულისხმოა, რომ სამშობლოს ცნება სახელმწიფოს ცნებას უახლოვდება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. სოციალისტური სახელმწიფო, კომუნისმის მშენებელი ხალხის სახელმწიფო თავისი შინაგანი სტრუქტურით საერთო-სახალხოა, იგი ეროვნული და სოციალური თანასწორ უფლებიანობის პრინციპზეა დაფუძნებული და პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ ერთობაში კრებს საბჭოთა ხალხს, როგორც ისტორიულ ერთობას. ამდენად, სახელმწიფო სამშობლოს ცნების იდენტური ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება სამშობლოს საზღვრები. დღეს რუსი, უზბეკი, უკრაინელი, სომეხი, ქართველი თავის სამშობლოდ თვლიან როგორც რუსეთს, უზბეკეთს, უკრაინას, სომხეთს, საქართველოს, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოსაც.

ახლა მოვუსმინოთ იაკობ გოგებაშვილს. მიწა-წყალი, მამული არა მარტო ნივთიერი ფაქტორია, იგი ...ამასთან

1. იქვე, გვ. 245

სულიერი, ცოცხალი არსებაა“. ამ ტერიტორიაზე „...ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია და იგი დაკარგავს არა მარტო ნიდაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულ სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“.¹

„სამშობლოს დამკარგველი ერი ვერ დაიცავს თავის არსებობას“, წერს იაკობ გოგებაშვილი და „სამშობლოში“ იგი გულისხმობს არა მარტო ერის ტერიტორიას, აგრეთვე ტერიტორიული ერთობისა და სამშობლოთი გაპირობებულ ერის ფსიქიკურ წყობას.

ეროვნული ერთობის მეორე ბურჯად იაკ. გოგებაშვილი ასახელებს მშობლიურ ენას. „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძღურდება, ღარიბდება“.²

ერის მესამე და მეოთხე ბურჯებად იაკობ გოგებაშვილი თვლის ეროვნულ სკოლასა და ეკლესიას.

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი იზიარებდა დარვინის მოძღვრებას. ამდენად ნატურფილოსოფიაში იგი შტკიცედ იდგა მატერიალიზმის პოზიციებზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ სფეროს ცალკეული მოვლენების სწორი მეცნიერული ანალიზი მოგვცა, იგი ძირითადად იდეალიზმის პოზიციებიდან უდგებოდა. იაკობ გოგებაშვილი შორს იყო ისტორიული მატერიალიზმისაგან. მის მსოფლმხედველობას მძიმე ტვირთად აწვა რელიგიური შეხედულებებიც. ამის გამო იაკობ გოგებაშვილი ერის ნიშნებად ისეთ ფაქტორებსაც ასახელებდა,

რომლებიც ან ზოგადი ნიშნის შემადგენელი ნაწილია ან კიდევ არა გამოდგება ერის ნიშნად.

ეროვნულ სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული აღორძინებისათვის, მაგრამ არა ნაკლებ როლს ასრულებს აქ, ვთქვათ, ლიტერატურა, ხელოვნება და საზოგადოებრივი შემეცნების სხვა ფორმები. თუ ეროვნული სკოლა ეროვნული ერთობის ბურჯია, რა დააშავა ეროვნულმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ და ა. შ.? იაკობ გოგებაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ვერ ამაღლდა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მარქსისტულ-ლენინურ გაგებაში. თუ არა ეს, მაშინ იგი ეროვნულ სკოლას ეროვნული კულტურის, როგორც ეროვნული ერთობის, ერთ-ერთი ნიშნის, ზოგად ცნებაში მოაქცევდა.

განსაკუთრებულ როლს ანიჭებს იაკობ გოგებაშვილი ეკლესიას, ქრისტიანულ რელიგიას. ქართული კულტურის განვითარებას იგი ქრისტიანულ რელიგიას უკავშირებს. ეკლესია თურმე არის „სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა“.¹ გულსტიკივლით აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი, რომ „სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველს მოსწავლეს არამც თუ არ უყვითარდება, არამედ უსუსტდება და უქნება“, ხოლო ქართული სარწმუნოების სასწავლებლები ვერ ზრდიან ერის მოთავე, მოაზროვნე ადამიანებს, რასაც, მისი აზრით, ეროვნული დეგრადაცია მოჰყვება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ აქ საქმე გვაქვს ქართული კულტურის განვითარების საქმეში ქრისტიანული ეკლესიის როლის გაზვიადებასთან. ქრისტიანულმა ეკლესიამ გარკვეულ პერიოდში მართლაც შეასრულა პროგრესული როლი ჩვენში, მაგრამ მანვე, აგ-

¹ იქვე, გვ. 245

² იქვე, გვ. 246.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ.3, გვ. 250, თბილისი, 1954 წ.

რთვე, შებოჭა, დაამუხრუჭა ხალხის სულიერი ზრდა. ქართული კულტურის გვირგვინი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იშვა გენიალური ნაწარმოები შუა საუკუნეებში რელიგიური მსოფლმხედველობის საპირისპიროდ. რუსთაველმა ადამიანი გაათავისუფლა რელიგიის მონობისაგან და აჩვენა მას ამ ქვეყნის რეალური ბედნიერება, დაამსხვრია ქრისტიანული გლეხის და საერთოდ რელიგიური მსოფლმხედველობის ბორკილები და საწყისი მისცა ჰუმანიზმის უკეთესობილეს იდეებს საქართველოში.

იაკობ გოგებაშვილი, აგრეთვე, არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხის რელიგიას წარმოადგენს არა მარტო მართლმადიდებლობა, არამედ კათოლიციზმი და მუსულმანური რელიგიაც. თუ მართლმადიდებლური რელიგიური ერთობა წარმოადგენს ქართველი ერის ნიშანს, მაშინ ვის მივაკუთნოთ ქართველი ერის ის გარკვეული ნაწილი (აქარლები, მაჰმადიანი ინგილოები, სამხრეთ საქართველოს კათოლიკე ქართველები), რომელიც ამ ერთობის მიღმა რჩება? რელიგიური ერთობის ნიშნის მიხედვით ისტორიულ-ეთნიკური ერთობების დანაწილება გაუმართლებელია როგორც ისტორიულად, ისევე მეცნიერულად.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილმა სცადა რა ეროვნული ერთობის ცნების გარკვევა, მოგვცა ზოგიერთი სწორი დებულება, მიუთითა ეროვნული ენის, ტერიტორიისა და ეროვნული ხასიათის ნიშნებზე, რომელთა გარეშე მართლაც არ არსებობს ეროვნული ერთობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის, რაც სწორი და მეცნიერული იყო იაკობ გოგებაშვილის ეროვნულ თეორიაში, გამოუყენებელი არ დარჩენილა მომდევნო თაობის სოციოლოგებისა და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ.

განსაკუთრებული რეაქციულობით ხასიათდებიან თანამედროვე ბურჟუა-

ზიული ეროვნული თეორიები. ასე, მაგალითად, ამერიკელი სოციალ-დემოკრატიული ცდილობს დაამტკიცოს, რომ არც ენა, ტერიტორია, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და არც სხვა რამ ამის მსგავსი, „არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს სავალდებულო ფაქტორს... ერის განსაზღვრისათვის“. ფრანგი სოციოლოგის ლორანის აზრით, „ერის ელემენტებს ერთ მთლიანში აერთიანებს ღმერთი, რომ ერის შექმნაში მონაწილეობს ზეციური საწყისი“¹. თანამედროვე ამერიკელი რასისტები საზოგადოების მამოძრავებელ ძალად რასებს შორის ბრძოლას მიიჩნევენ, მათ ეროვნული ცნება დაყავთ რასის ცნებამდე და აქედან გამოყავთ რეაქციული თეორიები „დაწინაურებული რასების“ შესახებ.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკითხს ერის რაობის შესახებ დასავლეთ გერმანიის თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასა და სოციოლოგიაში. ეს არ არის შემთხვევითი. ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემის „ახლებურად“ დამუშავების აუცილებლობა წამოჭრა ამ რევანშისტულმა პოლიტიკამ, რომელსაც დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ატარებდნენ.

რანეც სახელობის გერმანულ ისტორიკოსთა საზოგადოების წევრი პროფ. კლებელი თავის წერილში „იმპერია და იმპერიის იდეა“ ცდილობს გერმანული ერის ჩამოყალიბება, განვითარება და მომავალი დაუქვემდროს გერმანული იმპერიის არსებობას. იგი წერს, რომ გერმანული ერი ჩამოყალიბდა „პირველი გერმანული იმპერიის“ ეპოქაში. გერმანული იმპერია იყო ის ძალა, რომელმაც ერთ მთლიანობაში „შეკრა გერმანული ტომების ეროვნული თვითშეგნება“. „იმპერიამ წარმოქმნა ერი“, კიდევ მეტი. „იმპერია საფუძველი“ იყო და არის ერის ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისა.

¹ А. М. Архангельский, Племя, народность, нация. Москва, 1961.

კლემენტს თავისი დებულების დასამტკიცებლად ვერ მოჰყავს ვერც ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეკონომიური თუ ენობრივ-ეთნიკური ხასიათის არგუმენტი, რომელთა გარეშე შეუძლებელია ეროვნული კონსოლიდაციის სათავეების კვლევა-ძიება. იგი გერმანელი ერის გენეზისის გასარკვევად საკმარისად თვლის ორ ისეთ უმნიშვნელო ფაქტს, როგორცაა „პირველი გერმანული იმპერიის“ სახელწოდება და რომის პაპის გრიგორი XII გამოთქმა გერმანული ეროვნული თვითშეგნების შესახებ.

როგორც ცნობილია, ოტონ I მიერ 962 წელს შექმნილ იმპერიას XII საუკუნის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ეწოდება „წმინდა რომის იმპერია გერმანელი ერისა“. კლემენტს ეს სახელწოდება („გერმანელი ერისა“) საკმაოდ მიიჩნია იმისათვის, რომ გერმანელი ერის წარმოშობა იმპერიის წარმოქმნის ეპოქით დათარიღოს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პრეტენზიული სახელწოდება სრულად არ გამოხატავდა იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლითაც ხასიათდებოდა ეს იმპერია. იმპერიაში გერმანელი იმპერატორის სამხედრო ძალის ქვეშ ძალდატანებით იყვნენ გაერთიანებული ეკონომიური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი არა მარტო მონათესავე გერმანელი ტომები, არამედ ჩრდილოეთისა და ნაწილობრივ შუა იტალიის ეთნიკურად სხვა წარმოშობის ხალხებიც. ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სამეურნეო და პოლიტიკური დაქაჩვის სულობის გამო ამ იმპერიას არ გააჩნდა არა მარტო გამეერთიანებელი ეკონომიური ფუნქცია, არამედ პოლიტიკური ცენტრიც კი. რომ არაფერი ვთქვათ ჩრდილოეთ და შუა იტალიის ხალხებზე. გერმანელ ტომებსაც კი მათთვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებით, განსხვავებული დიალექტებით, კულტურითა და ყოფით არაფერი აე-

რთიანებდა, თუ არა გერმანელი იმპერატორის დიქტატი. თუმცა, როგორც ცნობილია, გერმანელი იმპერატორის არც ეს დიქტატი იყო მყარი. იმპერიაში გაერთიანებული ტომების შეურიგებელი ბრძოლა იმპერატორის წინააღმდეგ ხშირად ისეთ მწვავე ხასიათს იღებდა, რომ იმპერატორის სამეფო კარი ბანკროტის წინაშე დგებოდა.

XI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული საგრძნობლად ძლიერდება რომის პაპის ძალაუფლება. ამას ხელი შეუწყო ბურგუნდიასა და სამხრეთ იტალიაში მონაზვნად აღკვეცილი უმიწაწყო რაინდების მიერ გერმანელი იმპერატორისა და ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ დაწყებულმა მოძრაობამ (კლივიანელთა მოძრაობა), რომელიც მალე მთელ იმპერიას მოედო. რომის პაპმა, გრიგორი VII-მ, მონებრებულად ისარგებლა ამ მოძრაობით და, ეკლესიის ბატონობის განმტკიცების მიზნით, მას ე. წ. ინვესტიტურისათვის ბრძოლის მიმართულება მისცა. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი რეაქციული ძალა. გრიგორი VII გერმანელი იმპერატორის ჰენრი IV და ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყენებდა ყველა საშუალებას. იგი მომხრეებს ეძებდა ყველგან და, მათ შორის, ცხადია, გერმანელ ტომებშიც. ამ მიზნით ამ ტომებისადმი გაგზავნილ სპეციალურ მიმართვებში („პაპის დიქტატებში“) გრიგორი VII ხმარობს ცნებას „გერმანელები“, მაგრამ იგი აქ იხმარება როგორც გერმანელი ტომების (საქსები, შვაბები, ბავარიელები და სხვა) გამეერთიანებელი და არა ამ მათი ეროვნული ერთობის გამომხატველი ცნება. რომის პაპისათვის ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა იმ განსხვავებებს, რომლებიც გერმანელ ტომებს შორის არსებობდნენ, რადგანაც აღნიშნული სხვაობანი არ ასრულებდნენ არავითარ როლს პაპისა და იმპერატორის მომხრეთა გარჩევაში. იმპერატორისა და პაპის მომხრეები ისტორიულ-ეთნიკურ ერთობა-

თა ნიშნის მიხედვით არ იყოფოდნენ. და მართლაც, როდესაც რომის პაპმა ეკლესიიდან გარიყა პენრიხ IV, გამოიჩინა, რომ ეკლესიის მხარეზეა გერმანელთა ბევრი საფეოდალო. მათ ჯანყი მოუწყვეს „თავის“ იმპერატორს.

XI საუკუნეში არ არსებობდა გერმანელთა ეროვნული ერთობა. კიდევ მეტი. ამ პერიოდისათვის არ იყო დამოუკიდებელი გერმანელი ტომების ეროვნებაში კონსოლიდაციის პროცესიც კი. გერმანელი ეროვნების ჩამოყალიბებას მეცნიერება ათარიღებს XII საუკუნის დასასრულით, როდესაც საბოლოოდ დამკვიდრდა ამ ტომებში ფეოდალური ურთიერთობანი. საგულისხმოა, რომ XII საუკუნის შემდგომ ეპოქებშიც კი, შეიმჩნევა ეთნიკური, კულტურული თუ ენობრივი სხვაობანი გერმანელ ტომებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნისათვის გერმანელი ეროვნების ჩამოყალიბების საფუძველზე შემუშავდა ორი, მართალია, ერთმანეთისაგან სხვაობით აღნიშნული, მაგრამ მაინც ორი და არა მრავალი გერმანული ლიტერატურული ენა — ზემოგერმანული და ქვემოგერმანული, გერმანელი ტომები თითქმის ბისმარკის ეპოქამდე ერთმანეთისაგან განსხვავებული დიალექტებით სარგებლობდნენ. ერთიანი ეროვნული ენის უქონლობა კი, ცხადია, გამოიჩინა ხავს ერთიანი ეროვნების არსებობას.

სხვაობანი გერმანელ ტომებს შორის თავს იჩენენ ყოფისა და სულიერი კულტურის სფეროშიც. საგულისხმოა, რომ XII-XIII საუკუნეთა ისტორიულ ქრონიკებშიც კი, — მიუხედავად იმისა, რომ ეს ქრონიკები ერთიანი „ტევტონთა“ სამეფოს ოფიციალური დოკუ-

მენტებია, — გერმანელ „ტომებში“ (საქტები, ბავარები და შვაბები) ჩამოყალიბდნენ ხილულნი არიან არა როგორც გერმანელთა მონათესავე ტომები, არამედ როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ხალხები. ერი მყარი ისტორიული ერთობაა, დაფუძნებული ეკონომიურ, ენობრივ და კულტურულ ერთობაზე. XI საუკუნის ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობანი გამოიჩინა ახლანდელი სეიტი წინამძღვრების არსებობას. კიდევ მეტი: ეკონომიური, პოლიტიკური და ეთნიკურ-ენობრივი დაქუცმაცება ხელს უშლიდა გერმანელთა ეროვნების ჩამოყალიბების პროცესის დასრულებას.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება კლეგელის თეორიის უსუსურობა, მისი მეცნიერული უსაფუძველობა. მაგრამ თუ ასეთი თეორია მაინც პოპულარობს ნიადაგს დასავლეთ გერმანიაში, ეს იმიტომ, რომ მას გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს. სქემატურად ეს მიზანი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: იმპერიამ შექმნა გერმანელი ერი. პირველი იმპერია გერმანელთა ისტორიაში წმინდა რომის იმპერია იყო. გერმანელთა ერის ჩამოყალიბებაც ამ იმპერიის წარმოქმნით უნდა დათარიღდეს. იმპერიის პირობებში არა მარტო დაიწყო გერმანელი ერის აყვანი, იმპერიამ დაავაჟიკა იგი. გერმანელთა დიდება იმპერიების არსებობასთან იყო დაკავშირებული. იმიტომ გერმანიაში არასდროს არ უნდა მოკვდეს „იმპერიის იდეა“. გერმანელების ვალია, იბრძოლონ და „იმპერიის იდეა“ რეალობად აქციონ. აი, ეს რეაქციული, რევანსისტული სულიცვეთება, რომელიც ახასიათებს კლეგელის დოგმებს.

ნიკო ყიასაშვილი

შექსპირის შესწავლის საკითხი თანამედროვე ინგლისში

თანამედროვე შექსპიროლოგიური კვლევა-ძიება ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: შექსპირის ეპოქის, მისი თანამედროვეების, იმდროინდელი ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა დეტალური შესწავლისა და საყოთრივ შექსპირის შემოქმედების, მის დრამებში ჩაქსოვილი ჰუმანისტური შინაარსის გარკვევის მიმართულებით.

თავის მხრივ „შექსპირის გარემოს“ შემსწავლელი რამდენიმე მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას: სწავლობენ შექსპირისდროინდელი თეატრის აგების, მოწყობილობისა და მუშაობის თავისებურებებს, დრამატული დასების ორგანიზაციასა და ისტორიას, მსახიობების ბიოგრაფიებს, მათი შესრულების ინდივიდუალურ სტილს, თეატრის მაცურებლის სოციალურ შემადგენლობასა და გემოვნებას. ამის გარდა; სწავლობენ წიგნის ბეჭდვის ტრადიციებს შექსპირის ეპოქაში, ხელნაწერების მდგომარეობას, თანავეტორობის საკითხს; და ბოლოს, სწავლობენ იმდროინდელ მოდურ გართობებსა თუ ლიტერატურული გემოვნების სხვადასხვა გამოვლენებს და ბევრ სხვა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებს, რასაც ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ შექსპირული ფრაზის, ამა თუ იმ შექსპირული მხატვრული სახის გასაგებად თუ დასადგენად.

საგულდაგულო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „ანტონიოს და კლეო-

პატრას“ დადგმა, შექსპირის თეატრში, მაგალითად, არაერთარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, იმ დროს, როდესაც თანამედროვე რეჟისორსა და მხატვარს თავსატეხი პრობლემა აქვთ გადასატრელი: მართო მეოთხე მოქმედება ცამეტი სურათისაგან შედგება. შექსპირი პიესას მოქმედების ადგილის მიხედვით კი არ ჰყოფდა, არამედ მოქმედ პირთა თავშეყრის მიხედვით. შექსპირის დროს სპექტაკლის სურათები შეუწყვეტლივ მისდევდნენ ერთმანეთს. როდესაც რობერტ გრინის ერთ-ერთი გმირი წაეჩხუბება მეწაღეს და მას ქალაქგარეთ გაიწვევს, ეს უკანასკნელი თავს ანებებს სამუშაოს, პარტნიორთან ერთად მაცურებლისკენ წამოვა და იტყვის: „ახლა ჩვენ ქალაქგარეთ ვართ, რისი თქმა გსურდა?“

დღი ხანია ცნობილია, რომ შექსპირისდროინდელი თეატრისათვის უცხო იყო დეკორაცია, რომ სპექტაკლის მხატვრული გაფორმება მაშინ არ იცოდნენ და სხვა. მაგრამ ამ ზოგად წარმოდგენას მაშინდელი თეატრალური პირობითობების შესახებ ბევრი საინტერესო მხარე და დეტალი დეამატეს თანამედროვე შექსპიროლოგებმა.

ბუტაფორია და რეკვიზიტი, მუსიკალური გაფორმება, კოსტუმები და ბევრი სხვა მომენტი გატყვეულ როლს ასრულებდა არა მართო სპექტაკლის შექმნაში, არამედ თვით პიესის (როგორც სწორედ ასეთი სპექტაკლისათვის გა-

მიზნული პიესის) დაწერაშიც. ამდენად ამ მომენტების შესწავლას მნიშვნელობა ენიჭება შექსპირის მხატვრულ თავისებურებათა გასარკვევად.

მთელ რიგ თეატრალურ პირობითობათა გვერდით, შექსპირისდროინდელ მაცურებელს თურმე საოცარი მოთხოვნილება ჰქონდა ზოგჯერ რომელიმე დეტალი სცენურ გაფორმებაში უაღრესად ბუნებრივი, ყოველგვარი პირობითობისაგან თავისუფალი ყოფილიყო. ზოგიერთი სცენური ეფექტის მისაღწევად მაშინდელი „რეჟისურა“ მიმართავდა ისეთ ზერბებს, რომლებიც მე-19 და მე-20 საუკუნეების ყველაზე მკვეთრად გამოვლენილი ნატურალისტური მიმართულების თეატრებს გააკვირვებდა. ერთი ნიურნბერგელი დრამატურგის (რომელსაც იმ ხანებში გერმანიაში ნამყოფი ინგლისური თეატრის დიდი გავლენა ეტყობა) პიესაში გვხვდება ადგილი, რომლის წარმოდგენისას სპეციალური მოწყობილობის საშუალებით სცენაზე ნამდვილი წვიმა მოდიოდა და მსახიობი თავიდან ფეხებამდე ნამდვილად იწუწუებოდა. ზოლო ჯორჯ პილის „ალკაზარის ბრძოლის“ დადგმისთვის განსაზღვრული რეკვიზიტის სიაში შეტანილი იყო „სამი ბოთლი სისხლი“ და „ცხვრის ჯივარი“.

არც მსახიობის კოსტუმი ატარებდა პირობით ხასიათს. თეატრს აპარტიდნენ დროისა და ადგილის გამომხატველ საშუალებათა ყოველნაირ პირობითობას, სიღარიბეს, მაგრამ მსახიობს არ ებატებოდა რაიმე დაუდევრობა კოსტუმის ხარისხისა და მისი ტარების მხრივ. მაშინდელი თეატრალური კოსტუმი არაფრით არ განიჩივოდა (და ხშირად უფრო საზეიმო და მდიდრულიც კი იყო) ჩვეულებრივი, ცხოვრებაში ხმარებული ტანსაცმლისაგან. თეატრში ხმარობდნენ მდიდრულ ხავერდსა და ატლასს, აბრეშუმს, ოქროთი მოვარაყებულ მოსართავეებს, ოქრომკედით ნაქსოვ სხვადასხვა ძვირფას ქსოვილს.

შექსპირისდროინდელი მაცურებლის ასეთი გატაცება მდიდრული, დახვეწილი ჩაცმულობით, ბუნებრივია, ხელს

უწყობდა პიესების გმირების ტანსაცმლის ერთგვარ მოდერნიზებას. მაცურებელს ერჩია თავისი თანადროული ქუდიური კოსტუმები ეხილა, რის გამოც ხშირად ზუსტად არ იცავენ ისტორიულ კოლორიტს. და საინტერესო ის არის, რომ მაცურებლის ასეთი მოთხოვნილება—ენახა ისტორიული გმირები თანამედროვე გარეგნობით, ზედმიწევნით ემთხვევა თვით დრამატურგის განზრახვას ისტორიული წარსულის პოლიტიკური პერიპეტივების აღწერაში თავისი ქვეყნის აწმყოს რეალისტური სურათები ჩაექსოვა და გარკვეული დროით დაშორებული ეპოქის და რომელიმე შორეული ქვეყნის წარმომადგენელთა ხასიათებისათვის საკუთარი ეპოქისა და საკუთარი ქვეყნის მკვიდრთა სულისკვეთება და მისწრაფებანი შთაებრა.

პერის სიმპსონმა 1911 წელს გამოაქვეყნა შრომა, რომელსაც მეტად უპრეტენზიო სათაური აქვს: „შექსპირული პუნქტუაცია“. თითქოსდა ამაზე მოსაწყენ თემას ძნელად ეპოვიდა შექსპიროლოგი-მკვლევარი. სინამდვილეში კი წიგნი ახალი შექსპიროლოგიური კვლევა-ძიების საინტერესო ნიმუში აღმოჩნდა: ავტორმა დაადგინა, რომ პუნქტუაცია შექსპირის თხზულებათა თავდაპირველ გამოცემებში დრამატული ფუნქციის მატარებელი იყო და არა გრამატიკულის. ამოთ შექსპირის დიალოგების ბევრი ინტონაციური თავისებურების ახსნა შეიძლება.

დიდად შეუწყო ხელი შექსპირის ბიოგრაფიის შესწავლას იმ მდიდარი ისტორიული დოკუმენტების თანდათანმა გამოშვეურებამ, რასაც ერთი შეხედვით პირდაპირი კავშირი არც გააჩნდა დრამატურგის ცხოვრებასთან. იმავე 1911 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემლობამ გამოაქვეყნა ჯონ დოვერ უილსონის წიგნი „ცხოვრება შექსპირისდროინდელ ინგლისში“. დოვერ უილსონი მხოლოდ და მხოლოდ შემდგენლის როლში გამოდის: მან შეაგროვა

და გამოსცა ელისაბედისდროინდელი პროზაიკოსების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების ფრაგმენტები. მაგრამ ამ ნაწარმოებში მოცემული ისტორიული მასალის სათანადო დალაგებით, მათში ერთიანი ისტორიული თვალსაზრისის გატარებით უილსონი უმალ ავტორის პოზიციას ამჟღავნებს, ვიდრე უბრალო შემდგენლისას. ეს წიგნი დღემდე არა ერთხელ გამოიცა.

ელმუნდ ჩეიმპერსმა 1930 წელს გამოაქვეყნა ორტომიანი მონოგრაფია — „უილიამ შექსპირი“, რომელიც შექსპირის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხს აშუქებს. ეს ფუნდამენტური შრომა ყველა შექსპიროლოგისათვის ფასდაუფებელი წყაროა.

ჩვენს დროში უკვე თითქმის გამოირცხულია რაიმე ახალი ფაქტობრივი მასალის მოძებნა შექსპირის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, ყველაფერი გულმოდგინედაა შესწავლილი მკვლევარების მიერ. ერთადერთი სფერო, რომელშიც შექსპიროლოგები ასე თუ ისე „თავისუფლად გრძნობენ თავს“ — ეს შექსპირის გარემოს, მისი ნაცნობ-შეგობრების, იმდროინდელი ინგლისური საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლებისადმი მისი დამოკიდებულების შესწავლაა. აქ არამც თუ არ არის გამოირცხული რაიმე ახალი ფაქტების მოძებნა, არამედ საფიქრებელია, რომ შექსპირის შემსწავლელ მეცნიერებას ყველა შესაძლებლობა არც კი ამოუწურავს.

გარდა დოვერ უილსონის მეთოდისა — აღორძინების ეპოქის ლიტერატურული მასალების მეშვეობით, შექსპირის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი შეხედულებების თითქოსდა „გარედან“ გაშუქება — არსებობს აგრეთვე ისეთი მეთოდი, რომლის თანახმადაც ძირითადი ყურადღება თვით შექსპირის შემოქმედებას ეთმობა (ე. ი. ედილობენ, თუ შეიძლება ითქვას, ავტორის სახე „მიგნიდან“ გახსნან, შექსპირის ბიოგრაფია მისივე ნაწარმოებებში ამოიკითხონ).

ამ მხრივ, ბუნებრივია, ყველაზე დიდ

მნიშვნელობას ანიჭებენ შექსპირის ნაწარმოებებში გაბნეულ ჯერ კიდევ ამოუკითხავ ავტობიოგრაფიულ მომენტებს.

თავისთავად ეს მეთოდი ახალი არ არის. ძველი სკოლის მკვლევარებმაც ხშირად მიუმართავენ შექსპირის დრამებისა და სონეტებისათვის, რათა მათში გაბნეულ ცალკეულ მინიშვნებებსაგან რაიმე მწყობრი ბიოგრაფიული ქარგა დაეხატათ. ასეთ კვლევას ხშირად ის შედეგი მოსდევდა, რომ უდიდესი მნიშვნელობის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემები, რომლებიც შექსპირის შემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით წამოიჭრებოდა ხოლმე, ხშირად რომელიმე კონკრეტული ბიოგრაფიული მომენტით აიხსნებოდა. თვით ჰამლეტური პრობლემატიკის წარმოშობაც კი, ამ მკვლევარების მიხედვით, მხოლოდ დრამატურგის პირადი ცხოვრების მოუწყობლობით უნდა ახსნილიყო.

ასეთსავე „მექანიკურ კავშირს“ დრამატურგის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის ეძებს თანამედროვე ინგლისელი კრიტიკოსი-თეატრისმკოდნე აივორ ბრაუნი. წიგნში „შექსპირი საკუთარ ეპოქაში“ ბრაუნი მეტისმეტად აუბრალოებს შექსპირის სულიერი სამყაროს გახსნის ამოცანას. იგი დრამატურგის პერსონაჟების სიტყვებში უშუალოდ ავტორის განცდებს ხედავს: „წარმოიდგინეთ — თუ როგორ ჩურჩხულდნენ პოეტის ბაგენი მსგავს სიტყვებს, როცა იგი ჰამლეტის (ჰამლეტი შექსპირის ვაჟს ერქვა. ნ. ყ.) საფლავისაკენ გაისერიანებდა ერთ-ერთ ზაფხულის დღეს, ეივონის მახლობელ სასაფლაოზე“. ასეთი გამოთქმები უხვად გვხვდება ბრაუნის წიგნში. მართალია, სარედაქციო შენიშვნაში აღნიშნულია, რომ წიგნი სასარგებლო იქნება უფროსი კურსის სტუდენტებისათვის, მაგრამ, როგორც წიგნის ერთერთმა რეცენზენტმა მოსწრებულად თქვა, „იმ დროისათვის, როცა სტუდენტები „უფროს“ კურსებზე გადავლენ, ისინი იმაზე უფრო მაღალდონეზე აღმოჩნდებიან. სადამდეც მათი აყვანა შეეძლო აივორ ბრაუნს“.

შექსპირის ცხოვრების შესწავლისადმი ასეთი მიდგომა დრამატურგის ცალკეული ფრაზის, სიტყვის, მთელი პიესის უაღრესად სუბიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ზოგჯერ მკვლევარები და კომენტატორები აპარბებენ, როცა ცდილობენ შექსპირის ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას რაიმე ორიგინალური განმარტება მისცენ. ცნობილ 107-ე სონეტში, მაგალითად, ნათქვამია: „გადაიბანა დაბნელება მოკვდავმა მთვარემ“. ამ ფრაზის ირგვლივ მთელი „თეორიები“ შეიქმნა: ზოგი ვარაუდობს, რომ აქ შექსპირი დედოფალ ელისაბედის ხნოვანებას გულისხმობს (სამოც წელს გადასცდაო). ზოგიც ფიქრებს, რომ სონეტში უძველეს არამდაბნე გამარჯვება იგულისხმება და სხვ.

გაზეთ „ტიმისის“ 1963 წლის 26 სექტემბრის ნომერში ბერნარდ ლევინი სრულიად ლოგიკურად ეკითხება რედაქციას: „იქნებ ვინმე ამიხსნის, რატომ არის გამორიცხული, რომ შექსპირი ზუსტად იმას გულისხმობს, რასაც ამბობს და სონეტში სწორედ მთვარის დაბნელებაზეა ლაბარაკი და სხვა არაფერზე“. სულ სხვა საკითხია ხალხის ყოფაში თუ მეტყველებაში ისეთი მობენტების შესწავლა, რომლებსაც შეუძლია ნათელი მოფინოს შექსპირის მიერ ნახმარ ამა თუ იმ სიტყვას, ან მთელ გამოთქმას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამერიკელი კლეტუს ოკლეი ჩრდილო ირლანდიაში მოგზაურობისას წააწყდა ორიგინალურ ხალხურ საკრავს—გულდასტვირის ნაირსახეობას, რომელსაც შემორჩენილი აქვს გალური სახელი „უილენ“. ოკლეის ახსოვდა ერთი ადგილი შექსპირის „ვენეციელი ვაჭრიდან“, სადაც შეილოკი გულდასტვირის უწოდებს „ვულენ ბეგაიპ“ (ე. ი. მატყლის სტვირს).

შექსპიროლოგი-კომენტატორები დიდი ხანია იმტკბებიან თავს ამ უცნაური სახელის გასაშიფრავად. ზოგი ვარაუდობდა, რომ სტვირის გულდას საერთოდ მატყლის ქსოვილში ახვევდნენ ხოლმე

და შექსპირიც იმიტომ ხმარობს „მატყლის გულდასტვირსო“.

ერეკენული

კლეტუს ოკლეი სრულიად ლოგიკურად ასკვნის, რომ შექსპირი ხმარობს საკრავების ძველებურ სახელწოდებას „უილენ“, რომელიც ფონეტიკურად ძალიან წააგავს სიტყვას „ვულენ“ („მატყლისა“). მართლაც ადგილი წარმოსადგენია (და, რაც მთავარია, მეტად დამახასიათებელია შექსპირისათვის), რომ დრამატურგს ინგლისური ასოებით გამოეხატა მის მიერ ხალხში გაგონილი ძველი გალური სახელის ბევრითი ხმოვანება.

სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დღესდღეობით ინგლისში, უელსში, შოტლანდიაში და ჩრდილო ირლანდიაში ხალხი თავის ყოველდღიურ ყოფაში ბევრ ისეთ „საიდუმლოებას“ ინახავს, რაც შექსპიროლოგი-კომენტატორებისათვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს დიდი დრამატურგის ჭერ კიდევ ბევრი ბუნდოვანი სიტყვისა და გამოთქმის ამოხსნისათვის.

ინგლისში უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც აღარ დაწერილა ღრმა კრიტიკული ანალიზისა და ფილოსოფიური განზოგადოების შემცველი წიგნი შექსპირის შემოქმედებაზე. ამჟამად დასავლეთში ბევრს წერენ შექსპირზე, მაგრამ ამ ნაწერებში სულ უფრო და უფრო ხშირად გამოსჭვივის რიდი და შიში იმის გამო, რომ მკითხველს „თავი არ მოაბეზროს“ და მოსაწყენ პოლემიკაში არ გადაიჩეხონ.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ადრეული შექსპიროლოგიური შრომებისადმი ინტერესის გაზრდა. უკანასკნელ წლებში ხელმეორედ გამოიცა ბრელისა და დოვერ უილსონის შრომები.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში დიდად განვითარდა შექსპიროლოგიის ის დარგი, რომელიც დრამატურგის მხატვრული ოსტატობის კონკრეტულ მომენტებს სწავლობს. 1934 წელს გამოქვეყნდა კაროლაინ სპერჯენის „შექსპირის მხატვრული სახეები“, რომელსაც დღემ-



დე იყენებენ შექსპირის სტილზე მუშაობისას.

იმ მრავალრიცხოვანი შრომებიდან, რომელთა მიზანს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგადი განხილვა შეადგენს, ყურადღების ღირსია 1953 წელს ინგლისში გამოცემული მ. რიიზის წიგნი „შექსპირი, მისი სამყარო და შემოქმედება“. რიიზმა თავი მოუყარა და განაზოგადა შექსპიროლოგების მიერ ათეული წლობით დაგროვილი ბიოგრაფიული მასალა, ცნობები ინგლისური რენესანსული თეატრის შექმნისა და შექსპირისდროინდელი სასცენო ხელოვნების ჩამოყალიბების ისტორიიდან. რიიზმა მოახერხა ყოველივე ამის პოპულარული ენით გადმოცემა ისე, რომ ამავე დროს მასალისადმი ღრმა ისტორიული მიდგომა შეენარჩუნებინა.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც აინტერესებთ როგორც დასავლეთის შექსპიროლოგებს, ისე საბჭოურ მკვლევარებსაც — არის საკითხი შექსპირის რეალიზმის თავისებურებათა შესახებ.

კამათი იმის თაობაზე — წარმოადგენს თუ არა შექსპირის შემოქმედება რეალისტური ხელოვნების ნიმუშს — მოძველდა თვით დასავლეთშიც კი. პროფესორი რიიზერი, მაგალითად, შექსპირის ტრაგედიების შესახებ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ წიგნში აღნიშნავს, რომ იგი ეთანხმება იმათ, ვინც შექსპირის შემოქმედებას რეალისტურს უწოდებს. მაგრამ იგივე რიიზერი სრულიად სამართლიანად მოითხოვს, რომ შესწავლილ იქნეს შექსპირის რეალიზმის თავისებურებანი, რაც პრინციპულად განსხვავდება უფრო მოგვიანო ეპოქების მწერლების რეალიზმისაგან.

უნდა ითქვას, რომ ეს, ერთი შეხედვით ცხადზე უცხადესი ელემენტარული ჭეშმარიტება ყოველთვის არ ახსოვთ არც შექსპირის მხატვრული მეთოდის კვლევისას და არც ამა თუ იმ თანამედროვე თეატრში შექსპირის რეპერტუარზე მუშაობისას.

შექსპირის რეალიზმის თავისებურე-

ბათა გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ინგლისური რენესანსული თეატრისა და დრამატურგის, ისე შუასაუკუნეებრივი თეატრალური ტრადიციების ყოველმხრივ შესწავლას. მეტად საინტერესო გამოკვლევა ამ დარგში ეკუთვნის ს. ლ. ბეთელს, რომელმაც 1944 წელს დასწერა შესანიშნავი წიგნი „შექსპირი და ხალხური თეატრალური ტრადიცია“. წიგნს წინასიტყვაობა ცნობილია ინგლისელმა პოეტმა ტომას ელიოტმა დაურთო.

ბეთელი გულდასმით სწავლობს შექსპირის პიესებში პირობითობათა ყოველწიარ გამოვლინებებს, მაგრამ, ამავე დროს, წიგნს არ ტვირთავს მაგალითებითა და საილუსტრაციო მასალით. ავტორი ახერხებს ამ პირობითობათა ირგვლივ გაშლილ მსჯელობის განზოგადებას და მათი მეშვეობით შექსპირის მხატვრული მეთოდის ზოგიერთი თავისებურების დადგენას.

ინგლისური შექსპიროლოგიისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი შექსპირის შემოქმედების „მორალური ბუნების“ ხაზგასმა, შექსპირის დრამებში გარკვეული ზნეობრივი პრინციპებისა და თვალსაზრისის ამოკითხვა. ინგლისური ლიტერატურისმცოდნეობა მუდამ ცდილობდა დიდი დრამატურგის მორალური კონცეფციის მეცნიერული ახსნა მოეძებნა. მაგრამ ეს შექსპიროლოგები ხშირად რალაც განყენებული, ზოგადკაცობრიული და ზოგჯერ ზედამიანური მორალის შესახებ იწყებენ მსჯელობას და ახალს არაფერს ამბობენ შექსპირის შემოქმედების თავისებურებების შესახებ.

ჯონ ვივიენი, მაგალითად, თავის ახალ წიგნში — „შექსპირული ეთიკა“ ერთგვარი პათოსით აცხადებს: „შექსპირის მთელს შემოქმედებაში სიყვარულია ის ვარსკვლავი, რომლის მიხედვითაც კურსი უნდა აიღონ მისმა გმირებმა. როცა ისინი ამას არ აკეთებენ, მათი ცოდნა და ძალა იწვევს ქარიშხალს, რომელიც მათ უბედურებისაკენ მიიქაჩენებს.“

ავტორის ამ მსჯელობას ვერც დაეთანხმები და ვერც ეკამათები, რადგან იგი საერთოდ არაფერს ამბობს: რა თქმა უნდა, სიყვარული, თუკი მას ყოვლისმომცველ ადამიანურ გრძნობად წარმოვიდგენთ (სიყვარული ქალის, მეგობრის, ახლობლის, სამშობლოს და სხვ.)—ნებისმიერი მწერლის შემოქმედების საფუძვლად გამოდგება. ასეთი მსჯელობა ახალს არაფერს მატებს შექსპირის შემოქმედების სპეციფიკის დადგენის საქმეს. და თუ ჯონ ვიეინის მსჯელობაში სამიჯნურო ტრფიალი იგულისხმება (რასაც კიდევ უფრო დაბეჭითებით ადასტურებს მისი მეორე წიგნი— „შექსპირი და სიყვარულის ვარდი“), მაშინ შექსპირის შემოქმედების იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა მეტად იზღუდება. როგორღა იხსენება მაშინ ჰამლეტის, მაკბეტის, კორიოლანოსის ხასიათების ტრაგიკული კოლიზია?!

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო უდიდესობას წარმოადგენს 30-იანი წლების ინგლისელ მარქსისტ ლიტერატორთა შეხედულებანი, რომელთა მიხედვითაც თითქოს არავითარი ზოგად-კაცობრიული, აბსტრაქტული მორალი არ არსებობს, თითქოს ყოველი მწერალი მხოლოდ გარკვეული კლასობრივი პოზიციებისა და კლასობრივი ინტერესების გამომხატველია.

ამ მიმართულების ინგლისელი კრიტიკოსები ძლიერ გავლენას განიცდიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა შექსპიროლოგისა, რომელშიაც იმ წლებში ბატონობდა ეულგარიზატორული, სოციალოგიკური შეხედულებები საერთოდ ლიტერატურაზე და კერძოდ შექსპირის შემოქმედებაზე.

მაღალი შეფასება მიიღო დასავლეთის პრესაში 1955 წელს გამოცემულმა წიგნმა შექსპირის ტრაგედიის შესახებ, რომლის ავტორია რობერტ სპეიტი.

წიგნი ფაქტობრივად ცალკეული ნარკვევებისაგან შედგება. ეს ნარკვევები ეყრდნობა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს წაკითხულ ლექციებს „ჰამლეტზე“, „მაკბეტზე“, „ოტელოზე“, „მეფე

ლირზე“, „ანტონიოს და კლეოპატრაზე“ და „ქარიშხალზე“.

წიგნის ძირითადი მიზანია, რომ მასში მოცემულია იმ შექსპირული გმირების ხასიათთა საინტერესო ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელთა სცენურ განსახიერებაზეც უმუშავია სხვადასხვა დროს თვით ავტორს, როგორც მსახიობსა და დამდგმელს.

მთელი რიგი საინტერესო აზრებისა და დაკვირვებების მიუხედავად, სპეიტის წიგნი მაინც არ წარმოადგენს შექსპირის დრამების ღრმა ანალიზის შემცველ შრომას, მასში არ ჩანს ავტორის მწიგნობრივ და თანმიმდევრულ კრიტიკული კონცეფცია. სპეიტი თავს აშკარად ვერ ართმევს ჰამლეტური პრობლემატიკის კვლევას. მისი აზრით ჰამლეტი საკმარისად ტრაგიკული ფიგურაც კი არ არის პიესაში. არისტოტელეს პოეტიკის მომარჯვების შემდეგ, სპეიტი შენიშნავს, რომ ქეშმარიტი ტრაგიზმი ჰამლეტის წინააღმდეგობრივი ნატურისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ კლავდიუსისათვის, რომელიც სულიერ ტანჯვას განიცდის, ხოლო სულიერი ტანჯვა არისტოტელეს მიხედვით მაღალ ტრაგიკულ განწყობდას (კათარზისს) ემსახურება.

კლავდიუსი რომ სქემატურად არ არის დახატული და რომ შექსპირი მუდამ ადამიანურ საწყისს ეძებს თვით ყველაზე მდაბალ ბოროტმოქმედშიც კი უფლებას და სიბაბს არ გვაძლევს ვამტიკოთ, თითქოს კლავდიუსი ჰამლეტზე უფრო ტრაგიკულ ფიგურად წარმოგვიდგება (თუნდაც პოეტიკის განყენებული პრინციპების მიხედვით). სულიერი კათარზისი, რომელსაც მყურებელი განიცდის სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სწორედ ჰამლეტის ტრაგედიის ესთეტიკური ზემოქმედების შედეგია. ის ვინც „ჰამლეტში“ დანიელი უფლისწულის ტრაგიკულ ფიგურას ვერ დაინახავს, რა თქმა უნდა, ვერც ჰამლეტური პრობლემატიკისა და მთლიანად შექსპირის შემოქმედების არსს ჩასწვდება.

ამას თითქოს თვითონ სპეიტიც

გრძობს და ცდილობს შექსპირის გენიალურ ქმნილებას რაიმე მხატვრული ნაკლი გამოუძებნოს, რათა ამით „ახსნას“ თითქოსდა პიესაში დანახული შეუსაბამობა გმირის ხასიათის ხატვაში.

წიგნის ავტორის აზრით, „ჰამლეტის“ ძირითადი ნაკლი ისაა, რომ შექსპირმა თითქოს მიზნად დაისახა არა ტრაგიკული კოლოზიის ობიექტური ჩვენება, არამედ მის შესახებ მოცულა ჰამლეტის თვალსაზრისით, ჰამლეტისა, რომელიც, სპეციტის მტკიცებით, „პირველი ნევრასთენიული ხასიათია დასავლეთის ლიტერატურაში“, რომლის უციდურესი სუბიექტივიზმი თითქოს განსაზღვრავდეს მის უძლეურებას ბოროტებასთან ბრძოლაში.

„ჰამლეტი“ — წერს სპეციტი — არ არის შექსპირის საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, არც პოეტურობითა და არც სხვა მხატვრული ღირსებებით. მაგრამ თანამედროვე ადამიანისათვის იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამაღლებული ქმნილებაა. უფლისწული, რომელსაც ფორტინბრასის ჯარისკაცები პატივით მიასვენებენ ციხის გაღავნისაკენ — მკვდარი, მაგრამ არა ბრალდებული. მან ოთახიდან ახლად გასულივით რაღაც ზღაპრული სურნელება დასტოვა. ეს მხოლოდ მარცხია, ყველაზე საშინელი და მომხიბლავი მარცხი, როგორც კი ახსოვს ლიტერატურას... გარკვეული თვალსაზრისით ჰამლეტი ტრაგიკული ფიგურაა. მაგრამ ის არა იმდენად თვითონაა ტრაგიკული, რამდენადაც თავის თავში შეიცავს მის მომდევნო დრამატული საბუთების ტრაგიკულობის შესაძლებლობას. მისი ნაკლოვანებებისა და ინტელექტუალური აშლილობის ბრალია მკაცრების დანაშაული და ღირის კაპრიზები. და პროსპეროს ზეადამიანური ნებისყოფა და ზებუნებრივი ინტელექტი იქნება საკირო, რათა ადამიანს მისი გონება დაუბრუნდეს“.

ამ დასკვნაში ორი მომენტია აღსანიშნავი: ჯერ ერთი უტოპიური იდეალი, რომელიც შექსპირის უკანასკნელი დრა-

მის „ჰარიშხლის“ გმირის სახეშია ჩატყვილი — ჰამლეტის დიდების პასუხადაა გამოცხადებული, დღე მთელი და დასმულია წერტილი იქ, სადაც, კაცმა რომ სთქვას, ავტორს არსებითად უნდა დაეწყო მსჯელობა ჰამლეტის ხასიათის ტრაგიკული სიდიადის შესახებ.

„ჰარიშხალი“ ფაქტიურად ჰამლეტური პრობლემებიდან გაქცევაა ზღაპრულ უტოპიაში, სადაც ყველაფერს ზებუნებრივი პარაფიზიკა აწონასწორებს. არც ჰამლეტური ინტელექტის დაძაბული შინაგანი ბრძოლა, არც ოტელოს სულში ამბოხებული ადამიანური გრძობათა ჭაოსი, არც ბოროტების ჩასადენად წარმართული შინაგანი ტიტანიზმი მკაცრების ხასიათისა — არ წარმოადგენს მეტაფიზიკური ბრძოლის გამოხატულებას სიყვითისა ბოროტებასთან, ან ზებუნებრივისა არაზებუნებრივთან. თვით პროსპეროს ჯადოსნურ კვერთხსაც კი არ ძალუძს იმის შეკერა და თავმოყრა, რაც შექსპირის თვალწინ უღმობელად იშლებოდა ახალი საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა გამო.

ჰამლეტის მარცხი — პიესა „ჰამლეტის“ მარცხი როდია. მხატვრული სახის წინააღმდეგობრივი ბუნება დრამატურგის მხრივ სინამდვილის შემოქმედებითი გააზრების შედეგია და არა შემოქმედებითი მარცხისა. მით უმეტეს, ამა თუ იმ დრამატული სახის წინააღმდეგობრივი ბუნება არ შეიძლება შეიქნეს მიზეზი დრამატურგის სხვა გმირების ხასიათთა ახალი წინააღმდეგობებისა. რაც არ უნდა ლამაზად ეღერდეს სპეციტის მიერ გამოვლენილი ერთი ძველი შექსპიროლოგის ხატოვანი თქმა, რომ შექსპირის მიერ შექმნილი გმირთა შორის მხოლოდ ჰამლეტი შესძლებდა შექსპირის პიესების დაწერას — ეს მაინც მხოლოდ ხატოვანი თქმაა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარლოუს გმირთაგან მხოლოდ ფალსტი (და არა თემურ-ლენგი, ან ბარაბა) შესძლებდა მარლოუს დრამების დაწერას.

არანაკლებ წინააღმდეგობრივი და საკამათოა ჯ. ლოულორის წიგნი —

„ტრაგიკულის შეგრძნება შექსპირის შემოქმედებაში“.

ბევრი საკამათო დებულება გვხვდება პროფ. ლოულორის წიგნში, მაგრამ აღენიშნაეთ მხოლოდ, რომ ავტორის ძირითადი მოსაზრება ტრაგიკულის არსის შესახებ შექსპირის შემოქმედებაში — გამოხატავს დასავლეთის შექსპიროლოგიის ახლანდელ ღრმა პესიმიისტურ კონცეფციას, საერთოდ. წიგნის შესავალში ლოულორი აღნიშნავს, რომ ძირითადი ჰემმარიტება, რისკენაც შექსპირის შემოქმედებითი წარმოსახვა მიიწრაფვის... „მთის მწვერვალები კი არაა, რომლისკენაც მზერას მიაპყრობს მოგზაური, არამედ უმაღლეს კლდეებია, რომელთაც ცდილობს ხელი წაატანოს წყალწაღებულმა ადამიანმა“.

სულ უკანასკნელ დროს კიდევ ერთი შექსპიროლოგიური შრომა გახმაურდა ინგლისში. ეს იყო 1963 წელს გამოცემული „უილიამ შექსპირი“ დოქტორ როუზისა.

როუზმა თავისი შრომის ძირითადი დებულებები წიგნის გამოცემამდე გამოაქვეყნა გაზეთ „ტაიმსში“.

ავტორი შესანიშნავი ისტორიკოსია. იგი კარგად იცნობს შექსპირის ეპოქას და მისი მიდგომა დრამატურგის ცხოვრებისადმი ამ მხრივ საგრძნობლად გამოიჩინა შექსპირის ბიოგრაფიის იმ შემსწავლელთაგან, რომელთაც აკლიათ ხოლმე ისტორიის ღრმა, ყოველმხრივი ცოდნა.

მაგრამ, დამსაზრებულ ქებასთან ერთად, ინგლისური პრესა სამართლიანად მიუთითებს წიგნის ნაკლოვანებაზეც: ავტორმა შექსპირის სონეტების სრულიად ახლებური ინტერპრეტაციის მეტად დიდი პრეტენზია განაცხადა. იგი არ მალავს თავის აღტაცებას ამა თუ იმ ფაქტის „აღმოჩენის“, „დადგენის“, „დღის სინათლეზე გამოტანის“ გამო. სინამდვილეში კი როუზი ხშირად მხოლოდ ძველი ჰემმარიტების ახლებური არგუმენტაციას იძლევა.

უნდა აღინიშნოს როუზის წიგნის ერთი დიდი ღირსება: იგი შესანიშნავი ენ-

ითაა დაწერილი და წმინდა მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე მკითხველზე გარკვეულ ემოციურ ზეგავლენასაც ახდენს. მაგრამ ამ ღირსებამ ვერ დაფარა წიგნის მეცნიერული ხარვეზები. როგორც ღრმად მოხუცებული დოკტორ უილსონი აღნიშნავს, როუზის კონცეფცია ძირითადად მოძველებულ შექსპიროლოგიურ შრომებს ეყრდნობა: (სიდნეი ლისა და ნაწილობრივ ალექსანდერის). ამის გარდა, მსოფლიო მეცნიერი სამართლიანად საყვედურობს დოქტორ როუზს, რომ იგი არც ერთხელ არ იხსენებს ედმუნდ ჩეიმბერსის შრომებს. ჩეიმბერსს თავის კაპიტალურ შრომებში „შუასაუკუნეების სცენა“ (ორი ტომი), „ელისაბედის დროინდელი სცენა“ (ოთხი ტომი) და „ცხოვრება უილიამ შექსპირისა“ (ორი ტომი) მრავალი ისეთი საკითხი აქვს გაშუქებული, რომელთა კვლევა დაუსაზღვრებლად დოქტორ როუზს. და რადგან ამ საკითხების კვლევისას ვერ არავის არაფერი შეუქმნია ისეთი, რაც ჩეიმბერსის შეხედულებებთან, ან მის მიერ დადგენილ ფაქტებთან არ იყოს დაკავშირებული, ამ დიდი შექსპიროლოგის მოხსენიება მართლაც, ეთიკურის თვალსაზრისით, სრულიად აუცილებელია.

დღემდე ფარ-ხმალს არ ყრიან ე. წ. ანტი-შექსპირისტები. მიუხედავად იმისა, რომ დილეტანტურ წრეებში გავრცელებული თეორიები იმის შესახებ, თითქოს შექსპირის პიესების ავტორი სტრეტიფორდელი უილიამ შექსპირი არ ყოფილა, არც ერთ სერიოზულ მკვლევარს არ გაუზიარებია, დღესდღეობით მაინც ქვეყნდება წიგნები, რომელთა ავტორები ან ახალ პიპოთეზებს აყენებენ, ანდა ძველის გახსენებას და აღდგენას ლაშობენ. ეს დილეტანტური თეორიები არაერთაზრად მეცნიერულ ინტერესს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ მაინც ჰყავთ მკითხველი. უფრო მეტიც, სწორედ თავისი ექსტრავაგანტული, ხშირად სათავგადასავლო შინაარსის გამო, ეს თეორიები ფართო გავრცელებას პოულობენ მათ შორის, ვისაც შექ-

სპირზე მეტად მის შესახებ არსებულ კუროზული ჰიპოთეზები აინტერესებს.

შექსპირის დაბადების ოთხასი წლის-თავთან დაკავშირებით „ანტი-შექსპირისტებმა“ გადასწყვიტეს პირი შეეკრათ და ერთიანი ფრონტით გაელაშქრათ „სტრეტფორდების“ წინააღმდეგ. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს ლევი ფოქსს არ სცალია მათი წერილების საკითხავად, რაც „ანტი-შექსპირისტების“ რისხვას იწვევს. ისინი ცდილობენ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ ავტორიტეტი შეურყიონ სტრეტფორდსა და იქ გაჩაღებულ მუშაობას უილიამ შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ. „ბეკონიანელთა საზოგადოების“ თავმჯდომარე ყოფილი სამხედრო თარჯიმანი მარტინ პერსი, „მარლოუს თეორიის“ ავტორი ამერიკელი კალვინ ჰოფმანი და სხვანი ცდილობენ შექმნან „ანტი-შექსპირული“ ცენტრი, რომელიც უკვე არა „მეცნიერული ჰემოპირიტების“ დადგენისათვის ზრუნვას, არამედ უპირატესად და უპირველეს ყოვლისა, სტრეტფორდული უილიამ შექსპირის ავტორობის უარყოფას ლაშობს.

და ბოლოს, საიუბილეო აქიოტაჟში სპირიტუალისტებიც ჩაებნენ. რომანისტის როზამონდ ლემანის ცნობით, გასული საუკუნის ცნობილი შექსპიროლოგის ედუარდ დაუდენის ქალიშვი-

ლის ჰესტერ დაუდენის „სული გვატყობინებს“, რომ: (ა) შექსპირი ნამდვილი ჯადოქარი იყო და მან ფილოსოფოს ფრენსის ბეკონსა და ოქსფორდის გრაფს ცოდნა და წარმოსახვის უნარი „გამოსტყუა“, (ბ) სონეტებში მოხსენებულია ოქსფორდის გრაფისა და დედოფალ ელისაბედის უკანონო შვილი და (გ) შექსპირის საფლავში ჩატანებულია ხელნაწერები. სპირიტუალისტურმა სენსმა თითქოს ასეთი დეტალური ცნობებიც კი მოგვაწოდა: ორი ხელნაწერი თავთ უძვეეს შექსპირის გვამს. ორი — ფეხებთან და ორი კი (ერთ-ერთი მათგანი „ჰამლეტი“) მკერდზე. და სხვ. და სხვ.

სანამ „ანტი-შექსპირისტები“ თავისებურად ერთობიან, დიდი მგოსნის სამშობლო ეივონის-სტრეტფორდი ზღაპრულად ზეიმობს თავისი სახელოვანი შვილის დაბადების ოთხასი წლისთავს. დღესასწაულის პერიოდში გამოცემული უამრავი წიგნი, შრომები, სტატიები, თეატრში განხორციელებული მრავალი დადგმა, შექსპირულ თემაზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები და მსოფლიოს ბევრ ენაზე შესრულებული შექსპირის უკვდავი დრამების თარგმანები — ყველაფერი ერთად ახალ შინაარსიან ფურცელს ჩასწერს უილიამ შექსპირის გენიალური შემოქმედების შესწავლის ისტორიაში.

კუკური კაზანიძე

შექსპირის „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრში

1924-1925 წლის სეზონი მთავრდებოდა. მარჯანიშვილი ხშირად ჩამოადგებდა ლაპარაკს „ჰამლეტის“ შესახებ, მაგრამ იმაზე თუ ვინ ითამაშებდა ჰამლეტს არაფერს ამბობდა. დასმი იყო ჰამლეტის როლის შესანიშნავი კანდიდატი გიორგი დავითაშვილი, რომელიც ამისათვის ყველა მონაცემით იყო დაჭილდობული. გიორგის ნათამაშევიც ჰქონდა ჰამლეტი (ა. ფალავას რეჟისორობით), ჰქონდა ამ როლის თავისებური გაგება. კოტეს კი უყვარდა ხელუხლებელი მასალის დამუშავება, რათა ყოველგვარი წინასწარი განწყობის გარეშე გამოეძეოდა მხატვრული სახე.

როლების განაწილება რუსთაველის თეატრის შემოქმედების ამ პერიოდში რაიმე მუდმივი კანონზომიერებით არ ხდებოდა.

ზოგჯერ კოტე მარჯანიშვილი სეზონის დასაწყისშივე აცხადებდა რეპერტუარს როლების განაწილებით, ცალკეულ შემთხვევებში კი, როლების განაწილება მხოლოდ პიესის წაკითხვის შემდეგ ხდებოდა. ამას გარკვეული მიზეზი ჰქონდა, ვინაიდან კოტე მარჯანიშვილი როლების განაწილებას მსახიობის შემოქმედების ზრდისათვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

იყო ისეთი შემთხვევები, მარჯანიშვილი რომელიმე ახალგაზრდა მსახიობს მისცემდა რთულ, საპასუხისმგებლო როლს. ხშირად დასი გაკვირვებული რჩებოდა, რადგან ერთი შეხედვით, ეს როლი სრულებით არ შეეფერებოდა მსახიობს, იგი არ ამეღავენებდა ამ რთული როლის შესრულების მონაცემებს.

მაგრამ არ მახსოვს, რომ როლების განაწილებაში კოტე მარჯანიშვილს შეცდომა დაეშვას. სამწუხაროდ, ახლაც ხშირად ხდება, რომ მსახიობს დააკისრებენ საპასუხისმგებლო როლს, დაუნიშნავენ დუბლიორებს, გადიან რეპეტიციებს და შემდეგ რწმუნდებიან, რომ ესა თუ ის მსახიობი შეუფერებელია ამ როლისათვის და სცვლიან მას. ამით კი მსახიობს უკარგვენ შემოქმედებითი აღმაფრენისა და ზრდის საშუალებას.

მარჯანიშვილი თუ მსახიობს მისცემდა როლს და დაიწყებდა მასთან რეპეტიციებს, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა მას, თუნდაც ეგარანო, რომ მსახიობი ვერ ძლევდა მთლიანად მხატვრულ სახეს. ამას კოტე მარჯანიშვილი თავის საკუთარ შეცდომად სთვლიდა და არავითარ შემთხვევაში არ აგრძობინებდა მსახიობს. ეს ხელს უწყობდა მსახიობის ზრდას, უქმნიდა მას გარკვეულ პირობებს თავდადებული მუშაობით მხატვრული მწვერვალებისათვის. მიეღწია.

კოტე მარჯანიშვილს მსახიობთან საუბრის განსაკუთრებული თვისება ჰქონდა. ის იახლოვებდა მსახიობს, იწვევდა მსახიობის გულწრფელობას და ამავე დროს კონტროლს უწევდა მსახიობის შესაძლებლობებს.

ახალგაზრდა მსახიობს უშანგი ჩხეიძეს პირველ ხანებში აძლევდნენ უფრო ხშირად სახასიათო როლებს და უშანგის შემოქმედებითი გზა თითქოს ასევე უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ კოტე მარჯანიშვილის შორსმჭვრეტელმა თვალმა, რომელიც აღამიანში ჩამარ-

ხელ უხილავ შესაძლებლობას ხედავდა, ამ სახასიათო როლების შესრულების დროს გამოვლინებულ მონაცემებში დაინახა უშანგი ჩხეიძის ტრაგიკული სახე.

უშანგის შემოქმედებაში ტრაგიკული შესაძლებლობების გამოვლინებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ერთმა სულ მცირე ეპიზოდმა. პიესა „მალმტრემში“, უშანგი თუთიყუშით ხელში ბედის გამყიდველის უმნიშვნელო როლს ასრულებდა. მეოთხე მოქმედებაში უშანგის ჰქონდა რამდენიმე სიტყვიანი ეპიზოდი. იგი ბედის ფურცლებს ჰყიდდა თუთიყუშის საშუალებით. ფურცელში მყიდველი თავისი ცხოვრების წინასწარმეტყველებას ამოიკითხავდა ხოლმე. და როდესაც ერთ ღიბიან კაპიტალისტს თუთიყუშმა ცხოვრების ცუდი დასასრული უწინასწარმეტყველა, ღიბიანმა ბუტაფორიულ თუთიყუშს თავი წააგლიჯა და უშანგი — ბედის გამყიდველი, რომელიც მანამდე მზიარულებით, იუმორით, მოსწრებული, მახვილი სიტყვით იზიდავდა ბედის მაძიებლებს, უცებ გარდაიქმნა, აქვითინდა, ატირდა, უდიდესი სულიერი სიმარტოვის განცდა გამოხატა ერთადერთი მეგობრის, მარჩენალის, გულის მესაიდუმლის, საყვარელი ფრინველის დაკარგვის გამო. მან უდიდესი ტრაგედია განიცადა, იგრძნო ამ ქვეყნიური ამოება და გამოსავალი თვითმკვლელობაში ნახა. ეს სცენა მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდებოდა, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი და ძლიერი იყო, რომ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

უშანგის ეს ეპიზოდი ყველამ ვნახეთ და ყველას მოგვეწონა, მაგრამ შექსპირის ტრაგედიის გმირის შემსრულებლის მონაცემები მასში მხოლოდ მარჯანიშვილმა დაინახა, რამაც, ჩემი აზრით, გადასწყვიტა ჰამლეტის ბედი.

თავისი გადაწყვეტილება უშანგის შესახებ მარჯანიშვილმა კოლეგიის წევრებს ვაგვანდო, რითაც ჩვენი გან-

ცვიფრება გამოიწვია, მაგრამ სისტემატად მოგვთხოვა საიდუმლოების შენახვა, რაც ჩვენ პირნათლად შევარჩევით, ბოლოს დადგა გამომქლავების დროც.

ერთხელ კოტე მარჯანიშვილმა გამოიძახა უშანგი, ღიმილიანი თვალებით ალერსიანად შეხედა და უთხრა, რომ მომავალ სეზონში „ჰამლეტი“ მას უნდა შეესრულებინა ჰამლეტის როლი, გიორგი დავითაშვილთან ერთად. ძნელი ასაწერია, თუ როგორ სახტად დარჩა უშანგი, რომელიც სულ არ მოელოდა ამ ამბავს, და თანზომობის ნაცვლად რაღაც გაურკვეველი ლულული დაიწყო. ჩვეულებისამებრ, კოტემ საუბარი დიდხანს არ გააგრძელა, იმედიანი თვალები მიაპყრო, მხარზე ხელი დააკრა და გაოცებული უშანგი დასტოვა.

ორი დღის შემდეგ კოტემ წინადადება მომცა უშანგი ჩხეიძე მის ბინაზე მიმეყვანა. მასხოვს, მოკრძალებით აველით ჩემთვის უკვე ნაცნობ აივანზე, სადაც მარჯანიშვილი დაგვხვდა, როგორც მასპინძელი. მისალმების შემდეგ მარჯანიშვილმა მაგიდასთან დაგვსვა და უშანგის სწრაფად შეეკითხა: „რალიტერატურას იცნობთ, თქვენ, შექსპირის და, კერძოდ „ჰამლეტის“ შესახებ, რა კრიტიკა წაგიკითხავთ, რომელი დიდი მსახიობის შესრულება გინახავთ? განმარტეთ თქვენი მოსაზრებები“. უშანგიმ თავი ჩალუნა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მორცხვობის გამო პასუხი ვერ მოეძებნა. „აბა, ბიჭო, პასუხი მომეცი!“ — მიმართა კოტემ. უშანგიმ თვალი ვერ გაუსწორა: „სამწუხაროდ, შექსპირს ნაკლებად ვიცნობ... კრიტიკა მის შესახებ საკმაოდ ათვისებული არა მაქვს...“ ამ სიტყვების შემდეგ მე კოტეს რისხვას მოველოდი და საყვედურს, მაგრამ კოტემ გადაიხარხარა, ნიკაბი აუწია და უთხრა: „ძალიან კარგი! ძალიან კარგი! ეს უკეთესია...“ მან უშანგის ნდობა მოსთხოვა და აჯერებდა, რომ ერთად მიზანს უთუოდ მიაღწევდნენ.

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ უშანგის

სიმაძაცე ეგრძნო, მაგრამ კოტეს მიანიც მოკრძალებით უთხრა, რომ საშუალება ექნებოდა შეეცხო თავისი ნაკლი და გაცნობოდა ლიტერატურას ჰამლეტის შესახებ. „არა, — დაბეჭდვით გაისმა კოტეს ხმა, — შექსპირსა და ჰამლეტზე იმდენია დაწერილი, ისეთი აზრთა სხვაობაა, იმდენი საინტერესო მასალაა, რომ შენ ეს დაგაბნევს და ხელს შეგიშლის მუშაობაში. გიმეორებ, სანამ ჰამლეტის როლის შესრულებაში საკმაოდ არ გაიწაფები, მანამ კატეგორიულად გიკრძალავ მასალების გაცნობას“.

კოტეს გადაწყვეტილება გამომკლავნდა. „ჰამლეტის“ მომავალი დადგმა რეალურად ისახებოდა. უმრავლესობას უხაროდა უშანგის წარჩინება, ვინაიდან უშანგი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი მსახიობი იყო, მოქალაქეობითაც გამოირჩეოდა. თეატრი აფორიაქდა, მთელი დღის — მსახიობი, თანამშრომელი თუ სცენის მუშა დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, და, მართლაც არასოდეს არ ყოფილა თეატრი ასე შემქმნელობული და ერთსულოვნებით გამსჭვალული; მსახიობები, მუსიკოსი, მხატვარი, სცენის მუშები, რეჟისორები, ბუტაფორები, გამნათებლები, ტანისამოსის შემკერავნი თუ დარაჯები ყველა პირადულს ივიწყებდა და საერთო საქმისათვის იბრძოდა, თეატრის გამარჯვება მის პირად გამარჯვებად მიიჩნდა და დამარცხება — პირად დამარცხებად. შექსპირი ახალ თეატრში — ეს დიდი გამოცდა იყო რუსთაველის თეატრისათვის.

მართალია, თეატრის გარეთ იყვნენ ურწმუნო თომანი, რომელთაც არ სჯეროდათ თეატრის შესაძლებლობანი და, განსაკუთრებით, უშანგი — ჰამლეტი. ისინი ვაკეოდნენ, რომ ზესტაფონიდან მოსული ჰამლეტი მოვარდნილ კენტაერს შეუერთდაო. „არ გამოუვით, ბატონო, დროს და ფულებს ხარჯავენ მხოლოდ“. მაგრამ შეკავშირებულ კოლექტივს მათი სისინი ვერაფერს ვნებდა.

მე არ მახსოვს, კოტე მარჯანიშვილს

სხვა დროს ისეთი დიდი მუშაობა ჩატარებინოს და ისე ელელეფო, როგორც „ჰამლეტის“ რეპეტიციების დამუშავების წინ. ყველაფერში უშუალოდ თვითონ ლეზულობდა მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პიესების დამუშავების დროს მხატვარს კოტე განსაკუთრებულ შეკვეთას არ აძლევდა. აცნობდა პიესას, დაუსახავდა დადგმის მთავარ ამოცანას და დანარჩენი მხატვარს თავად უნდა გადაეჭრა. მაშინ არ იყო სისტემაში ყოველი წარმოდგენისათვის მაკეტის აგება. მხატვარი ესკიზებს მოუტანდა რეჟისორს, რეჟისორი დაამტკიცებდა ან შესწორებას შეიტანდა და გადასცემდა წარმოებას. მასშტაბს არ იცავდნენ, ამიტომ დეკორაციები ხშირად სცენის ფართობის შეუსაბამო გამოდიოდა.

„ჰამლეტზე“ მუშაობის დროს კი ეს ასე არ იყო.

უშანგისთან საუბრის მეორე დღესვე კოტემ დანიშნა მხატვართან შეხვედრა, მე კი დამავალა მომეზადებინა მკრელი მაკრატელი, ელასტიკური მუყაო, წებო და „ჰამლეტის“ მანახლისეული თარგმანის ორი ეგზემპლარი.

მხატვარი ირაკლი გამრეკელი მოუთმენლად ელოდა კოტესთან შეხვედრას „ჰამლეტის“ დადგმის გამო. იგი თვითონაც გატაცებული იყო ამ ამოცანით.

კოტე მარჯანიშვილმა დილით ადრე შეგვირიბა და რამდენიმე წინადადებით განუმარტა მხატვარს, თუ რა სახით უნდა შესრულებულიყო „ჰამლეტის“ დეკორაციული გაფორმება. „თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჰამლეტის ტრადიციული დეკორაციებით, მოქრული ციხე-დარბაზებით მსურს სცენაზე აღვადგინო ინგლისის მეფის დარბაზი. არა, მხატვრული გაფორმება პირობითად უნდა იყოს გადაჭრილი. სცენაზე უნდა იყოს ცალკეული დეტალები, მაგრამ ბევრის გამომსახველი. მე შემოგთავაზებთ იმ დანადგარებს, რომელნიც აუცილებელი პირობაა სცენიური სივრცისა და მოქმედებისათვის“.

მან ირაკლის დახმარებით დასჭრა მუყო და გააქეთა კიბის მაკეტი, რომელიც შემდეგ „ჰამლეტის“ დადგმის ყოველ აქტში იყო გამოყენებული. კიბე ამ დადგმის აუცილებელი ელემენტი შეიქმნა. კიბე ცხოვრებისა და ადამიანის მოძრაობის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა. უზარმაზარ კიბეზე იყო განლაგებული თითქმის ყველა სცენა. კოტე მარჯანიშვილმა ამავე შეხვედრის დროს შეუქვეთა მხატვარს, რომ დადგმის ყველა დანარჩენი ნაწილი — სასახლე, სამლოცველო და სხვა — კიბესთან შეფარდებით უნდა გაკეთებულიყო. ისე რომ, მთავარი მაინც კიბე რჩებოდა, როგორც პიესის დედააზრის გამტარებელი.

ირაკლი გამრეკელმა შესანიშნავად გაიგო კოტეს ჩანაფიქრი და, მხატვრობის მონუმენტურობის შენარჩუნებასთან ერთად, შექმნა სცენურად გამართლებული, ტრაგიზმით გამაზვილებული კონსტრუქციული ტიპის დანადგარები. ამრიგად, მხატვრის ნამუშევარი რეჟისორის გეგმასთან სავსებით შერწყმული იყო.

მაკეტის დამთავრების შემდეგ კოტე მარჯანიშვილი პიესის მონტაჟს შეუდგა. საერთოდ კოტე მარჯანიშვილის მიერ შექმნილი ყველა სპექტაკლი დინამიკურია და ყველაფერს, რაც კი ეწინააღმდეგება დინამიკურობას, იგი თავიდან იცილებდა. იმისათვის, რომ მიეღწია სასურველი შედეგისათვის, მარჯანიშვილი წინასწარ აწარმოებდა პიესის დამუშავებას, და, თუ საჭიროდ მიაჩნდა, ტექსტის, მონოლოგების, მთლიანი სცენების გადაადგილება-საც არ ერიდებოდა. ზემონათქვამის ბრწყინვალე დემონსტრაციას წარმოადგენს მარჯანიშვილის მიერ „ჰამლეტის“ ტექსტის მონტაჟი. ჩვეულებრივი ფანქარი მარჯანიშვილის ხელში ჯადოსნურად იქცა. მან დანიშნა ორივე ეგზემპლარი, შემდეგ დაჭრა, სცენები თავისი ჩანაფიქრის მიხედვით გადაიტან-გადმოიტანა, ისე რომ, ორი ეგზემპლარიდან ერთი გაკეთდა. გადატანილი იყო

სცენები, მონოლოგები, პირველიდან მესამეში და, პირიქით. მთელ სცენებს ან ცალკე წინადადებებს ~~მთლიანად~~ ან სულ სხვა ადგილას გადააქონდა. ამის გამო, პირველი შეხედვით, თითქოს უაზრობა უნდა გამოსულიყო, მაგრამ, როდესაც ტექსტი დალაგდა, გამოჩნდა, თუ რამდენად გამართული იყო აზრი და მოქმედება, როლის გახსნა, თანმიმდევრობა. კოტესთვის მთავარი იყო არა ყოფითი სცენები, არა რიტუალები სასახლეში, რომლებიც შექსპირს ბლომად აქვს, არამედ ყოველი სცენა უნდა დაკავშირებული ყოფილიყო ჰამლეტთან და მის მოწინააღმდეგეებთან. და სწორედ ასეთი მონტაჟით, რომელიც დინამიკურად ხსნიდა ჩანაფიქრის დედააზრს, კიდეც უფრო მეტი ელვარება მოუნახა შექსპირის ძვირფასი ქვებით აკისმულ სიტყვიერ მასალასა და სცენებს. კოტეს მონტაჟი პიესის გადაკეთებისაქენ კი არ იყო მიმართული, არამედ ჰამლეტის სულიერი ტრაგედიის გამოსახვისადმი.

ამის შემდეგ, კოტე მარჯანიშვილმა დაგვიბარა მუსიკალური ნაწილის გამგე დირიჟორი ა. გველესიანი, მხატვარი, მე, როგორც პიესის რეჟისორი და პიანისტი, გავაცნო თავისი გეგმა „ჰამლეტის“ მუსიკალური გაფორმების შესახებ, მან ამისათვის ჩაიკოვსკის მიერ სპეციალურად „ჰამლეტისათვის“ დაწერილი მუსიკა გამოიყენა, აქაც ბევრი გადაადგილება მოახდინა თავისი ჩანაფიქრის თანახმად, და მოგეცა დავალება მუშაობის დაწყებისას ყველა მისი მითითება შესრულებული ყოფილიყო.

კოტე ცალკე გვიბარებდა უშანგი ჩხეიძეს და მე; უტარებდა საუბრებს უშანგის შექსპირის ტრაგედიის შესახებ, უხსნიდა თუ რა იღეა ჰქონდა მას, — როგორ ესმოდა ქართველი ჰამლეტი, — აჩვენებდა მრავალ რემოდიუქციას და უამბობდა დიდი ტრაგიკოსების მიერ ამ როლის გაგებას, და ყოველთვის აბოლოებდა: „ჩვენი ჰამლეტი კი სულ სხვა არის, თავისი

ადამიანური თვისებებით, იგი თანამედროვეა. ამ თანამედროვეობაში ქლერს მისი სულიერი ტანჯვაა. შემდეგ რომელიმე მონოლოგს რამდენჯერმე წააკითხებდა, განუმარტავდა, შესწორებებს მისცემდა. თითქმის ყველა მთავარი სცენა, კოტემ ამ წესით დაამუშავა უშანგისთან და ჩემს თვალწინ იზრდებოდა უშანგი, მდიდრდებოდა ცოდნითა და ემოციებით.

ზაფხული მიიწურა, და ბოლოს დაინიშნა „ჰამლეტის“ რეპეტიციებიც. დასს დახვდა როლების საბოლოო განაწილება. დასი მოუთმენლად ელოდა ამ რეპეტიციებს. სახეზე ყველას ღიმილი უთამაშებდა, უცდიდნენ კოტეს შემოსვლას და მის ხალისიან მისალმებას, რომელზედაც დასი ერთსულოვანი ალტაყებით პასუხობდა. როდესაც შევედი კოტე მარჯანიშვილის კაბინეტში და მოვახსენე, რომ ყველაფერი მზად იყო რეპეტიციის დაწყებისათვის, კოტე ჩვეულებრივი არ მეჩვენა. მისი მთელი არსება თითქოს გაუღწეოთილი იყო შექსპირის ტრაგედიის სიღიადით. კოტემ უსიტყვოდ თანხმობა მანიშნა და სარეპეტიციო დარბაზისაკენ წამოვიდა.

სარეპეტიციო დარბაზში შეკრებილი დასი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახეგაბარწყინებული შეხვდა კოტეს. მან „ჰამლეტის“ შესახებ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა და დადგმის გეგმა მოკლედ, დაბალი ხმით გააცნო დასს.

იმავე დღეს გააცნო მან დასს „ჰამლეტის“ მონტაჟი. ამ დადგმამდე კოტე ყოველთვის რუსულად ამბობდა შესავალ სიტყვას და დადგმის გეგმასაც რუსულად აცნობდა დასს. იმ დღეს კი როგორც შესავალი სიტყვა, ისე დადგმის გეგმა დასს ქართულად მოახსენა. რუსეთიდან ჩამოსვლისას კოტე ქართულს კარგად ვერ ფლობდა, და რამდენი ჯაფა და ენერგია უნდა დაეხარჯა, რომ ისე დაწყობილად, აზრიანად, სიტყვების უძებნელად ჩაეტარებინა საუბარი. კოტეს ქართულმა დასში დი-

დი შინაგანი ზეიმის ატმოსფერო შექმნა.

ერეკლე

მაგონდება კოტეს ზუგუნუნოვანი ჭამა. თავისი სიტყვა მან ასე დაიწყო: „ამ როლისა და ტრაგედიის შესახებ ლაპარაკი ძნელია იმიტომ, რომ თითქოს უკვე ყველაფერი ითქვა, ყველაფერი განმარტებულია, უამრავი, ზღვა მასალაა დაგროვილი, მაგრამ თან ადვილია იმიტომ, რომ შეიძლება კიდევ ამდენივე ითქვას, თუ არა მეტიც“.

საერთო განხილვის დროს ჰამლეტის როლის გახსნა მას ვერცლად არ მოუხდენია, სამაგიეროდ ლაბორატორიული მუშაობის დროს ეს საკვებით აანაზღაურა.

ჰამლეტი მისთვის საუკეთესო ადამიანი იყო, რომელიც ებრძოდა არსებულ უკუღმართობას. ჰამლეტი კოტეს აუცილებლად მეტბოლად ჰყავდა წარმოდგენილი, სიმართლისათვის მეტბოლად. ჰამლეტი მას არ მიაჩნდა ნევრასთენიით შეპყრობილი ან სულით ავადმყოფად, როგორც ბევრ შემსრულებელს ჰყავს განსახიერებელი. ჰამლეტში კოტე სამართლიანობის დამყარების სურვილს ხედავდა, ის აუცილებლად დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მისი ბიძა, კლავდიუსი — მეფე დანიისა, იყო მკვლელი მისი მამისა, რომ მას უნდა ამოეხსნა ის საიდუმლოება, რომელიც აკავშირებდა კლავდიუსს მამამისთან. კლავდიუსის დანაშაულში დარწმუნების შემდეგ, უნდა განეწმინდა სასახლე მავნე, ბოროტი პიროვნებებისაგან. ამაში კოტეს ჰამლეტი ხედავდა არა მარტო სასახლის არამედ მთლიანი გარემოცვის გაწმენდას, ცხოვრების სიკეთესათვის, ბედნიერებისათვის. დანარჩენი მოქმედი პირნი კი — დაკავშირებულნი სასახლის გახრწინებასთან — ჰამლეტის ქცევასა და მისწრაფებებში უცნაურობას ხედავდნენ.

პორაციო და ჰამლეტის მამა კოტეს ისეთივე კეთილშობილი, მალაპარაკი-პულ ადამიანებად მიაჩნდა, როგორც ჰამლეტი.

კოტე მარჯანიშვილის გაგებით, მამის ანრდილი არ იყო მისტიკური ფიგურა, არამედ კეთილი ზრახვებით განწყობილი, ამ ქვეყნიური ადამიანი. ანრდილი ტანჯული მოხუცის განსახიერებაა. ის არ არის მოჩვენება, რომელიც გამოჩნდება და პათეტიკური სიტყვებით გამოიწვევს თანაგრძნობას. ის არის ხორციელი ადამიანი, რომელიც ადამიანური გრძნობებით იტანჯება და იფერფლება.

ანრდილისა და ჰამლეტის ლაპარაკი იყო ჩვეულებრივი მამაშვილის ადამიანური საუბარი და არა ნევრასთენისის პალეცინაციების შედეგი. ანრდილი კოტეს იმდენად რეალობად ჰყავდა წარმოდგენილი, რომ დიალოგის დროს ჰამლეტი ხელებითაც კი ეხებოდა მის მუხლებს.

ჰამლეტი თავის შეყვარებულ ოფელიასთან აღარ იყო ისეთ განწყობაში, როგორც წინათ; მას გაუტყდა გული ოფელიაზე იმიტომ, რომ იგი გაბმული იყო მამამისის პოლონიუსის ინტრიგების ქსელში ჰამლეტის წინააღმდეგ. მაგრამ ახალგაზრდა პრინცს ესმოდა, რომ ოფელია, ისევე როგორც თვითონ, მსხვერპლია ამ ინტრიგებისა და არ შეეძლო მის მიმართ მკაცრი ყოფილიყო.

ჰამლეტის ყველაზე დიდ მეგობრად, მისი გულის შესაიდუმლედ კოტეს პორაციო მიაჩნდა. პორაციო იყო გაბედული, მტკიცე, სპეტაკი გულის ადამიანი.

ჰამლეტის სკოლის ამხანაგები როზენკრანცი და გილდენსტერნი, კოტეს გაგებით იყვნენ მელაქედები და გაიმყვრები, სასახლის წუმპეში მოცურავენნი.

მონოლოგი „ყოფნა-არ ყოფნა“ არ იყო პესნიმისტის მიერ საკითხის დასმა, როდესაც იგი მომავალს ვერ ხედავს და შემთხვევითობას ეყრდნობა, ეს იყო მოსაზრებელი ბრძოლის დაწყების მომენტი.

კოტეს გააზრებით, ჰამლეტს უყვარდა დედა, რომელსაც ბრალი ედებოდა

ქმრის მკვლელობაში, მაგრამ მისი სიყვარული არ იყო ბრმა სიყვარულის სცენაში კოტე მოითხოვდა, რომ მისი დესაც ჰამლეტი აქტიორების საშუალებით დარწმუნდებოდა კლავდიუსის ბოროტმოქმედებაში, შიშით შეპყრობილი კლავდიუსისათვის ჰომერული სიცილი მიეყოლებინა. ჰამლეტის ხარხარი იყო გმირის ალტყინება, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა კლავდიუსის ბოროტმოქმედებაში და სიტყვები „დაჭრილ ირემს ცრემლი სდის, ნუკრი ცქრიალებს“... — ეს იყო გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი სიხარული შურისძიებისათვის. კოტე შთააგონებდა უშანგის, რომ ეს სიტყვები ეყვირა, როგორც დაჭრილ ირემს, რომელიც დამორჩილებული კი არ არის, არამედ სასიკვდილოდაა დაჭრილი და შინც შურისძიებითაა საესე.

უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ჰამლეტმა უკვე იძია შური, მოკლა კლავდიუსი, ლაერტთან მას შინც მეგობრული დამოკიდებულება რჩება და ლაერტის მხილების შემდეგ მეფის სიკვდილი მისთვის სიხარულია. აგონიაში მყოფი ჰამლეტის საბოლოო სიტყვები — „სხვა რაღა დარჩა, საუკუნო სიმშვიდე მხოლოდ“ — ეს იყო იმის გამოხატულება, რომ ჰამლეტმა მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა. ის სტოვებდა ქვეყანას როგორც გაწმენდილი, ბედნიერი გმირი, მან მსჯავრი დასდო იმ ადამიანებს, რომელნიც ასე ბოროტად იყენებდნენ თავის მდგომარეობას.

პორაციოს უკანასკნელი სიტყვები: „ჩაქრა ლამპარი დიდებული, მშვიდობით, პრინცი!“ — ეს არ იყო სენტიმენტალური ზღუქენი, ეს იყო ძღვენისილ გმირთან გამოთხოვება.

კოტეს გაგებით, მთელი სპექტაკლი გამსჭვალული უნდა ყოფილიყო ოპტიმისტური მსოფლმხედველობით, და უნდა გამოეხატა ადამიანის რწმენის დიდი გრძნობა. ეს შურისგება კი არ იყო მხოლოდ, არამედ სამართლიანობის დამყარება, ბოროტების აღმოფხ-

ვრა. მან ამ ტრაგედიის დადგმაში მძაფრად წამოსწია წინ შექსპირის უაღრესი ჰუმანურობა.

და, როდესაც რუსთაველის თეატრში განხორციელდა „ჰამლეტის“ დადგმა, მაყურებელს წარუდგა არა რენესანსის სიმბოლური პიროვნება, არამედ მოაზროვნე, კეთილშობილი, სიპართლისათვის მებრძოლი ადამიანი.

ჰამლეტის როლში უშანგი არაჩვეულებრივი ძალით გვიჩვენებდა კეთილშობილი გრძნობებისა და გონების გამარჯვებას, გარემო სამყაროს სიცრუესა და ბოროტებაზე. მისი თამაში — ეს იყო ჰიმნი უღრმესი რწმენისა ადამიანობის გამარჯვებაში, სავსე სამართლიანობით და ამით იხიბლებოდა მაყურებელი.

უშანგი ამ როლის შესრულებაში თავისი ტემპერამენტის მთელი ძალა ჩააქსოვა. შექმნა მთლიანი და დასრულებული სახე. მის მიერ შექმნილი სახის ყველა ნაკეთი სიზუსტით იყო გამოძერწილი. მისი მოძრაობა, ქესტები, ხმის ინტონაციები — ყველაფერი ექვემდებარებოდა გარკვეულ შინაგან ამოცანას, და მეტისმეტად გამომსახველი იყო.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში გრძნობათა უღრმესი დამბულობა, გიგანტური ტემპერამენტი, მოულოდნელი, ელვისებური გადასვლები განწყობებში, სხვადასხვა გრძნობათა სწრაფი ცვლა, — ყველა ეს უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ტრაგედიის დასაწყისში მკვდარი მამის შესახებ გოდებას და დედის ღალატის სინანულს, უშანგი ავლენდა როგორც პირად მწუხარებას, ხოლო თანდათან მამის მკვლელობის დარწმუნების შემდეგ იგი პირადი განცდიბიდან გარემო სამყაროს და მისი კანონების ფილოსოფიურ განზოგადებაზე გადადიოდა. იგი თანდათან ხსნიდა თავისი გვირის შინაგან სახეს, მის რთულსა და ღრმა პიროვნებას. მაყურებელს ხიბლავდა ეს წმინდა, რაინ-

დული სახე, რომელიც ებრძოდა სამყაროს უსამართლობას.

ერთი-ერთი ცალკე მინდა შეეჩერებინა სცენაზე, ამ სცენამ თავის დროზე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მესაფლავეების სახით კახელის და იმერლის გამოყვანამ თითქოს დიდი ზიანი მიაყენა სპექტაკლს, ბევრი მწარე საყვედური არგუნეს კოტეს ამ სცენისათვის. კოტეს მომხრეები იცავდნენ მას, ამბობდნენ, რომ ეს სცენა ფილოსოფიურად არის გადაწყვეტილი და მესაფლავე ყველგან და ყოველთვის მესაფლავეა.

ამ სცენის გამო მინდა გავიხსენო კოტეს ერთი საუბარი დამდგმელ ჯგუფთან. ამ საუბარს ვესწრებოდით დირიჟორი, მუსიკალური ნაწილის გამგე ა. გველესიანი, მხატვარი ირ. გამრქელი და მე, როგორც წარმოდგენის რეჟისორი. კოტე რაღაცნაირად ეშმაკურად იღიმებოდა, თითქოს ფიქრობდა ეთქვა თუ არა, გაეზიარებინა თუ არა, რაღაც საიდუმლო. ბოლოს, უცბათ შემოგვხედა და გვითხრა, რომ ერთი დიდი საიდუმლო უნდა გაემქლავნებინა, მაგრამ სიტყვა უნდა მიგვეცა. რომ საიდუმლოს შევიჩხავდით, სანამ თვითონ არ მოგვეცემა მისი გაქლავნების ნებას. ჩვენ მაშინვე ფეხზე წამოვხტით და შევფიცეთ, რომ საიდუმლოება მისი სურვილის გარეშე გამქლავნებული არ იქნებოდა. მაშინ კოტემ ღიმილით გვითხრა, რომ მისი აზრით, უშანგი ჩხაძე მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობია, მას დიდი ტვირთი დააკისრა და კოტეს ეშინოდა რომ ამ ტვირთის ზიდვა მას შესაძლებელია გაუჭირდებოდა. საზოგადოება ხომ ასეთ შემთხვევებში უღმობელია, შეიძლება საშინლად დასზომდნენ თავს, ამიტომ მას უნდა ასეთი ექსპერიმენტები გაეკეთებინა — მესაფლავეები ჩვენი ხალხიდან გამოეყვანა. შექსპირს მესაფლავეების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი იშვიათი იუმორით აქვს მოკეპული. კოტემ განიზრახა ისინი ერთი კახური და მეორე იმერული

კილოთი აელაპარაკებინა. ეს საზოგადოებაში აუცილებლად მიტქმა-მოტქმას გამოიწვევდა, დაიწყებდნენ კოტეს ვინებას. ეს არაფერია, კოტე ამას აიტანდა, ხოლო უშანგის კი დაიფარავდა, მაგრამ თუ უშანგი გაიმარჯვებდა, კოტესადმი მიმართული მკაცრი კრიტიკა მისთვის უმნიშვნელო იქნებოდა. მთავარი ის იქნებოდა, რომ მიზანს მიაღწევდა.

* * *

ერთ-ერთი სცენის რეპეტიციაა. სამარისებური სიჩუმის დროს ისმის ჩაიკოვსკის მუსიკა. პამლეტი გამოჩნდება გრძელი, მაღალი კიბის ბოლოში. კოტე უჩრევს უშანგის ისეთი შეხედულება ჰქონდეს, თითქოს საშინელი ღამე გაატარა, მოქანცულია განცდებით, ამიტომ ნელ-ნელა, ლასლასით უნდა მოაზიკებდეს, მისი აზრი ერთ წერტილზე უნდა იყოს ფიქსირებული, რადგან ახლაც აწუხებს ის, რაც მან წუხელ ღამე გადაიტანა. როდესაც პამლეტი კიბის შუა საფეხურებამდე ჩამოვიდა, იგი შეჩერდა. კოტე ხმაამოუღებლივ გაფაციცებით უყურებს. უშანგი იწყებს მონოლოგს „რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი“. კოტეს სახეზე ეტყობა, რომ მონოლოგის ასეთი დაწყება მას არ მოსწონს, მაგრამ არ აჩერებს, პამლეტი მონოლოგს ამთავრებს და უცქერის კოტეს, ის იმავე პოზაშია, როგორც მონოლოგის კითხვის დროს იყო; უცებ გაიღიმა, თვითონ ავიდა კიბის უკანასკნელ საფეხურზე და მუსიკის რიტმით წამოვიდა ნელა, მძიმედ, ხელი წინ ჰქონდა გაწვდილი, მეორე ხელით გრძელ მოსასხამს მოათრევდა, გულმკერდი გაღეღილი ჰქონდა, კიბის შუა ადგილზე მოვიდა, და მუსიკაც დამთავრდა. უშანგი გაფაციცებით ადევნებს თვალს. კოტემ მონოლოგი წაიკითხა. უშანგიმ გაიმეორა ეს ნაწყვეტი: მისი მოძრაობა, მისი გამოტქმა ძალიან გავდა კოტესას, კოტე ნერვიულობდა, ის თავის განმეორებას ხედავდა, მას კი უნდოდა, რომ ეს უშანგის თავისებურად ეჩვენებინა. ხმაძალი ნერვუ-

ლი ტონით კოტემ შესწყვიტა უშანგის მონოლოგი და გაჯავრებულ, მტრულ შენიშვნა: მან იმიტომ კი ჰრეკვენიანთმ უშანგის გაემეორებინა, არამედ იმიტომ რომ თვითონ მიხვედრილიყო ჩანაფიქრს. — „მე ცუდი მსახიობი ვარ, მე არ შემიძლია იმის გადმოცემა, რაც შენ შეგიძლია. მე შენი მეორე თვალი ვარ, მაყურებელი და გირჩევ იმას, რაც შენ უნდა დაინახო გონების თვალთ“. უშანგიმ რამდენჯერმე გაიმეორა და ბოლოს, მიაღწია იმას, რომ ეს მონოლოგი მისი ორგანული ნაწილი გახდა.

კოტე მარჯანიშვილი „პამლეტის“ რეპეტიციებზე განსაკუთრებული იყო. სხვა რეპეტიციებზე კოტე მეტისმეტად სწრაფი, მოძრავი, ელვარე გვახსოვს. შურდულივით მიიჭრებოდა მსახიობთან, ხელს მოჰკიდებდა, დააყენებდა, პოზას მისცემდა, ამის შემდეგ მეორე მსახიობისკენ მიიჭრებოდა, იმასაც მისცემდა შენიშვნებს, ისეე მაგიდას დაუბრუნდებოდა, თითქოს უნდოდა დაჯდომა, მაგრამ ისევე სწრაფად გაიქცეოდა, გვერდით ამოუღებოდა მსახიობს; თუ მსახიობი ვერ გაუგებდა, აყვირდებოდა, უცებ გაიხდიდა ზემოტანსაცმელს, გამალეებით ეწეოდა პაპიროსს, ერთი მეორეზე, პაპიროსი არ ქრებოდა მის ხელში, დიდი საფერფლე თითქმის ივსებოდა ნაშვავებით. შემდეგ იძრობდა ჰალსტუხს, დაიკაპიწებდა სახელოებს, ელვისებურად მოქმედებდა, სწრაფად, მაგრამ სწრაფ მოძრაობას აზრი უსწრებდა, ასე შეუმჩნეველად დიდი დრო გადიოდა, თქვენი გეგონათ, რომ რეპეტიცია — ეს არის ახლა დაიწყო, მაგრამ იგი უკვე მთავრდებოდა, აქტი დალაგებული იყო.

„პამლეტის“ რეპეტიციებზე კოტე სულ სხვა იყო, აქ ხომ მას შექსპირის ტრადიციასთან ჰქონდა საქმე. იგი დინჯი იყო, ჩაფიქრებული, მაგიდას იშვიათად მოშორდებოდა, შენიშვნებს ნელი, დამაჯერებელი, შთამაგონებელი ტონით იძლეოდა. კოტეს სახეზე და მის ფიზიკურ მოძრაობაში გამოიხატებოდა ყველა ის განცდა, რაც როლიდან გამომ-

დინარეობდა. ხელს ნელა მალლა ასწევდა, ეს ჰამლეტის პოზა იყო. თავს ჩაღუნავდა — ესეც ჰამლეტის როლიდან გამომდინარეობდა. უცბათ ჩაიკეცებოდა სავარძელში, ესეც ჰამლეტს შეესაბამებოდა. ზოგჯერ თვალეზზე ცრემლსაც შეამჩნევდით. სხვა რეპეტიციების დროს თუ მიზანსცენისათვის საჭირო იყო აქტიორის დაჯდომა, კოტე ჩამალდა ეტყოდა; „შენ აქ დაჯდები“. ეს იყო პარტნიორთან დამოკიდებულებისათვის. მაგრამ „ჰამლეტში“, მთავარ სცენებში, უშანგი ჩხეიძესთან მას ეს არ გაუკეთებია.

მახსოვს, სამლოცველოს სცენაში, — აქ ჰქონდა მარჯანიშვილს მონტაჟით გადმოტანილი მონოლოგი „ყოფნა — არყოფნა“, — როდესაც ჰამლეტი უცქერის მლოცველ კლავდიუსს, მას ჰქონდა სურვილი იქვე გაეგმირა კლავდიუსი. მაგრამ უცბათ შესდგა, დაინახა, რა რომ კლავდიუსი გოდებით ითხოვს ცოდვის პატივებს. ჰამლეტს ამ მომენტში კლავდიუსის მოკვლა არ შეუძლია, ის ხომ ჯალათი არ არის, იგი სინდისია, რომელიც სჯის ბოროტებას, ეს არ არის მისი სისუსტე, ეს მისი დიდი ბუნება და სიძლიერეა. კლავდიუსის წასვლის შემდეგ იგი იწყებს მონოლოგს.

ჰამლეტი აქ, განცდების შედეგად, საშინლად დაქანცული და დაღლილი უნდა ყოფილიყო. თითქოს აუცილებელი იყო უ. ჩხეიძის მოქანცული მუხლების დასვენება საფეხურებზე ჩამოჯდომით. მაგრამ ჰამლეტის შემსრულებელმა ეს არ ქნა. კოტემ ტკბილად გაამეორებინა მონოლოგი, მას უნდოდა, რომ კიბეზე დაჯდომა მისგან ორგანულად ყოფილიყო გამომდინარე. უშანგიმ ეს კიდევ არ შეასრულა. სცენა რამდენიმეჯერ განმეორდა. უშანგი საკმაოდ კარგად, გააზრებულად კითხულობდა მონოლოგს, კოტე პირდაპირ თვალეზში ჩამტერებით უყურებდა, თითქოს შთაავონებდა — შენ დაილაღე, დაქექი. მრავალი გამეორების შემდეგ უშანგიმ შეწყვიტა მონოლოგი და გაუბედავად მიმართა კოტეს, რომ იგი

დაილაღა და ჩამოჯდომა უნდა. კოტემ აღტაცებით ტაში შემოკრა. გულუხარ ყვილო ბავშვივით უხაროდა. რომ მან მექანიკურად კი არ დასვა უშანგი, არამედ ეს მისი განცდის შედეგი იყო. უშანგის ჰამლეტიდან გამომდინარე. ერთხელ კიდევ გაამეორებინა უშანგის მონოლოგი და შესწყვიტა რეპეტიცია.

როდესაც რაიმე ნაწყვეტს ან ნაკვეთს მსახიობი კარგად შეასრულებდა კოტე აღტაცებული იყო. მისი ცოცხალი, მეტყველი თვალეზი, სახე, სხეული — მისი სიხარულის გამომხატველი იყო. კოტე მარჯანიშვილი არ იყო ძუნწი აქტიორის შექებაში. პირიქით, იგი მალალ შეფასებას აძლევდა, იდარებდა დიდ მსახიობებს იმისათვის, რომ აქტიორმა თუნდაც პატარა ამოცანა კარგად გადაწყვიტოს. აქტიორის კარგი თამაში მას ლამპარით აანთებდა და რაც არ უნდა მოქანცული ყოფილიყო კოტე, ის ხელახლა ენერგიით ჩაერთვოდა დუღილში, გამალებით მუშაობდა, ძერწავდა მიზანსცენებს. ყვიროდა, დაძაბულად აღევნებდა თვალსურს. ვეფხვივით ტრიალებდა აქტიორთა შორის და ამ დროს მსახიობებს სწრაფად გადაედებოდათ კოტეს ენთუზიაზმი, კოტე რეპეტიციას დაამთავრებდა, თვალს მოავლებდა ყველას და გაეშურებოდა თავის კაბინეტისაკენ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ახლა კოტე დაღლილ-დაქანცული ჩაეშვებოდა სავარძელში და მოსვენებას მიეცემოდა. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. ის უმაღლეს სხვა საქმეს შეუდგებოდა, თუნდაც მის მიერ დაარსებულ საოპერო სტუდიის რეპეტიციებს, ან მწერალთა კავშირში წავიდოდა, ან ოპერის თეატრში, სადაც დადგმას ახორციელებდა, ან ხალხური შემოქმედების მასალებს ათვალთვრებდა.

უკვე ჰამლეტის რეპეტიციებმა მასობრივ სცენებს მიაღწიეს. კოტე ვეფხვია გამძვინვარებული. რამდენი კაციც არ უნდა იყოს მასაში, თუნდაც ასი, კოტე მათ უცბად იმორჩილებს და მთელი ყურადღება მისკენა მიზიდული. კოტე

აფასებს მდგომარეობას, მცირე განმარტებებს აძლევს, აგერ ვილაცას თავი აუწია, მეორეს მხარზე ხელი დაადებინა, კიდევ ვილაცას კორპუსი წარუშართა მოზიდულად. დაპყო ჭგუფ-ჭგუფად, ყველას თავისი შესაფერი ტექსტი. სიტყვის მასალა მისცა. და თქვენს წინ გადაიშალა მშვენიერი სურათი, სკულპტორის მიერ გამოძერწილი. ყველას თავისი ამოცანა აქვს, რომელიც პიუნის დედაზრიდან გამომდინარეობს. იცვლება მოვლენა, კოტე თავიდან იწყებს და მცირე ხნის მუშაობის შემდეგ მასა უკვე სხვაგვარად ამეტყველდა.

წარსულ წარმოდგენებში მასობრივი სცენები მხოლოდ უდიდამო ფონს წარმოადგენდა. კოტე მარჯანიშვილის ხელში კი ეს სცენები ხშირად გარდაიქმნებოდა ერთ-ერთ მოქმედ პირად. მაგალითისათვის ავიღოთ სათაგურის სცენა, როდესაც მეფე გარბის და მასას თავზარდამცემი შიში შეიპყრობს. ამ სცენის აღწერაც კი ძნელია, სიტყვით შეუძლებელია იმ შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელსაც ეს სცენა მაყურებელზე ახდენდა.

აი, ჰამლეტმა მსახიობებს მისცა რჩევა-მითითება, თუ როგორ უნდა ემოქმედათ. საყვირის ხმები აუწყებდნენ მეფე-დედოფლის მოახლოებას. „ისინი შემოდინდნენ, დიდებულთა ამაღის თანხლებით. ყველა თავის ადგილს იკავებდა. მეფე-დედოფალი სცენის სიღრმეში ტახტზე სხდებიან, ჰამლეტი ოფელიას ფერხით, მსახიობები სცენაზე იწყებოდა წარმოდგენა. როდესაც კლავდიუსი მიხვდებოდა, რომ ჰამლეტმა მას მახე დაუგო და მახეში გაება, რომ ჰამლეტმა იცნო მამის მკვლელი, — შეშფოთებული წამოიჭრებოდა ფეხზე, სცენაზე საშინელი მღელვარება ატყდებოდა. გეგონებოდათ ქარიშხალმა გადაიარა სცენაზე — და მიხვეტ-მოხვეტა აქეთ-იქით დამფრთხალი ზალხი, — ისმოდა საშინელი წივილ-კივილი, ამოძრავდებოდა ჩირაღდნები, ხან ერთი ჭგუფი განათდებოდა, ხან მეორე. ხან მეფის შეშინე-

ბულ, თავზარდაცემულ სახეს დაიჭერდა პროექტორის სხივი, ხან ჰამლეტის აღტყინებულ სახეს. შეშინებული ქალები გარბოდნენ, დაბნეულები ერთმანეთს გზას უღობავდნენ, ამაღა გარს შემოერთებოდა მეფეს. დამფრთხალი აქტიორები დასამალავ სოროს ეძებდნენ. სცენა შიშის ზარის უმძაფრეს გამოხატულებად იქცეოდა. ამას ემატებოდა ორკესტრის შემადრწუნებელი ხმები.

ამბობენ, მიზანსცენები რეჟისორის ენაო, კოტეს მიმართ ეს სავესებით მართლდებოდა. ყველა დადგმაში და განსაკუთრებით „ჰამლეტში“, კოტეს მიერ განაწილებული მიზანსცენები ისე მეტყველი იყვნენ, ისე სრულად გამოხატავდნენ შინაგან გრძნობას და ნათელი იყვნენ აზრობრივად, რომ აღამიანი ტექსტის მოსმენის გარეშეც კი შესძლებდა ჩასწვდომოდა მოქმედების შინაარსს.

კოტე მარჯანიშვილი, როგორც საერთოდ, „ჰამლეტის“ დადგმაშიც, დიდ მნიშვნელობას აძლევდა რიტმს. და ეს სცენაც სწორედ დაძაბული რიტმით გამოიხატებოდა.

„ჰამლეტის“ რეპეტიციები დიდხანს არ მომდინარეობდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კოტე მარჯანიშვილს არ უყვარდა მსახიობის დაღლა. ის ყოველთვის ამბობდა, რომ რეპეტიციები და გენერალურა რეპეტიციები მსახიობის შემოქმედების დღესასწაული უნდა იყოს.

კოტე მარჯანიშვილს არ უყვარდა ერთისა და იმავე აქტის მრავალი რეპეტიციით ფექსირება. ამას იგი სიამოვნებით უთმობდა თანადამდგმელ რეჟისორს ან თანაშემწეს. ეს გასაგებია. კოტე მარჯანიშვილი რეჟისორის მწველი ბუნების კაცი იყო, ისეთი დიდი ფანტაზიის, რომ შემდეგ რეპეტიციაზე შეეძლო სავსებით შეეცვალა მთელი მოქმედება, სრულიად აზღებურად გადაეჭრა, უფრო გაეღრმავებინა, და ასეთ ცვლას უკეთესისაგან დასასრული აღარ ექნებოდა.

სარეპეტიციო დარბაზში „ჰამლეტის“ რეპეტიციები უკვე დასასრულს უახლოვდება; ამ დროს კოტე ნიშავს მთელი პიესის უწყვეტ რეპეტიციებს. კოტეს აზრით, თუ წარმოდგენა სარეპეტიციო დარბაზში, არ შეუკრა, თუ არ მოინახა სათანადო ტონი, რიტმი, ურთიერთდამოკიდებულება, სახის გახსნა, სხეავგარად სცენაზე გადასვლა დეკორაციებში, კოსტიუმებში, დაარღვევს, დაშლის სპექტაკლს.

დადგა დრო და კოტეს რეპეტიციები გადააქვს სცენაზე. კოტე მარჯანიშვილი დეკორაციის ყოველ ნაწილს დეტალურად ათვალერებდა, ამ დროს მხატვარი და სცენის მემანქანე მეტად ლელავდნენ, კოტეს შეეძლო დეკორაციები დაეწუნებინა და მაშინ ხელახლა გასაკეთებელი იქნებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავი მხატვრის ირ. გამრეკელის დეკორაციები კოტეს იშვიათად თუ დაუწუნებია. ირაკლი თითქოს მის გულისნადებს კითხულობდა, ესწრებოდა ყოველ რეპეტიციას, თვალყურს ადევნებდა დადემის ყველა დეტალს და ამიტომ მისი დეკორაციები შესისხლობრცებული იყო კოტეს ჩანაფიქრთან. კერძოდ, „ჰამლეტის“ დეკორაციებში ირაკლის დანადგარები, ფერთა შესამება, მხატვრობის სწორი აზრობრივი გადაჭრა, მოქმედ პირთა სახის გამოვლინებელი ტანისამოსები პარმონიულად იყო შერწყმული მთელ წარმოდგენაში.

დეკორაციების გასინჯვის შემდეგ გრამებისა და ჩაცმულობის გასინჯვა აღინიშნა. ამისათვის კოტე მარჯანიშვილმა გააკეთა სცენაზე სპეციალური დანადგარი და ყოველი მხრიდან პროექტორების შექით გაანათა. ზედ აღიოდნენ მსახიობები და ისინჯებოდა გრიმის და ჩაცმულობის ყოველი დეტალი. მიზანი მიღწეულია, თითქმის ყველა ტანისამოსი და გრიმი მოწონებულია, მხოლოდ ჰამლეტის — უშანგი ჩხეიძის ტანისამოსი და გრიმი თიქოს ვერ არის წესრიგში. ის არ ეხმა-

რება მსახიობს შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაში. მარჯანიშვილი ირაკლი ფუსფუსებენ: მარჯანიშვილი ცელის გრამს, — ისევ არ ეწყობა. პროექტორებით განათების შემდეგ უშანგის სახე თითქოს დაგრძელდა და გამომსახველობა დაკარგა. კოტემ თავისი ხელთ აიღო თმა, გააკეთა პატარა წვერი და ნიკაპის ქვეშ ამოუღო უშანგის. მოხდა საოცრება, სახემ მიიღო ჰამლეტის გამოშეტყველება. უშანგის ტანისამოსსაც დაჰპირდა გადაკეთება — იგი მოკლე იყო და დაგრძელეს.

კოტე მარჯანიშვილი გენერალურ რეპეტიციაზე ისე მღელვარე არასოდეს არ მინახავს, როგორც „ჰამლეტის“ რეპეტიციაზე. გენერალური რეპეტიციები მთავრდებოდა, დაქანცული მსახიობები სახლში მიდიოდნენ, ყველაზე უფრო მოქანცული, ხმაჩახლეჩილი კოტე იყო. სარეჟისორო მაგიდაზე რჩებოდა დამტვრეული ზარები, ზარების დარტყმისაგან გატეხილი ფინჯანი, უზარმაზარი საფერფლე, გატეხილი პაპირის ნაშუფავებით. დამდგმელი ჯგუფი კი რჩებოდა თეატრში იმ შესწორებების განსახორციელებლად, რომელნიც რეპეტიციაზე იყო მითითებული.

უკანასკნელ, გენერალურ რეპეტიციაზე მოწვეული იყო საზოგადოება და თქვენ გგონიათ აქ კოტე დამშვიდებული იქნა? არა, ისევ შენიშვნები, შესწორებები, როგორც წინათ, იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პიესა მზად არ იყო. შეკითხვაზე კოტე მარჯანიშვილი უპასუხებდა — „თუ გენერალური რეპეტიცია კარგად წავიდა, წარმოდგენა ვერ გიომარჯვებს“. ეს დიდი მუშაობა ჩატარდა მოკლე ხანში. „ჰამლეტისათვის“ კოტეს სულ 38 რეპეტიცია დაჰპირდა.

პრემიერის დილაა. მთელი დასი, მონაწილეები, დამდგმელი ჯგუფი, ტექნიკური შტატი პარტერშია. შემოდის კოტე. იგი ჯარის სარდალსა ჰკავს, სარდალს, რომელსაც თავისი ლაშქარი

გადამწყვეტ ბრძოლაში მიჰყავს. დღეს უკვე მღელვარე კოტე თავს დამპყიდებულად აჩვენებს, გენერალური რეპეტიციისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს თავაზიანად უზიარებს, ხშირად შექებასაც მიმართავს. ამხნეებს დასის წევრებს და ამბობს, რომ ამ წარმოდგენამ უნდა მისცეს ხალხს მხნეობა, რომ სამართლიანობისათვის ბრძოლა უდიდესი მოწოდებაა ადამიანისათვის და რომ მებრძოლი უკვალოდ, უშედეგოდ არასდროს არ იღუპება.

1925 წლის 12 ნოემბერს მეტად საპასუხისმგებლო პრემიერაა. ყველა ბილეთი გაყიდულია, საზოგადოება მოუთმენლად მოელის შექსპირის უკვდავი ტრაგედიის წარმოდგენას ახალ ქართულ თეატრში, კოტეს მეშვეობით ვარდაქმნილ თეატრში, რომელმაც უკვე მრავალი საინტერესო სპექტაკლი უჩვენა ქართულ საზოგადოებას და სამართლიანი სიყვარულიც დაიმსახურა. ინტერესს აცხოველებს ის გარემოებაც, რომ დღეს პირველად ჰამლეტის როლში გამოდის ახალგაზრდა მსახიობი.

8 საათი ახლოვდება. დარბაზს საზეიმოდ განწყობილი მაყურებელი აესებს. წარმოდგენის დაწყების მოლოდინში ყველა ღელავს.

სცენაზე ყველაფერი მზადაა. იქ აბსოლუტური სიჩუმე სუფევს.

წარმოდგენის მსვლელობის დროს კოტე სცენაზე არ გამოჩნდება. თეატრის კანონის მიხედვით, რეჟისორის გამოჩენა სცენაზე, მისი მღელვარება ხელს შეუშლის წარმოდგენის მსვლელობას. სცენას თანაშემწე განაგებს. ახლა ის ყველაზე უფროსია, მისი განკარგულებები სიტყვის შეტებრუნებლად სრულდება. თანაშემწეს მღელვარება არ უნდა ეტყობოდეს.

ისმის მეორე გონგის ზმა. დარბაზში


სინათლე ქრება. ორკესტრი შესავალს იწყებს. ამ დროს მეთორმეტე წუთის კარები იღება, ყველასათვის შეუძენია ვლად, ჩუმად შემოდის კოტე. ჯდება და უყურებს სპექტაკლს, როგორც უბრალო მაყურებელი.

ფარდა იხსნება. ბერნარდოსა და მარცელიუსის სცენის შემდეგ მაღალ კიბეზე ჰამლეტი — უშანგი გამოჩნდება. დარბაზი ტაშით ზვდება. კოტე ჩუმად იღიმება. მას უხარია.

მიდის სპექტაკლი, დიდი სიყვარულით შექმნილი ნიჭიერი კოლექტაჟის მიერ. საზოგადოება სულგანაბული უსმენს დიდი შექსპირის გენიალურ ქმნილებას. ყველა შემსრულებელი, დაწყებული უშანგი-ჰამლეტით, გათავებული სცენის თანამშრომლით, მასობრივი სცენის მონაწილით — უნაკლოა. დიდებულია უშანგის მიერ გადამიანუტრებული ჰამლეტი. აკაკი ვასაძის კლავდიუსი სრულყოფილ მხატვრულ სახედ გვევლინება. მისი კლავდიუსი ვერეგობისა და ბოროტების გამოხატულებაა. მომაჯადოებელია ვერიკო-ოფელია, თავისი სინაზით, სინატიფით. ნამდვილი კეთილშობილი რაინდია აკაკი ხორავა-ლაერტი.

წარმოდგენა დასრულდა, საზოგადოებამ იგი კარგად მიიღო. სცენა ყვავილებშია ჩაფლული, ოცაიები აღარ თავდება. სცენაზე გამოჰყავთ კოტე. ის ჩქარი ნაბიჯით მიდის ჰამლეტის როლის შემსრულებელთან და ჰკოცნის მას. ტაშის გრიალი მატულობს. კოტემ ავანსცენაზე გაიყვანა უშანგი, თითქოს საზოგადოებას გადასცა, გადააბარა. მრავალთა შორის კიდევ ერთი ახალი ნიჭიერი მსახიობი.

ასეთი იყო გენიალური შექსპირის უკვდავი ტრაგედიის განსახიერება რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილის მიერ.





პანო ნუკიძე

სერგო კლდიაშვილის ნოველების მთავარი თემა

ჩვენს ცნობილ მწერალს ს. კლდიაშვილს ახლახანს დაბადების სამოცდაათი და ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წელი თავი შეუსრულდა. ს. კლდიაშვილი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის უფროსი ვაჟია. დაიბადა 1893 წლის 18 ოქტომბერს სოფელ სიმონეთში. 1900 წლიდან სწავლობდა და იზრდებოდა ბათუმში, სადაც იმ დროს ჯარში მსახურობდა და ამასთან კულტურულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა მამამისი დავითი. თუ გაეიხსენებთ, რომ ის წლები საქართველოში, კერძოდ, ბათუმში რევოლუციური აღმავლობის წლები იყო, ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ვარტყობას, რომ დავით კლდიაშვილის ოქახი ბათუმში წარმოადგენდა იმ კერას, სადაც თავს იურიდნენ და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებზე მსჯელობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები. რომ დ. კლდიაშვილთან და მის ოქახთან ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობა მქონდათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესვეურებს, კერძოდ, აჯაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს, ჩვენთვის ნათელი გახდება ის იდეურ-მორალური ატმოსფერო, რომელითაც სწავლავდა ს. კლდიაშვილი ჯერ კიდევ ბავშვობისა და ურჩობის ასაკში. როცა დავითის ოქახი ქუთაისში საცხოვრებლად გადავიდა, ს. კლდიაშვილმა სწავლა განაგრძო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1913 წელს დაამთავრა. ამავე წლიდან იგი სწავლობს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის კურსი 1917 წელს დაასრულა.

ბუნებრივია, თუ ცნობილი მწერლის შვილს ადრევე გაეღვივა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და მასთან მისწრაფებაც, რომ ცხოვრებაში მამის გზას გაყოლოდა. 1911 წელს ჯერ კიდევ გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფემ გაზეთ „სინათლეში“ გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა. იმ დღიდან მისი კალამი დაუცხრომლად და ენერგიულად ემსახურება მშობლიური ლიტერატურის გამდიდრების საქმეს. ს. კლდიაშვილი რამდენიმე რომანის, მრავალი მოთხრობის, სოველის, მინიატურის, პიესის და ეხვისტურა ნაწარმოების ავტორია. ეს ნაწარმოებები რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში და ცალკე წიგნებად გამოდიოდა. დასლოებით სუთ მოზრდილ ტონს შეადგენს. ნახევარ საუკუნეზე მეტია მოღვაწეობს სერგო კლდიაშვილი, მაგრამ მას კალამს ოდნავ არ დასტუობია მოდუნება. პირიქით, მწერალი ახალგაზრდული ენერჯიით და გატაცებით განაგრძობს ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას, და იშვიათია თვე, რომ მან არ გაახაროს შეთხველი ჩვენი ლიტერატურული გაზეთის და ეურსნალების ფურცლებზე თავისი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებით.

სერგო კლდიაშვილი მაღალი პოეტური კულტურის და ფაქიზი მხატვრული სიტყვის ოსტატია. მას დიდი ინტერესით კითხულობს მასობრივიც და დახვეწილი გემოვნების ინტელექტუალური მკითხველიც. ეს მხოლოდ ჰემეორიტი მწერლის ხვედრია. ჩვენ გვიყვარს ს. კლდიაშვილი სიმართლისათვის,

გულითადობისათვის, ნათელი ფერებისა და ხალისიანი იუმორისთვის. თემები და მოტივები მისი ნოველებისა უმთავრესად ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისგან არის ნაკარნახევი. ს. კლდიაშვილის წერის მანერა იმდენად თავისებურია, რომ მკვეთრად განასხვავებს მას თანამედროვე ქართველი პროზაიკოსებისაგან. ს. კლდიაშვილის სტილი,

რომელიც ვერ ეგუება გაუბრალოებულ სისადავეს და ნაძალადეგ, ხელოვნურ სირთულეს, ენათესავება სულხან-საბა ორბელიანის ლაქონური მეტყველების სტილს და ამასთან მოკლებული არ არის იმ სიახლეს, რომელსაც მეოცე საუკუნის პროზამ მიაღწია რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში.

ს. კლდიაშვილის შემოქმედება არა ერთხელ ყოფილა კრიტიკული განხილვის საგანი. იშვიათია ჩვენში ლიტერატურის მკვლევარი-კრიტიკოსი, რომელსაც არ ეღიარებინოს ს. კლდიაშვილის ორიგინალური ხელწერა და არ აღენიშნოს მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. მიუხედავად ამისა ს. კლდიაშვილი ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული მაინც არ არის. ზემოხსენებული აზრი ს. კლდიაშვილის მხატვრულ თავისებურებაზე მოითხოვს დაკონკრეტებას და საფუძვლიან დასაბუთებას, და, მე, როგორც მისი ერთი მოსიყვარულე მკითხველთაგანი, ვნატობ, რომ სერგო კლდიაშვილზე დაიწეროს ვრცელი მონოგრაფია ისე ნათლად და გარკვევით, ისე ღრმად და სადად, ისე ცოცხლად და ხალისიანად, როგორც არის დაწერილი თვით მისი რომანები, ნოველები და მინიატურები.

ს. კლდიაშვილი განეკუთვნება იმ მწერლებს რიგს, რომლებიც თავის შემოქმედებით აცნობენ გარკვეულ ხარვეზს ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში იმ მხრივ, რომ ამბობენ ახალ სიტყვას ხალხის ცხოვრების ისეთ მხარეებზე, ისეთ სატკივრებზე, რომლებზედაც მანამდე სხვა მხატვრებს არაფერი უთქვამთ, ან თუ უთქვამთ, არა ისე შემაგონებლად, რომ ეს თქმული მიღებული და გაცნობიერებული ყოფილიყო მკითხველის და ფართო საზოგადოებრივობის მიერ.

ს. კლდიაშვილის პირველი ბედნიერება ის არის, რომ მას თან დაჰყვა უტყუარი ნიჭი ნამდვილი მხატვრისა. ხოლო მეორე ბედნიერება — ის, რომ

ამ ნიჭის განვითარებას სწორი გეზი და მიმართულება მისცა საბჭოთა-სოციალისტური იდეა, საბჭოთა ეპოქის სტრუქტურული პოლიტიკურმა ვითარებამ, ეთიკურ-ესთეტიკურმა იდეებმა და იდეალებმა.

ს. კლდიაშვილი სამწერლო სარბიელზე გამოვიდა ნახევარი საუკუნის წინათ იმ ხანებში, როცა საქართველოს ლიტერატურულ სინამდვილეში ფეხს იკიდებდა ანტირეალისტური, ანტიხალხური, დეკადენტური სკოლები, და იყო გარკვეული საშიშროება იმისა, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ტალანტი ამ ლიტერატურულ მომდინარეობათა მაცდუნებელი გავლენის ქვეშ მოჰყვებოდა, დიდი რეალისტური ლიტერატურის გზას აცდებოდა, და ს. კლდიაშვილის სახით ქართულ მწერლობას ეყოლებოდა არა მხატვარი შემოქმედი, რომელიც ქმნის საზრდოს ხალხის სულიერი ცხოვრებისთვის და ადამიანის იდეური და ზნეობრივი სრულყოფისათვის, არამედ დეკადენტი მწერალი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში აკეთებს გარეგნულად ლამაზ, მაგრამ უმაქნის ნივთებს ცხოვრებისგან განებვირებული სიბარიტების გასართობად და თავშესაქცევად.

საბედნიეროდ, ს. კლდიაშვილის მადლიანი ნიჭი ამ საფრთხეს ააცილრა ახალი საზოგადოების, ახალი ქვეყნის ასაგებად ამოძრავებულმა მილიონების ენერჯიამ. ხალხის დიდ შემოქმედებითს მდინარებაში ჩართული, სოციალისტური იდეებს, ახალ ეთიკურ-ესთეტიკურ მრწამსს ნაზიარები ახალგაზრდა მწერალი ს. კლდიაშვილი მტკიცედ დადგა ლიტერატურის მაღალი იდეურობის და ხალხურობის პოზიციებზე, თავის შემოქმედებაში ურყევ სახელმძღვანელო პრინციპად მიიღო ის კემპარიტება, რომ ხალხი არის შემოქმედი ისტორიისა, და ამ თვალსაზრისით შეხედა რა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და აწმყოს, მიმდინარე სინამდვილეს, მოგვცა დიდი და მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოებები, სადაც

წარმოსახულია სხვადასხვა საკვანძო მომენტები ქართველი ხალხის ცხოვრებისა ისეთ გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც იყო პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის დიდი რევოლუცია, სამოქალაქო ომი, ხუთწლედები, დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასთან, კომუნისტების გაშლილი მშენებლობა და სხვა.

არა მარტო დიდ ტილოებში, არამედ ნოველებსა და მინიატურებშიც მწერალი წარმოგვისახავს, თუ როგორ გადატყდა ეს მოვლენები ცალკეულ ადამიანთა, უმთავრესად, უბრალო ადამიანთა ცხოვრებაში, რა გავლენა იქონია მათ ბედზე და მომავალზე, და რადგან ეს უბრალო მშრომელი ადამიანები შეადგენენ ხალხს, მათი სახით და თავგადასავალით ნახვენებია ხალხის ცხოვრება ამ გარდატეხების წლებსა და პერიოდებში.

ჩვენი დროის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ძვრების რა ეტაპებსა და პერიოდებებსაც არ უნდა ხატავდეს ს. კლდიაშვილი, ყველგან იგრძნობა, რომ იგი არის ქართველი ხალხის ცხოვრების მაქისცემის სათუთი მეთვალყურე, მხურვალე პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ღვიძლი შვილი იმერისა, რომელმაც ისტორიის გრძელი გზა გამოიარა, გაუძლო უმძაფრეს ქართველებს, შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურა-მოაღწია იმ ერამდე, როცა ინგრევა ძველი და იბადება ახალი სამყარო. წარმოგვისახავს რა ქართველი ადამიანის, ქართველი ხალხის მონაწილეობას ამ პროცესებში, მწერალი გამოხატავს თავის უგულითადეს ნატვრას, რომ ქართველმა ხალხმა მხარი გაუსწოროს ისტორიაში მანამდე გაუგონარს უძლიერეს გრივალებს, არ აღიგავოს პირისაგან მიწისა და მუდამ დარჩეს იმ მიწაწყლის მკვიდრად, რომელიც წინაპართა სისხლით და ძვლებით არის მორწყული და გამოხიერებული; რომ ახალ კომუნისტურ სამყაროში ქართველმა ხალხმაც შეინარჩუნოს თავის

ვინაობა და უფრო ძალუმაღ, ვიდრე წარსულში, გამოავლინოს თავისი მნიშვნელოვანი ენერგია, შეიტანოს თავისი წვლილი ახალი საკაცობრიო კულტურის სავანძურში. ამ იდეას უტრიალებს გარშემო ს. კლდიაშვილის ფიქრი და გრძნობა; ემოციურად გახსნილი ამ იდეით არის განათებული ს. კლდიაშვილის დიდი და მცირე ფორმის ნაწარმოებები. სხვა ქმნილებებს რომ თავი დაეპყრობოთ, ეს იდეა მამოძრავებელი ღერძი ისეთი ღრმად შთამბეჭდავი ნოველებისა და მინიატურებისა, როგორც არის „ჭინკა ბიჭები“, „ნაბოლარა“, „სერაფიტი“, „სოფლის გზაზე საქართველოში“, „როცა ზედანნიდან გაეცქერა“ და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ გასაღებს მწერლის მთელი შემოქმედების ეთიკურ-ესთეტიკური სამყაროში შესასვლელად.

სანიშნულად ავიღოთ თუნდა პატარა ნახატი „ჭინკა ბიჭები“. ეს ნაწარმოები, რომელიც ასახავს კონკრეტულ ვითარებას, ცილდება იმ დროს და სივრცეს, რომელითაც იგი არის შემოფარგლული, და მოიცავს მთელი ქართველი ხალხის ტრაგიკულ თავგადასავალს საუკუნეების მანძილზე. ის ფიქრები და განცდები, რომლებსაც ავტორის გულში ზადებს ერთი ქართული სოფლის პატარა უბნის ბავშვებთან შეხვედრა, შეიძლებოდა აღძროდა მხოლოდ მრავალჭირნახული, უთვალავ უცხოელ დამპყრობლებთან განუწყვეტელ უთანასწორო ომებში სისხლისაგან დაცლილი ერის შვილს, შვილს მცირერიცხოვანი ხალხისა, რომლისათვისაც სიცოცხლე ყოველი ადამიანისა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხთან არის დაკავშირებული.

ქართველი ხალხისათვის მე-19 საუკუნე იყო მისი ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის საუკუნე. მხოლოდ ამ საუკუნის მიწურულში და ახალი საუკუნის დამდეგს ქართველმა ერმა დაღვარა სისხლი თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგჩამ ამ მსხვერპ-

ლმა, რომელიც საცვებით გამართლებული იყო, იგი ვერ გასტეხა წელში. ის იყო, მის წინაშე გადაიშალა შემდგომი ზრდის პერსპექტივები, რომ ქართველ ხალხს გადაუჭროლა პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალმა, რომელმაც თან წარიტანა საქართველოს მოსახლეობის ერთი მეოთხედი და ამდენადვე შეკვეცა მისი ზრდის შესაძლებლობა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით ჩვენი ხალხის ცხოვრებაშიც დაიწყო ახალი ერა. დაიბადა ახალი საქართველო სოციალისტური ინდუსტრიით და მიწათმოქმედებით, ახალი კულტურით და ადამიანებით. იგი გეფხის ნახტომებით მიიწვავდა წინ, რომ ამ დროს მას, როგორც სოციალისტური ერების მთელ ოჯახს, თავს დაატყდა ბევრად უფრო მოპაკედიანებელი საფრთხე, ვინამ დასტეხია ოდესმე, — ფაშისტური ურდოებისაგან სრული ფიზიკური განადგურების საფრთხე.

ახალი საქართველო და მისი ყოველი პატრიოტი ამაყობს იმით, რომ ქართველი ხალხი, მოძმე ერების მხარდამხარ, თავდადებით იბრძოდა პიტლერის წინააღმდეგ საკუთარი თავის, სოციალისტური სამშობლოს, მთელი კაცობრიობის გადასარჩენად ფაშისტური ბნელეთისგან. მაგრამ ამ სიამაყის გრძნობას ყოველი ქართველი პატრიოტის გულში თან ახლავს იმ ჭრილობის სიმწვავე, რომელიც ამ უდიდესმა გამანათვისებელმა ომმა მიაყენა, კერძოდ, ქართველ ხალხს და რომელიც ბევრად უფრო მძიმე ასატანია მცირერიცხოვანი ერისათვის, ვიდრე რიცხოვრივად დიდი ხალხისათვის.

იმ გულისტკივილს, რომელსაც „ჭინკა ბიჭების“ კითხვისას განვიცდით, განიცდიდა ქართველი ხალხის ყველა თაობა ყოველი გამანადგურებელი ომის შემდეგ. მაგრამ მკითხველი მაინც შორსაა სასოწარკვეთილებისაგან, რადგან ავტორი ჩვენს სინამდვილეში ხედავს უტყუარ ნიშნებს იმისას, რომ ის, რაც იყო, აღარ განმეორდება.

სოფლელ ბავშვებთან გასაუბრება ავტორის მესხიერებაში აღსდგენს სოფლის ერთი უბნის მკვიდრთა ისტორიას, იმას, რაც ნახევარი საუკუნის მანძილზე გარდახდათ ამ ბავშვების მამებს და პაპებს, რომლებიც თავის დროზე ასეთივე ჭინკა ბიჭები იყვნენ, მერე დაეაყვადნენ, საკუთარი კერა გააჩაღეს, და ის იყო შვილები შეეძინათ, რუს ფარაჯებში გადაცემულნი, შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვიღაცელთან საომრად. ქმრების ჩონჩხ-ახალუხი დედაცაცებმა სათუთად შეინახეს სკივრში — უკან მოვლენ და რიგზე დანედებათო. მაშინ პირველად დადუმდა ეს უბანი. სახანსზე მოკიდება, ტვირთის ზიდვა და ვაჟკაცის სხვა მოვალეობა პატარებს დააწვათ კისერზე; ნაადრევად იგრძნეს ცხვრების სუსხი, მათ ბავშვურ სახეს მოწიფული მამაკაცების მკაცრი იერი შეერიო. დიდხანს ელოდნენ ქალები თავიანთ პატრონებს, მაგრამ იმათგან მართო ერთი დაბრუნდა, ყვარჯენზე დაყრდნობილი იორდანე. — დრომ — კეთილმა მკურნალმა ყველას გაუყუჩა და მოუშუშა ტკივილები. პატარები — ოდესღაც ის ჭინკა ბიჭები დაეაყვადნენ, სკივრიდან ამოილაგეს დიდი ხნის წინათ გამოტირებული და მივიწყებული მამების ჩონჩხ-ახალუხი და კიდევაც დაქორწინდნენ. მაგრამ ის იყო დასრულდა მყარიონის ლხინი ყველაზე უმცროს ლაზარეს სახლში, შვიდივე ომში წაიგდა პიტლერთან საბრძოლველად; წავიდნენ და არც ერთი არ დაბრუნებულა. მაშინ მეორედ დადუმდა უბანი. ეზოებში ჩანდნენ მხოლოდ შავებში მოსილი ახალგაზრდა ქვრივები. რამდენიმე წლის შემდეგ — განაგრძობს ავტორი, — ისევ მოვინახულე სამშობლოს კუთხე... აი, ის ძელქვაც, რომლის ძირში ბავშვმა ერთხელ წვიმის დროს თავი შევაფარე. სულ ერთია, როგორიც ოდესღაც მინახავს, მაღალი და ტრტებგაშლილი... აი, ნამეხარი ბებერი ჭადარი, რომლის ტანი ძველადაც ფუღუროდ იყო ქვეუღლი; დრო იყო, აქამდისაც წაქეუღლი-

ყო, მაგრამ ის ჭიუტად ჩაბლაუჭებია მიწიდან ამოკლავნილ დიდ ფესვებს და ძირში ორიოდ მწვანე შორხიცი მოუსხამს... — გზაჯვარედინთან ძველი ტყე გაეკაფათ, მაგრამ ახალი ამოყარი-ლიყო და მწვანედ ბიბინებდა... მივეყვი ორლობებს და მალე წყაროს მივეუახლოვდი. შორიასლოდან ჭერ ბავშვების ხმა მომესმა და მერე თვითონ ისინიც დავინახე. ხუთი დავთვალე, — ჭირკუტირა, ტალიკი ბიჭები იყვნენ. ერთმანეთს წყალს ასხურებდნენ, და გაწუმპულნი დახტოდნენ წყაროს ირგვლივ. თამაშობით გული იჭერეს თუ არა, აავსეს თუნგულები, გაიბაწრნენ ბატის ქუჩებივით და წატყაპუნდნენ.. რაღაც უნახესმა მოგონებამ გაიღვიძა ჩემში უეცრად, გადავუდექ მათ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე: — ვინ ხართ, ვისი ხართ, ბიჭებო?... გაკვირვებით შემომხედა უცხო და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამაში იყო, პასუხი არ დააყოვნა: — აბესაძეების ვართ, ეგერ, იმ უბნიდან. კიდევ ერთხელ შემავლეს თვალი და გაიბაწრეს დუმილით. როცა ისინი მოსახრელთან მივიდნენ, ვეღარ მოვითმინე და ხმა დავაწიე: ეგვი, ჭინკა ბიჭებო, ეგვი!... შეჩერდნენ, გაოცებით შემომხედეს, უცბადვე შეტრიალდნენ, აირივნენ და მხიარული ყიყინით მოკურცხლეს.

აი, ასე შეკუმშულად, ქართველი მკითხველისათვის ახლობელი, მშობლიური ფაქტურით, კოლორიტით, ღრმავარდნიანი დამახასიათებელი დეტალებით აღადგენს არა თუ სოფლის ერთი პატარა უბნის, მთელი ქართველი გლეხობის ტრაგიკულ ცხოვრებას ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ემოციურად გააზრებული და დამუხრუჭებულია ყოველი წინადადება ამ მინიატურისა, რომელიც მკითხველს შეუძლია განავრცოს, შეავსოს საკუთარი გამოცდილებით, მოგონებებით, თავის პირად და მეზობლების ცხოვრებაში მომხდარი ამბებით. განა იგი ნაკლებ გვალევეს, ვიდრე ამავე ავტო-

რის რომანი „ფერფლი“ რომელიც გვიხატავს პირველი მხრეების მიხედვით გაუკაცრიებულს და გაპარტახებულ ქართულ სოფელს, სანგრებში ჩამჯდარი ქართველი გლეხკაცის განწირულ მდგომარეობას, „ფერფლი“, რომელიც ავტორის პატრიოტული გულისტკივილით, ანტიმილიტარისტული სულისკვეთებით, დიდი მხატვრული სიმართლით დგას ამ თემაზე დაწერილ საუკეთესო რუსული და დასავლეთევროპული ნაწარმოების დონეზე. მაგრამ „ჭინკა ბიჭები“ ისე ძარღვიანად, ისე ექსპრესიულად არის დაწერილი, რომ გვაძლევს ძლიერ ბიძგს ღრმა დაფიქრებისა, შედარებებისა და დასკვნებისათვის.

ღიას, ქართველი გლეხი გამრჩელი და ჭირში გაუტეხელი, საუკუნეების მანძილზე იღგა ძელქვად, ნამეხარ ჭადრად, რომელიც ჭიუტად ებლაუჭებოდა მიწიდან ამოკლავნილ დიდ ფესვებს. ჩვენი დღევანდელი სოფლის ჭინკა ბიჭებიც დიდაც მის ძირში ამოყრილი ყლორტები არიან, რომლებიც უნდა იქცნენ მაღალ ტოტებგამული ბრგებებად.

მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, გვეუბნება ავტორი ნოველაში „ნაბოლარა“, რომ ბევრი ამ ჭინკა ბიჭებიდან ისწავლის თუ არა ანბანს, ძალიან იოლად სტოვებს მამაპაპულ ადგილებს, დღევანდელ ქართულ სოფელს, ახალი ოდებით დამშვენებულს. კეთილმწყვალობელს, კულტურულ სავანმანათლებლო კერებით მოფენილს: ახალ სოფელში ყოველდღიურ მუშაობას ამჯობინებს მოეწყოს სადმე ქალაქში მეხანძრედ, თუ დარაჯად.

— რომელ წიგნში ამოკითხეს, — ამბობს მწარე ამოოხვრით ხანდაზმული დარბაისელი მოხუცი გლეხი იორდანე. — სახლ-ქარი მიატოვე, გადაშენდი, გადაგვარდი. შენაინები დაავიწყი რა შენი ბუდეც მოშალეო... წინათ რომ ჭრაქით ვიჭვარტლებოდით, ახლა აქაურობა ელექტრონით არის გაჩაღებული. კარგი საქმეა, მარა ეს ხალხი თუ შემოე-

ცალა სოფელს, ვიღას გაუნათოს ელექტრონმა“.

ეს არის ახლა ჩვენი ერის სატყვიარი, — გვეუბნება ავტორი, ამიტომ არის რომ „სერაფიტის“ მთავარი პერსონაჟი, სოფლად მომუშავე ექიმი პლატონ მინდელი, რომელიც ქედს იხრის ქართველი ერის დიდი კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, მისი არქიტექტურული ძეგლების სიდიადის წინაშე და საჭიროდ თვლის მათ დაცვას შთაჰმოვადლობისათვის, მთავარ პრობლემად მიიჩნევს მაინც არა ამას, არამედ ქართველი ხალხის გამრავლების, მისი ფიზიკური ზრდის, სოფლად ჩვენი ახალგაზრდობის დამკვიდრების საკითხს.

„იცი რა ქვეყანაა საქართველო — ეუბნება მინდელი თავის თანამგზავს არქეოლოგს, — არ ვიცი, როგორ ვთქვა, არ ვიცი, რას შევადარო შეუღარები... და მერე უცბად თითქოს ნაღვლიანად დაუმატა: — როცა წარმოვიდგენ, რომ ამ ლეთისნიერ მიწაზე მხოლოდ ორი მილიონი, თუ რაღაც მეტი ქართველი ცხოვრობს, ჯავრისგან ვიყვირო მინდა. ათი და მეტი მილიონი, — აი რა გვინდა ჩვენ! ყველას გვასაზრდოებს, ყველას გაგვახსენებს ჩვენი მიწა. ჩვენს ბალებში და ქარხნებში ყველგან ქართველი კაცის ზელი უნდა ტრიალებდეს. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ და ვზრუნავდეთ ყოველ დღე, ყოველ წუთს... მადლობა ღმერთს, გათავდა ჩვენს მიწაზე ბარბაროსთა თარეში... დადგა დრო მთელი სიგრძე-სიგანით გავშალოთ ფრთები... ათი მილიონი მაინც უნდა გავხდეთ და უხვად მოვეფინოთ ამ მიწაზე. ის უხვია, მადლიანია და ყველას გაგვიწევს დამაშვილობს“.

ამ ნატვრით არის შეპყრობილი მწერლის გული, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ იგი თავის სხვა ნოველებსა და მინიატურებში ასე ალტაცებით ეგებება ყოველი ახალი სიცოცხლის გაჩენას ქართულ მიწაზე. ბავშვის დაბადება, საერთოდ, დიდი ბედნიერებაა ყველა ოჯახისათვის, ყველა ერისათვის, მაგრამ იგი ათკაცად უფრო მეტი ბედნიერებაა

ქართველი ხალხისათვის, რომელმაც, ვინ მოსთვლის, რამდენად სტრუქტურულ დაკარგა არსებობისათვის, მხოლოდ და რომლისთვისაც ყოველი ახალი არსების გაჩენა მუდმივი, უწყვეტი განახლების და გამრავლების მომასწავებელი უდიადესი აქტია.

ბავშვებს, როგორც ცხოვრებაში, ს. კლდიაშვილის ნოველებში შემოაქვთ სილაღე და სიხალისე, სიცოცხლე და სიხარული. ისეთ სინაზეს, ისეთ კულითადობას, ისეთ ალერსს და მოფერებას, ისეთ სასოებას და მამობრივ გულისხმიერებას, როგორც ავტორი და მისი ნაწარმოებების მოზრდილი პერსონაჟები ამქდავენდნენ ნორჩებისადმი, სამწუხაროდ, არც თუ ისე ზშირად ვხვდებით თანამედროვე ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებში. ასეთი კაცთმოყვარული მიმართება ჩვენი მომავალი თაობისადმი გამომდინარეობს ავტორის არა მარტო ჰუმანიური მსოფლმხედველობიდან, არამედ მისი პატრიოტული სულისკვეთებიდანაც.

მაგრამ ერის არსებობის მთავარი პირობაა არა მარტო რაოდენობა, არა მარტო სიმრავლე, არამედ მისი ახალი თაობის მაღალი და ეთიკურ-მორალური, ინტელექტურ-იდეური დონე. ერი უნდა იზრდებოდეს არა უქნარა, არაფერის მკეთებელი, მცონარა, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განზე გამდგარი ეგოისტების და ფილისტერების მომრავლებით, არამედ საქვეყნო ინტერესებით გამსჭვალული, კულტურის და ზნეობრივი შეგნების მაღალ დონეზე მდგარი, სიძნეეების წინაშე ქედუხრელი, გაბედული, აქტიურად მოქმედი ახალგაზრდობის მომრავლებით. თვით იმ საკითხის ვადაქრა, რომ ჩვენი ქარხნების ჩარხებთან, ჩვენს ბაღვენანებში უფრო მეტი ქართველი კაცის მარჯვენა ტრიალებდეს, დამოკიდებულება იმაზე, თუ რამდენად უფრო მეტი ახალგაზრდა განიმსჭვალება მოწინავე ადამიანის მორალით, მტკიცე ნებისყოფით, პატრიოტული მოვალეობის შეგნებით.

ს. კლდიაშვილი გვიჩვენებს რა ერთის

მხრით ნამდვილ პატრიოტ მოქალაქეებს, მეორე მხრივ მთელ რიგ იუმორისტულ-სატირულ ნოველებში ხატავს წვრილმანი ვნებებით, ქვენა გრძობებით შეპყრობილ, ვიწრო ეგოისტური ინტერესების ნაქუქში მოქცეულ კაცუნებს, რომლებსაც განებრივი და ზნეობრივი შეზღუდულობის გამო მხოლოდ ის ლა შეუძლიათ, რომ ფეხებში გაბღვანდონ ახალი ცხოვრების მშენებლებს, მაგრამ თვითონვე ხდებიან მსხვერპლი თავისი უსუსურობისა — დაუნდობლად ისრისებიან გოლიათური ნაბიჯით წინ მიმავალ მშრომელთა კოლონების ძლევამოსილ მარშში.

ამ პატარა უმაქნისი ადამიანების გარეგნობის და ყოფაქცევის ავტორი გროტესკულად, თითქმის ფანტასტიკური გაზვიადებით წარმოგვისახავს, ალბათ, იმ განზრახვით, რომ უფრო მკვეთრად და რელიეფურად გამოჩნდეს ის სიმახინჯე, რომელიც ჩვენს სინამდვილეში, აჩქარებული ცხოვრების ორომტრიალში ბევრისთვის შეუმჩნეველი რჩება.

ავტორი, რასაკვირველია, კიცხავს მათ, ააშკარავენ მათ არარაობას, მაგრამ თავს ნებას არ აძლევს—გესლიანად დასცინოს საკუთარი უბადრუკობით დაჩაგრულს და ვაცამტყერებულ ამ საცოდავ ადამიანებს.

„სულ გულქვა უნდა იქნე, — შენიშნავს ერთი თავის კომიკური პერსონაჟის გამო ს. კლდიაშვილი, რომ ამ დაჩოქილ კაცს კიდევ ქვა ესროლო“. მათი ნასიათების და ყოფაქცევის ამ სახით ჩვენებაც საკმაოა იმისათვის, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს, თუ რა დაბეჩავებამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, — რომელსაც არ უნდა გაირკვეს, თუ რა ხდება მის გარშემო, და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესებისაგან განზე გამდგარი მხოლოდ თავის ცხოველურ ინსტიქტებს აყოლია.

მაგრამ ასეთი პირები ჩვენს დროში იშვიათი გამოჩაყლისია და რა თქმა უნდა, ისინი როდი არიან დღევანდელ ქართულ სინამდვილეზე დაწერილი ს. კლდიაშვი-

ლის მოთხრობების მთავარი ფიგურები.

ს. კლდიაშვილის ნოველებში გვხვდება უიღვანე და მათი სიუჟეტის შესწავლით რებას წარმართავს მეტ წილად საბჭოთა საზოგადოების იდეურ-მორალურ ატმოსფეროში აღზრდილი და ჩამოყალიბებული ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანი, კოლმეურნე ან მუშა, მასწავლებელი ან ექიმი, აგრონომი, ან ირიგატორი, ველოფი ან მშენებელი ინჟინერი, რომელნიც ხელდაკაბიწებულნი მუშაობენ ყანებსა და ბაღენახებში, ქარხნის დაზვასთან და ხარაჩოებზე, იკვლევენ ბუნების წილს, აგებენ ელექტრო სადგურებს, ზრდიან ნორჩ თაობას, უფროხილდებიან ადამიანის ჯანმრთელობას, ადამიანები, რომლებსაც შეაქვთ სიცოცხლე, სიხარული, ენთუზიაზმი ყველგან, სადაც კი მოხვდებიან.

ესენი ქმნიან მოძრავი, დაუცხრომელი ცხოვრების რიტმს, ამალეებენ სასიცოცხლო ტონუსს იმ კუთხეში, თუ უბანზე, სადაც მათი მარჯვენა ტრიალებს. შეიძლება მათ კერძო ცხოვრებაში ჰქონდეთ სიმძლე, გაპირება, უსიამოვნებაც, მაგრამ ისინი მორალურად მაინც კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან იმის შეგნებით, რომ ჩაბმულნი არიან ახალი ცხოვრების მშენებელთა დიდ ფერხულში, რომ ყოველ მათგანს შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის აღორძინებასა და განახლებაში. შრომის ასეთი პათოსის ატმოსფეროში სავსებით ბუნებრივია ადამიანის მისწრაფება იმუშაოს იქ, სადაც ცხოვრება დულს, სადაც შეუხელებელი აღმშენებლობითი მუშაობაა. და გასაგებია ბედის მომდურავობა იმ ადამიანის მხრით, რომელიც აქტიურ მოქმედებას მოწყურებული, მისგან დამოკიდებული მიზეზების გამო. ნოკლებულია ამის საშუალებას. ასეთი ადამიანის განწყობილება აქვს გადმოცემული ს. კლდიაშვილის ნოველაში „მინდვრის ყვავილა“. ერთი ახალგაზრდა კაცი ტელეგრაფისტად მუშაობს რკინიგზის მიყრუებულ ბაქანზე, სადაც მატარებელიც კი არ ჩერდება, სადაც

მუდამ შეუშფოთებელი მყუდროება და საშინელი მოწყენილობაა. იძულებითი უსაქმურობისაგან გაწამებული ეს კაცი თავს იმით ირთობს, რომ დროდადრო ტელეფონით ესაუბრება მეზობელი სადგურის ტელეგრაფისტ ქალს, უზიარებს თავის გულის ვარაჟს, ამასთან განცხადებას განცხადებაზე გზავნის უფროსთან — გადაიყვანონ სხვაგან, სადაც მოძრაობა და სიცოცხლეა. ბოლოს აკმაყოფილებენ მის თხოვნას, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ტელეგრაფისტი უარს ამბობს დასტოვოს ეს მიყრუებული ადგილი, რა მოხდა? მოხდა ის, რომ სწორედ წინააღმდეგობით მოადგენ ბუდლოზერები, მექანიზმებით და საშენი მასალით დატვირთული საბარგო ავტომანქანები, — მაშასადამე, აქაც იწყება მოუსვენარი დღეები, შენდება ელექტროსადგური. ეს პატარა ნოველა, რომელიც ფსიქოლოგიური სიმართლით გვიხატავს დიდი ცხოვრებისაგან უნებლიედ გამოთიშული რიგითი ადამიანის მდგომარეობას, სიმართლით გვიჩვენებს, ჩვენი დროის დამახასიათებელ მომენტს, იმ სანატრელ დღეს, რომლის წინაშე დგას მანქანების რიტმული გუგუნით ჯერ კიდევ აუსაქურებელი ყოველი კუთხე ჩვენი რესპუბლიკისა.

თავისი გმირების მოქმედება და ყოფა-ცხოვრება ს. კლდიაშვილს ასახული აქვს ჩვენი ქვეყნის დიდებული ბუნების ფონზე. სათუთი გრძნობით, ღრმა ლირიზმით არის გამთბარი კლდიაშვილისეული ქართული პეიზაჟები, რომლებიც პარმონიულად ერწყმის ამბის განვითარებას და აძლიერებს ნაწარმოების ემოციურობას.

„რა დამღლის ვიარო წმინდა ქართულ მიწაზე, რა დამღლის ვუტკირო ჩემი ქვეყნის ცასა და მზეს, — გულის სიღრმიდან ამომსყდარი ეს სიტყვები არ შე-

იძლება არ გაიზიაროს ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც ჩვენს სოფლებშივე უნდა იყოს. მე მჯერა, რომ ატომისა და ელექტრონის სური ფრენის საუკუნეშიც ქართველი ხალხის და მისი მიწაწყლის საგალობლად დარჩება მინიატურები „სოფლის გზაზე საქართველოში“, „როცა ზედაზნიდან გაეცქერა,“ „სოფლის ღამე“ და ბევრი სხვა პროზად დაწერილი ლირიკული ნოველა, რომელიც თავისი ემოციურობით, აზრებისა და განცდების სიღრმით უტოლდება ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

ეს არ არის გადაჭარბება. ს. კლდიაშვილის მინიატურები იმსახურებს იმას, რომ მათ იზეპირებდეს ჩვენი ახალგაზრდობა. ეს გააღვივებს მასში მშობლიური ხალხისა და ქვეყნის სიყვარულს, გაუფაქიზებს მხატვრულ გემოვნებას, აამაღლებს მისი მეტყველების კულტურას. ს. კლდიაშვილმა მიაღწია იმას, რაც აქვს ჰეშმარიტ მხატვარ რეალისტს — თხრობის და ხატვის სისადავეს, აზრის სიღრმეს. მისი უჩუქურთმო, უსამკაულო ფრაზა გამჭვირვალეა, პლასტიკური და პარმონიულია, როცა ს. კლდიაშვილს კითხულობ, თითქოს უსმენ გულითადი მეგობრის უბრალო საუბარს შენთვის საინტერესო და ამაღლებულ ამბებზე, საუბარს დამშვიდებულს, აუჩქარებულს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ავტორი გულგრილი და ნეიტრალურია იმ ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, რომლებსაც გვიხატავს და რომლებზედაც მოგვითხრობს. არა, მისი მახვილი თვალით დანახულს და საზოგადოებრივ ენით ნაამბობს მუდამ თან ახლავს მხურვალე გრძნობა, შინაგანი ცეცხლი, რომელიც, ფეიერვერკის ციფრწყინვალეობას მოკლებული, ალაგზნებს მკითხველის გულს ადამიანის, ხალხის, სამშობლო ქვეყნის სიყვარულით.

მეორე ნაბიჯი

ორი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობები

უკანასკნელ წლებში ქართული ლიტერატურის წინაშე მრავალი ახალი ამოცანა დაისვა. ერთი ყველაზე რთული მათ შორის ახალი გმირის დახატვის ამოცანაა. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისტორიულად არც ისე დიდი ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა რამდენიმე ახალი თაობა, თბილისსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მწყობარში ჩადგა ახალგაზრდა სპეციალისტთა მრავალათასიანი არმია, რომელიც ჩვენსა უმაღლესმა და საშუალო სასწავლებლებმა მოამზადეს. ამ ახალმა თაობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისებური, წინა თაობათაგან რაღაც ახალი და განსხვავებული შემოიტანა. ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომელიც ადამიანის სულის გახსნისათვისაა მოწოდებული, ეს თაობა ახალ, უფრო გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს. ინტელიგენტი-მოაზროვნე, კულტურის დიდ მონაპოვრებს ზიარებული კაცი თუ ქალი უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენს რაღაც გამონაკლისს, დღეს ინტელიგენტიც, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანი, მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელია. მისი სოციალური როლი, აზროვნება თუ მეტყველების სტილიც ტიპიურია, და მის, ისეთივე უფლება აქვს ლიტერატურაში იარსებოს, როგორც ყველა სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილება, რასაც მკითხველი დღეს ლიტერატურაში გამოყვანილ ინტელიგენტის სახეს უყენებს, შეუდარებლად ვიზარდა. ინ-

ტელიგენტის ხატვაში დღეს, ისე როგორც ყველა სხვა ფენის წარმომადგენელთა ხატვაში თავისი სრული ძალით ვლინდება მკითხველის მიერ გმირისა თუ მისი განცდების საკუთარი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან შედარების ფაქტორი — სინამდვილის რაღაც ნაწილის (გმირის, ხასიათის, სიტუაციის, განცდის) ცნობის ფაქტორი, რომლის გარეშეც მხატვრულ სახეებს ნამდვილი სიცოცხლე არასდროს არ უწყვრიათ.

დ. ჯავახიშვილის მოთხრობა „ზღვა“, რომელიც „მნათობის“ გასული წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა, ჩვენი ლიტერატურის ამ ახალი საპატიო ამოცანის დასმის მხატვრულ ცდას წარმოადგენს. მისი გმირი თბილისელი ახალგაზრდა კაცია, — განათლებული ახალგაზრდა თაობის სწორედ ის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს დროში ესოდენ მრავალრიცხოვანია და რომლის ცხოვრებისა და შინაგანი სამყაროს დახატვა დღევანდელი ლიტერატურის ესოდენ საინტერესო ამოცანას შეადგენს. ამ გმირის სოციალური რაობა, ქცევა, ცხოვრებისეული გამოცდილება, მიზნები და აზროვნების სტილი ძალიან ზუსტად, ძალდაუტანებლად, და, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანისთვის ტიპიურადაა დახატული. მასში ჩვენი თანამედროვის სახეს უტყუარად ვცნობთ. როგორც თანამედროვე ინტელიგენტისათვის, მისთვის დამახასიათებელია მორალისა და ადამიანთა ურთიერთობის საკითხებზე ინტენსიური დაფიქრება, საკუთარი და სხვათა მოქმედებები, ანალიზი ეთიკური თვალსა-



ზრისით, საკუთარ განცდათა და ქმედობათა სიღრმეში უფრო ღრმად ჩახედვა, ვიდრე ამას მომენტის უშუალო პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს, მოთხრობის გმირში ეს ყველაფერი ბუნებრივად, თავისუფლად, ყოველგვარი აფექტაციისა და ვაზვიადების გარეშეა მოცემული. ამიტომ ეთიკური თემა მოთხრობისათვის ორგანიზებული თემაა.

მოთხრობაში ორი თემაა ერთმანეთში გადაჯაჭვული — ეთიკური და სოციალური. ამათში ეთიკური თემა წამყვანია. ნაწარმოები მოგვეთხრობს ახალგაზრდა თბილისელი კაცის ამბავს, რომელიც ზღვისპირა მივარდნილ დასახლებაში რამდენიმე დღით დასასვენებლად ჩასულა და იქ მოულოდნელად გადაეყარა ტრაგიკულ თავგადასავალს. მას შეჰყვარებია მერი — ამორალური, ბოროტი, უსინდისო კაცის შვილი, რომელსაც საბჭოთა ხალხისათვის მწუხარებით გასახსენებელ შორეულ პერიოდში მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაუღუპავს. მამის ცოდვები მძიმედ აწევს მერის, მეზობლები მას ავი თვალით უყურებენ, მისი „ცუდი ქცევა“ კიდევ უფრო მტრულ რეაქციას იწვევს. მოთხრობის გმირისადმი სიყვარულით გატაცება მერისათვის სრულებით მოულოდნელად მისი ბუნების რაღაც უფრო ღრმა სიმბეს ეხება — შეიძლება იმიტომაც, რომ ამ ახალგაზრდის დამოკიდებულებაში მისდამი, (ეს დამოკიდებულება უფრო გატაცებაა, ვიდრე სიყვარული), მან იგრძნო ისეთი რამ, რაც სხვათა დამოკიდებულებაში არ უგრძენია. მერი ვერ ართმევს თავს თავის წინააღმდეგობრივ გრძნობებს, მისი ამორალური ტვირთი აუტანელი ხდება. მერი, რომელიც საუცხოო მოცურობაა, პატარა ლელვის დროს ზღვაში იხრჩობა — ავტორი არსად არ ამბობს, რომ ამას თავის ნებით სჩადის, მაგრამ მკითხველს სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩება.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების სიუჟეტი მკვეთრი, დიდი შესაძლებლობების მომცემი და საპასუხისმგებლო სი-

უჟეტია. უკიდურესობაზე აგებული სიუჟეტიკების დამაჯერებელი ფსიქოლოგიური შინაარსით შეესება რთული ამოცანაა, მაგრამ ავტორს ეს ამოცანა კარგად დაუძლევა. ჩვენ ვერ ვგრძნობთ ძალდატანებას სიუჟეტის განვითარებაში, არ გვხვდება ფსიქოლოგიურად „ცარიელი“ მომენტები — ისეთი, როცა მოქმედების განვითარება გრძელდება, მაგრამ მისი ფსიქოლოგიური მოტივაციის ძაფი წყდება და მკითხველი გმირის მამოძრავებელი მოტივების მკაფიო წარმოდგენას კარგავს. მართალია, ნაწარმოების ფსიქოლოგიური სქემა მთლიანად პირველი შეხედვით ცოტა საეჭვო, პარადოქსული ჩანს (ბევრი მკითხველის შთაბეჭდილება, რომ მოთხრობას „რალაც აკლია“ უთუოდ ამითაა გამოწვეული). ისეთი არაჩვეულებრივი ამბავი, როგორიცაა თვითმკვლელობა, უნდობლობას იწვევს და ეს ბუნებრივია (ეს უნდობლობა მხოლოდ შემდეგ, ნაწარმოების ხელახლა ანალიზისა და გააზრების შედეგად ქარწყლდება). მაგრამ ეს უნდობლობა ეხება მხოლოდ ამბის შესაძლებლობას და არა მისი ვადმოცემის დამაჯერებლობას. მისი საფუძველი ისაა, რომ ავტორს გამოტოვებული აქვს მოთხრობაში აღწერილი დრამის ერთი ნაწილი: მას არ აქვს მოცემული მერის ტრაგიკული გადაწყვეტილების წარმოშობის ფსიქოლოგიური მექანიზმი. სამაგიეროდ დრამის ის ნაწილი, რომელსაც ავტორი დეტალურად ხატავს, დამაჯერებლად, ფსიქოლოგიური მოტივაციის მთელი სისრულითა და სიზუსტით არის მოხაზული. ყველა ფსიქოლოგიური გადასვლა (ამ გადასვლათა უმრავლესობა, ავტორის სისახელოდ უნდა ითქვას, ძალიან ფაქიზია) თვალსაჩინოა, დამაჯერებელი და ბუნებრივი.

ნაწარმოების ამ ღირსებას, უთუოდ, დიდწილად ავტორის გულწრფელობა ქმნის. ყოველგვარი შოხის გარეშე, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ოცდაათიოდე და ოციოდე წლის წინათ ჩვენში პირველ პირში დაწერილი მო-

თხრობების გარკვეული ნაწილისათვის, ყოველგვარი თავმოსაწყობებისა და თავის მიჩქმალვის გარეშე ავტორი თავისუფლად გვიჩვენებს თავისი გმირის განცდის ცვალებადობის დეტალებს, რომლებიც ცოცხლად გვიხანიათებს არა მარტო მის მოქმედებას და გრძნობას, არამედ მის მიზნებს, სწრაფვებსა და იმედებსაც. მაგრამ იმაში, რომ ავტორი წარმატებით მოერია რთულ ეთიკურ თემას, რა თქმა უნდა, გულწრფელობა გადამწყვეტი ვერ იქნება. გულწრფელობა ამ შემთხვევაში წარმატების მხოლოდ აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა საკმარისი პირობა. მასზე არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობაა ავტორის ლიტერატურული და გონებრივი ჰორიზონტი, ის, რომ მან იცის, თუ რა და რა ეთიკური პრობლემები შეიძლება აღელვებდეს ან აღელვებს თანამედროვე ადამიანს, რომელი მათგანი არის უკვე დასმული ხელოვნებასა და ლიტერატურაში და რომელი არა, რა შეიძლება იყოს კვალიფიციური მკითხველისათვის ახალი და რა არა. ავტორი სრულებით არ ჩერდება მოთხრობილი ამბის იმ მხარეზე, რომელიც მკითხველისათვის დღეს ეთიკურ პრობლემას აღარ წარმოადგენს. სამაგიეროდ იგი მთელ თავის ყურადღებას უთმობს მოქმედ პირთა ურთიერთობის თუ მათი ქცევა-გრძნობის ცვალებადობის იმ მხარეს, სადაც მკითხველისათვის ნამდვილად ახლის თქმა შეიძლება, სადაც ნამდვილად არსებობს საკითხი თუ პრობლემა, რომელიც მკითხველისთვის საინტერესოა, მაგრამ გადაჭრილი ან მოძველებული არ არის. ასე, მაგალითად, ავტორი არ მისდევს იმ ჯურის ადამიანთა მხილებას, რომელთა ტიპური წარმომადგენელიც მას გამოყვანილი ჰყავს მოთხრობაში პავლეს სახით: ამგვარ ადამიანთა ბუნება და ფასი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, ამ საკითხზე ახალი რამის თქმა მხოლოდ იმას თუ შეუძლია, ვინც მათი ბოროტმოქმედების უშუალო მსხვერპლი თუ მოწმე ყოფილა მრავალი წლის წინათ. მაგრამ ის, თუ როგორ

ხვდება ან შეიძლება შეხედეს წარსულის ამ საზიზღარ გადმონაშთს „მომინდა“ წინდისისა და ანკეტის“ შექმნე, მათელი ზრახვების თანამედროვე ახალგაზრდა. ეს ისეთი საკითხია, რომელიც მკითხველს ასე თუ ისე აინტერესებს და რომელსაც ჯერჯერობით თავისი ლიტერატურული გადაწყვეტა არ მიუღია. ის, თუ როგორ აქვს ავტორს მობაზულო რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ვფიქრობთ, მოთხრობის ყველაზე კარგი მიგნებაა, იგი ავტორის ფაქიზი თვითანალიზის უნარზე, გულწრფელობასა და გემოვნებაზე ლაპარაკობს. „რატომღაც ის ვეებერთელა მეღუზა მომაკონდა, გუშინწინ რომ ვნახე ნაპირთან, და ისეთივე ძლიერი ზიზღი ვიგრძენი, როგორც მაშინ, მაგრამ მაინც დიდხანს ვერ მოვაცილე თვალი კატასავით ფრთხილი ნაბიჯებით მიმავალ ამ ადამიანს, რომლის გულიც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით, ასე ძალდაუტანებლად და ადვილად იტევდა უზომო სიძულვილსა და ბოროტებას სხვების მიმართ. ეცდილობდი და ვერაფრით ვერ წარმომედგინა ნათლად, თუ რა საშიში უნდა ყოფილიყო ეს კაცი ახალგაზრდობისას, როცა მის ზრახვებს ისეთი ფართო გასაქანი ჰქონდა, რომ ამის გახსენება დღესაც კი სიცივესა ჰგვრის ტანში ყოველ პატიოსან ადამიანს. ვერ გამეგო, როგორ ვიტანდი ასე მშვიდად მასთან ყოფნას, რატომ არ მადრწობდა ბოლმა, როცა მას ველაპარაკებოდი ან როცა ის მელაპარაკებოდა.

პირიქით, თითქოს რაღაც მიზიდავდა მისკენ, დაუძლეველი და უცნაური ცნობისმოყვარეობა...“

ინდივიდუალურ ნუანსთა სიუხვით არის მოთხრობაში დახატული საყვარულის გრძნობა. ლიტერატურაში მრავალგზის გადამღერებულ თემას — ქაბუკის საყვარულს სახელგატეხილი ქალისადმი, რომელიც მტკივნეულად განიცდის თავისი ბედისა თუ ბუნების ამ მხარეს, ავტორი მაინცდამაინც არ აღრმავებს და ამაშიც მისი კარგი გემოვნება და ფართო ლიტერატურული დიპაზონი ჩანს.



სამაგიეროდ ამ ურთიერთობაში ავტორს შეაქვს სულ სხვა მოტივი, რომელიც ინდივიდუალურ იერს აძლევს ამ სიყვარულის ყველა სხვა მხარეს და მთელ ეპოზოდს კემშარიტ სიახლეს ანიჭებს. მერი ტრავმირებულია თავისი მამის ავკაცობით, მეზობლების სამართლიანი ზიზღითა და სიძულვილით პავლესადმი, რომლის შეხვები აგრეთვე მას, უდანაშაულოს ზედება. ეს მომენტი თავის დაღს ამჩნევს მერის ცხოვრების ყველა მხარეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, მის სიყვარულსაც მოთხრობის გმირისადმი. სიყვარულიც და მასთან დაკავშირებული სხვა განცდებიც ამის წყალობით სრულებით ახალ შექში წარმოგვიდგება.

მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანთა ურთიერთობაზე და მათ გრძნობებზე ახალი რამ გვითხრას, ავტორისათვის არ არის, როგორც მოთხრობიდან ჩანს, აუცილებელი მათი ურთიერთობის კარგა ცნობილი სიტუაციები ახალი გარეგანი დაბრკოლებებით გაართულოს. ავტორი ამჟღავნებს უნარს გარეგნული ფაქტების გარეშეც ახლებური შტრიხი დაინახოს მათ განცდებსა თუ ხასიათებში, მათი ადამიანური ბუნება რაღაც ახალი კუთხით გახსნას. ეს მიღწევა ჩვეულებრივ ადამიანებსა და მოვლენებში დაკვირვებით ჩახედვის და განსაკუთრებით გულმოდგინე ძიების ნაყოფია ხოლმე ლიტერატურაში და ავტორის უნარზე თუ ვილაპარაკებთ (რამდენადაც საქმე ახალგაზრდა ავტორს ეხება, პირველ ყოვლისა ეს საკითხია ჩვენთვის საინტერესო), მას ყველაზე კარგად სწორედ ეს ახასიათებს. არც მერი და არც დათო მოთხრობაში არ არიან სრულად მოხაზული ხასიათები, მაგრამ მათი ბუნების მკვეთრი სხვადასხვაობა, ღრმა ინტუიციით დანახული და თვალსაჩინოდ დახატული სხვადასხვაობა აქ მაინც კარგად იგრძნობა. „ვიდრე სახლამდე მივაცილებდი (ბედნიერი ბემონის შემდეგ, სადაც მერი, თითქოს, უმიზეზოდ ტირის, თავისი ბედით შეწუხებული, მოთხრობის გმირი კი ძლივს

ახერხებს მის დამშვიდებას). საბოლოოდ დამშვიდდა და მარტინს უკმინო არულდა კიდევ, მე კი, ზრ უიკი რატომ, პირაქით მომივიდა.“ მოთხრობის გმირი, უნდა ვიფიქროთ, პოზიტიური, მოაზროვნე ახალგაზრდაა. როგორც გამახვილებული მორალური გრძნობის პატრონს, მას ძლიერ აწუხებს ის დრამატიული მორალური პრობლემა, რომელიც თვითონ მას უშუალოდ არ ეხება. მერი კი ქალია, უფრო სუსტი და უფრო მერყევი ბუნების პატრონი. მიუხედავად ამისა, მისი უბედურება იმდენად დიდია და მისი სულიერი ტრავმაც იმდენად მწვავეა, რომ იგი მაინც საშინელ საბედისწერო ნაბიჯს დგამს. მისი ტრაგედია, ამგვარად, ემოციის ტრაგედიაა, სუსტი ადამიანის ტრაგედია. მოთხრობის გმირის დრამა კი, — გმირისა, რომელიც თავისი უდანაშაულო სინდისის ქენჯნის ამარა რჩება, მოაზროვნე და გამახვილებული ეთიკის მქონე ადამიანის ტრაგედიაა.

მოთხრობის კონფლიქტი, ამგვარად, რთული ფსიქოლოგიური კონფლიქტია, თემა — რთული ეთიკური თემა. სასიხარულოა, რომ დამწეებმა ავტორმა ამ თემის გადაწყვეტა ისე შესძლო, რომ მკითხველს არსად არ რჩება უკმაყოფილებს გრძნობა, რომელსაც დიდი ჩანაფიქრისა და ღარიბი გადაწყვეტის დისპროპორცია იწვევს ხოლმე. ავტორის უდავო ღირსებაა გემოვნება და ზომიერების უტყუარი გრძნობა. არსად მთელი მოთხრობის მანძილზე მკითხველს ყურს არ სჭრის გრძნობის გაუმართლებელი აფექტაცია, თვალში არ ეცემა თვითმიზნური პეიზაჟი, უადგილო იუმორისტული გადახვევა თუ ფსიქოლოგიური ექსკურსი. თხრობა ყველგან დინამიურია და თვალსაჩინო, იგი არაა გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. ავტორს ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ზომიერი და ფაქიზი იუმორი, რომელიც მან თავის ადრინდელ მოთხრობებში გამოავლინა („ბაიდა“, „ბაზალეთა“) და აქაც, მიუხედავად აღწერილი ამბის

ტრაგიკულობისა, ძალიან დროულად და ზომიერად ხმარობს.

ერთადერთი, რაც უთუოდ უნდა ესაყვედუროს ავტორს, ესაა მოქმედ პირთა მრავალენოვანი მეტყველების საეჭვო პრაქტიკა, რომელსაც ის ხშირად მიმართავს. ეს ლიტერატურაში კარგად ცნობილი და ფართოდ ხმარებული ხერხია, მაგრამ მას თავისი საზღვრები და თავისი ვიწროდ შემოსაზღვრული ამოცანა აქვს. გმირი მაშინ მეტყველებს თავის საკუთარ, ავტორის ენისაგან განსხვავებული ენით, როცა ამ სხვაობას რაღაც გამომხატველი ფუნქცია აქვს, როცა იგი სხვა რაღაცასაც ემსახურება, გარდა პერსონაჟის მეტყველების უბრალო კოპირებისა. ამის კლასიკური მაგალითია ლევ ტოლსტოის რომანები, რომელთა პერსონაჟები რუსულის გარდა მეტყველებენ ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად და ამის გარდა რუსულ მეტყველებაში სხვადასხვა ენების სიტყვებსაც ურევენ. მაგრამ, ჯერ ერთი, მათ მიერ გამოყენებული ენის მონაცვლეობა—ფრანგულიდან რუსულზე გადასვლა და პირიქით—აბასიათებს მათ პიროვნებას, მათ სოციალურ ვინაობას, მათ პოლიტიკურ განწყობილებას (განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელს „ომსა და მშვიდობაში“). ეს შტრიხი თავისთავად გასაგებია იყო ტოლსტოის ყველა თანამედროვისათვის, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ, რუსი საზოგადოების რომელ წევრს ურჩევნია ფრანგული მეტყველება. ეს შტრიხიც, ამგვარად, გმირთა და აბასიათების, მათი „ცნობის“ არსებითი მომენტი იყო. მეორეც, რუსულისა და ფრანგულის მონაცვლეობას ტოლსტოისთვის თავისი ემოციური დანიშნულება აქვს: ერთი და იგივე ფრაზა, რუსულად ნათქვამი და ფრანგულად ნათქვამი ტოლსტოის მშობელ საზოგადოებაში სხვადასხვანაირად „ჟღერდა“ და პერსონაჟთა სალაპარაკო ენის გათანაბრება (მათი მხოლოდ რუსულად ამეტყველება) მრავალი ნუნანის დაკარგვის

გამოიწვევდა. აქი „ანა კარენინაში“ კეთილბუნობით, რომ პერსონაჟი მარტინს ფრანგულ მიმართავს „შემა“ რჩევის სულ მეტისმეტად ფაილარულ „თმ“-ს და მეტისმეტად ოფიციალურ „მშ“-ს თავი აარიდოს. ამ ნუნანსაც ტოლსტოის მკითხველი უშეცდომოდ გრძნობდა. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი სპეციფიკური მიზანი არ არსებობს, ავტორისთვის უცხო ენის გამოყენებას აზრი ეკარგება. იგი მოქმედი პირის მეტყველების უბრალო კოპირებას გვაძლევს, რაც პერსონაჟის მეტყველებითი დაბასიათების არც საკმარისი ხერხი და არც აუცილებელი. პერსონაჟის დაბასიათება მის მიერ ხმარებული სიტყვების საშუალებით (ვთქვათ, დიალექტუზმებით, ჟარგონებით და ა. შ.) დიდი გამოსახულებითი ძალის მქონე ხერხია, მაგრამ მასზე განუზომლად უფრო დიდ როლს თამაშობს პერსონაჟის დაბასიათება აზრთა წყობის საშუალებით, რომელიც მისი სიტყვების მონურ კოპირებას არ მოითხოვს და შერჩევის, განზოგადების, შემქვიდროების მეტ შესაძლებლობას იძლევა.

„ზღვაში“ დიასახლისის დაბასიათებაში მისი მეტყველების ენას არავითარი დამატებითი შტრიხი არ შეაქვს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ავტორს ვერ მოუხერხებია იმავე შინაარსისა და იმავე ჟღერადობის ქართული ფრაზების შერჩევა, თითქოს მექანიკურად გადმოუტანია იმ პიროვნების მეტყველების სტილი, რომელიც მას თავისი პერსონაჟის პროტოტიპად გამოუყენებია.

გ. გეგეშიძის მოთხრობა „შტრიხები“ („მნათობი“ № 11) აგრეთვე ეთიკურ თემაზე დაწერილი მოთხრობაა. ეს იმ მცირერიცხოვან მხრობათაგანია ქართულ ლიტერატურაში საერთოდ, რომლებიც კერძოდ და სპეციალურად მხოლოდ ამ თემას ეხება და ეს ავტორს აბალი, ჯერ გადაუტრეული ამოცანის წინაშე აყენებს, მას თითქმის გაუცვალავ გზაზე სვლას აიძულებს. ორი ობოლი ბიჭი ზაფხულის პაპანაჭებაში უსაქმოდ და უპატრონოდ დაეხეტება ბაზარში.



მინდვრად, საბანაოზე და მეზობლების ბოსტნენში. ამათში უფროსს უკვე იმდენი შეგნება თუ სიმართლე-უსამართლობის ბუნდოვანი განცდა ვალეიქებია, რომ თავისი კიდევანობა, ბაზრისა და ქუჩის გულგრილობა, თავისი პატარა, პედისაგან უსამართლოდ დაჩაგრული ძმისადმი მწვავე სიბრალოლი განიცადოს. ამ ვერ უსავნო, შეუცნობელი ვრძნობით გააეხუტოს, უსამართლოდ შემოელახება ძმა, ხოლო შემდეგ, მისდამი სიბრალოლისა და სინდისის ქენჯნისაგან უარესად გამწარებული, თავის ბოღმას გამოსავალს აძლევს მასზე დიდი და ღონიერი ბიჭის გალახვით, რომელმაც მისი ძმა დაჩაგრა. სიძულვილი და სიმწარე მას ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებას ანიჭებს. მაგრამ ეს გამარჯვება შევებას არ ჰგვრის. არც მისი სინდისი, არც მისი გულისტკივილი არ ყოჩნდება. ასეთია ამ მოთხრობის მარტივი სიუჟეტი. ეთიკური გააზრების გარეშე ეს უშინაარსო, ცარიელი, გაუმართლებელი სიუჟეტი იქნებოდა. უფრო მეტიც — თვით მოქმედების განვითარება და მოთხრობის კომპოზიცია აქ სწორედ ნაწარმოების ეთიკურ შინაარსს მიჰყავს.

ჰუმანიზმი, რომელიც ამ ეთიკურ თემაზე დაწერილი მოთხრობის მარწმასა და პათოსს შეადგენს, ჩვენი ლიტერატურისათვის ახალი მოვლენა არ არის. მაგრამ ჰუმანიზმს თავისი უამრავი ნაირსახეობა აქვს. კრიტიკული რეალიზმის ეპოქის ჰუმანიზმის საფუძველი — ცხოვრების გარეგანი პირობებისაგან დაჩაგრული ადამიანის ჩვენება — ახალგაზრდა ავტორს სრულად აქვს გამოყენებული, თუმცა, რასაკვირველია, ამ გარეგან პირობებს არა აქვს და ვერც ეჭნება ის სახე, რომელიც კრიტიკული რეალიზმის ხანაში ჰქონდა. (იქ ამ გარეგან პირობებში სოციალური პირობები იგულისხმება, აქ ეს ბავშვების პირადი, შემთხვევითი უბედურებაა). მკვეთრი, ნათელი და, უდავოდ, ღრმად განცდილი შტრიხების საშუალებით მოთხრობაში დახატულია უდემამობით

დაჩაგრული ორი ბიჭის დრამა. უფრო მეტი, — ტრაგედია. რთმული მკითხველში ისეთივე მკითხველს მწვავე სიბრალოლის შემოტევას იწვევს, როგორც ჰუმანურ თემაზე დაწერილი ძველი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ამ ბავშვების ხეტიალი, მათი გაჭირვება, რომელიც არაად არაა პირდაპირ თავისი სახელით ნახსენები, მაგრამ ყველგან იგრძნობა და პირველ შემხვედრთა გულგრილობა მათდამი ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს. მოთხრობის სათანადო სცენები, უდავოდ, ძლიერად დახატული სცენებია.

ამ ტრაგიზმის დანახვა, მისი, ასე ვთქვათ, „შთაგრძნობა“, უფრო კი ამისი სათანადო ფორმით ლიტერატურული გამოსახვის უნარი მეტყველებს ახალგაზრდა ავტორის განცდის სიმწვავესა, გულწრფელობასა და პროზაიკოსის მთავარ თვისებაზე, სახის თანმიმდევრული გაშლით ემოციის თვალსაჩინოდ გამოხატვის ნიჭზე. მაგრამ, საბედნიეროდ, მოთხრობის ჰუმანიზმი ამ ტრადიციული სქემით: „ადამიანი — გარემო“. არ იფარგლება. ავტორი ამ ჰუმანიზმის იმ სახით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. არ იზღუდება. იგი არ მისდევს კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის ფესვგამდგარ ტრადიციას, როცა ტრაგიკულ მდგომარეობაში მოყოლილი ადამიანი იხატებოდა ისე, რომ მკითხველის ყურადღების ცენტრში მისი გამაწამებელი პირობები რჩებოდა და არა ის თვითონ. განსახილველ მოთხრობაში პირიქით არის და აქედან იწყება სწორედ ინტელექტუალური ძიება და არა უბრალო ფორტოგრაფიზმი. არატიპიური, შემთხვევითი სიტუაცია (ბავშვების ობლობა) ავტორს მხოლოდ იმისთვის აქვს გამოყენებული, რომ უფრო ზოგადი, ჩვენი დროისთვისაც დიდად საინტერესო ეთიკური კონფლიქტი გაშალოს. პატარა რეზიუმე, ამ მოთხრობის გმირი, აქტიურ პირობებშია თავის გარესამყაროსთან, იგი მსხვერპლი კი არაა, არამედ ამავე დროს მსაჯული, იგი ელემენტარული

ბედნიერების მაძიებელი კი არაა, მხოლოდ, არამედ რთული ეთიკური კოლიზიის სუბიექტიც. ეს ეთიკური ძიება მოთხრობაში რეალურად, დამაჩერებლად, ცხოვრებისეულ დეტალებთან სრულ თანხმობაშია მოცემული და მოთხრობას თავიდანვე წითელი ხაზებით გასდევს. „მერე ის მიდიოდა, უკან არ იხედებოდა და თანდათან უფრო შორიდან ესმოდა ქალის ყვირილი და კმაყოფილი იყო თავისი საქციელით (მან უნებშობით უპასუხა ვიღაც შემთხვევით შეხვედრილი სქელი ქალის აღურსიან მომართვას, რომელმაც ჯერ მას, მერე კი მის ძმას პატარა „ექსპლოტაცია“ მოუწოდოდა). „ეს მისჩერებოდა თავის პატარა ძმის ჭეჭყიან ქუსლებს და საღაც გულის სიღრმეში ბუნდოვნად გრძნობდა, რომ თავიდანვე გამოიღწიო ამ ქალის ხასიათი. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ სწორედ ამით იყო ასე კმაყოფილი. „ეს ქალი ზედმეტი ჭამისაგანაა გასუქებული და არა ავადმყოფობისაგან“, — ფიქრობდა ის“.

შემდეგ ეს კოლიზია მწვევადება და უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს: „რეზიკოს მოაგონდა, რომ ამ ბავშვს ღედა არა ჰყავდა, მოაგონდა, რომ თვითონაც არაფერ არა ჰყავდა, ბუნდოვნად, ქვეცნობიერად იგრძნო, რომ აუტანლად ებრალებოდა ეს ბავშვი, რომელიც მისი ერთადერთი სისხლი და ხორცია და საშინლად ეტყინა რაღაცა, საშინლად შესძულდა რაღაცა და მოულოდნელი სიბრაზე ისე მწარედ მოაწვა ყელში, რომ სუნთქვა შეუქრა. მან არ იცოდა, რისკენ იყო მიმართული ეს სიძულვილი და სიბრაზე, თავისი ძმისადმი, საკუთარი თავისადმი თუ რაღაც სულ სხვა რამისადმი. მას მთელი არსებით სძულდა რაღაცა, მთელი არსებით სძულდა ვიღაცა, სძულდა ეს სიბრაზე, რომელსაც ასე აუტანლად განიცდიდა...“

„ფსიქოანალიზის“ ელემენტი, საკუთარ განცდათა მეტისმეტად ფაქიზი შესწავლის უნარი, რაც რეზიკოს მიეწერება, მის ფსიქიკაში „ცნობიერი“ და „არაცნობიერი“ პროცესების გარჩევა,

რაც ავტორს აქვს მოცემული, არც უცნაურ და არც ზედმეტ მთავრულდებას არ ტოვებს. პირიქით, თანხმობის სქემები ტალებთან შეხამებული, ეს ანალიზიც და თვითანალიზიც სრულებით ბუნებრივი ჩანს, იგი შინაგანი ბრძოლით გატანჯული ბიჰის ჯერ ბუნდოვან, მაგრამ რთულ შინაგან სამყაროს ხელშეისახებად და დამაჩერებლად გვიხატავს.

მოთხრობის კონფლიქტი თანმიმდევრულად გრძელდება ეთიკურ სფეროში. მხოლოდ უცხო ბავშვ შურისძიებას ძელდის დაავიწყოს მოთხრობის პატარა გმირის საკუთარი სინდისის ქენჯნა, მშისადმი სიბრალული და თავისი მდგომარეობით გამოწვეული ტანჯვა. მოთხრობის დანარჩენი მოქმედება მხოლოდ გმირის ამ დაძაბული შინაგანი იმპულსის გაშლას, რომელიც შემდეგ, სრული რეალიზაციის მერე უკმაყოფილებაში, იმედგაცრუებაში, შურისძიების უსაფუძვლოების შეგნებაში, მასზე სიკეთის უსასრულო უპირატესობის ჰუმანურ რწმენაში გადადის. პატარა გმირის დახლართულ წინააღმდეგობრივ განცდათა ურთიერთდაცალკეება და ანალიზი, რასაც იგი ზოგს თვითონ ახერხებს და ზოგში ავტორი ეხმარება, აქაც უნიადაგო არ არის. იგი ისევე დამაჩერებლად და ცხოვრებისეული დეტალების მიგნებით ხორციელდება.

მოთხრობის ძირითადი კვანძის გახსნაში მრავალი დამატებითი, მეორეხარისხოვანი მოტივიც შედის. ასე, მაგალითად, ძლიერადაა დახატული ბავშვის სულიერი ტრავმა, უღედობით გამოწვეული, ის მწვევე ტივილი და დედის აღურსისკენ სწრაფვა, რომელიც თავისი მტრის დედის ნახვისას წაშით იღვიძებს რეზიკოში სიძულვილის ფონზე. კარგადაა დახატული უსამართლო, მაგრამ ბუნებრივი შური და სიძულვილი, რომელსაც უბედურ ბავშვში მისი „მტრის“ — ომარას მოვლილ-აყვავებულ კარმიდამოს ნახვა იწვევს. მწვენიერად არის გადმოცემული დიდი და გამოუცნობი, მოლოდინის აღმძვრელი სამყაროს განცდა, რომელიც ეს-ესაა

იღვიძებს ბიჭის სულში და რომელიც მთელ კონფლიქტს ახლავს, როგორც მისი განუმეორებელი ფონი. ყოველივე ეს მოთხრობას ანიჭებს სიმძაფრეს — მკითხველი შეუნელვებელი ყურადღებით, შეუნელვებელი ინტერესით მისდევს გმირთა ბედისა და სიუჟეტის განვითარების პერპეტუებს, იგი განიცდის ნამდვილ სიბრალულს, ნამდვილ მორალურ კმაყოფილებას თუ დაუკმაყოფილებლობას, ნამდვილ მღელვარებას, ვფიქრობთ, ეს ნაწარმოების მთავარი ღირსებაა — საკმაოდ იშვიათი და ძნელად მისაღწევი ღირსება, რომელიც ავტორის უნარზე, გულწრფელობასა და განცდის სიძლიერეზე მეტყველებს.

ამ სიმძაფრიდან გამომდინარეობს, ვფიქრობთ, მოთხრობის ყველა საკუთრივ ლიტერატურული და სტილისტური ხარვეზები ამ სიტყვის ვიწრო აზრით, (თუმცა, რა თქმა უნდა, პირველი ისეთი ღირსებაა, რომ მეორენი მას მთლიანად ვერასოდეს ვერ დარღვიდავენ). მოთხრობა ერთი ამოსუნთქვით დაწერილს ჰგავს, და, ასე ეტყობა, ავტორს უნდა კიდევ, რომ ჰგავდეს. ამიტომ მისთვის ხშირად და მასხასათებელი თითქოს დაუსრულებელი. ერთიმეორეში გარდაშავალი წინადადებები და პერიოდები, გამეორებები ისეთი ფრაზებისა, როგორიცაა „ასე იყო ეს“, „და“ კავშირის ლოგიკურად გაუმართლებელი ხმაურება. ავტორისთვის უცხოა დინჯი ეპიკური ტონი, იგი გამომხატველობას თხრობის გარეგნულ დინამიკურობაში, წინადადებათა ერთმანეთზე გადაბმვაში, მეტყველების უწყვეტობაში, უბაუზობაში, ნერვულ გამეორებებში ხედავს. ეს არაა თავისთავად სადავო, რადგან გამომხატველ საშუალებათა გამდიდრება მხოლოდ მისასაღმებელი შეიძლება იყოს. მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ზოგჯერ თხრობის ლოგიკური სტრუქტურის ხარჯზე ხდება, ზოგჯერ ამის გამო დაეწიებას ეძლევა სახეთა და აზრთა შინაგანად ღრმად დაკავშირებული მკაცრი თანმიმდევრობა, რომელსაც, პოტენციურად ამაზე უფრო

დიდი გამომხატველობითი შესაძლებლობები აქვს.

ნაწარმოების მთელს მსვლელობას კვანძი და მისი გახსნა, როგორც ეტყვიით, დამაჯერებელია, მძაფრია. მოქმედ პირთა განცდების მიმდინარეობა საერთო ხაზებში ბუნებრივია და ავტორის ეთიკური ტენდენციაც ამ განცდებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ საერთო ჩანაფიქრს ზოგად ხაზებში და დეტალების დიდ უმრავლესობას, ოღონდ არა ყველას. ზოგჯერ მოთხრობის საერთო ჩანაფიქრი და ამ ჩანაფიქრით განპირობებული მოვლენათა მიმდინარეობა სძლევეს გმირთა განცდისა და მოქმედების უშუალო ფსიქოლოგიურ მოტივაციას, გმირთა შინაგანი ცხოვრების ფსიქოლოგიურ ძაფს უეცრად სწყვეტს, ასე, მაგალითად, საესებთ დამაჯერებელია უფროსი ძმისგან უმცროსი ძმისთვის სახრის პირველი შემოკვრის ფაქტი. მაგრამ სრულებით არადამაჯერებელია ეს სცენა იმ ადგილამდე, როცა ბავშვი „ვაიმე დედიკოს“ დაიძახებს. კომპოზიციურად ეს სცენა სრულებით აუცილებელია: თურხიკო თავის უმცროს ძმას ასე გამეტებით, უწყალოდ და უსამართლოდ არ გალახავს, მაშინ მოთხრობის ჩანაფიქრი ვერ გაიშლება. მაგრამ ამ აუცილებელ ეპიზოდს უფრო დამაჯერებელი ინდივიდუალური სახის მიცემა. უფრო ზუსტი ფსიქოლოგიური მოტივაცია უნდოდა. ნაკლებდამაჯერებელი და „არაპროფესიონალური“ უკანასკნელი ჩხუბის სცენაც, თუმცა მისი ექსპოზიციცა და ფინალი — ის, რომ რეზიკო თავისზე დიდ ბიჭს სიძულვილით უტყვის და ის, რომ იგი მას ბოლოს მოსტეხს, არა მართკო კომპოზიციურად აუცილებელია, არამედ ბუნებრივიც. მაგრამ ამ სცენასაც მეტი ინდივიდუალური იერი და სიზუსტე სჭირდება.

ავტორის მიერ გამოყენებული, დღევანდელ პროზაში საკმაოდ იშვიათი ხერხი — ვრცელი ავტორისეული ექსკურსი მოთხრობის ბზლოს, რომელიც ფაქტებს თითქოს აჯამებს და მორალის-

ტური დასკვნა გამოაქვს, უთუოდ. მრავალ მკითხველს ეხამეშება. მაგრამ, ვფიქრობთ, ავტორს ამისთვის დიდი საყვედური არ ეთქმის. მცნება, რომ ავტორს არა აქვს მორალიზაციის უფლება, რომ ეპიურ თხზულებაში იღვას მოქმედებიდან უნდა გამომდინარეობდეს თავისთავად და არა ავტორისეულ ფორმულირებათა სახით, ძველისძველი მცნებაა, მაგრამ იგი დოგმა არ არის. თუ კი ავტორს შეგნებულად დააკავს ანალიზი მოქმედ პირობა ფსიქიკის ძირაძვე, რაც ე. წ. ინტელექტუალური პროზის ნიშანდობლივი თვისებაა (განსახილველი მოთხრობა თავისი მანერით სწორედ ამ პროზას უახლოვდება), მაშინ ავტორისეული წიაღვლაც, რომელიც მოთხრობილ ამბებს რაღაც უფრო დიდი პრობლემის კონტექსტში ათავსებს, იმდენად აღარ უნდა გვეჩოთიროს. საქმეა ოღონდ, რომ ამ წიაღვლასა და მოთხრობილ ამბებს შორის ბუნებრივი გამომდინარეობის შინაგანი ჯაჭვი არსებობდეს, რომ ერთიეც რაღაცა ახლას მთქმელი იყოს და მეორეც, ერთსაც და მეორესაც ჰქონდეს თავისი „მასშტაბი“ და სულისა და გონების ავამოძრავებელი სტიმულის ძალა. ამ პროზას კი განსახილველი მოთხრობის ფინალიც და იქ მოცემული წიაღვლაც სრულად აკმაყოფილებს.

• • •

არც ერთი ორ დასახელებულ ავტორთაგანი ლიტერატურაში ჩვენ მიერ განხილული მოთხრობებით არ შემოსულა. ორივეს მანამდე ჰქონდა მეტნაკლებად წარმატებული ლიტერატურული ცდები. როგორც ერთის, ისე მეორის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებები (დ. ჯავახიშვილის „ბაზალეთი“, გ. გეგეშიძის „სანამ ერთად ვართ“) უფრო ექსპერიმენტის სახეს ატარებდა, ვიდრე დასრულებული მოთხრობისას. მათში „ლიტერატურულობა“ და სტი-

ლის ძიება განუყოფლად ბატონობდა როგორც შინაარსზე, ისე მწიფი აღწერის-ლი მოვლენების აღქმასზე. ორივეს ცდმა არა მარტო ამ ორის) სტილის მასწავლებელი — ჰემინგუეი ამ მოთხრობებში მეტად აშკარად ჩანდა.

განხილული ორი მოთხრობა სულ სხვა რიგისაა. მძაფრი, პრობლემატური. შეიძლება ვთქვათ, მნიშვნელოვანი შინაარსი აქ წინასწარ აღებულ ლიტერატურულ ფორმას კი არ მისდევს. არამედ განსაზღვრავს ფორმას, ქმნის მას, ნამდვილი და არა მხოლოდ გარეგნული, ფორმალური ძიების მიზეზი ხდება. ამ მნიშვნელოვანმა შინაარსმა, როგორც ჩანს, საკუთარი ფორმა მოითხოვა. ამიტომაც განხილული ორი მოთხრობა სტილით დიდად განსხვავებულია. ეს ორი მოთხრობა ახლს არა თუ არ იმეორებს ჰემინგუეის სტაუს, არამედ ძალიან დიდად — თითქმის კონტრასტულად განსხვავდება მისგან. მოუხედავად ამისა, განვიღო ფორმალურ ძიებას, ჰემინგუეის სკოლაში წვრთნას ავტორთათვის მაინც ამოდ არ ჩაუვლია: ეს ახლაც სტილის ლაკონურობაში, შემჭიდრობებულობაში, მშვიდი, ფაქტობა „კონსტატაციის“ ტიპის ტონისა და გამომხატველი მკვეთრი დეტალების მკიდრო გადაჯაჭვაში ჩანს.

სასინარულოა, რომ ორივე დასახელებული ავტორი, სტილისტური ეპოქონობის ტყვეობაში არ დარჩა და საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის განმტკიცების ფართო გზაზე გამოვიდა. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ორივემ ამას ძიების და, სხვასთან ერთად, თანამედროვე პროზის უახლესი ტექნიკის ასათვისებლად მიმართული ძიების შედეგადაც მიაღწია. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ასეთი ძიება, თუ მას სათანადო ორიგინალური და აქტუალური შინაარსი აქვს საფუძვლად, წარმატების აუცილებელი ან თითქმის აუცილებელი პირობაა.

ზნა ბაქრაძე

მან კორ სარტრის პიესები

ე. პ. სარტრის ლიტერატურული შემოქმედება მრავალფეროვანია. მას დაწერილი აქვს ორი რომანი, ნოველები, ცხრა პიესა, ლიტერატურული ნარკვევები და სტატიები.

მოღვაწეობის დაწყებიდან დღემდე სარტრმა დიდი ევოლუცია განიცადა. სარტრის შემოქმედება მთლიანად ეგზისტენციალისტურია.

სარტრის ფილოსოფიური და ლიტერატურული შემოქმედება ერთმანეთს ყოველთვის პარზონიულად არ ერწყმის. სარტრის ფილოსოფიური თეორია ეგზისტენციალიზმისა ხშირად წინააღმდეგობაში ვარდება მის ლიტერატურულ ეგზისტენციალიზმთან და მეტადრე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან, რადგან ამ ბოლო დროს სარტრი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდა. ომის შემდგომ ის დიდი გულსყურით ადევნებს თვალყურს ყველა იმ სოციალურ ცვლილებებს, რაც მსოფლიოში ხდება და ყოველთვის ეხმაურება მათ.

თავისი შემოქმედების ბოლო საფეხურზე სარტრი ცდილობს თავის თეორიაში სოციალური მომენტის შეტანას, რასაც ის გამოხატავს ორი ცნებით: „სიტუაცია“ და „სხვები“. „სიტუაცია“ არის დაახლოებით იგივე, რაც სოციალურ-ეკონომიური პირობები, „სხვები“ კი ნიშნავს კომუნიკაციას, ადამიანთა ურთიერთგაგებას.

ჩვენ აქ არ შევედგებით სარტრის ძირითადი დებულებების კრიტიკულ ანალიზს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ორი ახალი ცნების შეტანით სარტრი წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან

ერთი მხრივ ადამიანი არაფრით არ არის დეტერმინირებული, ხოლო მეორე მხრივ ის განსაზღვრული ყოფილა „სიტუაციით“ და „სხვებით“. ეს წინააღმდეგობა აიხსნება სარტრის ევოლუციით, იმით, რომ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში სარტრი ადამიანის არსებობის ვარდა, არაფერს აქცევდა ყურადღებას. მთელმა რიგმა პოლიტიკურ-სოციალურმა მოვლენებმა აიძულა სარტრი ეცნო ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა ადამიანის არსებობაში; ამიტომ თავისი პირვანდელი შეხედულებების დაცვასთან ერთად, ე. ი. ინდივიდის თავისუფლების ხელუხლებლად დატოვებასთან ერთად, მან სცადა მიემატებინა თავის თეორიისათვის ის მომენტები, რომლებიც მის პირვანდელ ძირითად ხაზს ეწინააღმდეგება.

სარტრის პირველი პიესა გამოიცა და დაიდგა 1943 წელს. ეს ხანა უკვე სარტრის შემოქმედების მეორე საფეხურად შეიძლება ჩავთვალოთ. რომანში „გულზიდვა“ და ნოველებში ძირითადი ხაზია გულზიდვა, მარტოობა, მიტოვებულობა, კაეშანი, შიში. სამყაროს აბსურდულობისა და ადამიანის მიერ თავის არსებობის უაზრობის შეგრძნება. ეს ყოველივე მოცემულია ერთი ადამიანის პიროვნებაში. სარტრი ამ დროისათვის კმაყოფილდება ერთი ინდივიდით, მის მიერ განცდილი ამბებით და არსებობის აღმოჩენით. ამ პერიოდში „სხვას“ არ ვხედავთ, როგორც სოციალურ მომენტს. მაგრამ სარტრი არ შეჩერდა ამ საფეხურზე.

1933 წლიდან ფრანგულ ლიტერატურაში იჭრება მოქმედების, პერონიზმის

თემა. ეკზიუპერი, მალრო და ზოგიერთი სხვა მწერალი ცდილობს მოქმედებაში აღმოაჩინოს ცხოვრების აზრი. კავშირი მოქმედებით უნდა იყოს დამლეული, მოქმედების პრობლემა სარტრსაც დაინტერესებს, მაგრამ ვაცილებით გვიან, მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ, წინა პერიოდში სარტრი ინდივიდუალისტურ ჩარჩოებშია ჩაყვანილი. ამ ინდივიდუალისმიდან გამოსასვლელად, სარტრისათვის საჭირო აღმოჩნდა უდიდესი ბიძგი. ამ ბიძგად მეორე მსოფლიო ომი იქცა. მხოლოდ ომმა და მისმა შედეგებმა შესძლო გამოეყვანა სარტრი ჩაურევლობისა და განზე დგომის პოლიტიკიდან. საფრანგეთი გერმანელების ხელში აღმოჩნდა. დამარცხებისა და სამშობლოს დაცემის მიზეზი იყო ლალატი ფრანგი ბურჟუაზიისა, რომელმაც გასცა სამშობლო და ფრანგი ხალხი. ლალატი, უპრინციპობა, გერმანელებთან შეთანხმება — აი, რის მიწვევას გახდა ფრანგი ინტელიგენცია ომის დროს. წინააღმდეგობაში მონაწილეობამ ახალი გამოცდილება მოუტანა სარტრს. მან დაადგინა ახალი მორალი, რომლის მიხედვითაც ადამიანი მარტო თავისთვის კი არ პოულობს ცხოვრების აზრს, როგორც ითხოვს ამას ეგზისტენციალიზმი, არამედ სხვისთვისაც. მან თავის სტატიაში „ეგზისტენციალიზმი არის ჰუმანიზმი“ გამოთქვა აზრი, რომ პირად თავისუფლებასთან ერთად ადამიანს სხვისი თავისუფლებაც უნდა უნდოდეს. ეს განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ სარტრმა იგრძნო გარეშე რეალობის ძალა, სოციალური ფაქტორების მნიშვნელობა, იგრძნო ადამიანური სოლიდარობის აუცილებლობა. ფაშისმის გამარჯვებაში ის ბრალს სდებს თვითულ ადამიანს, რომელმაც მის საწინააღმდეგოდ ხელი არ გააძრია. ომის წინა პერიოდი, მიუნხენი, ომი, წინააღმდეგობა — ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს სარტრის შემობრუნება. მარტოობა უარყოფილია. არც ომის დროს, არც წინააღმდეგობაში ადამიანი მარტო არ არსებობდა. ადამიანები გაერთიანდნენ,

ყველა ჩაება ომში. დრო აღარ იყო მხოლოდ პირად თავისუფლებას უიქტრისა; გაჩნდა საერთო საქმე. ადამიანი თავისუფალია ახლაც. მაგრამ მისი თავისუფლება საერთო კონფლიქტის ნაწილია. ცხოვრება სარტრისათვის მაინც აბსურდულია. მაგრამ ეს აბსურდულობა მისი ფუნდამენტური სტრუქტურა კი არ არის, არამედ ისტორიული რეალობის ერთი მომენტია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სარტრი პირად თავისუფლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მაინც. ადამიანი თავის თავზე უნდა იყოს დაყრდნობილი და თავისი თავი შექმნას, უნდა ჰქონდეს „პროექტი“ და ა ი რ ჩ ი ო ს — ყველა ეს ეგზისტენციალისტური დებულება ძალაში რჩება, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითული ადამიანი თავისდაუნებურად სამყაროს მოვლენებშია ჩართული. ადამიანი პასუხისმგებელია ყოველი მოვლენის. ყოველი ფაქტის გამო. აქედან იწყება სარტრის ძირითადი წინააღმდეგობა. გამოწვეული მისი ევოლუციით — პირადი. უსაზღვრო თავისუფლება და ამასთან ერთად სოციალური მომენტის დიდი მნიშვნელობა.

სარტრის პიესები მისი ლიტერატურული შემოქმედების ყველაზე ცნობილი და მისაწვდომი სფერო იყო მასებისათვის და ამასთან ერთად სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუციას, მის ეტაპებს, ნათლად გამოქაჯავდა. სარტრის აზრით, თეატრალური ხელოვნება იმ ეპოქაში ხალხზე ვაცილებით მეტ შემოქმედებას ახდენდა, ვიდრე ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი. წინათ თუ „ხასიათების თეატრი“ იყო, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო „სიტუაციების თეატრი“. თუ მართალია, რომ ადამიანი თავისუფალია მოცემულ სიტუაციაში, და თუ ის თავის თავს ირჩევს ამ სიტუაციაში და განსაზღვრულია ამ სიტუაციით, მაშინ საჭიროა თეატრში ვუჩვენოთ უბრალო და ადამიანური სიტუაციები... ყველაზე ამაღლებელი, რაც თეატრს შეუძლია მოგვეცეს, ეს არის ხასიათების

შექმნის პროცესი, არჩევანის, თავისუფალი გადაწყვეტის მომენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს მორალი და შემდგომი სიცოცხლე. („Situations, II“).

პიესა „ბუზები“ პირველად სცენაზე დაიდგა 1943 წელს, გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში. ამ დროს ამ პიესამ მკაცრად აღიქვა და მისი მოწოდება იყო, რომ დაეხმარებოდა საფრანგეთის ოკუპაციის მძიმე წლები და ამ სიმბოლური პიესით სარტრმა ასახა ის მძიმე მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდნენ ფრანგები. ეს პიესა ფრანგების სულსკვეთებას ეხმარებოდა და გასაგებია, რომ იმ დროს მკაცრად აღიქვა იგი. უმეტესობამ მასში დაინახა ვიშის ფაშისტური მთავრობის კრიტიკა, მასზე სატირა და წინააღმდეგობის პერიოდის ქება-დიდება. ს. დე ბოვეარი იმ პერიოდზე დაწერილ მემუარებში პიესის ამ მხარეს ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ სარტრს უნდოდა ეჩვენებინა ხალხისათვის, რომ დამკვიდრებული სიტუაციის დათრგუნვით და შიშის ჩამოშორებით შესაძლებელი იყო თავისუფლების მოპოვება. ეს, ცხადია, ასეც არის. „ბუზებში“ წარმოდგენილი იყო ოკუპირებული საფრანგეთის მდგომარეობა და პასუხისმგებლობის შეგრძნება ადამიანში. პიესის მრავალი ეპიზოდი, ფრაზა და რეპლიკა ახსენება იმ ეპოქის სპეციფიკურობით. ოკუპირებული პარიზის სურათები გადმოტანილია ზოგიერთი სცენის კომპარულ აღწერებში. მაგრამ პიესის სრული გაგებისათვის მხოლოდ ეს მხარე საკმარისი არ არის. ეს კონკრეტული სიტუაცია სარტრმა განაზოგადა და როგორც ეგზისტენციალისტმა მწერალმა, ძირითადი საკითხი ეგზისტენციალისტური თავისუფლებისა პიესის ცენტრალურ მომენტად აქცია. ეს პიესა, ამბობს ფრანგი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და თეატრალური კრიტიკოსი გ. მარსელი, მითიური გამოხა-

ტულებაა სარტრის ერთერთი ძირითადი საკითხის — თავისუფლებისა. ზოგიერთი ლიტერატურული კრიტიკოსი ამ პიესაში მხოლოდ პატრიოტულ სულსკვეთებას და ფაშისტის წინააღმდეგ საბრძოლო მოტივებს ნიღავს. ჩვენი აზრით, ეს პიესის ვიწროდ გაგებაა. საბჭოთა თეატრმცოდნე ტ. ბაჩელისი თავის სტატიაში „სარტრი და მისი დრამატურგია“, რომელშიც საინტერესოდ არის გარჩეული სარტრის ზოგი პიესა, „ბუზების“ შესახებ სწორედ ამ აზრს გამოთქვამს და პიესას განიხილავს ძირითადად ამის საფუძველზე. კრიტიკოსი პიესის ყოველ ფრაზას, დიალოგს და სურათს ადარებს ოკუპირებულ პარიზს, ფაშისტის გამოვლენას და სხვა. თვით-ეული მოქმედი პირიც მას რომელიღაც სიმბოლოს მატარებლად გამოჰყავს. მეფე ეგისტი-ფაშისტი დიქტატორია, კლიტემნესტრა, მისი მეუღლე — კოლაბორაციონისტი, ელექტრა — ინტელიგენცია, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ეშინია მოქმედებისა, იუპიტერი — პოლიციური სისტემის მმართველი, შიშისა და ბოროტების მთესველი, არგოსის მცხოვრებნი — დამფრთხალი და დამონებული ფრანგები, და ბოლოს ორესტი — თავისუფლების იდეის მატარებელი. ვიმეორებთ ერთხელ კიდევ, რომ ეს არის პიესის კონკრეტული სურათი: ომის დროს ომის საწინააღმდეგოდ ბევრი პიესა დაიწერა. ამ პიესებშიაც შესაძლებელია თვითეული გმირი სიმბოლურად გამოხატავდეს ფრანგი ხალხისა და ფრანგების მდგომარეობის ამჟამ თუ იმ მხარეს, მაგრამ „ბუზები“ მათგან განსხვავდება იმით, რომ სარტრმა ეგზისტენციალისტური თეორიების საფუძველზე შექმნა იგი და კონკრეტული ისტორიული სიტუაცია ეგზისტენციალისტური პრინციპების მიხედვით განაზოგადა.

პიესა „ბუზებს“ საფუძვლად უდევს შურისძიების უძველესი მითი, რომელიც ძველ საბერძნეთში დამუშავდა ტრაგედიადა. (ესქილე. სოფოკლე,

ევროპიდე). ეს მოტივი ზოგიერთმა თანამედროვე მწერალმაც გამოიყენა. (ქიროდუ — „ელექტრა“, ნაწილობრივ ასევე „ანტიგონაში“).

ოცი წლის ქაბუკი, უფლისწული ორესტი, რომელიც პატარაობისას ტყეში გადაავდო მამის მკვლელობა, ბრუნდება თავის მშობლიურ ქალაქ არგოსში. მამამისი ავამეშნონი მოკლულია ეგისტის მიერ, რომელმაც შემდგომ დედამისი კლიტემნესტრა შეირთო ცოლად. ორესტი გადარჩა. იგი შეიკედლა და გაზარდა ათენის ერთერთმა მდიდარმა ოჯახმა. ის განათლებულია, მას ბევრი უმოგზაურია, ბევრი უნახავს. ორესტს გამზრდელმა ყველაფერი შეასწავლა: ადამიანთა მოდგმის ბუნება, სკეპტიციზმი, ირონია. ორესტი გონებაგახსნილია. მაგრამ ეს ყოველივე ორესტს ნასწავლი აქვს და არა გამოცდილებით მოპოვებული. ამიტომ ის სრულიად მოწყვეტილია რეალობას, ხალხს. ის არის ინდივიდი, თავისუფალი, მაგრამ ამო, უაზრო თავისუფლების მატარებელი. სარტრის დახასიათებით ორესტი არის „ახალგაზრდა, მდიდარი და ლამაზი, გათვითცნობიერებული, როგორც ბრძენი მოხუცი, განთავისუფლებული ყოველგვარი რწმენისაგან, უსახკარო, უსამშობლო, ურწმუნო, უბროფესიო, თავისუფალი ყოველი მოქმედებისათვის და დარწმუნებული, რომ არასოდეს მოქმედებაში არ უნდა ჩაებას. მოკლედ ზეკაცი!“

ორესტისათვის მშობლიურ ქალაქში ყველაფერი უცხოა: თვით ქალაქი, ხალხი, მათი ცხოვრება. მან იცის, რომ არგოსი მისი მშობლიური ქალაქია, არგოსელი ხალხი მისივე სისხლი და ზორცი, მაგრამ გონებას არ ძალუძს აგრძნობინოს მათდამი სითბო, სიყვარული. „მე ვიგემე მოჩვენებათა სიყვარული, საქოქმანო და ბინდივით ხელშეუვლები, მაგრამ მე არ მიგრძენია ცოცხალ არსებათა ხორციელი ვნებანი. მე დავდივარ ქალაქიდან ქალაქში, უცხო სხეებისათვის და უცხო ჩემი თავისათვის... ისე უჩუმრად მომიხურავენ ქალაქები თავ-

იანთ კარიბჭეს, როგორც უხმოდ მდინარებს წყალი.“ ორესტს უნდა შეეფეროდეს არგოსელებს, ჰქონდნენ მისთვის იყოს ხალხთან, ჰქონდეს რეალური მოგონებანი, თავისი მიწა-წყალი, დამკვიდრდეს არგოსელებს შორის. მაგრამ ამისათვის მან უნდა იმოქმედოს. ორესტი მზად არის ყოველივე ჩაიდინოს, ოღონდ კი არგოსელების გული და ნდობა მოიგოს, აავსოს სიცარიელე. რომელიც მას ძვალსა და რბილში აქვს გამჭდარი. „დედის მკვლელობადაც რომ დამიჯდეს“, გაიფიქრებს ორესტი და ამ აზრის განხორციელებაში მას ხელს უწყობს მისი და ელექტრა. ელექტრამ ბავშვობა გაატარა მოლაღატე დედასა და მამის მკვლელთან. ის შურისძიებით არის შეპყრობილი. ორესტმა არ იცის, როგორ მოიქცეს რადგან ის გრძნობს რაღაც გაურკვეველს, გრძნობს თავისუფლებას, რომელიც მასშია. დაბნეულობისა და ყოყმანის მომენტში, ორესტი იუპიტერს შესთხოვს შეელას, გზის ჩვენებას. იუპიტერი ვერ აუღებს მას აღლოს და დოგმატურ, ჩვეულებრივ დარიგებებს აძლევს, რის შედეგადაც მოხდება სასწაული. ორესტი თავის ბრმა ნდობას თავს დააღწევს და იუპიტერს აუჯანყდება. „მამ ეს არის სვეთე, მშვიდად სიარული, სულ მშვიდად, ითქვას ყოველთვის „უკაცრავად“ და „გმადლობთ“... მამ ესაა... სიკეთე... თქვენი სიკეთე“. ორესტის ამ გარდაქმნას თავისი საფუძველი აქვს. მას სურს გაანთავისუფლოს არგოსელები მორალური და ფიზიკური ტყვეობისაგან, უნდა მიანიჭოს მათ თავისუფლების შეგრძნების უდიდესი ბედნიერება. (აქ იღებს საწყისს პასუხისმგებლობის გრძნობა სხვისადმი, ფიქრი და ზრუნვა სხვაზე. ორესტს თავის თავისუფლებასთან ერთად სხვისი თავისუფლებაც სურს.) იუპიტერთან საუბრის შემდეგ ორესტისათვის ყველაფერი შეიცვალა, მან სხვა თვალთ დაინახა გარემო. მან დაინახა გზა, რომელიც უნდა გაიაროს: „როგორ შეიცვალა ყველაფერი. ჩემ გარშემო რაღაც რბილი და ცოცხალი იყო. რაღაც

მოკვდა. რა სიცარიელეა. მე გეუბნები, რომ არის სხვა გზა... ჩემი გზა... ის აქედან იწყება და ქალაქამდე აღწევს. საჭიროა თქვენამდე ჩამოლწევა, თქვენ უფსკრულის ფსკერზე ხართ.“

იმისათვის, რომ ორესტი გაჰყვეს აღმოჩენილ გზას, საჭიროა არჩევანი. „ნამდვილი არსებობისათვის“ საჭიროა აქტი, მისთვისაც კარგი და სხვებისათვისაც... ორესტის არჩევანი სამი მომენტის შემცველია: თავის თავის შექმნა, არგოსელების განთავისუფლება და მათთან უოფნის უფლების მოპოვება. არჩევანის შესრულებას იგი იწყებს ეგისტის მოკვლით. საინტერესოა, ვინ როგორ რეაგირებს ორესტის საქციელის შედეგზე. თვით ორესტი კმაყოფილია, რადგან მან თავისუფლება აღმოაჩინა თავის თავში, აუჩანყდა იუპიტერს, (იუპიტერი პიესაში სიმბოლოა სოციალური კონფორმიზმისა და დამყარებული წესრიგის წინაშე ქედის მოხრისა), არ გაჰყვა მის შეგონებას, არ წაივია საერთო ვატკეპნილი გზებით. იგი მიხვდა, რომ ის არის თავისთავის ბატონ-პატრონი, ის არის თავისი გზის დამსახველი. იუპიტერმა, ადამიანებისა და სამყაროს უშაღლესმა კანონმდებელმა, დაჰკარგა ძალა იყოს ადამიანთა ღმერთი, რადგან თვით იუპიტერის სიტყვებით „ადამიანები თავისუფლები არიან... მაგრამ მათ ეს არ იციან“. ღმერთმა ადამიანი თავისუფლად დაბადა, შემდეგ კი მონებად აქცია. როცა კი ადამიანი იგრძნობს ამ თავისუფლებას, ის ღმერთებს აღარ ემორჩილება. „როცა ერთხელ ადამიანის სულში თავისუფლება ამოხეთქავს, ღმერთებს აღარაფერი ძალუბთ ასეთი ადამიანის წინააღმდეგ“.

ორესტმა ა ი რ ჩ ი ა: მან ჩაიდინა მკვლელობა. ის არ გრძნობს დანაშაულს თავისი თავის წინაშე. არ განიცდის სინანულს, რადგან ჭეშმარიტებისათვის იბრძვის და თავისი თავისუფლება ჭეშმარიტების ძიებაში ჩააბა. ის თავის თავთან მართალია. „თავისუფლება თავ-

ზე დამატყდა, როგორც ელვა. მე ჩემი აქტი შევასრულე და ეს აქტი კარგად რაც უფრო მძიმე იქნება, მით უფრო გავიხარებ. რადგან ჩემი თავისუფლება ჩემი აქტია... მე თავისუფალი ვარ კავშირისა და მოგონებების მიღმა, თავისუფალი და ჩემი თავის წინაშე მართალი“.

საინტერესოა ორი საკითხი: მოუტანა თუ არა ორესტის აქტმა ხალხს ბედნიერება და ბოლომდის მივიდა თუ არა ორესტი თავისი არჩევანის განხორციელებაში. ეს ორი საკითხი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ეგისტის დანაშაულის მთელი ტვირთი აწვა ხალხს. ეგისტის სინანული ღმერთებმა არგოსელებზე გადაიტანეს. არგოსელებს ჩვენ ვხედავთ, როგორც ბრბოს, მოკლებულს ყოველგვარ პირად პასუხისმგებლობას, ჩავარდნილს შიშში, და ნახევრად ძილშიცემულს. არგოსელები აბსოლუტურად უმოქმედონი არიან და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სხვის დანაშაულს ინანიებენ. ამ სინანულის სიმბოლური გამოსახვაა ბუზები, მილიონობით ბუზები, რომლებიც ავსებენ ქალაქს. ბუზები — მონობის, შიშზე დაყრდნობილ ბრმა რწმენის სიმბოლოა. ლოგიკურია, რომ ორესტის მიერ ჩადენილ მკვლელობის შემდეგ არგოსელებს შვებით უნდა ამოესუნთქათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მადლობის ნაცვლად ისინი ორესტის ჩაქოლვას მოითხოვენ.

ორესტმა იგრძნო თავისუფლება, იპოვა თავისი გზა; მისი აზრით ადამიანი არ არის ადამიანი, თუ ის არ აირჩევს თავის გზას. მაგრამ მას ავიწყდება, რომ თავისი მოქმედებით ის თავის თავს ამართლებს და არა არგოსელებს, ორესტი და არგოსელები სრულიად სხვადასხვა საფეხურზე დგანან. მათ შორის დიდი მანძილია. ორესტი სხვა სიტუაციაშია, არგოსელები კი — სხვაში. მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი მიზნები. არგოსელებს ჭერ კიდევ გასავლელი აქვთ ის ეტაპები, რომლებიც ორესტმა გაიარა. სწორედ სიტუაციის ეს

სხვადასხვაობა იწვევს ურთიერთგაუგებრობას ორესტის მოქმედებასა და არგოსელებს შორის. რაც შეეხება მეორე საკითხს: ჩააბა თუ არა ორესტმა თავისი თავისუფლება მოქმედებაში? აქ ორი მომენტი შეიძლება გამოვყოთ. პირველი, როცა ორესტი ვადასწყვეტს იმოქმედოს, რათა გაათავისუფლოს არგოსელები და ამასთან უფლება მოიპოვოს მათთან ცხოვრებისა, მათი განმგებლობისა. მაგრამ მკვლევლობის შემდეგ, ის ბედის ანაბარად მიატოვებს არგოსელებს და მშობლიურ ქალაქს. რა ხდება ამ ორ გადაწყვეტილებას შორის? ორესტს არ შეუძლია არ ჩაიდინოს მკვლელობა, რადგან ამ საფეხურზე ეს აიჩრია და დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა თავის თავს. მაგრამ მკვლევლობამ მას არაფერი მოუტანა. ორესტს ეს აქტი, როგორც ზემოთ ვთქვით, სჭირდებოდა პირადი თავისუფლების განსამტკიცებლად, არგოსელების განთავისუფლებისათვის და მათთან ერთად ყოფნისათვის.

ორესტი ოცნებობს ხალხის განთავისუფლებაზე, მაგრამ ეს განთავისუფლება წმინდა მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებს. მისი მოქმედება ხალხში საწინააღმდეგო რეაქციებს იწვევს. მან შეიძლებს საკუთარი და, არგოსელები მტრად მოეკიდებინან. ორესტს კაეშანი შეიპყრობს. (კაეშანი ეგზისტენციალისტების აზრით პესიმისტური გრძნობა არ არის, არამედ მოქმედების ბიძგის მიმცემია). იუპიტერის თქმით, არგოსელებს თვალების ანელა ბედნიერების მაგივრად ტრაგედიას მოუტანს, რადგან სინამდვილის ნათლად ხილვისას, ისინი იგრძნობენ თავის უაზრო და აბსურდულ არსებობას. ისინიც კაეშანს მიეცემიან. ორესტმა იცის ეს, მაგრამ იგი მზადაა ხალხი კაეშანს მიესცეს. ორესტის აზრით (სარტრის აზრით) ადამიანური ცხოვრება იწყება კაეშანის მიღმა. ამიტომ იგი კმაყოფილია თავის აქტის. თავადაც კაეშნით შეპყრობილი მიდის ქალაქიდან, რათა დაიწყოს ახალი, უცნაური ცხოვრება.

კაეშნის მიღმა ახალი ცხოვრების დაწყება არის სარტრის მოუწყვეტი უწყვეტი ზაზი. ძიებებით გამოწვეული კაეშანი სჯობია მოჩვენებით სიმშვიდეს, ვალბ კეშმარიტებას, რადგან ეს კაეშანი საფეხურია „ნამდვილი არსებობისაკენ“. მისმა აქტმა უფრო ძლიერად აგრძნობინა ორესტს თავისუფლების ძალა და თავის საკუთარი უღონობა. აგრძნობინა, რომ უცხო უცხოდვე დარჩა საკუთარ ქალაქში, ვერ გამოძებნა საერთო ენა ხალხთან. მან დაინახა და გაიგო რეალობა, მაგრამ სინამდვილეს თავიდანვე მოწყვეტილი, ვერ შევიდა მასში. მისი თავისუფლება ამაოა, მისი თავისუფლება არაფრისათვისაა და არავისთვის. თავიდანვე ინდივიდუალისტი ისევე ისე რჩება, რადგან მას მაინც ურჩევნია იყოს მეფე „უმიწაწყლოდ და უქვეშევრდომებოდ.“

აქედან გამომდინარეობს, რომ ორესტის არჩევანი და მისი მოქმედება მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, თავისი თავის შექმნისათვის იყო ჩადენილი და ამიტომ ინდივიდუალისტური აღმოჩნდა ბოლომდე. ის ბოლომდე ვერ აბაშს თავის თავისუფლებას მოქმედებაში, მოქმედებაში, რომელიც „სხვეებისათვისაც“ (ამ შემთხვევაში არგოსელებისათვის) სასარგებლო იქნებოდა. არჩევანი, რომელიც „სხვეებისთვისაც“ კარგი იქნებოდა, აღმატებოდა ორესტის ძალას. „ბედი, რომლის ტარება მე განვიზრახე. მეტად მძიმე აღმოჩნდა, მან დაამსხვრია ჩემი სიკბაბუკე.“ ორესტი ხალხს ვერ უერთდება, რადგან პირად თავისუფლებას ვერ თმობს, ისევე, როგორც ვერ თმობენ სარტრის ზოგიერთი შემდგომი ნაწარმოების გმირები.

ორესტმა თავისი აქტით მოინდომა არგოსელებისათვის მაგალითის მიცემა, მაგრამ სარტრის ტერმინით რომ ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ მას „ისინი“ (არგოსელები) სჭირდებოდა თავისთვის, თავის პირადი თავისუფლების განსამტკიცებლად. ორესტი მარცხდება. მან

სიკეთე ვერ მოუტანა ხალხს. განთავისუფლებამ არგოსელებს არეულობისა და ანარქიის მეტი ვერაფერი მისცა. მათ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყონ. მაგრამ როგორი? ამას არც ორესტი ეუბნება მათ და არც თვითონ იციან. ისინი სრულ გაურკვევლობაში რჩებიან. არც ის ვიცით, სად მიდის ორესტი, რას მოიმოქმედებს შემდგომ? ისიც ახალ ცხოვრებას იწყებს, მაგრამ რა იგულისხმება ამ ახალ ცხოვრებაში-გაურკვეველია.

პიესის ალეგორიული და ლამაზი დაბოლოება, როგორც ლიტერატურულად ისე სცენიურად გაურკვეველს სტოვეებს მაყურებელსა და მკითხველს. სარტრის ტერმინები რომ მოვიშველიოთ, ორესტის თავისუფლება არის თავის თავის (pour soi), ნამდვილი არჩევანი რომ მოეხდინა ე. ი. სხვებისათვის, მაშინ მისი თავისუფლება სხვისთვისაც (pour autrui) იქნებოდა, რაც მის აქტს სრულიად გაამართლებდა.

ახლა განვიხილოთ ერთი პიესა, რომელსაც სარტრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი ფორმით, შინაარსით და დრამატული დაძაბულობით, და რომლის ცენტრალური საკითხია არა თავისუფლება და არჩევანი (ეს საკითხები მეორე პლანზე გადაწეული), არამედ ეგზისტენციალისტური მოძღვრების ერთერთი ძირითადი საკითხი „სხვა“, „მეორე“. (აიტყვა სხვა სარტრის. შემოქმედებაში ორნაირი მნიშვნელობით იხმარება: ერთი გამოხატავს სხვა ადამიანებს, ჩვეულებრივი გაგებით. მეორე კი იხმარება „იი“-ის მნიშვნელობით.)

სხვასთან დამოკიდებულება, ის, რომ „სხვის“ გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია არსებობა, მაგრამ ამასთან ერთად, მუდამ მასთან წინააღმდეგობაში ვართ, სარტრმა გვიჩვენა ერთმოქმედებიან

პიესაში „კარჩაეტილი“ („Huis-Clos“).

პიესაში ნახვენიბია ჯოჯოხეთი უკუჯოხეთი პირდაპირი გაგებდა. სიკედილის შემდეგ სამი გმირი მოხედება იქ, (ავრეთვე გადატანითი მნიშვნელობით). სარტრის ჯოჯოხეთში არც ცეცხლია და არც წამების იარაღები. ეს არის უბრალო, ჩაკეტილი ოთახი, უფანჯრებოდ და ერთი კარით, რომელიც არსად არ გადის. ამ ოთახში სამი ტახტია და რამოდენიმე, თითქოს უმნიშვნელო ნივთი. ამ ჯოჯოხეთში მოხვედრილი ეწამებიან „სხვებისაგან“.

ოთახში არის სამი პიროვნება. თვითულ მათგანს სჭირდება ორი „სხვა“. რათა თავისი თავი გაიმართლოს. თვითული ცდილობს ჩვეულებრივი საშუალებებით, ე. ი. ტყუილით, თავი გაიმართლოს დანარჩენი ორი წინაშე. მაგრამ ამ ჯოჯოხეთში ტყუილი არ შეიძლება.

ეს სამი პიროვნება სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტისა არიან. რა აქვთ მათ საერთო? მათ აქვთ საერთო „არანამდვილი არსებობა“ („existence inauthentique“) ყალბი, ტყუილებით საგსე; მაგრამ თვითულ მათგანს სურს „სხვის“ თვალში გამოჩნდეს წმინდად და სუფთად. პირველი პიროვნება რომელიც ამ ოთახში ხვდება, არის მამაკაცი გარსენი. გარსენი მხდალია, იგი პროფესიით ეურნალისტია; ის მუდამ ყალბი იყო და სიკოცხლაც დეზერტირობით დაამთავრა, რისთვისაც სიკედილით იქნა დასჯილი. ჯოჯოხეთში მოხვედრის შემდეგ მას მარტო ყოფნა სურს, რათა ფიქრებს მიეცეს და მოახერხოს თავისთავის გარკვევა. მაგრამ გამოჩნდება ჯოჯოხეთის მეორე მსხვერპლი ქალი ინეს, ბავშვის მკვლელი, და ამ ჩაკეტილ ოთახში უკვე ორ ადამიანს ვხედავთ. მათ მისჯილი აქვთ ერთად ყოფნა, განმარტობა შეუძლებელია. ეს ორი ერთად გაძლებდა, რადგან ინესს მამაკაცები არ უყვარს, მაგრამ გამოჩნდება მესამე ადამიანი. გაზით დამხვრჩალი, მსუბუქი ქცევის, ქარაფშუტა და ლამაზი ესტელ, დასა-

1. „იი“ — უპირი ნაცვალსახელი, გადაკეთებული არსებით სახელად, რომელიც გამოხატავს უმინო, უფელდიორ ბანაღრ ცხოვრებაში ჩაღულ ადამიანებს.

წყისში ისინი თითქოს ერთმანეთს არ უშლიან, სამივე თავისთვის არის. მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავისთვის ყოფნა, რადგან თვითიველ მათგანს აწუხებს ორი „სხვის“ „შემოხედვა“. ამ „შემოხედვაში“ თვითიველი მათგანი გრძობს, რომ „სხვის“ თვალში ის არსებობს, მაგრამ როგორია ის „სხვის“ თვალში არ იცის. ამიტომ თვითიველს აინტერესებს რას ფიქრობს ორი „სხვა“ მასზე, რა წარმოადგენს ის მათთვის. ესტელი პირველი ვერ უძლებს სიჩუმეს და არღვევს მას. ის მოითხოვს სარკეს. სარკე ჯოჯოხეთში არ არსებობს. ამიტომ მას უნდა „სხვა“, როგორც სარკე. ესტელს უნდა მიიპყროს გარსენის ყურადღება. მოჩვენებითი სიმშვიდე ირღვევა. რაკი ამ სამს მისჯილი აქვს ერთად ყოფნა და ცალცალკე ვერ ძლებენ, საჭიროა სამის ერთად ცხოვრება და ურთიერთ გაცნობა. თვითიველი ჰყვება თავის ცხოვრებას, თავის სიკვდილს. იწყება თხრობა და თვითიველის თხრობა არის ტყუილი. მაგრამ ტყუილი შეიძლება ერთ ადამიანთან, ორთან არ ხერხდება. თვითიველი მათგანი „ჯალათია“ ორი „სხვისათვის“. ამიტომ ორი „სხვა“ ჯოჯოხეთია. აქედან სარტრის ცნობილი გამოთქმა „ჯოჯოხეთი — ეს სხვებია“. საუბარი, რომელიც მათ წამოიწყეს არაფერს იძლევა, არაფერს არაკვებს, ამიტომ მამაკაცთა მოყვარული ესტელი ცდილობს გარსენი მოხიბლოს, გარსენიც ცდილობს მისით თავდავიწყებას. მათი კავშირი ბედნიერების დროებითი ილუზია მაინც იქნება. მაგრამ მესამე ერთი წამითაც არ აცილებს მხერას. „ჯოჯოხეთი — ეს შემოხედვაა“. ტანჯვას ვერ გაექცევი, ვერ დაშვიდდები „სხვის“ შემოხედვის გამო. ერთად ერთი გამოსავალია თვითმკვლელობა. გარსენი კარების გაღებას მოითხოვს, რათა გაექცეს ამ საშინელ წამებას: ორის შემოხედვას. კარები იღება, მაგრამ გარსენი არ მიდის, რადგან მას „სხვა“ სჭირდება არსებობისათვის და თავის თავის გასარკვევად.

ის ვერ ესტელს მიმართავს და სთხოვს ნდობას. გარსენმა ერთი შეხედვით ის მხდალია, რომ მას ცხოვრება ბიც მას ასე თვლიან, ამიტომ ესტელს უმტკიცებს თავის ვაქცაობას. ერთმა ადამიანმაც რომ დაიჯეროს, რომ ის ვაქცაობა, ის მართლა ვაქცაობად იგრძნობს თავს. „ათასები იმეორებენ, რომ მე მხდალი ვარ. მაგრამ რა არის ათასი ადამიანი? ერთი ადამიანიც რომ გამოჩენილიყო, მხოლოდ ერთი, რომელიც მთელი თავისი არსებით დაიჯერებდა, რომ მე არ ვაქცევი, რომ მე არ შემეძლო გაქცევა, რომ მე სიმამაცე არ მაკლია, რომ მე წმინდა ვარ, მე... მე დარწმუნებული ვარ, რომ მე გადარჩენილი ვიქნებოდი“. მაგრამ მას მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ნდობა არ აკმაყოფილებს და ის მიმართავს ინესს, რომელიც უფრო ძლიერია, ქვიანო, გესლიანი და დახვეწილი. ბოროტი, გონებაგახსნილი, ყველაფრის უარყოფელი ინეს, პირდაპირ ეუბნება მას, რასაც მასზე ფიქრობს. გარსენს სწორედ ასეთი ადამიანი სჭირდება. მას უნდა ინესთან დაამყაროს რაციონალური, ინტელექტუალური კავშირი. „მე შენ უნდა დაგარწმუნო. შენ ჩემი ჯიშისა ხარ... მაგრამ შენ, სიძულვილით რომ მიყურებ, შენ რომ დაიჯერო, მე გადარჩენილი ვარ.“ ტყუილში ნაცხოვრებს, ტყუილთვე სურს გადარჩენა. ასეთივე ტყუილში ცხოვრობდა ესტელი: „როცა მე ვლაპარაკობდი, მე ისე ვახერხებდი, რომ ერთ-ერთში (მას ოთახში რვა სარკე ჰქონდა) მაინც შემეძლო შეყურებინა, მე ვლაპარაკობდი, მე ვხედავდი ჩემს თავს ლაპარაკის დროს. მე ჩემ თავს ვხედავდი ისე, როგორც ხალხი მხედავს და ეს მაიძულებდა ყოველთვის ფიზიკლად ვყოფილიყავი“. ასეთივე ილუზიით უნდა მას ჯოჯოხეთში ვაგრძელოს ცხოვრება, მაგრამ აქ მას არავინ ეხმარება. გარსენს ინესი სჭირდება. ესტელი მარტო რჩება. მას ერთი გამოსავალი აქვს: მოიშოროს ინეს და გარსენთან მარტო დარჩეს. ამისათვის ინესის მოკვლაა

საჭირო, მაგრამ ინესი უკვე მკვდარია. აღარსად არის ხსნა. წარმოიშვება ერთმანეთის სიძულვილი, რადგან ისინი ერთმანეთს უშლიან. ერთადერთი გზაა — ასევე განაგრძონ. მათ თითქოს უველაფერი სცადეს „იი“-ის ფარგლებში, მაგრამ ისინი არიან „უსარგებლო ვნებანი“. როგორც იწყება პიესა, ისევე მთავრდება.

პიესა ლაკონურია, დაძაბული. დასაწყისში თითქოს ჩვეულებრივ ადამიანებთან გვაქვს საქმე. მაგრამ ოთახის მოწყობილობა, ბრინჯაოს ქანდაკება, უმნიშვნელო საგნები და დარაჯი-ბიჭის გულუბრყვილო პასუხები თანდათანობით მაუურებელში ერთგვარ უსიამოვნო გრძნობას აღვიძებს. ეს გრძნობა კულმინაციურ წერტილს აღწევს მოქმედი პირების ურთიერთ სიძულვილსა და ზიზღის გამოხატვით.

ამ პიესაში მოქმედი პირნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან წარმოდგენილნი: დეზერტირი, ბავშვის მკვლელი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. საინტერესოა, სხვა პერსონაჟები რომ უოფილიყვნენ, იგივე სურათი გვექნებოდა თუ არა? სარტრი ამაზე დადებითად პასუხობს: ყოველი ადამიანი, რომელიც არ ისწრაფვის „ნამდვილი არსებობისაკენ“, რომელსაც არა აქვს „პროექტი“ და არ ირჩევს, ასეთ ჯოჯოხეთს თავს ვერ დააღწევს.

„იი“-ის სიძულვილი და კრიტიკა სარტრთან დაკავშირებულია ბურჟუაზიული სამყაროს კრიტიკასთან. სარტრი ილაშქრებს სიყალბის, ცრურწმენების წინააღმდეგ და მკაცრად ამბილებს საზოგადოებას, რომელშიც ეს მანიკერებანი თავს იყრიან. სარტრი ახთულობს ბუნებრიობას. ადამიანის რეაქცია ყოველ წუთს უნდა იყოს გულწრფელი, განსხვავებული ერთმანეთისაგან, რაც დამოკიდებულია არჩევანისაგან. ადამიანი უნდა იყოს ნათელი, უნდა უჟუაგდოს მიღებული ჩვევა და ყოველ სიტუაციაში თავის პირადი არჩევანით უნდა იმოქმედოს. მაგრამ სარტრი ბურჟუაზიული სამყაროს კრი-

ტიკასთან ერთად, ზედგის რა მის დაკე-მასა და უღონობას, ვითარაღებულა მდგომარეობას და თვლის, რომ ეს არის „ადამიანის მარადიული მდგომარეობა“ („condition humaine eternelle“). ამით სარტრი ზოგიერთი ევროპელი მწერლის აზრს იმეორებს, აღიარებს რა ადამიანის ამოსავალ წერტილად ბიოლოგიურ საწყისებს. სარტრის ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი მსოფლმხედველობის ამ საფეხურზე უგულველყოფილია ის გარემოება, რომ ადამიანის მდგომარეობა განსაზღვრულია კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური პირობებით.

სარტრის შემდგომი პიესის — „უსაფლავო მკვდრები“ — („Morts sans sepulture“) თემა აღებულია ომის პერაოდ-დან. ეს პიესა სარტრის პირადი გამოცდილების, წინააღმდეგობაში მისი მონაწილეობის უშუალო შედეგია. მასში მოცემულია ახალი მორალი: ცხოვრების აზრის ძიება არა მხოლოდ თავის თავისათვის, არამედ საერთო საქმისათვის, სხვებისათვის. განთავისუფლებისათვის ბრძოლამ სარტრს უჩვენა, რომ არსებობენ გმირები, რომ ადამიანში შესაძლებელია გქონდეს რწმენა. პიესის გმირები რეალური ცხოვრებიდან აღებული ადამიანები არიან. აქ არის ნაჩვენები ადამიანთა სოლიდარობის ძალა.

პიესის მოქმედება მიმდინარეობს 1944 წლის ივლისში, ალპების რომელიღაც რაიონში. წინააღმდეგობის ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით ჩაუვარდება ხელში ფრანგ პოლიციელებს, კოლაბორაციონისტებს. ტუსაღები დამწყვდეულნი არიან სკოლის სხვენზე და ელიან დაკითხვას. ამ დაკითხვის მოლოდინში, თვითუღლის თვითნაღობში იხსნება მათი ხასიათი. ბერძენმა კანონისმა, რომელიც უკვე გამოცდილია ბრძოლებში, იცის რა არის დაკითხვა და დარწმუნებულია თავის თავში. ან-რის სძინავს, ხოლო გამოღვიძებისას იცინის, ოხუნჯობს და ცდილობს სხვებიც აიყოლოს. მაგრამ ამასთან ერთად

მას აწვალებს საკითხი, თუ რად ჩავარდნენ, რისთვის იღუპება. მას არა აქვს ის ნათელი მიზანი, რაც კანორისს. ის გრძნობს თავის უსარგებლობას. სორბიე უცდის წამებას; მას უნდა გაიგოს რას წარმოადგენს თვითონ, გაუძღვება თუ არა. „მე ჩემი თავი მინდა შევიცნო. ჩემი სხეული მალეღებებს, ვესმის... მე ისე მოგვედები, რომ ვერ გავიგებ, რად ვღირვარ“. ერთადერთი ქალი ლიუსი ამშვილებს თავის ძმას ფრანსუას, რომელსაც აშკარად ეშინია წამების. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ არაფერი აქვთ სათქმელი, მათ არ იციან, სად იმალება მათი უფროსი, ეანი. თვითუფლის მოქმედება თვითუფლის პირადი საქმეა. წამებას კანორისი უძლებს, სორბიე ვერ უძლებს და მიხვდება, რომ ის მშვიშარაა და რაიმე რომ იცოდეს გასცემს, ანრიც ყვირის, მაგრამ გრძნობს რომ არ გასცემს. ლიუსი, მიუხედავად დიდი დამკვირებისა, ხმას არ იღებს. ყველა ერთნაირ სიტუაციაში არიან: მათ არაფერი იციან.

ამ მომენტში ოთახში შემოვადებენ მეექვსე ტუსადს—ეანს, მაგრამ პოლიციელებმა არ იციან, რომ ეს ეანია. მდგომარეობა სრულიად იცვლება. ახლა ტუსალებმა იციან, რომ არ უნდა გასცენ. ვაქაცობა და გამძლეობა ყოველი მათგანისათვის იქცევა პირადი საქმიდან საზოგადო საქმედ. თუ ეანს გასცემენ, დაიღუპება მთელი ჯგუფი, რომელიც ამჟამად თავისუფალია. სიტუაცია იცვლება. იცვლება ტუსალების დამოკიდებულებაც. კანორისი კვლავ დუმს, ანრი ყვირის, მაგრამ არ გასცემს, ამ დაძაბული მდგომარეობის კულმინაციური წერტილია სორბიეს გაყვანა საწამებლად. სორბიემ იცის, რომ ის მშვიშარაა, ჯალათებმაც იციან. მაგრამ სორბიე ინელთებს მომენტით და ფანჯრიდან გადახტება. ამით მან გადალაზა თავისი სისუსტე, შიში და სიკვდილის არჩევანით გმირობა ჩაიდინა. ერთადერთი, ვისაც შეუძლია გასცეს ეს არის 15 წლის ფრანსუა. მის სიტ-

ყვებში სარტრმა კოლუმბორაკოლისტოა აზრი გამოხატა: „სარტრმა ჩემი უფროსი, თუ კი სიცოცხლე ხანგრძლივად მქონდება, ტუსალები არჩევენ ფრანსუას მოკვლას. ვიდრე 60 კაციისაგან შემდგარ ჯგუფის დაღუპვას! (უნდა აღვნიშნოთ, რომ 15 წლის ბიჭის მოკვლა თავისიანების მიერ, შესაზარ გრძნობას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ სარტრი ცდილობს ლოგიკურად გაამართლოს ეს საქციელი!)“

ტყვევებმა გაიმარჯვეს. მათ არ გასცეს ჯგუფის უფროსი და ამით საერთო საქმე იხსნეს. აქ სარტრი ცდილობს გადაქრას ასეთი საკითხი: საერთო საქმისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა, თუ როგორ იმოქმედებს ადამიანი, რომელსაც იცის, რომ მას სიკვდილი ელის. აქვს, უპასუხებს სარტრი, რადგან ადამიანი თავის მოქმედებით იქმნება და ამასთან ერთად ის სხვაზეც ზრუნავს. როცა ვადაჩინის იმედი გამოინდება, კანორისი აღფრთოვანდება, მაგრამ სხვების ინდიფერენტობას აწყდება. ლიუსი გადატანილ შეურაცხოფას და ძმის სიკვდილს ვერ ივიწყებს, ანრისაც აღარ უნდა სიცოცხლე. რადგან ფრანსუა მოკლა. ამ ინდიფერენტობის საპირისპიროდ კანორისის სიტყვებში სარტრის ახალი მორალი ისმის: „მთავრად უნდა დავებმაროთ... შახტებში კიდევ დარჩა ხალხი, ავადმყოფი მოხუცები, გადაქანცული ქალები... ჩვენ მათ ვჭირდებით... შენ მხოლოდ შენ თავზე ფიქრობ...“ ეს არის სხვაზე ფიქრის მორალი, ეს არის ადამიანთა სოლიდარობის ცნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარტრის მსოფლმხედველობის შემობრუნების მომენტი იწყება მეორე ომისა და შემდგომ წლებში. ამ დროს იგრძნო სარტრმა რომ თავისუფლება თავისუფლებისათვის ეს არის განცალკევება, განმარტოვება, რომელსაც არავითარი დამყარებულება არ მოაქვს ადამიანისთვის. ომის შემდეგ პერიოდში სარტრი დიდ წინააღმდეგობაში არის ჩაყარდნილი: „წინააღმდეგობა იღებებში არ

იყო, ის იყო ჩემს არსებაში, ჩემში. რადგან თავისუფლება მე ვიყავი, მაგრამ იგი თურმე შეიცავდა სხვების თავისუფლებასაც. და ყველა არ იყო თავისუფალი- მე არ შემეძლო უდრტინველად ჩავმდგარიყავი საერთო დისციპლინის ქვეშ, მაგრამ არც მართო ყოფნა შემეძლო!”

სარტრის მიზანია შექმნას იდეოლოგია, რომელიც აუხსნის ადამიანს მის სიტუაციას, ამასთან გზას უჩვენებს პრაქტიკული მოქმედებისათვის. სარტრის აზროვნება იწმინდებოდა იდეალიზმისაგან, მაგრამ ეგზისტენციალისტურ თეორიებაც არ უარყოფდა. -1940 წლიდან მე ვცდილობ მოვიშორო იდეალიზმი, მოუწყდე ჩემს ინდივიდუალიზმს, შევიდე ისტორიაში, მარქსიზმთან ახლო მდგარი, მე მსურს დაუახლოვდე კომუნისტებს“.

1945 წელს სარტრმა ხელი მოჰკიდა დიდი სტატიის წერას ლიტერატურის შესახებ, რომელშიც მისი საბოლოო აზრი ჩამოყალიბდა: ლიტერატურა უნდა იყოს მოქმედებაში ჩაბმული (გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციის მიხედვით). მისი პირვანდელი იდეალები პირადი ხსნისა, მის მიერვე არის გაცამტვერებული. ს. დე ბოუვარის თქმით: „პრაქტიკაში სარტრი თხოვლობდა სინთეზს ორი მიმართულები-სა, ერთ აქტს ორი სახე აქვს: ნეგაცია, რომელიც ავანტურულია და შენება, რომელიც დისციპლინაა. საქირა ნეგაცია, კემანი და თვითკრიტიკა დისციპლინაში იყოს“.

პიესაში „ეშმაკი და უფალი ღმერთი“ სარტრმა ამ სინთეზის ჩვენება მოინდომა, ეს პიესა წარმოადგენს XV საუკუნის გერმანიის ცხოვრებიდან აღებული ეპიზოდს, გვიანფეოდალური ხანის ქრონიკას, ქალაქ ვორმს ალყა აქვს შემორტყმული. ეპისკოპოსი, იმის შიშით, რომ ალყის გავრძელების შემთხვევაში ხალხი გაჟღერს ეკლესიის მსახურთ და მდიდრებს, ქალაქის გასაღებს გადასცემს მღვდელ ჰაინრიხს. ჰაინრიხი ყოყმანობს: თუ გასაღებს გადასცემს

გოეტცეს (მოალყეების უფროსს) იმ პირობით, რომ მან დაინდურს ეკლესიის მსახურნი, მაშინ გოეტცეს გასაღებას ხალხს, მაგრამ თუ არ გადასცემს, მაშინ ხალხი გაჟღერებს მღვდლებს. საბოლოოდ ის გადასწყვეტს ჩააბაროს გოეტცეს გასაღები და მიდის მის ბანაკში. საინტერესოა გოეტცეს გამოჩენა. გოეტცე არის ადამიანი, რომელიც მუდმივ ყოყმანშია სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეს ორი ცნება მისთვის აბსოლუტებს წარმოადგენენ. დასაწყისში ის ბოროტებას ჩადის. ამით ის ღმერთის თანატოლად წარმოიდგენს თავს, ღმერთის, რომელიც სიკეთეს ჩადის. მას აბსოლუტურ ღირებულებებად მიანჩნია ბოროტება და სიკეთე, უმაღლეს არსებებად ღმერთი და ეშმაკი. ის ექსტაზშია, ყველაფერი მას ემორჩილება, მას ყველაფრის უფლება აქვს: შეუძლია ქალაქების დამხობა, ხალხის გაჟღერა. მას ადამიანები არაფრად მიანჩნია. „მე მხოლოდ ღმერთთან მაქვს საქმე... ღმერთი მისმენს. ღმერთია ერთადერთი მტერი, რომელიც ჩემი ღირსია. არსებობს მხოლოდ ღმერთი, მე და მოჩვენებანი“. მღვდელი ჰაინრიხი დაუმტკიცებს გოეტცეს, რომ ბოროტება ადვილი საქმეა, რომ მას ყველა ჩადის, სიკეთე კი არავის მოუტანია. იმისათვის, რომ იყოს ერთადერთი და ტოლი არ ჰყავდეს, გოეტცი გადასწყვეტს სიკეთის ჩადენას. თავის არჩევანს კამათელის გაგორებას მიანდობს. როგორც შემდეგ ირკვევა- მან კამათელი ისე დასვა, რომ წაეგო, რადგან შეთანხმების მიხედვით მხოლოდ წაგების შემთხვევაში შემობრუნდებოდა სიკეთისაკენ. ის დაინდობს ღირებებს, დაურთებს მიწებს და დააარსებს „შვის ქალაქს“. სადაც ხალხი სიმშვიდესა და სიყვარულში ცხოვრობს. მაგრამ საქმე ისაა, რომ გოეტცის არჩევანის საფუძველი ყალბია (მან ხომ კამათლები დასვა), მას მოსწონს ღამაზი ფრანგები.

მას მოსწონს შეჯიბრი ამქვეყნიურ და არამქვეყნიურ ძალებთან. მას უნდა გამოიყოფოდეს ხალხისაგან, რომელიც

სინამდვილეში არ უყვარს. გოეტცი ვერ გრძნობს გარეშე პირობებს, ის ვერ ხედავს, რომ „მზის ქალაქს“ უბედურება მოაქვს ხალხისათვის, რადგან ეს მოჩვენებითი ბედნიერება ალიზიანებს სხვა ღარიბებს. ისინი ვადაბუგავენ ქალაქს, რომლის მცხოვრებლები ეგონისტური გრძნობებით ალიცენ და სხვების ბედისადმი ინდიფერენტულნი ვახდნენ. „თქვენი მზის ქალაქი აშენებულია სხვების უბედურებაზე“.

გოეტცი ამ ბოროტებასა და სიკეთის ურთიერთცვლაში მარცხდება. ის მიხვდება, რომ მისი ყოველი მოქმედება იყო თავაში, თაღლითობა და გამოსავლის ძიებას იწყებს. ეს გამოსავალი იქნება რეალური ცხოვრება, მიწაზე მტკიცედ დგომა. მას უჩნდება გულწრფელი სურვილი იყოს ადამიანებს შორის, ორესტის მსგავსად განკაცების სურვილმა შეიპყრო. თუ კი გოეტცი პირველად ძალით მოქმედებდა ყოველგვარ სიტუაციაში, ხოლო შემდგომ კი ისევე ყოველგვარ სიტუაციაში წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდა, საბოლოოდ თავის დამარცხების შემდეგ, ღმერთის არსებობა-არარაობის საკითხის გარკვევასთან ერთად, ის რეალურ სიტუაციას იგრძნობს.

ჯერ კიდევ „ბუზებში“, ჩვენ პირველად ვხილეთ სარტრის შემოქმედებაში ღმერთის წინააღმდეგ ამბოხება. ორესტი თავისი „ნამდვილი არსებობის“ დასადგენად ღმერთს აუჯანყდა და თავისი გზა იპოვა. თუ „ბუზებში“ ღმერთის ყოფნა-არყოფნის საკითხია დასმული, ამ პიესაში ღმერთის არსებობა უარყოფილია. სიკეთე, ბოროტება—ეს ცნებები, როგორც აბსოლუტები. რელიგიამ შექმნა და რელიგიის უარყოფა სარტრის ამ პიესაში.

როცა იუპიტერი ამბობს, რომ „სამყარო კარგია, მე შევქმენი ის ჩემს სურვილის მიხედვით და მე სიკეთე ვარ“. ეს სიტყვები ქვეშაობებულად იყო მიჩნეული. ამ ქვეშაობებულებას აუჯანყდა ორესტი. მან უარყო ღმერთი, აირჩია თავისი გზა, მაგრამ არჩევანი ბოლომ-

დე ვერ მიიყვანა. ხალხთან არ დარჩა. გოეტციმაც უარყო ღმერთი და ხალხთან დარჩა. მან ^{დასაწყისად} ~~დასაწყისად~~ ^{რომ} ~~რომ~~ მის გარშემო არიან არა მოჩვენებები, არამედ ცოცხალი ადამიანები. იგრძნო, რომ საჭიროა საერთო ენის გამოჩახვა მათთან, ღმერთის ენის გარეშე.

გოეტცი ჩაუდგება ხალხს სათავეში, რადგან სხვა გამოსავალი არ არის მათი და თავისი თავის გადასარჩენად.

ამ პიესის ყველა გმირი ძიებაშია, ყოყმანშია, ღმერთსა და მიწას შორის, რელიგიასა და ნამდვილ ცხოვრებას შორის. გოეტცი ახერხებს საბოლოოდ ისეთ არჩევანს, რომელიც ყველასთვის კარგია. პიანობის ვაიტანჯა გაუთავებელი ყოყმანით, ბოლომდე ვერ აირჩია და ასევე გაურკვეველი იღუპება. ნასტი—წინასწარმეტყველი ღარიბების მეგობარი და დამცველი, თავიდანვე სწორ გზას ადგია.

პიესაში „ემშაკი და უფალი ღმერთი“ ისახება სარტრის მთელი იდეოლოგიური „ევოლუცია“, ამბობს ბოეუარი, ორესტის მიერ ქალაქის დატოვებისა და გოეტცის ხალხთან დარჩენის კონტრასტი ნათელს ხდის სარტრის მიერ განვლილ გზას, „ანარქიულ ინდივიდუალიზმიდან — მოქმედებაში ჩაბმამდე“.

ზემოთ განხილულ ოთხი პიესიდან, სამი წარმოადგენს სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუციის ილუსტრაციას. ამ პიესების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სარტრის საბოლოო აზრი არის არა „ამაო თავისუფლება“, არამედ „თავისუფლება სიტუაციაში“ და თავისუფლების მოქმედებაში ჩაბმა განსაზღვრულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში სხვა ადამიანების საკეთილდღეოდ.

ორესტი, პიესა „უსაფლავო შვედრების“ გმირები და ბოლოს გოეტცი—სარტრის აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურების მაჩვენებლები არიან. თვით სარტრს თავის ერთადერთ დადებით გმირად გოეტცი მიაჩნია, რადგან მისი სახით ნაჩვენებია

სარტრის მიერ ნაპოვნი გამოსავალი.

საინტერესოა, რამდენად დამაჯერებელია ეს გამოსავალი, ეს ხსნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ორესტი მარცხდება, გოეტცი იმარჯვებს. ორესტის ისტორია ცალკე ინდივიდის ისტორიაა. მან გადასწყვიტა თავისი ხალხის ხსნა, მაგრამ საბოლოოდ ისევ მარტოობა აირჩია. თავისი აქტი შეასრულა, განზრახული საქმე შეაგზამდე მიიყვანა და ხალხი ღვთის ანაბარად მიატოვა. რომანში „თავისუფლების გზები“ მატრიე დელარაიუ ორესტზე კვიანია. ის მოწმეა თავისი ეპოქის, მაგრამ მოწმის როლში რჩება ბოლომდე. ის უღონოა რაიმე წამოიწყოს, რადგან პირადი თავისუფლების დაკარგვისა ეშინია. გოეტცი განსხვავდება მათგან. მთელი რიგი არჩევანების შედეგად ის აირჩევს ისეთ რამეს, რაც მისთვისაც კარგია და სხვისთვისაც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს უდაოდ პოზიტიური გამოსავალი ამ პიესაში დამაჯერებლად არ არის მოცემული. გოეტცი, რომელიც ირჩევს ხან ბოროტებას და ხან სიკეთეს, სწორედ იმიტომ, რომ ხალხს გამოეყოს, მათგან განზე დადგეს. სრულიად უმიზეზოდ განიცდის მეტამორფოზს—მას ხალხი შეუყვარდება. გოეტცი—ბოროტი, საღისტი, მოღალატე, ბოროტების მთესველი; გოეტცი—ეთილი, პატიოსანი, წინააღმდეგობის გაუწევლობის მქადაგებელი, მოკლედ სიკეთის განსახიერება (ორივე ეს გარდაქმნა არაგულწრფელია), და ბოლოს გოეტცი—ხალხის მოყვარული (ამ შემთხვევაში გულწრფელი სარტრის მიხედვით), ასეთია ამ გმირის სამი სახე, სამი გარდაქმნა. მაგრამ ჩვენ წინ ერთი გოეტცია. ჩვენ წინ ის იცვლება სიტყვიერად და არა რეალურად. როცა ცას მიმართა მზერა, გოეტციმ იხილა სიცარიელე. ჯოჯობეთს მიაპყრო თვალი, ისევ სიცარიელე, ნამდვილი ცხოვრება მან დაინახა მიწაზე, რომელზედაც ცხოვრობენ ადამიანები, თავიანთი სიხარულით, მწუხარებით. გოეტცის სა-

ბოლოო არჩევანი არის ამ ხალხთან ყოფნა, მათთან ერთად ცხოვრება.

ეს გამოსავალი კემზარტანს მარტრას დიდი მიღწევია, (გავიხსენოთ მისი პირველი გმირი როკანტენი), მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გარდაქმნა არ არწმუნებს მკითხველს. სარტრს არა აქვს მოძებნილი ისეთი მხატვრული ხერხი, რომელიც დააჯერებს მკითხველს გოეტცის მეტამორფოზის აუცილებლობაში. სარტრს უნდა, რომ ეს ასე იყოს და გოეტცისაც ამოქმედებს თავისი სურვილის მიხედვით. მაგრამ ის, რომ გოეტცი თვითონ მივიდა ხალხამდე და დარჩა მასთან, არ ჩანს ნათლად. შთაბეჭდილება რჩება, რომ გოეტცი ხალხთან რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არა აქვს.

ჩვენი აზრით, სარტრის მიერ მოძებნილი გამოსავალი პიესაში „ემზაკი და უფალი ღმერთი“ მთლად ვერ გვაჯერებს, რადგან მასში იგრძნობა ის წინააღმდეგობა, რომელიც სარტრს ჯერ არ გადაუღალახავს. ძნელია, პარამონიულად შეერთდეს ორი ისეთი პრინციპულად საწინააღმდეგო ცნება, როგორიც არის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი და ხალხის სიყვარული, კოლექტიურობა. სარტრი დარწმუნებულია, რომ ადამიანმა არ უნდა დაკარგოს პირადი თავისუფლება, მაგრამ ამასთან ერთად უნდა იყოს ჩამბმული საზოგადოებაში, ეპოქაში, ისტორიაში. ამ წინააღმდეგობის მატარებელია გოეტცი და აქედან გამომდინარეობს, რომ მისი საბოლოო არჩევანი არ არწმუნებს მკითხველს.

სარტრი უდაოდ სწორ გზას ადგია. მისი ბრწყინვალე გამოსვლები ალყირისა და კუბის საკითხთან დაკავშირებით, მისი გესლიანი წერილები კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, მისი ენთუზიზმი მშვიდობის საკითხში—ნათელყოფს იმას, რომ სარტრი პროგრესული ბანაკის წევრია. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მისი რწმენა კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი მის მხატვრულ ნაწარმოებებში განსახიერდება.

გერაჲ კანკაჲ

ანტუან დე სენტ-ეგზუპერი

„ის წერს არა თვითმფრინავის შესახებ,
არამედ თვითმფრინავის დახმარებით“.

ა. ლე სენტ-ეგზუპერი.

ანტუან დე სენტ-ეგზუპერი თითქოს
ოთხივე სტიქიის მკვიდრად იქცა. იგი
მიწაზე დაიბადა და იღვწოდა, მაგრამ სი-
ცოცხლის დიდი ნაწილი ჰაერში გაატა-
რა. მეორე მსოფლიო ომის დროს მისი
სხეული თვითმფრინავზე მოდებულმა
ცეცხლმა დაწვა, ხოლო მისი ფერფლი
მარილიანი ზღვის ტალღებს შეერია.

ფრანგულ ლიტერატურაშიც მას გან-
საკუთრებული ბედი ხვდა—იგი სიცოც-
ხლეშივე აღიარეს მისმა თანამემამულე-
ებმა კლასიკოსად, მაგრამ დაფნის გვირ-
გვინი სენტ-ეგზუპერის არა მხოლოდ
როგორც მხატვარს ერგო—ამისგან გა-
სწყოფელი იყო მისი უჩვეულოდ
მთლიანი პიროვნება. იგი ისეთი-
ვე შესანიშნავი ავიატორია 20-იანი
და 30-იანი წლების საფრანგეთისა,
ახალი საჰაერო გზების აღმოჩენი და
დამკურობი, როგორც თანამედროვეო-
ბის ფილოსოფიურ-ზნეობრივ საკითხებ-
ზე მოაზროვნე ჰუმანისტი.

სენტ-ეგზუპერის წიგნების ძალა
მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილ ამ-
ბებს გვიხატავს. არც ერთი სიტყვა,
არც ერთი სტრიქონი ფრანგი მწერლის
ნაწარმოებებში არ ღალატობს სინამ-
დვილეს; აქ, ძირითადად, ყველაფერი
ავტობიოგრაფიულია, საკუთარი მხრე-
ბით გადატანილი. და განა დარჩებოდა
რაიმე ადგილი ფრანგ პილოტს, „მოქმე-
დების ადამიანს“, გამონაგონის მოსათ-
ხრობად, როდესაც თვით მისი ცხოვრე-
ბა სავეს იყო უმდიდრესი, თითქმის
ფანტასტიკური ამბებით!

ფრანგი მწერლის წიგნები მკითხველ-
ში გარესამყაროს უჩვევ შეგრძნობას იწ-

ვევენ. ღამე, რომელშიც უხდებოდა მას
უმთავრესად მგზავრობა—თვითმფრინა-
ვით ფოსტის გადატანა,—კოსმოსური
ღამეა. ამგვარი ღამეები ჩვენ არ გვინა-
ხავს; ჩვენ, ქალაქის მცხოვრებთ, თით-
ქოს არა გვაქვს ღამე—განათებული
ელექტრონით და ნეონის სინათლით,—
ასეთია არსებითი შთაბეჭდილება ამ
მწერალთან გაცნობის შემდეგ. სენტ-ეგ-
ზუპერის წიგნები—„მიწა ადამიანთა“,
„გაფრენა ღამით“, „სამხრეთის ფოსტა“
იძლევიან სივრცის სავესებით საკუთარ,
ცის ახლებურ შეგრძნობას. ატმოსფე-
რო, განათებული მუქი იისფერი, ხან
ნაზი ოქროსფერი შუქით, ახალ სინამ-
დვილეს ქმნის მის მოთხრობებში; მაგ-
რამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფრან-
გი მწერლის ნაწერები ცის საიდუმლო-
ებათა ასახსნელად იყოს მიმართული.
თავისი თხრობის ყოველ ნაწილში ან-
ტუან დე სენტ-ეგზუპერის აზრი მიჰყ-
რობილია მიწისაკენ და მისი მცხოვრებ-
ლებისკენ. როგორც ერთ-ერთი მოთხ-
რობის სათაური—„მიწა ადამიანთა“ მი-
უთითებს, მწერალი სწორედ „მიწიერი“
ამბებით არის დაინტერესებული. მისი
გულისყური თან სდევს მისი საყვარელი
ერისა და ადამიანების ბედს, რომელიც
სწორედ დედამიწაზე უნდა გადაწყდეს.
მაგრამ „მიწა“ მის წიგნებში დანახულია
მფრინავის სიმაღლეებიდან—ცის სიღრ-
მიდან. მწერალს ეს თითქოს აძლევს
ერთგვარი „პერსპექტივის კანონის“ გა-
მოყენების უფლებასაც, როდესაც აზრი
უფრო სრულყოფილ და დამთავრებულ
სახეს იძენს და ჩვენ ძალზე ხშირად

მოწმენი ვხდებით მწერლის ღრმად მოფიქრებული, ანდა მოულოდნელი დასკვნებისა. ის გატაცებით გვიყვება მრავალ ეპიზოდს საკუთარი გამოცდილებიდან და ყოველთვის ახერხებს საკუთარ თავგადასავალს მისცეს განმაზოგადებელი ძალა, დაუქვემდებაროს იგი თავისი ნაწარმოების ძირითად მიმართულებას. იმ დიდ სტოიციზმსა და ჭირთა თმენას, რისი მოწმენიც მისი წიგნების მკითხველნი ვხდებით, ზნეობრივად თითქმის ერთი საფესურით მალლა ავყავართ. ჩვენ გვაგონდება კარგი აზრი, რომელიც თავის ღროზე გოეთემ გამოთქვა: იმისდა მიხედვით, თუ როგორ წერ ან კითხულობ წიგნს, თავად იქცევი წიგნად.

ანტუან დე სენტ-ეგზუპერი ცხოვრების სიბრძნეს ხედავს იმაში, რომ ყოველი ადამიანი უნდა ამაღლდეს ცხოვრებასთან შემოქმედებითი ურთიერთობის დასამყარებლად, თავისი საქმიანობის აქტიურად, გონიერად წასამართავად. „თუკი მწყემსი,—ამბობს იგი,—რომელსაც საკუთარი მოვალეობა შეუგნია, თავის საქმიანობას შეხედავს ისე, როგორც სხვა ადამიანებისათვის სარგებლობის მომტანს, იგი არა მარტო მწყემსია; იგი გუშავია. ხოლო ყოველი გუშავი პასუხს აგებს მთელ სამყაროსთვის“. მისი ნაწარმოების ძირითადი თემა არის ადამიანი, მისი ადგილის გარკვევა ამ ქვეყნად. როგორ უნდა გავუღვივოთ ადამიანს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა? როგორ უნდა წავაქეზოთ ყოველი მათგანი გმირული საქმეებისთვის? (მწერლის აზრით, ამგვარი თვისებები უხვად თვლემენ ადამიანის ბუნებაში) ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს ვნახულობთ.

ქეშარიტება არ დევს მოვლენათა ზედაპირზე. სინამდვილის ყოველ მხარეს თავისი განუმეორებელი სიმართლე, ქეშარიტება აქვს და მისი ერთხელ და სამუდამოდ დადგენა არ მოხერხდება. ამიტომ თავისი მოწოდების, ხვედრის განხორციელებაში ყველა თავისებურად ეძებს და ნახულობს მას. მხოლოდ საჭიროა, რომ თავისი სასიცოცხლო ხვედრი

ყველამ ბოლომდე განიცადოს, ამასწუროს. ასე იბადება სიცოცხლის ნამდვილი შეცნობა. ასე იბადება რაღაც ახალი, რომელიც თავისი მნიშვნელობით განახლებული ადამიანის პიროვნებას უღრის. როდესაც სენტ-ეგზუპერის ლიბის უდაბნოში ავარია შეემთხვა და ძალთა ზეადამიანური დაძაბვის მიუხედავად, გადარჩენის იმედი აღეკვეთა, ამ შემთხვევას შემდეგ ის იგონებდა, როგორც დიდ ადამიანურ გამოცდას, უცქერდა მას, როგორც საკუთარი რაობის შეცნობას. „მე ერთხელ კიდევ შევებე ქემარიტებას და ვერ გავიგე იგი,—წერს სენტ-ეგზუპერი წიგნში „მიწა ადამიანთა“.—ვიფიქრე, რომ ვიღუპები, ვიფიქრე, რომ სასოწარკვეთის უკიდურეს ზღვარს მივატანე და უკვე დავმორჩილდი ბედს, სულეირმა სიმშვიდემ მომიცევა. ასეთ ღროს გეჩვენება, რომ საკუთარი თავი აღმოაჩინე, საკუთარ თავს უმეგობრდები. შინაგანი სისავსის ამ შეძენილ განცდასთან შედარებით, რომელიც ჩვენში აცხრობს რაღაც უღრმეს მოთხოვნილებას და რომლის სახელი ჩვენ არ ვიცით, ყოველივე არარაობად მჩვენება“. ადამიანს, ავტორის აზრით, თუკი ის ბოლომდე ამოსწურავს საკუთარ სასიცოცხლო უნარს, შეუძლია ნამდვილი გმირობის ჩადენა. იგი გვიხატავს ამ ადამიანებს, მაგრამ მათ ზეადამიანურ ქცევაში ჩვენ უფრო მეტად მათი თავმდაბლობა, უანგარო და თავდადებული მეგობრობა გვატყვევებს. სენტ-ეგზუპერი გვიჩვენებს მძიმე ყოველდღიურ შრომას პილოტისას, რომელიც ავიაციის განვითარების გარიჟრაჟზე ეუფლება ახალ ტრასებს, მუშაობს მფრინავ-გამომცდელად და „იპყრობს ღამეს“—ეუფლება ღამის საპაერო გზებს. ყოველივე ეს ფრანგი მწერლის ნაწარმოებებში მიუღწეველი გმირობის ორეოლით კი არაა შემკული, არამედ ადამიანის შინაგანი სიძლიერის, ნებისყოფისა და მოვალეობის გრძნობის გამოაშკარავებაში მელანდება. თავისუფალი ნების ადამიანი ბედნიერებას ეძებს არა თავისსავე შიგნით, არამედ მის გა-

რეთ, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, გვეუბნება მწერალი. ამის შესანიშნავი დადასტურება იყო მთელი მისი შეგნებული ცხოვრება.

ანტუან დე სენტ-ეგზუპერი დაიბადა ლიონში 1900 წელს, ძველი რაინდული წარმომავლობის გრაფი ეან დე სენტ-ეგზუპერის ოჯახში. ცნობილი ვახდა, რომ ამ გვარს ატარებდა წმინდა გრაალის ერთ-ერთი რაინდი. გრაფის ოჯახში, (გრაფი იმ ხანად ქალაქის დამზღვევ ინსპექტორად მუშაობდა) ცდილობდნენ, რომ პატარა ანტუანს, რომელსაც იმთავითვე აღმოაჩნდა მრავალფეროვანი ნიჭი, განეცხთარებინა და გავლრმავებინა თავისი მიდრეკილებანი. მისი ერთგული ბიოგრაფი, — მარსელ მიუო გვაცნობებს რომ იგი დაუცხრომელი იყო გამოძგონებლობაში, მოთავე იყო ყველაზე უფრო ფანტასტიკური მასკარადებისა, შფოთიანი და რთული თამაშების, რომელთა იმპროვიზაცია მის სტიქიას შეადგენდა. ანტუანმა ადრე ასაკში დაიწყო ლექსების წერა, რომელნიც დამაფიქრებელი და ბავშვისათვის შეუფერებლად სევედიანნი ჩანდნენ. მას ჰყვარებია სიმარტოვეც; შეეძლო საათობით მჭდარიყო მამის ოთახში, ეცქირა ბუხარში ცეცხლის ენებისთვის, ეოცნება და ერთთავად გადასახლებულიყო ზღაპრების სანატრელ ქვეყანაში.

პატარა ანტუანი მშვენიერად ხატავს, სწავლობს ვიოლინოზე დაკვრას, მაგრამ ათასნაირ მექანიზმების მოწყობილობა ყველაზე ძლიერად იპყრობს მის ნორჩ გონებას. იგი „იგონებს“ რალაც ტექნიკურ მოწყობილობას, თუნუქის კლოფიდან სურს ტელეფონის შეკოწიწება, რომელიც იმ ხანად ახალ გამოგონებად ითვლებოდა. ხაზავს ლოკომოტივის მოწყობილობის განსაცვიფრებლად ზუსტ სჩემას, თუმცა ორთქლმავალი ახლოდან მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი. იმ დროს იგი მხოლოდ ექვსი წლისაა.

როდის ეზიარა სენტ-ეგზუპერი პირველად ცის სივრცეებს, როდის იმგზავრა პირველად თვითმფრინავით? ეს მოხდა 1912 წელს. მაშინდელ საფრანგეთში ყველაზე დიდმა და ცნობილმა მფრინავ-

მა იგი ჩაისვა თვითმფრინავში და ასე ჩაესახა მას მთელ მის ცხოვრებაში. მრუტლავი წყურვილი ავიატორმა მსოფლიო მელიც შემდგომ აღმატებოდა ყოველგვარ ზომას.

პირველი მსოფლიო ომის დროს იგი სწავლობს: ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ ისევ საფრანგეთში, პარიზში, სადაც ამთავრებს საშუალო განათლებას და 1919 წელს შედის პარიზის ცნობილ მშვენიერ ხელოვნებათა სკოლაში, არქიტექტურის განხრით. მაინც იგი გულს ვერ უდებს ზუროთმოძღვრებას და იტანება ნამდვილი მოწოდების მიუყვლეელობის გამო. ოცდაერთი წლის სენტ-ეგზუპერის იწვევენ ჯარში. ეს საბედისწერო წელიწადი იქცევა მიჯნად მის ცხოვრებაში და მისდა უნებურად წყვეტს ახალგაზრდულ ეჭვებს: ანტუან დე სენტ-ეგზუპერი მეორე საავიაციო გამანადგურებელი ათასეულის ჯარისკაცია. პირველ ხანებში იგი ასრულებს „შავ სამუშაოს“. მუშაობს სახელოსნოებში, იძენს ცოდნას თვითმფრინავთა შეკეთებაში, რაც საშუალებას აძლევს უკანასკნელ ზრანამდე დაუფლოს მისი უსაყვარლესი მანქანის აგებულებას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება პილოტირების კურსები. პირველი დამოუკიდებელი გაფრენა ახალგაზრდა მფრინავს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ათასეულის ინსტრუქტორმა დააგვიანა მოსვლა და მოთმინებადაკარგული ანტუანი თვითნებურად აფრინდა ჰაერში, მარტო, მანქანის შეუმოწმებლად. ყველაფერი რიგში იყო იქამდე, სანამ დაშვების დრო დადგა: მანქანა რატომღაც აღარ ემორჩილებოდა. ახალგაზრდა პილოტმა დაიწყო აეროდრომის გარშემო ფრენა და ამ დროს ძრავას ცეცხლი გაუჩნდა. ჰაერში დაწვას მან ამკობინა როგორმე დაშვებულიყო. რალაც მანქანებით მართლაც მოახერხა აეროდრომზე დაქდომა. ისე რომ სენტ ეგზუპერიმ პირველსავე ხანმოკლე რეისით გამოამეღვნა თავისი მოუთმენელი, მგზნებარებით შეპყრობილი ბუნება.

ახალ სამსახურში, ერთ-ერთ ფრან-

გულ ავია-კომპანიაში, სენტ-გუსტუპერის, სხვა მფრინავებთან ერთად გაჰყავს ახალი ტრასები, მუშაობს მფრინავ-გამომცდელადაც. ეს იყო დრო, როდესაც ღამით მგზავრობა ფეხს იკიდებდა ავიაკიაში და ახალგაზრდა პილოტი პიონერია ამ ძნელი, ფათურაკიანი საქმისა. ღამის რეისები, — ეუბნებოდა მას კომპანიის დირექტორი დიდი დორა, — ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ყოველ-ღამე ჩვენ ვვარგავდით დღისით მოგებულ დროს, რომელიც ჩვენს უპირატესობას წარმოადგენს მატარებლისა და გემის წინაშე... ღამით ფრენა კი მოითხოვდა დიდ ამტანობას, სიმაძაქეს, მსხვერპლს. მაგრამ სიძნელეთა გადალახვა, წინააღმდეგობათა დათრგუნვა, სენტ-გუსტუპერის უღრმესი მოთხოვნილებაა. — არ მესმის, საიდან იღებდა ეს წყურვილი სათავეს, — წერს იგი. — ადამიანის სიცოცხლე თუმცა ყველაზე ძვირფასია, მაგრამ ჩვენ ვიქცევით ისე, თითქოს ქვეყნად არსებობს მასზე უფრო ფასეული, როდესაც მსხვერპლს არ ვუშინდებით... მაგრამ რა? „სიყვარული? მხოლოდ სიყვარული — როგორი ჩიხია!“ — ფიქრობს იგი. რივიერი (გმირი მოთხოვნილისა „გაფრენა ღამით“, რომლის ცოცხალი პროტოტიპია დიდი დორა) ბუნდოვნად გრძნობდა, რომ არის რაღაც სხვა მოვალეობა, რომელიც უფრო მაღლა დგას სიყვარულზე. იგი ეძიებს ამ „რაღაცას“ და აკვლევს: „ამოცანა იმაშია, რომ მივანიჭოთ ადამიანებს უკვდავება“. ფრანგი მწერალი უბრუნდება ძველ თემას. ღამეული ცის დაპყრობა ადამიანის მიერ — გზა არის მორალური გაუქვდავებისკენ თუნდაც იმიტომ, რომ ეს გზა მოითხოვს მისი სულიერი და ფიზიკური თვისებების უდიდეს დაძაბვას. მე ვუღალატებდი ჩემს მიზანს, წერს ავტორი, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ჩემი ნაწერები მოუწოდებენ, პირველ რიგში, ამ ადამიანებით ალტაცებისკენ. ალტაცების ღირსია, უპირველეს ყოვლისა, ის ნიადაგი, რომელზეც ისინი აღიზარდნენ...

შემდეგ სენტ-გუსტუპერი გადაჰყავთ აეროდრომის უფროსად ესპანეთის მარკოში, ქალაქ კაპ-ჯუბში. აქ იგი წელიწადნახევრამდე რჩება: ყვეებურთავე საორგანიზაციო სამუშაოებს მუშაობს. ნათესავთა ტექნიკურ გაუმჯობესებაზე მუშაობა, თეორიულ საკითხთა დამუშავება, მუდმივი სარეისო გაფრენები და მათ გვერდით ლიტერატურული შემოქმედება, — ამგვარია მისი ინტენსიური ცხოვრების სახე. მას აქვს შესანიშნავი დაკვირვებანი იქ მცხოვრებ არაბ მოსახლეობაზე, რომელნიც საუკეთესო თავებს წარმოადგენენ წიგნში — „მიწა ადამიანთა“. როგორც ჰემინგუეი მხატვარი, სენტ-გუსტუპერი ერთგვარი სიმპათიით გადმოგვცემს მაროკოელი არაბების და უფროა ზოგად ფრანგი კოლონიზატორებისადმი. არაბები თავის ევროპულ ტყვეებს ჰკლავდნენ არა სიძულვილის, არამედ უფრო მათდამი ზოგადი გამო, — გვაცნობებს იგი. — ჩვენთან შეხვედრისას, ფორტებთან შორი-ახლოს, ისინი გინებასაც არ იმეტებდნენ ჩვენთვის; პირს იბრუნებდნენ და გვერდზე იფურთხებოდნენ. სენტ-გუსტუპერი ოდნავი იუმორის გრძნობით წერს, რომ უნახავს მათი ბევრი ბელადი რომელსაც სამასკაციანი თოფით აღჭურვილი ჯარი ჰყოლია და მისთვის უთქვამს: „თქვენი ბელადი, რომ საფრანგეთამდე ას დღეზე მეტი სავალიაო“...

მხატვრულად დაუფიქვარია ის ადგილები, სადაც ავტორი გადმოგვცემს საპარაში მცხოვრები ადამიანების ფსიქოლოგიას. არაბები ტურისტებად მოხვდებიან სავოიში. გიღმა ისინი მიიყვანა მძიმედ, ღრიალით გადმოშკლად წყალვარდნილთან. ეს იყო პირველი ჩანჩქერი, რომელიც მათ, წვიმას მონატრებულ ხალხს, ენახა ცხოვრებაში.

„— წავიდეთ სხვაგან! — ეუბნებოდა მათ გიღმა, მაგრამ ისინი ფეხს არ იცვლიდნენ:

„— დაიცა ცოტა ხანს... ხმამოუღებელი, სერიოზულად, ჩაშტერებით აკვირდებოდნენ ისინი ამ საზეიმო საიდუმლოებას. ის, რაც იფრქვეოდა მთის წილიდან, იყო სიცოცხლე, ადამიანთა სისხლი...“

- რაღას უკლით? გავწიოთ.
- უნდა დავიცადოთ.
- რაღას დავუცადოთ?
- დამთავრებას!...

სენტ-ევგუზუპერის ნაწარმოებთა ენა მკაცრად ლაკონურია, ემოციურად დაწინებელი. მისი ფრაზები ბასრი ლიტერატურული ხერხებით შემოთლილი და ჩამოსხმულია. მისი მხატვრული აზროვნება მკვეთრად უჩვეულოა, მაგრამ გულში ჩამწვდომი, ხოლო ფერწერა—ელვარე ფერადებით ამოწვვარი. პოეტური სახეები, მოულოდნელი მეტაფორები, ღრმა ხანგრძლივი ფიქრის შედეგად მიღებული მკაფიო აზრები და აფორისტული თქმები ლიტერატურული ხარკი კი არაა, არამედ ცხოვრებაზე მხატვრის ექვემოტანელი დაკვირვების ნაყოფია. იგი ფორმის დამთავრებული ოსტატია. „ექუყობა სრულყოფას კაცი აღწევს, არა მაშინ, როდესაც მისამატებელი არა არის რა, არამედ მაშინ, როდესაც არაფრის ჩამოჭრა აღარ შეიძლება“,—წერდა იგი.

კაპ-ჭუბიდან სენტ-ევგუზუპერი ბრუნდება საფრანგეთში და ჩამოაქვს თავისი პირველი წიგნი „სამხრეთის ფოსტა“, რომელიც გამოდის გასტონ ვალიმარის ცნობილ გამომცემლობაში. მასში მოთხრობილია ფრანგ მფრინავთა მამაცობაზე. რომელთა რეისები ვადაჭიმული იყო ორ კონტინენტს შორის საფოსტო ტრასაზე: ტულუზა — სამხრეთი ამერიკა.

ამ დიდ მოთხრობაში უკვე ჩანს ავტორის ინტერესი შემდგომ ნაწარმოებებში გამოყენებული ძირითადი თემებისადმი, მისი ლიტერატურული სტილის თავისებურებანი, რომელთაც მას დიდი ბელეტრისტის სახელი მოუპოვეს.

მწერლისთვის ნამდვილი ვაჟკაცობა შეუთავსებელია პროზასთან, „გმირის“ ყოყმანურ მანერებთან. ყოველი პილოტი შეურაცხყოფად მიიღებს,—აცხადებს იგი,—თუკი მათ მიაწეროთ მძღრეკილებას ხიფათისაკენ, დაუწყებთ საუბარს „რისკის გემოზე“. „საქმე იმაში კი არაა—იმეორებდა მწერალი,—რომ იცხოვრო ფათერაკებით; ეს ფორმულა პრეტენზიულია. მე სულ არ მომდის

თვალში ტორედორები. მე ფათერაკი კი არ მიყვარს. მე ვიცი, რომ მიყვარს—სიცოცხლე“. იგი ორჯერ მოჰყენა მეტად მძიმე ავარიისში, მაგრამ მარცხმა არ გაუნელა სიყვარული საპაერო ზომალდებისადმი. სენტ-ევგუზუპერიმ პირველად 1935 წელს განიცადა სერიოზული კატასტროფა: თვითმფრინავი დაეჯახა ქვიშის ზეგანს ლიბის უდაბნოში, როდესაც იგი მიფრინავდა პარიზ-საიგონის მარშრუტით.

სენტ-ევგუზუპერი და მისი მექანიკოსი პრევე ალმონდნენ მარტოღმარტო უდაბნოს შუაგულში. საპარაში, საერთოდ, პერის ტენიანობა ორმოც პროცენტს აღწევს, მაგრამ აქ, ლიბის უდაბნოში იგი ეცემა თვრამეტამდე და „სიცოცხლე,—წერს ავტორი, — როგორც ორთქლი, ტოვებს სხეულს. ბედუნიები, მოგზაურნი, კოლონიური ჯარების ოფიცრები ირწმუნებიან, რომ სითხის გარეშე მხოლოდ ცხრამეტი საათი შეიძლება გაძლება. ოცი საათის გასვლის შემდეგ თვალეები ივსება სინათლით და აღსასრული დგება: წყურვილი ელვისებურად ანადგურებს“. ავარიისში მოყოლილთ წყალი თითქმის არ გააჩნიათ; ისინი სიკვდილის პირად ალმონდნენ: ხახა გაუხვედათ, ენა თაბაშირით გაუშვარდათ. „მე ვერაფერს ვგრძნობდი ჩემს შიგნით,—წერს სენტ-ევგუზუპერი, გულის უსაზღვრო სიმშრალის გარდა. აი ახლა წაიქცევი, მაგრამ სასოწარკვეთას არ ვგრძნობ, არც სინანულს. ეს კი მწყინს: სევდა ამეამად ისევე უტყბესად მომეჩვენებოდა, როგორც წყალი... მე აღარ ვიტანე. უდაბნო—ეს მე ვარ“. მაგრამ ორი გამობრძმედილი, სიცოცხლეში მძლავრად შეყვარებული ადამიანის ნებამ და შეუპოვრობამ სძლია სტიქიის განანადგურებელ ძალას. ყოველივე ეს უჩვეულო ექსპრესიით და განცდით მოთხრობილია ფრანგი მწერლის წიგნში — „მიწა ადამიანთა“.

მეორე დიდი ავარია ანტუან დე სენტ-ევგუზუპერის შემთხვა 1938 წელს მარშრუტზე ნიუ-იორკი—ცეცხლოვანი მიწა. თვითმფრინავი დაიმტერა გვატემა-



ლაში და მფრინავს რამდენიმე თვე მოუხდა საავადმყოფოში წოლა. იგი რვა დღის განმავლობაში გონზე ვერ მოიყვანეს: ღრმა კრილობებთან ერთად თავის ქალის რამდენიმე ძვალი ჩატეხოდა და ტვინის შერყევა მიეღო. საავადმყოფოში გატარებულ თვეებს იგი ახალ წიგნებზე მუშაობას ანდომებდა.

ამ დროისათვის მას დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მას იცნობენ და კითხულობენ ამერიკაში, ევროპაში. იტალიელი კომპოზიტორი ლუიჯი დელაპიკოლა წერს მოდერნისტულ ოპერას — „გაფრენა ღამით“ სენტ-ეგზეპერის მოთხრობის მიხედვით, რომელმაც (მოთხრობამ) თავის დროზე ლიტერატურული პრემია დაიმსახურა. მწერალს უმდიდრესი შემოქმედებითი გეგმები აქვს. წერს რამდენიმე კინოსცენარს, ხელმძღვანელობს თავისი „სამხრეთის ფოსტის“ გადღებას, სისტემატურად აქვეყნებს წერილებსა და ნარკვევებს ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის შესახებ, რომლებშიც აკლენს მთელ თავის ზიზღს ფაშისტური ძალმომრეობის, სერთოდ, ავრესიული ომებისა და რასობრივი დისკრიმინაციის მიმართ. იგი, როგორც ნამდვილი ჰუმანისტი — მოქალაქე, გამოთქვამს წუხილსა და შიშს ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მას იცნობენ, როგორც ნიჭიერ ეურნალისტს, სავაზეთო რეპორტაჟის ოსტატს. სხვათა შორის, ეს უანრი საგრძნობ გავლენას ახდენს მის ბელეტრისტიკაზე. მის წიგნებში მაღალი პროზის ნიმუშების გვერდით ვხვდებით ცოცხალი რეპორტაჟის დახელოვნებულ გამოყენებასაც.

ანტუან დე სენტ-ეგზეპერის მთელი ფილოსოფიურ-ეთიკური პრობლემატიკა ეყრდნობა მეტად მყარ ბაზისს — მწერლის ღრმა რწმენას ადამიანისადმი. იგი ირგვლივ ხედავს ობმოდებულ, დახავსებულ, უხალისო შრომას, მაგრამ სწამს, რომ ყოველივე ამის მიზეზი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების უხეირობაა, რომელიც ადამიანიდან უსულო და უსახურ რობოტებს ქმნის.

სენტ-ეგზეპერი სასტიკად ვეწულებს ფილოსტერულად განწყობილ მთქალსკებებს, ამხილებს და დამსკონისკადეტკმათ. „ჩემთვის უკვე გაუგებარნი ხდებიან ქალაქგარე მატარებელთა მგზავრები.—წერს იგი.—ისინი თავს ადამიანებად თვლიან და ვერ ამჩნევენ, რომ ნამდვილად ჩავერამ ისინი ქიანქველას საქმიანობამდე დაამდაბლა. რით ავსებენ ისინი თავისუფალ დროს, თავის უაზრო, არაფრისმაქნის კვირა დღეებს?“ ასე მკაცრად მიმართავდა მწერალი ყველა იმას, ვინც თავის ენერჯიას მთელი არსებით არ წირავდა გამაკეთილშობილებელ შრომას, უბრალო, მაგრამ აზრიან მუშაობას. იგი ზომ ასეთსავე მოთხოვნილებას უყენებდა საკუთარ თავს, „შანქანა—არ არის მიზანი. თვითმფრინავი—მიზანი არაა, არამედ—იარაღი. ისეთივე იარაღი, როგორც გუთანია... რაც შემეხება მე,—წერს იგი,—ბედნიერება ჩემმა ხელობამ მომანიჭა. მე თავს აეროდრომების გლუხკაცად ვთვლი“.

მწერალი დაულაღავად იღწვის, რათა ყოველ საქმიანობას საკუთარი აზრი გამოუნახოს, რადგან ადამიანის ცხოვრება, მისი განმარტებით, შეგნებული უნდა იყოს. სხვაგვარად მას არ შეუძლია შემოქმედება. ყოველგვარი კუნთური, ფიზიკური სამუშაო დაკავშირებული უნდა იყოს აზრთან: „ვინც წერაქვით მუშაობს, მას სურს დაინახოს აზრი წერაქვით მუშაობაში, კატორღელი მუშაობს წერაქვით და ეს სამუშაო ამცირებს კატორღელს; მიწის წიაღის მშვერაიც წერაქვით მუშაობს, და ეს სამუშაო ზედაღულენს გეოლოგს. კატორღა იქ კი არაა, სადაც წერაქვით მუშაობენ, — ამბობს ეს ქვეყანი მწერალი,—კატორღა იქაა, სადაც წერაქვით მუშაობა მოკლებულია ყოველგვარ აზრს...“ შრომა, შემოქმედებითი თავისუფლება, ნათელი აზრი—აი, რა აკეთილშობილებს ადამიანს, ანიჭებს მას ცხოვრების შეცნობის უფლებას. იგი მწუხარე გრძნობით შეჰყურებს ემიგრანტი მუშის ოჯახის არასაპარბიელო გაუხარებელ ბედს. მატარებლის მესამე

კლასის ვაგონში მძინარე მშობლებს შუა, რომლებიც სამშობლოში უმუშევრობას გაქცევდნენ, წევს თოთო ბავშვი. თავისი სინანით და მშვენიებით იგი სრულებით არ ჰკავს თავის ტანჯულ მშობლებს. მწერალმა იცის, რომ ამ ჩვილ ბავშვში „თვლემს მოცარტი“, იცის, რომ თუკი მას ექნება სხვაგვარი მოვლა და აღზრდა, ვიდრე ეს მის მშობლებს ზედა. იგი შემოქმედი, აზრით აღსავეს ადამიანი დადგება. ამის მოწმეა, ჯერჯერობით, მისი სახე, ფაქიზი შუბლი. მწერალს აწუხებს ისიც, რომ მატარებელში მძინარე ყოველ მუშაში, იქნებ, მოცარტია სამუდამოდ ჩაკლული.

1935 წლის გაზაფხულზე ანტუან დე სენტ-ეგზუპერი რამდენიმე დღით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. იგი ყურადღებით აკვირდებოდა ახალი სოციალისტური სინამდვილის მშენებლობას. „ერთხელ, რუსეთში მოვისმინე, თუ როგორ ასრულებდნენ ერთ ქარხანაში მოცარტს“... პარიზში დაბრუნებისთანავე „პარი-სუარში“ იგი აქვეყნებს ნარ. კვეთა მთელ ციკლს მოსკოვის შესახებ. მოთხრობაში „მიწა ადამიანთა“ სენტ-ეგზუპერის აქვს ერთი დაუვიწყარი თავი—„ოაზისი“. ეს სიმბოლურად შერჩეული ადგილი ნაწარმოებისა არ გამოირჩევა რაღაც ღრმა ფილოსოფიურობით. იგი უფრო ადამიანის სულიერი სიმშვენიერის თუ სულიერი თავისუფლების სიმშვენიერის პიშია. მთელი თავი უპოეტურესი შეტაფორაა სილანის, ადამიანის სულიერი სრულყოფილების.

მწერალს ხანმოკლე შეუსვენია არგენტინის ერთ-ერთ ვაკე ადგილას. იგი ღამის გასათევად მიიწვია მისთვის უცნობმა ცოლ-ქმარმა, რომელნიც ისევე, როგორც ორა მათი ახალგაზრდა ქალიშვილი, გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდნენ. უცნაური გარეგნობისა იყო მათი სახლი. იგი საოცრად ძველი ჩანდა. პანელი დამსკდარიყო, კარების, ფანჯრების ჩარჩო ჭიებს დაეხრა; მაგრამ ეს დახეობილი კედელი, ხერხელები ჭერში, ალაგ-ალაგ ამოვარდნილი პარკეტი, ყველაფერი ეს, მწერლის გადმოცემით,

მათი პატრონის განურჩევლობამ კი არ მოწმობდა (ოთახებში ფურცლები-სისუფთავე სუფევდა, ყველაფერი კონსერვებდა), არამედ ყოველივესადმი ღრმა პატივისცემას, თვით სიძველისა და დროის მსვლელობისადმიც. ეს უშველებელი, ჯმუხი ხის სახლი მიწაში ფესვგამდგარს ჰკავდა. მწერალი ალტაცებაში მოიყვანა მისი მასპინძლების სულიერმა წონასწორობამ, ხოლო დაუვიწყარი შეიქმნა მისთვის მათი ორი პატარა ქალიშვილი. გამოირკვა, რომ მათ საკუთრად ჰყავდათ სახლში იგუანი, მანგუსტი, მაიმუნი, მელა, ფუტკრები. ამ გოგონებს შეეძლოთ მელის კვლის მიხედვით გაეგოთ, კარგ ხასიათზე იყო იგი თუ არა. ახლა ისინი ჭურღულად, ცალი თვალით უყურებდნენ პილოტს და „სწყვეტდნენ, ჩაერიცხათ თუ არა იგი შინაურ ცხოველთა რიგში“. სადილობისას სენტ-ეგზუპერის სისინის ზმა მოესმა, მის ფეხებშია რაღაც გასრიალდა და შეეხო წვივებს. ეს იყო... ჭრელი გველები. გოგონებმა გამომცდელად შეხედეს მფრინავს, რომელიც „თავისდა საბედნიეროდ იღიმებოდა“... შემდეგ უფროსმა დამ აუხსნა მას, რომ გველები დაბუდებულნი არიან მაგიდის ქვემოთ ხერხეში, რომ საღამოს ათი საათისათვის ისინი ბრუნდებიან სახლში, დღისით კი ნადირობენ. მწერალი სამუდამოდ მოზიბლული დარჩა ამ უცნობი ოჯახის მეტად თავისებური ნებიერი ცხოვრების წესით..

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ანტუან დე სენტ-ეგზუპერი შორეული გადაფრენიდან დაბრუნდა საფრანგეთში. იგი პირველსავე დღეს გაიწვიეს სამხედრო ავიაციაში სამუშაოდ, მაგრამ ჯანმრთელობის გამო არ ცნეს ვარგისად. კარგა ხნის „ბრძოლის“ შედეგად სენტ-ეგზუპერის სამედიცინო კომისია რთავს თვითმფრინავის მართვის ნებას. იგი მუშაობს სადაზვერვო ავიაციაში, ასრულებს მრავალრიცხოვან საბრძოლო-საპაერო ოპერაციებს—იგი ავიაციის კაპიტანი, სამხედრო მფრინავია. 1940 წელს საფრან-

გეთის კაპიტულაცია ნამდვილ ტრაგედიას აყენებს მას. ბრძანებამ დემოხილიზაციის შესახებ მის ნაწილს მოუსწრო ჩრდილოეთ აფრიკაში. იგი იძულებულია დატოვოს ოკუპირებული საშობლო და დროებით მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. აქ მწერალი-ემიგრანტი ქმნის რამდენიმე საოცარი ძალის ანტიფაშისტურ ნაწარმოებს. ამთვან აღსანიშნავია „სამხედრო მფრინავი“ და „პატარა უფლისწული“. პირველი დაიბეჭდა 1942 წელს ინგლისურ ენაზე შეერთებულ შტატებში, მაგრამ ჩქარა ოკუპირებულ საფრანგეთშიც გამოვიდა (გალიმარის გამოცემლობაში). წიგნი იმთავითვე აკრძალა საოკუპაციო მთავრობამ, მაგრამ შემდეგ წელსვე ქალაქ ლიონში გამოიცა შეცვებული სახით და მკითხველის აღიარება მოიპოვა.

ნაწარმოების პათოსი მდგომარეობდა იმის ჩვენებაში, თუ ზნეობრივად რამდენად უგუნურია დაპყრობითი ომი, უხეში ძალის პოლიტიკა, ავტორის აზრით ის, რაც ზნეობრივად უმართებულ და უსაფუძვლოა, მოკლებულია ხანგრძლივი არსებობის შანსს და გამარჯვების შემთხვევაშიც მისი არსება განაწირულია: „დამარცხება... გამარჯვება... მე არ ძალმიძს ამ ფორმულების გამოყენება. არსებობს გამარჯვებები, რომლებიც განადიდებენ, და გამარჯვებები, რომლებიც დამამცირებელია; დამარცხებები, რომლებიც ანადგურებენ, და დამარცხებები — სიციცხლისთვის რომ აფხიზლებენ. ცხოვრება გამოიხატება არა მდგომარეობით, არამედ მოქმედებით ერთადერთი გამარჯვება, რომელშიც ეჭვი არ შემეპარება, ესაა გამარჯვება—გადაგდებული მარცხის ძალაში რომ მდგომარეობს. ნაყოფიერ ნიადაგში ჩავარდნილი მარცვალა უკვე დღესასწაულობს გამარჯვებას. მაგრამ მომთმენი უნდა იყოს, რათა მოესწრო მოსავლის ზეიმს“.

ომი ეს—ტიფის მსგავსი ავადმყოფობაა, სრული განუსჯელობა და წმინდა ქაოსი. მისი შემეცნება და გაგება აღემატება ადამიანურ საზღვრებს—იმდე-

ნად უგუნურადაა ის მოფიქრებელი, ამ გაუგებრობათა საილუსტრაციოდ ავტორი ნაწარმოებში არ ერიდება ისეთი საოცარი ფაქტების გამოყენებას, სადაც განადგურებისათვის მოწოდებული მტრის ტანკისტები წყლით უმასპინძლებიან ლტოლვილ შვიდობიან მოსახლეობას... მას მოჰყავს კიდევ უფრო მქვერმეტყველი ამბავი ფრანგი მოსახლეობის მიერ თავისივე არტილერიისტების შეჩვენებისა: „გზიდან ხელმარცხნივ იდგნენ გერმანელები. მარჯვნივ—ფრანგები. იმათსა და ამათ შორის ბრუნავდა ნელი მორევი ლტოლვილთა: ასობით ბავშვი და ქალი, რომლებიც ძვრებოდნენ აღმოდებულ მანქანებიდან. და აი, არტილერიის ლეიტენანტი, გაქვდილ გზაზე ცდილობს საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანოს სამოცდათხუთმეტმილიმეტრიანი ქვემები, რომელსაც ტყვიას უშენს მოწინააღმდეგე. ხოლო რადგან მოწინააღმდეგე ვერ ურტყამს მიზანში და ცელავს გზას, ოფლში გაღვრილი ფრანგი ლეიტენანტი კი თავისი ყოვლად გაუგებარი სამხედრო მოვალეობით შეზღუდული, მაინც ცდილობს გადაარჩინოს პოზიცია, რომელიც ოცი წუთითაც კი ვერ გაუმარტდება მტრის (აქ ისინი თორმეტი არიან); ლტოლვილი დედები უყვირიან ლეიტენანტს:

— „წაეთრიეთ აქედან! გაგვეცალეთ თქვე შეჩვენებულებო!“... ასეთ შემთხვევაში ადამიანური, გონიერი, ფხიზელი აზრი იმარჯვებს ომის შეუსაბამო, განუსჯელ კანონზე. ფრანგი დედა იძულებულია დასწყევლოს ფრანგი ლეიტენანტი, რომელიც მას „იციავს“ და მთელ თავის უნარს ახმარს ამას, რატომ? იმიტომ, რომ ომის ბრმა მნგრეველი ძალა კარგავს ყოველგვარ ადამიანურ ფორმას, ლოგიკური განვითარების უნარს და დაბნეულობასა თუ საერთო ქაოტიურობაში მტლანდება.

საკმაო ირონიით და სასტიკი მახვილგონიერებით ეკიდება ეგზოტური თავისი, სამხედრო მფრინავის, მოვალეობის გაგებასაც. თითქოს აქ ულოგიკობა არც

უნდა არსებულიყო, მაგრამ ომის უახრობა ბატონობს ირგვლივ და მწერლის არსებაშიც შავ ჩათრეულია, მისგან განუყოფელი ხდება. სწორედ ამ შინაგანი წინააღმდეგობის მკაცრს განმარტებაზეა აგებული ნაწარმოები. მაგრამ თუკი სენტ-ეგზუპერის წიგნი „სამხედრო მფრინავი“ ძალადი შემეცნებითი თვისებებით ხასიათდება, ეს იმიტომ, რომ როგორც ყველა სხვა წიგნში, ისე აქაც მწერალი ადამიანს მოუწოდებს ნებისყოფის მთლიანობისაკენ, სიმტკიცისაკენ. შენ შეიძლება წინასწარ იცოდე, რომ ცოცხალი ვერ გამოხვალ ბრძოლიდან, მაგრამ სული, სულიერი სიმტკიცე უფრო ძლიერი აღმოჩნდება გონების საბუთებზე. გონებისათვის დამახასიათებელია დეპრეზია; მთავარია შეეწირო შენს საქმეს, თუნდაც მისი საბოლოო შედეგი ჯერ მთლად ცხადი არც იყოს. ასეთი მიზნები გონებისათვის არაა განკუთვნილი. ასეთი მიზანი არა გონებისათვის, არამედ სულისთვის არსებობს, რომლისთვისაც ყველაზე მისაწვდომია სიყვარული. ასე მსჯელობს ავტორი.

ეგზუპერისთვის, უკვე დიდად სახელმწიფოებრივ მწერლისთვის, ათასჯერ გაუმეორებიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ მას სხვაგან გადაიყვანდნენ, „იქ“ ის უფრო საკვირო ვახდებოდა, ვიდრე ესკადრილიაში: „პილოტებს ზომ ათასობით უშვებენ“... საბუთები თითქოს ურყევი იყო. გონება კვერს უკრავდა მათ, მაგრამ პატრიოტული სულისკვეთება აბათილებდა მათ ერთი ხელის დაკვრით. „რატომღა მეჩვენებოდნენ ასე არაარსებობის ამგვარი მსჯელობები? მათ ვერაფერს ვუპირისპირებდი. მე ვეუბნებოდი საკუთარ თავს: „ინტელიგენტებს ინახავენ მარქაფად, როგორც მურაბის ქილებს პროპაგანდის თაროზე, რათა ომის შემდეგ ყოველი მათგანით გვიმასპინძლებოდნენ“... მაგრამ ეს პასუხად არ ივარგებდა“. უფრო ქვევით ის წერს: „მე მიყვარს ჩემი პოლკი 2/33. მე მიყვარს ის არა როგორც მაყურებელს, რომელიც საუცხოო სანახაობით ტკბება. ფეხებზე მკიდია სანახაობა.

მე მიყვარს პოლკი 2/33 იმიტომ, რომ მისი ნაწილი ვარ, იმიტომ, რომ მსმენელი მსმენელია, მკვებავს მე და იმიტომ, რომ მეც ვკვებავ მას“. მისთვის არ არსებობდა არჩევანი მკვრეტელობით დამოკიდებულებასა და ქმედით მდგომარეობას შორის. ის მოქმედების ადამიანია, მებრძოლი პატრიოტი ჯარისკაცი-მწერალია.

სიცოცხლის ბოლო ხანებში მწერალმა შექმნა შესანიშნავი ზღაპარი „პატარა უფლისწული“. ეს არის ბრძნული მოთხრობა ადამიანზე, სადაც ფილოსოფიური სიღრმით გადმოცემულია მისი როგორც სუსტი მხარეები, ისე მისი უკეთესი ხვედრი და კეთილი ბუნება. ჩანს, რომ ამ ნაწარმოებს ქმნიდა ცხოვრების მოვლენებში ღრმად ჩახედული და გამობრძნობილი ადამიანი. ზღაპრის ყანარი სენტ-ეგზუპერისგან მხატვრული აზროვნებისა და ლიტერატურული ფორმების სიახლეს მოითხოვდა. ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ, რომ ავტორი გვაწვდის მის მიერ წინასწარ შემუშავებულ დასკვნებს, რომლის ლოგიკური და მხატვრული შინაარსი ამბის განგითარებით კი არ მიიღწევა, არამედ უკვე მზა ფორმით არსებობს მწერლის შეგნებაში. ეს დასკვნები ხშირად სევდისმომგვრელია, ფაქიზი იუმორით შეფერადებული, მაგრამ არაიშვიათად—შითარული გროტესკით აღბეჭდილი. აქ უფრო ავტორის ფხიზელი, გამოკლავი და არამიმტვევებელი გონიერება გამოსკვივის, რომელიც პლასტიკურ პოეტურ სახეებში, უფრო კი ღრმად ლირიკულ ქვეტექსტშია გადმოცემული. ნაწარმოებებში რთული სიმბოლიკური სისტემა შემუშავებული და იგავურად გამოხატულია ადამიანისათვის დამახასიათებელი სულიერი თვისებები თუ ქცევები.

ამ მხრივ, ის ძალზე ენათესავება ქრისტიან პინოს ზღაპრების წიგნს, რომელიც საფრანგეთში იმთავითვე „იდეალური ბიბლიოთეკის“ სერიაში მოხვდა (დასანანებელია, რომ გამომცემლობა „ნაკადული“ ჯერჯერობით არ დაინტერესებულა ქ. პინოს ზღაპრების ქართულად გადმოცემით). სენტ-ეგზუპერიმ:

თვითონვე შეამკო „პატარა უფლისწული“ ფერადოვანი აქვარელებით, რომლის გარეშეც ეს ზღაპარი თითქმის ვერ წარმოგვიდგენია.

ძველი ჭრილობების გამო, რომლებიც მას მიღებული ჰქონდა სამოქალაქო და სამხედრო ავიაციაში სამსახურის დროს, 1943 წლის გაზაფხულზე, როდესაც იგი დაუბრუნდა თავის საბრძოლო ესკადრილიას ჩრდილოეთ აფრიკაში, თვითმფრინავის კაბინში ჩაჯდომისას იგი დამოუკიდებლად ვერ იცვამს სპეცტანსაცმელს და ამისათვის ამხანაგების დახმარება ესაჭიროება. მაგრამ თვითმფრინავის შტურვალთან იგი „ძველი სენტ-ეგზუპერია“, იგი კვლავ ცის შეუპოვარი მპყრობელია, საპაერო ბრძოლების კაპიტანი, მამაცი მებრძოლი-ანტიფაშისტ. ამჯერად სენტ-ეგზუპერი მონაწილეა ფაშისტ დამპყრობელთაგან სიცილიის გაწმენდისა.

მას კვლავ უკრძალავენ სამხედრო გაფრენებს: მიზეზი — ჯანმრთელობის მდგომარეობაა, ასაკი... იგი სათადარიგო ნაწილშია გადარიცხული. 1943 წლის შემოდგომა და ზამთარი გავიდა ფილოსოფიურ „ციტადელზე“ მუშაობასა და იმ რაპორტების წერაში, რომლებშიაც იგი ფრენის ნებართვას თხოულობდა. როგორც იქნა, მისი თხოვნა შეიწყნარეს. ამერიკელმა გენერალმა პირადი საჩუქრის სახით საკუთრივ მიართვა კაპიტანს ნებართვა ხუთ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობისათვის. სენტ-ეგზუპერის ეს რიცხვი არ ყოფნის. მაშინ მას კვლავ ოთხი საპაერო გაფრენის ნებასაც აძლევენ...

1944 წლის 31 ივლისს, დილის რვა საათსა და ოცდაათ წუთზე, კუნძულ კორსიკაზე მდებარე აეროდრომიდან მიწას მოსწყდა სენტ-ეგზუპერის სადაზვერვო თვითმფრინავი. მიმართულება — სამხრეთი საფრანგეთი; საწვავი მა-

რაგი — ექვსი საათის სამყოფი ისარი თოთხმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე მოუახლოვდა, თვითმფრინავსკენ მიმართული ცხადი გახდა, რომ იგი ველარ დაბრუნდებოდა. მფრინავი უკვალოდ გაქრა.

1948 წელს სენტ-ეგზუპერის გამომცემელმა გასტონ გალიმარმა ქალაქ აახენიდან, გერმანელ პასტორ გერმან კორტისგან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მფრინავი ყოფილა, წერილი მიიღო. გერმან კორტი იტყობინებოდა: მან თავის დღიურში აღმოაჩინა ჩანაწერი, რომელიც აფიქრებინებს, რომ სენტ-ეგზუპერის თვითმფრინავი გერმანელ გამანადგურებელს უნდა ჩამოეგდო ხმელთაშუა ზღვაზე.

ამ ცოტა ხნის წინ გერმან კორტს დაუკავშირდა მწერლის ბიოგრაფი მარსელ მიეო. გერმანელმა პასტორმა უამბო, რომ მისი, როგორც გერმანიის საპაერო ფლოტის მთავარი შტაბის ოფიცრის, მოვალეობაში შედიოდა ნაწილებიდან ცნობათა მიღება და გერმანული ავიაციის სადაზვერვო ოპერაციათა სიების შედგენა. 1944 წლის 31 ივლისს მან თავის ბლოკნოტში (ეს ბლოკნოტი მას არ დაუკარგავს და კორტმა აჩვენა იგი მარსელ მიეოს) ჩაიწერა მე-2 დივიზიის კაპიტანის ტელეფონოგრამა: „ჩამოგდებულია მზვერავი, დაიწვა ზღვაზე, დაზვერვა აიჩოზე, ახალი არაფერია“. რადგან იმ დღეს სენტ-ეგზუპერის მანქანის ვარდა მოკავშირეთა არც ერთი თვითმფრინავი ჰაერში არ ასულა, ეს ჩანაწერი, მიეოს აზრით, მხოლოდ „პატარა უფლისწულის“ ავტორს უნდა შეეხებოდეს.

ანტუან დე სენტ-ეგზუპერი საფრანგეთის განთავისუფლების წინ სამიოდე კვირით ადრე დაიღუპა და ვერ მოესწრო იმას, რასაც თავისი დიდი სიციხულე შესწირა.

რომანი და სინამდვილე

გიორგი მერკვილაძის ნაშრომი „თვალთახედვა მხატვრისა“, მიძღვნილია ქართული საბჭოთაო ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პრობლემისადმი — თანამედროვე რომანისადმი.

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურის ისტორიკოსები ყოველთვის დროულად ეხმარებოდა ქართულ რომანისტთა ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გამოქვეყნებას. ბევრი რომანი გამხდარა ფართო დისკუსიის საგანი ქართული საბჭოთა რომანის განვითარებასა და მდგომარეობაზე ბევრი საუბრადღებო მოსაზრება იყო გამოთქმული ლიტერატურის ისტორიკოსების, სპეციალისტთა თუ თვითონ რომანისტთა სტატიებში.

მაგრამ ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა თანამედროვე ქართული რომანის მდგომარეობაზე, მისი განვითარების გზებზე, მისი ტრადიციების ძიებასა და ეანრობრივი სპეციფიკის საკითხებზე არ იყო შექმნილი. ეს მაშინ, როდესაც რუსულად თუ სხვა ენებზე გამოქვეყნებულია თვალსაჩინო ნაშრომები თანამედროვე თუ კლასიკური რომანის პრობლემებზე. ამ მხრივ ქართულ ლიტერატურის ისტორიკოსებში შედარებით ცოტა რამ არის გაკეთებული. ამიტომ ბოეზბრძივია, რომ ყოველი ისეთი ახალი ნაშრომის განოქვეყნება, რომლის ავტორსაც მიზნად დაუსახავს მოგვეცეს თანამედროვე ქართული რომანის მდგომარეობის ანალიზი, მისასაღებებელია.

რომანის პრობლემებზე მსჯელობა ყოველთვის იქცეოდა საზოგადოების ყურადღებას. ეს ყურადღება განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ბოლო დროს. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ არ წყდება დისკუსიები თანამედროვე რომანის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებზე. როგორც ცნობილია, ამ საიხოდ წლის წინათ მოსკოვში სპეციალური დისკუსია მოეწყო საბჭოთა რომანის თაობაზე. შარშან კი ლენინგრადსა და მოსკოვში, დასავლეთევროპელი

რომანისტებისა და რომანის თანამედროვე თეორეტიკოსების მონაწილეობით, გაიმართა საინტერესო დისკუსია, საერთოდ რომანის, კერძოდ, თანამედროვე რომანის მდგომარეობის საკითხებზე. ამიტომ, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ რომანის პრობლემისადმი ინტერესის ერთგვარი გაძლიერება თანამედროვე ქართულ ლიტერატურის ისტორიკოსებში. ასეთი დაინტერესების ერთ-ერთი მაგალითია გიორგი მერკვილაძის გამოკვლევა — „თვალთახედვა მხატვრისა“.

გ. მერკვილაძის კვლევითი ინტერესის ფარგლებში თითქმის ყოველთვის აქტუალური პრობლემებია მოქცეული. მას ახასიათებს საკვლევ საკითხთა პრობლემური დასმა.

გ. მერკვილაძის ახალი ნაშრომი საყურადღებო გამოკვლევაა არა მარტო პრობლემის თავისებური, ორიგინალური დასმა-გააზრების, არაეუდ მათი ვადამყვერის თვალსაზრისითაც.

ნაშრომის ავტორი ქართული საბჭოთა რომანის ანალიზისას აქცენტს სვამს ძირითადად ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებიც მიძღვნილია თანამედროვე სინამდვილისადმი, რადგან უმთავრესად აქ არის თავმოყრილი ჩვენი სინამდვილის აქტუალური პრობლემები და უფრო მკაფიოდ იგრძნობა ამ სინამდვილის გავლენა თანამედროვე ემიგრირებული ფორმების განვითარებაზე.

ნაშრომში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მის. ქავთახიშვილის „არსენა მარაბდელს“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციკასას“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბივასა“, ა. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაძის“, დ. შენგველიას „განძს“, რ. ჯაფარიძის „გარისკიკის ქერისს“, თ. დონაშვილის „ალახანზე“; საგანგებო თავს უძღვნის მკვლევარი თანამედროვე ქართულ ისტორიულ რომანებს — კ. ვამსახურდიას „დიდოსტატის მარკვენას“ და „დავით ალმასენგულს“, შ. დანიანის „გიორგი რუსს“ და „გვირგვინიანების ოქასს“, გრ. აბაშიძის „ლაშარელას“, ა. ქუთათელის „პირისპირას“, ა. ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ ვამასვილისა“, დ. შენგველიას „მათი ქეკისა“.

მკვლევარი, ისეთ ნაწარმოებებზე ჩერდება, რომელთაც ნოიბოვეს საყოველთაო აღიარება,

გიორგი მერკვილაძე — „თვალთახედვა მხატვრისა“, ლიტერატურა და ზელოვნება, 1963.

ხოლო ბევრი მათგანი საეტაპო კი გახდა თანამედროვე ქართული რომანის განვითარების ისტორიაში. ასე მთავალით, კ. გამსახურდიას თანამედროვეობისადმი მიძღვნილი რომანები განხილულია ეპოქის სინამდვილის მხატვრულ თვალსაზრისით; კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“ შევლევარი უკავშირებს ეპოქის ახალი გმირს, ახალი ადამიანის პრაბლემას. ლ. ქიანელის „გვაიდი ბივანში“ იგი ხედავს ძველი ფსიქიკის რღვევას და ახალი ფსიქიკის ფორმირებას; რ. ჯაფარიძის „ქარბეკის ქერიშვი“ მთავარი პრობლემა შევლევარისთვის არის ქართველი დედის ბედი, მისი მაღალი მორალური მრწამსი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; აკ. ბელიაშვილის „უფხვია ხალიბაური“ განხილულია, როგორც ახალი ადამიანის შეგნების განმტკიცების გამომატველი ახალ სინამდვილეში.

ანალიზის, ნაწარმოებთა არსში ნაწვდომის, მათი არა მარტო მთავარი იდეის, არამედ ამ იდეის მხატვრული ხორცშესხმის უშუალო პროცესის გახსნით ყურადღებას იპყრობს ნაშრომის ის თავები, რომლებიც შეეხება მიხ. ჯავახიშვილს და სხვა ქართველ რომანისტთა ნაწარმოებებს.

ჩვენ განსაკუთრებით გვსურს შევახერხოთ ყურადღება ნაშრომის თავზე „მხატვრის ოსტატობა“. მასში შევლევარი იღვწის მ. ჯავახიშვილის, როგორც რომანისტის, სტილურ თავისებურებებს, მის ორიგინალურ მხატვრულ მანერას. იმ გამომსახველობით საშუალებებს, რომელთაც რომანისტი კვწმის. ეს მიუთუბტებს არის საყურადღებო, რომ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში იშვიათად თუ შეხვდებით მხატვრული ოსტატების თავისებურებებს, შემოქმედის ორიგინალობის ასე ღრმად გათარბებულ, ფართო პლანის ძიებას. ამიტომ მივესალმებით ჩვენ მწერალის მხატვრული ინდივიდუალობის გახსნას ყოველ თვალსაჩინო მოვლენას. წიგნის ეს თავი, ისევე, როგორც ნაშრომის მთელი რიგი სხვა ადგილები, სწორედ ამგვარად არის გააზრებული და რაც მთავარია, გ. შერკვილაძე ასეთი ძიების დროს არ ეარდება ფორნლის-

ტურ ცდუნებაში. მის თვითული მხატვრის მიერ გამოყენებული ყოველი ხერხი, მხატვრული სახეები თუ მდიდარი ორნამენტული ეფექტურობა არა როგორც თავისთავადი კატეგორია, არამედ როგორც მთავარი იდეის გახსნის საშუალება. ასეთი ანალიზის შემდეგ მწერალი მკითხველის წინაშე წარმოსდგება თავისი გამოკვეთილი სახით.

თანამედროვე ქართულმა რომანმა შორს გაიშტვა სახელი. კ. გამსახურდიას, ლ. ქიანელის, კ. ლორთქიფანიძის, ი. ლისაშვილის და სხვათა რომანები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. გ. შერკვილაძე გვაცნობს საზღვარგარეთის თანამედროვე პროგრესული კრიტიკის დამოკიდებულებას აღნიშნული ეტრებების რომანებისადმი და აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომელთაც ასე საინტერესო გახადეს ქართული რომანი საზღვარგარეთელი მკითხველისათვის.

მოუხედავად ყოველივე ამისა, მაინც უნდა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა:

ჩვენი აზრით, „არსენა ნარაბდელის“ მხატვრული დახასიათება არ იწნება სრულ, თუ ყურადღება არ მიექცა პროტოტიპის საკითხს. გ. შერკვილაძე კი სამწუხაროდ, გვერდს უვლის ამ ფრად მნიშვნელოვან საკითხს.

გ. შერკვილაძე საკმაოდ მსჯელობს ტრადიციისა და ნოვატორობის შესახებ, მაგრამ მაინც ვერ ეღებულობთ მთლიან სურათს, ნათელ წარმოდგენას. ცნობილია, რომ ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა. ამიტომ ის მოითხოვდა ნეტ მსჯელობას, დეტების, კონკრეტული ნაწარმოებების მოშეუღებას.

ბალზე ვრცლად და საინტერესოდ აქვს განხილული გ. შერკვილაძეს მიხ. ჯავახიშვილის მხატვრული ოსტატობა „არსენა მარაბდელში“. ამ მხრივ რა დასაყენებს სხვა მწერლებმა? ნუ თუ სხვების ოსტატობა ასევე საგულისხმო არ იყო?

შალვა რაღინი

„ნაწვიმარი ქუჩები“

უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, ყოველგვარი პოეტური დეკლარაციის გარეშე ამ ათიოდე წლის წინათ ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი შეემატა ჩვენს თანამედროვე მოვზის ეპტანგ ჯავახიძის სახით. მას თამამად შეუძლო თავისი პირველი ლექსებისათვის ემიგრანტად ვიორგი

ლეონიძის ცნობილი სტრიქონები წავმპლყარებია:

ეთი ბაღში მაისის წვიმა,
ძვირფასო, ჩემად მოველი .

ვახტანგ ჯავახიძის ლექსების ახალ წიგმს „ნაწვიმარი ქუჩები“ ეწოდება. ეს მოკრძალებული, მაგრამ საკმაო შინაარსის დამტევი სათაური შემთხვევითი არაა. წვიმის შემდეგ, ქვა რომ ქვა არის, იმასაც ენით გამოუთქმელი ელ-

ვახტანგ ჯავახიძე. „ნაწვიმარი ქუჩები“. ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.



ფერი ეღებოდა. სწორედ ასეთი ელფერი დაჰკრავს პოეტის საუკეთესო ლექსებს, რომლებიც მის ახალ კრებულშია მოთავსებული. ისინი არ ყვირიან გარეგნული საქაუღუბლის სიუხვით და, ძალდაუტანებელი რთმებით აღჭურვილებს, საამო სიღბს და სინანულს გასდევთ თავიდან ბოლომდე.

პოეტი ერთნაირად იმინინტრებს დიდსა თუ პატარა თემას. ამიტომ მისთვის უცხო არაა ის ღირსი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საერთოდ ნამდიელი პოეზია. აწვიმის ტრტებში ქალაქი შონის, როგორც ძალიან დიდი სიფელო, — იტყვის ავტორი და ეს უბრალო, ჩვეულებრივი თემა მიწიღველ პეიზაჟად ცოცხლდება თქვენს თვალწინ. ამ პერიპეტას უფრო მეტ მიწიღველობას ანიჭებს შემდეგი სტრიქონები:

მე ქუდს მოვიხდი და შევაბიჭებ წვიმაში, როგორც საკუთარ სახლში.

საგნებისა და მოვლენების ამგვარი მოწინაურება შეიძლება მეტ-ნაკლებად სხვა პოეტებისთვისაც იყოს დამახასიათებელი, მაგრამ ჭავჭავიძისათვის იგი უფრო ბუნებრივია, ეს უოველივე კი მას ფართო გზას უხსნის შემოქმედებითი ორიგინალობისაკენ. ამასთან დაკავშირებით მე მინდა ახლა მკითხველს ყურადღება შევათხოვ „ვაუქმებულ ლიანდაგებზე“.

„ვაუქმებულ ლიანდაგები“ არაა ლექსის სათაური. ეს ერთ-ერთი ღირსი ნაწარმოების პირველი სტრიქონია. (საერთოდ წიგნში წარმოდგენილი ყველა ლექსი უსათაუროა და ისინი ერთმანეთთან ღირსი მონოლოგების უბილავი ძაღვებით არიან დაკავშირებულნი). პირდაპირ დასათაურებულ ნაწარმოებში პოეტი გვესაუბრება იმ ლიანდაგებზე, რომელთაც საშობოლოდ ყველა გასვლიათ და, ვეღერი ბალახითა და ტრახით დაქანულები, ამჟამად მათთან შალებს ახოვდა ებღაუჭებიან შხისა და მთვარის შუქზე. ვაგზებში მთელმთრ მგზავრებს აღარ აქვთ მათი იმედი, ისინი სხვა გზებით, სხვა ლიანდაგებით ივლიან ამირიდან, მაგრამ მწყობრიდან გამოსული ლიანდაგების იღუპილი სევდაც გააკყვამთ თან, რადგან მოგზაურთა მღვღავრ ცხოვრება დიდხანს ყოფილა მათზე ბედმინდობილ, ამ განცდას ერთიორად ამძაფრებს ნაწარმოების ბოლო სტრიქონი:

იცრიცებიან ჩრდილები ღამის, საღლაღ დამფრთხალი ძაღვები ყუფენ და მიპყვიან მძინარე სტეპებს ქარები, როგორც მატარებლები...

პოეტი თემისა თუ საგნის ამგვარი მოწინაურებით ახერხებს არა მარტო აღმინის, არამედ ქვისა და რკინის ამტყველებსაც. ეს არა ნა-

ღებ იგრძნობა ლექსში, რომლის სათაურად აქაც პირველ სტრიქონს გამოვყენებთ შემდეგ თემაზე: „ვაუქმებულ ლიანდაგებზე“.

საირეცენზიო კრებულის საუკეთესო ლექსებში ვაბტანგ ჭავჭავიძე არასოდეს არ ჰკარავს გრძნობისა და აზრის მთლიანობას. არა თუ არ ჰკარავს, შესანიშნავად ახერხებს კიდევ მათი იღვრება-მატარებელ განვითარებას.

როდესაც პოეტი ამბობს: „გზები — ღრუბლებზე თავისუფლები“, თქვენ მართლაც გრძნობთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, ჩვენი ქვეყნის მხარგამოიღობას, მის ბედნიერ აწმყოსა და მომავლს. გრძნობისა და აზრის ამ თავისუფალი, ძალდაუტანებელი მთლიანობით ხასიათდება სიყვარულის თემაზე დაწერილი შემდეგი უსათაურო ლექსი:

გადაწყდა, დღესვე მოვემგზავრებო, ხეალ ჩამოვალ და ნაკეკონები. ხმას იმაღლებენ ჩემი ზარები, რკაკენ ჩემი სამრეკოობა... მხოლოდ შენს ძახილს ვეხმარებო, შენსკენ მოვეყვები ქარებს საყვარელს. ასე ყვირიან მუზღავრები, როდესაც მიწის დინახავენ

სიყვარული მართლაც ჰგავს მიწის დინახვას მუზღავრის თვალთ. უფრო მეტიც! — სიყვარული ჰგავს მიწის აღმოჩენას ცხოვრების მღვღავრ ზღვაში. ურომლისოდაც წარმოუდგენელია სულიმთოქმა და ფრთების უფრო მძლავრად გავლა, ახალი-სოვრეებისა და პორიონტების დაპყრობა. სიყვარულის მსგავსი აღქმა შეზღუდვად სხვის ნაწარმოებშიც, მაგრამ გრძნობისა და აზრის ის სისავსე, რაც დასახლებულ ლექსშია, მაინც სულ სხვაა. აღნიშნულ თემაზე ვაბტანგ ჭავჭავიძის სხვა კარგი ლექსებიც აქვს შეტანილი საირეცენზიო კრებულში, მაგრამ ამით დაეკმაყოფილებით.

ახლა კი ორიოდ სიტყვა გაღაცტონისადღა მიძღვნილი ლექსის შესახებ:

გაღაცტონი ტაძიმე ვაბტანგ ჭავჭავიძის ამ ღირსი ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც ყოვლად მიწიერი, ყოვლად აღმინური კაცი, რომელსაც ჰკვიანი თვალები პოეზიის უკვდავი ცეცხლით აჭებს განათებული:

აკვირდებოდა შორიდან შერით უზრუნველ ძილში ჩაძირულ სახლებს, იკარგებოდა უცნობებს შორის, ემაღებოდა საყუთარ სახელს... ფრთებით იგრძნობდა დაფენილ ზვალის, რომღებსაც მთელი სიცოცხლე მისცა. და, როცა იცისკენ გაეცა თვალი, თავის ჭეგლივით დააკვდა მიწას

ქარისავან ოდნავ გაღუნული ბრინჯაოსფერი წვერით ის მართლაც ძეგლსა ჰგავდა, მაგრამ არა



უძრავს. იქნებ ამიტომაც უყვარდა შთაგონებით აღსავსე ღამეების ბინდბუნდში ყოფნა.

შემქრო ნაკლოვანებებიც აღმნიშნა, განსაკუთრებით იმ ლექსებზე, რომლებშიც ხშირად გვხვდება სიტყვები: „რომელიც“, „რადგან“, „რომელსაც“, „როცა“ და სხვა ამისთანები. ისინი უდავოდ აფერმერთალებენ, პროზაულს ხლად სტრაქონებს.

კრებულში საგნებსა და მოვლენებთან ნამეტანი გამიზნურების გამო ეხვდებით დიდი თემების დამატარებების მაგალითებსაც, ისე როგორც ეს ხდება. შებრუნებულ ჰოგარტში ცქერის დროს.

ვახტანგ ჟავახიძე ნიჭიერი და დაკვირვებულ ახალგაზრდა პოეტია და თავისი ლირიკული გმირებს „კაცუნებად“ ქცევას მომავალში უფრო მეტად მოელოდება. ჟავახიძე თავის ნაწარმოებებში ძალიან გულდასა დასა პოეტად გვევლინება. ის არ გვიმალავს საკუთარი ბიოგრაფიის სიღარიბესაც:

დამწვადებული დამხვდა ცხოვრება,
უკვე ვიხნათ მძიმე ტყვიულსს,
სახელგანთქმულმა დიდმა ბრძოლებმა,

ქვეყნად უჩემოდ ვადიგრიანდს,
რასაც ამბობენ ბრძოლის მწერლები,
სხვებზე ამბობენ, მე არ მქვებამ წულში
ახალგაზრდობის წუნარად მღვდელმსახურებას
მე გაავატარე მუდრო მერხებთან
და მიუქუქი საწერ მაგიდას,
გამბატონდნენ სიტყვის ღმერთები,
ეს მერამდენე წელიწადია —
წიგნიდან წიგნი დაეხეტებენ ...

პოეტი ფიქრობს, რომ იგი ღარიბული ბიოგრაფიის მქონეა, მაგრამ ცხოვრებისეულ სიმატოლეს მიიწე არ ღალატობს, რასაც ხელდას, რახელად ხელი მიუწვდება, ის არის ყოველთვის მისი შთაგონების წყარო. მას საუკეთესო წლები ჯერ კიდევ გასაღელი აქვს. წიგნური ასოციაციების სფეროდან, ცხადია, ცხოვრების შუა გულშიც გადაინაცვლებს და, საკუთარი ბიოგრაფიით გამდიდრებული, საკუთარ შემოქმედებასაც გამდიდრებს. მისი „ნაწივმარი ქუჩებიც“ სწორედ აქეთვე მიაღწია.

ვახვა აბისელაშვილი.

საიათნოვას ლექსების საიუზილო კრებული

ამ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა საიათნოვას დაბადების ორასწრმოცდაათი წლისთავი. განსაკუთრებული სიბოთით ჩატარდა ეს საზეიმო დღეები საზენოვანი მგონის სამშობლოში — თბილისში, ერევანსა და ბაქოში გამოქვეყნებულ სიმბერ-აზერბაიჯანულ ლექსებს შხარი დატმუენა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მერ გემოვნებით გამოცემულმა კრებულმა, რომელშიც საიათნოვას დღესდღეობით ცნობილი ყველა ქართული ლექსია მოთავსებული.

თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ი. გრიშაშვილმა პირველად გამოაქვეყნა ერკლე მეფის კარის პოეტის ქართული ლექსები, უფრო სწორად, ქართული სიმღერების ტექსტი. ახალი გამოცემის რედაქტორმა ალ. ბარამიძემ გაითვალისწინა ქართული საიათნოვანმცოდნეობის მთელი მონაპოვარი, რის შედეგადაც ზოგი რამ შეივსო, ზოგი კი გაიპართა და გასწორდა. მიუხედავად ამისა, ელკველი ადგილი ჯერ ისევ ბუნდოვანია, წაკითხვა — საკვებო, ზოგჯერ დარღვეულია ზომა, რითმა, ლექსის კომპოზიცია. ამ ვარემოებან თავისი მიხეხები გააჩნია.

საიათნოვას სიცოცხლეში შედგენილმა „დი-

ვანმა“ (ლექსთა კრებული, „დავთარი“) მხოლოდ სომხური და აზერბაიჯანული ლექსები შემოგვიანხა. ვარადობენ, რომ დედაქტორი აწილი დასაწყისისა სწორედ ქართულ ლექსებს მოიკლდა. ისიც შესაძლებელია, რომ პოეტს ქართულ ენაზე დაეწყო თავისი ლექსების თხზვა. შემთხვევითი არ უნდა იყოს სიმბერ და აზერბაიჯანულ ლექსთა ქართული ასოციაცია ჩაწერა.

ქართულ ლექსთა უმრავლესობა გვიანაა ჩაწერილი, ხშირად ქართულის ცუდადმოცოდნე პირთა მიერ. ზემოთ გზით ვაგრცვლება ხელს უწყობდა მათ სიოცარ დამახინჯებას. თვით მისი შეილის, ივანე სეიდოვის ჩანაწერებიც, შესრულებული პეტერბურგს თვიმურაზ ბაგრატიონის თხოვნით, არაა დაზღვეული შეცდომებისაგან. აღარაფერს ევაბობთ სხვადასხვა ხელნაწერებში გაბნეულ ლექსებზე.

ზემოთქმულის საილესტრაციოდ მოვიტანო ერთ მაგალითს. საიათნოვას საყვარელი სილესიო ფორმა მუხამაზი, არაბულ-სპარსული „მუხამაზის“ („სუთთელი“). სპარსულ პოეზიაში იგი კლასიკური ხანიდან იხმარებოდა, თუმცა პოპულარობა არ მოუხვევია (ისევე, როგორც სტროფული პოეზიის სხვა ნიმუშებს). სპარსული მუხამაზის ძირითადი და აუცილებელი ნიშანია ზუთი სტრაქონის არსებობა ერთ სტროფში, თვით სტროფების რაოდენობა ლექსში განსაზღვრული არ არის.

საიათნოვას მუხამაზების ნახევარზე მეტი

საიათნოვა. ქართული ლექსები, რედ. ალ. ბარამიძე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963.



შეიცავს არა მარტო ხუთ სტრიქონს სტროფში, არამედ ხუთ სტროფს ლექსში. მომდევნო ხანის ქართულ პოეზიაში ეს წესი განმტკიცდა. ამდენად, ოთხსტროფიან მუხამბაზებში ზოგჯერ საყარაუდებელია მუხუთეს დაჯარგვა. ი. გრიშაშვილის გამოცემაში მუხამბაზი „რა იქნება ერთხელ ჩვენსა მოხვიდე“ ოთხსტროფიანია. შ. ჩიქოვანმა ივ. სეიდოვის ჩანაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ნაეღული მუხუთე სტროფი. რომელიც მეორე და მესამე სტროფებს შორის უნდა ჩამატოს (ფოლკლორული ეტიუდები, პეშინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949, 95):

შომშატის ხევ, წამწამები გზათ იყოს,
ერთი საძიებელი ქენი — გზათ იყოს,
შენი სუფრა, საზანდარი მზათ იყოს,
ღვინისათვის მარანში არ ჩახვიდე.

სტროფი დეფექტურია, აქლია ერთი სტრიქონი. მაგრამ მას არც სხვარიგად სწვალობდა ბედი. საიუბილეო ახალ გამოცემაში, ჩანს, შექანიერის შეცდომის გამო, იგი მოხვდა სულ სხვა ლექსში „ყურმოქრბილი შენი ყმა ვარ, უცხო ნოქარი ნუ გინდა“. აქ იგი ამქარად უაღვილოა როგორც შინაარსის, ისე განსაუთრებით ფორმის თვალსაზრისით (ირღვევა გართმვის დაკანონებული წესი).

ფორმის სხვაგვარი დარღვევა გვაქვს ლექსში „შავო მყვეალივით თვალუბიანო“. ამ მუხამბაზის პირველი სტროფი ექვსი სტრიქონისგან შედგება: ამასთან, ერთი მათგანი ორჯერ მეორდება:

შავო მყვეალივით თვალუბიანო,
მოჰკალ, ოღონდ მოგარე, კაეუბიანო,
იავუნდო, აღმას-ლაღუბიანო,
პირზედ მოხდენილო ზალუბიანო,
თორმა მოქსოვილო, შალუბიანო,
შავო მყვეალივით თვალუბიანო.

ცხადია, ერთ-ერთი ამ განმეორებელთაგანი ზედმეტია.

მუხამბაზი შესაშვითის (მაფხე აცმული მარგალტო) სახეობაა. ამას გარდა არსებობს შესაშვითის (სტროფი შედგება სამი სტრიქონისაგან), მურაბა (სტროფი შედგება ოთხი სტრიქონისაგან), და ა. შ. ამ სტრიქონამდგ. როგორც დ. კობაქემ შენიშნა, უმართებულოა ყველა ამ სახეობათა გაერთიანება მუხამბაზის სახელწოდებით (ქართული და სპარსული პოეტების ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 91, 1960).

ამ თვალსაზრისით საიათნოვას პოეზიაში ქა-

რთული მუხამბაზის გვერდით ძალზე პასუხურულია მურაბა (ოთხეული, ~~ფორმული~~ სტროფი). თეთი სტროფებიც კარგად შეიქმნა საერთოდ თავისუფალია, მერუეობს პირველი სტროფის გართმვის პრინციპი: იგი ხან გვაჩვენებია, ხან მუხამბაზისებური:

არაგის უარი არ უთქვამს თავის
მეგობრისათვის,
უბრალოდ თავი მოვიკალ ბემურვით
იარისათვის,
შენთვის კაცი მიგზავნია ჰინდის
ყალამქარისათვის,
ჰინდის ყალამქარს დავეცებ ზარუ-ზარბაზარისათვის.

საიათნოვას ქართული ლექსების კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ხელთა გვაქვს უხვიროდ ჩაწერილი სიმღერების ტექსტი. დღესათვის ნათელია, ოსტატური შესრულებისას სულ სხვარიგად ელერდნენ ისინი (საიათნოვა ხომ უბაღლო მომღერალი და აკომპანიტორი იყო). სიმღერა ჩველადაა რიტმისა ან რითმისა ნებისთ თუ უნებლვე ხიჩვებს და წარმოაჩენდა ეფფონიურ მზარეს.

საიათნოვას ლექსების ამ გამოცემაში ერთ-ერთი ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც თბილისური მეტყველების საუკეთესო მცოდნე არკვევს მრავალი საინტერესო სიტყვის მნიშვნელობას. ზოგი რამ მაინც რჩება დასაზუსტებელი თუ საერთოდ განსამარტავი. მაგ. ლექსიკონში ნაშარდი ახსნილია, შარდი კი არა („შარდი მოჰკალა და ნაშარდი გასწიო“). სპარსული შარდი ნიშნავს მამაცს, ვეჟაკს. შანახარ წარმოდგენილია ერთად და განმარტებულია როგორც ქავი სახეღარი. სინამდვილეში შანა ცალკე სიტყვაა და ნიშნავს დედას („ზოგი მეუბნება: შენ მანა ხარო“). ლექსიკონში არ მოხვდა იბტიარი (ნება-სტრელი; „შენს იბტიარზედ გამოდგი“), ხუშარი (ნამთერალევი; „ხუშარი ვარ, იცი განა“) და სხვ.

როგორც ეს რედაქტორს აქვს აღნიშნული, საიათნოვას ქართული ლექსების ტექსტის დადგენისას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ცალკეულ შენიშვნებსა და კომენტარებს, ამ ლექსებს, რომ თან სდევნენ (მაგ. ზემოხსენებულ ივ. სეიდოვისა, გ. ბაშინჯალიანისა და სხვ.). ისინი აუცილებლად უნდა დაერთოს მომავალ გამოცემას, ისევე, როგორც ყველა ვარიანტი-ხელნაწერთა მიხედვით.

რევოლუციური ქარიხლის მომღერლები

გარეანული

მე-19 საუკუნის დასაბრუნებელი და მე-20 საუკუნის დასაწყისი საქართველოში აღინიშნა მძიმე რევოლუციური აღმავლობით. რამაც უშუალო შემოქმედება იქონია მხატვრულ ლიტერატურაზე: შეიქმნა ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მძლავრი ნაჯადი — რევოლუციური მწერლობა, რომელიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურის პირდაპირ წინამორბედს წარმოადგენს. ამიტომაც მისი საფუძვლიანი შესწავლისა და სათანადოდ გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქართული საბჭოთა ლიტერატურის სრულყოფილი ისტორიის შექმნა.

მოხებდავად ამისა, ქართული რევოლუციური მწერლობა ჯერ კიდევ შესაფერისად არაა დამუშავებული: მრავალი საყურადღებო მოვლენა არაა შესწავლილი, ბევრი თვალსაჩინო დასახებრების მქონე შემოქმედი ჯერ-ჯერობით მკვლევარებზეა. ეს განსაკუთრებით ეხება რევოლუციონერ მუშათა წრიდან გამოსულ ავტორებს, რომლებიც, სიტყვის ცნობილ ისტაბელთან ერთად, ჰქმნიდნენ რევოლუციური პათოსით გამსჭვალულ ნაწარმოებებს.

ათორღე წლის წინ აწ განსვენებულმა მკვლევარმა ლევან ასათიანმა დაიწყო ქართული რევოლუციური მწერლობის შესწავლა და მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომზე გამოაქვეყნა. მაგრამ ალ. ასათიანს ნაადრევმა სიკვდილმა აღარ აძლას საქმის ბოლომდე მიყვანა. ამავდროულად კარგახანია ნაყოფიერად მუშაობს შალვა გოხალიშვილი. საქართველოს კომუნისტური კომპარტის გამოქვეყნებულ ცალკე წიგნად გამოსცა შ. გოხალიშვილის „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის“ (მხატვრული ლიტერატურა ქართულ ბოლშევიკურ პრესაში). ეს წიგნი წარმოადგენს შრომის პირველ ნაწილს და მასში განხილულია მხოლოდ 1901-1907 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

სარეცენზოო წიგნის ღირსებები მით უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდება თუ გავითვალისწინებთ ამ სიძველეებს. რაც წინ ედგება რევოლუციონერულ ბოლშევიკურ პრესასზე (განსაკუთრებით არალეგალურზე) მომუშავე მკვლევარს. საქმე ის არის, რომ ნაწარმოებები უმეტესად ფსევდონიმებით ან სრულიად ხელმოუწყონად იქვეყნებოდა. დღეს ფსევდონიმების გახსნა და ავტორთა ექსპონის დადგენა ძნელი ხდება. შ. გოხალიშვილმა ამ მიმართულებითაც, დიდი მუშაობა ჩატარებია. საარქივო მასალების, მომწერეთა მოკვებებ-სა და ცალკეულ ნაწარმოებთა ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე

არა ერთი „საიდუმლოებით მოცულ“ მხატვრული თვის ახდენია ფარდა, მრავალი უცნობი ავტორისათვის მიუჩენია სათანადო ადგილი ლიტერატურის ისტორიაში, რაც მთავარია; ეს მასალები შესწავლილი და განხილული აქვს მთლიანად მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ფონზე.

ვ. ი. ლენინი თავის განთქმულ შრომაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ წერდა: „ლიტერატურული საქმე უნდა ვახდენდნენ შემადგენელი ნაწილი ორგანიზებულად, გეგმაშეწონილი, გავრთიანებული სოციალ-დემოკრატიული მუშაობისა“. ამ მიზნით ბოლშევიკურმა პრესამ თავიდანვე ფართოდ გაუღო კარი მხატვრულ ლიტერატურას, თავის ირგვლივ შემოიკრება რევოლუციურად განწყობილი მხატვრული ინტელიგენცია. ცნობილია, რა დიდი მოწონებით შეხვდა ვ. ი. ლენინი ვახეთ „პროლეტარში“ მაქსიმ გორკის მიწვევას. ბოლშევიკური პრესა თავის ფურცლებს, ცნობილ მწერლებთან ერთად, სისტემატურად უთმობდა რევოლუციურ პროლეტარიატის წრიდან გამოსულ ახალგაზრდა ავტორებსაც და ამ გზით, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა რა მათ მხატვრულ დაოსტატებას, მეორეს მხრივ, ლიტერატურაში ჰქმნიდა რევოლუციურ ბირთვს. შედეგიც თვალსაჩინო იყო: მხატვრულ შემოქმედებაში ვხვდებით ეხსნებოდა მუშათა ფართო მასებს, ჰომეოლოგან ზოგი მტკიცედ დაამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში და, ამავდროის, მტკიცდებოდა თვით პრესაში. ამ ორმხრივ საგრძობად მიერთებდა ვახეთი „პრადეა“ თავისი არსებობის ორი წლისთავზე 1914 წელს წერილში „მუშა-მწერლები“. „მუშათა ბეჭდითი სიტყვა — წერდა „პრადეა“ — ჰქმნის მუშა-მწერლებს და პარტიულ, მუშა-მწერლებს ამავდროულად და ანეთორებენ მუშათა ბეჭდითი სიტყვას.“

ლენინური პრინციპების ერთგული ქართველი ბოლშევიკებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მხატვრულ ლიტერატურას. მათ ჟურნალ-გაზეთებში სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სტატიების გვერდით სისტემატურად იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებებიც. ამ გარემოებამ კი დიდად შეუწყო ხელი ქართულ ლიტერატურაში რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის შექმნა-განვითარებას, რომლის მეთაური იყო იბოლოინ ევლოვილი.

პირველი ბოლშევიკური ორგანო „რომლისმაც უდიდესი როლი შეასრულა კავკასიელ მუშათა გათვითცნობიერებისა და რევოლუციური ღაზ-ღაზების საქმეში, იყო არალეგალური ვახეთი „ბრძოლა“, მართალია, „ბრძოლის“ მხოლოდ ოთხი ნომერი გამოვიდა, მაგრამ ისინი მინც სამო ანტერესს იმსახურებენ ლიტერატურულ ისტორიის თვალსაზრისითაც. „ბრძოლა“ თავის

შალვა გოხალიშვილი. „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის“, I, საქ. კ. ც-ის გამოცემლობა, 1903.

ფურცლებზე გამოაქვეყნა სულ ექვსი ლექსი (4 ორჯინალურა, 2 თარგმანი) და ცალკე გამოცემად გამოუშვა ამ ვახუთის ორგანიზატორისა და სელისჩამდგმელის, მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის მიერ რუსულიდან თარგმნილი მოთხრობა „შერისძებნა“. შ. გოზალიშვილი პირველ რაგში ამ ნაწარმოებზე ზეგდება და მასთან დაკავშირებულ ინტერბერალ-ინტერაქტურულ საკითხებს იყვლევს.

„ბრძოლაში“ გამოქვეყნებული ლექსებიდან, („ოცდაორი აპრილის“ და „ამხანაგებს“) ავტორობის საკითხი ადრევე გარკვეული იყო. ისინი ეკუთვნის მუშა-რევოლუციონერებს ლადო იაშვილს და მისხელ ბოჭორიძეს. ვასარკვევი იყო, ვის ეკუთვნის დანარჩენი ორიგინალური ლექსები „ბრძოლაში“ — X-ის ხელმოწერით და „მეზო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ — „ხევის“ ფსევდონიმით, აგრეთვე „ვარძაულას“ და „მარსელიზას“ თარგმანები. ლ. ასათიანი ლექსს „ბრძოლაში“ მიიჩნევდა „არაპროფესიონალური პოეტის გამოცემული ხელით“ დაწერილ ნაწარმოებად. შ. გოზალიშვილი საკმაოდ დამაყრებლად ასაბუთებს, რომ ეს ლექსი ეკუთვნის ირ. ევდოშვილს, ასევე დასაბუთებულად მიგვანჩნა ლექსის „მეზო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ და თარგმანთა ერთობლივ ევდოშვილისადმი მკეთუნების საკითხიც. მკვლევარის დასკვნებო დამაყრებელია მტკიცე მეცნიერულ არგუმენტაციას, საარტიფო დოკუმენტებზე, თვით ლექსების ანალიზსა და პოეტის სხვა ნაწარმოებებთან შედარებაზე, აგრეთვე პოეტის აბლო მეგობრებისა და ვახუთთან დაახლოებული ადამიანების ჩვენებებზე და სხვ. ამით ჩვენს წინაშე კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი იშლება იტალიონ ევდოშვილის შემოქმედებიდან, აგრეთვე, დამაყრებლად არის დასაბუთებული ისიც, რომ „ვარძაულას“ და „მარსელიზას“ თარგმანში ეშვალო მონაწილეობა აქვს მიღებული ლადო კეცხოველს.

შ. გოზალიშვილი საკვებით სწორად იქცევა, როდესაც ცალკე გამოაყოფს და სპეციალური კვლევის საგანად იხილს „ინტერნაციონალის“ ქართულ თარგმანებს. შრომის ამ ნაწილშიც მრავალი საყურადღებო ფაქტია მივლევნილი და სათანადო კომენტარებით მკითხველის წინაშე გამოტანილი, როგორც ცნობილია, „ინტერნაციონალი“ ქართულად მრავალჯერს ითარგმნა. დღემდე უცნობი იყო ზოგიერთი თარგმანის ავტორი და შ. გოზალიშვილმა გააკრევა.

დღე ინტერესს იმსახურებს 1906-1907 წლებში ქართულ ბოლშევიკურ პრესაში („ახალი დროება“, „ახალი ცხოვრება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“) გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებები. ეს მასალა საკმაოდ

დიდა და ამიტომაც შ. გოზალიშვილი მათ განახილავს თარგმნის მოხედვით (პროზა, პოეზია, ფელეტონები), შრომის ამ ნაწილში მკვეთრობა ვერცაა და თაქში — „მხატვრული ლიტერატურა ქერნალ „მოგზაურსა“ და ვახუთ „ილუვში“, მრავალი უცნობი ავტორია გამოვლინებულა. მკვლევარის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ უმარავი ფსევდონიმის გამოყენება. ამ ნარკვევებმა არა ერთი საგულისხმო დეტალი გამიღიარა ცნობილი ქართული პოეტების არ. ევდოშვილის, დ. თომასვილის, ია ეკლადის, ვ. რუხაძის, იასამანის (მის. კიწურთაშვილი), თაგუნას (შ. შარაშაძე), ნ. აბიანის, ნარკანის (ნ. კერძალაშვილი) და სხვათა შემოქმედება, გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა მათზე. ასევე არაერთი ახალი სახელი შევსატვა ქართული რევოლუციური მწერლობის რაზმს. ასეთები არიან დავრწყებელი პოეტები: კაპიტონ გოგოლაძე, ვლ. დარჩია, დავით მენონგურე (ქარცივაძე) ნ. ეგვიტოშვილი (ნ. ვადაშვილი), ვიორჯი ბოკერია, პლარა (თელა კიკეაძე) და მრავალი სხვა. ამ პოეტებს შესახებ შ. გოზალიშვილი შემოქმედისდაგვარად აძლევდა ბიოგრაფიულ ცნობებსაც.

სარეცენზიო წიგნის ერთ-ერთ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ავტორი არ კმაყოფილდება ცალკეული ნაწარმოებების უბრალო განხილვით, იმის მათითებით, თუ სად დაიბეჭდა, ვინ არის მისი ავტორი და რა არის გადმოცემული მასში. შ. გოზალიშვილი საკენჭურო კომიტეტისა და თანდართა სამმართველოს მასალების საფუძველზე უფრო ზუსტ „ბიოგრაფიას“ აძლევდა მრავალი საყურადღებო ნაწარმოებისა. აქედან ბევრ საინტერესო ფაქტს ვეგებთ იმის შესახებ, თუ როგორ დევნიდა ცარხში რევოლუციური სელისყვეთების გამოხატველ ნაწარმოებებს.

ქართულ ლიტერატურაში ფართოდ აისახა ხალხთა კეთილდღეობისათვის თავდადებულ მგზნებარე რევოლუციონერების სახეები. ლადო კეცხოველის, ალექსანდრე წულუკიძის და არსენა გორჯიაშვილის შესახებ შეიქმნა მთელი ციკლი ნაწარმოებებისა, რომლებიც შ. გოზალიშვილის ცალკე აქვს გამოყოფილი და განხილული წიგნის ბოლო ნაწილში. აქვეა საინტერესო ცნობები იმის შესახებ, რომ ლადო კეცხოველსა და ალექსანდრე წულუკიძეს ქონდათ საყუთარი ლექსების რეველები, საჭიროა უფრო ენერჯიულად დიძებნოს ისინი, იქნებ განადგურებელი არ იყოს და აღმოჩნდეს. ეს ნაწარმოებები იღვრს სიციხეველსთან ერთად, მხატვრული ღირებუებითაც გამოირჩევიან, ამასი გვარწმუნებს სარეცენზიო წიგნში მოტანილი ტექსტი, მაგრამ საგულისხმო ცნობები.

80 80 803.


საქართველოს
აღმწიველი ბიბლიოთეკის
ინდექსი
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М И А Т О Б И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“